

ქართული ემიგრანტული ლიტერატურა

# დაბრუნება

მრავალტომეული

1

გურამ შარაძის საერთო რედაქციით

თბილისი 1991

ექვთიმე თაყაიშვილი

ემიგრანტული  
ნაშრომები

გამომცემლობა "მეცნიერება"  
თბილისი 1991

მრავალტომეულში იბეჭდება ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლების მიერ უცხოეთში ქართულ ენაზე შექმნილი ნაწარმოებები.

პირველ ტომში მკითხველი გაეცნობა ექვთიმე თაყაიშვილის ემიგრანტულ ნაშრომებს. აქვე ქვეყნდება სამშობლოში დაბრუნებული მხცოვანი მეცნიერის მიერ ნაკარნახევი მოგონებები ქართველ მწერლებზე.

შემდგენელი: გურამ შარაძე

რედაქტორი: ლევან სანიკიძე

მხატვარი: დავით ბერძენიშვილი

## დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო

ქართული უნივერსიტეტის დაარსებამდის აწ გარდაცვალებულს პროფესორს პეტრე მელიქიშვილს ქართული ფართო საზოგადოება ნაკლებად იცნობდა. ამისი მიზეზი იყო ორი გარემოება, სრულიად გასაგები. ერთი ის, რომ პეტრე მელიქიშვილი საქართველოში არ ცხოვრობდა და ქართულ საზოგადო საქმეებში პირად მონაწილეობას ვერ იღებდა; მეორე ის, რომ პეტრე იყო მეცნიერი ისეთი დარგისა, რომლის მიღწევების გაგება და დაფასება შეუძლიათ მხოლოდ სპეციალისტებს და არა ფართო საზოგადოებას.

ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობდა ჩვენს პოეტებს, ლიტერატორებს, ისტორიკოსებს და საზოგადოდ, ქართული საქმიანობის მოღვაწეებს, რომელნიც სათავეში უდგნენ და ხელს უწყობდნენ ეროვნულ აღორძინებას. საკმაოდ ცნობილნი იყვნენ აგრეთვე ჰუმანიტარული დარგის პროფესორებიც, ვინაიდან მათი შრომანი უფრო გასაგები და ხელმისაწვდენი იყო ფართო საზოგადოებისათვის; საბუნებისმეტყველო დარგის პროფესორები კი ნაკლებად ცნობილნი იყვნენ. ასეთები ჩვენ მეცხრამეტე საუკუნის დამლევამდის ცოტანი გვყავდა – სულ სამი კაცი: ფიზიოლოგი – თარხნიშვილი და ქიმიკოსები – ვასილ პეტრიაშვილი და აწ განსვენებული პეტრე მელიქიშვილი.

თარხნიშვილი სამკურნალო სამხედრო აკადემიის პროფესორი იყო პეტერბურგში, დიდი ნიჭის პატრონი, საუცხოო ლექტორი და ჩინებული პოპულიზატორი. ჩემს უნივერსიტეტში ყოფნის დროს მის საჯარო ლექციებს "სალიანოი გარადოკში" პეტერბურგში აუარებელი საზოგადოება ესწრებოდა და დიდის ინტერესით უსმენდა. შემდეგ ის უნივერსიტეტშიც მიიწვიეს და იქაც უდიდესი აუდიტორია ვერ იტევდა თურმე მის მსმენელებს. მას კარგი ადამიანის სახელიც ჰქონდა. მე მას პირადად არ ვიცნობდი და არც რაიმე შემიძლია ვთქვა მისი ქართული სულისკვეთების, მისი სამშობლოს სიყვარულის შესახებ. ერთი კი აშკარაა, ქართულ საზოგადო საქმეში ის ნაკლებად სჩანს. ჩემი დროის პეტერბურგელმა ქართველმა სტუდენტობამ ამაოდ სცადა მასთან დაახლოვება და მისი გამოყენება. ამის მიზეზი შეიძლება თვით სტუდენტობა იყო. ჩვენ მაინც დიდად მოგვქონდა თავი, რომ ასეთი ნიჭიერი პროფესორი გვყავდა. სულ სხვა იყო ვასილ პეტრიაშვილი და მისი განუყრელი ამხანაგი და მეგობარი პეტრე მელიქიშვილი. ესენი პროფესორობდნენ ოდესაში, ნოვოროსიის უნივერსიტეტში, მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ქართველ სტუდენტობასთან და მათ ხელმძღვანელობდნენ. ნამეტნავად ვასილ პეტრიაშვილი და მისი მეუღლე, პატივცემული თავდგირიძის ასული დიდ მზრუნველობას იჩენდნენ ოდესელი ქართველი სტუდენტობის მიმართ. ამათი ოჯახი თვითეული სტუდენტისათვის თითქოს საკუთარი ოჯახი იყო. აქ ჰპოვებდნენ ისინი მშობლიურ ალერსს და სიტბოს. ვასილ პეტრიაშვილი მე გავიცანი, როდესაც ის ჩამოვიდა ტფილისში, როგორც ხელმძღვანელი ოდესელი სტუდენტების ექსკურსიისა. მთელი ექსკურსია ჩვენთან მოვათავსეთ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. მისი მეუღლე წინეთ მყავდა გაცნობილი. ამ ექსკურსიაში ბევრი ქართველი

სტუდენტობა იყო და მათგან ვიცი, თუ რა იყო მათთვის პეტრიაშვილის ოჯახი. ნამეტნავად მათ ამბავს მიაგებდა სტუდენტი ხარლამპრი ლლონტი – დიდი პატრიოტი და ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელიც შემდეგ ჩემთან იყო მასწავლებლად სათავადაზნაურო გიმნაზიაში. შემდეგ 1905 წ. რევოლუციისა, რომელშიაც დიდი მონაწილეობა მიიღო, ლლონტი რუსეთში მოექცა და ჩვენ აღარ შეგვხვდებოდა. წრფელი პატრიოტი, მშვიდი, წყნარი და დაუღალავი მუშაკი-მეცნიერი ვასილ პეტრიაშვილი თავისი პირადობით ახდენდა ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას. პეტრე მელიქიშვილი გვერდში უდგა ამ ოჯახს სტუდენტთა ხელმძღვანელობაში და მფარველობაში. თვითონ პეტრე უცოლშვილო იყო. ვასილ პეტრიაშვილს ტფილისის სასულიერო სემინარია ჰქონდა გათავებული და მან ქართული უკეთ იცოდა, ვიდრე პ. მელიქიშვილმა. ვასილ პეტრიაშვილმა მოგვცა პირველად ორი დიდი ღირსშესანიშნავი სამეცნიერო გამოკვლევა ქართულს ენაზედ საბუნებისმეტყველო დარგიდან. ეს არის მისი შრომები მეღვინეობის და მერძევეობის შესახებ.

ყველა ჩვენი პროფესორის გულითადი მისწრაფება იყო როგორმე თფილისში, სამშობლოს ცენტრში, გადმოეტანათ თავიანთი მეცნიერული მოღვაწეობა, აქ მოეწყობათ შესაფერი ლაბორატორიები და სამეცნიერო დაწესებულებანი. ვასილ პეტრიაშვილს ეს, საუბედუროდ, აღარ დასცალდა. ამ მხრით უფრო ბედნიერი იყო პეტრე მელიქიშვილი, რომელსაც წილად ხვდა გამხდარიყო პირველი რექტორი სამშობლოს ქართული უნივერსიტეტისა.

მელიქიშვილის გვარი ორი იყო საქართველოში. ერთი საქართველოს სომხეთის ხელისუფალის მელიქისაგან იყო წარმომდგარი. ამ გვარის წევრნი თავადები იყვნენ. მეორე სამცხიდან იყო, ქართველი კათოლიკეების გვარი იყო. პეტრეს მამა გრიგორი ახალციხიდან იყო მოსული ტფილისში. წინეთ ქართველი კათოლიკეები მაინცდამაინც არ ქართველობდნენ, ზოგნი უფრო სომხებს ეკედლებოდნენ, ზოგნი ამბობდნენ, ჩვენ ქართველები არა ვართ, ფრანგები ვართო. მაგრამ სიტყვა „ფრანგი“ ნიშნავდა ჩვენში კათოლიკეთა სარწმუნოებას და არა ფრანგს, საფრანგეთის მკვიდრს. პეტრეს მამის ოჯახი იმთავითვე ქართველობდა. ამ ოჯახში საზოგადო მოღვაწეობა ტრადიციული იყო. პეტრეს მამა გრიგორი და მისი ძმა სტეფანე იმ ქართველ პატრიოტთა პატარა ჯგუფს ეკუთვნოდნენ, რომელთაც დააარსეს პირველი კერძო სტამბა ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოსაცემად. ეს მაშინ დიდი პატრიოტული საქმე იყო. ამ ჯგუფს ეკუთვნოდნენ, გარდა მამა-შვილი მელიქიშვილებისა, ისტორიკოს-არქეოლოგი დიმიტრი ბაქრაძე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ლოლობერიძე და ვახტანგ თულაშვილი. სტეფანე ვენაში იყო გაგზავნილი სტამბის მაშინების და მოწყობილების შესაძენად და ქართული ასოების ჩამოსასხმელად. ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა სულ ამ შრიფტით იბეჭდებოდა, რომელსაც ვენის შრიფტი დაერქვა. ეს შრიფტი განირჩევა აკადემიური შრიფტისაგან. სტამბა გაიხსნა 1864 წ. "დროება" დაიწყო გამოსვლა 1866 წელს. გამომცემელი იყო სტეფანე მელიქიშვილი, რედაქტორი გიორგი წერეთელი. შემდეგ ამ გაზეთის რედაქტორი იყო კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე სერგი მესხი, რომელსაც ცოლად ჰყავდა პეტრეს დაი, ეხლაც კარგად მყოფი საზოგადო მოღვაწე მანდილოსანი ეკ. მესხი. მელიქიშვილის სტამბა ჩემს დროსაც არსებობდა და პეტრეს უმცროსი ძმა იოსებ (სოსიკო) მელიქიშვილი განაგებდა. მე ჩემი პირველი შრომის "სამი ისტორიული ხრონიკის" ბეჭდვა ამ სტამბაში დავიწყე, მაგრამ სანამ გავათავებდი, ეს სტამბა სამჯერ გაიყიდა, სამი სხვადასხვა პატრონის ხელთ გადავიდა, რამაც ცუდი გავლენა იქონია

გამოცემაზე. პეტრე მელიქიშვილის ბიოგრაფია მოკლედ ასეთია: ის ნიჭიერი მოსწავლეა ტფილისის პირველი გიმნაზიისა. წარმატებით ათავებს გიმნაზიას, შემდეგ ოდესის უნივერსიტეტს, მიდის საზღვარგარეთ, 1876 წელს ხდება ლაბორანტი ოდესის უნივერსიტეტში, 1881 წ. იცავს სამაგისტრო დისერტაციას, 1882 წ. ხელმეორედ მიემგზავრება საზღვარს გარეთ, პარიზში უსმენს ლექციებს ბ ე რ თ ე ლ ო ს, მიუნხენში მუშაობს ბ ა ი ე რ თ ა ნ. 1884 წლიდან დოცენტია ოდესის უნივერსიტეტის, 1885 წელს იცავს დოქტორობის დისერტაციას და ხდება ჯერ ექსტრაორდინარული პროფესორი, შემდეგ ორდინარული და ბოლოს, დამსახურებული.

პეტრე მელიქიშვილს ქართული საზოგადო მოღვაწეობა წილად ხვდა, როგორც მოგახსენეთ, ქართული უნივერსიტეტის დაარსებიდან. მანამდე ის იყო წმინდა წყლის მეცნიერი, ფრიად ნიჭიერი და ნაყოფიერი მუშაკი, კარგად ცნობილი არა თუ რუსების სპეციალისტთა შორის, არამედ საზღვარს გარეთაც. მას ეკუთვნის 81-ზე მეტი სხვადასხვა გამოკვლევა დაბეჭდილი რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ქართულს ენაზედ. თუ რამდენად ძვირფასი და მნიშვნელოვანი იყო პეტრეს სამეცნიერო შრომა, იქიდანაც სჩანს, რომ მისი ერთ-ერთი გამოკვლევა დაჯილდოვებული იყო ლომონოსოვის დიდის პრემიით. ბოლო დროს ის რუსული სამეცნიერო აკადემიის კორესპონდენტ-წევრადაც იყო არჩეული.

პეტრე მელიქიშვილი მე გავიცანი სულ რამოდენიმე თვის წინათ უნივერსიტეტის დაარსებისა. გამაცნო პატივცემულმა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისამ, რომლიდგანაც წერილი მივიღე: ამ სადამოს ჩემთან პეტრე მელიქიშვილი იქნება და გთხოვთ მეწვიოთ. მეც ვეახელი. გარდა დიასახლისისა, იქ იყვნენ კიდევ პეტრეს დაი ეკ. მესხი და ქალბატონი ალექსანდრა ფაღავასი. პირველი გაცნობიდანვე პეტრემ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა თავისი კეთილი გამომეტყველებით, სანდომიერი სახით და ტკბილი საუბარით. ბაასი ჯერ პოლიტიკაზე იყო, შემდეგ პროფესორ ჰუგო შუხარდზე და აკადემიკოს კანდაკოვზე. გამოჩნდა, რომ ერთიც და მეორეც დიდად დაახლოვებული მეგობრები ყოფილიყვნენ პეტრესი. ჰუგო შუხარდი ცნობილი ლინგვისტია გრაცში. ის კარგი ხანია ქართულს ენას იკვლევს, ბასკურ ენას უფარდებს ქართულს და სხვა კავკასიურ ენებს. მას ეკუთვნის, სხვათა შორის, სტატია ქართული ენის ტერიტორიალური გავრცელების შესახებ მშვენიერის რუქითურთ, რომელიც რუსულადაც არის გამოცემული. პეტრემ მითხრა, ჩემს გრაცში ყოფნის დროს შუხარდმა შემარცხვინა, რომ ჩვენ ასეთ მნიშვნელოვანს საინტერესო ჩვენს სამშობლო ენას არ ვიკვლევთო. აბა მე რა ქართულის მცოდნე ვარ, მაგრამ მან მაიძულა დამეწყო მასთა მეცადინეობა და მოვხმარებოდი ქართულის ენის შესწავლაში და ცნობების მიწოდებაშიო. ზოგი რამ მოვიგონე, ზოგი წავიკითხე, წიგნები ვიშოვე და ასე ვცოდვილობდითო. სულ ამას მეუბნებოდა, რა თქვენი საქმეა ქიმია, ქიმიაში კვლევა-ძიებას ევროპელებიც კარგად შესძლებენო. თქვენ ასეთი მდიდარი ენა გაქვთ და მისი კილოკავები, ეს შეისწავლეთ და ამის გამოკვლევაში დაგვეხმარეთო, უთქვენოდ ამას ჩვენ თავს ვერ გავართმევთო. როგორც რაიმე გადანაცემიდან მოეწონებოდა, მაშინვე დაუმატებდა, ხან ხუმრობით, ხან ისე, მე რომ შენი ვიყო, ქიმიას თავს დავანებებდი და ქართული ენის კვლევას დავიწყებდიო; მე გატყობ, ამაში უფრო წარმატებას გამოიჩენო. ერთს გამოკვლევას ქართული ენის შესახებ, რომელიც შუხარდმა გამოსცა 1895 წელს, ზედ აწერია თურმე, როგორც პროფესორი აკაკი შანიძე გადმოგვცემს: "ნიშნად მაღლობისა ვუძღვნი ჩემს

საყვარელ მეგობარს პროფესორს პ. მელიქიშვილს. გ. შუხარდი". ჰუგო შუხარდს მიწერ-მოწერა ჰქონდა ახლად განსვენებულ ქართველების მეგობართან არტურ ლეისტთან და სულ იმას სთხოვდა, ვინმე ქართველი მოსწავლე გამოგზავნეთ გრაცში უმაღლესი სწავლის მისაღებად, რომ ქართული ენის კვლევის დროს გამომადგესო. მართლაცდა ლეისტმა და მე კიდევ გავგზავნეთ ერთი ჩემი ყოფილი მოწაფე, კარგი და ნიჭიერი ყმაწვილი ბემკენაძე. მისთვის სტიპენდიის მიწოდება პატივცემულმა მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ იკისრა. ბემკენაძე ეხმარებოდა შუხარდს, მაგრამ შუხარდი არ იყო მანდამაინც კმაყოფილი ამ ახალგაზრდათი. ბემკენაძე იყო გატაცებული ლიტერატურის და ფილოსოფიის შესწავლით, შუხარდს კი უნდოდა, ის ლინგვისტი გაეხდა. შუხარდი ლეისტს სწერდა: ბემკენაძე საუცხოო ყმაწვილია, მაგრამ ჩემი ცდა, რომ მას ენათა მეცნიერება შევავყარო, ამოდ რჩებაო. მე რომ ლინგვისტიკაზე ველაპარაკები, ის ფილოსოფიაზე და ლიტერატურაზე მიწყებს ბაასსო. ძალად სულიერი მიმართულების შეცვლა, რასაკვირველია, ძნელია.

კანდაკოვის შესახებ ბაასი პეტრეს და მე უფრო გაგვიგრძელდა. კანდაკოვის და მელიქიშვილის მეგობრობას უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდა. კანდაკოვმაც თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა ოდესაში დაიწყო. აქ დასწერა მან თავისი გამოკვლევა ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ. არც ერთს რუსის პროფესორს იმდენი ღვაწლი არ მიუძღვის საქართველოს შესწავლაში, როგორც კანდაკოვს. მან ჩაუყარა საფუძველი ქართული ხელოვნების შესწავლას. რასაკვირველია, პეტრე ასეთი კაცის მეგობარი იქნებოდა. მან მიაშო, თუ რა დიდი სახელი აქვს კანდაკოვს ევროპის მეცნიერთა შორის, როგორი დაუღალავი მუშაკია და სხვა. შემდეგაც ჩვენი თავისუფლების დროს პეტრე სულ იმას მეუბნებოდა, კანდაკოვი როგორმე მოვიყვანოთ საქართველოშიო. უკანასკნელი შეხვედრის დროს მან მითხრა: საქართველოთი დავიწყე ჩემი მეცნიერული მუშაობა და მინდა საქართველოთი დავამთავროო. მე ვუთხარი პეტრეს, ნეტავი როგორმე მოვიდოდეს, თორემ ვინ იქნება წინააღმდეგი ის უნივერსიტეტში მოვაწყოთ და ყოველი დახმარება აღმოვუჩინოთ მეთქი. ამ დროს არა ერთი გადმოხვეწილი ცნობილი რუსი პროფესორი გვყავდა მოწვეული უნივერსიტეტში და კანდაკოვი ჩვენთვის ყველაზე უფრო სასურველი იყო. მაგრამ კანდაკოვმა ბოლშევიზმის დამყარების შემდეგ დასტოვა რუსეთი და ჩვენ არც ვიცოდით, სად იმყოფებოდა. ბევრს ვეცადეთ, მაგრამ ვერავითარი ცნობა ვერ მივაწოდეთ. სამი დღის წინათ ჩვენი ტფილისიდან გამოსვლისა, როდესაც მე ფილტვების ანთებით ავადმყოფი, მაგრამ უკვე მოკეთებული, პეტრე მელიქიშვილი მიხეილის სამკურნალოში ვინახულე, მან მაშინაც მომაგონა კანდაკოვის შესახებ. მაშინ ჩვენ არ ვიცოდით, თუ ჩვენც თვითონ მოგვიხდებოდა სამშობლოს დატოვება. შემდეგ გამოირკვა, რომ კანდაკოვი პრალის უნივერსიტეტში მოთავსებულიყო და იქ განაგრძობდა სიკვდილამდის თავის მეცნიერულ მუშაობას. ხოლო ჩვენმა უნივერსიტეტმა ის, როგორც ვიცით, თავის საპატიო წევრად აირჩია.

პირველი გაცნობის შემდეგ მე პეტრეს შევხვდი კრებაზე, რომელიც იყო მოწვეული უნივერსიტეტის დაარსების საკითხის გადასაწყვეტად. ამ დღიდან სამი წლის განმავლობაში პეტრეს ვხვდებოდი ორ-სამჯერ მაინც კვირაში ხან უნივერსიტეტში, ხან სამუზეუმო საბჭოში და სხვა დაწესებულებებში, სადაც პეტრე მონაწილეობას იღებდა. ჩვენ გულწრფელი მეგობრული განწყობილება გვქონდა და სხვაფერ არც შეიძლებოდა, ვინც ამ ღირსეულ ადამიანს კარგად იცნობდა.

ვინაიდან ჩემი მოგონება პეტრეს შესახებ ამ უნივერსიტეტის გახსნაზეა დამყარებული, ნება მიბოძეთ ამას ცოტა ვრცლად შევეხო.

ცარიზმის დროს ქართულ უნივერსიტეტზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. არათუ ქართული უნივერსიტეტი, რუსული უნივერსიტეტიც არ აღირსეს კავკასიას. არაერთხელ ყოფილა აღძრული შუამდგომლობა თავადაზნაურობის, ქალაქთა მმართველობის და სხვა საზოგადოებათა მიერ, მაგრამ ყოველთვის ამაოდ. მთავრობა მეცნიერებაზე და კავკასიის ერთა ჯეროვან განათლებაზე კი არ ზრუნავდა, არამედ მათ გარუსებაზე. ამას გარდა მას ეშინოდა, რომ უნივერსიტეტი გახდებოდა ცენტრი პოლიტიკური მოძრაობისა. პასუხად რუსის ჩინოვნიკობას ამის შესახებ ასეთი ფრაზა ჰქონდა: კავკასია ჯერ არ მომწიფებულა უნივერსიტეტისათვისო. ჩვენ ხომ ვიცით, ჩვენი მხარე არათუ მომწიფებული, გადამწიფებულიც იყო უნივერსიტეტისათვის, რაც ცხადად დაამტკიცა ქართული უნივერსიტეტის გახსნამ.

შეგნებული ქართული საზოგადოება, როგორც ვიცით, ებრძოდა გამარუხებელ პოლიტიკას. ამის წინააღმდეგ იყო მიმართული პოეზია, ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, სააზნაურო სკოლები, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატიული საზოგადოება, საადგილმამულო ბანკები და სხვა დაწესებულებანი, რომელთაც საერთოდ და კერძოდ თვითეულს ეროვნულ-პატრიოტული მიმართულება ჰქონდა. სასტიკმა გარუსების პოლიტიკამ მაღალწოდებათა ზედა ფენები მართალია შეარყია, მაგრამ ფართო შეგნებულ საზოგადოებაში წინააღმდეგ შედეგებს მიაღწია, დასთესა სიძულვილი და გამოიწვია მტრობა რუსეთის ხელისუფლებისადმი, გამრავლდა ქართული საკულტურო საზოგადოებანიც, როდესაც სახელმწიფო დუმაში გატარებულმა კანონმა შეძლება მოგვცა კერძო საზოგადოებათა გახსნისა. წინათ ეს შეუძლებელი იყო. მართალია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება წინეთ იყო დაარსებული, მაგრამ შუამდგომლობა ამის შესახებ მაშინ იყო აღძრული, როდესაც რუსეთს ოსმალეთთან ჰქონდა ომი და ჩვენი გულის მოგებისათვის უარი უხერხულად ჩათვალეს. მაშინ თავს გვიქონავდნენ. პირველი საზოგადოება ახალის კანონით დაარსებული იყო "საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება". ამ საზოგადოებას ჩვენ განგებ ვრცელი პროგრამა დავუსახეთ: მუზეუმის გახსნა, ბიბლიოთეკის დაარსება, ლექციების და რეფერატების კითხვა, გამომცემლობა, მოგზაურობანი, საეთნოგრაფიო მასალის შეკრება და სხვა. ეს საზოგადოება თანდათან მოღონიერდა, მიიზიდა ფართო საზოგადოების ყურადღება, გაიჩინა თავისი მუზეუმი, წიგნთსაცავი, მოაწყო ლექციები, რეფერატები, მოგზაურობანი, გამოსცა საისტორიო და საეთნოგრაფიო მასალანი და შეუდგა მზადებას საკუთარი მუზეუმის შენობის აგებისათვის. ჩვენი ნიჭიერი ისტორიკოსი და პროფესორი ივანე ჯავახიშვილი დიდის ხალისით იღებდა მონაწილეობას ამ საზოგადოებაში. მიდიოდა კანიკულებზე ტფილისში, კითხულობდა მოხსენებებს საზოგადოების სხდომებზე, მართავდა ლექციებს საზოგადოების სახელით და სხვა. რამდენადაც მე ვაკვირდებოდი ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის განვითარებას, ჩვენთვის აშკარა შეიქმნა, რომ მას გული ნაკლებად ერჩოდა რუსულად ეწერა თავისი გამოკვლევანი. გარდა პირვანდელი რამოდენიმე შრომისა და სამაგისტრო დისერტაციისა, ყველა მისი საუკეთესო გამოკვლევანი ქართულად დაიბეჭდა. მისი მიმართულება ცხადი იყო. მას უნდოდა სამშობლო ენაზედ შეექმნა მეცნიერული კვლევა-ძიება. ასეთმა ლტოლვილებამ მისთვის ერთგვარი



უხერხულობაც შექმნა. მოუთმენლად მოელოდნენ მის სადოქტორო დისერტაციას, რაც, რასაკვირველია, რუსულად უნდა დაწერილიყო. თითოეული მისი ქართულად გამოცემული გამოკვლევა მიანიჭებდა მას ამ ხარისხს, რუსულად რომ დაეწერა. მაგრამ რაკი გული არ ერჩოდა, თავს ძალა ვერ დაატანა. სადოქტორო შრომა, მგონია დაწყებულიც, დარჩა წარუდგენელი.

რაკი ჩემთვის ივ. ჯავახიშვილის მიმართულება აშკარა იყო და კარგად მქონდა შეგნებული აუცილებელი საჭიროება, რომ უკვე გაზრდილს, გაფართოებულს და მოღონიერებულს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას სათავეში ჰყოლოდა ისე სპეციალურად მომზადებული, ენერგიული და ნიჭიერი მკვლევარი, როგორიც იყო ივ. ჯავახიშვილი, მე მივმართე მას წერილობითი წინადადებით, რათა თავისი მეცნიერული მუშაობა ტფილისში გადმოეტანა და გამხდარიყო თავმჯდომარე და ხელმძღვანელი ამ საზოგადოებისა. მაშინ ჩვენ ერთი კაცის მატერიალურად უზრუნველყოფა ასე თუ ისე შეგვეძლო. სხვები, ვინც იქ ვმუშაობდით, უფრო მოყვარულნი ვიყავით სამეცნიერო შრომისა, ვიდრე სპეციალისტები და ამასთან, ყელამდის დატვირთულნი ჩვენი საქმეებით. საბჭოს უმეტესად პედაგოგები შევადგენდით. იდეა, რომ ქართველ საზოგადოებას ტფილისში ერთი კაცი ჰყოლოდა სპეციალურად საისტორიო გამომცემლობისა და კვლევა-ძიებისათვის, კარგა ხანია მომწიფებული იყო ჩვენში. მაგრამ ამის განხორციელებისათვის სახსარი არ იყო. მე მახსოვს, ერთხელ განსვენებულმა ნ. ლოლობერიძემ მიგვიწვია სათათბიროდ: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, იაკობ ისარლოვი და მე, ცოტა ფული მაქვს ანდერძით დასატოვებელი და რა საგნისთვის სჯობს გადავდო? ილია ჭავჭავაძემ პირდაპირ განაცხადა, სჯობს ეს ფული ფონდით დაიდვას, რომ მაგის პროცენტით ერთი კაცის უზრუნველყოფა შეგვეძლოს, რომელსაც საისტორიო მასალათა შეკრება და დამუშავება ჰქონდეს მართო საზრუნველად. მაგრამ სხვებმა და თვით ლოლობერიძემ ამჯობინეს, წერა-კითხვის საზოგადოებისათვის დაეტოვებინათ მის სოფელში სკოლის გასახსნელად და სტიპენდიისათვის. ბოლო დროს ნ. ლოლობერიძემ ჩემის წინადადებით თავისი ანდერძი ცოტა შეცვალა და ნაწილი თავისი წვლილისა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასაც დაუტოვა.

ივანე ჯავახიშვილს ჩემი წინადადება საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა, რაც პირადად მოლაპარაკების დროს გამოირკვა ტფილისში. ის ყოყმანში იყო. კიდევაც გულით სურდა ტფილისში გადმოსვლა, მაგრამ ბევრ უხერხულობასაც ითვალისწინებდა. კიდევ მოვიფიქრებო, უკანასკნელად გამიცხადა, თან დაბრკოლებას იმაში ხედავდა, რომ მას არ ექნებოდა საშუალება სისტემატიური ლექციების მოწყობისა, არ ეყოლებოდა აუდიტორია, როგორიც პეტერბურგში ჰყავდა. ის მაშინ ხელმძღვანელობდა არა მართო აღმოსავლეთის ფაკულტეტის სტუდენტებს, არამედ პეტროგრადის ყველა ფაკულტეტის ქართველ სტუდენტებს, რომელნიც ქართველოგიის შესწავლაში ჩააბა; კიდევ ის, რომ ტფილისში ვერ იშოვიდა საჭირო წიგნებს და სხვა. მანამ ამ საკითხს ივ. ჯავახიშვილი საბოლოოდ გადასწყვეტდა, მოგვისწრო თებერვლის რევოლუციამ. დაინგრა ცარიზმის ტახტი, დაარსდა დროებითი მთავრობა და მისი კომისარიატი ტფილისში, მოედო ქვეყანას პირველი აღფრთოვანება უკეთესი მომავლის იმედისა, გამოცხადდა დემოკრატიული რესპუბლიკა და ივ. ჯავახიშვილი უკვე შემუშავებული კერძო ქართული უნივერსიტეტის დაარსების გეგმით ჩამოვიდა ტფილისში.

ივანე ჯავახიშვილმა გამაცნო გეგმა კერძო უნივერსიტეტის დაარსებისა. გეგმა მარტივი იყო: უნდა შეგვედგინა საზოგადოება, რომელიც იზრუნებდა სახსარის აღმოსაჩენად, თანხის შესაკრებად. თვით უნივერსიტეტი სწავლა-მეცნიერების და გამგეობის საქმეში სრულიად ავტონომიური იყო. მას განაგებდა პროფესორთა საბჭო. უნდა დაგვეწყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტით (ეხლა პედაგოგიური ფაკულტეტია), რომლისათვის ნიადაგი კარგი ხანია იყო მომზადებული. აუარებელი მასალა იყო შეგროვილი ჩვენს მუზეუმებში. ამ დარგში წინათ საჯარო ლექციები და მოხსენებანიც იმართებოდა. კადრი პროფესორებისა და ლექტორებისა, რომელნიც ცნობილნი იყვნენ უკვე თავისი სამეცნიერო შრომებით, საკმაო იყო. სამეცნიერო ცენტრი პროფესორთათვის ერთხარისხოვანი იყო. სიბრძნის ფაკულტეტს შეძლებისამებრ უნდა მოჰყოლოდა სხვა ფაკულტეტების გახსნაც. უნივერსიტეტს თანდათან უნდა შემოეკრიბა რუსეთში მყოფი ქართველი პროფესორები, პრივატდოცენტები და საპროფესოროდ დატოვებული ახალგაზრდობა. თუ სახსარი ნებას არ მოგვცემდა, პირველ ხანად პროფესორები გასამრჯელოს არ აიღებდნენ.

მოვიწვიეთ პირველი საორგანიზაციო კრება უნივერსიტეტის საზოგადოებისა. ამ კრების თავმჯდომარეობა მე მხვდა წილად, ვინაიდან ივ. ჯავახიშვილი მომხსენებელი იყო და თავმჯდომარეობა არ ინება. კრებას დაესწრო პ. მელიქიშვილიც, მაშინ ტფილისში ჩამოსული იყო. პეტრე ავირჩიეთ საპატიო თავმჯდომარედ კრებისა. კრება აღტაცებით შეხვდა აზრს ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა. წარმოდგენილი გეგმა მოიწონა, აირჩია გამგეობა საუნივერსიტეტო საზოგადოებისა. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა კოტე აბზახი, ყოფილი თავადაზნაურობის წინამძღოლი. მაშინ თავადაზნაურობის წოდება უკვე გაუქმებული იყო და საკითხი იყო აღძრული, თუ ვისთვის უნდა გადაეცათ ქონება თავადაზნაურობისა.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენს თავადაზნაურობას შედარებით დიდი ქონება ჰქონდა. მას ეკუთვნოდა განაწილება საადგილმამულო ბანკის მოგებისა. მას ჰქონდა მრავალი უძრავი ქონება: ქარვასლა თავისი ბაღით, თეატრით და შენობებითურთ, თვით ის შენობა, სადაც სათავადაზნაურო გიმნაზია იყო, რომელშიაც ეხლა უნივერსიტეტი და მუზეუმებია მოთავსებული, და სხვა მამულები. სწორედ მოგახსენოთ, მე დიდი იმედი არ მქონდა, რომ ჩვენი ღარიბი საზოგადოება საკმარის სახსარს მოუპოვებდა უნივერსიტეტს თავის თავზე ხარჯის გაწერით, როგორც განზრახული იყო ქალაქების და სხვა დაწესებულებების ერთხელ გადაჭრილი წლიურის გადასახადით და სხვა. ასეთი ენთუზიაზმის გამო დაპირებული გადასახადის იმედით დიდი არაფერი გამოდიოდა სხვა დროსაც და სხვა საპატიო მიზნებისთვის. ამიტომ ჩემი პირადი აზრი იყო, რომ თავადაზნაურობას გადაეცა მთელი თავისი ქონება უნივერსიტეტისათვის და ეს იქნებოდა მისი საუკეთესო ფონდი. მაგრამ ეს აზრი არ შეიწყნარა ყოფილმა თავადაზნაურთ დეპუტატთა საკრებულომ, რომელსაც უნდა მოეხდინა ლიკვიდაცია ქონებისა. მან ამჯობინა ქონების გადაცემა ქართული ნაციონალური კრებისადმი. სხვათა შორის, ამ გადაცემის საკითხი დაედო საბაზად ნაციონალური კრების მოწვევისა. როგორც ვიცით, ნაციონალური კრება მოწვეულ იქნა და ქონება გადაცემული, ხოლო ერთი დიდი ადგილი წყნეთის ქუჩაზე ჩვენ ვიყიდეთ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის მუზეუმის შენობის ასაგებად იმ ფასში, რა ფასშიაც თვით თავადაზნაურობას ჰქონდა ნაყიდი (ასი ათას მანეთად).

მერმენდელი პოლიტიკური ცვლილებანი ჩვენი ერის ბედისა თქვენ მოგესხენებათ. ნაციონალურ კრებას მოჰყვა ამიერკავკასიის სეიმი, სეიმს – საქართველოს თავისუფალ სახელმწიფოდ გამოცხადება. ჩვენი უნივერსიტეტი, დიდის ამბით და ზეიმით გახსნილი 26 იანვარს 1918 წელს, გამოცხადებულ იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტად. გაიხსნა საბუნებისმეტყველო და სამათემატიკო, სამკურნალო, საეკონომიო და სააგრონომიო ფაკულტეტები და სხვა. პირველ საბჭოს სხდომაზევე 13 იანვარს 1918 წელს პ. მელიქიშვილი არჩეულ იქმნა რექტორად ამ პირველი ქართული სამეცნიერო ტაძრისა. სამართლით ჩვენ უნდა აგვერჩია რექტორად ივ. ჯავახიშვილი, როგორც ამ საქმის ინიციატორი, მისი სულისჩამდგმელი, რომელთანაც სრულის ერთსულობით მხნედ და აღტაცებით დღე და ღამე დაუღალავად მუშაობდა მცირე ჯგუფი ქართველოლოგიაში უკვე კარგად ცნობილი, მაგრამ ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ჯერ ერთი, რომ ახალმა რევოლუციის მიერ წარმოშობილმა დროებითმა მთავრობამაც აღმაცერად შეხედა ამ საქმეს<sup>1</sup>. ადგილობრივი რუსის საზოგადოება და ყოფილი ჩინოვნიკობა მტრულად იყო განწყობილი. რატომ ქართული უნივერსიტეტი და არა საერთო ამიერკავკასიის უნივერსიტეტი, რომელშიაც ყველა ერის ახალგაზრდობას შეუძლია მიიღოს უმაღლესი განათლება რუსულ ენაზე, – ამბობდნენ ისინი, – ქართველებს ხომ არც პროფესორები ჰყავთ, არც მეცნიერული ტერმინოლოგია აქვთ, არც სამეცნიერო წიგნები მოეპოვებათ, და სხვა ამგვარი არგუმენტებით ცდილობდნენ ხელის შეშლას. პეტერბურგის მთავრობამ კიდევ მიიღო პრინციპიალური გადაწყვეტილება ამიერკავკასიის უნივერსიტეტის დაარსებისა, რომ ამით ხელი შეეშალა ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის. ბოლოს, რუსულმა საზოგადოებამ და ყოფილმა ჩინოვნიკებამ უცხოელებზედაც იქონია გავლენა, როდესაც მათი ჯარი შემოვიდა ამიერკავკასიაში, და ისინიც უფრო მომხრე იყვნენ რუსული უნივერსიტეტისა, ვიდრე ქართულის. ამიტომ ჩვენთვის საჭირო იყო უნივერსიტეტის სათავეში მოგვექცია ისეთი კაცი, რომელსაც მტრის თვალშიაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და რომლის წინააღმდეგ აღარაფერის თქმა არ შეეძლოთ. ასეთი კაცი იყო ერთადერთი პ. მელიქიშვილი, დამსახურებული პროფესორი უმნიშვნელესი საბუნებისმეტყველო დარგისა, ქიმიისა, კარგად ცნობილი მთელ რუსეთში, რომელსაც გავლილი ჰქონდა 45 წლის სტაჟი პროფესორობისა, აგრეთვე გამოცდილება დეკანოზისა და რექტორის თანამდებობის აღმსრულებელიც იყო ერთხანად ოდესის უნივერსიტეტში. თვით ივ. ჯავახიშვილმა გადაჭრით უარი თქვა რექტორობაზე და აუცილებლად მიიჩნია პეტრე მელიქიშვილის არჩევა. პეტრე მელიქიშვილი ერთხმად იქმნა არჩეული. აქ დამაბრკოლებელი ერთი გარემოება იყო მხოლოდ, რაზედაც თვით პეტრე აქცევდა ჩვენს ყურადღებას, – რომ ის ნაკლებად იცნობდა ჩვენს საზოგადოებას, არ იყო დახელოვნებული ქართულ ენაში, მაგრამ ამას არ ჰქონდა საიმისო მნიშვნელობა, ვინაიდან ივ. ჯავახიშვილი, სიბრძნის ფაკულტეტის დეკანად არჩეული, გვერდში ედგა მელიქიშვილს და ის აკეთებდა, რაც მელიქიშვილისათვის სამწელო იყო. გადაჭარბებას თუნდ ყოვლად ღირსეული გარდაცვალებულის მოღვაწის დაფასებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ყველას თავისი უნდა მივუსაჯოთ, ამიტომ მე უნდა ვთქვა, რომ თუ გნებავთ, ფაქტიური რექტორი ივ. ჯავახიშვილი იყო. ის იღებდა

<sup>1</sup> ის ვერც ავტოკეფალიის აღდგენას შეურიგდა.

სტუდენტობას, მსმენელებს, საზოგადოების წევრებს, მოსამსახურეთ, მასწავლებელთა და პროფესორთა პერსონალს და სხვა. პეტრე მელიქიშვილიც დატვირთული იყო თავისი შესაფერისი საქმეებით. ის იყო ხელმძღვანელი და მომწივობი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა. მას წილად ხვდა სხვადასხვა ლაბორატორიების ჩაბარება, მათი ერთი ბინიდან მეორეში გადატანა, მათი მოწყობა და ამუშავება, მთავრობასთან და უცხოელების წარმომადგენლებთან სიარული სხვადასხვა უნივერსიტეტის საქმეების გამო და სხვა. საზოგადოდ, უნივერსიტეტის აღმშენებლობის და მოწყობის ხანაში ფუნქციების განაწილება ფორმალური არც ყოფილა. ყველა იმას აკეთებდა, ვისაც რა მოხვდებოდა, ვისაც რის გაკეთება შეეძლო, თუმცა ეს ფორმალურად მისი საქმე არ ყოფილიყო. ვის ურმით თუ ფურგუნით ავეჯი გადმოჰქონდა, ვინ წიგნებს ეზიდებოდა, ვინ აუდიტორიას ამზადებდა, ვინ ლაბორატორიას და კაბინეტებს აწყობდა და სხვა.

მე შემოდლია ვთქვა, რომ უდროოდ გარდაცვალება ახალგაზრდა მეცნიერის იოსებ ყიფშიძისა იყო შედეგი დადლილობისა უნივერსიტეტის საქმეების გამო.

მხცოვანი პეტრე მელიქიშვილი სამშობლოს განთავისუფლებამ და უნივერსიტეტის დაარსებამ თითქოს გაახალგაზრდავა. ჩვენთვის საოცარი იყო, როგორ შერჩა მას, უკვე მოხუცებულს, ასეთი ენერჯია ფიზიკური და ფსიქიკური, საქმიანობა და დაუღალაობა. სოლოლაკის ქუჩიდან ფეხით მიდიოდა უნივერსიტეტში, საქმეები აუარებელი იყო, საბჭოს სხდომები ზოგჯერ ღამის ორს საათამდის გრძელდებოდა. ამის შემდეგ ის ფეხითვე მიდიოდა სახლში, დილას თავის დროზე უნივერსიტეტში იყო. საკვირველი და მასთან სასიამოვნო კიდევ ის იყო ჩვენთვის, რომ კაცი, რომელიც თავისუფლად საუბრობას ძლივს ახერხებდა ქართულს ენაზე, იმდენად დახელოვნდა ამ ენაში, რომ რამოდენიმე თვის შემდეგ ქართულად კითხულობდა ლექციებს. ეს იმის მომასწავებელია, რომ მელიქიშვილი დიდი ნიჭის პატრონი იყო და რასაც ხელს მოჰკიდებდა, ადვილად ითვისებდა. ამიერიდან მან ქართულად დაიწყო თავის გამოკვლევათა წერა და მოხსენებების კითხვა. ქართულს ენაზე პეტრეს აქვს გამოქვეყნებული შემდეგ სტატიები:

ჩვენი სასმელ-საჭმლის ქიმიური შემადგენლობა (ტფილ. უნივ. მოამბე).

ჩვენი ღვინის ქიმიური შემადგენლობა (ტფ. უნივ. მოამბე, I).

ვაზი და ღვინო (იქ. №11).

პასტერი როგორც ქიმიკოსი (საქართველოს სამკურნალოს მოამბე, 1922, №1).

ჩვენებური ყველი (ტფილ. უნივ. მოამბე II.).

ქიმია და ქიმიური მრეწველობა (ჩვენი მეცნიერება, I).

როგორც პროფესორი, მელიქიშვილი სასტიკი იყო. მისი საგნის ზერელებდ შესწავლა და ასე ფონს გასვლა სტუდენტს არ შეეძლო. მას ჯეროვნად, გულმოდგინედ და სიყვარულით უნდა შეესწავლა საგანი. მხოლოდ ასეთი სტუდენტისთვის ის ყველაფერი იყო: მამა, მრჩეველი, ძმა და მეგობარი. მას ჰქონდა უნარი გადაეცა სიყვარული თავისი საგნისადმი თავის მოწაფეებისათვის, რომელთა შორის ზოგიერთები ცნობილი პროფესორები არიან: ზ ე ლ ი ნ ს კ ი მოსკოვის უნივერსიტეტში, პ ე ტ რ ე ნ კ ო ოდესის უნივერსიტეტში, ბ ე ზ რ ე დ კ ო პასტერის ინსტიტუტში პარიზში, კ ი ს ა რ ჟ ე ვ ს კ ი ეკატერინოსლავის სამთომადნო სასწავლებელში.

ერთხელ პეტრემ ნაღვლიანად მითხრა, დღეს გამოცდა მქონდა სტუდენტებისა, ზოგმა ჯეროვნად გამოიჩინა ცოდნა, ზოგი სრულიად მოუშაადებელი აღმოჩნდა,

ერთმა სულ არაფერი არ იცოდა და კიდევ პრეტენზია გააცხადა, რომ საკმაო ნიშანი არ დაუსვია, და ასეთი ლაპარაკი დამიწყო: "ეხლა ისეთი დრო არის, რომ შეღავათით უნდა მოგვეპყრათო; მე დიდად დავბრკოლდები, რომ სემესტრი არ ჩამეთვალოსო". მე ვუთხარი: დიახ, ეხლა ისეთი დროა, რომ ყველა კარგად უნდა აღვიჭურვოთ ცოდნით, თორემ მაგეთი უვიცობით შენ რომ მიდიხარ, სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ-მეთქი.

მელიქიშვილი იყო მედგარი დამცველი უნივერსიტეტის ინტერესებისა და სახელისა. მას ღირსეულად ეჭირა თავი როგორც შინაურების, ისე უცხოელების წინაშე. მან იცოდა, ვისთვის რა პასუხი გაეცა. როდესაც ამერიკის წარმომადგენელმა მიიწვია პეტრე უნივერსიტეტის საქმეების საინფორმაციოდ და მოისმინა მდგომარეობა უნივერსიტეტისა, თურმე შენიშნა: "არ ემჯობინებოდა რუსული უნივერსიტეტი გაგეხსნათ ქართულის მაგიერ, თქვენ ალბათ ქართული ძალების ნაკლებობას განიცდით, მეცნიერება ხომ ინტერნაციონალურია, სულ ერთია, რომელ ენაზედაც შეითვისებთ მეცნიერებასო". პეტრემ უპასუხა: დიახ, მეცნიერება ინტერნაციონალურია და ამიტომაც ყველა ხალხს თავის ენაზე უნდა ჰქონდეს შეთვისებულიო.

პეტრე იყო სპექტაკი ადამიანი, ყოვლად უანგარო, ლმობიერი და თავმდაბალი, სასიამოვნო მოსაუბრე და ფხიზელი გონების პატრონი. ის უნივერსიტეტის საქმეში დიდს მომჭირნეობას იჩენდა. ვინც ოთახს იწუნებდა კაბინეტისათვის და ლაბორატორიისათვის, ის შენიშნავდა ხოლმე, ეხლა კომფორტის და ფუფუნების მოთხოვნას თავი უნდა დავანებოთ, ცოტათი უნდა დავკმაყოფილდეთ, თორემ ნორჩი უნივერსიტეტი ფეხს ვერ აიდგამს, თუ ყველამ დიდი მოთხოვნილება წარუდგინეთო, და მაგალითი მოჰყავდა, რომ ოდესაში 15 წელიწადი ლაბორატორია პატარა ნესტიან სარდაფში გვექონდა მოწყობილიო.

ადამიანი უნაკლო არ არის და პეტრესაც თავისი პატარა ნაკლი ჰქონდა, რომელიც მისი ჩვეულებრივი ცხოვრებით და პროფესიით იყო გამოწვეული. პეტრე უცოლშვილო კაცი იყო, გატაცებული თავისი სპეციალობით და სამეცნიერო მუშაობით, უმეტეს დროს ატარებდა ლაბორატორიაში და კაბინეტში. მას ჰქონდა საქმე მათემატიკურად ჩამოყალიბებულ ფორმულებთან, რომელსაც ვერც ვერაფერს გამოაკლებ და ვერც ვერაფერს მიუმატებ. ამიტომ ის ჩვენებურ გაუთავებელ დისკუსიას და შეხლა-შემოხლას ვერ იტანდა, მოწინააღმდეგის აზრს დამშვიდებით ვერ ისმენდა, მეტადრე თუ ეს აზრი მისი შეხედულებით გულწრფელი არ იყო. ღელავდა და გული ადვილად მოსდიოდა. როდესაც პეტრე თავისი სერთუკის ღილების შესკვნას დაიწყებდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ის ჯავრობდა, ადელვებული იყო და მზად იყო კრება დაეტოვებინა. ერთხელ ერთმა პროფესორმა მაცინა: გუშინ პეტრე გამიჯავრდაო. ფაკულტეტის კრება გვექონდა. კრების ბოლოს ჩვენს მატერიალურ უმწეობაზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, რომ შუამდგომლობა ადვმრათ, ჯამაგირი მოგვიმატონო. პეტრემ თქვა, არ შეიძლება, მთავრობას სახსარი არა აქვს, უნდა ყველამ გავიჭირვოთ, მოვითმინოთ და ნაკლულოვანება ავიტანოთო. მე ხუმრობით ვუპასუხეო: "თქვენ შეგიძლიათ ატანა, რადგან მარტოხელა ხართ და მერმე კიდევ ხანშესული ბრძანდებით. ხანშესული კაცის კუჭი ნელად მუშაობს, მას ცოტა საზრდოც ეყოფა, ჩენი, შუახნის კაცის და ახალგაზრდების კუჭი უფრო სწრაფად მუშაობს და უფრო მეტს საზრდოს თხოულობს. ეს ფიზიოლოგიური კანონია, თქვენც კარგად მოგეხსენება-თქო. გამიჯავრდა პეტრეო. გაწყრა, ადელდა. ეს

რომ შევნიშნე, მივედი: პეტრე, ნუ გამიჯავრდები, გეხუმრე, კარგი ახლა, შევრიგდეთ, ვუთხარიო, მაგრამ შენც არ მომიკვდე, უცებ შეიკრა ღილები, ხმაც არ გამცა და წავიდაო.

იყო ერთი შემთხვევა, უფრო არასასიამოვნო: ერთხელ მას უნივერსიტეტის საპროფესორო ოთახში ერთს თუ ორს კოლეგასთან ლაპარაკი მოსვლოდა, მოთმინებიდან გამოსულიყო და არასაკადრისი სიტყვები ეხმარა. შემდეგ გულმოსულს განეცხადებინა, რომ ის თავს ანებებს რექტორობასაც და პროფესორობასაც უნივერსიტეტში, და წასულიყო. რაში იყო საქმე, არც დღეს ვიცი და არც საინტერესოა, ხოლო როცა ეს ამბავი ივ. ჯავახიშვილმა გადმომცა, მთხოვა წავსულიყავი პეტრესთან და ეს საქმე როგორმე მომეგვარებინა, – თუ მაინცდამაინც რექტორობას თავს დაანებებდა, პროფესორობა განეგრძო. მე ერთი-ორი დღე დავიცადე, რომ პეტრე ცოტა დამშვიდებულიყო. მერე მივედი ბინაზე მასთან. იამა ჩემი მისვლა. თვითონ მიაშბო ყველაფერი ინციდენტის გამო. მე ვუთხარი, მე არ შევდივარ იმის განხილვაში, რაშია საქმე, ან ვინ არის დამნაშავე ამ სამწუხარო ინციდენტისა, მე მხოლოდ ისე, როგორც თქვენი პატივისმცემელი და მეგობარი ივ. ჯავახიშვილი და სხვა ჩვენი ამხანაგები, ვერ შევრიგებვართ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც თქვენ მიგიღიათ მომხდარი ინციდენტის გამო. ვთქვათ, ისინი დანაშაულნი არიან, მაგრამ აქ რა შუაშია უნივერსიტეტი, ან ჩვენ დანარჩენი ასიოდე კაცისაგან შემდგარი უნივერსიტეტის კოლეგია, რომ გვიწყრებით, გვტოვებთ და მიდიხართ-თქო. აქ საჭირო არ არის განვავრძო, რა ველაპარაკე. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩემმა გულწრფელმა ლაპარაკმა მის ნაზ გულზე იქონია გავლენა, ტირილი მოუვიდა, გული ამოესკვნა, ასე რომ იძულებული ვიყავი წყალი მიმეწოდებინა. ძლიერ გულჩვილი ადამიანი აღმოჩნდა. ცხადი იყო, პეტრე თავის თავს უფრო სასტიკ მოთხოვნილებას უყენებდა, ვიდრე სხვას. გრძნობდა, რომ არ უნდა დაეშვა არასაკადრისი სიტყვები, რომელთა შემდეგ მას უხერხულად მიაჩნდა უნივერსიტეტში დარჩენა, კოლეგების რცხვენოდა. ბაასი ჩვენი გაგრძელდა. პეტრე დამშვიდდა, გადამკოცნა, დამეთანხმა, რომ მისი წასვლა უნივერსიტეტს ავნებდა, პროფესორად დარჩენაზე თანხმობა გამოუცხადა, ხოლო რექტორობაზე უარი თქვა. ამის შემდეგაც ისე გულმოდგინედ და მხნედ განაგრძობდა მოღვაწეობას უნივერსიტეტში, როგორც წინათ. რექტორად ივ. ჯავახიშვილი ამოვირჩიეთ. ფაქტიური რექტორი მაინც ხომ ის იყო და ამით არაფერი არ შეცვლილა არსებითად. ამ დროს უნივერსიტეტი უკვე ისე მოღონიერებული იყო, რომ არავითარი საშიშროება არ მოელოდა.

პეტრე იყო დიდად დაინტერესებული ჩვენი მრეწველობის საკითხით. თქვენ მოგეხსენებათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიას მრეწველობის განვითარებაში. გერმანიამ თუ წინ გაუსწრო სხვა ქვეყნებს ომის წინ მრეწველობაში და ტექნიკაში, ეს იყო შედეგი ქიმიის დარგის განვითარებისა და მისი თეორიული მიღწევების პრაქტიკულად გამოყენებისა. პეტრე იყო ჩვენში ამ საკითხში პირველი ავტორიტეტი, მრჩეველი და ხელმძღვანელი ყველასთვის. მას აზრად ჰქონდა სხვადასხვა სამრეწველო ამხანაგობის დაარსება და ზოგი კიდევ დააარსა მგონი. აქ მას დიდი საქმეების მოწყობა შეეძლო, რომ დასცლოდა.

ხანშესული ადამიანი, რასაკვირველია, ყოველდღე უნდა ელოდეს აღსასრულს, – ეს ბუნების კანონია, მაგრამ პეტრეს სიკვდილი მაინც მოულოდნელი იყო. უბრალო შემთხვევითი ჭრილობა გამიზეზებია, როგორც სწერენ, და ამის შედეგი ყოფილა

სიკვდილი. უამისოდ მის საღ ბუნებას კიდევ კარგ ხანს შეეძლო განეგრძო თავისი ნაყოფიერი მუშაობა. ისე, შეიძლება ვთქვათ, რომ პეტრე მელიქიშვილი ბედნიერი კაცი იყო: ბედნიერი იყო იმით, რომ თვალსაჩინო კვალი დასტოვა მეცნიერებაში; ბედნიერი იყო იმით, რომ სიბერეშიც შეინარჩუნა ძალა, ენერჯია და უნარი მუშაობისა, რაც ასე იშვიათია სხვებისათვის; კიდევ უფრო ბედნიერი იყო იმით, რომ მას ბოლოს მაინც წილად ხვდა გამოსდგომოდა თავის საყვარელ სამშობლოს და გამხდარიყო ერთი იმ ბურჯთაგანი, რომელზედაც დაემყარა და გაიფურჩქნა ჩვენი ნორჩი ქართული უნივერსიტეტი.

## სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები

(ნაწილი პირველი)

ქვემოთყვანილი წარწერები შეკრებილია 1894–1900 წლებში. ესენი უნდა დაბეჭდილიყო წერილების რიგში, რომელთა საერთო სახელი იყო «არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი» და რომელნიც იბეჭდებოდნენ ჟურნალ «მოამბეში», მაგრამ 1905 წელს «მოამბე» დაიკეტა და მასალის ბეჭდვა შეწყდა. რაც დაიბეჭდა, ის შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვიდა (იხ. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი პირველი. ტფილისი, 1907). პირველი გვერდის შენიშვნებში ამ წიგნისა ნაჩვენებია, რა უნდა ყოფილიყო მოთავსებული ამ გამოცემაში და ვინ შეგვიწყო ხელი და დახმარება აღმოგვიჩინა ჩვენი სხვადასხვა დროს მოგზაურობის დროს.

შემდეგ ამ მხარეს ჩვენ გავგზავნეთ გვეგების და სურათების გამოსაღებად იმ ძეგლებისა, რომელნიც ჩვენ ნახული გვექონდა, სამოქალაქო ინჟინერი კალგინი, მისი თანაშემწე გ. ებრაელიძე და მხატვარი გრინვესკი. ზოგი ამით შესრულებული გვეგები გამოცემულია ჩვენს არხეოლოგიურ მოგზაურობათა ალბომში, რომელსაც ჩვენმა უნივერსიტეტმა დაარქვა «ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი», შედგენილი პროფ. ექ. თაყაიშვილის მიერ, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1924. იხილე აგრეთვე ჩვენი «კატალოგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენისა», ტფილისი, 1920 გვ. 17–16.

ფოტოგრაფიული სურათები ძეგლებისა მოიპოვება ერმაკოვის კოლექციაში, რომელიც ახლა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას და ტფილისის უნივერსიტეტს ეკუთვნის, ზოგიც, მცირე ნაწილი, როინიშვილის კოლექციაშიც იყო. ფოტოგრაფი როინიშვილი ჩვენი მოგზაურობის დროს შეგვხვდა ბოლნისში.

1852 წელს ამ მხარეში იმოგზაურა ნუმიზმატმა და არქეოლოგმა, პოლკოვნიკმა ბარტოლომეიმ, გადმოიღო წარწერები ესტამპაჟით და გაუგზავნა ბროსეს. ბროსემ გაარჩია და დაბეჭდა *Mélanges Asiatiques*-ში, t. II, p. 264–344. ბარტოლომეის დიდის მასპინძლობით შეხვდა და დაატარა ეს ადგილები დიმიტრი ორბელიანმა.

მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების გამოცემაში ეგრეთწოდებულს მატერიალებში კავკასიის არქეოლოგიისა (ტ. VII, გვ. 63–64) აღ. ხახანაშვილს მოუქცევია სტატია ფიტარეთის მონასტრის შესახებ, მაგრამ აქ არათუ ახალი არაფერი

არ არის, არამედ არსებული ცნობებიც ვერ არის ჯეროვნად გადმოცემული. ახალი მარტო ისაა, რომ ცნობას დართული აქვს მხოლოდ ერთი პატარა სურათი მონასტრისა ერმაკოვის მიერ გადმოღებული.

ეხლახანს ვნახეთ საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტომი III, 1927 წელი, რომელშიაც მოთავსებულია ახალგაზრდა მკვლევარის გ. ჩიტაიას სტატია: "პითარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები", გვ. 110–126. აქ მოყვანილია წარწერები ცხრა სასაფლაოს ქვისა ფიტარეთის მონასტრისა და დართული აქვს ესტამპაჟით გადმოღებული სურათი ერთი საუკეთესო სასაფლაოს წარწერისა, მე-8 მის სტატიაში და მე-9 ჩვენსაში. თავი წარწერა ეკლესიისა მას არ მოჰყავს, მაგრამ ამბობს, რომ მისი წაკითხვა ახალ კონიექტურებს მოითხოვს (ბროსეს წაკითხვასთან შედარებით) და სასურველია იგი გამოიცეს ხელმეორედო. წარწერა მას ესტამპაჟით გადმოუღია და გადაუცია საქართველოს მუზეუმისათვის.

ჩვენთვის ჩიტაიას წერილში ახალია წარწერა მარანისა, 1696 წლისა, რომელშიაც იხსენიება წინამძღვარი იობი (გვ. 118). ეს წარწერა ჩვენ არ შეგვინიშნავს. ჩვენ ვიყავით ფიტარეთში 1896 წელს. გავემგზავრეთ ტანძიდან. ჩვენთან იყვნენ: ჩვენი მასპინძელი გიორგი ორბელიანი, მისი ვეჭილი გიგო შანშიაშვილი, ჩემი თანამოსამსახურე არ. ქუთათელაძე და გ. ორბელიანის მსახური. მანამ მე თავწარწერას ვარჩევდი, ჩემი თანამგზავრნი შეუდგნენ საფლავის ქვების გამოჩენას, რომელნიც დაფარულნი იყვნენ ნეხვით და მტვერით. მათ ოთხი საათი მოანდომეს ქვების გაწმენდას. სულ გამოჩენილ იქმნა 18 სასაფლაო. საფლავის ქვების წარწერები სანახევროდ იყვნენ დაცულნი. უმეტესი მათგანი დაწერილი ყოფილა მარმარილოს ქვებზე და ისე ჩაკერებული სასაფლაოს ლოდებში. ასეთი მარმარილოს რვა ქვა ამოუღიათ და დაუტაციათ; დარჩენილა წარწერები, რომელნიც უბრალო ქვებზე წერებულა. ჩვენ მოვასწარით გარჩევა 9 წარწერისა, მეათე წამოსვლის ხანს შევამჩნიეთ საკურთხეველში და გარჩევა და გადმოწერა ველარ მოვასწარით, გვაგვიანდებოდა – ტანძიის გზა დაკიდული მთით იყო, ტყიანი. საკურთხევლის სასაფლაოს წარწერა არც ჩიტაიას წერილშია. ჩიტაიას წერილის შემდეგ შეგვეძლო სასაფლაოს წარწერები აღარ აგვეწერა. მაგრამ შედარებისას აღმოჩნდა, რომ ჩვენს შემდეგ ზოგი წარწერა კიდევ უფრო დაზიანებულა და სრულიად აღარ იკითხებოდა. შეადარე მაგალითად ჩვენი მე-4 წარწერა, რომელიც მთლად არის აღდგენილი და ჩიტაიას მე-3, სადაც გამოუცნობი რჩება, თუ ვინ მარხია ლოდს ქვეშ. რაც შენახულა, იმაშიაც აქა-იქ მცირე განსხვავება არის წაკითხვაში და ამიტომ მოგვყავს მომავალი მკვლევარისათვის გულდასმით შესამოწმებლად. საჭიროა ამ წარწერების ფოტოგრაფიულად გადაღება.

## ფიტარეთის მონასტრის წარწერები<sup>2</sup>

წარწერების განხილვას ვიწყებთ ფიტარეთის მონასტრიდან, მაგრამ საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ ყველა ქვემოთმოყვანილი წარწერების გარჩევა ბოლნისის სიონის წარწერების დართვით ჩვენ წაკითხული გვაქვს მოხსენების სახით

<sup>2</sup> გეგმა მონასტრისა იხილე ჩვენს ალბომში, სურ. 44. სხვა გეგმები, ფასადები და აკვარელით გადმოღებული მხატვრობანი გრინევსკისა (იხ. ჩვენი კატალოგი ხუროთ მოძღვრებათა გამოფენისა, გვ. 19, № 158–164) დაცულნი არიან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში და საჭიროებენ გამოცემას.



საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე 1920 წელს (სხდომის ოქმი ახლა მე არა მაქვს ხელში). ამას გარდა, აღწერილობა ფიტარეთის მონასტრისა, ტანძრის ეკლესიებისა – თევდორ-წმინდანებისა, ქვეშისა გეგმებით, წარწერებით და ზოგიერთი ფოტოგრაფიული სურათით სხვა სტატიებთან ერთად გაგზავნილი იყო ნ. მართან აკადემიის გამოცემაში დასაბეჭდად, სადაც წინათ იბეჭდებოდა ზოგიერთი ჩვენი სტატიები, მაგრამ დროთა ვითარების გამო არ დაიბეჭდა და ჯერ არც უკან მიგვიღია. აქ მარტო წარწერების გარჩევა გვაქვს მიზნად დასახული.

თავი წარწერა ფიტარეთისა, რომელიც მოგვითხრობს მონასტრის აშენების ამბავს, ამოჭრილია ექვს ქვაზედ შიგნით სამხრეთის კარის ბჭისა, აღმოსავლეთის კედელზედ, თაღის მსგავსი გრეხილიანის ჩუქურთმის ქვეშ. წარწერა იმდენად დაზიანებული არ არის, რამდენადაც შემურვილია მქვარტლით მწყემსების ნანთები ცეცხლისაგან. ასომთავრული ასოები წარწერისა ღრმად არ არიან ამოჭრილი და არც კლასიკური ხანის სილამაზეს მოგვაგონებს. ბარტოლომეის მიერ გადმოღებული წარწერა ალბათ არ სცოდნია თ. ჟორდანიას, რომელსაც წარწერა მოჰყავს (ქრონიკები, II, გვ. 177) იაკიმოვის მიერ გადმოღებული პალეოგრაფიული პირიდან ბევრად უფრო დამახინჯებულად, უფრო მეტის სიტყვების გამოშვებით და შეცდომებით, ვიდრე ბროსეს აქვს. ფოტოგრაფიულ სურათს წარწერისა აქ ვერ ვათავსებთ, ვინაიდან მართან არის გაგზავნილი და მეორე სურათი, რომელიც ხელთა მაქვს, უვარგისია და გამოცემა არა ღირს ერთი-ორი სიტყვის გარდა, რომელიც ფრჩხილებში მოგვყავს. წარწერის აღდგენა შეიძლება ასე:

ქ. სხ ლთა მძისათა და ძისათა და სლისა წისდთა: შწვნითა და მზბთა ყდ წსა ღთს შლის[ა] და წთდთა რნისკნითგნ სთნო ეყვნს ქა ღსა ჩნსა ღდრს ვიქმნ მნდბდთა. ღსდთა, მე ქვთრ ქჯფდსძე ამირეჯიბი თვთ მპყრობლდსა ძლრის მფთ მფსა გისი აღშზბდ ამს მნ სტრსა. და სყდრსა დედის ღის არდვისი ჰრთვს თნრ ჩმსა ლაშრისა და ჳრმლითა მოგბლისა ვიყდენ ტანძიად და თევდრ წნი ჩმთავე ჳრმლთა მონგზბთა სფსდთა. მათვე ღთვ სნტრელთა დიდთა: მფთა [ჩთა] სზნდ შვსწრნ მს ყდ წსა ღთს მშზლსა ფიტრთისსა. სმლცვლდ. მფზსა. მთსა [და ცდსა] ჩისა სლსა. მშობელთა და მძთა შვლთა და მძვლთა ჩმთა და თს არა ვისგნ შეიცვლენ არცარი ვისსა მრთლ აქს ვტყი მწმზბითა: ღდთა და რამნცა გმოაწნეს ანუ ქცევდ იკდროს და ამს მნსტრისა დაკლებდ დიდი დყოს გინა მცირე კრლ იყოს: დაუსზმისა ღთისა. პირთა. მკდრდ და ცცხლი ან.

ამ წარწერაში ასო «დ» იხმარება ასო «ი»-ს მაგიერ იმ შემთხვევაშიც, როდესაც მის წინ სხვა ხმოვანი ასო არ იგულისხმება, მაგალითად: ღდრს (მე-2 სტრ.), მდნდობიდა (მე-3 სტრ.), თვთ მპყრობელდსა (იქვე), საფასდთა (მე-6 სტრ, აქ კიდევ შეიძლება ვიგულისხმოთ სრული ფორმა საფასოდთა), ცოდვილდსა (მე-8 სტრ.), დყოს (მე-10 სტრ.), მკუდარდ (მე-11 სტრ.).

არის შემთხვევა, სადაც უნდა ყოფილიყო დ და ჩვენ ვხედავთ ასო «ი»-ს, მაგალითად: «დაუსზმის» უნდა ყოფილიყო დაუსზ მდს და მაშინ იქნებოდა ჩვეულებრივი ფორმა «დაუსაზამოდსა», ახლა კი იძულებული ვართ წავიკითხოთ «დაუსაზამისა».

ასოები ო და უ წარწერაში გამოხატულნი არიან ერთი და იმავე ასოთი, რომელიც შემდეგი დროის ასომთავრულ «უ»-ს «საზამოდსა», ეხლა კი იძულებული ვართ

წავიკითხოთ «დაუსაბამისა» (მე-11 სტრ.) და «დყოს» (მე-10 გვ.). «ო» და «უ» ერთმანეთისაგან არ განირჩევიან.

ნათესაობით ბრუნვაში სიტყვები ხშირად შეკვეცილი ფორმით არიან წარმოდგენილნი, ვიდრე სრულის: «ღ-თს მშობლის» (მე-2 სტრ.), ღ-თის მშობლისა მაგიერ, «დედის ღმრთის» (მე-4 სტრ.) დედისა ღმრთისა მაგიერ. «ძლიერის» (მე-4 სტრ.) ძლიერისა მაგიერ. ამავე ბრუნვაში სიტყვის მაგიერ «გიორგისა» გვაქვს მეორე ფორმა «გიორგისი» (მე-4 სტრ.).

აღსანიშნავია კიდევ ასო «ვ» ხმარება «უ»-ს მაგიერ კლასიკური დროისა სიტყვაში «ეყვნეს» (მე-2 სტრ.) «ეყუნეს» მაგიერ. ეს მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ შესაძლო იყო სხვა ამგვარ შემთხვევაშიც «ვ» ყოფილიყო «უ»-ს მაგიერ, რომ სიტყვები შემოკლებით არ იყოს გადმოცემული. მაგალითად, ფორმები: «მკვდარი» მკუდარი-ს მაგიერ (მე-11 სტრ.), «აქვს», «აქუს» მაგიერ (მე-9 სტრ.) და სხვა.

შემოკლებული სიტყვა «ქვთრ» ნიშნავს: «ქავთარ»-ს, მაგრამ გადაჭრით ძნელია თქმა «ქჯფდსძე» როგორ უნდა წავიკითხოთ: «ქაჯაფაფაძე» თუ «ქუჯაფაფაძე», ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია ვიგულისხმოთ აქ «ქოტაფას ძე», როგორც თ. ჟორდანიას კითხულობს (ქრნ. II, 177).

«მართალ აქუს» ნახმარია სიტყვების მაგიერ «სიმართლე აქუს».

სიტყვის შემდეგ «რამნცა» (მე-9 სტრ.) გამოშვებულია ჩვეულებრივი «კაცმან».

შემოკლებაში «თვდრ წ-ნი» იგულისხმება «თევდორ-წმიდანი», როგორც ქვემოთ დავინახავთ ასეთი სახელობის ეკლესიის წარწერიდან.

ამ შენიშვნების შემდეგ ჩვენ უქარაგმოდ წარწერას ასე ვკითხულობთ:

«ქ. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისაჲთა,

შეწევნითა და მეოხებითა ყოვლად

წმიდისა ღმრთისა მშობელისა და წმიდათაჲთა, რომელნი

საუკუნითგან სათნო ეყვნეს ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, ღირს

ვიქმენ მინდობითა ღმრთისაჲთა მე ქავთარ ქაჯაფაფაძე\*)

ამირ-ეჯიბი თვთმპყრობელისა, ძლიერის მეფეთ მეფისა გიორგისი,

აღშენებად ამის მონასტრისა და საყდრისა დედის

ღმრთისა. არაჲ ვისი ჰრ

თავს თვნიერ ჩემისა ლაშქრისა და ჯრმლითა მოგებულისა.

ვიყიდენ ტანძიაჲ და თევდორ-წმინდანი ჩემითავე

ჯრმლითა მონაგებითა საფასითა, მათვე ღმრთივ სანატრელთა

დიდთა მეფეთა

[ჩუენთა] საბედნიეროდ. შევსწირენ მას ყოვლად წმიდასა

ღმრთის მშობელსა ფიტარეთისასა სამლოცველოდ

მეფობისა მათისა,

[და ცოდვილისა] ჩემისა სულისა, მშობელთა და ძმათა,

შვილთა და მომავალთა ჩემთათვს.

არავისგან შეიცვალენ, არცარაჲ ვისსა მართალ აქუს, ვიტყვი

მოწმობითა ღმრთისაჲთა. და რამანცა

გამოაჯუნეს, ანუ ქცევად იკადროს და ამის მონასტრის

დაკლებაჲ, დიდი იყოს,

გინა მცირე, კრულ იყოს დაუსაბამისა<sup>3</sup>) ღმრთისა პირითა  
მკუდარი და ცოცხალი. ამინ.»

მეფე გიორგი ამ წარწერისა, როგორც სწორად აქვს განმარტებული ბროსეს, არის  
გიორგი ბრწყინვალე (1318–1346).

ხუთივე შვილი ყაფლანისა მოხსენიებულია ერთ სიგელში 1670 წლისა,  
რომელიც ჩვენ გამოვეცით (იხ. «საქართველოს სიძველენი», ტ. II, გვ. 133). ესენი  
არიან: პაპუნა, ასლან, ვახტანგ, თამაზ და გიორგი. სიგელში ყაფლანი ჯერ კიდევ  
ბარათაშვილის გვარს ატარებს. მისი ქალი როდამ იყო ცოლი ქართლის მეფის  
ვახტანგ მეხუთისა, შაჰ-ნავაზისა («ქართლის ცხოვრება» II, გვ. 308). ჩვენ მიერვე  
გამოცემულს როსტომ მეფის განაჩენში (1634–1658) ყაფლან ბარათაშვილი სახლის  
უხუცესის თანამდებობით არის ცნობილი («საქ. სიძვ.» ტ. II, გვ. 122–124). მას  
ეცილებიან მისივე ნათესავები, მეჯინებით უხუცესი პატა და პაპუნა ბარათაშვილები,  
რომელნიც ამტკიცებენ, რომ ფიტარეთის თავი მონასტერი მათი საერთო სასაფლაო  
არის. ყაფლან აცხადებს, რომ მათ ფიტარეთში ეკუთვნის მარტო ერთი ეკუდერი,  
ხოლო თავ ეკლესიასთან მათ ხელი არა აქვთ. ჩვეულებისამებრ, სამსაჯულომ მეფის  
თავმჯდომარეობით ყაფლანს ფიცი გადაუწყვიტა და ეტყობა ყაფლანს შეუფიცავს  
კიდევ, ვინაიდან ყველა შენახული სასაფლაოები ფიტარეთში ეკუთვნიან ყაფლანის  
შთამომავალთ ორბელიანებს და მათ ცოლებს და არა ბარათაშვილებს. ამას გარდა  
ჩვენ უკვე გამოვარკვიეთ, რომ პაპუნა ბარათაშვილმა თავის სასაფლაოდ აიშენა ახალი  
ეკლესია ამლივიში (იხ. ჩვენი რუსულად დაბეჭდილი «არხეოლოგ. ექსკურსიი», II, 4–  
9). განჩინებიდან სჩანს კიდევ, რომ ფიტარეთის მონასტერს ეკუდედერიც ჰქონდა. აქ  
აღბათ იგულისხმება ის ოთახის მსგავსი შენობა, რომელიც კარის ბჭის მარჯვნივ  
მოჩანს და შემდეგი დროის დანართის შთაბეჭდილებას ახდენს (იხ. გეგმა ჩვენს  
ალბომში, ტაბ. 47).

## ს ა ს ა ფ ლ ა ო ს   ქ ვ ე ბ ი ს   წ ა რ წ ე რ ე ბ ი :

### 1.

ასომთავრულით:

უქარაგმოდ:

1 ქე შე

პატრონი ყაფლან

ქ წბთა: და: შწნთა

ღთა მე ორბელის შვილმა

5 ყაფლან: მეორეთ შვიკე:

მნსტრი: ესე: და ბრს: და:

მთაში: მტრსგან:

გაოჯრბლი:

მკდრი მამული: ჩმი: აღვ

შენე: სფლი: და: და:

ქრისტე შეიწყალე

პატრონი ყაფლან.

ქ წყალობითა და შეწევნითა

ღმრთისათა მე ორბელის შვილმა

ყაფლან მეორეთ შევამკე

მონასტერი ესე და ბარს და

მთაში მტრისაგან გაოჯრებული

მკვიდრი მამული ჩემი აღვა-

შენე, სოფელი და (61). და

ამას გარეთ შენი მამება-

<sup>3</sup> ანუ ქუჯაფაძის ძე. \*\*) ანუ დაუსაბამოსა.

ამს: გ<sup>რ</sup>ეთ: შენი: მამებ  
რა: სფ<sup>ლი</sup>: ი<sup>ზ</sup>: ესე: ყ<sup>ი</sup>:  
დაუტევე: ძეთა: ჩ<sup>თა</sup>:  
ე: და: დავ<sup>მ</sup>კვდრე: ამას  
შ<sup>ნა</sup>: ქ<sup>კს</sup>: ტ<sup>ნთ</sup>: შენ

15 დობა: ყვთ: ჩ<sup>თ</sup>ნ გდბი.  
ქორონიკონი უდრის 1671 წელს.

რა სოფელი ი<sup>ზ</sup> (17). ესე ყოველი  
დაუტევე ძეთა ჩემთა  
ე (ხუთთა) და დავემკვიდრე ამას  
შინა, ქორონიკონსა ტ<sup>ნთ</sup>. შენ-  
დობა ყავთ ჩვენთვინ, გევედრები.

## 2.

### ასომთავრულით:

### უქარაგმოდ:

1 მე: დიდის: ორ  
ბელის: შვილის: ბ<sup>ტონი</sup>  
ს: ყ<sup>ფლ</sup>ნის: უხუცესი: ძე:  
სომხეთის: მო<sup>ავი</sup>: საორბ  
5 ლ<sup>ს</sup> პ<sup>ტრონი</sup>: სბრათიანოს: დ  
იდი: თ<sup>ვდი</sup>: მეფის: გიორგ  
ის: დედის: ძმა: ბ<sup>ტონი</sup>: პა  
პუნა: გ<sup>რ</sup>დვიცლე: და: ძ  
ე: არა: მესვა: არცა: ას  
10 ული: ესოდენის: დიდ  
ების: პ<sup>ტრონი</sup>: ამ: მცირე  
ს: სფ<sup>ლ</sup>ვს: დავემკვიდ  
რე: შეძრვ<sup>დ</sup>: ჳელს: ნ  
უ: მყოფთ: შ<sup>ნ</sup>დობს:  
15 მიბრძნებდეთ: გვ<sup>დ</sup>რ ბი:  
ქ<sup>კ</sup>: ტ<sup>ოზ</sup>.

მე დიდის ორბელიანის  
შვილის ბატონის  
ყაფლანის უხუცესი ძე,  
სომხეთის მოურავი, საორბე-  
ლოს პატრონი, საბარათიანოს დი-  
დიდ თავადი, მეფის გიორგ-  
ის დედის ძმა, ბატონი პა-  
პუნა, გარდავიცვალე და ძე  
არა მესვა, არცა ასუ-  
ლი. ესოდენის დიდე-  
ბის პატრონი ამ მცირეს  
საფლავს დავემკვიდ-  
რე. შეძრვად ჳელს ნუ  
მყოფთ, შენდობას  
მიბრძანებდეთ, გევედრები.  
ქორონიკონს ტ<sup>ოზ</sup>.

ქორონიკონი უდრის 1689 წელს. ამ წარწერის პაპუნა არის წინა წარწერაში მოხსენიებული ყაფლანის უფროსი შვილი. ის მართლა მეფის გიორგის დედის ძმა იყო. მეფე გიორგი მეთერთმეტე ვახტანგ მეხუთის შვილი იყო როდამიდან, პაპუნას დიდან. როდამი გარდაიცვალა 1891 წელს და დამარხულია მცხეთაში (იხ. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. I, გვ. 123, 108)<sup>4</sup>). პაპუნა უშვილო იყო და მან იშვილა თავისი ძმისწული ერასტი, მაგრამ ამან გამოიწვია დიდი უთანხმოება მის ძმებთან შორის. ამიტომ ყაფლანმა მისცა 1684 წ. 17 იანვარს თავის ძმებს მდივან ბეგს ვახტანგს და სარდარს თამაზს საგანგებო სიგელი, რომლითაც ის უარს ამბობს

<sup>4</sup> გ. ჩიტაია წერს, თითქოს როდამი რუსში იყოს დამარხული და წყაროდ თ. ჟორდანიას ქრონიკებს უჩვენებს, მაგრამ ეს შეცდომაა. ეპიტაფია როდამისა ა. ნატროშვილსაც აქვს დაბეჭდილი (იხ. მისი რუსულად დაბეჭ. «სვეტი-ცხოველი», გვ. 319).

თავის მხრით ს ა უ ფ რ ო ს ო ს მიღებაზე მამულიდან და თანახმაა, რომ ძმებმა მამული თანასწორად გაიყონ (იხ. საქართველოს სიძველენი, II, გვ. 96).

**3. ასომთავრულით:**

1	მე დიდის ორბელის: ბტნ ის... ლნის..... ..... .....
5	ლოს: მ..... დიდი..... ვნ..... პატრონი ორბელი . ამა სა მარხოსა: დამდვეს: ესე არს განსასვენებელი ჩი
10	ამ ს: დავემკვიდ: რე: რ: მთნ ვს: ესე მ თ: წლისა: მვიც ვალე: ქკს ტო: და
14	შენდობა: ყვთ გევედრებით.

**4. მხედრულით:**

	[მე პაპუნა] ორბელ[იშვილის მეუ] 1
	ღლე ბანგიჯა [სპ ყოფილი] [მ]ონაზონი ბარბარე: და: [ს]
	ქემოსანი ფებრონია: შენდობას: ჰყოფდეთ: 5
	ჩემ: ცოდვილისათვი ს რათა თქვენცა: მოგეტე
	ვნეს: ცოდვანი: თქვენნი: ამინ: 8
	დაიწერა ქკსა: ტპთ: სეკდენბ რ[ის] იზ: გარდავიცვალე. 10

შენიშ.: ქორონიკონი უდრის 1701 წელს. პაპუნას მეუღლე ბანგიჯასპი მოხსენებულია სიგელში 1684 წლისა (საქ. სიძ. II, გვ. 96. შეადარე ბ-ნი ჩიტაიას ამონაწერს, გვ. 120, სადაც პირველი ნახევარი წარწერისა აღარ იკითხება).

შენ.: ქორონიკონი უდრის 1682 წელს (შეადარე ბ-ნ ჩიტაიას ამონაწერს, გვ. 121, სადაც წარწერა უფრო შემოკლებით იკითხება, ხოლო ქორონიკონი უდრის 1686 წ.). აქ უნდა იყოს დამარხული რომელიმე ან ყაფლანის ან ასლანის შვილი. სახელი ორბელი ვერ მოგვცემს გადამწყვეტ საბუთს, ვინაიდან ის მეტსახელად ერთვის ხშირად. მაგ., მდივან ბეგი ვახტანგი ზოგჯერ ცნობილია მარტო ორბელის სახელით. სახელ ორბელს ატარებენ კიდევ ვახტანგის შვილის შვილი, ერასტის შვილი, და ვახტანგის ძმის გიორგის შვილის შვილი, მაგრამ მათ ეს საფლავი არ უნდა ეკუთვნოდეს. ისინი მე-18 საუკ. ცხოვრობდნენ.

**5. მოსხო ასომთავრულით:**

1	ბაგრატოა ნთა ასული და დიდის ორბელის: ს
5	ძლი სოჯლხნი ს მეუღლე ბტ ონი დრჯნ ამს დვემკ
9	ვიდრე ქკს: ტოა

**6. მხედრულით:**

	ქკს 1
	ტპიდ
	ქ მე ავალი ს შვილის
	ასული და ო 5
	რბელისშვილის: პა ტრონის: პ
	აპუას მეუ
	ღლე ბატ
	ონი ანნა დავემ 10
	მარხე.

შენიშ.: ქორონიკონი უდრის 1683 წელს. აქ მოხსენიებული დარეჯან არის ჩვენი გამოჩენილი ლექსიკოგრაფის სულხან ორბელიანის პირველი მეუღლე. აქ ის თავს იხსენიებს დიდის ორბელის სძლად და ეს იმიტომ, რომ სულხანის მამას მდივანბეგს ვახტანგს ერქვა კიდევ მეტსახელად ორბელი. სულხანის მეორე მეუღლე იყო ათაბაგის ქალი თამარ (საქ. სიძ. II., გვ. 332).

შენიშ.: ქორონიკონი უდრის 1706 წელს. პაპუნა ორბელიშვილი იყო გიორგის შვილი, ყაფლანის ძისა, რომელიც მოხსენიებულია ჩემს გამოცემულს სიგელში 1670, 1679, 1689 და 1692 წლების ქვეშ (საქ. სიძგ. გვ. 256, 258, 259, 252). ჩვენს გამოცემაში (გვ. 252) უკანასკნელი თარიღის მაგიერ შეცდომით ნაჩვენებია 1620 წელი. დედანში გრაფიკული შეცდომა არის: ტპ ქორონიკონის მაგიერ ტპ სწერია, რომელიც ჩვენ მაშინ ტჭ მაგიერი გვეგონა, ვინაიდან ჰ-ს ხმარება ჴ-ს მაგიერ ხშირია მე-17 და მე-18 საუკ. საბუთებში. იხ. ქვემოთ ტანძიის ეკლესიის წარწერა. ამ გასწორებას მიაქცია ყურადღება გ. ჩიტაიამ (საქარ. მუზ. მოამბე, III, გვ. 125).

7.

**მხედრულით:**

1 ქ. რომელმან მიწის	10	ის ასული და ორ
გან შექმნენ და დაჰ		ბელის შვილის ქა
ბადენ კაცნი და მუ		იხოსროს მეუღ
ნვე მიწად მიქცევა უჩ		ლე ლელა ყოფილი: მონაზ
5 ინე აწ მეცა		ონი ელისაბედ და
ბრძანებითა	15	ცქემოსანი ეკატე
შენითა მივიც		რინე შენდობას ი
ვალე სოფლისა ამის		ტყოდეთ ქკ-ს ტქ ღვი
9 გან ამირეჯიბ	18	ნობის თვის ცხრასა.

შენიშვნა: ქორონიკონი უდრის 1702 წელს. ქაიხოსრო უნდა იყოს ასლანის ანუ ასლან-ბეგის შვილი, პაპუნა და ვახტანგ ორბელიანების ძმისწული, შვილის შვილი ყაფლანისა, მოხსენიებულია მრავალ სიგელებში მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისა (საქ. სიძ. II, 133, 96, 430 და სხვა). ჩვენი ამონაწერი განირჩევა ბ-ნ ჩიტაიას ამონაწერისაგან.

8.

**მხედრულით:**

1 ქ. მოიხსენ		მეცხედრე თ
ე უფალო		ინათინ ამ
ორბელის		სამარხს დე
შვილის მოლა	10	მკვიდრა ვინც
5 რეთ უხუცეს		წაიკითხოთ შენ
ქაიხ-სროს თანა	12	დობა ყავთ.

შენიშვნა: აქ მოხსენიებული თინათინი უნდა იყოს მეორე ცოლი იმავე ქაიხოსროსი, ასლანბეგის შვილისა, რომელიც წინა შენიშვნაში მოვიხსენიეთ. სხვა წყაროებიდან თინათინი ჯერ ცნობილი არ არის.

**საუცხოო ასომთავრული  
ხვეულით:**

ესე არს: განსასვენებელი:  
ჩემი: ოკი: ოკე:  
ამს: დავემკვიდრო:  
რ: მთნავს: ესე.

**უქარაგმოდ**

ესე არს განსასვენებელი  
ჩემი უკუნითი უკუნისამდე.  
ამას დავემკვიდრო,  
რამეთუ მთნავს ესე.

ამ ეპიტაფიის თავისებურებას ბევრი გარემოება შეადგენს: პირველად თვით მოწითანო ქვა თავის ღირსებით, სიდიდით, სიმაგრით, ფერით, მოყვანილობით და სილამაზით მეტობს ყველა სხვა დაცულ სასაფლაოს ქვებს, შემდეგ წარწერა ამობურცულის ანუ გამოქანდაკებულის ასომთავრულის დაქსელვით (ხვეულით) შესრულებული ერთობ საუცხოვოა, ბოლოს შინაარსი წარწერისა მარტო ფსალმუნის ტექსტს შეიცავს, მიცვალებულის ვინაობის აღუნიშნავად, ისე როგორც დავით აღმაშენებლის საფლავის ქვაზედ წერია. აქ ვინმე დიდად წარჩინებული ორბელიანი უნდა ემარხოს. ჩვენი მოსაზრებით, ეს უნდა იყოს ყაფლანის შვილი ვახტანგ ორბელი, რომელიც ცნობილია როგორც მდივანბეგი ქართლისა, ტფილისის ქალაქისა, საბარათაშვილოსა, სომხეთისა და თათრისა (საქ. სიძ. II, 137–138). ამას ჰყავდა რვა შვილი, რომელნიც განთქმულნი იყვნენ თავიანთი მოღვაწეობით და მწიგნობრობით. ესენი არიან: სულხან-საბა, ერასტი, ვახუშტი, ყაფლან, ნიკოლოზ, ზაალ, ზურაბ (საქ. სიძ. II, 143). თვით წარწერის ნიმუში უნდა ეკუთვნოდეს ან საბა-სულხანს ან მის ძმას ნიკოლოზ ტფილელს. ესენი იყვნენ განმავითარებელნი უაღრეს ხარისხამდე ასეთი დაქსელილი წერისა. ნიკოლოზმა დაგვიტოვა ნიმუშებიც და ანდერძიც ამგვარი ხელოვნებისა (იხ. ჩემი აღწერა ხელნაწერთა, რუსულ ენაზედ, ტ. II, 411).

**სოფელ ტანძიის ეკლესიების წარწერები**

სოფელი ტანძია, როგორც დავინახეთ, მე-14 საუკ. პირველ ნახევარში უყიდა ფიტარეთის ამშენებელს და შეუწირავს ამ ეკლესიისათვის. მე-17 საუკუნეში ეს სოფელი იყო თავი რეზიდენცია ორბელიანთა ახალი შტოისა. ძველი სასახლე მათი დანგრეული ვნახეთ. გ. ორბელიანმა აიშენა აქ დიდებული სასახლე, რომელიც ჩვენი იქ ყოფნის დროს დამთავრებული იყო.

სოფელ ტანძიაში რამდენიმე ეკლესია მოიპოვება. ერთი მათგანი ორბელიანთ კარის ეკლესია არის გიორგი ორბელიანის სახლის გვერდით. ეს პატარა ოთხკუთხედი უგუმბათო ეკლესია აშენებულია მშვენიერის თლილის ალგეთის ქვისაგან მოწითალოს ფერისა და ისე კარგად არის დაცული, გეგონებათ, გუმბინ აუშენებიათ. სიგრძე აქვს 11 არშინი და 10 ვერშოკი, განი 7 არშინი და 6 ვერშოკი.

საუცხოო ნახელავი დიდრონი ჯვრები ამკობენ ეკლესიას აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრით. სამხრეთის კედელზედ მზის საათი არის ამოჭრილი. აღმოსავლეთის ჯვარს თან ახლავს სიმბოლური ქანდაკებანი ოთხთა მახარობელთა. შესავალი აქვს დასავლეთით და სამხრეთით; სარკმელი სამია, თითო აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. კარები და ფანჯრები შემკობილია ჩუქურთმებით. კარაკინი სამხრეთის კარისა გამშვენებულია ლამაზის ჯვარით, ორის პატარა ლომის ქანდაკებით და ლამაზის ქანდაკოვანის

ასომთავრულით:

ქწ ო ნკზ  
მეოხ ექმენ  
პტრნს ორბელს

უქარაგმოდ:

წმიდაო ნიკოლოზ,  
მეოხ ექმენ  
პატრონს ორბელს.

## ტანძის ეკლესიის სვინაქსარი

უფრო დაწვრილებით ცნობები და თარიღი ამ ეკლესიის აშენებისა მოიპოვება ქალაქში დაწერილს სვინაქსარში დიდის ტანისა, რომელიც წინათ ეკუთვნოდა გ. ორბელიანს. გვერდებზე იმეორება მინაწერი:

«დედოფალთ დედოფალსა თამარს შეუნდნენ ღწ».

ეს თამარი არის გიორგი მეთერთმეტის ცოლი.

ერთი მინაწერი მოგვითხრობს:

ქ კს: ტოა: (=1683).

ქ:⁵) «მე ფრიად ცოდვილმან და ყოველთა ცოდვათაგან შებღალულმან, საქართველოს მოსამართლემან, ქართლისა და კახეთისა ჰელმწიფეთა და მეფეთა დედის ძმამან, დიდის ორბელის შვილის ბატონის ყაფლანის ძემან, მდივანბეგმან ორბელ, აღვაშენე ჩემს სამკვიდროს სასახლესა შინა ტანძიას კარის ეკლესია სახელსა ზაწდისა და დიდებულისა, უბრალოთა სიკვდილისაგან დამხსნელისა, წდისა ნიკოლაოზისა, და შევამკვევი ყლითა წესიერებითა საეკლესიოსა რიგითა, წიგნითა და ხატებითა, შესამოსლითა და მოფენილობითა, და მოვახსენე და შე(ვ)წირე თავად ბარაკლიტონი ერთი, მარხვანი ერთი, სვინაქსარი ესე ერთი, განთვისული სამოციქულო ერთი, განუთვისავი ოთხთავი სახარება ერთი, დავითი ერთი, აპრილი თვე ერთი, ყლდ წდის მეტაფრასი ა, ცოდვილის სულის ჩემისა განსასვენებლად და მეუღლისა ჩემისა არაგვის ერისთავის ზაალის ასულის ბატონის თამარის ცოდვათა შესანდობელად და რვათა ძეთა და სამთა ასულთა წარსამართებელად და სადღეგრძელოდ» (შემდეგ წყევა, ვინც გამოახვას)⁶).

<sup>5</sup> ნიშნებად იხმარება ორ-ორი წერტილი, რომელსაც არ ვიცავთ.

<sup>6</sup> შუად. თ. ჟორდანიას ქრონიკები, II, გვ. 497.



ამრიგად, ეს პატარა, მაგრამ ფრიად კვლავი ეკლესია აუშენებია 1683 წელს მდივანბეგს ორბელს, ყაფლანის ძეს, წმიდის ნიკოლოზის სახელზედ.

## ჟამ-გულანი ვახტანგ ორბელის ბრძანებით გადაწერილი

ამ ორბელის ბრძანებით არის აგრეთვე აღწერილი ერთი ჟამ-გულანი, პატარა ტანისა, ნუსხა-ხუცურით ნაწერი, უთავბოლო, დაშლილი, რომელიც ოძისიდან ჩამოგვიტანეს და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნსაცავს გადავეცით. ხელნაწერი ათი მინიატურით არის შემკობილი და ბოლოს მხედრულად აქვს შემდეგი მინაწერი (ნიშნებად იხმარება ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ, რომელსაც არ ვიცავთ):

ქ: მე ფ დ ცდვილმან პატრონის ყაფლანის  
ძემან ორბელმან აღვაწერინე წა ესე ჟამნი  
და დავახატვინე და შევამკვე ყოვლის ფრით, რაც  
ოდენ ძალ მედვა, სულისა ჩემისა სახსრათ  
და ცოდვათა ჩემთა შესანდობლად, შვილთა ჩემ-  
თა სადღეგრძელოდ და ტკბილთა და  
საყვარელთა და ჩემთვის ტკბილისა და მოწ-  
ყალის თვალთ მომხედავთა პატრონთა  
და მშობელთა ჩემთა: პატრონის ყაფლან-  
ისა და მესხის (?) ამილახორის ქალის პატ-  
რონის თამარის შესანდობლად. მოწყა-  
ლეო და ძვირ უხსენებელო ტკბილო  
და კაცთ მოყვარეო, რომელსა მართალნი  
გიყუარან და ცოდვილსა სწყალობ, შეიწ-  
ყალე სულნი მშობელთა ჩემთანი და  
ჩემიცა ამის ცოდვილისა მისა მათისა ორ-  
ბელის სული დაამკუიდრე მართალ მადიდებე-  
ლთა შენთანა, ამინ. დაიწერა ქ კს ტნი.

ქორონიკონი უდრის 1672 წელს, ვახტანგის მამა ყაფლან 1671 წ. გარდაიცვალა. ეტყობა, დედამისიც ამილახორის ქალი თამარი ამ წელს უკვე გარდაცვალებული ყოფილა.

მეორე ეკლესია ტანძიისა უფრო დიდია, მაგრამ უბრალო ქვით ნაშენი, უგუმბათო, ოთხკუთხედი ჩვეულებრივი რიგისა. ახლა მიყრუებულია. დასავლეთის კარის კარაკინზე ამას მხედრულად აწერია:

ქ. ნებითა  
და შეწევნითა ღ  
თისათა ჩვენ პატრონის  
ყაფლანის შვილმან ბტონმა პაპუნ-  
ამნ და თნამემცხედრემნ ჩვენმა აბაშ-  
ის ქალმა ბტონმა ბნგიჯსპიმ აღვაშე-  
ნე წმიდა ესე ტმარი კარისა ღთის მშობ-  
ლისა სხლზედა ჩვენდა შესნდობლ[ად].

აღმოსავლეთის კედელზედ ამა ეკლესიისა წერია:

ქ.: სამკვიდროთა: ჩვენთა: ტაში-  
რის: და: საორბელოთ: პატრონი: და: მრ-  
ვლისა: დიდებისა: მქონებელი:  
ხუთთა: ძმათა: უფროსი: უძეო:  
ვიქმენით: და: ჯელ: ვყავ-  
ი: ამს: ჩვენთს: სახსაენ-  
ებლად (sic): შენდობა: ბრძენთ:  
გბი: ქკს: ტნიჰ: სრ-  
ულ: იქმნა.

ქორონიკონი ამ წარწერისა უნდა იყოს ტნიჰ. უკანასკნელი ასოს მაგიერ მე-17 საუკუნეში ხშირად ხმარობენ ჰ. თარიღი უდრის 1680 წელს და არა 1670 წელს, როგორც ბროსეს აქვს ნაჩვენები, მის ქორონიკონში ასო ი გამოშვებულია.

ტანძიაში მოიპოვება კიდევ სამი სხვა ეკლესიის ნანგრევები ჩვეულებრივის რიგისა, უგუმბათონი, უბრალო ქვით ნაშენნი, რომელთა კედლებზე წარწერები არ შენახულან.

## მდებარეობა თევდორ-წმინდანის სოფლისა და წარწერები მისი ეკლესიისა

მეორე სოფელი, რომელიც ფიტარეთის აღმშენებელს უყვია და შეუწირავს თავისი მონასტრისათვის, ყოფილა «თევდორ-წმინდანი». ახლა ასეთი სახელის სოფელი სომხეთში არ არსებობს. ის არ იცის არც სახელოვანმა გეოგრაფმა ვახუშტიმ. ქართლში არის სოფელი, «თედო წმიდა გორის ზევით, კარალეთის პირის-პირ, ლიახვის დასავლეთით, რუისის მთის ძირს» (იხ. ვახუშტის გეოგრაფია, ჯანაშვილის გამოცემა, გვ. 109), მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ იგულისხმება ფიტარეთის წარწერაში, სახელიც განირჩევა. აქ მოხსენიებულია «თევდორ-წმინდანი» და არა «თედო-წმიდა». ასეთი სოფელი ყოფილა ბოლნისის ხეობაში. 1894 წელს ზაფხულში ჩვენ გავემგზავრეთ ალბულახიდან (ბელიკლიუჩიდან) ბოლნისის ეკლესიის დასათვალიერებლად. მოხუცმა გრიგოლ შანშიაშვილმა, ფარნაოზ მეფის ძესთან აღზრდილმან, ყოფილმა ცენზორმა, თავისი შვილი ივანე გამოგვაცოლა, რომ მის სოფელში გაგვეთია ღამე და ჩვენთვის გზის მაჩვენებელი კაცი მოეცა ძეგლების დასათვალიერებლად ამ ხეობისა. ჩემთან იყო არ. ქუთათელაძე. ბოლნისის სიონის დათვალიერების შემდეგ მივედით შანშიაშვილის სახლში, ჩატახის ქარხნის მახლობლად. იქ ღამე გავათიეთ, ვნახეთ გრიგოლ შანშიაშვილის ცოლის მიერ განახლებული პატარა ლამაზის თლილის ქვის ეკლესია. მეორე დღეს გზის მაჩვენებლის თანხლებით შევეყვით ბოლნისის ხევს. გზა სულ ტყიანი იყო, ჩატახის-ქარხნის ზემოთ, მარცხნივ გზისა, ტყეში ვნახეთ კარგად დაცული მოდიდო ეკლესია მოლურჯო ქვებით ნაშენი. გზის მაჩვენებელმა გვითხრა, ამის სახელი ლურჯი-მონასტერი არისო. ჩემი შენიშვნები ამ ეკლესიის შესახებ ეხლა ხელთ არა მაქვს. წარწერა არ ჰქონია. შემდეგ გადავლახეთ მთა და ავედით ზემოთ მაღლობ დავაკებაზე, ვნახეთ ნ ა დ ა რ ბ ა ზ ე ვ ი. აქ იყო გვარიანად შენახული დიდი ორსართულიანი ქვის შენობა, დარბაზი, და სხვა არაფერი. ამ დარბაზს მაინცადამაინც დიდი სიძველე არ ეტყობოდა. არ ვიცით, აქ იყო თუ სხვაგან სოფელი დარბაზი, რომელიც როსტომ მეფემ შესწირა მცხეთის სობოროს 1645 წელს, 25 თებერვალს.

შემდეგ გავყევით მთა მთას და მივედით ნასოფლარ ს ა ხ უ ნ დ ა რ შ ი. აქ ვნახეთ ის ეკლესია, რომელზედაც ცნობებს გადმოგვცემს ბარტოლომეი და რომელიც სულ მიწაში იყო დამალული, გარდა დასავლეთის მხრის შესავლისა თავისი მშვენიერის ვეფხის ქანდაკებით და განზრახ გაფუჭებული ძველი მხედრულის წარწერით. ეკლესია მწყემსებს ნახირის სადგომად გადაექციათ. ჩემი შენიშვნები ამის შესახებ ახლა ხელთ არა მაქვს. ეს ეკლესია ღირსია, რომ ექსპედიცია გაიგზავნოს და სპეციალურად გამოიკვლიონ. ქანდაკება ერთობ ლამაზი და მოხდენილი ნახელავია. აქედან საღამოს ჟამს მოვალწიეთ და ჩამოვეშვით ბოლნისის ხეობაში მას შემდეგ, რაც 40 კილომეტრი მაინც გავაკეთეთ იმ დღეს. სწორედ აქ ფერდობზე ვნახეთ საკმაოდ კარგად დაცული თლილი მოწითალო ქვით ნაშენი მოზრდილი უგუმბათო ეკლესია და ნასოფლარი. ამ ეკლესიის წარწერა ბარტოლომეის მიერ გადმოღებული ბროსემ გამოსცა (Mélanges Asiatiques-ში, t. II). ეკლესია ვანქის სახელით არის მოხსენიებული; ნამდვილად კი, «თევდორ-წმინდანი» ანუ «თედო-წმინდანი» რქმევია. ეს სახელი ვერ ამოუკითხავს ბროსეს და კიდევ ბევრი სხვა შეცდომები აქვს გარჩევაში.

შესავლის კარებთან დასავლეთიდან მოიპოვება ასეთი წარწერა ასომთავრულით:

1. ქ.7) სხლითა: ღმთა: მხზითა: წი ღის მშზითა: წსა: თეა: და: ყლთა: წითა: მისთმთა: ესე და
2. წერილი: ჩ ნ თერ: წთა: მღღლთა: და მწირთა: მს ჟა ოდეს ამს ეკლსა ვაშნებდით: მოგცა
3. :პ: დუკტი: გ ბლ: ჩა ბმძმნ: გაუკუეთეთ: დ კნ: ჟმ სა: თ : რავდნიცა ხუცესი: იყოს: ჟა წირვ
4. იდენ: და: ალაპი: გრდაიკდებდეს: სისა: გრდმოყენებსა: მდ ლი მოიჴსნბდეს: ვნ: ესე
5. შეცვ ლს: კრ ლცა არს: პირითა: ღმთა: ან.

## ხატის სოფლის ეკლესიის წარწერები

ხატის სოფელი მდებარეობს ბოლნისის ხეობაში. აქ ქართველების სოფელია მცირე. ეკლესია პატარაა, მაგრამ ძლიერ ლამაზი მოწითალო თლილი ქვით ნაშენი. სიგრძე აქვს ეკლესიას 9 არშინი და 5 ვერშოკი, განი 7 ნახ. არშინი. სარკმელი ორი აქვს: ერთი აღმოსავლეთით, მეორე დასავლეთით კარი აქვს დასავლეთის მხრით და კარს ზემოთ აწერია მხედრულად:

ქ. ზე ადიდოს ღმერთმან მეფეთ მეფე პატრონი შაჰნავაზ და დე-  
დოფალთ დედოფალი პატრონი მარია. ჩვენ თურმანიძე თურმან  
და მეცხედრე ჩვენი ქეთევან ყიზილბაში<sup>8</sup> ვიყვენით. და რო-  
დესაც ბედნიერმან ყენმან წყალობა  
უყო და მეფე როსტომ ქართლს სამეფოდ გამოგზავნა  
ჩვენც წყალობა გვიყო და თან გამოგვტნა და გვიბოძა  
ჩვენი მამული სამკვდრო და ხატის-სოფელი აოხრებული  
დაგვიხდა. ბედნიარის ყ  
ენისა და როსტომ მეფის წყალობითა ისრევ ავაშენეთ და  
ასრე ვა  
თარხნეთ: საქართველოს მეფეთა და მეპატრონეთაგან  
არა ეთხოვ

<sup>7</sup> დედანში «წილ-ქანი» არის.

<sup>8</sup> ბროსე ასწორებს: ყიზილბაშ-ში.

ბ რა არ საური. არ კოდის პური არ სბლხე არ  
კულხი არა  
სახელმწიფო სათხოვარი  
არა ეთხოვ რა ე  
რთის ლშქრნდირობ  
ისგან მეტი: მოვძულდი  
ღ-თსა მე ქეთვან და მოწია ჩ  
ემზედა განგება რისხვა  
ღ-თისა და ამ სოფლით გარდ  
კდა პატრონი ჩემი და შკლი  
ჩემი გედალი. დვრჩი  
უმეოდ. აქა მიცვლა: ავშე  
ნე ყ-დ წმიდის ტაძრი სულ  
სა მისისა საჯსრდ: ეჰა უბ  
იწო ბიწ შეუხებლო რ-ნ  
დიტიე დუტევნელი ქ-ე მე  
უფე ღ-თი ჩვენი შეიწირე  
მცირე მოსრთმეველი ესე  
და ნცლდ მიუგე  
გედლის<sup>9</sup> მოწყ  
ლება შენი დასმინე  
კმა ტკბილი სმეუფო:<sup>10</sup>

შემდეგი ორი წარწერა ხატის სოფლის ეკლესიისა ცნობილი არ არის. ამათში ერთი მოთავსებულია მარჯვნივ დასავლეთის კარისა და იკითხება ასე:

ნიკოლოზ  
უფალო შ-ე  
ქ-ა ტნიე.

ქორონიკონი წარწერისა უდრის 1677 წელს.  
მეორე წარწერა არის სულ დაბლა დასავლეთის კედელზედ:

ქ მოიხსენე უფალო ამისი ოს-  
ტატი ღარიბჯანა ამინ.

ვერცხლის ჯამს ამ ეკლესიისა მხედრულად აწერია:

შენ წმინდის ნიკოლოზისა ტაძარას (sic) შემოგწირე მცირე  
ესე შემოსაწირავი ფეშუმში შესაწევნელად და სამეოხოთ  
მეუღლისა მისა და ასულისა ჩემისა მე მკვევალმან შენმან  
ციცისშვილის ასულმან თინათინ.

ამ ეკლესიის ზემოთ პატარა წმიდის გიორგის ეკლესია არის ქვისა, რომელიც ახლა სომხებს უჭირავს. წარწერა არა აქვს.

<sup>9</sup> ბროსე კითხულობს: მადლის.

<sup>10</sup> შეადარეთ ამას ბროსეს წაკითხული *Mélanges Asiatiques*-ში, t. II, 3, p. 333–334, სადაც იმის გარდა, რომ შემოკლებანი დედნისა გახსნილია, მრავალი შეცდომაა.

როდესაც ბოლნის-ხაჩინიდან მივდიოდით ხატის სოფელში, ბოლნის-ხაჩინს და თათრების სოფელს შუა ჩვენ შეგვხვდა ექვსი ეკლესიის ნანგრევები. ამათში ორი მოდიდოა და სხვები პატარა. ერთი მათგანის გეგმა გადმოღებულია ინჟ. კალგინის მიერ. შემკობილია ქანდაკებებით და სამხრეთით და ჩრდილოეთით ეკუდრები აქვს მიშენებული. ის აწერილი აქვს გ. ჩუბინაშვილს (იხ. ხრისტოანსკი ვოსტ. V).

## წულრულაშენის ეკლესიის წარწერები

ბოლნისის ხეობას ორი დიდებული ნაშთი ამშვენებს ხუროთმოძღვრებისა, ცნობილი ბოლნისის სიონი მეხუთე-მეექვსე საუკუნისა (გეგმები იხ. ჩვენს ალბომში, ტაბ. 41–44), მეორე კეკლუცი გუმბათიანი წულრულაშენის ეკლესია (გეგმები იხ. ჩვენს ალბომში, ტაბ. 45–46). ესე ერთი მეორის ახლო მდებარეობენ ბოლნისი ბარში წყლის პირას, წულრულაშენი მაღალი მთის კალთაზე და თავისი მაღალი გუმბათით დაჰყურებს მთელს ხეობას. წარწერები, ბარტოლომეის მიერ გადაღებული, გაარჩია და გამოსცა ბროსემ (Mélanges Asiatiques-ში, t. II, p. 309-310). წარწერა არაა ჯეროვნად წაკითხული და ამიტომ რა ერქვა ძველად იმ ადგილს, სადაც ეხლა ეკლესია არის, არ ვიცოდით. წარწერები რამდენიმე ყოფილა, მაგრამ ჩვენამდის მოუღწევია ორს. ერთი უკეთ შენახული მოიპოვება დასავლეთის კარის მარჯვნივ კედლის ქვაზე (იხ. ტაბ. I), მეორე დიდად დაზიანებული და ნაკლულოვანი სამხრეთის კარის თავზე (იხ. ტაბ. II). ორივე ასომთავრულით არის წარმოდგენილი. პირველი იკითხება:

- 1 ქ სახლითა ღისათა და მხბთა წისა  
ღის მშბ<sup>1</sup> ღისათა ძლიერებთა წისა  
გის ხ<sup>2</sup> თშბთის ჯრისათა მ<sup>3</sup> ფბსა  
შ<sup>4</sup> ა დიდისა გ<sup>5</sup> ი მფეთა მფისასა
- 5 მიწამ<sup>6</sup> ნ<sup>7</sup> მფბისა მთისამნ არსენის  
ძემნ ჰასან დვიწყე შენ  
ებდ ტძ<sup>8</sup> არსა გო ნზდს მმლ  
სა ჩ<sup>9</sup> მსა: ოწყებითა და გ<sup>10</sup> მოცხადე  
ბითა: ამისვე მთ<sup>11</sup> ვრ მწამისა
- 10 მიერ სად<sup>12</sup> დბლად ღისა.

ამ წარწერაში **ო** და **უ** წარმოდგენილია ერთი და იმავე ნიშნით, შემდეგის დროის ასომთავრულის **ო**-თი (იხ. ტაბ. I), სტრ. 8: «ოწყებითა» (უწყებითა), გ<sup>10</sup> მოცხადებითა (გამოცხადებითა). ფიტარეთის წარწერაში, როგორც ვნახეთ, ორივე ასო **უ**-ნით არის წარმოდგენილი.

**ღ** წესისაებრ არის ყოველთვის ნახმარი და არა **ი**-ს მაგიერ, როგორც ფიტარეთისაში.

სიტყვა გო<sup>12</sup> ნზდს რაკი პატივით არის აღნიშნული, გულისხმობს გოზნზადს და უნდა წავიკითხოთ – **გუნზადს**.

უქარაგმოდ წარწერა იკითხება ასე:

ქ. სახელითა ღმრთისათა და მეოხებითა წმიდისა  
ღმრთის მშობლისათა, ძლიერებითა წმიდისა  
გიორგის ხუთშაბათის ჯუარისათა, მეფობასა  
შინა დიდისა გიორგი მეფეთა მეფისასა,

მიწამან მეფობისა მათისამან, არსენის  
ქემან ჰასან, დავიწყე შენ-  
ებად ტაძარისა გუნზადს, მამულ-  
სა ჩემსა, უწყებითა და გამოცხადე-  
ბითა ამისვე მთავარ მოწამისა  
მიერ, სადიდებელად ღმრთისა.

სამხრეთის კარის თავზე არის მეორე წარწერა, რომელიც ძლიერ დაზიანებულია, აკლია თავში, მარჯვნივ და მარცხნივ, ხუთი სტრიქონიდან, რომელიც ემჩნევა, უკანასკნელი ორი ისე გაფუჭებულია, რომ ასოების მოხაზულობა ახლა ბუნდოვნად მოჩანს, მაგრამ ვინაიდან შენახული სტრიქონები წარმოადგენენ განმეორებას დასავლეთის კედლის წარწერისა, ამიტომ ტექსტის აღდგენა დაახლოებით შეიძლება. პალეოგრაფიულად ეს წარწერა პირველისაგან განსხვავდება და ეტყობა ამომჭრელი წარწერისა სხვა ყოფილა და არა ის, რომელსაც პირველი წარწერა ამოუჭრია. ასოები აქ უფრო მოგრძოა, ა და ი სხვა ასოებში არ არიან მოთავსებული. ამას გარდა, ასოები იწყებიან და თავდებიან ჩაღრმავებული წერტილებით. ამგვარ სისტემას ივ. ჯავახიშვილი «კიდურწერტილოვან დამწერლობას» უწოდებს (იხ. მისი, ქართ. პალეოგრაფია, გვ. 122). ბარტოლომეის დროს ეს წარწერა ცოტა უფრო კარგად ყოფილა დაცული, დასაწყისი ასოები და უკანასკნელი ორი სტრიქონი მის ტაბულაზე უფრო კარგად მოჩანან (Mélanges Asiat. II, pl. IV). ამის დახმარებით წარწერის დაახლოებით აღდგენა შეიძლება:

- 1 შეწ[ევნითა ღმრთისა და წ]ისა [ღმრთ]ის მშობლისათა [ძლიერებითა წმინდისა გ]ის ხთშბთის ჯრისა
- 2 თა] მფ[ბსა შ ა დიდისა გ]ისა მწმნ მფ[ბსა მთისმნ არსენის ქემან ჰ]ასან დავიწყე შენებად ტძრსა
- 3 [გო]უნზადს უწყებითა და გამო]ცხადებითა მისვე მთავარ მოწამისა მი-  
ერ... სა
- 4 [დიდებელად და სალ]ოცველად ღმრთივ გვრგვონსანთა მეფეთა მეფისა  
[გი]სა]...
- 5 ... სა მადლითა და კაცთმოყვარებითა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს [დ]ღმდ ო[კი ო]კე ა[ნ]

## უქარაგმოდ

- 1 შეწ(ევნითა ღმრთისათა და წმინდისა) (ღმრთ)ის მშობლისათა, (ძლიერებითა წმინდისა გიორგის ხუთშაბათის ჯუარისათა),
- 2 მეფო(ბასა შინა დიდისა გიორგის)სა მიწამან მეფობისა მათისამან, არსენის ქემან ჰ(ასან, დავიწყე შენებად ტაძრისა
- 3 (გუნზადს, უწყებითა და გამო) ცხადებითა მისვე მთავარ მოწამისა მიერ... სა-
- 4 (დიდებელად და სალ)ოცველად ღმრთივ გვრგვონსანთა მეფეთა მეფისა (გიორგისა)...
- 5 ... სა მადლითა და კაცთმოყვარებითა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს (დიდებამ უკუნითი უკუნისამდე. ამინ).

ამ წარწერებიდან ირკვევა, რომ იმ ადგილას, სადაც ეხლა წულრულაშენი არის, რქმევია ძველად **გუმზადი**. ეს ყოფილა მამული ჰასან არსენისძისა და მას იქ აუშენებია ხუთშაბათის ჯვარის წმინდის გიორგის სახელობედ ის დიდებული ეკლესია, რომლის ნანგრევებსაც აღტაცებაში მოჰყავს მნახველი. წულრულაშენი ამ ადგილს შემდეგი დროის მეპატრონის ვილაც წულრულას გამო უნდა დარქმეოდეს. ეტყობა ამ

ადგილებში განთქმული ყოფილა ხუთშაბათის ჯვარის წმიდის გიორგის ხატი, რომლის სახელზედ ჰასანს აუგია ეს შესანიშნავი ძეგლი. ალბათ, ხატი წინათ პატარა ეკლესიაში ესვენა.

## დმანისის ეკლესიის წარწერები

დმანისი დიდი ციხე-ქალაქი იყო ბუნებით მოზღუდვილი, ბევრად უფრო დიდი მანძილი ეჭირა, ვიდრე სამშვილდეს. თავი დმანისის ეკლესია სიონური რიგის არის, უგუმბათო, უბრალო ქვით ნაშენი, მაგრამ დიდი და მაღალი. დანამდვილებით მისი აშენების დრო ძნელი გამოსარკვევია, მაგრამ ეჭვს გარეშე ძველ ხანას ეკუთვნის. მას დასავლეთის მხრით ამშვენებს კარის ბჭე გიორგი ბრწყინვალის დროს მიშენებული, გუმბათიანი და, ჩვეულებისამებრ, ამ დროის შენობათა დიდებულად შემკული ჩუქურთმებით (გეგმები იხ. ჩვენს ალბომში, ტაბ. 36, 37, 38). თავი ეკლესიის წარწერა არა სჩანს, ხოლო სამრეკლოს კარზედ ყოფილა ასომთავრული წარწერა დიდის ასოებით ამოჭრილი, მაგრამ გადარჩენილა მხოლოდ ერთი სტრიქონი, რომლის სურათს აქვე ვათავსებთ და რომელიც იკითხება:

... სა დ. სმრვლითა ცდვთ ჩნთ  
(ესე იგი... სა: და სიმრავლითა ცოდვათა ჩვენთა).

რაც შეეხება გიორგი ბრწყინვალის დროს აშენებულ კარიბჭეს, ამის დასავლეთის მთელი ფრონტონი უჭირავს ასომთავრულ წარწერას დიდი და ლამაზი ასოებით შესრულებულს. ასეთი დიდი წარწერა იშვიათია, ის თავისი სიდიდით მოგვაგონებს კათალიკოზის ეპიფანეს წარწერას, ნ. მარის მიერ ამოთხრილს ანისში და მის მიერვე გამოცემულს, მაგრამ სამწუხაროდ ზოგი ქვა ფრონტონისა ჩამონგრეულია და იქვე ყრია, ზოგი ალბათ მიწაშია მოქცეული; რაც დარჩენილია, ხავსით არის მოცული, ამიტომ გარჩევა და აღდგენა წარწერისა ამ პირობებში შეუძლებელია. ჩვენ სულ ცოტა ხანი ვიყავით დმანისში და არავითარი საშუალება არ გვქონდა მაღალი კიბეები გვემოვნა, დარჩენილი ქვები გაგვეწმინდა, ჩამოცვენულნი მოგვენახა და მიწიდან ამოგვეთხარა. ამისთვის საჭიროა განსაკუთრებული ექსპედიცია, წინასწარი მუშაობა, ქვების თავის ადგილზე მოთავსება, გარეცხვა და ფოტოგრაფის საშუალებით გადმოდება. ყველა ამას, ჩვენ იმედი გვაქვს, შეასრულებს ჩვენი უნივერსიტეტი. ის, რაც ბარტოლომეის ტაბულაზეა მოთავსებული (Mélanges Asiat., II, 3, p. pl. IV, V) და ის, რაც ჩვენ ქვემოთ მოგვყავს, სრულიად საკმაო არ არის. აქედან მხოლოდ საზოგადოდ ირკვევა, რომ კარიბჭე გიორგი ბრწყინვალის დროს არის აშენებული:

ქ: სხლითა: ღ: მთა: და მხ: ბთა: წ: სა: ღს მშბლ[თა დამყ]არნ: ღ: ა  
მგ: თა: მგ: ბ: გ: ისი: რ: ღთა: მ: რ: ღ: რს ვი ქმ ნ: მე: მწ: მ: თი... ჭდსი:  
მმი: კ  
აზ ნ პტს: ძე: აღმზბდ: კრ ს ბჭსა: ამის: სდდ ბლ[დ]... [მ]ფბსა: მთ სა: დ  
მსჯსნზლად: ც დვილისა: ს ღსა: ჩ: სა ბიძსა: ჩისა: ანტნს: მშბ ღთა:  
და... სი მთბ...  
ღ: სა: ს: ყრლისათს: ღ: ცსა: მოიკსნნეთ: რ: ა ღ: თქნცა მოგიკსნნეს  
სსფვლსა მისსა. ვინცა: ესე

დაწერილი რდს: მზეზიტა... და შა ლოს კრლცა: არს ღისა: [პირი-  
თა] მკვდ რი: და ცოცხა  
ლი: გ ნოხჯსნლად: და ჩნთმცა ბრლთა: მზღველი არს დღესა: მ ს: გნკთხ-  
ვისსა... ო-:

მფ. ძს. ს ი: თვდსი: მ მფ.

ქვემოთ ამ წარწერისა მეორე დიდი წარწერა უფრო დაზიანებულია და ნაკლებად  
შენახული:

ქ: სახელითა: ღთისათ[ა]: და მეოხებითა ყ  
დ წ მსა ღის: მშობელისათა... წისდ...  
ლი: ღმშნდ: დ დ დმნდსისა: მმ...  
ეკლესიასა: კარის: ბჭე... რსა: შემოსულსა... რმ  
სამრთლდ იქნ ბოდა: უმეყვსოთ ღთრლოთ... ღმით...  
ჩნებად არ მოშლებდეს: ვირე: ოქროსა: სრ: აშენებდეს: თლდთ  
აღდ: სმრთალი: იყო: ეგრე ჩემსა: დმნისისა: მმთვრობში ე...  
და ვნცა: შმდგმდ: ჩემსა: აღუს...  
წყევსამ[ცა] ქუეშე: არს ვით  
ა: ნესტორ  
დ ოროგდ  
ნი: ან.

შიგნით კარიბჭისა თაღის პილონზე ამოჭრილია ოთხსტრიქონიანი  
ასომთავრული წარწერა, რომელიც უცნობია ლიტერატურაში:

ამისა შ ნება: შ-ნა შ წ რა  
აფარნაზ: დრკი და გ კთ  
აღი დღს ჳს შ ბდ ვნც  
დკს კრულ.

#### უ ქ ა რ ა გ მ ო დ:

ამისა შენებასა შინა შემოსწირა  
აფარნაზ დრაჰკანი დ (4), გაუკუეთეთ  
აღაპი დღეს(ა) უფლის შობასა. ვინც  
დააკლოს, კრულ.

დიდი ეკლესიის მახლობლად დმანისში არის პატარა ოთხკუთხედი თლილი  
ქვით ნაშენი ეკლესია, სიგრძით 11 არშინი და 5 ვერშოკი, სიგანით 7 არშინი და 7  
ვერშოკი. სარკმელი აქვს სამი და შესასვლელი ერთი სამხრეთით. საკურთხეველი  
მომადლო აქვს, ტრაპეზის ქვა კედელზეა მიყრდნობილი. იატაკი აგურის ყოფილა,  
მაგრამ აგური აუკრეფიათ. აღმოსავლეთის მხრით ამ ეკლესიის ოთხი ნატეხია  
არაბულის კუფიურის წარწერისა. სამხრეთის კარის ზემოთ მხედრულად აწერია (იხ.  
ტაბ. I, №2):

ქ: შეწევნითა: ღთისათა: მე: ფ დ ცოდე  
ლმან: ბატონის: შვილის: მარიამის: გმდელმან: ისახარ:  
კ დ: განვახლე: დაქცეული: საყდარი: ესე: წ ის მარინისა: ცოდვ  
ათა: ჩ ნთა: შესანდბლად: და: ბატონთა: ჩ ენთა: მოსახსენებლად:  
ქს. ტ ჟ (1702).



## საფლავის ქვების წარწერები დმანისის ეკლესიისა

დმანისის თავი ეკლესია ყოფილა სასაფლაოდ გამოყენებული ბოლო დროის ორბელიანებისათვის. ჩვენ მხოლოდ თორმეტი სასაფლაო გამოვაჩინეთ მტვერისაგან დაფარული, მაგრამ ორი მარმარილოს ქვა თავისი წარწერით უკვე აღარ იყო. წარწერები ნაჩქარევად გადმოვიღეთ, რიგი სტრიქონებისა დაცული არა გვაქვს. შემდეგი უფრო გულდასმით მუშაობა, იმედი გვაქვს, კიდევ აღმოაჩენს საფლავების ქვებს და ჩვენ წარწერებსაც შეავსებს. აქ უფრო მე-18 საუკუნის სასაფლაოებია დაცული. ერთის გარდა (მე-10) ყველას მხედრული წარწერები აქვს.

### 1.

ქ: მე დიდის ორბელიანთაგან: მე  
ზურაბისა: დიმიტრი: მიმცვალა  
ბრძანებამან მეორედ მოქცევსამან  
და დავეფალ სამკვიდრებელსა ამას  
გევედრები მხილველთა შენდობასა  
ყოფდეთ ქკს უვ.

ქორონიკონი უდრის 1718 წელს.

ეს ის დიმიტრი უნდა იყოს, რომელიც მოხსენიებულია ნასყიდობის წიგნში 1740 წლის ქვეშ (ს. კაკაბაძე. საისტ. მოამბე, II, 1924, გვ. 177), როგორც მამა უზბაშ ყაფლანისა, ზაალისა, ბერისა და გიორგისა.

### 2.

ქქს: ტჟზ. თიბათვეს. კზ  
მივიცვალე.  
ქ. ჩვენ დიდის ორბელის ძის  
ყაფლანის გიორგის ძე პაპუ[ა]  
მივიცვალე სამკვიდროსა ამისგან  
დბანის.

ქორონიკონი უდრის 1709 წ.

პაპუა, ძე გიორგისა, ძისა ყაფლანისა ცნობილია სიგელებში 1674, 1679, 1689 წლების ქვეშ (საქ. სიდ. II, გვ. 255, 258, 259, 430). ეს უძეო ყოფილა (ibid., გ. 243).

### 3.

ქ. მე დიდის ორბელიანთაგან  
თამაზ სარდრის ძის ბატონის  
[მზეჭაბუკი?] ძე ფარსადან  
მივიცვალე.

თამაზ სარდალს ექვსი შვილი ჰყავდა: მამუკა, რამაზ, ფირან, მზექაბუკ, ზურაბ და რევაზ. ძნელი სათქმელია, რომლის შვილია ფარსადანი, რომელიც მოწმედ არის ნაჩვენები ერთს სიგელში 1725 წლისა (საქ. სიძ. II, გვ. 330).

4.

აღვესრულე აპრილს კა.  
ქ. ტომობით ორბელიანი  
ძეთაგან ბეგისა ყაფლანის  
შვილის [სულ]ხან აღვესრულე  
ხსენებასა ჩ მსა ფიწ მოსი (?)  
ყვსისთს (?) ღთის (?)

**უქარაგმოდ:**

აღვესრულე აპრილის კა.  
ქ. ტომობით ორბელიანი,  
ძეთაგან ბეგისა, ყაფლანის  
შვილის (ა), [სულ]ხან აღვესრულე.  
ხსენებასა ჩემსა ფიწმოსი (?) [ყოფდეთ]  
[სი]ყვარულისათჳს ღთისა (?)

შეიძლება იყოს ერასტი მდივანბეგის ძე ემიკადასბაში.

5.

ორბელიანთაგან დავითის ძე  
... მდბრე საფლავსა ამას  
აღმომკითხველთა შენდობას  
[გევედრები]  
ქკს უკ.

ქორონიკონი უდრის 1732 წელს.  
ეს უნდა იყოს მდივანბეგის ერასტისშვილის დავითის ძე.

6.

.....  
.....  
.....  
.....

ქკნი ულზ  
... გი მიცვალა.

ქორონიკონი უდრის 1749 წელს.

7.

ქ: მე ორბელიანთაგან ძე მზე-  
ქაბუკის რამაზ ვძე ტაგ-  
რუცსა ამას

ადვესრულე ფებერვალსა...  
ქკს ულ.

ქორონიკონი უდრის 1742 წელს.  
ეს უნდა იყოს თამაზის ძის მზექაბუკის შვილი.

**8.**

სოფლისა ამის ღელვათაგან  
შეიწრებული და უცალო  
ქმნილი მრავალთა ცოდვათა  
ჩემთაგან დასჯილი მე ყაფ-  
ლანის შვილი ორბელი  
მივიცვალე ქს ულბ.

ქორონიკონი უდრის 1744 წელს.  
ეს ორბელი უნდა იყოს მდივანბეგის ერასტის შვილი, ძისა ვახტანგისა,  
რომელიც იხსენიება სიგელში 1717, 1736, 1737 წლ. ქვეშ (სიძ. II, 299, 386, 389).

**9.**

... ლისა ამის მსწრაფლ...  
... რულისგან დაკლებულ...  
... [ლ]უარსაბის(ა) თამარი შ...

.....  
ეს უნდა იყოს ასლან-ბეგის ძის ლუარსაბის ასული. სხვა წყაროებში არ  
იხსენიება.

**10.**

დასავლეთის კარიბჭეში არის სასაფლაო ხუცურის წარწერით:

საჭეთა მპყრბ-ლი  
დიდისა ეკლესიისა დმა-  
ნისისა. ....  
... სამცხე საათაბაგო...  
მიიცვალა ცოდვილი...

რომელი დმანისის ეპისკოპოსია აქ დამარხული, არა სჩანს.

# სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები

ნაწილი მეორე<sup>11</sup>

## I. ქვეში

ქვეში სოფელია მაშავრის ხეობაში, რატევანსა და კაზრეთს შუა, დმანისს ქვემოთ, კიანეთიდან ორი კილომეტრის მანძილზე, ლენინაკანს მიმავალი შარაგზის მარცხნივ.

### 1. ქვეშის ციხე

აქ არის დიდი ვაკე, რომლის შუაგულში განმარტოებით აზიდულია მაღალი, კლდოვან-მწვერვალიანი გორაკი. მისი მწვერვალი მცირედ დავაკებულია და ციხედაა გადაქცეული. ეს ციხე შორიდან არწივის ბუდესა ჰგავს. მისი თვალწარმტაცი სილამაზე აღნიშნული აქვს ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ს ა ც, რომელიც წერს: «ქვეშის ციხე არს მაღალ კლდესა ზედა მდგომი, ჰავითა და თვალთათვის მშვენი». ჩვენი დავალებით, წყლის ფერადებით დახატული სურათი ქვეშის ციხისა ინახებოდა საქ. საისტ.-საეთნოგრ. საზოგადოების მუზეუმში.

ციხეს მისავალი მხოლოდ სამხრეთიდან აქვს.

ციხე XVIII საუკუნის შუახანებში განუახლებიათ და გაუმაგრებიათ ორბელიანებს. შესავალი კლდეშია გვირაბისებურად გამოხვრეტილი. მის თავზე მოჩანს მოგრძო-ოთხკუთხოვანი ბუდე, რომელშიც ჩადგმული ყოფილა მარმარილოს ფიქალი, მხედრულწარწერიანი. იგი გამოულიათ და დაუმტვრევიათ. ნამტვრევები ვიპოვეთ, მოვაგროვეთ და შევინახეთ ციხის პატარა ეკლესიაში. ისინი, რაც შეიძლებოდა, რიგზე დავაწყვეთ და ამოვიკითხეთ გადარჩენილი სიტყვები. წარწერა შვიდპწკარიანი ყოფილა:

1. დწ . . . . . ყებასა ქე`ს აქათ ჩღმზ
2. ამირ სპასპეტ სარდალ მ(ს)აჯულთ უხუცეს მდივანზეგ [ორბელიანმა ქაიხოსრომ]
3. მოიყიდა ადგილი ესე ქვეშის დუშენი (sic) მოზღუდა ციხე და განკაფა კლდე
4. . . . . იხსნა ნებითა თვისითა და ბრძანებითა [თ]ვით მფლობელისა
5. მის სარდა . . . . . რევაზ და შემდგომად მიცვალ. . . .
6. . . . . ნე სრაპალა
7. . . . . ულთ

ამ წარწერის თარიღი და მასში მოხსენებულ პირთა ხარისხების ჩამოთვლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ საუბარია ქაიხოსრო ორბელიანის შესახებ, რომელიც ამირსპასპეტ-სარდალიც იყო და მსაჯულთუხუცესი ანუ

<sup>11</sup> პირველი ნაწილი გამოქვეყნდა 1929 წელს, პარიზში, მეორე ნაწილი დაიბეჭდა თსუ შრომებში, ტ. 43, 1951

მდივანბეგიც<sup>12</sup>. რევაზი იყო მისი შვილი, რომელმაც ერეკლე მეორისაგან მიიღო, ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ, ყველა მისი თანამდებობა. ქაიხოსრო მიიცვალა გზაზე, სპარსეთიდან საქართველოში მომავალი, 1747 წელს<sup>13</sup>, ხოლო რევაზი 1754 წელსაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო<sup>14</sup>.

## 2. ქვეშის ციხის ეკლესია და მისი ნივთები

შიგ ციხეში დგას პატარა ეკლესია, ჩვეულებრივი რიგისა, ოღონდ თლილი ქვით ნაშენი. ციხეცა და ეკლესიაც ჩვენ შემდეგ უნახავს და აღუწერია განსვ. ლ. მუსხელიშვილს<sup>15</sup>. ამიტომ ჩვენ საერთო აღწერილობას აღარ გამოვეყიდეებით და აღვწერთ მხოლოდ ეკლესიაში დაცულ ნივთებს, რომლებიც ჩვენს შემდეგ დაკარგულა.

ა) წმ. ნიკოლოზის დიდი ხატი, მოოქვრილი ვერცხლით შექედილი. ზედა ნაწილზე ჰქონია ძველი წარწერა, რომელიც ახლა სრულიად ამოფხეკილია. ქვედა ნაწილზე აქვს მხედრული წარწერა:

«მღვდელთ მთავართა შს კანონი დ თ ი ვ: სულიერო ნიკოლოზ: მე სახელისა შენისა მოსავი: და ხატისა ამის შენისა სასწაულად მხილველი გიმკობ ვერცხლითა ხატსა ამას შენსა ქვეშს სასვენებელსა: ორბელიანი სარდალი სახლო-უხუცესი დავით: მშობელთა ჩემთა შენ მიერ საოხად და თანამეცხედრის ჩემისა ყოვლისა საქართველოს მეფის ირაკლის ასულის თამარისა: და ჩემად: და ძეთა და ასულთა ჩემთა: საკეთილდღეოდ და მრჩობლსა ცხოვრებასა შინა კეთილად დასაცველად თთვესა მათსა: იგს ქე-ს აქეთ ჩლოვ ქკს უდ. მისხალი რიდ».

ქორონიკონი უდრის 1776 წელს. დავით სარდალი მიიცვალა 1796 წელს, ხოლო მისი მეუღლე თამარი – 1786 წელს.

ბ) წმ. ნიკოლოზის ხატი, უბრალო ლითონით შექედილი. ქვედა ნაწილზე ხატს შემდეგი მხედრული წარწერა აქვს:

«ქ. შენ ზღვათა და ხმელთა სასწაულითა აღმავსებელისა ქვეშის წის ნიკოლოზისას შეგიმკობინე ხატი ეს აღსაზრდელად შვილთა ჩემთა და შესაწევნელად ჩემდა დღესა მას საშინელსა განკითხვისასა წინაშე შენგან ღვაწლ დადებულისა იესო ქრისტესა მე მონამან შენმან ორბელიანმან ასლანმან ჩყივ წელსა ქკს ფდა».

ქორონიკონი უდრის 1816 წელს.

გ) წმ. ნიკოლოზის ხატი, უბრალო. ხატს აქვს მხედრული წარწერა:

«შემოგწირე ხატი ესე წმინდის ნიკოლოზისა მოქედილი სარდლის ივანე ორბელიანის ასულმა კნ(ეინა) სალომემ ჭავჭავაძის ალექსანდრესამ, მეოხად ჩვენ ყოველთათვის».

<sup>12</sup> ქართ. ცხ., II, გვ. 350–397–401.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 413.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 454. სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ ეკლესიაში შენახული ნატეხები წარწერიანი მარმარილოს ფიქალისა შემდეგ დაუტაციათ და ლ. მუსხელიშვილი 1936 წელს უკვე აღარ დახვედრია (იხ. მისი «არქეოლოგიური ექსკურსიები», თბილისი, 1941, გვ. 34–35).

<sup>15</sup> ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბილისი, 1941, გვ. 34–35. სურ. 13 – ციხის ხედი სამხრეთიდან და სურ. 14 – შესავალი გვირაბი მეორე სართულში ასასვლელი კიბითურთ.

დ) მიქაელ მთავარანგელოზის ხატი.

ქვემოთ, ხეზე აქვს მხედრული წარწერა:

«შემოგწირე ხატი ესე ივანე დონდარაშვილის მეუღლემ მართამ სვენეთის (სვენეთის? ე. თ.) საყდარს ესე მთავარ ანგელოზის ხატი საოხად სულისა ჩემისა შვილთა ჩემთა».

ე) სადღესასწაულო, ეტრატისა.

პალიმფსესტია, ნაწერი ნუსხა-ხუცურით, რომელიც ეკუთვნის ხანას არაუგვიანეს XIII–XIV საუკუნეებისა. წიგნს ყდა გაფუჭებული აქვს.

ვ) სადღესასწაულო, ქაღალდზე ნაწერი.

ყდიანია. აქა-იქ გაფუჭებული ადგილები შეკეთებული აქვს. ნაწერია ნუსხა-ხუცურით. ერთ ადგილას ვკითხულობთ:

ღა და სრლსა და სრულ მყოფელსა ყისა კთლისსა გნხლდა წიგნი ესე ბრძანებითა ერისთვის შვილის ეშიკაღაშაშის ზურაბისთა. მრავალმცა არნ წელნი ცხრბისა მისისნი სკნმცა არს ჳსნზა და კხვა მისი ან: თვესა აგვსტოსა: ლა: ქკსა: ტჟთ:

ქორონიკონი უდრის 1711 წელს.

## II. კაზრეთი

სოფელი კაზრეთი ორბელიანებს ეკუთვნოდა. იგი მდ. მაშავრის პირას ძევს, დმანისს ქვემოთ და ქვეშ ზემოთ. მის მიდამოებში მრავლადაა ეკლესიის ნანგრევები და ნასოფლარები.

### 1. სამების ეკლესია

კაზრეთის ხეობაში ყველაზე დიდი ეკლესიაა სამებისა, რომელიც ეტყობა, მონასტერი ყოფილა. იგი ოთხკუთხედიან, მშვენიერი თლილი ქვით ნაგები, მაღალი და ლამაზი<sup>16</sup>. სიგრძე 15,97 მეტრი აქვს, განი – 9,43 მეტრი. თალი დაცულია მხოლოდ საკურთხევლის ნაწილში, დანარჩენი ჩამონგრეულია. დანგრეულია აგრეთვე სამხრეთი კედელი. სხვა ნაწილები საკმაოდ კარგადაა დაცული. შესავალი აქვს დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. ორმაგი სარკმლებია დასავლეთით, ჩრდილოეთით და, ვგონებ, სამხრეთითაც (დანგრეულობისა გამო დანამდვილებით აღარა ჩანს). აღმოსავლეთით კი ერთი დიდი სარკმელია, საკურთხეველში. სამხრეთ კედელში მომრგვალო ნიშია, ხოლო აღმოსავლეთ სარკმელის ორივე მხარეზე – თითო ოთხკუთხედიანი ნიში. საკურთხევლის ჩრდილო კედელში არის დიდი უბე, რომელსაც ჩრდილოეთით აქვს პატარა სარკმელი და სამხრეთ-აღმოსავლეთით პატარა ნიში. უბე აღმოსავლეთით მომრგვალებულია. საზოგადოდ, ეს დიდი უბე კედლის სისქეში შეჭრილი სამკვეთლოს როლს თამაშობს. ჩრდილო მხარეზე

<sup>16</sup> ამ ეკლესიის გეგმა და განაკვეთი იხ. ჩვენს „ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ალბომში“ (თბილისი, 1924, გვ. 39–40).

(აღმოსავლეთიდან თითქმის შუა ნაწილამდე) ეკლესიას აქვს ეკვდერი, რომლის სიგრძე 5,08 მეტრს უდრის, ხოლო განი – 3,64 მეტრს. ამ ეკვდერს დასავლეთით ერთი შესავალი აქვს, ხოლო ჩრდილოეთით – ორი სარკმელი. მის საკურთხეველში ერთი სარკმელია და ორი პატარა ნიში.

ეკლესიის კარ-სარკმლები შემკულია ჩუქურთმებით. დასავლეთ სარკმელთა შორის მშვენიერი ჩუქურთმიანი ჯვარია. სარკმელს მარცხნივ, ქვემოთ გამოქანდაკებულია იესო ქრისტე (წელს ზემოთ), რომელიც ფრთოსან ანგელოზს აძლევს ჯვარს. უფრო ქვემოთ არის ჯაჭვით დაბმული ლომი, ხოლო მარჯვნივ – ხელაპყრობილი კაცი. ამავე დასავლეთ ფასადზე, სულ მაღლა, როგორც მახსოვს, იყო გრეხილოვანი მხედრული მონოგრამა, რომელშიც, ვგონებ, სახელი „ავთანდილი“ იკითხებოდა (ცალკე ქაღალდზე მქონდა ამოწერილი და ის ქაღალდი ვეღარ ვიპოვე). ლავგარდანი გრეხილოვანია.

შიგნით ეკლესია სულ მოხატული ყოფილა. ახლა კი ნახატები შენახულია მხოლოდ საკურთხეველში. თავით ფეხამდე გამოხატულ წმინდანთა ვინაობას გვამცნობს ასომთავრული წარწერები: «წ-დ დიონისი», «წ-დ კვირიკე», «წ-დ ილია», «წ-დ გბლი», «წ-დ მიქელ». საკურთხეველის სარკმლის კედლებზე გამოხატულია წმ. კოზმანი და წმ. დამიანე. წმინდანებს ხელში უჭირავთ გრაგნილები, რომლებზედაც მათი საგალობლებია წარწერილი ხუცურად.

თავის დროზე შიგნით კედელზე ისტორიული ფრესკული წარწერაც ყოფილა. ახლა იგი მოშლილია, მაგრამ, საბედნიეროდ, 1846 წელს გადმოუწერია ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს და ეს ასლი მის ნაწერებში ვიპოვეთ. მის მიხედვით, ფრესკაზე შემდეგი წერებულა:

«მოიხსენე უფალო წიაღსა შა ცხოვრებასა ბატონიშვილი ბოვანელი (sic) მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ წმინდასა ამას მონასტერსა...<sup>17</sup> ჩემის მამის და დედის ბატონის ელენეს შესანდობლად და ჩემის ცოდვილის თავის მოსახსენებლად. ვინცა ამა მონასტერსა შიგან ჟამსა შეხვიდეთ<sup>18</sup>, შენდობას ეტყოდეთ ღთის მიმართ – ქკს ტნი»...

სხვა წაშლილიაო, შენიშნავს ალ. ორბელიანი.

ქორონიკონი უდრის 1672 წ. ეტყობა, ამ წელს მოუხატვინებია ეკლესია ბოლნელ ეპისკოპოსს ნიკოლოზს.

ეკლესიის ჩრდილოეთით მრავალი ნასახლარია. მათ შორის უდიდესია გრძელი, ოთხკუთხედი, ორსართულიანი ქვის შენობა, რომელიც ჩანს, ბერების საცხოვრებელი და სასაბუღალტრო ანუ საოსტიგნე ყოფილა. მისი სიგრძე 20,62 მეტრს უდრის, განი – 7,82 მეტრს. შენობა სანახევროდ დანგრეულია.

ამ დიდი ეკლესია-მონასტრის აშენების თარიღი არსად ჩანს, მაგრამ ჩვენი აზრით, ის აგებული უნდა იყოს XVII საუკუნის მეორე ნახევარში. შეიძლება, იგი ააშენა იმავე ნიკოლოზ ბოლნელმა ეპისკოპოსმა, რომელსაც მისი კედლები მოუხატვინებია და რომელიც კარგადაა ცნობილი ბოლნისის ტაძრის სამრეკლოს წარწერის მიხედვით<sup>19</sup>.

<sup>17</sup> ამის შემდეგ რამდენიმე სიტყვა აკლია. ეტყობა, ისინი ან დაცული არ ყოფილა, ან ალ. ორბელიანს ვერ გაურჩევია, თუ გამორჩენია.

<sup>18</sup> უნდა იყოს: «ჟამსა წირვიდეთ».

<sup>19</sup> იხ. Г. Ч у б и н а ш в и л и, Болниси. Тбилиси, 1940, с. 76.

## 2. სათხის ეკლესია

კაზრეთისავე ხეობაში, სოფლის სამხრეთით, მისგან ცოტა მოშორებით, მთის მირას, დაბურულ ტყეში დგას მოდიდო, უგუმბათო ეკლესია, ლამაზი თლილი ქვით ნაშენი. ახლა ამ ეკლესიას „სათხეს“ უწოდებენ. ეს იმიტომაც, ამიხსნა ევგენი ქობულაშვილის მოურავმა კაზრეთში, რომ იქ ხშირად ჩამოდიან და თავს იფარავენ გარეული თხებით (ამგვარივე ახსნა ალ. ორბელიანსაც მოეპოვება). ეკლესიის გარშემო ნასოფლარია.

ეკლესიას კარები აქვს დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. ყოველ კარებს შევყავართ დაბალ ეკვდრებში, ისე რომ ჩრდილოეთით და სამხრეთით მთელ სიგრძეზე ეკვდერია. ეკვდრებია აგრეთვე დასავლეთით, მთელი ეკლესიისა და სამხრეთი ეკვდრის სიგანეზე მიშენებული. ყველა თალი – როგორც მთავარი ეკლესიისა, ისე ეკვდრებისა – ჩამონგრეულია. თალი შერჩენილია მხოლოდ საკურთხეველში. დასავლეთი ეკვდერი ქვის კედლით, უკაროდ გაყოფილია ორ ნაწილად. ასევე გაყოფილია ჩრდილო ეკვდერიც. მის დასავლეთ ნაწილს კარი დასავლეთითა აქვს, სარკმელი – ჩრდილოეთით. მთავარ ეკლესიას ოთხი სარკმელი აქვს: თითო აღმოსავლეთით და დასავლეთით, და ორიც – სამხრეთით. ეკვდერთა სახურავი, რასაკვირველია, სარკმლებს ქვემოთ იწყება. ეკლესიისა და ეკვდერთა სარკმლები შემკულია ლამაზი ჩუქურთმებით. ყველა ეკვდერი თანამედროვეა მთავარი ეკლესიისა და მხოლოდ ჩრდილო ეკვდერი განუახლებიათ შემდგომ ხანაში. ეკლესიის საკურთხეველში, მარჯვენა და მარცხენა კედლებში, ღრმა და მაღალი უბეებია. მათში შესავალი მომაღლოა და მოჩუქურთმებული. ეს უბეები სენებს ანუ სენაკებს მოგვაგონებს და თითქოს სამკვეთლოსა და სადიაკვნეს მაგივრობას ეწევა. ჩრდილო ეკვდრის კედელში დატანებულია ჩუქურთმიანი ქვა, რომელზედაც გამოხატულია ჩუქურთმოდან რგოლში მოქცეული ჯვარი. ვაზის მტევნებისა და სხვა სახეებით დამშვენებული ქვები სხვა კედლებშიც მოიპოვება.

ეკლესია მოხატული ყოფილა კარგი ნახელავი ფრესკებით, რომელთა ნაშთები, ასომთავრული წარწერებითურთ, დარჩენილია საკურთხეველში. აქ წარმოდგენილი არიან: «წ-მ პ-ე», «წ-მ მ-თე», «წ-მ მარკოზ», «წ-მ ი-ე». ამათ ქვემოთ არიან: «წ-მ ნკ-ზ», «წ-მ ათანასე», «წ-მ ეგნატე». დასავლეთი ეკვდრის სამხრეთ ნაწილში, კედელზე ძლივს-და გაირჩევა ორი სურათი, – მამაკაცისა და დედაკაცისა. ესენი მაშენებელნი უნდა იყვნენ.

სათხის ეკლესიის გეგმა ჩვენს დროს არ იყო გამოხატული. თუმცა იგი შეტანილი გვექონდა იმ ძეგლთა სიაში, რომელთა გეგმები უნდა გადმოეღოთ საამისოდ სომხეთში ჩვენს მიერ მივლინებულთ, ინჟ. ა. კ ა ლ გ ი ნ ს და მის თანაშემწეებს. ამ უკანასკნელთ მისთვის ვერ მიუგნიათ, როგორც მათვე გადმომცეს.

სათხის ეკლესიის წარწერები პირველად გადმოიღო ცნობილმა ნუმისმატმა ბარტოლომეიმ და აკად. ბროსეს მიაწოდა. ბ რ ო ს ე მ გაარჩია წარწერები და გამოსცა ისინი 1864 წელს *Mélanges Asiatiques*-ში<sup>20</sup>. გამოცემაში ბევრი შეცდომაა.

<sup>20</sup> T. II. Livraison 3, pp. 326, 327; pl. V.



## სათხის ეკლესიის წარწერები

სათხის ეკლესიის ყველა წარწერა ასომთავრულითაა ამოჭრილი, გარდა ერთი არასრული წარწერის – ჩრდილო ეკვდრის აღმოსავლეთ მხარეს, – რომელიც მოგვითხრობს XVII საუკუნეში ამ ეკვდრის განახლებას.

I. აღმოსავლეთ სარკმელს ზემოთ აწერია:

«ქ ე შე მ ქლ ც ი ბწტი, ან».

«ქრისტე, შეიწყალე მიქელ ცოდვილი ბაწატი<sup>21</sup>, ამინ».

II. დასავლეთ კარს ზემოთ:

«ქ ე შე მ ნდ შნი თვძმ ე შვლნი მსნი ან»<sup>22</sup>.

«ქრისტე, შეიწყალე მონაა შენი თავძამე ე (=ხუთნი) შვილნი მისნი, ამინ».

III. ამ წარწერის ქვემოთ არის ერთი წარწერა, რომელსაც ბ რ ო ს ე ასე კითხულობს: – Chtaché Mrtara (sic! ე. თ.).

IV. სამხრეთ სარკმელს ზემოთ:

«ქ ე შე ივ ნე ნიკ ოზ იე და შნი მნი ან»<sup>23</sup>.

«ქრისტე, შეიწყალე იოვანე, ნიკოლოზ, იესე<sup>24</sup> და შვილნი მისნი, ამინ».

V. ამ წარწერის აღმოსავლეთით:

«ქ ე შე იე გ ი».

«ქრისტე, შეიწყალე იესე (ან იოვანე), გიორგი».

VI. სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხისაკენ, მაღლა:

«ქ ე შე კე გალატოზი, ან»<sup>25</sup>.

«ქრისტე, შეიწყალე კვირიკე (ან კონსტანტინე) გალატოზი, ამინ».

VII. დასავლეთ კარს ზემოთაც ყოფილა წარწერა, მაგრამ წაბღალულა და გადარჩენილა მხოლოდ სამი ასო «ვ თ ვ».

ყველა ეს წარწერა ეკლესიის აშენების თანამედროვეა, მაგრამ მათში არაა აღნიშნული არც ერთი ისტორიულად ცნობილი პირი და უნდა ვიფიქროთ, როგორც მართებულად შენიშნავს ბ რ ო ს ე ც (გვ. 328), რომ წარწერები იხსენიებს მუშებს (ჩვენ ვიტყვით, გალატოზებს ანუ კალატოზებს), რომელთაც უშენებიათ ეკლესია. მათში, ქართველებს გარდა, სომხებიც ყოფილან.

<sup>21</sup> ახმოვანება ამ სიტყვისა, ისევე როგორც სხვა ამგვარადვე შემოკლებული სიტყვებისა, რომელნიც არ შეიცავენ, ჩვეულებრივ, საკუთარ სახელებს, სავარაუდოა. ბ რ ო ს ე კითხულობს: «ბწტი» ან «ბწცი»-ო.

<sup>22</sup> ბ რ ო ს ე კითხულობს: «ქ ე შე მ ნდ თვ ძმა ე შვლნ მსნი ან».

<sup>23</sup> ბ რ ო ს ე ს გამოცემაში ეს წარწერა სრულიად არ არის.

<sup>24</sup> «ი ე» ქართულ ეპიგრაფიკაში «იოვანე»-საც ნიშნავს, მაგრამ ვინაიდან ეს სახელი იმავე პწკარში წერია «ივ ნე», აქ «იესე» უნდა ვიგულისხმოთ.

<sup>25</sup> ბ რ ო ს ე კითხულობს: «ქ ე შე გალატოდია ანა»<sup>15</sup>.

VIII. ჩრდილო ეკვდრის აღმოსავლეთ კედელზე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არის ნაკლოვანი მხედრული წარწერა, რომელიც ბ რ ო ს ე ს სრულიად არ მოჰყავს. მასში იკითხება:

«ქ. ჩვენ: ზურაბის შვილმან  
ძემან პტრონი . . . . . შ . . . . . შესმა:  
პტრონმა: ზურაბ: მეორედ:  
აღვშენე სა . . . . .  
(ამას იქით ორი წარწერიანი ქვა აკლია. ე. თ.)  
. . . . . იკითხოთ: შენდობა ბძნეთ.  
დაიწერა აპრილის ა ქ კ ს ტნ».

ქორონიკონი უდრის 1662 წელს. მაგრამ აქ შეიძლება შეცდომა იყოს, ვინაიდან ზურაბიშვილები შთამომავლები იყვნენ ყაფლან ბარათაშვილ-ორბელიანისა, რომელსაც სამი შვილიშვილი ჰყავდა, ზურაბად წოდებული: თამაზ სარდლის შვილი, გიორგის შვილი და ვახტანგის შვილი. ეს უკანასკნელნი კი XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის თაობას შეადგენენ.

### სათხის ეკლესიის კანკელი და მისი წარწერა

სათხის ეკლესიის კარ-სარკმლები ლამაზი ქანდაკოვანი ჩუქურთმებითაა შემკული, მაგრამ მის მთავარ სამკაულს წარმოადგენს ძველებური, ხატოვანი კანკელი.

სათხეში პირველად ვიყავით 1896 წელს, როდესაც შევამოწმეთ და გადმოვიღეთ წარწერები. მაშინ ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე კანკელის ნანგრევებმა, რომ გადავწყვიტეთ, გადარჩენილი ნაწილები თბილისში ჩამოგვეზიდა. ეს შევიძელით მხოლოდ 1900 წელს, როდესაც გავემგზავრეთ კაზრეთში და თან საამისოდ დამხმარე წავიყვანეთ – სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსამსახურე მეტრეველი, მხნე და შეგნებული ადამიანი. პირველ დღეს კაზრეთში მივედით და ღამე გავათიეთ. მეორე დღეს სათხეში გავემგზავრეთ. ამინდი ცუდი დაგვესწრო, წვიმდა, მაგრამ მაინც შევუდექით მუშაობას. კანკელს ირგვლივ მიწა სულ შემოვუთხარეთ მოვაროვით კანკელის ყველა ქვა და მისი წარწერის ცალკეული ნაკლული ნაშთები. ტყეში საურმე გზა არ იყო და ამიტომ კაზრეთამდე ქვები მარხილებით მოვათრიეთ, ხოლო შემდეგ თბილისში ურმებით ჩამოვზიდეთ. ურმებს თვით მეტრეველი გამოჰყვა. ყველაფერი უზადოდ ჩამოვიდა თბილისში და წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმს გადაეცა. ჩვენში ეს პირველი შემთხვევა იყო ამგვარი ძეგლის მუზეუმში ჩამოტანისა. ახლა სათხის კანკელი ქართული ხელოვნების მუზეუმში, «მეტეხში» ინახება, შეძლებისამებრ აღდგენილი პირვანდელი სახით.

ეს ხატოვანი კანკელი ფრიად საყურადღებო ძეგლია. იგი ერთადერთი ძველი რიგის კანკელია, რომელსაც ჩვენამდე ასე თუ ისე მთლიანად მოუღწევია და რომელიც სრულ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ რა მოყვანილობა და სახე ჰქონიათ ამგვარ კანკელებს თავის დროზე. იგი წარმოადგენს ხუთ გაშლილ კამარას, რომელნიც ექვს ლამაზად მოჩუქურთმებულ სვეტზეა დაყრდნობილი. შუა კამარა მთლად, თავიდან ბოლომდე გაშლილი და საკურთხეველში აღმოსავალ კარს შეიცავს.

სხვა ასეთი კარი ამგვარ კანკელებს ძველად არ ჰქონიათ. ოთხი დანარჩენი კამარა – ორი მარცხნივ და ორიც მარჯვნივ – მხოლოდ ორ-ორი მესამედითაა ღია. თითოეულ მათგანს ქვემოთ უდევს დიდი ოთხკუთხოვანი მოჩუქურთმებული ქვა, რომელზედაც შუაში ხატოვანი რელიეფია გამოყვანილი. მარჯვენა პირველ ქვაზე, ლამაზად შემკულ ოთხკუთხედში, წარმოდგენილია ერთობ მოხდენილი ფიგურა წმ. გიორგისა, რომელიც შუბით გმირავს დიოკლეტიანეს<sup>26</sup>. სამწუხაროდ, ცხენის უკანა ნაწილი, ფეხებითურთ, მოტეხილია. მარჯვენა მეორე ქვაზე, ლამაზად ნახელავ ოთხკუთხედში, გამოხატულია ჩუქურთმოვანი ჯვარი. აღსავალ კარს მარცხნივ, ჩუქურთმებით დამშვენებულ დიდ ქვაზე, შუაში, შემკულ ოთხკუთხედში წარმოდგენილია აგრეთვე ცხენოსანი წმ. გიორგი, რომელიც გველს გმირავს შუბით. ფიგურა ერთობ შნოიანია და უზადოდ არის დაცული. ამის მომდევნო ჩუქურთმიან ქვაზე, მარცხნივ, შემკულ ოთხკუთხედში წარმოდგენილი გამოსახულება სრულიად მოშლილია და არა ჩანს, აქაც ჯვარი იყო გამოხატული თუ სხვა რამ. ამ დიდ ქვას აკლია აგრეთვე ჩუქურთმოვანი სამკაული ქვემოთ მარცხნივ და ზემოთ მარჯვნივ.

კანკელის ჩუქურთმიან ლავგანდარზე ყოფილა ასომთავრული წარწერა. ლავგარდანის ქვები ბარტოლომეის დროსაც კი დაშლილ-დამტვრეული ყოფილა და მას მხოლოდ ცხრა ნატეხი უნახავს. ჩვენმა გათხრამ ამას მიუმატა ორი – მეორე და მეთერთმეტე – ნატეხი, მაგრამ წარწერას მაინც აკლია თავი და ცოტაოდენი ბოლოშიც. წარწერის თავი აზრითაც ადვილი აღსადგენია. შესაძლოა, მომავალმა უფრო გულმოდგინე გათხრამ ეს ნატეხებიცა და სხვა წარწერებიც გამოაჩინოს<sup>27</sup>.

ბროსეს გამოცემული აქვს ბარტოლომეის მიერ გადმოღებული ფაქსიმილე კანკელის წარწერისა (იხ. დასურათებული გამოცემის V ტაბულა), მაგრამ წარწერიანი ქვების რიგი არეულია და აზრის მიმდევრობას არ ეგუება. ზოგი ადვილი სწორად არ გადმოუღია თვით ბარტოლომეის და ამიტომ ბროსეს წაკითხვაც მცდარია. სამწუხაროდ, ბროსეს არ გამოუცია სათხის სხვა წარწერათა ფაქსიმილეები და ამის გამო არ ვიცით, ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული შეცდომები ბროსესი. მისი ბრალია, თუ ცუდად გადმოღებული დედნებისა? ორივე კი დასაშვებია...

ამ წერილს ვურთავ 5 ფოტოსურათს მთელი წარწერისას, რომლებზედაც მოჩანს აგრეთვე ვარდულები და სხვა სამკაულები კანკელის ზედა ნაწილისა. ციფრები აღნიშნავენ წარწერიანი ქვების რიგს. აზრით მიმატებული სიტყვები და ასოები კუთხოვან ფრჩხილებშია მოქცეული.

წარწერა ასე იკითხება:

[სხლთა: ღა: მ მსა: და: ძი]

1. სა: და ს ილსა<sup>28</sup> წ მთა და შ წვნი

2. თა ყ დ წ ისა ღ ის მშ ბლისმთა და

<sup>26</sup> ამ რიგის ხატები ბევრია სვანეთში და მათზე გამოხატულ გვირგვინოსან მეფეს, რომელსაც წმ. გიორგი გმირავს, აწერია: «დეოკლიტიანე, მეფე უსჯულო». იხ. ჩვენი „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში“, გვ. 9–37.

<sup>27</sup> ამ გარემოებაზე მივაპყრობ ყურადღებას ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციისას, რომელიც, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს ხელმძღვანელობით, მესამე წელია, ნაყოფიერ გეგმაშეწონილ მუშაობას ეწევა. ამავე დანიშნულების მცირე გათხრას მოითხოვს თითქმის ყოველი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ძეგლი ქვემო ქართლისა, რომელთა წარწერებიც კი ნაკლულადაა შემონახული.

<sup>28</sup> უნდა ყოფილიყო: «ს ღ ისა».

3. წსა კსითა
4. მე გლხკი: იე: მ: ღირს მყო ღნ და აღვმნნე კ
5. კლნი ესე
6. დაამყრნ ღნ: მ ფთა: მ ფისა
7. გისტს და სკსრდ ფდ ცვლი
8. სა სისა ჩისა მოი
9. კსნე ო-ო
10. [ღ] ო სლი მმ
11. [სა ინესი] . . .

ქარაგმებს ჩვენ ასე ვხსნით:

[სახელითა ღმრთისადათა, მამისა და მი]-

1. სა და სულისა წმიდისადათა და შეწევნი-
2. თა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისადათა და
3. წმიდისა კვირიკესითა<sup>29</sup>
4. მე გლახაკი იოანე მოძღვარი (?) ღირს მყო ღმერთმან და აღვაშენე კან
5. კელნი ესე,
6. დაამყარენ ღმერთმან, მეფეთა მეფისა
7. გიორგისთვს, და საკსრად ფრიად ცოდვილი
8. სა სულისა ჩემისა. მოი-
9. კსენე უფალო
10. [ღ]მერთო, სული მამ-
11. [ისა იოვანესი, ან, ეგებ «მამისა ჩემისა»]. . .

წარწერა ზოგიერთ განმარტებას საჭიროებს.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მე-4 ნატეხის წარწერა: «მე გლხკი: იე: მ: ღირს მყო ღნ...» და სხვ. დედანში აქ ორი სიტყვაა განზრახ გამოყოფილი ორ-ორი წერტილით, რათა მკითხველმა ისინი ერთ სიტყვად არ მიიჩნიოს. ბარტოლომეის მიერ ხელით გადმონახატზე ეს სიტყვები ერთიმეორისაგან გამოყოფილია და აღნიშნულია ერთ სიტყვად, ასოებით: «იემ»: (იხ. ბროსეს V ტაბულა, მესამე ქვა). ამიტომ იყო, რომ ბროსემ ეს „შემოკლებული სიტყვა“ წაიკითხა, როგორც „ივანე“ და ასე თარგმნა ეს ადგილი: „Moi, le pauvre Iwané(?)“. კითხვის ნიშანი მან დასვა, რადგან მაინც საეჭვოდ მიაჩნდა ასეთი წაკითხვა. ნამდვილად, როგორც ვთქვით, ამ ადგილას ორი სიტყვაა დაწერილი: პირველი, «ი-ე», თქმა არ უნდა «იოანე»-ს აღნიშნავს, ხოლო მეორე, მხოლოდ «მ» ასოთი წარმოდგენილი, საცილობელია. იგი უნდა აღნიშნავდეს კანკელის ამგების, იოანეს თანამდებობას, გვარს ან პატივს. «მ» ასოთი შეიძლება იწყებოდეს შემდეგი სიტყვები: „მოძღვარი“, „მღვდელი“, „მამასახლისი“, „მანგლელი“, „მაწყვერელი“ და სხვ. ამიტომ გადაჭრით რომელიმე ამათგანზე შეჩერება საძნელოა. ჩვენ პირობით ვკითხულობთ „მოძღვარს“, ვინაიდან ამ სიტყვის ამგვარი შემოკლება გვხვდება კაცხისა და ჯრუჭის მონასტრის წარწერებში, რომელნიც ყვირილის ხეობაში არქეოლოგიური მოგზაურობის დროსა გვაქვს ფოტოთი გადმოღებული.

ამას გარდა, გაურკვეველი რჩება, თუ რა სიტყვებით უნდა თავდებოდეს წარწერა. შემორჩენილ ბოლო ქვაზე ასოები მკრთალია და, ამას გარდა, ერთი ქვა

<sup>29</sup> ან, ეგებ, «კონსტანტინესითა».

კიდევ უნდა აკლდეს. შესაძლოა (და ჩვენ ასეც აღვადგინეთ), რომ აქ ეწერა: «მოიკსენე, უფალო ღმერთო, სული მამ(ისა იოვანესი, ან ჩემისა)».

ახლა დაგვრჩა მთავარი საკითხი: რომელი „მეფეთ მეფე გიორგი“ იგულისხმება ჩვენს წარწერაში? ჩვენთვის უდავოა, რომ ეს იგივე გიორგი მეფეა, რომელიც იხსენიება ამ მხარის ცნობილ ტაძართა წარწერებში (დმანისის ბაზილიკის დასავლეთი ეკვდრისა, წულრულაშენის გადაკეთებული ეკლესიისა და ფიტარეთის მონასტრისა). ბროსე ყველა ამ ტაძართა წარწერებს გიორგი ბრწყინვალის ხანას აკუთვნებდა, მაგრამ დმანისის ბაზილიკის გარშემოთხრა-შესწავლის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი, ლ. მუსხელიშვილიცა და სხვებიც (მათ შორის ხუროთმოძღვრების ისტორიკოსები) მათ ლაშა გიორგის აკუთვნებენ. თუ ეს ასეა, – და საფიქრებელი კია, რომ ასე იყოს, – სათხის ეკლესიაც ლაშა გიორგის დროს უნდა იყოს აშენებული. ამასვე მოწმობს ნაგებობის, ჩუქურთმებისა და წარწერების ხასიათი.

### 3. სამტრედოს ეკლესია

კაზრეთისავე ხეობაში, სოფელ სამტრედოს (ძველად ბაბილაშენი) მახლობლად არის პატარა ოთხკუთხედი ეკლესია, უბრალო ქვით ნაშენი. მისი სიგრძე 9,1 მეტრია, განი – 5,6 მეტრი. თალი ჩანგრეული აქვს. კარს ზემოთ მხედრულად აწერია:<sup>30</sup>

«აქ: ბრძანებითა: ღმერთთა: ჩვენ: ზურაბისშვილმან: ბატონმან: რევაზ: და თანამეცხედრემ (sic): ფალავანდის: შვილის ქალმა ბატონამ (sic) თამარმა აღვაშენეთ წმიდა ესე ეკლესია: ღმერთთა მამისა და დედისა ჩვენსა სასულიეროთ: და ჩვენდა მოსახსენებლად: და შვილთა: ჩვენთა გასძლიერებათა (sic): ვინც მობრძანდეთ ჩვენს ცოდვილს: სულს: შენდობა: უბრძანეთ: სრულ იქმნა: და: აღშენდა: თესა: ივლისა: ათსა, ქკს: ტპე: ღმერთთა: შემწე: მეყავ: აღმშენებელსა: შენსა».

ქორონიკონი უდრის 1697 წელს.

ამ ეკლესიისა და თავისი მოგზაურობის შესახებ ალ. ორბელიანი შემდეგსა წერს:

«კაზრეთის ხეობაში ს. ბაბილაშენში (ახლა სამტრედოს უძახიან), სადაც ზურაბიანთ სასახლე ყოფილა, აქ ამ ადგილს ამოვედით ს. კაზრეთიდგან, 1846-ს წელსა, ივლისის 10-ს დღესა, მე, ჩემი ცოლი ეკატერინე, ჩემი სიდედრი ბარბარე, თა-ა დავით ბარათოვის ქვრივი. ეს ჩემი სიდედრი ბარბარე მათ ზურაბიანთ ქალი იყო და მემკვიდრეც. ეს გაოხრებული სოფელი რომ დაინახა ჩემმა სიდედრმა, სადაც ტყეს მოეკრა ის ზურაბიანთ სასახლე და დიდრონი კაკლებიც იყო ამოსული შიგა, მწარედ ატირდა და თავიანთ ზურაბიანთ აწყვავებულს დროსა წარმოიდგენდა: „ასე და ასე მშვენივრად იქნებოდაო“. როდესაც გული მოიოხა, შევედით იმ გატყეებულს სოფელში და სასახლეში. იყო დაქცეული, დანგრეული და აღარაფერი, რღ-მაცა ჩემმა სიდედრმა ცრემლები გადმოყარა გულმხურვალე; ხელები განიპყრო და დაიძახა: – „სოფელო, ეს არ არის შენი დასასრული ყოვლის კეთილმდგომარეობისა და

<sup>30</sup> ეს წარწერა, ბარტოლომეის მიერ შეცდომებით გადმოღებული, დაბეჭდილი აქვს ბროსეს (*Mélanges Asiatiques*, t. II, livr. 3, p. 326). წარწერა გადმოუღია ალ. ორბელიანსაც, 1846 წლის 10 ივლისს, სასვენ ნიშანთა დაუცველად და ზოგიერთი სიტყვის ცოტა შეცვლით.

კეთილისა?“ ჩემი ეკატერინეც თავის დედასთან ერთად სცრემლეოდნენ და მეც გულშერყეული შევეყურებდი იმათ. აქედგან გამოვტრიალდით; იქვე პატარა ეკლესია იყო, ზურაბიანთ კარის ეკლესია. მივედით, სანთლები დაუნთევით და გულმობიერად პარაკლისი გადაუხადა ჩემმა სიდედრმა, აბრამ მღვდელის პირით.

ამ პატარა ეკლესიიდან რომ გამოვედით, ჩემი სიდედრი კარებში დადგა, და კარებზევით, ქვაზე დაწერილს კითხვა დაუწყო და შ-დგ მთხოვა, რაც იმ ქვაზედ ეწერა, გადმეწერა მე. ჩემი სიდედრის პატივისცემისათვის, როგორც იყო, მეც ასე აღვწერე და იმ კარიბჭესაც ასე დავწერე აქა:

«ბრძანებითა ღ-თისათა ჩვენ ზურაბის შვილმან, ბატონმან რევაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან ფალავანდისშვილის ქალმან ბატონმან თამარმა აღვაშენეთ წმიდა ესე ეკლესია ღ-თაებისა მამისა და დედისა ჩვენისა სასულიეროდ და ჩვენდა მოსახსენებლად და შვილთა ჩვენთა განსაძლიერებლად. ვინცა მობრძანდეთ ჩვენს ცოდვით სულს შენდობა უბრძანეთ. სრულ იქმნა და აშენდა თვესა ივლისა ათსა, ქრო ტპე. ღ თებაო შემწე მეყავ ამშენებელსა შენსა».

იმ კაზრეთის ხეობაშივე, სამხრეთისაკენ, მაღლობ ადგილზე მშვენიერი თლილი ქვის ეკლესია და აქვე ზურაბიანთ სოფელი ყოფილა (ახლა ეძახიან სათხეს), სადაც გაღმა-გამოღმა ამ ხეობაში დიდრონი ბორცვებია ამართული კლდისა და ამ კლდეებში მრავალი გარეული თხები გვარობს. ეს ხეობა სულ გატყეებული არის. ბაბილაშენიდან აქ ამოვედით; აქაც ის ამბავი იყო, რაც ბაბილაშენში და შდგ ამ ეკლესიის კარიბჭეზე; ასომთავრულიდან ასე გადმოვწერე მხედრულად:

«გლახაკი იოანე უღირსმან აღვაშენე. დაიფარენ ღმერთმან  
«მეფეთა მეფისა გიორგისა სახსრად, ფრიად ცოდვილისა სულისა  
«ჩემისა მოიხსენე, უფალო».

აღმოსავლეთით მაღალს კედელზე:

«ქრისტე, შეიწყალე მონა შენი თ-ვ. მმა, შვილნი მისნი»  
«აპრილის ა. ქრო. ტნ.».

შემდგომ ამ მაღლობზე და გაშლილ ადგილზე სადილი ვიგემეთ და ბევრი შესანდობარი ვსვით იმ ადგილებს პატრონებისა. ბოლოს, სადილი რომ გავათავეთ, მივწექით და თავთავის ამორჩეულს მწვანეს ადგილზე ქეჩები გავაშლევინეთ და ზედ დავიძინეთ. ძილის შდგ, შევსხედით ცხენებზე და კაზრეთისკენ წამოვედით; უკან მოსამსახურეები სოფლურის სიმღერით მოგვდევედნენ და ამ შექცევით მოვდიოდით, მაგრამ მინამ კაზრეთს მოვიდოდით, ხევს გაღმით დიდი მონასტრის ეკლესია არის წ. სამებისა (ასე უწოდებენ ყველანი). იქ, იმ ეკლესიაში გავედით, სადაც სანთლები დავუნთევით და კ-დ პარაკლისი ახდევინა ჩემმა სიდედრმა. ისევე იმის მზგავსი ამბავი იყო, როგორც წარსულებში, ამისთვის რომ ეს მონასტერიც საზურაბიშვილო არის, და ჩემი სიდედრის მამა-პაპისა. აქ ეკლესიაში გალესილს კედელზე დიახ მკვიდრის შავის მელნით ასე ეწერა:

«მოიხსენე უფალო წიაღსა შა ცხოვრებასა ბატონიშვილი ბოვანელი მთავარ ეპისკოპოზი ნიკოლოზო წმინდასა ამას მონასტერსა ჩემის მამის და დედის ბატონის ელენეს შესანდობლად და

ჩემის ცოდვილის თავის მოსახსენებლად. ვინცა ამ მონასტერსა შიგან ჟამსა შეხვიდეთ, შენდობას ეტყოდეთ ღთის მიმართ – ქკს ტნი». სხვა წაშლილია.

ამის შემდეგ ავსხედით ცხენებზე და საღამოჟამზე ეკატერინეს მზითვის სოფელში მოვედით კაზრეთს. ეს სოფელიც საზურაბიშვილო არის და მზითევში მისცეს ჩემს ეკატერინეს; ყოვლის კეთილის ჰაერით სრული და კარგის წყაროებით და მდინარით შემკობილი, თავის მთით, ბარით და ტყით შემოსილი მთები».

= თა ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

ზევით ჩვენი მამაპაპის მთის ძირში სოფელია **საკარისი**. აქ წყაროზე ქვიტკირის თალია და ქვაზე ესრეთ აწერია:

«შეწევნითა მღთისათა მე ორბელის შვილის ბატონის ასლანისა და თანა მემცხედრემან ბატონის თამარის აზნაურშილმა ავთანდილისშილმა იაგანამა საკარისის მოურავმა გავაკეთე სასახლის საკარისის წყარო ერეკლეს<sup>31</sup> მეფის დროსა. ვინცა ნახოთ, ჩემთვის შენდობა ბრძანეთ.» – სხვა წაშლილია.

სხვა ადგილას, ცალკე ფურცელზე კახეთისა და სომხეთის ზოგიერთი წარწერის შემდეგ ალ. ორბელიანი შემდეგსა წერს სოფ. **ღორისთავისა** და მის ახლოს მდებარე პატარა ეკლესიის შესახებ:

«სომხითში, მაშავრის პირზე, ნასოფლარს ღორისთავს, მაღლა მთაში ეკლესია არის წმ. დავით გარეჯის სახელზე აშენებული. მის კარიკჭეზე ასე სწერია:

«ჩვენ, დიდმა ორბელიანის ძემან მდივანზეგმან ერასტი და თანა მემცხედრემან ჩემმა ბატო(ნ)იშილმა ანახანუმ, ეს მონასტერი წმიდის დავითის ჟამთა ვითარებისაგან განრყენილ იქმნა და აწ ჩვენ მეორედ აღვაშენეთ და შევამკეთ ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად და საქმეთა ჩვენთა წარსამართებლად. ვინცა იხილევდეთ ნაშრომსა ამას, შენდობას გვიბძანებდეთ. სრულ იქმნა ქკსა ტეჟუ. მეფობასა გიორგისასა თვესა აგვისტოსა».

ქორონიკონი უდრის 1709 წელს. ფრჩხილებში ჩასმული ასოები ჩვენ დავუმატეთ.

შემდეგ ალ. ორბელიანი განაგრძობს:

«სომხითის ძველის კაცებისაგან გამიგონია, ვითომც დავით გარეჯელი პირველად აქ მოსულიყოს, შემდეგ ტფილისის მთაწმიდას მისულიყოს და მასკვან (=მას უკან – ე. თ.) კახეთის მხარეს წასულიყოს, რომელსაც ახლა დავით გარეჯას უძახიან.

---

<sup>31</sup> პირველის მეფის ერეკლეს დროისა და არა მეორესი (შენიშვნა ეკუთვნის ალ. ორბელიანს).

აქ, ზევით ღორის თავის ეკლესია რომ ვთქვი, მაღლა მთაში არის დავით გარეჯისა-მეთქი, ამ ეკლესიის გარეთ ბალახებში საფლავის ქვა ვიპოვე შუაზე გატეხილი, რომელზედაც ასე ეწერა:

«ქ. მე ტომად ორბელიანმან ძემან ვახტანგისამან ერასტიმ ვიმდებარე საფლავსა ამასა ქს აქეთ ჩღლა (1731) ოკტომბრის კა (21)».

ამას ალექსანდრე უმატებს:

«ვგონებ კარზე არ იქნებოდა დამარხული ესე ერასტი. გავს ეკლესიიდან თათრებს გამოუტანიათ მისი საფლავის ქვა და გადაგდების დროს შუაზე გატეხილიყოს? და მისი საფლავი გაეთხაროთ, ფული ჰგონებიყოთ დამარხული, რადგანაც ამგვარი მაგალითები ბევრი არის გაოხრებულს სოფლებში? – ის ქვა შევატანიე და ეკლესიის ძირში დავადებინე ჩრდილოეთის მხრით».

შემდეგ ალექსანდრე განაგრძობს:

«მოახლოვით ამ დავით გარეჯელის ეკლესიასთან სხვა პატარა ეკლესია არის. იტყვიან გამდლის აშენებული არისო, მაგრამ სწორედ კი არ ვიცი. არც ის ვიცი, რომლის წმინდის სახელზედ არის აშენებული. ამ ეკლესიაში ორი საფლავი არის ერთად, რომლისაზედაცა მათ საფლავის ქვაზედ ასე სწერია:

პირველი საფლავი

«ქ. გამაღობ შენ ღმერთო მამათა ჩვენთაო რნ მეყსა შა ბრძანე წარტაცება ორთავე ამათ დამამათა».

მეორე საფლავი

«ქ. მე ტომად ორბელიანთა ბარძიმ ვიმდებარე ტამარსა ამას შინათა დათა ჩემთა მიერ ფრდილსა (sic) დით ჩემით ხვარამზითურთ ქს აქეთ ჩღვთ (1729), აგვისტოს ზ (7)».

აქ ალექსანდრე განმარტავს:

«იქნება ეს დამძანი ერთს დღეს მოკვდნენ და ერთს დღეს დამარხეს, ამისთვის რომ ზევით საფლავზე ასე გვარათ სწერია რომ იქნება მართალი იყოს? ეს ორი დამძანი ჩვენი სახლის წილობისანი უნდა იყვნენ, რადგანაც ღორისთავი ჩვენს წილობის სახლს ეკუთვნის ნასყიდობით და ამისი მთაცა. ამისთვის იმ ეკლესიაში სხვის სახლისას ვერავის ვერ დამარხავდნენ თუ არ ჩვენის სახლის წილობისას».

ღორისთავის წარწერებს ალ. ორბელიანის ქალაქდებში წინ უძღვის შემდეგი ჩანაწერი: «სომხითის მხარე ჩვენს ნასოფლარ ტანძიას, სადაც ჩვენ მამაპაპას სასახლეები ჰქონიათ. ჩვენი წილის, მეორე ძმას ეკლესია აუშენებია და გარედგან კარიპქეზე ეს აწერია». შემდეგ მოდის ასომთავრული წარწერა. ეს წარწერა ჩვენ გამოქვეყნებული გვაქვს ამ ნაშრომის პირველ ნაწილში. სქოლიოში ალ. ორბელიანი



შენიშნავს: «ამ ორბელს ვახტანგს უძახდნენ სახელად, და რაფსათვისაც უძახოდენ ცალკე დამიწერია».

ამავე ქალაქებს ახლავს კიდევ მეოთხედი თაბახი იმავე მეღწიანით დაწერილი, რომელიც შეიცავს ფიტარეთის ეკლესიის წარწერას. წარწერა მოყვანილია მრავალი ადგილის გამოშვებით და არც ის არის აღნიშნული, თუ რომელ ეკლესიას ეკუთვნის იგი. შინაარსი კი გვიჩვენებს, რომ ეს არის ფიტარეთის დამახინჯებულად გადმოღებული წარწერა, რომელიც გამოცემულია ჩვენს მიერ ამ ნაშრომის პირველ ნაწილში (პარიზი, 1929, გვ. 86–88).

ლორისთავის შესახებ აქ კიდევ შემდეგი სწერია ფანქრითა და სხვა ხელით:

«1895-სა წელსა, ოკტომბრის 3-სა დღესა ქვეშელ პეტრე ბესელაშვილს მივეცი იჯარით ორის წლის ვადით ჩემი ღორისთავის მამული თუმან ნახევრად».

## შენიშვნები

I. ზემოხსენებული ორი ეკლესია დავით გარესჯელის სახელობისა, რომელნიც მაშავრის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს, სოფ. კიანეთს სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან დაახლოებით 3 კილომეტრის მანძილზე, 1937 წელს უნახავს განსვ. ლ. მუსხელიშვილს, მაგრამ სამწუხაროდ მთავარი ეკლესია (საშუალო ზომისა) იმ დროს უკვე სრულიად დანგრეული ყოფილა. ლ. მუსხელიშვილს არავითარი წარწერა არ მოჰყავს, და თუმცა ეკლესია მრავალი ბარელიეფითა და ჩუქურთმით შემკული ყოფილა, მათი ფოტოგრაფიულად გადაღება ვერ მოუხერხებია<sup>32</sup>. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი ახალგაზრდა არქეოლოგები გამოიკვლევდნენ ამ ეკლესიის ნანგრევებსაც.

II. 1929 წელს გამოცემულ პირველ ნაკვეთსა და წინამდებარე მეორე ნაკვეთში მხოლოდ ერთი ნაწილია განხილული სომხით-საორბელოს ძეგლებისა და წარწერებისა. მასალა ჩვენ მეტი გვქონდა შეგროვილი, მაგრამ ვინაიდან ზოგი ძეგლი ჩვენს შემდეგ უფრო ვრცლად და მეცნიერულად უფრო გულდადებით იქნა შესწავლილი და გამოცემული, მათ შესახებ ცნობები ამოვიღეთ ამ გამოცემიდან. ასეთი იყო, მაგალითად, ბოლნისის სიონი, რომლის წარწერები ჩვენ ჯერ კიდევ 1893 წელს გვქონდა გადმოღებული და ბროსეს გამოცემასთან შედარებული. მას შემდეგ ჩვენ კიდევ ორგზის ვიყავით ბოლნისში. ახლა ეს ძეგლი სანიმუშო სისრულით და დაწვრილებით არის აღწერილი და გამოკვლეული საქ. აკად. ნ. წ. გ. ჩუბინაშვილისა და სრულიად უდროოდ გარდაცვლილი, დიდად ნიჭიერი და ენერგიული არქეოლოგის, ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ<sup>33</sup>. ამ უკანასკნელის მიერ ჩატარებულმა გათხრამ ძეგლისა მოგვცა ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუში და გადაჭრით დაგვადგენინა ტაძრის აგების დრო. გარდა ამისა, იმავე ლ. მუსხელიშვილს აღწერილი აქვს ბოლნისის რაიონის სხვა ძეგლებიც.<sup>34</sup>

მაგრამ ყველაფერი ეს სრულიადაც ვერ ამოწურავს ქვემო ქართლის უამრავ ძეგლს. ამისი მაჩვენებელია თუნდაც 1949 წელს ზაფხულში ჩატარებული აკად. ივ.

<sup>32</sup> იხ. ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, 194, გვ. 33–34, შენ. 2.

<sup>33</sup> Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион: енимკის მოამბე, IX, 1940; ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი: ენიმკის მოამბე, ტ. III, 1938. სამწუხაროდ, ამ ძვირფას მეცნიერულ გამოცემებს ის ნაკლი ახლავთ, რომ მათში დაბეჭდილი სურათები ვერაა ჯეროვანი ხარისხისა.

<sup>34</sup> იხ. ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, თბ. 1941.

ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც აკად. ნ. წ. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მარტო თეთრი წყაროს რაიონში გამოავლინა ათეულობით უცნობი ძეგლი და მრავალი მნიშვნელოვანი წარწერა. სრული იმედი შეიძლება ვიქონიოთ, რომ მომავალში ქვემო ქართლის სხვა რაიონებშიც ასევე ნაყოფიერად წარიმართება ასეთი ექსპედიციის საქმიანობა და დიდძალი ახალი არქეოლოგიური მასალა დაგროვდება.

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველოს ისტორიის კათედრა  
(შემოვიდა რედაქციაში 1950, II, 15).

## ქართული სიძველენი ევროპელ ანტიკვარებთან

რევოლუციამ, ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებამ და აქედან გამოწვეულმა ემიგრაციამ მოახდინა ერთგვარი მობილიზაცია სიძველენისა. გალატაკებულმან და გაჭირვებულმან ემიგრანტებმა გამოიტანეს ბაზარზე გასასყიდად რის წამოღება და გადარჩენაც მოასწრეს.

რასაკვირველია, ამ დარგში ქართული სიძველენიც უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ჩვენ ჯერ ამის რეგისტრაცია არა გვაქვს. ამჟამად მსურს გავაცნო მკითხველს ის ნივთები, რომელნიც ჩვენ შემთხვევით ვნახეთ ან რომლებზედაც ცნობა გვაქვს.

პარიზის ცნობილ ანტიკვარ ა. ზოლოტნიცკისთან ამ ორიოდე წლის წინათ ჩვენ ვნახეთ სამი ქართული ნივთი<sup>35</sup>. შემდეგ მისგან ეს ნივთები მეორე ანტიკვარს ეყიდა და მასაც გაუყიდა უკვე. მაგრამ ვისზე გაყიდა, არ ამბობს. ეს ნივთები იყო:

### 1. ხატი ღვთისმშობლისა მილანქრიანი ქართულ-სპარსული რიგისა ბატონიშვილის ასულის ხვარაზმისა

ამ პატარა ოქროს ხატის სიმაღლე არის 8,2 სანტიმეტრი, განი 7,5 სანტ. ღვთისმშობელი სასწაულთა რიგის არის წელს ზევით, ძითურთ წიაღთა. ღვთისმშობლის სახელი ჩვეულებრივის შემოკლებით ბერძნული ასომთავრულით უწერია. სურათი შესრულებულია ოქროს ფირფიტებზედ ქართულ-სპარსულ მილანქრით. ფონი სულ მწვანეა, სამოსელი ღვთისმშობლისა მუქი-ლურჯი, ხოლო

<sup>35</sup> ამ ნივთებზე მე მიმითითა და რაც გაერჩია, წარწერებიც მომაწოდა ინჟინერმა, ბ-მა სიმონ ციციშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვსწირავ.

ყრმისა ოქროს ფერია. ღვთისმშობლის სახე უფრო კათოლიკური რიგის არის, ვიდრე ქართულის. ხატი, ეტყობა, სპარსი ოქრომჭედლის მიერ არის გაკეთებული და გამკეთებელს კათოლიკური ხატიდან გადმოუღია სურათი. ამიერი შინაგანი და გარეგანი უბრალო ხლართულებით არის შემკობილი. მეორე გვერდის ოქროს ფირფიტზედ მთელს სიგრძეზედ ჯვარია წარმოდგენილი შუბით და ღრუბლით. ჯვარის ქვემოთ ადამის თავი მოჩანს. ზემოთ ჯვარს ასომთავრულით უწერია: ი ნ მ ჰ, ესე იგი: «იესო ნაზარეველი, მეუფე ჰურიათა». ჯვარის მარცხნივ და მარჯვნივ, ზემოთ და ქვემოთ: ი ქ ძ მ, რაც ნიშნავს: «იესო ქრისტე, ძლევა მისი». სისქეზედ ხატისა სამის მხრით უვლის მხედრული წარწერა ორ-ორ მწკრივად, სევადით შესრულებული შავ ფონზედ:

1. ჩვენ: ბატონის: შვილმა: ხვარამზემა: მოვაჭედინეთ
2. ხატი: ესე: და შემოგწირეთ თფილისის: სიონთა
3. ღის: მშობლს: ვითარცა: ჩვენი: სასურველი: შვილი: თამარ
4. თქვენ: ტამარში ემარხა: მისის: სულის: სახსრად: ცოდვა
5. თა: ჩვენთა: შესანდობლად: შეიწირეთ: შენ: ყო
6. ლად: სანატრელო: ქალწულო: ქკს: ტჟჟ:

ანუ

ჩვენ ბატონიშვილმა ხვარამზემა მოვაჭედინეთ  
ხატი ესე და შემოგწირეთ თფილისის სიონთა  
ღვთისმშობელს, ვითარცა ჩვენი სასურველი შვილი თამარ  
თქვენ ტამარში ემარხა, მისის სულის სახსრად, ცოდვათა ჩვენთა  
შესანდობლად შეიწირეთ შენ, ყოვლად სანატრელო ქალწულო,  
ქორონიკონს ტჟჟ.

ქორონიკონი უდრის 1710 წელს. აქ მოხსენებული ხვარამზე არის ბატონიშვილის ლევანის ასული, ძმისა გიორგი მეთერთმეტისა (ქ. ც. II, გვ. 58). ლევანი იყო ერთ დროს გამგებლად ქართლისა.

## 2. სახარება გიორგი მეთერთმეტის მდივნის კვინიხიძისა

სახარება პატარა ტანისაა, ნაწერია მშვენივრად გაემზულს ქალაღდზე, ერთობ წვრილის ნუსხა-ხუცურით ორ სვეტად, რამკებში, რომელნიც ოქროთი არიან შესრულებულნი. თითო სვეტის სიმაღლე არის 5,3 სანტიმეტრი, განი – 1,5 სანტიმეტრი. შემკობილია ხელნაწერი ოთხი მახარობლის სურათით. სურათები ფერადებით არის დახატული. ყველა სახარებას წინ მიუძღვის სურათი მახარობლისა, შემდეგ სია სახარების სათაურთა. სახარების ბოლოში მოქცეულია საჩვენებელი დღიურ საკითხავთა. სათვალავი რვეულებით არის აღნიშნული. რვეულში რვა ფურცელია, სულ 30 რვეულია. ამას გარდა, დღიური საკითხავების სარჩევს უჭერია 30 ფურცელი. ასე რომ, ხელნაწერი სულ შეიცავს 270 ფურცელს. ტექსტი სრულად არის დაცული, ხოლო ბოლოში, დღიურ საკითხავთა შემდეგ, აკლია ერთი რვეული, რომელზედაც ბოლოსიტყვაობა უნდა ყოფილიყო გადამწერისა. საბედნიეროდ, გადამწერის სახელი მოხსენებულია პირველი სამი მახარობელის სახარების ბოლოში. მათეს სახარების ბოლოს სწერია:

წომ თემ ხრბ ლო შნმ ხ  
მექმენ წექსა. ცდვილ  
სა და ფ-დ საწყლობლს  
ა მწერალს პა  
პუნასა  
ამინ:  
ჩ ფ: –

**უქარაგმოდ:**

წმიდაო მათე მახარობელო, შენ მეოხ  
მექმენ წინაშე ქრისტესა ცოდვილ-  
სა და ფრიად საწყლობელ-  
ა მწერალს პა-  
პუნასა.  
ამინ,  
ჩ ფ.

უკანასკნელი სიტყვა იმ საიდუმლო ასოებით არის დაწერილი, რომელსაც ანჩინური ეწოდების და ნიშნავს ა-ნ, ესე იგი: ამინ (ვინაიდან ჩ უდრის ა-ს და ფ – ნ-ს).

**მარკოზის სახარების ბოლოს:**

**უქარაგმოდ:**

წომ რკზ მხ რებლო  
შნ მხ მექმენ ფ-დ ცდვ  
ილსა და სწყლობლსა მ  
წერალსა პაპუნს  
შნმ რ ქად გებლსა  
წ-ე დღესა მს დიდსა გ  
ანკითხვის-სა ჩ ფ  
ვინცა ეს ჩ-ნი სხ-ლი  
აღმოვოცოს: აღიკ  
ოცენინ იგი წიგნისგ-ნ  
ცხოველთასა და მართალთ  
ათ-ა ნუ დაიწერებედ:

წმიდაო მარკოზ მახარობელო  
შენ მეოხ მექმენ ფრიად ცოდვილსა  
და საწყლობელსა მ-  
წერალსა პაპუნას  
შენ მიერ ქადაგებულისა  
წინაშე დღესა მას დიდსა გ  
ანკითხვისასა, ამინ ჩ ფ.  
ვინცა ეს ჩემი სახელი  
აღმოვოცოს, აღივოცენინ იგი  
წიგნისაგან  
ცხოველთასა და მართალთ  
ა თანა ნუ დაიწერებედ.

მეშვიდე სტრიქონის უკანასკნელი სიტყვა აქაც ანჩინურის სახით არის დაწერილი და ნიშნავს «ამინ».

**ლუკას სახარების თავის ბოლოს:**

**უქარაგმოდ:**

წოლკ-ა მხ რებ ლო  
მხ მეყ ვწექსა ყდ  
ც-დვლსა ამისსა მწ  
ერალსა ღჩღმფჩკ

წმიდაო ლუკა მახარობელო,  
მეოხ მეყავ წინაშე ქრისტესა ყოვლად  
ცოდვილსა ამისსა მწ-  
ერალსა ღჩღმფჩკ.

უკანასკნელი სიტყვა ანჩინურის საიდუმლო ანბანით არის დაწერილი, მაგრამ ერთი შეცდომაა დაშვებული: ღ-ის მაგიერ ყ უნდა იყოს ორივე ადგილას და მაშინ სიტყვა უდრის პაპუნას<sup>36</sup>.

შინაგანი ყდა ხელნაწერს აქვს ყავისფერი ტყავისა თხელი, უფიცროდ; შემკობილია ოქროთი გაკეთებულის ბალახის და ყვავილთა მსგავსი ხლართულებით. ეხლა ეს შინაგანი ყდა მოსცილებია ხელნაწერს, შემდეგ ხელნაწერი ამა შინაგანი ყდითურთ მოქცეულია მეორე საყურადღებო ყდაში, ბუდის მსგავსად, რომელიც იშლება ჩხირების ამოღებით. ეს ყდა ოქროსია, შემკობილი ქართულ-სპარსული მილანქრით. წინა პირზე ყდისა წარმოდგენილია სურათი ჯვარცმისა ქრისტესი სამი თანამდგომით. ზემოთ გამოხატულია მზე და მთვარე და ერთგვარის სამკბილიანი ნამგლის მსგავსი წრით. სურათები შესრულებულია მწვანე და თეთრი მილანქრით ოქროს ფონზე. აშია ირგვლივ ფურცელ-ყვავილოვანია ოქროს ფერისა მწვანე ფონზე. ქრისტეს თავი მცირედ მარცხნივ არის მოხრილი, ტანი წელს ზევით და მუხლებს ქვევით ტიტველია. წელზე მწვანე კვართი და ვარდისფერი სამოსელი ემჩნევა. მეორე პირზე ყდისა წარმოდგენილია ჯოჯოხეთის წარტყვენა; ქრისტეს გამოჰყავს მამათმთავარნი ხელებჩაკიდებით მარჯვნივ და მარცხნივ; ქვემოთ თითო ფიგურა მოჩანს ორივე მხრით. წრის ქვეშ, რომელზედაც ქრისტე დგას, პატარა კაცის ფიგურა არის, სულ თეთრ ტანისამოსში, ხელებაშვერილი, მაგრამ ფეხმოკვეციტ დამჯდარი. სუყველა ფიგურების ტიპი პირწავარდნილი სპარსულია. ასეთ ტიპებს, ჯვარცმისა და ჯოჯოხეთის წარტყვენის სურათებზე, ჩვენ პირველად ვხვდავთ. აშია აქაც ისეთია, როგორც წინაპირზე. ოთხივე გვერდზე ყდისა არის მხედრული წარწერა სევადით ოქროს ფონზე, ორ-ორ სტრიქონად თითო გვერდზე:

1. ქ. ნებითა: და: შემწევნითა: მღვთისა: ჩვენ: ფრიად: ცო
2. დვილმან: დიდისა: და ზემთა: აღ
3. მატებულისა: ქართლისა: მეფეთ: მეფისა: სრულიად: ერ
4. ანისა: სპასალარისა: ყანდარის: და ქირმნ
5. ის: ბეგლარ: ბეგისა გიორგი: ყოფილისა: პატრონისა შაჰნავაზის
6. მონამნ: მდივანმა: კვინიხიძემა
7. გიორგიმ: მვაჭედინეთ: პატოსანი: სახარება: ეს:
8. სულითა: და: ხორცითა: საოხად: ამინ: ქკს: ტყე

#### უქარაგმოდ:

ქ. ნებითა და შემწევნით მღვთისათა, ჩვენ ფრიად ცოდვილმან, დიდისა და ზემთა აღმატებულისა ქართლისა მეფეთ მეფისა, სრულიად ერანისა სპასალარისა, ყანდაარის და ქირმანის ბეგლარ ბეგისა, გიორგი ყოფილისა, პატრონისა შაჰნავაზის მონამან, მდივანმა კვინიხიძემა გიორგიმ, მოვაჭედინეთ პატოსანი სახარება ეს, სულითა და ხორცითა საოხად, ამინ, ქორონიკონს ტყე.

ქორონიკონი უდრის 1707 წელს. ეტყობა, მდივანი გიორგი კვინიხიძე ქუთაისიდან გაყოლია გიორგი მეთერთმეტეს სპარსეთში. სახარების ყდა ეჭვს გარეშე სპარსეთშია გაკეთებული სპარსი მოხელის მიერ და მით აიხსნება სპარსული ტიპები

<sup>36</sup> ამის შესახებ იხ. ჩვენი: პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერები და ოცი საიდუმლო დამწერლობის ნიმუში. გვ. 5 და 6.

სურათებისა ამ სახარების ყდაზე. გიორგი მეფე, როგორც ვიცით, მოკლულ იქნა ყანდაარს 1709 წელს.

### **3. ჯვარი ათონურის რიგისა, მაგრამ ქართული ხელობისა**

ეს არის ფრიად გავრცელებული ჩვენში ათონურის რიგის ხის ჯვარი, რომელზედაც ჩვეულებრივ გამოქანდაკებულია ჯვარცმა, ათთორმეტნი საუფლონი, მოციქულები და სხვა სურათები. ასეთი ჯვრების დამზადება და გაკეთება დღემდისაც არ შეწყვეტილა საქართველოში. ჯვარი, რომელზედაც ეხლა გვაქვს საუბარი, არის ბზის ხიდან გაკეთებული, სიმაღლე აქვს უტაროდ 12,5 სანტიმეტრი, განი შუა ნაწილში – 6 სანტ. პირველ გვერდზე ჯვარისა ამოჭრილია შემდეგი სურათები: დაბადება ქრისტესი, ნათლისღება, დედა ღვთისა ჩვილით და თორმეტი მოციქული; მეორე გვერდზე – ორივე ხარება, ჯვარცმა და ჯვართამაღლება. გვერდები ჯვარისა შეჭედებულია ოქროთი და სპარსულ-კავკასიურ მილანქრით წარმოდგენილია შემკობილებანი ყვავილის და ფოთლების სახით მე-18 საუკუნისა. ფრთებზე სამი მხრით ჯვარს უზის ბუდეებითურთ ზურმუხტები დაბალი ხარისხისა. მე ეს ჯვარი უტაროდ მაჩვენეს, მაგრამ როგორც მერე მიღებული სურათებიდან აღმოჩნდა, ჯვარს ტარიც ჰქონია ორმუხლადი სამი ნასკვით და ამ ტარზე მხედრული წარწერაც ყოფილა, მაგრამ ჩემს სურათზე მარტო ერთი პირი არის წარწერისა, რომელზედაც იკითხება:

ქ: იესო: ყდ ძლიერო: და ჯვარო: ცხოვე-  
ლს: მყოფელო: შე და: შეუნდევე: ცოდვილი

მეორე გვერდის დანარჩენი ორი სტრიქონის სურათი არა გვაქვს და ამიტომ არ ვიცით, ვისზეა აქ საუბარი. წარწერის ხასიათი და თვითხელობა ჯვარისა გულისხმობს, რომ როგორც ჯვარი, ისე წარწერაც ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს.

დასასრულ, საჭიროდ ვრაცხთ მადლობა გამოვუცხადოთ ა. ზოლოტნიცკის, რომელმაც ამ ნივთების აღწერის უფლება მოგვცა და ნაცვლად წარწერების გარჩევისა და გადათარგმნისა, მათი ფოტოგრაფიული სურათებიც მოგვაწოდა.

### **4. ბრიტანეთის მუზეუმის მიერ შეძენილი ქართული სანაწილე**

ცნობილმა ბიზანტოლოგმა, ლონდონის პროფესორმა ო. მ. დალტონმა იანვარში 1926 წ. მომაწოდა ფოტოგრაფიული სურათი და მოკლე აღწერილობა ერთი ოქროს ქართული მილანქრიანი სანაწილესი, რომელიც შეეძინა ბრიტანეთის მუზეუმს, და შემეკითხა წერილით, მაქვს თუ არა მე ცნობა, საიდან წარმოსდგება ეს ნივთი. მე ვუპასუხე, ეს ნივთი პირადად მე არ მინახავს არსად საქართველოში, მაგრამ ერთი ცნობა, რომელიც მე გადმომცეს, შეიძლება ამ ნივთს გულისხმობდეს-მეთქი და ვუამბე: როდესაც მე და ალ. სარაჯიშვილი კახეთში ვმოგზაურობდით მუზეუმისათვის ნივთების შესაგროვებლად. სხვათა შორის, ვესტუმრე ყვარელში

იური ჭავჭავაძეს და მისგან მივიღეთ მუზეუმისათვის ხელნაწერი ლოცვანი – დაუჯდომელი პატარა ტანისა, რომელიც ქეთევან დედოფალს ხელში ჰქონებოდა წამების დროს და რომელზედაც ემჩნეოდა სისხლის წვეთები. იურიმ გვითხრა, რომ ამ ხელნაწერთან ინახებოდა პატარა გულსაკიდი წმიდა გიორგის ხატი ქეთევან დედოფლისაო, მაგრამ მე არ ვიცი, ეხლა ვისა აქვს ის ნივთიო. იური ჭავჭავაძეს ქეთევან დედოფლის ხელნაწერი მისი ბიძის, ნიკო ჭავჭავაძის ქონებიდან ერგო სხვა ნივთებთან ერთად, რომელნიც მან და მისმა ძმამ გაიყვეს.

მე გამოვთქვი მოსაზრება, შეიძლება ეს ნივთი იგულისხმებოდეს იმ გულსაკიდ ხატად, რომელზედაც იური ჭავჭავაძემ გადმოგვცა-მეთქი. მართლა ეს პატარა ოქროს ნივთი ნაწილიანი მედალიონის მსგავს ხატს წარმოადგენს და გულზე სატარებლად არის დანიშნული. ამისათვის მას მეწკვის გასაყრელი ყურე აქვს ზემოთ. წინა პირი მედალიონისა წარმოადგენს წმიდა გიორგის სურათს მრგვალ მედალიონში, ოქროზე შესრულებულს მშვენიერის ბიზანტიურის რიგის მილანქრით. წმიდა გიორგი წელზევით არის წარმოდგენილი ამოღებული ხმლით მარჯვენა ხელში და ბერძნულის წარწერით – სახელისა (ჰო აგიოს გიორგიოს) მილანქრითვე. ირგვლივ ბიბლიური სტიხია მოყვანილი ბერძნულადვე თეთრის ასოებით. მეორე გვერდზე მილანქრითვე გამოხატულია პატარა სურათი წმიდა დიმიტრისა, მწოლიარე, ლამპრის ქვემოთ, ბერძნულისავე წარწერით (ჰო აგიოს დემეტრეს). ეს პატარა მილანქრიანი ფირფიტა იხსნება და შიგ მოჩანს მეორე პატარა სახე ოქროთი ნაჭედი. ირგვლივ ერთობლივ მოქცეულია ნაწილები და მათ ზემოთ აშიაზე ირგვლივ ამოჭრილია მხედრული წარწერა: // ქ:წ`ნდა ქეთ`ვნ დ`ფლის ნაწილი // ძელი ჭ`ტი:

ესე იგი:

წმინდა ქეთევან დედოფლის ნაწილი, ძელი ჭემმარიტი.

გვერდზე მედალიონისა, ირგვლივ კიდევ მეორე ბერძნული ბიბლიური სტიხია მილანქრითვე შესრულებული. მაგრამ უფრო მომსხო ასოებით, ვიდრე პირველი პირის წარწერა.

ამ ნაწილის აღწერილობა სურათებითურთ ო. მ. დალტონმა უკვე დაბეჭდა ნ. კონდაკოვის ხსოვნისთვის მიძღვნილ კრებულში – «Seminarium Kondacovianum», Prague, 1926, გვ. 275–277.

ჩემს შეკითხვაზედ, თუ საიდან შეიძინა ბრიტანეთის მუზეუმმა ეს ნივთი, დალტონმა მაცნობა, რომ ეს საწილე მათთვის მიუძღვნია ერთს უმთავრესს ანტიქვარს ლონდონის ანტიქვარებთა შორის, ხოლო მას უნდა ჰქონდეს შეძენილი ვინმე რუსეთიდან ან საქართველოდან მოსულისაგანაო. მეტი ჯერ ამის შესახებ არაფერი ვიციო და თუ შევიტყვე რამეს გაცნობებთო.

მე გამოვთქვი მოსაზრება, რომ ეს ნივთი უნდა წარმოადგენდეს გულსაკიდს ხატს ქეთევან დედოფლისა. წინათ მასში, ალბათ, მოქცეული იყო მარტო ძელი ჭემმარიტის ნაწილი და ქეთევანის წამების შემდეგ მას მიუმატეს ქეთევანის ნაწილიც. თუმცა საჭიროა აღვნიშნოთ, წარწერა ორთავე ნაწილებისა ერთის ხელით არის შესრულებული, მაგრამ ეს გადაკეთების დროს უნდა იყოს ჩადენილი. ყოველ შემთხვევაში, თვით წმიდა გიორგის და წმიდა დიმიტრის ბიზანტიური მილანქრის რიგის მედალიონები ძველია, არა უგვიანეს მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნისა.

## 5. ლექსიკონი საბა-სულხან ორბელიანისა

მხედრული ხელნაწერი in folio ყდით, მომდინარეობს მუხრანთან ოჯახისაგან. ეს წიგნი მე საქართველოშიც მქონდა ნახული და აღწერილი, დაბა მუხრანში. ჩემი იქ ყოფნის დროს პატრონი სახლში არ დამიხვდა. შემდეგ, როდესაც ტფილისში ვნახე, აღმითქვა შემოწირვა საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის. «მესტუმრეთ მუხრანში და მოგართმევთო», მაგრამ მე ვეღარ მოვახერხე გამგზავრება მასთან სოფელში. ბოლოს, მუხრანის ასულს წიგნი პარიზში მოეტანა, მისგან ხელნაწერი შეუძენია ინგლისელ ანტიკვარს ალენს. ტექსტი ხელნაწერისა არაფრით არ განირჩევა ჩვეულებრივი ხელნაწერებისაგან, რომელნიც მრავლობით მოიპოვებიან ტფილისის წიგნთსაცავებში. ბოლოში ხელნაწერს, გარდა ჩვეულებრივი საბას ბიოგრაფიული ცნობებისა და ლექსებისა, დართული აქვს შემდეგი ანდერძი გადამწერისა:

აქა ეს დასრულდა, დიდება ღა, ბუნებით ერთსა  
დასრულდა ლექსთა კანონი  
ღირსმან ჰყო ადრე პოვნანი.

1. აღმაწერინა წიგნი ესე სასურ საწყური სატრფოი
2. მსაჯულმან საქართუწლომსამან ბრძენმან ტომ
3. ორბელითმან მზეჭაბუკ. მე უუნდოესსა მონასა
4. სქეს ლარამესა იოანეს: დაღაცა თუ საზოგადოების არა
5. მოსაწონ არს ნაღუაწ ნაწერი ესე, გარნა შესანდობელ
6. არს ბრალი უსწავლელობისა უკეთუ არა იყოს ნაშვი დაქსნილობისა:
7. მონა ვარ უქმარი და რომელი იგი თანმედვა ყოფად ვჰყავ:  
ეს არს ლექსთა კანონი  
ვინც სრულობით ჰყო პოვნანი.

შემკვეთელი ხელნაწერისა მდივანბეგი მზეჭაბუკ ორბელიანი და გადამწერი იოანე ლარამე არიან მოღვაწენი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა. იოანე ლარამე შემდეგ მღვდელი იყო და გარდაიცვალა დეკანოზობის ხარისხში ალავერდს 1804 წელს (იხ. ჩემი არქეოლოგიური ექსკურსიები და შენიშვნები, რუსულ ენაზე, წიგნი IV, გ. 95).

ხოლო მდივანბეგი მზეჭაბუკ ორბელიანი გარდაიცვალა 1794 წელს და დამარხულია ტფილისის სიონში.

ამრიგად, ხელნაწერი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშია გადაწერილი.

მაგრამ ხელნაწერი დიდად საყურადღებოა თავისი მხატვრული ასოებით. თითოეული ანბანის ტექსტს თავში უზის ფერადებით დახატული დიდი მეთაური ასო მხედრული. ზოგიერთი ასო შემკობილია სიმბოლური ფიგურებით და ამიტომ რთული სახე აქვს. მთელი სცენებია წარმოდგენილი. მაგალითად, ასო ჯ-ს თან ახლავს ჯოჯოხეთის სურათი, ტ-ს უწერია: «სული მართალი უბრალოდ იტანჯების». დახატულია მუსულმანის ტირანი, რომლის ბრძანებით ჰგვემენ მართალს, ქრისტიანს. ც არის გამომხატველი ცოდვათა და უწერია: «ვამ მწერალთა უკეთურებისათა». ჰ-ს უწერია: «ჰა უგვარო ჳმის გაცემა» და სხვა. ასოების შემკობილება ზოგჯერ დამთავრებული არ არის. მაგალითად, ფერადებით არ არის შესრულებული ასოები: ქ, ყ, შ, წ და ზ.



ერთი ნიმუში ამ ლექსიკონის მხატვრული მეთაური ასოის, სახელდობრ ტ, ალენმა მოათავსა ახლად გამოსულს თავის საანტიქვარო კატალოგში, თუმცა ეს ასო აქ ფერადებით არ არის წარმოდგენილი, როგორც დედანში, მაგრამ მაინც საუცხოვოდ არის შესრულებული და კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. დიდ სამსახურს გაგვიწევს ალენი, რომ ყველა ასოს ამრიგად გადმოსცემდეს ერთს ალბომად.

## 6. პატარა გულსაკიდი ხატი ღვთისმშობლისა ნაწილებიანი, ოქროსი, ჩვილელი

მომდინარეობს ივანე მალხაზის ძის ანდრონიკაშვილის ოჯახისაგან. ღვთისმშობლის სახე ნაჭედი წელს ზევით არის წარმოდგენილი ძითურთ: წარწერა სახელისა ხუცურია: ყ-დ წ-ა, ხოლო მეორე გვერდზე მხედრულად აწერია:

ში ძელო ცხოველს მე  
ოფელო: და: წმინდანო მო  
წამენო შეგამკე მე იმერ  
თა მეფის სოლომონის:  
დამ ბატონიშვილმა მა  
რიამ რათა მრჩობლსავე შენ  
თა ცხოვრებასა მფარველ  
მექნა ძითა და ასულთა ამინ.

აქ მოხსენებული მარიამ ბატონიშვილი არის იმერეთის მეფის სოლომონ II და, რომელიც წინათ წერეთელს ჰყავდა ცოლად და შემდეგ, 1795 წლიდან მალხაზ ანდრონიკაშვილს. მალხაზის და მარიამის შვილი იყო ივანე «მალხაზიჩად» წოდებული, ცნობილი ღენერალი, რომელმაც ყირიმის ომის დროს მდინარე ჩოლოქის პირზედ სასტიკად დაამარცხა ომარ ფაშის ლაშქარი.

ხელობა ხატისა ქართულია, მაგრამ დაცემის ხანისა და ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს. ეს ხატი მე მაჩვენა პირველად იოსებ დადიანმა, პატრონი ყიდისო, მითხრა. შემდეგ გადაეცათ რევაზ გაბაშვილისათვის გასასყიდად, და მისგან უყიდა ბ-ნ გამრეკელს, გიორგი ყაზბეგის სიმეს.

## 7. სახარება კათალიკოზ დომენტი მესამისა

ბ-ნ გამრეკელის სახლობას უნდა ჰქონდეს კიდევ პატარა ტანის ხელნაწერი სახარება, დომენტი III კათალიკოზისა, რომელიც ყაზბეგიანთ ოჯახიდან მომდინარეობს. სახარება მინიატურულია, ოქროს ყდით, ორ სვეტად ნაწერი ძლიერ თხელს გაეშვილს ქაღალდზე ერთობ წვრილის, მაგრამ კარგად გასარჩევის ნუსხა-ხუცურით. ეს სახარება ოცდათხუთმეტი წლის წინ წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმმა შეიძინა აწ განსვენებულის მწერლის ალექსანდრე ყაზბეგისაგან. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ჩვენმა მოღვაწემ გენერალმა გიორგი ყაზბეგმა განაცხადა, რომ ეს სახარება საგვარეულოა და ალ. ყაზბეგს არ ჰქონდა უფლება გაეყიდაო და მოითხოვა დაბრუნება ხელნაწერისა. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით (მაშინ მეც გამგეობაში ვიყავი) ეს სახარება დაუბრუნა გიორგი ყაზბეგს. დაბრუნების წინ მე აღვწერე ხელნაწერი. აღწერილობა ეხლა ხელთ არა

მაქვს, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ ვრცელ ბოლოსიტყვაობაში აღნიშნული იყო ვინაობა გადამწერისა და ქება პატრიარქ-კათალიკოს დომენტი III, რომლის ბრძანებით და ჯერ ჩინებით გადაეწერათ სახარება მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში. თარიღი აღნიშნული იყო კათალიკოს დომენტის ინდიკტიონის მიხედვით, ესე იგი დასაწყისიდან მისი კათალიკოსობისა, რომელსაც ჰქონდა ადგილი 1704 თუ 1705 წელში. ამრიგად, ეს პატარა ტანის სახარება ეკუთვნოდა დომენტი III კათალიკოს-პატრიარქს. ცნობილია, რომ ასეთი წვრილი ხელით წერა და მთელი სახარების ტექსტის მოქცევა მცირე ტანის ხელნაწერში თავისი განვითარების უაღრეს წერტილს სწორედ ამ დროს აღწევს, ესე იგი მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან. დომენტი III სახარება ერთი საუკეთესო რიგის წარმომადგენელი იყო ასეთი სახარებისა. ყველას კარგად მოეხსენება და ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორი გულმოდგინე და გულწრფელი საზოგადო მოღვაწე იყო გიორგი ყაზბეგი. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ილია ჭავჭავაძის შემდეგ ის მუდმივი თავმჯდომარე იყო წერა-კითხვის საზოგადოებისა და დიდი მოამაგე ყველა ჩვენი საკულტურო დაწესებულებათა. ერთხელ, როდესაც მის კაბინეტში თვალი მოვკარი დასახელებულ სახარებას, ვუთხარი, რატომ არ აძლევ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავს-მეთქი, მან მიპასუხა, სად წავა, ბოლოს ხომ მაინც იქ მივაო. ეხლა კი ვშიშობ იქ მივიდეს. ჩვეულებრივ ასეა, კაცის სიცოცხლე მოკლეა; რასაც სიცოცხლეში ვერ მოასწრებს, მისი განზრახვანი სიკვდილის შემდეგ იშვიათად სრულდება. ჩვენ გიორგი ყაზბეგის თანამედროვენი და მისი მეგობარნი დიდად გულ-ნაკლულნი დავრჩებით, თუ წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარის სამუზეუმო წიგნი, მისი განზრახვის წინააღმდეგ, დაეკარგა ქართველ საზოგადოებას. ეს გიორგი ყაზბეგის ხსოვნას მეტად ავნებს.

## პავლე იოსების ძე თუმანიშვილი

პავლე თუმანიშვილის უდროოდ გარდაცვალება მწვავედ მოხვდება ყველა პატიოსანი ქართველის გულს, ვინც მას იცნობდა, ვისაც მასთან უმოღვაწია ქართულ საზოგადო საქმეებში და მასთან დამოკიდებულება ჰქონდა. წყნარი, თავმდაბალი, კეთილი გულის პატრონი და კაცთ-მოყვარე, ის გამსჭვალული იყო ერთად ერთის იდეით, ერთად ერთის მისწრაფებით, რაც შეიძლება მეტი სამსახური გაეწია თავისი სამშობლოსათვის, თავისი ქვეყნისათვის და თავის მოძმეთათვის. დაასრულა თუ არა უნივერსიტეტი, სულ ახალგაზრდა ჩაება ჩვენს საზოგადო საქმეებში და დიდის ენერგიით და დაუღალავად მუშაობდა. მას ჰყავდა მდიდარი ნათესავები, ცნობილნი ზუბალაშვილები, რომელთა შორის ყველაზე შეგნებული და პატრიოტი იყო სტეფანე. მას დიდი პროგრამა ჰქონდა დასახული ქართულ დაწესებულებათა და საქმეთა დასახმარებლად და გასაუმჯობესებლად, მაგრამ საუბედუროდ ჩვენდა აღარ დასცალდა, ადრე გარდაიცვალა. სხვა ძმებს სამწუხაროდ არ აღმოაჩნდათ ასეთი სიყვარული ქართული საქმეებისა და პირველად თუმცა განაგრძეს დაწყებული ზოგიერთი საქმე, რომელიც სრულად პავლეს ჩააბარეს, მაგრამ მალე ხელი აიღეს

ყოველ ქართულ საქმეზე და საქართველოდან გაიხიზნენ. ეს იყო იმ დროს, როდესაც იწყებოდა რუსეთში პირველი რევოლუცია 1905 წლისა და სწორედ ამ დროს გამოდიოდა ჩვენში ზუბალაშვილების ხარჯზე ორი დიდი გაზეთი – რუსულად «ვოზროჟდენიე» პ. გოთუას რედაქტორობით და მეორე ქართულ ენაზე «ივერია» ფილიპე გოგიჩაიშვილის რედაქტორობით. ამასთანავე მათივე ხარჯით დაარსდა კიდევ საბავშვო ჟურნალი «ნაკადული» მარიამ დემურიას ხელმძღვანელობით. პავლემ ამ გამოცემათა საქმე მატერიალურად მშვენივრად მოაწყო, ხოლო ხელმძღვანელობა გამოცემათა იდეურის და მიმართულების მხრივ ქართული ინტელიგენციის კოლეგებს ჩააბარა და რადიკალურს და მოსოციალისტურ მიმართულების «ვოზროჟდენიე»-სა ხელს არ უშლიდა. ამით ზუბალაშვილები უკმაყოფილო დარჩნენ. ყველა გამოცემაზედ ხელი აიღეს და საზოგადოდ ქართულ საქმეს ჩამოშორდნენ. პავლეს გამგეობა მათი სამეურნეო ნაწილისა ჩამოართვეს და ყოველგვარი სუბსიდია საზოგადოებრივი და პირადი მოუსპეს – ჩვენ რევოლუციონერი ნათესავი არ გვინდაო. ეს რასაკვირველია უბრალო მიზეზი იყო ქართული საქმეებიდან განდგომისა, თორემ ვინ არ იცის, რომ «ივერია» ზომიერი ეროვნული მიმართულების გაზეთი იყო, და ნამეტნავად საბავშვო ჟურნალი რა შუაში იყო, რომ დახმარება მოუსპეს. ადვილად შეეძლოთ «ვოზროჟდენიე» დაეხურათ, თუ არ მოსწონდათ, და სხვა ქართული საქმეები მოეწყოთ. ამ დროს შენდებოდა დიდი სახლი სააზნაურო გიმნაზიისა (დღეს იქ უნივერსიტეტი) და სტეფანე დაპირებული იყო საჭირო თანხის გამოღებას. მემკვიდრეებმა კაპიკი არ გაიღეს ამ საქმისთვის. სხვას ასეთი მოქცევა ნათესავებისა მიმართულებას შეაცვლევინებდა, გულს გაუტეხდა და პირადი ინტერესების ლტოლვას დააწყებინებდა. პავლეს კი ამ რისხვამ ნათესავებისა საზოგადოებრივი და პატრიოტული მიმართულება ვერ შეუცვალა, პირიქით, გაორკეცებული ენერგიით შეუდგა ქართული მიმართულებისა და საზოგადო ინტერესების დაცვას. ყოველ ჩვენს დაწესებულებაში მონაწილეობას იღებდა და თავისი ხარჯით უძღვებოდა საქმეებს. დედას ცოტა რამ შეძლება ჰქონდა მამისაგან ნაანდერძევი და პავლეს არ უშლიდა საზოგადო საქმეებზე შეძლებისამებრ ხარჯი გაეწია. საბავშვო ჟურნალი არ მოსპო და თავისი პირადის საშუალებით ისტუმრებდა ხარჯებს. შემდეგ ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი გახდა, ხშირად გუბერნიის მარშლის თანამდებობას ასრულებდა. იმ დროს თავადაზნაურობის საკრებულოს ხელში აუარებელი საზოგადოებრივი საქმეები იყო: სათავადაზნაურო გიმნაზია, მისი შენობის საქმე, კახეთის რკინის გზა, გლეხებისადმი მიწების გადაცემა შეღავათიანი პირობებით, ერობის შემოღების საქმე და სხვა. ყველა ეს დიდ შრომას და ენერგიას მოითხოვდა. პავლე დილიდან საღამომდე ამ საზოგადო საქმეებს დასდევდა და ყველაფერს გულწრფელად და სინდისიერად ასრულებდა. მაგრამ ეს საქმეები ჩემზე უკეთ სხვებმა იციან და ისინი უფრო დააფასებენ ამ დარგებში მის ღვაწლს. მე მოვალედ ვხდი ჩემს თავს მოკლედ აღვნიშნო აქ მისი სამაგალითო დახმარება და ამაგი, რომელიც მან გაუწია «საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას». როდესაც 1907 წელს ეს საზოგადოება დავაარსეთ, იმთავითვე შევუდექით ზრუნვას მუზეუმისათვის ბინის აშენებისა. ერთადერთი შეძლებული კაცი, რომელსაც ამისი განხორციელება შეეძლო, საქართველოში იმ დროს დავით სარაჯიშვილი იყო და მას ჩავსჩიხინებდით ეს საქმე ეკისრა. ამ საქმეში დიდად გვეხმარებოდნენ და ბანს გვაძლევდნენ მისი დიდი მეგობარი, პროფესორი ალ.

ცაგარელი, ალ. ივანეს ძე სარაჯიშვილი, ახლობელი ნათესავი დ. სარაჯიშვილისა მიშო მაჩაბელი და სხვები, მაგრამ დ. სარაჯიშვილი დიდ უარზე იდგა. არათუ მუზეუმის აშენება, მზრუნველ წევრობაზეც უარი გვითხრა. პ. თუმანიშვილი კი დაარსებიდან მხურვალე მონაწილეობას იღებდა ჩვენს საზოგადოებაში, საზოგადო კრებებს ესწრებოდა და აღტაცებული იყო, რომ კრებები მშვიდად, წყნარად და წესიერად მიდიოდა. აქ რომ მოვდივარ, ვისვენებო, ამბობდა. სხვა ქართულ კრებებზე ჩხუბი, ლანძღვა და ყვირილი არისო, რატომ არ შეიძლება ასე მოვაწყოთ სხვა კრებებიცო.

როდესაც მასთან მუზეუმის საქმეზედ მქონდა ლაპარაკი, მითხრა: მე ბევრი არაფერი შემიძლია პირადად, მაგრამ ორი ნაჭერი მიწა მაქვს – ერთი, ელისაბედის ქუჩაზე კუკიაში, მეორე, სააზნაურო გიმნაზიასთან ვერაზე – რომელიც გამოგადგებათ, მოგართმევთო. წავიდეთ ეხლა, ვნახოთო. ჩავსხედით ეტლში და წავედით. ჯერ ელისაბედის ქუჩაზე რომ ადგილი იყო, ის ვნახეთ, შემდეგ სათავადაზნაურო გიმნაზიასთან ვერაზე. ამ ადგილს მე წინათაც ვიცნობდი, ჯმუხაძეებისაგან ჰქონდა ნაყიდი, სივრცით ერთი დესიატინა 24.700 მანეთად. მე ეს უკანასკნელი ვამჯობინე და თანაც დავაყოლე, თუ ამაზე უკეთესი ადგილი ვიშოვეთ, მაშინ ამას გავყიდით და უკეთესს ვიყიდით-მეთქი. რასაკვირველია, ასე ემჯობინება, თქვენ უკეთ იცით და ეს თქვენი საქმეაო. ეს ამბავი ალექსანდრე სარაჯიშვილს ვუამბე. გაუხარდა, რასაკვირველია, თანაც გაოცდა, რომ ქართველებში ასეთი ადამიანი აღმოჩნდა. მეორე დღე კვირა იყო, წავედით დავით სარაჯიშვილთან და ეს ამბავი ვუთხარით. მან სიცილი დაგვაცარა, რა აქვს პავლუშას ამდენი, რომ ასეთი მსხვერპლი გაიღოსო, მაგას მაშინ დაგიჯერებთ, როდესაც «კუპჩას» მაჩვენებთო. მე ვუთხარი, რომ «კუპჩა» მოგიტანოთ, მუზეუმს აგვიშენებთ თუ არა-მეთქი? მაგაზე მერე ვილაპარაკოთო. ერთი კვირის შემდეგ ნასყიდობის ქაღალდი ხელთ გვქონდა, ხარჯიც პავლუშამ იკისრა. მივუტანეთ დავით სარაჯიშვილს. ის სახტად დარჩა, თანაც პირმა გაუღიმა, იქნებ ჰკუაზედ შეიშალაო! მე ხუმრობით ვუთხარი, ღმერთმა შენც ისე შეგშალოს, მუზეუმი აგვიშენო-მეთქი! სიცილი დაიწყო, მაგრამ იმ დღეს მაინც ვერ ვათქმევინეთ, ავაშენებო! შემდეგ პავლემ მითხრა, შემხვდა დავითი და გამარჯობის უმალ ასე მითხრა რუსულად: თავადო, შეუძლებელია თავისი პერანგის გახდა და სხვისთვის ჩუქებაო. რაღა ბევრი გავაგრძელო, ამის შემდეგ დავით სარაჯიშვილი სირცხვილელული დარჩა და აღგვითქვა მუზეუმის აშენება, ხოლო ის ადგილი შორს არის, სხვა ადგილი მომეცითო. დავითს სიცოცხლეში აღარ დასცალდა მუზეუმის აშენება, თუმცა გეგმა გერმანიაში შეადგენინა ნაცნობ ხუროთმოძღვარს და ანდერძით მიანდო თავის მეუღლეს ეს საქმე. არც მის მეუღლეს დასცალდა სისრულეში მოეყვანა დავითის განზრახვა, ხოლო მანც ანდერძი დატოვა მუზეუმის შესახებ, რომელიც არ განხორციელდა სხვადასხვა მიზეზების გამო. ამ ძვირფასი მიწის შემოწირვით არ ამოწურულა პავლეს ყურადღება ჩვენი საზოგადოებისადმი. მან შეადგენინა საუცხოო ბიბლიოთეკა კავკასიისმცოდნეობისა და ერთიანად შემოსწირა საზოგადოებას. ამას გარდა, შეიძინა ბევრი საარქეოლოგიო ნივთები და ისიც გადმოგვცა, შემდეგ ნება მოგვცა, შეგვეკვეთა საჭირო შკაფები და ვიტრინები მუზეუმისათვის და ხარჯი სრულიად მან გაიღო. ამას გარდა, მოგვცა საშუალება მოგვეწყო დიდი არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში ზაფხულში 1909 წლისა. ექსპედიციაში ჩემს გარდა შედიოდნენ: ცნობილი ფოტოგრაფი ერმაკოვი, ხუროთმოძღვარი ს. კლდიაშვილი და ტფილისის პირველი გიმნაზიის

მასწავლებელი ივ. ნიჭარაძე. პავლეს განზრახვა ჰქონდა, თვით მიეღო მონაწილეობა ექსპედიციაში და ხუმრობით მითხრა, ვიცი, თქვენთვის მე მეტი ბარგი ვიქნები, მაგრამ სიტყვას გაძლევთ, ჩემი თანხლება თქვენ მუშაობაში ხელს არ შეგიშლისო. მე ეხლა ვერ წამოვალ თქვენთან, მაგრამ ცაგერში დაგეწევით, რომ სვანეთში ერთად წავიდეთო. ის მაშინ გუბერნიის მარშლის მოადგილე იყო და საქმეებმა ნება არ მისცეს თავისი სურვილი განეხორციელებინა. ცაგერში ტელეგრამით გვაცნობა, ვეღარ მოვდივარ და ნუ მიცდითო. ამ ექსპედიციის შედეგი იყო დეტალური აღწერა და ფოტოგრაფიულად გადმოღება ყველა საეკლესიო ნივთებისა ძეგლთა და სიძველეთა ამ რაიონებისა. შრომა უსახსრობის გამო ჯერ გამოუცემელია. მხოლოდ ერთადერთი ადიშის უძველესი თარიღიანი სახარება არის სრულად ფოტოტიპის საშუალებით გამოცემული მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების მიერ ჩემის წინასიტყვაობით. ეს ექსპედიცია მას ძვირად დაუჯდა. პირადად სამგზავროდ მე ვიმყოფინე 900 მანეთი, მაგრამ ფოტოგრაფმა ერმაკოვმა პლასტინკების ხარჯად, თავის გასამრჯელოდ და სურათების დასაბეჭდად დიდი თანხა გამოართვა, არა ნაკლები ექვსი ათას ი მანეთისა.

ასეთია მისი ღვაწლი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისადმი. ის იყო მზრუნველი წევრი და ნამდვილი მეცენატი ამ საზოგადოებისა დღიდან მისი დაარსებისა. მისი პოლიტიკური მიმართულება ნაციონალ-დემოკრატიული იყო და მისი მონაწილეობით და ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით გამომუშავდა პირველი საჯარო ოფიციალური პროგრამა ამ პარტიისა, რომელიც მან თავისი ხარჯით დაბეჭდა. ეს მიმართულება, რა თქმა უნდა, მას ხელს არ უშლიდა პატივისცემით მოპყრობოდა ყველა სხვა პარტიების მოღვაწეთ, რომელნიც ასე თუ ისე საქართველოს კეთილდღეობისათვის ზრუნავდნენ და მუშაობდნენ. ის ყოველთვის და ყოველგან იყო იდეოლოგი საერთო ფრონტისა. ის იყო საზოგადოდ დიდი ოპტიმისტი. ვერავითარი მარცხი, ვერავითარი დაბრკოლება და უნუგეშო მდგომარეობა მას ვერ უცვლიდა რწმენას საქართველოს აღდგენისა, თავისუფლებისა და ბედნიერებისა. ეს ენთუზიაზმი მას შერჩა ემიგრაციაშიც და ჩაყვა საფლავში. უაღრესად გაჭირვებულმა მატერიალურმა მდგომარეობამ ვერ გადრიკა მისი სტოიკური ბუნება. მას ვერავისზე საყვედურს ვერ ათქმევინებდი, არავითარ ფიზიკურ მუშაობას არ თავილობდა, რომ როგორმე დახმარებოდა თავის ცოლ-შვილს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს სხეულმა ვეღარ აიტანა ასეთი მდგომარეობა და უდროოდ გამოგვეცალა. საუკუნოდ დარჩება მისი ღვაწლი და ამაგი ჩვენს გულში და აგრეთვე ყოველი შეგნებული ქართველის გულში.

## **ელენე თარხან-მოურავისეული «ვეფხის-ტყაოსანის» სურათებიანი ხელნაწერი**

ამ ხელნაწერს თავისი ისტორია აქვს. მუზეუმებში ხელნაწერთა შეგროვების დროს ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით «ვეფხის-ტყაოსანის» საუკეთესო ხელნაწერთა მოპოვებას და შეძენას. მართლაც, ბევრი საყურადღებო ხელნაწერი შევიძინეთ, როგორც არის, მაგალითად, ჯერჯერობით უძველესი თარიღიანი და სურათებიანი ხელნაწერი 1646 წლისა. წერეთლისეული სურათებიანი ხელნაწერი

XVII საუკუნის მეორე ნახევრისა საუცხოო 87 მინიატურით, პაპუა ბებურიშვილისეული ხელნაწერი 1688 წლისა, მეფე გიორგი XI-სეული ხელნაწერი 1680 წლისა, შესანიშნავი ოქროს ვარაყიანი აშიებით (ბორდურებით) და სხვა მრავალნი, რომელნიც აღწერილნი არიან ჩემს «წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერთა აღწერაში» რუსულ ენაზე, ტომი II, №№ აღწერისა 314–355, 339–343, გვ. 554–582; 603–606. ამ აღწერის შემდეგაც რამდენიმე ხელნაწერი იყო კიდევ ჩვენს მიერ შეძენილი. ჩვენ ვეძებდით და ვიმედოვნებდით მოპოვებას უძველესი ხელნაწერისას. ეს იმედი სამწუხაროდ არ გაგვიმართლდა, – ჯერჯერობით არ მოიპოვება ხელნაწერი, რომელიც მე-16 საუკუნის დასასრულის მიჯნას სცილდებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ცნობების შეკრება, თუ სად და ვის მოეპოვებოდა კიდევ ხელნაწერი «ვეფხისტყაოსანი», არ დაგვიგდია.

სხვათა შორის, მღვდელ პოლიევკტ კარბელაშვილისაგან გვქონდა გაგონილი, რომ ელენე თარხან-მოურავის მეუღლეს ჰქონდა შეძენილი ერთი სურათებიანი «ვეფხისტყაოსანის» ხელნაწერი თვით პოლ. კარბელაშვილის დახმარებით. ქალბატონი ელენე იმჟამად ტფილისში არ ცხოვრობდა, არამედ იალტის მახლობლად კუჩუკ-ლამბატში, თავისი მამიდის გაგარინის ცოლყოფილის მამულში. ამიტომ ჯერ წერილით მივმართე მაშინდელ იალტის გრადონაჩალნიკს ივანე დუმბაძეს, რომ ეშუამდგომლა ელენე თარხანიშვილისას, ის ხელნაწერი შემოეწირა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის. ამ წერილით არაფერი გამოვიდა. ამიტომ მე თვითონ გავემგზავრე ელენესთან ზაფხულში 1912 წ. ვიცოდი, რომ მას სხვა სურათები და სამუზეუმო ნივთებიც ჰქონდა. როგორც შეეფერებოდა საქართველოს ბანოვანს, ელენემ დიდად თავაზიანად და გულწრფელად მიგვიღო, პატივი გვცა; რაც სახლში ჰქონდა და მუზეუმისთვის ვარგოდა, სიამოვნებით გადმოგვცა, მაგრამ გამოჩნდა, რომ მას მთელი თავისი ვერცხლეულობა და სხვა ძვირფასი ხატები და ნივთები და მასთან ერთად ეს ხელნაწერი «ვეფხისტყაოსანი» შიშინანობის გამო პირველი რევოლუციის დროს სევასტოპოლის ხაზინაში მიებარებინა შესანახად. პატიოსანი სიტყვა მომცა, რომ ის თავის ვერცხლეულობას, ხატებს, სურათებს, წიგნებს და იარაღს ჩვენს მუზეუმს დაუტოვებდა ანდერძით, ხოლო «ვეფხისტყაოსანს» მალე გამოიტანდა ხაზინიდან და გამომიგზავნიდა. ივანე დუმბაძემ მოსვენება არ მომცა მაგ ხელნაწერისათვის, რომ თქვენთვის გამოეგზავნაო, მაგრამ ჯერჯერობით გამოტანა ვერ მოვახერხეთო. ერთადერთი ნივთი, რომელიც მე მოვიწონე მუზეუმისათვის და იმ დროს სახლში ჰქონდა, მაგრამ იმჟამად ვერ გაიმეტა, ეს იყო მისი ბეზირის, იმერეთის მეფის სოლომონ I ასულის მარიამ ბატონიშვილის წამლით დახატული მშვენიერი სურათი ქართული ტანისამოსით. მარიამი იყო ელიზბარ ერისთავის ცოლი. მათიშვილის კონა ერისთავის ასული იყო ელენე თარხანიშვილისა. ელენემ მითხრა: აქ ხშირად სასეირნოდ მოდის ნიკოლოზ II, როცა იალტაშია და გადმომცეს, აპირებს ჩემთან შემოსვლას, და რომ მოვიდეს, რა უნდა ვაჩვენო, თუ არა მეფის ასულის ძველი სურათიო. ისე სიტყვა მომცა, ეს სურათიც თქვენ დაგრჩებათო.

შემდეგ ელენე თარხანიშვილისას «ვეფხისტყაოსანის» ხელნაწერი მართლა გამოეტანა სევასტოპოლის ხაზინიდან, და როცა მასთან მისი სიძე, ჩემი ამხანაგი იოსებ დადიანი მისულიყო, მისთვის ეძლია ხელნაწერი ჩემთვის გადმოსაცემად. ეს თვით იოსებ დადიანმა გადმომცა და დასძინა, სამწუხაროდ ვერ წამოვიღეო. ამრიგად, ხელნაწერი კუჩუკ-ლამბატში დარჩენილიყო. შემდეგ ელენე

თარხნიშვილისა იქ გარდაცვლილა და მეორე რევოლუციის შემდეგ მათი სასახლე აუკლიათ.

ეს ხელნაწერი ერთს ქართველს სტამბოლში მოეტანა, იოსებ დადიანისათვის ეჩვენებინა და ეთქვა, თითქოს ეს ხელნაწერი მას ეყიდოს სევასტოპოლის ბაზარში. ბევრი ვაჭრობის შემდეგ იოსებ დადიანს ხელნაწერი უყიდია იმ ქართველისაგან და ეხლა მის კუთვნილებას შეადგენს. იოსებ დადიანმა თვალსაჩინო დახმარება გაუწია ჩვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. სხვათა შორის, მან შეიძინა მისი ნათესავი პუპი აბაშიძისაგან ძვირფასი მილანქრიანი ჯვარცმის ხატი და შემოსწირა მუზეუმს, მაგრამ ეხლა ხელმოკლეობის გამო უფასოდ ამ ხელნაწერს აღარ ელევა და ვინც მეტს მისცემს, მასზე გაყიდვას აპირებს. შეიძლება ხელნაწერმა საქართველომდის აღარ მოაღწიოს და ამიტომ საჭიროდ ვრაცხ მოკლე ცნობები მოვიყვანო მის შესახებ.

ამასთან უნდა შევნიშნო, როცა ს. კაკაბაძე «ვეფხის-ტყაოსნის» მეორე დიდ გამოცემას აპირებდა, ამ ხელნაწერის აღწერილობა მას მივავლოდე. ეს წიგნი მრავლის სურათებით შემკობილი გამოვიდა 1927 წ. წინასიტყვაობაში (გვ. VII, შენ. 2) ნათქვამია, ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობა თავსდება დამატებაში, მაგრამ დამატებაში აღწერილობა არა ჩანს. ალბათ დავიწყებია, ხოლო სამიოდე ფოტოგრაფიული სურათი ამ ხელნაწერიდან მისი ძმის მხატვარ დავით კაკაბაძის გადაღებული დართული აქვს გამოცემას. იხ. გვერდებს შუა 24–25, 168–169, 182–183.

ხელნაწერი ყდამია, მაგრამ ყდა ძველი არ არის, თუმცა მოყვითალო ტყავი აქვს გადაკრული და ზედ ოქროსფერი ასოებით აწერია «ვეფხის-ტყაოსანი». ზომა ყდისა 25X18 სანტ. ამ ყდამი მოქცეულია ნაკლული და ალაგ-ალაგ დაზიანებული ხელნაწერი «ვეფხის-ტყაოსნისა». ტექსტი ნაწერია ლამაზი სტამბურის ხელით და მოქცეულია ოთხკუთხედ რამკაში, შედგენილს ოთხი ზოლისაგან, ორი წითელის და ორის მწვანის; ზომა ტექსტისა 20,5X13 სანტ. ქაღალდი კარგია, გაემზული, მაგრამ ფილიგრანი არა აქვს, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევნიშნეთ. თითოეულ გვერდზე დატეულია ხუთი ტაეპი, მელანი შავია, სათაურები და პირველი ორი სიტყვა ტაეპი ნაწერია წითლურით. ნიშნებად იხმარება ყოველი სიტყვის შემდეგ ხან თითო, ხან ორ-ორი, ხან სამ-სამი წერტილი.

შეიცავს სულ მერმენდელის სათვალავით 176 ფურცელს, მაგრამ აკლია 82-ე და 140-ე ფურცლები. ზოგიერთი ფურცელი მერმეთ მიმატებულია და ზედ ტექსტი მე-18 საუკ. ხელნაწერითაა დაწერილი. ასეთებია 79, 90–92, 133–135 ფურცლები. ამ დამატებული ფურცლების ფილიგრანი სამი ნახევარი მთვარეა. ყველა ფურცელი ყდის გაკეთების დროს შეკეთებული და შემაგრებულია ქაღალდის დაწებებით ამიებზე. სურათებს უკავია 18 განცალკევებული ფურცელი. ამას გარდა, სამი სურათი შიგ ტექსტშია მოქცეული. სურათები ჩვეულებრივად სპარსული ყაიდის არის და შესრულებულია ფერადებით. ადგილ-ადგილ დაზარალებულია. დაცული სურათები შემდეგის რიგით არის მოთავსებული ხელნაწერში:

1. აქა ავთანდილისაგან ტარიელის ამბვის ცოდნა (ფურც. 8).
2. ავთანდილის ხეზე ასვლა და ტარიელის და ასმათის ნახვა (ფ. 10. ეს სურათი თავუკუღმა არის მოქცეული).
3. ავთანდილის და ასმათის საუბარი ქვაბში (ფ. 14. სურათი პატარაა, ტექსტის ბოლოს მოქცეული. შინაარსის წარწერა მოჭრილი აქვს).
4. აქა ტარიელისა და ავთანდილის ნახვა და შეხვე[დრა] (ფ. 15).

5. ტარიელისაგან თავის ამბის მბოზა ავთანდილის წინაშე (ფ. 21. ეს სურათი ტექსტშია მოქცეული).

6. აქ ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის ნახვა (ფ. 26. სურათი ორად არის გაყოფილი. ქვემო ნაწილში ავადმყოფი ტარიელი წევს და ორი კაცი თავს ადგია).

7. წიგნი ნესტან-დარეჯანის თავის საყვარელთან მიწერილი (ფ. 29 verso. სურათი ტექსტშია მოქცეული. ასმათი აწოდებს წერილს ტარიელს).

8. აქა ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და რამაზის შეპყრობა (ფ. 39. წარწერა მოშლილია).

9. აქა შველა ტარიელისაგან ფრიდონის ჯელმწიფისზედან (ფ. 55 verso).

10. აქა ავთანდილისაგან ტარიელის ამბვის მბოზა (როსტევან) მეფის წინ (ფ. 62. სურათი ორად არის გაყოფილი, ზემოთ ავთანდილი მუხლმოყრილი ნოხზე მეფეს უამბობს, ქვემოთ მეჩანგენი ართობენ თინათინს).

11. ...ანდერძი ავთანდილისაგან. თავის ყმის შერმანდინის ჯანიშინად დაგდება (ფ. 77 verso).

12. აქა ტარიელის ლომვეფხთ მოკულა და დაბნედა, ავთანდილის ტირილი (ფ. 88).

13. აქა ავთანდილისაგან ფრიდონის ნახვა და შეყრა (ფ. 97).

14. აქა ავთანდილისაგან ზღუაში ომი და გამარჯვება (ფ. 104 verso. ამ სურათის ცარიელ ზურგზე სამ სტრიქონიანი სომხური წარწერაა გვიანის ხელით).

15. აქა ფატმანის მონისაგან ქაჯეთს ნესტან-დარეჯანის ნახვა და წიგნის მირთმევა (ფ. 129).

16. აქა ავთანდილისაგან ამბვის მიტანა და ტარიელის დაბნედა (ფ. 137 verso).

17. აქა ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონისა ომი ქაჯეთს (ფ. 145).

18. აქა ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა (ფ. 151).

19. აქა ქორწილი ავთანდილისა და მზე თინათინისა (ფ. 161. სურათი სამ ნაწილად არის გაყოფილი. ზემოთ ავთანდილი და თინათინ სხედან ერთად, შემდეგ როსტევან და ფრიდონ, შუა ნაწილზე ტარიელი და ნესტან-დარეჯან სხედან ერთად. ამით პირდაპირ სამი ფიგურაა. ქვემო ნაწილში მუტრიბნი და მუსიკოსნი).

20. ტარიელისაგან რამადან მეფის სიკუდილი (ფ. 168).

21. აქა ინდოეთს ავთანდილისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილი (ფ. 172). უკანასკნელი ორი სურათის სიუჟეტი «ვეფხისტყაოსნის» გაგრძელებიდანაა.

კომპოზიცია ზოგიერთი სურათებისა თვალსაჩინოდ განირჩევა არსებული სხვა ცნობილი ხელნაწერების კომპოზიციებისაგან.

საზოგადოდ ამ ხელნაწერის სურათები უფრო ემსგავსებიან 1646 წლის ხელნაწერის სურათებს (№599 საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა), ვიდრე №5006 წერა-კითხვის საზოგადოებისა.

თავში და ბოლოში ხელნაწერს აკლია. მე ვადარებ ტექსტს ს. კაკაბაძის მიერ პირველ გამოცემას 1913 წლისა, ვინაიდან ეს ერთადერთი გამოცემაა ჯერჯერობით, სადაც ჩამატებანი და გაგრძელებანია დართული. ამის მიხედვით ჩვენს ტექსტს აკლია 127-ე ტაეპი და ეხლა ტექსტი იწყება 128-ე ტაეპის მესამე სტრიქონით: «ყოველი პირი მიწისა თქვენ ჳრმლითა დაგიმონია», მაგრამ ეს და ქვემოთ კიდევ ხუთი სტრიქონი დაწერილია მერმინდელის ხელით ლურჯ ქაღალდზე, რომლითაც თავი ამ პირველი დაცული ფურცლისა შეკეთებულია.



ბოლო თვით «ვეფხის-ტყაოსნისა» ისე თავდება, როგორც ს. კაკაბაძის გამოცემაშია, ესე იგი 1527-ე ტაეპით, და შემდეგ იწყება გაგრძელებანი «ვეფხის-ტყაოსნისა». ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკუდილის ცნობა. შემდეგ: ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთ დამორჩილება. შემდეგ: ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა. შემდეგ: ხვარაზმთ მეფისაგან ტარიელის ავადმყოფობის ცნობა, შიგ ჩამოდგომა. ამას ს. კაკაბაძის გამოცემაში ასეთი სათაური აქვს: აქა ტარიელის დასნეულება და ხვარაზმმა მეფისაგან სისხლის ძებნად მოსვლა ინდოეთს. მაგრამ ეს თავი დამთავრებული არაა ჩვენს ხელნაწერში და ტექსტი თავდება 1624-ე ტაეპით. სხვა აკლია. მოკლედ რომ ვთქვათ: ჩვენს ხელნაწერში მოთავსებულია ტექსტი, რომელიც კაკაბაძის გამოცემაში შეიცავს 128–1624 ტაეპებს. ამათ შორის 152-ე, 231-ე და 715-ე ტაეპები არ არის ჩვენს ხელნაწერში. ამას გარდა, ხელნაწერს შუაში აკლია ფურცლები: 82-ე და 140-ე და მათზე მოქცეული ტაეპები 797–813 და 1315–1325. სამაგიეროდ, ხელნაწერში მოქცეულია კიდევ ის შიგა და შიგ ჩამატებული ტაეპები, რომელნიც კაკაბაძის გამოცემაში ნაჩვენებია შემდეგის რიცხვებით:

137-1<sup>37</sup>), 145-1, 147-1, 159-1, 164-1, 168-1, 177-3, 189-1, 197-1, 214-1, 214-2, 231-5, 236-1, 253-1, 274-1, 274-2, 276-1, 276-2, 277-1, 277-2, 291-1, 292-1, 293-1, 302-1, 308-1, 308-2, 341-1, 344-1, 347-1, 381-1, 402-1, 452-1, 467-2, 512-1, 512-2, 545-1, 549-1, 605-1, 620-1, 631-1, 647-1, 672-1, 678-1, 684-1, 727-1, 727-2, 731-1, 736-1, 737-1, 763-1, 763-2, 768-1, 782-, 794-1, 914-1, 927-1, 970-1, 998-1, 1002-1, 1095-1, 1231-1, 1253-1, 1261-1, 1341-1, 1408-1, 1452-1, 1477-1, 1561-1, 1561-2, 1561-3, 1561-4, 1561-5.

ეს შეადგენს 72 ტაეპს. საზოგადოდ ამ ხელნაწერში ჩვენ გვხვდება მიმატებული ტაეპები, რომელნიც მოიპოვებინ ჩვენს მიერ აღწერილ ხელნაწერებში წერა-კითხვის საზოგადოებისა №№ 2829, 4429, 5006, 4732 და საისტორიო და საეთნ. საზოგადოებისა №№ 54, 461, 757.

ერთი მიმატებული ტაეპი, რომელიც ჩვენს ხელნაწერშია, არ არის კაკაბაძის გამოცემაში. ეს იქნება რიგით 1608-2:

ფრიდონცა არის თავისას მორჭმული შვეებით, ხარებით.  
მტერთა საშიში, ერთგულთა მოსაჯმრად დაუზარებით,  
მათ ძმათა ამბის საკითხი არ გაწყდის კაცი კარებით  
და გასცემდის ოქროს გუარსა, ლარს ნურვინ დაეკარებით.

ტექსტს ჩვენს ხელნაწერში უფრო ბევრი სათაური აქვს, ვიდრე სხვებში და ზოგჯერ შეცვლილიც. რიგი ტაეპებისა ხელნაწერში ზოგჯერ სხვაა, ვიდრე კაკაბაძის გამოცემაში. მაგალითად, კაკაბაძის გამოცემის ტაეპების რიგი ჩვენს ხელნაწერში ასე მისდევს ერთმანეთს: 1001, 1006, 1002-2, 1008, 1009, 1003, 1005, 1007, 1010; 1285-1289 ტაეპები 1294-ე ტაეპის შემდეგ არის მოქცეული და სხვა.

როდის და ვის მიერ არის გადაწერილი ჩვენი ხელნაწერი, შიგ ტექსტში არსად არ ჩანს, მაგრამ ხელის, ქაღალდისა და სურათების სტილის მიხედვით ხელნაწერი ჩვენის აზრით ეკუთვნის XVII საუკუნის მეორე ნახევარს. როგორც ეტყობა,

<sup>37</sup> ხაზს შემდეგ ის ციფრებია, რომელნიც კაკაბაძის გამოცემაში ზევით უწერია ხოლმე.

ხელნაწერში წინათ ყოფილა, მაგრამ არ შენახულა ყველა ის დამატებანი და გაგრძელებანი, რომელნიც ახასიათებენ ზოგიერთ მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის ხელნაწერებს და რომელნიც ეკუთვნიან სარგის თმოგველს, ნანუჩა ციციშვილს და როგორც ეხლა გამოირკვა, კიდევ იოსებ ტფილელს<sup>38</sup>) და სხვებს.

სურათების მეორე ცარიელ გვერდებზე მერმინდელი მინაწერებია, უმეტეს შემთხვევაში ულაზათო ლექსები. ორი ლექსი პირველი სურათისა ეკუთვნის ლუარსაბს, თარხნის ზაზას ძეს და დაწერილია 13 მაისს, 1812 წელს. თარიღი ასე აწერია: მაისის 13 ქკს უჟ თარხნის ზაზას ძე ლუარსაბ (ჩართულით). ტექსტი ხელნაწერისა ჩვენ დაწვრილებით შევადარეთ ს. კაკაბაძის გამოცემას და ყველა ვარიანტები აღვნიშნეთ მელნით აშიებზე. ვარიანტები ერთობ ბევრია და ზოგჯერ ფრიად საყურადღებო. ამიტომ საჭიროა მისი გამოყენება «ვეფხის-ტყაოსნის» ნამდვილი ტექსტის დასადგენად<sup>39</sup>). თუ ამასთან მივიღებთ მხედველობაში, რომ სურათებიანი «ვეფხის-ტყაოსნის» ხელნაწერები ცოტა მოგვეპოვება და ამ ხელნაწერის სურათები არ არის გამეორება რომელიმე არსებული ხელნაწერისა, არამედ სულ თავისებურია, ამით ამ ხელნაწერს მეტი ღირსება ემატება. სურათები თანამედროვეა ხელნაწერისა, რაც მტკიცდება იმით, რომ სამი მათგანი შიგ ტექსტშია მოქცეული. სტილი მათი და განცალკევებული სურათებისა ერთგვარია.

## აკადემიკოსი ნიკო იაკობის ძე მარი

### (სამეცნიერო მუშაობა და ღვაწლი)

ვისაც თუნდ ზერელედ თვალი უდევნებია კავკასიისმცოდნეობის განვითარებისათვის ამ 45 წლის განმავლობაში, მხოლოდ მას შეუძლია მწვავედ იგრძნოს ის აუნაზღაურებელი დანაკლისი, რომელსაც ნიკო მარის გარდაცვალება სტოვებს. მის შრომათა და ღვაწლის დაფასება საზოგადოდ მეცნიერებისათვის და კერძოდ, საქართველოს და მთელი კავკასიის მცოდნეობისათვის, რასაკვირველია, საგაზეთო წერილით ოდნავადაც არ ამოიწურება, – ამისთვის მთელი ტომის დაწერაც არ იკმარებს. ჩვენ მხოლოდ მოგონების სახით სულ მცირედ შევხებით მის მომზადებას სამეცნიერო შრომისათვის და სულ მოკლედ მოვიხსენიებთ ზოგიერთ დარგებს მისი სამეცნიერო შრომისა.

ნიკო იყო შვილი ინგლისის ქვეშევრდომის, შოტლანდიელი აგრონომის იაკობ მარისა და მისი მეორე მეუღლის, გურული ქალის ალათი შარაშიძისა, რომელიც იაკობს ღრმა მოხუცებულობაში შეურთავს. ნიკოს მამამ გააშენა ქუთაისის ცნობილი ბაღი, ფერმად წოდებული. შემდეგ ასეთივე ბაღის გაშენება დაეწყო მას ქალაქ

<sup>38</sup> იხ. გ ი ო რ გ ი ლ ე ო ნ ი ძ ე, «ვეფხის-ტყაოსნის» ახალი ხელნაწერი, ლიტერატურული მემკვიდრეობა», წიგნი I, ტფილისი, 1935 წ., გვ. 23.

<sup>39</sup> სამეცნიერო გამოცემა «ვეფხის-ტყაოსნის» ტექსტისა ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით და ყველა ვარიანტის აღნიშვნით ჩვენ კარგა ხანია გათვალისწინებული გვქონდა, და ჩვენმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ეს მიაწოდო პ. ინგოროყვას. პირველი ფორმა კიდევ აწყობილი იყო, მაგრამ ომის დაწყებამ 1914 წელს მოგვისპო საშუალება და შეაჩერა ყველა ჩვენი დაწყებული გამოცემანი.

ოზურგეთშიც, მაგრამ ეს ბალი შემდეგ მოსპეს და დღეს იმის კვალიც აღარა ჩანს. ის იყო, სხვათა შორის, პირველი პიონერი, რომელმაც ჩაის ბუჩქების მოშენება შემოიღო გურიაში. მე რომ ბავშვობაში მახსოვს, იაკობ მარი თავისი ოჯახით გრიგოლ გურიელთან ცხოვრობდა და გრიგოლი ინახავდა მთელს ოჯახს. გრიგოლი კეთილი ადამიანი იყო, კარგი ქართველი, პატრიოტი, მიმართულებით ფიზიოკრატი და ერთობ ზომიერი ცხოვრების მიმდევარი. ამით ის თვალსაჩინოდ განირჩეოდა სხვა გურიელებისაგან.

ის დიდ მზრუნველობას უწევდა პატარა ნიკოს როგორც მამის სიცოცხლეში, ისე ნამეტნავად შემდეგ. სხვათა შორის, მან შეიყვანა ნიკო ოზურგეთის უეზდის სასწავლებელში, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა და კერძოდ კიდევ ის მიაბარა იოსებ თაყაიშვილს, რომ სკოლის გარეთაც ესწავლებინა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან იმ დროს ოზურგეთის სასწავლებელი დახავსებულ სკოლას წარმოადგენდა. ერთადერთი ცხოველი სიტყვა ჩვენ იოსებ თაყაიშვილისაგან გავიგონეთ. ის ახალი ჩამოსული იყო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსიდან. ფრიად ნიჭიერი, სიცოცხლით სავსე, განათლებული, პატრიოტი და სიმპატიური ადამიანი ხელმოკლეობის გამო ვეღარ დაბრუნდა უკან და ოზურგეთის სასწავლებელში განწესდა მასწავლებლად. ის ჩვენთვის ავტორიტეტი იყო და დიდი საბედნიერო გავლენა ჰქონდა ყველა მის შეგირდზე. იოსები პირველი იყო გურიიდან, რომელმაც უნივერსიტეტის კარი იხილა, და როდესაც ჩამოვიდა, მთელი გურიის მრჩეველი და ხელმძღვანელი გახდა ყოველ საქმეში, მეტადრე გახრწნილ რუსის პოლიციასთან ბრძოლაში. რასაკვირველია, მან პატარა ნიკოზეც იქონია დიდი გავლენა, – სწავლა შეიყვარა. ამას ნიკოც იგონებდა, როდესაც იოსებ თაყაიშვილი გარდაიცვალა. მაგრამ ნიკო ოზურგეთის სასწავლებელში სულ მცირე ხანი იყო, – მამა მოუკვდა, და გრიგოლ გურიელის დახმარებით ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში მიიღეს სახელმწიფო ხარჯზე. მე ვხედავდი ნიკოს, როდესაც ოზურგეთის სასწავლებელში იყო და კიდევ ჩვენს სოფელ ლეხოურში, სადაც ის უქმ დღეებში იოსებ თაყაიშვილთან მოდიოდა ოზურგეთიდან ფეხით სამეცადინოდ. მამამისი ერთ-ორხელ დავინახე გრიგოლ გურიელის ეზოში, სადაც მე და ნიკო ვთამაშობდით, და ჩემზე დიდი მოხუცის შთაბეჭდილება დასტოვა, – ასე რომ, იმაზე მოხუცი მე ვერ წარმომედგინა. დედას არ შევხვედრივარ, ყოველ შემთხვევაში, სრულიად არ მახსოვს. როცა გიმნაზიაში წაიყვანეს ნიკო, მერე აღარ მინახავს რამოდენიმე წელიწადს. ბოლოს ქუთაისის გიმნაზიის მეხუთე კლასში შევხვდით ერთმანეთს, სადაც მე პროგიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევედი. სწორედ იმ წელს ქუთაისის გიმნაზიის დირექტორად მოვიდა ალექსანდრე სტოიანოვი პეტიგორსკიდან. ის წინეთ ინსპექტორადაც ყოფილიყო ქუთაისში. ალ. სტოიანოვი დიდი და მრავალმხრივ განათლებული კაცი იყო, – კარგი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი. მის სვანეთში მოგზაურობას დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა; მუსიკოსი (ფლეიტაზედ უკრავდა), დიდი მონადირე, – ამბობდნენ, თოფს გაფრენილ ჩიტსაც არ დააცილებსო. მიმართულება მაშინ ლიბერალური ჰქონდა და მზრუნველთან ერთობ თავისუფლად და გაბედულად ეჭირა თავი. სწორედ იმავე 1880 წელს, როდესაც ის დირექტორად დაინიშნა, მან მზრუნველს წარუდგინა მოხსენება ქართული ენის სწავლების შესახებ, რომელშიაც მედგრად იცავდა დებულებას, რომ პირველდაწყებითი სწავლა სამშობლო ენაზე უნდა წარმოებდეს, შემდეგი განათლებაც სამშობლო ენის საშუალებით უნდა მიმდინარეობდეს; მოსამზადებელ

კლასში უნდა იყოს კვირაში ოთხი გაკვეთილი ქართული ენისა, პროგიმნაზიულში – თითო და უმაღლეს კლასებში ქართული ლიტერატურაც უნდა ვასწავლოთო. რუსის შეგირდები ქუთაისის გიმნაზიაში ვალდებული უნდა იყვნენ ქართული ენა შეისწავლონ და სხვა (იხ. გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864–1865, გვ. 238–239). თვით სტოიანოვი ჩვენ ისტორიას გვასწავლიდა. მას ისტორიის სახელმძღვანელო ილოვასკისა არ სწამდა. თვითონ ზეპირად მოგვითხრობდა ისტორიას და შემდეგ კონსპექტს გვიწერდა დაფაზედ. ნიკო თვით ამბობს თავის ბიოგრაფიაში, რომ ეთნოგრაფ სტოიანოვს მის მიმართულებაზე დიდი გავლენა ჰქონდა. შეგირდებისათვის ერთობ კარგი დირექტორი იყო. მან მოგვცა ნება ქართული ხელნაწერი გაზეთი გამოგვეცა და მატერიალური დახმარებაც აღვვითქვა, ცენზორად ცნობილი განათლებული მასწავლებელი სიმონ ლოლობერიძე დაგვინიშნა. ნ. მარი თავის მოკლე ავტობიოგრაფიაში ამბობს, რომ გიმნაზიაში ცელქი იყო, მაგრამ ეს ალბათ მეხუთე კლასამდე იყო. ჩემს დროს ის დინჯი და კარგი შეგირდი იყო. როგორც ფრიად ნიჭიერ შეგირდს, გაკვეთილების მომზადება სრულიად მცირე დროს ართმევდა, მაგრამ ის სხვებსავით ამით არ კმაყოფილდებოდა – ბევრს კითხულობდა, და ნამეტნავად შეუდგა ენების შესწავლას და დაუხმარებლად, თავის თავად მშვენივრად შეისწავლა გერმანული, ინგლისური, ფრანგული, და ამ ენებზედ შეეძლო თავისუფლად კითხვა: ბერძნულს და ლათინურს ხომ გიმნაზიაშიც გვასწავლიდნენ. ყველა საგნებში ის დიდ ნიჭს იჩენდა, ხოლო განსაკუთრებით ენების ცოდნაში.

ნიკო რედაქტორი იყო ერთხანს ქართული საკლასო გაზეთისა, სწერდა პატრიოტულ ლექსებს, სტატიებს და ახსნა-განმარტებას ზოგიერთი ქართული გეოგრაფიული სახელებისა, როგორც არის პალიასტომი, ბათუმი და სხვა. მიმართულება მაშინ ქართულ საზოგადოებაში დემოკრატიულ-პატრიოტული იყო. ყოველ კვირაში იბეჭდებოდა აკაკის და სხვების ლექსები და ეს გვიტაცებდა. ლექსთა მანია ხომ ქართველების ზედ დაყოლილი თვისებაა, და მაშინ ვერ წარმოგვედგინა გამოჩენილი საზოგადო მოღაწე, თუ არ ლექსთა მწერალი, ვინაიდან იმ დროს ჩვენი მოღვაწენი და ქართული საზოგადოების ხელმძღვანელები – ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, გ. წერეთელი და სხვები სულ ლექსებს სწერდნენ. ჩვენც ამ მიმართულებით ვიყავით შეპყრობილი, მაგრამ ჩვენდა სანუგეშოდ მერვე კლასში ეს უკუვგადეთ; შევიგნეთ, რომ პოეტებად არ ვარგივართ; ხოლო მარის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ის საკმაოდ კარგ ლექსებს სწერდა და რომ განეგრძო, გვარიანი პოეტი გამოვიდოდა. მიმართულებით ის პატრიოტიზმის რადიკალი იყო, და როცა ალექსანდრე II მოკვლის შემდეგ აკაკის ცნობილი ლექსი დაიბეჭდა – „დღეს მერცხალი შემოფრინდა“ და სხვა, მარმა უპასუხა: „მერცხლის ჭიკჭიკით კი არა, მედგარი ბრძოლით და იარაღით უნდა მოქმედებო“. რასაკვირველია, იმ ლექსებიდან აღარაფერი შენახულა, მხოლოდ განსვენებულ გიორგი ლასხიშვილს მოჰყავს თავის მოგონებაში ერთი ოთხ-სტრიქონიანი მარის ლექსი და ამბობს, რომ მე ამ ლექსს ყოველთვის ვიმღერდიო. ნიკოს მუსიკალური ნიჭიც ჰქონდა – კლარნეტზე უკრავდა და მონაწილეობას იღებდა სტოიანოვთან ერთად გიმნაზიის ორკესტრში. ზოგჯერ ეს ორკესტრი საჯაროდაც გამოდიოდა საღამოებზე თეატრში. ერთხელ მარმა თავისი რაღაც მელიოდია შეთხზა და ასწავლა ორკესტრს და მუსიკით შეხვდა სტოიანოვს, როცა ის გიმნაზიაში მოვიდა აღდგომის მოსალოცად.

ვიწრო წრეში, როცა მეშვიდე კლასში ვიყავით, ხშირად გვქონდა საუბარი, რა ჯობს, რა ეჭირვება დაბეჩავებულ საქართველოს, რომ უკეთ გამოვადგეთ, ხალხს ვუშველოთ, და სხვა საზოგადო ახალგაზრდობის ოცნება. ჩვენ იმ დასკვნაზე მივდიოდით, რომ უმეტესად საჭიროა პედაგოგები, კარგი ლიტერატორები, საქართველოს ლიტერატურის და ისტორიის შესწავლა, ენის გამოკვლევა, აგრანომები, დოხტურები, ინჟინრები და სხვა. ვინაწილებდით დარგებს, ხოლო მარს ყოველთვის ვაკუთვნებდით ქართული ენის შესწავლას, ვინაიდან ენების ცოდნაში ფრიად დიდ ნიჭს იჩენდა. ისიც ამ აზრს ადგა და ეს ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ იმავე ზაფხულში ის რეპეტიტორად მიიწვია ტიტკო ერისთავმა სოფელში, თავის ოჯახში, მისი ძმისთვის. ტიტკო სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი იყო იმ დროს, მოთხრობებსაც სწერდა, მაგრამ მკურნალობით დიდად გატაცებული იყო. მისმა საუბარმა ისე იმოქმედა მარზე, რომ როდესაც დაბრუნდა გიმნაზიაში, ჩვენ გამოგვიცხადა, მე სამკურნალო ფაკულტეტზე უნდა შევიდეო, ყველაზე უფრო ჩვენს ხალხს ეს ესაჭიროებაო. ჩვენ ვერ დავაჯერეთ, რომ ეს მისი საქმე არ არის, ამისთვის სხვებიც გამოდგებიან და მისი ნიჭი ყველაზე უფრო ქართული ენის შესწავლაში მოიტანს შედეგებს. მე და ის თითქმის წავიჩხუბეთ. ბოლოს მაინც ხელი აიღო ამ განზრახვაზე, მაგრამ ეხლა სხვა აზრებმა, სხვა იდეებმა გაიტაცა. იმ დროს ზაქარია ჭიჭინაძე ხშირად ბეჭდავდა ქართულ ბროშურებს და ავრცელებდა ხალხში. მართლა დიდ ენერგიას იჩენდა წიგნების გავრცელებაში. მარს, რასაკვირველია, ეს მოსწონდა და ერთ დღეს დასტოვა პანსიონი და გაიპარა ტფილისში, რომ ზაქარიას მიემშველოს წიგნების შედგენაში და გამოცემაში. ჩვენთვის არაფერი არ უთქვამს, ხოლო მისი პანსიონის ახლობელ ამხანაგს ნ. გოგიტიძეს გაანდო. ცოტა ხანს ზაქარიასთან იყო, მას ეხმარებოდა წიგნების ბეჭდვაში, კორექტურაში<sup>40</sup>, მაგრამ სახსარი ცხოვრებისა არც ზაქარიას ჰქონდა და არც მარს. მერმე შეეცადა ბოტანიკურ ბაღში მოწყობილიყო სამსახურში, მაგრამ არ მოხერხდა. მერმე უნდოდა ბიბლიოთეკარი გამხდარიყო, მოსწერა ნ. გოგიტიძეს და სტოიანოვმა გაუგზავნა რეკომენდაციის წერილი, მაგრამ ვერც ამით გახდა რასმეს. მშიერ-მწყურვალმა გადასწყვიტა უკან დაბრუნება. შეეკითხა ნ. გოგიტიძეს, მიმიღებენ უკან რომ დავბრუნდე თუ არაო. უნდა მოგახსენოთ, სტოიანოვს დიდად ეწყინა მარის ასეთი საქციელი და დაავალა თავის ინსპექტორს სტარიცკის, ცნობები და ამბები გაუგოს გაქცეული შეგირდის შესახებ და მისთვის მოეხსენებინა. ნ. გოგიტიძემ ჯერ არაფერი გაუმხილა სტარიცკის, მაგრამ როცა დაინახა, რომ სტოიანოვი ფრიად კეთილი განწყობილებით არის აღჭურვილი მარისადმი, ყველაფერი გააგებინა და მისწერა მარს, რომ დაუბრკოლებლად მიგიღებენ უკან, თუ მალე დაბრუნდებიო. ნიკო დაბრუნდა გამხდარი, გაყვითლებული, მოწყენილი და ჩაღლეტილი. სტოიანოვმა განკარგულება გასცა, არავის არაფერი საყვედური არ ეთქვა მარისათვის და არც რაიმე ამბავი ეკითხა, სად იყო, რას აკეთებდა ან რატომ გაიპარა, ისე მიეღოთ, თითქოს ის პანსიონიდან არცკი წასულიყო. მარი მერმე დაწყნარდა და თავისებურად ენერგიულად შეუდგა მეცადინეობას. ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ როგორც მაშინ ვამბობდით მის შესახებ, ერთხელ კიდევ „შეუპრინტა“. როდესაც სიმწიფის

<sup>40</sup> როცა მარი პროფესორად გახდა და პირველ ხანში სომხური კულტურის გავლენას ქართულზე გადაჭარბებულად სახავდა, ზაქარია ჭიჭინაძემ თავმომწონედ მითხრა: მარი როგორ ბედავს ამას, ის ჩემი შეგირდია, მე იმას ვაყურებიანებ სეირსო!

ატესტატის და გამოცდების დრო მოვიდა, ნიკომ გამოგვიცხადა, ეგზამენებზე არ წავსდგებო, ერთი წელიწადი კიდევ უნდა დავრჩე გიმნაზიაში, რომ ძველი ენები უკეთ შევისწავლო, თორემ უნივერსიტეტში ამისთვის დრო არ მექნებაო. ძველი ენები, ისე როგორც სხვა საგნები, ყველაზე ჩვენზე უკეთ იცოდა, კანდიდატად ირიცხებოდა ოქროს მედლის მისაღებად და რასაკვირველია, მიიღებდა, რომ ეგზამენები დაეჭირა, მაგრამ არ მოისურვა. ეს რომ სტოიანოვმა გაიგო, დამიბარა (მე სტოიანოვს კარგად მივაჩნდი) და მითხრა, დააჯერეთ როგორმე მარი, ნუ იქმს ამ სისულელესო. მე ნება არა მაქვს მეორე წელიწადს დავსტოვო პანსიონში, ადგილი სხვას უნდა დაუთმოს, კანდიდატები ბევრიაო, და შემდეგ კიდევ ვის გაუგონია, შეგირდს გიმნაზიის გათავება შეეძლოს, იგიც ოქროს მედლით და განგებ არ ათავებდესო. ბევრი ველაპარაკეთ, მაგრამ თავის გადაწყვეტილებაზე უარი ვერ ვათქმევინეთ. მიატოვა გიმნაზია და წავიდა გურიში. სტოიანოვმა აქაც თავისი კაცი კაცობა გამოიჩინა. მანვე იშუამდგომლა მზრუნველთან და დასტოვეს კიდევ პანსიონში ერთ წელიწადს. ასეთი იყო ალ. სტოიანოვი შეგირდებისათვის. ამას არც ერთი სხვა დირექტორი არ იზამდა. თუ შეამჩნევდა, რომ შეგირდი ნიჭიერია და საიმედო მოქალაქე გამოვა, ყველაფერს აპატიებდა, მეტადრე თუ ჩანადენს ცუდი ზნეობრივი ხასიათი არ ჰქონდა.

გაათავა თუ არა მეორე წელს გიმნაზია ოქროს მედლით, სტიპენდია მიიღო, ნივთიერად კიდევ გრიგოლ გურიელი დაეხმარა, მოვიდა პეტერბურგში და შევიდა აღმოსავლეთის ფაკულტეტზე. ქუთაისში მეორე წელს დარჩენის დროს, გარდა ძველი ენების საფუძვლიანად შესწავლისა, თათრული ენაც შეესწავლა. აღმოსავლეთის ფაკულტეტი იმ დროს სამი განყოფილებისაგან შესდგებოდა: ქართულ-სომხურის, არაბულ-სპარსულ-თურქულის და სემიურისა, რომელშიც ქალდეური ენა-კილოკავებიც შედიოდა. მარი სამივე განყოფილებაზე სწავლობდ ყველა ენებს და საგნებს, რომელთაც აქ ასწავლიდნენ. მარი არათუ თვითონ ბეჯითად მეცადინეობდა, თვით პროფესორებიდან მოითხოვდა, სემინარულად მუშაობის მაგიერ ლექციები ეკითხათ. ქართულ-სომხურ განყოფილებაზე, მაგალითად, აიღებდნენ ტექსტებს, დაბადებისა თუ სხვას, იმას თარგმნიდნენ და თარგმნის დროს გრამატიკულ ფორმებს უხსნიდნენ. ჩვენ ალ. ცაგარელი ვაიძულეთ, ქართული ლიტერატურის ლექციები ეკითხა. პატკანოვს მარმა უთხრა, დაბადების ტექსტს ჩვენ უთქვენოდაც მოვერევით. საქმე ის არის, სომხური ისტორიის ლექციები წაგვიკითხოთო. თავის გასამართლებლად პატკანოვმა უთხრა, რა ისტორია უნდა წაგიკითხოთ, სომხებს ისტორია არა აქვთ, სომხებს ნაწყვეტები აქვთ ზოგიერთ ხანაზე, ეს რა ისტორია არისო! ამას, რასაკვირველია, თავის გასამართლებლად ამბობდა, თორემ ისე სომხის ისტორიკები თავის გამოცემებში ცამდე აჰყავდა.

ყველაზე უფრო მარს არაბისტი როზენი მოსწონდა, ვინაიდან ის დიდის ყურადღებით კითხულობდა ლექციებს, ბევრს ამუშავებდა სტუდენტებს და სასტიკი მომთხოვნელი იყო მეცადინეობისა, მარისთვისაც ეს იყო სასურველი. საზოგადოდ, როზენს მარზე დიდი გავლენა ჰქონდა.

მეორე წელს აღმოსავლეთის ფაკულტეტზე ყოფნისა, როცა არაბული ენა შეისწავლა და მისი ნორმები ქართულს შეუდარა, მარი იმ დასკვნაზე მივიდა, რომ ქართული ენა სემიურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის. ამ პრობლემამ ერთობ გაიტაცა, როზენს გააცნო თავისი დებულებები, მაგრამ როზენი პირველად დიდის უარყოფით შეხვდა, ცაგარელი კიდევ უფრო მეტად. მარი ამბობს, რომ შემდეგ, როცა ქართული

ზმნების ძირითადი ტაბულები დაამზადა და მას დაურთო წინასწარი ცნობანი ქართული ენის ნათესაობისა სემიურ ენებთან და ეს სტატია სამი დღის წინ გარდაცვალებისა როზენს წაუკითხა, ის დამეთანხმაო. როდესაც თავისი დებულებები ჩვენ, ქართველ სტუდენტებს გაგვაცნო, ჩვენ წასახალისებლად მოვუწონეთ, რომ ჩაბმულიყო ამგვარ კვლევა-ძიებაში, მაგრამ მართალი უნდა ვთქვათ, არაფრად მოგვიწონებია, რომ ურიებს დაგვანათესავა. ჩვენ არიელობა გვინდოდა. საქმე ის არის, რომ არიულობა მაშინ დიდ მოდაში იყო. კაცობრიობაში ცივილიზაციის შემქმნელებად არიელები გამოჰყავდათ: ეს რჩეული, არისტოკრატიული, ნიჭიერი, მხნე და მამაცი რასა იყო მაშინდელის შეხედულებით, სხვები კი მეორე ხარისხოვნად მიაჩნდათ, ისე როგორც ეხლა ჰიტლერი აღიარებს. სომხური ენა არიულად იყო ცნობილი და ამით სომხებს დიდად მოჰქონდათ თავი. სულ ხუმრობით არ იყო ნათქვამი ის, რაც ერთხელ ჩემთან ნიკო მარს უთხრა „მშაკის“ რედაქტორმა კალანთარმა. მოგეხსენებათ, რომ შემდეგ კვლევა-ძიებაში ნიკომ სულ შეიცვალა აზრი: ქართული ენა თუმცა მონათესავეა სემიტური ენისა, მაგრამ სემიტურ ჯგუფს არ ეკუთვნის, არამედ ცალკე ჯგუფს შეადგენს, ისე როგორც ქამიტური, და ამ ჯგუფს იაფეტური ჯგუფი უწოდა. სომხებსაც სანახევროდ ჩამოართა არიელობა. წინანდელი მისი თეორიით, როდესაც არიელი სომხები მოვიდნენ სომხეთში, მათ იქ იაფეტელები დახვდათ, მათ შეერიენ, და ეხლანდელი სომხები ნარევი ტომი არის, ისე როგორც მათი ენა შერეულ ენას წარმოადგენს, იაფეტურს და არიულს, ხოლო იაფეტური სჭარბობსო. ეს, რასაკვირველია, სომხებს მაინცდამაინც არ მოსწონდათ. საუბარი რაღაც გახრწნილობაზე და ავაზაკობაზე იყო რომელიღაც სომხის კუთხიდან მოწერილის ცნობების გამო. მარმა თქვა, ეს საკვირველი ამბავიაო. კალანთარმა უთხრა: იცით, ნიკო იაკობის ძევ, ჩვენ სომხებს არა გვიშავდა რა, წინათ უკეთესი ზნეობისა ვიყავით, მაგრამ ეგ იაფეტელები რომ შემოგვირიე, იმან გაგვაფუჭაო. თავის პირველ აღმოჩენას, მაშინდელის მისი შეხედულებით, ნიკომ პატარა წერილი უძღვნა გაზეთ „ივერიაში“ (1888 წ. № 86) სათაურით: „ბუნება და თვისებები ქართული ენისა“. აქედან იწყება მისი მეცნიერული მუშაობა.

მე ერთის წლით ადრე წამოვედი პეტერბურგიდან ტფილისში. წამოსვლის ხანს თათბირზე მან გამოაცხადა, მისი პეტერბურგში დარჩენა უნივერსიტეტის გათავების შემდეგ შეუძლებელია, ვინაიდან ქართულ განყოფილებაზე ადგილი არ არის და რომც იყოს, ა. ცაგარელი მას არ დატოვებს, სხვაზე ის არ დარჩება. ყოველ შემთხვევაში, მას ურჩევნია ტფილისში ჩამოვიდეს და იქ მოჰკიდოს ხელი ან გაზეთის გამოცემას, ან სხვა რამეს, რაც შესაძლებელი იქნება. ამიტომ მე დამავალა შემეტყო ადგილობრივი გარემოება და მისთვის დაწვრილებით მეცნობებინა. როდესაც მე, ცოტად თუ ბევრად, გავეცანი ჩვენს ქართულ საზოგადოებრივ გარემოებებს და ჩვენს დაწესებულებებს, სრულის შეგნებით არ ვურჩევდი მას ტფილისში ჩამოსვლას. აქ, რასაკვირველია, სახეში მქონდა მისი ხასიათი და თანაც რწმენა, რომ მისი საქმე, მისი მოწოდება უნივერსიტეტი და მეცნიერება იყო, მით უმეტეს, რომ უკვე ასეთი მუშაობა დაწყებული ჰქონდა და მაშინ კიდევ ის ამზადებდა სამედალოდ გამოკვლევას ძველი ქართული რომანების შესახებ – „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვისრამიანისა“. ჩემი წამოსვლის შემდეგ მისი კონფლიქტი პროფ. ა. ცაგარელთან უფრო გამწვავებულიყო. საკონკურსო თხზულებისათვის მან მარს მხოლოდ ვერცხლის მედალი მიუსაჯა. უნივერსიტეტში დატოვებისათვის შუამდგომლობა არ აღირსა, ვერც იშუამდგომლებდა, ვინაიდან ქართულ განყოფილებაზე ადგილი არ იყო. თვით

ცაგარელი, თუმცა დოქტორი იყო მეცნიერების, მაგრამ ექსტრაორდინარულ პროფესორად ითვლებოდა, ორდინარული პროფესორი კ. პატკანოვი იყო. როცა ის გაათავებდა სამსახურს, ცაგარელი მაშინ მიიღებდა ორდინარულ პროფესორობას და თავისუფალი იქნებოდა სომხური ენისა და ლიტერატურის დოცენტობა. ამიტომ მარს კ. პატკანოვმა მისცა წინადადება, რომ მომზადებულიყო სომხურ ენასა და ლიტერატურაში. მარი უარზე იდგა. მე მომწერა, შენ ხომ იციო, ჩემი მიზანი ქართული ენის გამოკვლეა არის და მე სომხურ ენას მაძლევნო. მე ვურჩევდი, უსათუოდ მიეღო წინადადება და ვამტკიცებდი, რომ ამით ქართულ ენას არავითარი ზარალი არ მოუვა, მით უმეტეს, რომ როდესაც პროფესორობას მიიღებს, შემდეგ თავისუფალია – რა დარგშიც უნდა, იმ დარგში იმუშავეს. მაგალითებიც მოვუყვანე. მარი კიდევ უარზე იყო. გარემოებაც ხელს უშლიდა: როცა პეტერბურგის სომხის კოლონიამ გაიგო, რომ კ. პატკანოვი ქართველს ტოვებს სომხური ენის პროფესორად, ერთი აურზაური შეიქმნა, ეს სომხური საქმის ღალატად დასახა და უნივერსიტეტის მთავრობასთან და განათლების მინისტრთან დელეგაცია გაგზავნა, რომ სომხური კათედრა სომხისთვის შეენახათ და არამც და არამც ქართველისათვის არ მიეცათ. მათ უთხრეს, მარი ქართველი არ არისო, მაგრამ სომხებმა უპასუხეს, გვართ არაა ქართველი, თორემ აღზრდით და მიმართულებით პირწავარდნილი ქართველი არისო. მარმა გადაწყვეტილება მაშინ მიიღო სომხურ განყოფილებაზე დარჩენისა, როდესაც ტფილისში ჩამოვიდა, მოსინჯა მდგომარეობა, მზრუნველთანაც იყო, ყველაფერი აწონ-დაწონა და დამეთანხმა. მე ვეუბნებოდი, არათუ სომხური, ჩინურიც რომ მოგცენ, მაინც იქ დარჩენას გირჩევ-მეთქი. წინათ ეჭვი ჰქონდა, რომ მე განგებ ვუხატავდი უნუგემო მდგომარეობას, რომ ამით მეიძულებინა უნივერსიტეტში დარჩენილიყო. ეხლა თვით დარწმუნდა, რომ უნივერსიტეტში დარჩენა სჯობია. მიიღო რა სომხური განყოფილება, მარი მედგრად შეუდგა სომხური ენის შესწავლას და ერთი-ორი წლის შემდეგ არათუ მწიგნობრულად იცოდა ზედმიწევნით ძველი სომხური ენა და ლიტერატურა, არამედ თავისუფლადაც ლაპარაკობდა ახალ სომხურზე.

ერთი სიტყვით, ნ. მარი მრავალი მერყეობის შემდეგ მოეწყო უნივერსიტეტში, ჩადგა თავის კალაპოტში, და ამით ყველა მისი ამხანაგი მოხარული და დამშვიდებული ვიყავით. ეხლა მარტო ცოლის შერთვა აკლდა, რომ ოჯახურადაც კარგად მოწყობილიყო, რასაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანისათვის და ნამეტნავად მეცნიერისათვის.

აქ საჭირო არ არის ამ დელიკატურ საგანზე გავაგრძელო სიტყვა. ვიტყვი მხოლოდ, რომ პირველმა ახალგაზრდა ქალიშვილმა, რომელიც მას მოსწონებოდა და რომელსაც მისთვის სიტყვა მიეცა, უღალატა, ბოლოს უარი მოსწერა და ერთ ცნობილს პროფესორს გაჰყვა, თუმცა შემდეგ მასაც გაეყარა. ამან ერთხანს ცუდად იმოქმედა მარზე, უნუგემო წერილებს მწერდა ამის შესახებ და ასახელებდა ერთ ახალგაზრდა მანდილოსანს, რომელსაც თითქოს ეს საქმე ჩაეშალოს. მაგრამ მარს ყველაზე უფრო მეცნიერება უყვარდა და ამან ეს პირველი რომანიც ადვილად გადაატანინა. შემდეგ მომწერა, პროფესორ ჟუკოვსკის დას ვირთავო და შემიდლია დაგარწმუნო, რომ ის ჩემი დიდი მოძვლელი იქნებაო. მართლაცდა, მარისათვის უკეთესი მეუღლე წარმოუდგენელი იყო: განათლებული, ენერგიული და საუცხოო დიასახლისი, დიდი პრაქტიკოსი ოჯახურ საქმეებში. ეს მანდილოსანი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ თავისი ქმრისათვის ხელი შეეწყო მეცნიერულ მუშაობაში. მარრი



ყოვლად უპრაქტიკო კაცი იყო, პანსიონში ყველაფერი მზად ჰქონდა და არაფერი საოჯახო საზრუნავი არ ჰქონდა. როდესაც სახლში დედასთან იყო გურიაში, დედა თავს ევლებოდა. სტუდენტობაში დავით ქუთათელაძესთან ცხოვრობდა ერთ ოთახში და ის ეხმარებოდა. თვითონ თავისთვის არც საჭმელი ახსოვდა, არც სასმელი, არც ჩაცმა-დახურვა. ხონში მასზე მთელი ანექდოტები დადიოდა. ერთი მოგზაურობიდან გამოველო ხონში და მისულიყო სწორედ დავით ქუთათელაძის მამასთან, ცნობილ ვასილ მღვდელთან, სულ ისე ჩაღლეტილი, რომ ყველას გაკვირვებოდა: იმერლები ხომ ყველა წვრილმანს შენიშნავენ და ხონელები ნამეტნავად. ასე ეთქვათ, ეს რა პროფესორია, შენი ჭირიმე, წინ მარტი უჩანს და უკან აპრილიო. მისმა მეუღლემ მიაიმბო, როდესაც ჯვარი დავიწერეთ და სახლში წავედით „ვანკით“ (ერთცხენიანი ეტლით), მას ჯიბეში ექვსი შაური არ აღმოაჩნდა, რომ ეტლი გაესტუმრებინაო. აი, ამისთანა უპრაქტიკო მეცნიერს შეხვდა ასეთი პრაქტიკული მანდილოსანი, რომელმაც იმრიგად მოუწყო ცხოვრება, რომ მას საზრუნავი თავისი მეცნიერების მეტი არაფერი ჰქონია. მატერიალური მდგომარეობა ნ. მარრისა პირველ ხანებში ერთობ შევიწროებული იყო. სტუდენტობაში მას მარტო სტიპენდია 25 მანეთი ჰქონდა, სხვა არაფერი და ამით ცხოვრობდა, რასაკვირველია, ღარიბად. უნივერსიტეტში რომ დატოვეს, 50 მანეთი ჰქონდა და როცა პრიატ-დოცენტი გახდა – 100 მანეთი. ამით უნდა ეცხოვრა მთელი 15 წელიწადი ცოლ-შვილით. შვილი ორი ჰყავდა – ერთი მოუკვდა რევოლუციის დროს, მეორე – ნიჭიერი იური ეხლა სპარსული ენის მეცნიერია ტფილისში საარქეოლოგიო ინსტიტუტში. მისმა მეუღლემ შეისწავლა ქართული და სომხური და ენერგიულ დახმარებას უწევდა გადაწერაში, კორექტურის გასწორებაში, ბეჭდვაში და სხვა. თუ ამას დავუმატებთ, რომ თავის უპრაქტიკო ქმარს ის ყოველგან, ყველა მოგზაურობაში თან დაჰყვებოდა – ანისში<sup>41</sup>, სვანეთში, აფხაზეთში, სამეგრელოში, სომხეთში, ევროპაში – გერმანიაში, საფრანგეთში, ისპანიაში, აფრიკაში, მცირე აზიაში, ალჟირში და სხვა და ყოველგან ისე მოაწყობდა მარრს, რომ არავითარი ნაკლი არ ეგრძნო. ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა დიდი სამსახური გაუწია მადლიანმა მეუღლემ თავის ნიკოს.

საბედნიეროდ, ასე კარგად მოეწყო ნ. მარრი მეცნიერებაში სამუშაოდ. მაგრამ ეს არ უშველიდა, რომ სხვა შესაფერი თვისებები არ ჰქონოდა. ის დიდად დაჯილდოებული იყო ბუნებისაგან, დიდი ნიჭის პატრონი იყო, დიდი მეხსიერების და ინტუიციის მქონე, კვლევა-ძიების უნარი ერთობ დიდი ჰქონდა. ესაა თავი და თავი, მაგრამ ეს დიდი ტალანტი იმ დიდ ნაყოფს ვერ მოიტანდა, რომელიც მან მოგვცა, რომ მას თანდაყოლილი არ ჰქონოდა გამოუთქმელი შრომის უნარი, წარმოუდგენელი ენერჯია და გატაცება თავისი საგნისადმი. მარრი დაუღალავი მუშაკი იყო, დასვენება არ იცოდა. ერთხელ მომწერა, დღე და ღამეში 24 საათია, მაგრამ მე არ მყოფნისო, ვერ ვასწრებ, რაც მოსასწრებია, არ ვიცი, სად მიდის ეს საათებიო. ის რა თემასაც დაისახავდა გამოსაკვლევად, ეს თემა, მისი იდეა, მას

<sup>41</sup> ანისი, ერთხელ ცნობილი სატახტო ქალაქი სომხეთის პატარა სამფლობელოსი და დიდი სავაჭრო ცენტრი, დღეს ნამდვილ უდაბნოს წარმოადგენს თავისი ნანგრევებით. ეს არის ეხლა სამფლობელო გველთა და მორიელთა, ზაფხულში სასტიკად ცხელა, ზამთარში ცივა. უნებლიეთ მაგონდება სიტყვები ერთი ცნობილი ადვოკატისა, რომელსაც ანისი ენახა: რუსები სულელებია, დამნაშავე სომხებს ციმბირში გზავნიანო; მე მათ ადგილზე ანისში გავგზავნიდი, მათ სატახტო ქალაქშიო. ნ. მარისთვის, სადაც სამეცნიერო სამუშაო იყო, იქ სამოთხე იყო.

პოეტურად შეიპყრობდა, გაიტაცებდა, ექსტაზში მოიყვანდა და ის მთელი ბუნებით ამ საგნის განხილვაში იყო ჩაფლული. ეს უადვილებდა საქმეს, აჩქარებდა მუშაობას და აღრმავებდა მის გამოკვლევას. მას გაუტაცებლად და ასე ვთქვათ, უგულოდ თავის დღეში არაფერი დაუწერია. ასეთივე გავლენა ჰქონდა მასზე ყველა ახალ ადგილებს, ახალ კუთხეებს და ქვეყნებს, სადაც ის არქეოლოგიური და ლინგვისტური მიზნით გამოსაკვლევად მიდიოდა. მას ახალი ადგილი უაღრესად შეუყვარდებოდა. თუ გნებავთ, ამაში იყო მისი კვლევის სიძლიერეც და სისუსტეც. ეს აზრი მას გაკვრით გამოთქმული აქვს თავის სვანეთის მოგზაურობაში, მაგრამ უფრო ნათლად ჩემთან პირადად უამბია. ჩემისთანა კაცი გინახავსო, მითხრა ერთხელ, როცა მე ანისში ვარ, უკეთესი ადგილი თუა დედამიწაზე არ მგონია; ჰაერიც მომწონს, მდებარეობაც, იქ მუშაობაც, არ მინდა იქიდან წამოვიდეო. როცა სვანეთში ვარ, მის ბუნებას აღტაცებაში მოვყავარ, ხალხიც მომწონს, მიყვარს და ასე მგონია, ძველ ქრისტეს წინ მცხოვრებ ქალდეველებში ვარო, მათ ზნე-ჩვეულებას, მათ წარმართულ სარწმუნოებას სულ ნათლად ვხედავ, მინდა სამუდამოდ იქ დავრჩეო. ამ თვისების გამო სულ ხუმრობით არ იყო ნათქვამი, როცა ნიკომ განაცხადა: ჩრდილო აფრიკაში, ალჟირში მივდივარო. პროფესორმა ადონცმა, ყოფილმა მისმა მოწაფემ უთხრა: აბა, ეხლა ქვეყნის ჭიპად ალჟირი იქნება გამოცხადებულიო. პოეტური გრძნობის განცდის შედეგია მისი სიტყვები, როდესაც ის თავისი მოგზაურობის დროს კლარჯეთში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღწერილ შატბერდის მონასტერს ეძებდა და ეხლანდელ პორტად წოდებული ეკლესიის ნანგრევები ძველ შატბერდად მიიჩნია. მას დაავიწყდა ამიერი სოფელი და თვალცრემლიანმა იგრძნო სიახლოვე ძველი ქართული კულტურული კუთხისა, სალიტერატურო ცენტრისა, თითქოს შეუერთდა ძველ მუშაკებს, თითქოს გრიგოლ ხანძთელიც მზად იყო მოსულიყო და მიეცა მამიებლისთვის პასუხი, თუ სად არის შატბერდი.

როგორც თვითონ იყო ენთუზიასტი და გატაცებული მეცნიერული მუშაობით მარრი, ისე თავის მსმენელთა და თანამშრომელთაგან მოითხოვდა ასეთ გატაცებას და გადაუჩვეველ შრომას. ერთმა ამბავმა, რომელიც მან მიაგმო, ბევრი მაცინა: 1912 წელს მისი თანამშრომელი, ეხლანდელი პროფესორი იოსებ ორბელი ვანში გაგზავნა ლურსმული წარწერების შესაკრებად და გამოსაკვლევად. ზაფხულის ბოლოს ორბელმა გამოგზავნა მოხსენება, თუ რა გააკეთა, როგორ იმუშავა და სხვა. ბოლოს თავისი წერილით მორიდებით და მორცხვად ასე ამცნო თავისი ცოლის შერთვა: а кстати я женился «совсем не кстати». მე მივწერეო: მე სამეცნიერო მიზნით გაგზავნე და შენ ცოლის შერთვის საქმეში ჩაბმულხარ, ეს ხომ ხელს შეგიშლიდაო.

ჩვენ დავინახეთ, გიმნაზიის უფროსი კლასებიდან დაწყებული, ნ. მარრს ერთი მიზანი აქვს დასახული, რომ საქართველოს უკეთ გამოადგეს. მერყეობს რა საგნის არჩევაში სპეციალისტობისა, სტოვებს რა პანსიონს და მირბის ზაქარია ჭიჭინაძესთან, რჩება რა მეორე წელიწადს მერვე კლასში, სულ იმ მიზნით, რომ საქართველოს უკეთ გამოადგეს, სამშობლოს ემსახუროს იმ სტუდენტობაშიც. უნივერსიტეტში რადიკალი პატრიოტია, თუმცა ჩვენს კრებებზე არ დადის – ამისთვის მას არ სცალია, ეს დროს დაკარგავა; მაგრამ მისივე სიტყვით, ის და ერთი მისი ამხანაგი<sup>42</sup> ფიცს სდებენ, არ დააგდონ იარაღი, მანამ საქართველოს არ გაანთავისუფლებენ. შემდეგ, მისივე

<sup>42</sup> აქ სახეში ჰყავს პატივცემული ჩვენი ამხანაგი იასონ ლორთქიფანიძე.

სიტყვით, ის ამხანაგი ბანკის დირექტორი ხდება, თვითონ კი აკადემიკოსი. ირჩევს რა საბოლოოდ მეცნიერულ მოღვაწეობას, მას მიზნად აქვს დასახული ქართული ენის გამოკვლევა, მაგრამ პირდაპირ ქართულ კათედრაზე არ ხერხდება დარჩენა. ის იძულებულია სომხური კათედრა აიღოს და იქ პირნათლად, სინდისიერად ასრულებს მოვალეობას, ხდება დიდი სპეციალისტი სომხური ენისა, გამოსცემს მრავალ ტექსტს, სომხური ენის გრამატიკას, სომხური ენისა და მწერლობის ქრესტომათიას, მრავალი სომხური წარწერის, სიტყვის განმარტებას და სხვა, და ამზადებს სამაგისტრო დისერტაციისათვის (1894–1899) ვეებერთელა ორტომიან შრომას, ვარდანის იგავ-არაკების კრებულის გამოცემას, მის რუსულ თარგმანს და მეცნიერულ გარჩევას. ამ დარგში მის წინ თითქმის არაფერი არ ყოფილა გაკეთებული. ამ შრომებითა და სხვა მრავლით მან თითქოს მოიხადა ვალი სომხური ლიტერატურის და ენის შესახებ და მოიხვეჭა სახელი დიდი სპეციალისტისა სომხურ დარგში. აქაც პირველ ხანში ჩვეულებრივი გატაცება გამოიჩინა: სომხურ გავლენას ქართულ კულტურაზე მეტი როლი მიანიჭა და მე მომწერა, შენ შეგხვდება ასეთი ფაქტები და არ დამალოო. მერმე ბევრი ის, რაც ნასესხებად მიაჩნდა სომხურიდან, საერთო იაფეტურად აღიარა. შემდეგ მისი შრომები უფრო მეტად ქართულია და საერთოდ ეხება იმ მთავარ მიზანს, რომელიც გიმნაზიიდან აქვს დასახული, ესე იგი ქართული ენის გამოკვლევას. მაგრამ ქართული ენის გამოკვლევისათვის საჭიროა ქართული მწერლობითი ძეგლების გამოცემა, ცოცხალი მონათესავე ენების და კილოკავების შესწავლა, და ამ საგნებისკენ არის მიმართული მისი მუშაობა. მან დააარსა მთელ რიგ გამოცემათა მრავალი სერია, რომლებშიც იბეჭდებოდა მისი და მის შეგირდთა და თანამშრომელთა გამოკვლევანი, მასალები და შრომანი. ასეთებია:

1) Тексты и разыскания по Армяно-Грузинской филологии, 12 წიგნი, რომელთა შორის 9 მას ეკუთვნის; 2) Bibliotheca Armeno-Georgica; 3) Monumenta hagiographica Georgica; 4) Материалы по Яфетическому языкознанию; 5) Христианский восток, გამოსულია 18 წიგნი ექვს ტომად; 6) Анийская серия, გამოვიდა 12 წიგნი; 7) Тексты и разыскания по Кавказской филологии; 8) Яфетический сборник, გამოვიდა 7 წიგნი; 9) Труды комиссии по изучению племенного состава населения России; 10) Труды Яфетической семинарии და სხვა მრავალი. ამას გარდა, სტატიებს ბეჭდავდა განათლების სამინისტროს ჟურნალში, სამეცნიერო აკადემიის გამოცემებში, საარქეოლოგიო საზოგადოების აზიური განყოფილების „ზაპისკებში“ და სხვა.

1891 წელს ის გახდა პრივატ-დოცენტი.

1909 წელს – ადიუნკტი სამეცნიერო აკადემიისა.

1913 წელს – ნამდვილი წევრი აკადემიისა.

სამეცნიერო მოღვაწეობა ნიკო მარისა იწყება 1888 წლიდან<sup>43</sup>, როდესაც მან მოათავსა გაზეთ „ივერიაში“ (№86) სტატია: „ბუნება და თვისება ქართული ენისა“. შემდეგ ის დიდხანს ამუშავებს სამაგისტრო დისერტაციას, ხოლო სამაგისტრო დისერტაციის დაცვის შემდეგ მისი სამეცნიერო კარიერა უზრუნველყოფილია. 1891 წლიდან ის არის პრივატ-დოცენტი. მერმე გახდა ორდინარული პროფესორი, 1909

<sup>43</sup> პირველი ნაწილი ამ მოგონებათა (ნიკო მარი ახალგაზრდობაში) დაიბეჭდა გაზეთ «საქართველო»-ში (აპრილი და მაისი, 1935 წ., №7), ვინაიდან შემდეგი «საქართველო»-ს ნომრის გამოსვლა დაგვიანდა. ეს მეორე ნაწილი იბეჭდება «დამ. საქართველოში».

წელს აირჩიეს სამეცნიერო აკადემიის ადიუნკტად, ხოლო 1912 წლიდან – ნამდვილ წევრად აკადემიისა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ბროსეს შემდეგ ქართულ-სომხურის სპეციალისტი აკადემიაში არ ყოფილა. ეხლა მას გახსნილი ჰქონდა ასპარეზი აუარებელი გამოცემა მოეწყო და სამეცნიერო მიზნით მივლინებანი

აელო. ყველა ამ საშუალებით მან ფართოდ ისარგებლა და მისი ტიტანური მუშაობა გაჩაღდა.

ეხლა უფრო მარის მუშაობა მიმართულია ქართული ლიტერატურისა და ენისადმი და ეხება იმ მთავარ მიზანს, რომელიც გიმნაზიიდან აქვს დასახული, ესე იგი ქართული ენის გამოკვლევას. მაგრამ ქართული ენის გამოკვლევისათვის საჭიროა ქართული მწერლობითი ძეგლების გამოცემა, ცოცხალი მონათესავე ენების და კილოკავების შესწავლა და ამ საგნებისკენ არის მიმართული მისი აზოზოქრებული მუშაობა. მან დააარსა მთელი რიგი გამოცემათა, მრავალი სერიები, რომლებშიც იბეჭდებოდა მისი და მის თანამშრომელთა გამოკვლევანი, მასალები და შრომანი. ასეთებია, მაგალითად: 1) ტექსტები და გამოკვლევანი სომხურ-ქართული ფილოლოგიის შესახებ 12 წიგნი, რომელთა შორის 9 მას ეკუთვნის; 2) Bibliotheca Armeno-Georgica; 3) Monumenta Agiographica Georgica; 4) მასალანი იაფეტურ ენათა მეცნიერებისა; 5) საქრისტიანო აღმოსავლეთი (ხრისტიანსკი ვასტოკ), გამოცემულია 18 წიგნი 6 ტომად; 6) ანისის სერია, გამოცემულია 12 წიგნი; 7) ტექსტები და გამოკვლევანი კავკასიის ფილოლოგიის შესახებ; 8) იაფეტური კრებული, გამოსულია 1933 წლამდე 7 წიგნი; 9) შრომანი კომისიისა კავკასიის ტომთა შესასწავლად; 10) შრომანი იაფეტური სემინარიისა, და სხვა მრავალი სერია, განსაკუთრებით ბოლო დროს სხვადასხვა სამეცნიერო აკადემიათა, ინსტიტუტთა, მუზეუმთა, საზოგადოებათა «მომამბეები»-ს სახით თუ «შრომებით». ამას გარდა ის სტატიებს ბეჭდავდა სამეცნიერო აკადემიის გამოცემებში, საარქეოლოგიო საზოგადოების აზიური განყოფილების «ზაპისკებში», განათლების სამინისტროს ჟურნალში და სხვა. მისი გამოცემანი და სტატიები ხუთას ნომერს აღემატება, მარტო იაფეტური თეორიის სტატიების ჩამოთვლას მთელი წიგნაკი უჭირავს.

ნ. მარის გამოცემული ტექსტები სამაგალითოდ ჩაითვლება ჩვენს ლიტერატურაში თავისი სისწორით, კრიტიკული გარჩევით და ყოველგვარი სამეცნიერო აპარატით, განმარტებით და შენიშვნებით. მაგალითისათვის საკმაოა დავასახელოთ «აბდულ მესიანი» და «თამარიანი», ქართველთ მეხოტბეთა თხზულებანი, გამოცემა 1902 წ., რომლებშიც შეძლებისამებრ აღდგენილია ტექსტები და ლექსები დაწყობილია გასაგებად. წინათ ხომ ეს ლექსები არეული და გაუგებარი იყო უმეტეს შემთხვევაში. მანვე პირველმა გააშუქა, რომ აბდულ მესიანი წარმოადგენს დავით აღმაშენებლის ქებას და არა თამარ მეფისა, და მით საერთო პოეზიის წარმოშობის ეპოქა საქართველოში უკან დასწია თითქმის ერთი საუკუნით, ვიდრე მიღებული იყო. მანვე დაამტკიცა, რომ «თამარიანი» შედგება 12 განცალკევებული ოდისაგან (ქებისაგან), რომელნიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ამბების მიხედვით არის დაწერილი. კიდევ უფრო შესანიშნავი და მნიშვნელოვანია მისი «გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების» გამოცემა (1911 წ.), რომელიც მან მოიპოვა ქართული ჯვრის მონასტრის წიგნთსაცავში, იერუსალიმის მახლობლად. გარდა კრიტიკულად გამოცემული და გარჩეული ტექსტისა და მისი რუსული თარგმანისა, ამ გამოცემას დართული აქვს დღიური მისი მოგზაურობისა შავშეთ-კლარჯეთში,

რომელშიც დაწვრილებით აღწერილია ყველა ის ეკლესია-მონასტერი, რომელნიც მოხსენებულნი არიან «ცხოვრებაში» და აგრეთვე სხვანიც, რომელნიც მოიპოვებიან შავშეთ-კლარჯეთში, ფოტოგრაფიული სურათებით, წარწერათა გარჩევით და ახსნით. ამას გარდა, აქ შეკრებილია მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, ლექსები, თქმულებანი, სიმღერები, იგავ-არაკები, აგრეთვე ლექსიკური მასალა და სხვა. მეტი რომ არაფერი დაეწერა და გამოეცა მარს, მარტო ეს შრომა ჩათვლებოდა დიდ ღვაწლად და დამსახურებად.

ასეთივე დიდი ღირსების არის მისი გამოცემა «სახის მეტყველისა» – ქართულ-სომხური ტექსტი რუსული თარგმანით, ლექსიკონით და კრიტიკული აპარატით (1904 წ.).

ასეთივე არის «იპოლიტეს თარგმანი ქებათა ქებისა», «იერუსალიმის წარტყვენა სპარსთა მიერ 614 წელს ანტიოქოს სტრატეგოსისა» (1907–1909), «თქმულება პირველი ეკლესიის აშენებისა ლუდდის ქალაქში» (1901 წ.).

კიდევ უფრო ღირსშესანიშნავია მისი გამოკვლევა რუსთაველის «ვეფხისტყაოსნის» შესავლისა და ბოლოსიტყვაობისა (1910 წ.); სხვების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

მარი გრიგალია თავის მუშაობაში. ის მუდამ ღელავს, ემზადება თუ ლექციისათვის ან მოხსენებისათვის, ან გამოდის ოპონენტად დისერტაციის დაცვის დროს. ის ყოველთვის უაღრესად მომზადებულია და ამიტომ დიდი რიხით იცავს თავის პოზიციას. მადლობა ღმერთსო, რომ ხალატიანცის დისერტაციას მოვრჩითო, ერთხელ მითხრა მისმა მეუღლემ; ნიკო ისე ღელავდა, რომ 15 დღე არ უძინიაო. როგორ არ უნდა ავლელებულიყავიო, – განაგრძო ცოლის სიტყვები მარმა, – ძნელ მდგომარეობაში ჩავვარდი: არ მიმეცა ხარისხი, არ შეიძლებოდა, ნამუშევარი ჰქონდა, მაგრამ მასთან ცხადი იყო ჩემთვის, რომ შრომა ერთობ სუსტობდა. ასე აბუჩად აგდება მოსე ქორონელისა ყოვლად დაუშვებელიაო (პროფესორი ხალატიანცი გაიტაცა კარიერის კრიტიკამ მოსე ქორონელისა და უარყოფით კრიტიკაში კარიერს გადააჭარბა); ისე ხომ ვერ მოვიქცეოდი, როგორც პროფესორი კორში მოიქცაო. ის ჩემს მერე გამოვიდა და ასე დაიწყო თავისი ქათინაურები: მე დღეს უაღრესად ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა შეგირდმა ასეთი შესანიშნავი და ფასდაუდებელი შრომა წარმოგვიდგინაო და სხვა. მერმე ჩემთან სადილად იყო და ვკითხეო, მართლა ასე მოგწონთ ხალატიანცის შრომაო? მიკვირს თქვენი საქმე, ნიკო იაკობის ძევ, მითხრაო, თქვენ სომხიდან ელით მეცნიერულ შრომასო, სომეხს არშინი უნდა მისცეთ ხელშიო., და თუ ვინმე მათგანი შეეცდება მეცნიერებაში იმუშაოს, უნდა მოუწონოთ, თორემ გაიქცევა და დუქანს გახსნისო. ამის შემდეგ მარი კორშის სახელს მკაცრი ეპითეტით იგონებდა ხოლმე.

მეტადრე ღელავდა მარი, როდესაც თავისი შეგირდების შრომებს არჩევდა. აქაც პარიზში, როდესაც ლექცია წაგვიკითხა – «ქართველი ერის კულტურული შუბლი» – მისმა მეუღლემ მითხრა, სამ დღეს არ უძინიაო. ასე ყურადღებით ექცეოდა ნიკო მარი ყველა თავის ლექციას და მოხსენებას. ყოველთვის ატოკებული და აწეული იყო ნიკო მარის ბუნება, როდესაც ის მოხსენებას აკეთებდა თუ ლექციებს კითხულობდა. მაგრამ «წინასწარ საეკლესიო კრებაზედ», სადაც საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი ირჩეოდა, ის ხომ ცეცხლს და მეხს აყრიდა თავზე უფიცი რუსების ამხედრებულ საეკლესიო წარმომადგენლებს, რომელნიც ლამობდნენ, განექიქებინათ ისტორიული როლი ქართული ეკლესიისა, მისი ავტოკეფალობა და მნიშვნელობა

საქრისტიანო მსოფლიოში. კრებას დაესწრნენ ჩვენი ეპისკოპოსები – ლეონიდი და კირიონი, მაგრამ ამათ ნაკლებად იცოდნენ ისტორია ჩვენი ეკლესიისა. მე თვითონ ლეონიდ ეპისკოპოსისგან გავიგონე: „ჩვენ ორი ეპისკოპოსი ნ. მარმა შეგვიჯდინა მხარზე და ისე გამოგვიყვანა განსაცდელისაგან და რუსების თავდასხმისაგან“. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რასაკვირველია, პროფ. ა. ცაგარელის დასწრებასაც. მას ბევრი ნაშრომი ჰქონდა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხში; მისი წიგნი ამის შესახებ საუკეთესო შრომაა, მაგრამ ტრიუმფი ქართულ ეკლესიას ამ კრებაზე ნ. მარმა შეუქმნა თავისი რიხიანი გამოსვლებით, ღრმა ცოდნით და უამრავი ფაქტების მოყვანით ჩვენი ეკლესიის თვითმმართველობისა და მისი მამების უაღრესად განათლებული მოღვაწეობის აღნუსხვით.

ერთმა ცნობილმა და ყველაზე სინდისიერმა პროფესორმა, ლიტურგისტმა (გვარი აღარ მახსოვს, კრების წიგნი ხელთ არ მაქვს) შენიშნა მარის დიდებული მოხსენების გამო: ვმადლობ ღმერთს, რომ ეს კრება მოხდა – უამისოდ ასეთ დიდებულ და შესანიშნავ მოხსენებებს ხომ ვერ მოვისმენდითო! ასეთივე შესანიშნავი არის მარის წიგნაკი ვასტორგოვის წინააღმდეგ, რომელშიც მიწასთან გასწორებულია უვიცობა უტყუარი ფაქტებით რუსის თავზედი დეკანოზისა.

როდესაც ტფილისში კაზაკებმა ერთხელ რუსის ეგზარქოსის განკარგულებით მათრახებით გარეკეს საეკლესიო საქმეებზე შეკრებილი ქართველი მღვდლები სემინარიის დარბაზიდან, ნ. მარი იმ დროს იქვე მახლობლად, სასტუმრო „სვერნი ნომრებში“ იყო. როცა ეს გაიგო, გიჟივით გამოვარდა გარეთ და ყვირილით გაეშურა კაზაკებისაკენ – როგორ ბედავენ ეგ ბარბაროსები უძველესი ეკლესიის ქრისტიანი მამების შეურაცხყოფას! და სხვა. ძლივს დააკავეს და სასტუმროში დააბრუნეს.

მარმა მოსწრებული პასუხი იცოდა თავისი ოპონენტებისადმი. როდესაც მან იაფეტელების მოსახლეობა მთელ ხმელთაშუა ზღვის ნაპირებს მოსდო, ერთ კრებაზე ჰკითხეს: სად იწყება და სად თავდება ეს თქვენი იაფეტელებიო? მარმა უპასუხა: ჯერ მითხარით, სად იწყება და სად თავდება სიმრგვლეო?!

იშვიათია მეცნიერი, რომელსაც იმდენი ემოგზაუროს, როგორც მარს. ამ მოგზაურობაში ჰკრებს ის მასალას თავისი იაფეტური თეორიისათვის და სწავლობს სხვადასხვა ხალხთა ენებს, ეცნობა მატერიალური და სულიერი კულტურის წყაროებს და ნაშთებს. მისი ნიჭი ამ შემთხვევაში საოცარია. ის ადვილად ერკვევა ენის სტრუქტურაში. რამდენიმე კვირის შემდეგ მას შეთვისებული აქვს ამ ენის გრამატიკა, ჩაწერილი აქვს ტექსტები და უშუალოდ ელაპარაკება მცხოვრებთ. ამ მოგზაურობათა წიაღში, ცოცხალ ხალხებთან კავშირში აქვს მას შექმნილი, როგორც თვითონ ამბობს, თავისი თეზისები, თავისი იაფეტური თეორია, და არა კაბინეტში ჯდომით.

ნ. მარი არ არის განცალკევებული მეცნიერი, – ის შემქმნელია კავკასიის შესწავლის პეტროგრაფის სკოლისა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული კავკასიის გამოკვლევა ყოველმხრივ – ლინგვისტურად, ისტორიულად და კულტურულად; დიდი შრომა აქვს გაწეული მას ამ სკოლის შექმნაში და ხელმძღვანელობაში, მაგრამ მიღწევებიც დიდია, აუარებელი ტექსტები და მასალებია გამოცემული, აუარებელი საკითხები და პრობლემები გაშუქებულია, ბევრი ახალი წამოყენებულია და რიგშია დასმული. საკმარისია დავასახელოთ, რა არის გაკეთებული ქართული ენის და მისი მონათესავე ენების და კილოკავების შესწავლაში. მან მოგვცა ჯერ ძირითადი ტაბულები ქართული ზმნებისა, გრამატიკა ძველი ქართული ენისა რუსულ ენაზე დაწერილი, ასეთივე გრამატიკა ახლად გადამუშავებული ფრანგულ ენაზე ბრიერის

მონაწილეობით, ქრესტომათიით და ლექსიკონით. ეს კაპიტალური შრომა სამუდამოდ დარჩება ქვაკუთხედად ქართული ენის შესწავლისა ევროპელთა მიერ და უსათუოდ ბევრ მეცნიერს შესძენს ამიერიდან ქართულ ენას. ასეთივე დიდი ღირსების არის მისი გრამატიკა და ქრესტომათია ლაზური ენისა (1910 წ.), მეგრული ენის გრამატიკა და ქრესტომათია ალ. ყიფშიძისა მისი ხელმძღვანელობით გამოცემულია; მასვე აქვს შედგენილი გრამატიკა და ქრესტომათია სვანური ენისა, როგორც თვითონ ამბობს თავის მოხსენებაში, და თუმცა მათი გამოცემა დაგვიანდა<sup>44</sup>, მაგრამ მას ბევრი სტატია აქვს სვანური ენის შესახებ დაბეჭდილი და მისი თაოსნობით გამოცემულია ბევრი მასალა ამ ენის შესასწავლად. ასეთივე ნაყოფიერია მისი შრომანი და სტატიები აფხაზური ენის შესწავლის საქმეში, რომელსაც მან უძღვნა ათზე მეტი სტატია, გამოსცა ლექსიკონი, ანბანი და სხვა. მისივე თაოსნობით არის დაწყებული კავკასიის მთიულეების კილოკავების შესწავლა პროფ. შანიძის მიერ. მარრი სამჯერ მიემგზავრება დაღესტანში დაღესტნის ენების შესასწავლად, სამჯერ იყო სვანეთშიც, რამდენიმეჯერ აფხაზეთში, სამეგრელოში, ლაზისტანში, სომხეთში და სხვა ადგილებში.

მარრმა გააშუქა ზოგიერთი საკითხი ძველი ქართული ტექსტების კითხვისა. მაგალითად, ასო **ჭ**-ს სიტყვის ბოლოში ჩვენ წინათ **ე**-ნად ვკითხულობდით. მან დაამტკიცა, რომ **ჭ** დიფთონგია და უდრის **ეი**-ს. მაგალითად, სიტყვა **ქრისტე** უნდა წავიკითხოთ, როგორც **ქრისტეი**, **ხჭ**, როგორც **ხეი** და სხვა. აგრეთვე შემოკლებულ სიტყვას **რა** ჩვენ ვკითხულობდით, როგორც **რათა**, ხოლო მარრმა გვიჩვენა, რომ ძველად ეს იკითხებოდა, როგორც **რაითა**, და ასეთი ცხოველი მაგალითი ჩვენ გვაქვს არათუ უძველესი დროისთვის, არამედ XVII საუკუნის ზოგიერთ ეპიგრაფიულ წარწერებში.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ნ. მარრს კავკასიის არქეოლოგიაშიც. პირველად მან თხრა დაიწყო ბორჩალოს მაზრაში, იქ, სადაც წინათ ფრანგი დე მორგანი მუშაობდა, და სადაც მოიპოვება აუარებელი სასაფლაო ძველი ბრინჯაოს ხანისა. შემდეგ მარრი იწყებს არქეოლოგიურ გათხრას ძველი ანისის ქალაქის ნანგრევებისა 1892 წელს და შემდეგ განაგრძობს ყოველ ზაფხულს 1904 წლიდან 1917 წლამდე. აქ აღმოჩენილ მრავალრიცხოვან ძეგლებს უძღვნის ანისის სერიას, რომელიც შეიცავს 12 წიგნს. სხვათა შორის, აქ იყო აღმოჩენილი უდიდესი ქართული წარწერა ეპიფანე კათალიკოსისა 1218 წლისა, რომელსაც ეჭირა მთელი კედელი ტაძრისა და ეს კედელი გადატანილი იყო ანისის მუზეუმში. მეორე ეკლესიის ქართულ წარწერას პროფ. ივანე ჯავახიშვილი ამზადებდა გამოსაცემად, მაგრამ ვგონებ, ჯერ არ გამოუცია. მესამე, ერთი საუკეთესო ქართული ტაძრის წარწერა ტიგრანჰონენცისა წინათაც ცნობილი იყო. სამწუხაროდ, აუარებელი მასალა ანისის ქალაქის გათხრისა. შედეგი 15 წლის მუშაობისა, როგორც იყო დღიურები გათხრისა, ფოტოგრაფიის ნეგატივები ძეგლებისა და წარწერებისა, ნახატები და ნახაზები და სხვა გამოგზავნილი პეტროგრადიდან ტფილისის არქეოლოგიურ ინსტიტუტში, რევოლუციის დროს სულ ერთიანად დაიღუპა გზაში. ზოგიერთი ნივთი და ბიბლიოთეკა ანისის

<sup>44</sup> ბ-ნ ი. მეგრელიძის სტატიიდან ვტყობილობთ («მნათობი», 1933 წ., § 8-9, გვ. 264), რომ დაწყებული ყოფილა ბეჭდვა რუსულ-ქართული ლექსიკონისა და სვანური ენის ქრესტომათიისა ლექსიკონითურთ.

მუზეუმისა გამოიტანეს ჩემს მიერ გაგზავნილმა არქეოლოგიური ინსტიტუტის წევრმა დ. გარდევემა და ბ-მა ლორის-კალანთარმა, მანამ თათრები დაიკავებდნენ ამ მხარეს. გარდა ანისის ძეგლებისა, მარმა შეისწავლა და გამოსცა აღწერილობა ბევრი სომხური ძველი ეკლესიებისა.

ქართულ არქეოლოგიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის მოგზაურობას შავშეთ-კლარჯეთში. დღიური ამ მოგზაურობისა, როგორც მოვიხსენიეთ, დართული აქვს მის გრიგოლ ხანძთელის გამოცემას, რომელშიც აღწერილია დაწვრილებით ამ მხარის მრავალრიცხოვანი ძეგლები და შემკობილია ფოტოგრაფიული სურათებით. დიდი ღვაწლი მიუძღვის ნ. მარს აგრეთვე ქალდეური წარწერების აღმოჩენაში, შერგოვებაში და შესწავლაში, რამაც გააშუქა ძველისძველი ისტორია წინა აზიისა. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი და ი. ორბელის ექსპედიცია ვანში 1916 წელს, რომლის დროს აღმოჩენილ იქნა ყველა ცნობილ ქალდეურ წარწერათა უდიდესი წარწერა ქალდელთ მეფის – სარდურ მეორისა, მერვე საუკუნისა ქრისტეს წინ, რომელშიც აღწერილია მისი ომები აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით ვანის სამეფოსა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ძველი მწიგნობრული ლიტერატურის შესასწავლად მარის მოგზაურობას სინას მთაზე. იერუსალიმში და ათონზე 1902 წ. სინას მთაზე მასთან ერთად იყო ჩვენი სახელოვანი პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ამ მოგზაურობის დროს შეკრებილი და გადმოწერილი ძეგლები ჯერ გამოუქვეყნებელია, ხოლო სულ მცირე ნაწილია გამოცემული, და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ როგორც ჩანს წინასწარი მოხსენებიდან, ეს მასალა პირველხარისხოვანია ჩვენი ძველი ლიტერატურის შესასწავლად. ამ მასალის გამოცემა პირველ რიგში უნდა დაისახონ მარის მოწაფეებმა და პატივცემულმა ივ. ჯავახიშვილმა<sup>45</sup>). ამ მოგზაურობის ნაყოფი იყო გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების გამოცემა, ჯვარის მამის აღაპებისა და გრიგოლ სომეხთა განმანათლებლის არაბული ვერსიის გამოცემაც.

ნ. მარი იყო ენციკლოპედისტი. მრავალი დარგი მეცნიერებისა შეადგენდა საგანს მისი შესწავლისა და ყოველ დარგში იჩენდა ტალანტს და ნიჭს, მაგრამ უაღრესად პირველ ყოვლისა ის იყო ლინგვისტი, ენათა მეცნიერი. გიმნაზიაშივე მან მიზნად დაისახა ქართული ენის შესწავლა და გამოკვლევა და ამას შესწირა მთელი მისი სიცოცხლე. შეიძლება ითქვას, რომ ყველა სხვა დარგში მისი მუშაობა მასალა იყო თავი პრობლემისა – ლინგვისტური მუშაობისა, ანუ უკეთ ვთქვათ, მისი იაფეტური თეორიისა. როცა ნ. მარი წინააღმდეგ თავისი პირვანდელი აზრისა, რომ ქართული ენა სემიურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის, დარწმუნდა, რომ ქართულ ენას თუმცა ნათესაობა აქვს სემიურ ენებთან, მაგრამ ის თავისი მახლობელი მონათესავე ენებით და კილოკავებით განცალკევებულ ენათა ჯგუფს ეკუთვნის. ამ ენათა ჯგუფს დაარქვა **იაფეტურ ენათა ჯგუფი**. ეს ტერმინი პირობითია, რაკი ორ სხვა ჯგუფს – სემიურს და ქამიტურს – ნოეს შვილების სახელები ჰქვია; ამასაც მესამე ნოეს შვილის – იაფეტის სახელი დაარქვა. შემდეგ სხვა კავკასიური ენების შესწავლამ მარი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ყველა კავკასიური ენა, მცირე გამოკლებით (ოსური და

<sup>45</sup> იმავე ი. მეგრელიძის სტატიიდან, რომელიც ზემოთ ვუჩვენეთ, ვტყობილობთ, რომ ტექსტი «სინასის კრებულისა» უკვე დაბეჭდილი ყოფილა, მაგრამ გამოვიდა თუ არა, არ ვიცით.

\*\* Revue de deux mondes. 1935 წ., 1 დეკემბერი



თურქულსა), იაფეტური ენების ჯგუფს ეკუთვნის. სომხური ენა, რომელსაც ინდო-ევროპულ ანუ არიულ ენათა ჯგუფს აკუთვნებდნენ, მარის გამოკვლევით, შერეული ენა აღმოჩნდა – სანახევროდ იაფეტური, სანახევროდ არიული. როდესაც სომხები, არმენები მოვიდნენ კავკასიაში, მათ აქ დახვდათ იაფეტელები, მათ შეერივნენ არიელი სომხები, და გამომუშავდა შერეული ენა. ამით აიხსნება ნ. მარის აზრით, რომ ძველი მწერლობითი სომხური ენა, გრაბარი, უფრო ნაკლებად ჰგავს ახალს, ხალხურ სომხურს, ვიდრე პოლონური ენა რუსულს. შემდეგ იაფეტურ ენათა ჯგუფს მიაკუთვნა უძველესი წინა აზიის მკვდარი ენები – სუმერული, მიტანური, ხეთური, ქალდეური, სკვითური, ახალ-ელამური და ასურული. შემდეგ ამავე იაფეტური ჯგუფის ენად სცნო უძველესი ხმელთაშუა ზღვის ნაპირების ხალხთა ენები: ეტრუსკთა ენა, ისპანიის იბერთა ენა, ბასკური და შემდეგ ბალკანეთის ალბანთა ენაც. პირველად მარი იმ აზრის იყო, რომ იაფეტელთა სამკვიდრო კავკასია იყო და აქედან გადასახლდნენ და მოედვნენ სხვა ადგილებს; ხოლო შემდეგ შეიცვალა აზრი: არა კავკასია მარტოდ, არამედ მთელი ხმელთაშუა ზღვის ნაპირები უძველესი დროიდან სულ იაფეტელებით იყო დასახლებული და ესენი შეადგენენ მესამე ელემენტს ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის შექმნაში. იაფეტელები აღმოჩნდნენ შუა აზიაშიც: პამირზე მოსახლე ვერშიტელების ენა იაფეტური არის მარის გამოკვლევით. წინათ მარი იაფეტურ ენას უპირისპირებდა ინდოევროპულს ანუ არიულს და სემიურს. ბოლოს უარყო არსებობა ასეთი ჯგუფებისა, ასეთი დაყოფა ენებისა. ყველა ენა, მარის აზრით, წარმომდგარია შემოქმედებითი შრომით კაცობრიობისა, ერთი შემოქმედებითი პროცესის ნაყოფია. ამგვარად, იაფეტური თეორია ახლა იპყრობს თავის შორის ყველა დედამიწის ენას. ის, რითაც ერთი ჯგუფი განირჩევა მეორისაგან, ინდოევროპული თუ სემიური იაფეტურისაგან, არის შედეგი სხვადასხვა დროის განვითარების საფეხურისა. ინდოევროპული ენები ტრანსფორმაცია არის, ესე იგი გადაქმნილია იაფეტური ენებისაგან. ეს ენები კი არ არის ენები რომელიმე განცალკევებული რასისა ანუ ხალხისა. მოკლედ რომ ვთქვათ, იაფეტური ენა ისტორიის წინადროის ენაა, ინდოევროპული ისტორიული დროისა. ბასკური ენა, რომელიც ასე მჭიდროდ ენათესავება კავკასიურ ენებს, ნამეტნავად აფხაზურს, მესხურს და სომხურს, ერთადერთი ისტორიული წინადროის ენაა მთელს ევროპაში.

ენის ევოლუცია მარის თეორიით ასეთი იყო: ჯერ «ხელის ენა» იყო, ესე იგი, ხელის ქნევით, ხელით გამოსახული ნიშნებით, შესტებით აგებინებდნენ ერთიმეორეს, რაც უნდოდათ, როგორც ეხლაც ზოგიერთი ტყიური ხალხი სჩადის, და შემდეგ შრომის პროცესში შეიქმნა თანდათანობით ბგერათა ენა. მარის აზრით, არ არსებობს დედამიწაზე ენა, რომელიც შერეული არ იყოს. ეს შერევა ავითარებს ენას.

ამრიგად, ქართული ენისა და მისი მონათესავე ენების შესწავლამ მარს წამოაყენებინა იაფეტური თეორია, რომელიც მის ხელში და კვლევა-ძიებაში თანდათან განვითარდა, გაფართოვდა, მთელი დედამიწის ენებს მოედო და მიიღო უნივერსალური ხასიათი. ამ თეორიამ მარს სახელი მოუხვეჭა, მაგრამ მტერიც ბევრი შესძინა. ევროპის მეცნიერები იცნობდნენ ნ. მარს, მხოლოდ როგორც იაფეტური თეორიის ავტორს, და უმეტესი ნაწილი მათგანი სრულიად არ იზიარებს ამ თეორიას, მის მეთოდს და მიდგომას საგნისადმი. სხვა აუარებელ შრომებს მარისას, რაც ჩვენთვის პირველხარისხოვანია, სრულიად არ იცნობენ. ერთადერთი მეცნიერი ევროპაში, რომელიც მარის ყველა შრომას კარგად იცნობს და ზოგიერთი მათგანი ლათინურადაც გადათარგმნა, არის ბოლანდისტი პოლ პეტერსი, ჯეროვნად მცოდნე

ქართული ენისა. სანამ იაფეტური თეორია მარტო კავკასიურ ენებს ეხებოდა, მარის მოწაფენი იზიარებდნენ ამ თეორიას. როდესაც ეს თეორია გადავიდა სხვა ხალხებზე და გაფართოვდა, უმეტესი მათგანი არ გაჰყვა ასე შორს მარს. მათი აზრით, მარმა უფსკრულში შეტოპა, საიდანაც გზის გამოგნება შეუძლებელია. ეს მათ, რა თქმა უნდა, არ უშლის, რომ მარს დიდი პატივით ეპყრობოდნენ, მის ტალანტს, მის კოლოსალურ დამსახურებას და დიდ მეცნიერებას არ სცნობდნენ, ან უმადური იყვნენ. მაგრამ მარი ვერ ურიგდება ამას, და ეს გასაგებიც არის. ევროპა არ სცნობს მას და შინაურებიც არ ეთანხმებიან ამ საკითხში. ამას დაერთო რევოლუცია – რუსეთი აიშალა, რღვევა დაიწყო. მისმა ქართველმა და სომეხმა შეგირდებმა და თანამშრომლებმა მიატოვეს პეტროგრადი, ჩამოვიდნენ კავკასიაში. ქართველებმა ტფილისში გახსნეს უნივერსიტეტი, სომეხებმა – ერევანში. მარი მარტოდ დარჩა. პეტერბურგის სკოლა კავკასიისმცოდნეობისა თითქმის დაიშალა. მარი პირველად წინააღმდეგია ახალი უნივერსიტეტის გახსნისა; მაგრამ შემდეგ, როდესაც ტფილისის ქართული უნივერსიტეტი განმტკიცდა და ბოლშევიკებმა სცნეს თავისუფალი საქართველო, მარი გრძნობიერ წერილს სწერს ტფილისის უნივერსიტეტის რექტორს, მის ყოფილ შეგირდს ივ. ჯავახიშვილს და მზადაა გადმოვიდეს ტფილისის უნივერსიტეტში. მარს ერთხმად ვირჩევთ პროფესორად. ის იწერება: ეხლა საზღვარგარეთ მივდივარ და იქიდან პირდაპირ ტფილისში დავბრუნდებიო. მაგრამ ამ დროს ხდება ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობა და მარი ბრუნდება პეტროგრადში. რევოლუციის დროს ის იცავს პეტროგრადის აკადემიას და სამეცნიერო დაწესებულებებს განადგურებისაგან. განიცდის, როგორც სხვები, შიმშილს<sup>46</sup>, ყოველგვარ შეურაცხყოფას. ღამ-ღამე ხშირად ესხმიან თავს და ჩხრეკენ კონტრრევოლუციონური დოკუმენტების აღმოსაჩენად. რა თქმა უნდა, ის უაღრესად ნერვიულობს, შფოთავს, ვერ მუშაობს დამშვიდებით. ერთხელ ჩხრეკის დროს აღელვებული გავარდება გარეთ, დარბის გიჟივით ეზოში. როცა ჩხრეკა გათავდა, მიიწვიეს შესულიყო ბინაში. ის აღარ შედის, შფოთავს. ძლივს აშოშმინებენ. შეღავათს პოულობს საზღვარგარეთ მივლინებაში სამეცნიერო მიზნით. პარიზში ხსნის ქართული ენის კურსებს, ამზადებს ფრანგ მღვდელს ბრიერს, რომელიც ამ კურსებს განაგრძობს მის შემდეგ. ლენინგრადში დაბრუნებისას სულ უნუგემო მდგომარეობა დახვდა. დამზადებული შრომები იაფეტური თეორიისა, რომელნიც უნდა დაბეჭდილიყო წლის განმავლობაში, დაუბეჭდავი იყო და თანაც გამოუცხადეს, რომ ისინი რიგში დარჩებიან სხვა დასაბეჭდ წიგნებთან ერთად და როცა რიგი მოუწევთ, მაშინ დაიწყებენ ბეჭდვას.

ამას გარდა, ქართული ხელნაწერები, რომელნიც ქვაკუთხედს შეადგენდნენ იაფეტოლოგიისათვის, ტფილისში დაუბრუნებია ხელისუფლებას. ყველა ეს ამბავი სასოწარკვეთილებაში აგდებს მარს და ის პირდაპირ ამბობს: ეს არის ნიშანი ჩემი დასასრულისა, გაქარწყლება მთელი ჩემი მუშაობისაო<sup>47</sup>. ხუთი წლის განმავლობაში მარი არც ეჩხუბება ამკარად და არც ემხრობა ახალ ხელისუფლებას, მაგრამ შემდეგ, 1923 წლიდან თანდათან ეგუება ბოლშევიკურ რეჟიმს. როდესაც ის პირველ სრულ საკავშირო კრებაზე აირჩიეს ცენტრალური საბჭოს მეცნიერების მუშაკთა თავმჯდომარედ, ხელმეორედ არჩეულ იქნა მეორე და მესამე კრებაზეც, და ბოლოს,

<sup>46</sup> ისე გავხდი, როგორც ფარგაო, – მწერდა ერთ წერილში.

<sup>47</sup> პო ეტაპამ რაზვიტია იაფეტიჩესკოი თეორიი. – მოსკვა-ლენინგრად, 1926, გვ.186

1930 წელს ეწერება კომუნისტურ პარტიაში და აშკარად ემხრობა დიალექტურ-მატერიალისტურ მეთოდს მარქს-ენგელსისას. ეს მარქსისტულ-დიალექტიკური ლინგვისტიკა, ეხლა მის ხელში, სულ პოლემიკურია ეგრეთწოდებული ევროპელი «ბურჟუაზიული» ლინგვისტების მიმართ და აგრეთვე ყველა საბჭოს ლინგვისტების წინააღმდეგ, რომელნიც იაფეტურ თეორიას არ იზიარებენ. იაფეტური თეორია გამოცხადებულია სავალდებულოდ საბჭოთა კავშირში. მარს ეხლა საშუალება ეძლევა ფართოდ გაშალოს მოქმედება იაფეტური თეორიის მიხედვით კვლევა-ძიებისა და ყველა საბჭოში შემავალ ერთა ენების გამოკვლევისა. მას ეხლა მეტი მიმდევარი ჰყავს. ის აარსებს ინსტიტუტებს, სკოლებს, კურსებს, წრეებს და სხვადასხვა დაწესებულებებს იაფეტური ენების შესასწავლად, მოგზაურობს სხვადასხვა მხარეებში საბჭოს კავშირისა ლინგვისტური მიზნით, აუარებელი წიგნები და სტატიები გამოდის სულ მისი მონაწილეობით და ხელმძღვანელობით. ენერგია მისი არათუ შესუსტდა, არამედ გაორკეცდა, მაგრამ ბოლოს სხეული აღარ უძლებს და ის ხდება მსხვერპლი მეცნიერებისა, მსხვერპლი ტიტანური შრომისა. პირველი დამბლა მას მოსდის რეფერატის კითხვის დროს მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიაში, რომლის თავმჯდომარე თვითონ იყო. შემდეგ მოიკეთებს და კვლავ იწყებს მუშაობას, მაგრამ ჯანი აღარ აქვს. დამბლა მეორდება, და როდესაც ატყობს, რომ აღარ შეუძლია ჩვეულებრივ გრიგალივით მუშაობა, აღარ უნდა სიცოცხლე, უარს ამბობს საზრდოს მიღებაზე და წუთისოფელს ეცლება.

სულ სხვა საკითხია, რამდენად შეგნებულად მიემხრო მარი ბოლშევიკურ იდეოლოგიას – ბოლოს და ბოლოს, ეს მისი რწმენა იყო თუ ფარისევლობდა, მიიღო ის პირადი ინტერესებით, რაც არ სწამდა თუ მართლა ირწმუნა, და რაკი ირწმუნა, თავისებურად გატაცებით მიემხრო? ვინც მარს სიყრმიდან არ იცნობს, ის პირველ დასკვნას მიიღებს და ამის საბუთს თვით მარი თავისი მოქმედებით და ნაწერებით მრავალს აძლევს; მაგრამ ვინც მას ახლოს იცნობს, მისი მერყეობა მიმართულების და საგნის არჩევანში არაერთხელ უნახავს და მისი ექსცენტრული ხასიათი განუცდია, ის მას ფარისევლობას ვერ შესწამებს. ის ზოგჯერ ცდება, მაგრამ ცდება შეგნებულად, გატაცებით და არ ფარისევლობს. აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი: ყველა მენშევიკის მოწმობით, მარი პირველი რევოლუციის დროს 1905 წელს თავის წერილებში ბოლშევიკებისკენ იხრებოდა.

მარი დიდი მეცნიერია, მაგრამ მრავალი შეცდომაც აქვს და ამ შეცდომებს უფრო ხშირად თვითონ აღიარებს. იშვიათად თუ მოიპოვება სხვა მეცნიერი, რომელსაც ასე ხშირად უარეყოს მის მიერ წარმოთქმული აზრები. ლინგვისტიკაში ეს მოვლენა ადვილი ასახსნელია, ლინგვისტიკა ზღვა არის. დღევანდელი მდგომარეობა მასალისა და კვლევა-ძიებისა ერთ დასკვნას იძლევა, ხოლო ხვალინდელი ახალი აღმოჩენანი სრულიად უარჰყოფენ ამ დასკვნას. მაგალითად, მარრი ამბობს: ვინც ახლად იწყებს იაფეტური თეორიის შესწავლას, მას არ ვურჩევ ჩაიხედოს ჩემს ამ საგნის შესახებ ნაწერებში, რომელნიც დამიწერია სტატიის გამოსვლამდე: «მესამე ეთნიური ელემენტი ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში» – და ეს უკანასკნელი სტატიაც იმ განსხვავებით უნდა მიიღოს, რაც მისი გერმანული თარგმნის წინასიტყვაობაში სწერიაო.<sup>48</sup> სტატია რუსულად დაიბეჭდა 1920 წელს, ხოლო გერმანულად – 1923 წელს.

<sup>48</sup> იხ. კლასიფიკაციონნი პერეჩენ პეჩატნიხ რაბოტ პო იაფეტოლოგიი. ლენინგრად. 1926 წ., გვ. 6–7.

მანამდე აუარებელი სტატია ჰქონდა მარს იაფეტური თეორიის გამო. ამ ცვალებადობის შესახებ მარრი ამბობს: რომაელები ამბობდნენ: დღე დღის მასწავლებელია (dies diem docet), იაფეტურ თეორიაში კი საათი საათის მასწავლებელიაო (hora horam docet). ზოგჯერ მარრის გამოცემებში წინასიტყვაობაში განცხადებულია: ის, რაც წიგნში სწერია, მანამ იბეჭდებოდა, დაძველდაო. ასე ცვალებადობით მიდიოდა იაფეტური თეორიის განვითარება უკანასკნელ დრომდე.

მარს აქვს ერთი საყურადღებო სტატია: «წარმართი საქართველოს ღმერთები», რომელიც ყველა მკვლევარმა მოიწონა და მიიღო, მაგრამ მან ბოლოს უარყო – იქ გატარებული აზრი, ირანულიდან სესხება ამ ღმერთებისა მართალი არ არისო, სახელები ღმერთებისა იაფეტურიაო. გეოგრაფიულ სახელს «სომხეთი» – ეხლანდელი ბორჩალოს მაზრა – მარი ხსნიდა წინათ, როგორც «სონ-მესხი», ესე იგი, სვან-მესხები, და ამტკიცებდა – სვანები და მესხები წინათ აქ ერთად ცხოვრობდნენ და შემდეგ გაიყარნენო. მერე უარყო ეს აზრი და სულ სხვა განმარტება წამოაყენა. უფრო საკვირველი იყო კიდევ, რომ მან მიიღო ერთ დროს ს. კაკაბაძის მიერ ნაჩქარევად გამოთქმული აზრი, რომ რუსთაველი მაჰმადიანი იყო, და ეს მას შემდეგ, რაც მან მოგვცა ისეთი საყურადღებო წიგნი, როგორც არის ვეფხისტყაოსნის შესავალი და ბოლოსიტყვაობის განმარტება. რასაკვირველია, ბოლოს მან ეს აზრი უარყო.

მარი ერთობ ლინგვისტი იყო და ლინგვისტურ თავისებურ განმარტებას ზოგჯერ სწირავდა ისტორიულ ფაქტებს. ასეთია, მაგალითად, მისი მტკიცება, რომ «იბერია» დასავლეთ საქართველო იყო და შემდეგ ეს სახელი აღმოსავლეთ საქართველოზე გადაიტანესო, მაშინ როდესაც ყველა კლასიკური მწერალი და განსაკუთრებით სტრაბონი «იბერიად» აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობს, ხოლო დასავლეთ საქართველოს წინათ «კოლხიდა» ერქვა, შემდეგ «ლაზიკა», მეშვიდე საუკუნიდან მეათემდე – «აფხაზეთი» და ბოლოს – «იმერეთი». უკანასკნელ სახელებს «იბერიასთან» კავშირი არა აქვს, ვინაიდან წარმოდგება სიტყვიდან «იმერ», «იმიერ». მიუღებელი იყო აგრეთვე მოსაზრება, ვითომც «სახარება» პირველად სვანურ ენაზე ყოფილიყო ნათარგმნი და შემდეგ ქართულზე. ასეთი ლაფსუსები აქვს მარს, მაგრამ ეს არ უშლის მის დიდ მეცნიერებას და დიდ დამსახურებას, ვინაიდან აუარებელი განმარტებანი სიტყვებისა თუ საგნებისა და კვლევა-ძიებანი ფასდაუდებელი აქვს. მისი ზოგიერთი სიტყვის განმარტება აღტაცებას იწვევდა დიდ სპეციალისტებში. რამდენიმე სიტყვის განმარტების შესახებ, სხვათა შორის, სომხური «სეკუზ» და ქართული «სეფეწული»-ს უნიჭიერესი მკვლევარი ბოლოტოვი წერდა ჯერ კიდევ დასაწყისში მარის მეცნიერული მუშაობისა: ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ამის ფასი ლინგვისტიკაში არაფერი დაწერილაო. ბოლოტოვს რომ მეტი ეცოცხლა, რამდენ ასეთ მარგალიტებს იპოვნოდა მარის სხვა სიტყვების ახსნა-განმარტებაში?

მარი იყო დიდი მოციქული, დიდი მომხრე მთელი კავკასიის ერების ერთობის და სოლიდარობისა: თუ ერთ მათგანს თავს ესხმოდნენ, ის მის დამცველად გამოდიოდა. მარის აზრით, თუმცა მწიგნობრობა და მწიგნობრული ლიტერატურა მარტო ქართველებს და სომხებს ჰქონდათ, მაგრამ კავკასიის კულტურის შექმნაში კავკასიის ყველა ერს ჰქონდა მიღებული მონაწილეობა, რომ კავკასია ერთ მთლიან გეოგრაფიულ და ეკონომიურ მხარეს შეიცავს, მისი კულტურაც საერთოა და ყველა მის მკვიდრთა ენები იაფეტურია, და რომ «ქართლის ცხოვრებაში» შენახული დებულება მათ მამათმთავართა ძმობისა უძველესი მწერლობითი ცნობაა მათი ნათესაობისა, რაც ენების გამოკვლევით მტკიცდება. არც ერთ კავკასიის ერს, მარის

აზრით, არ შეუძლია განცალკევებით ფეხზე დადგეს და განავითაროს თავისი სახალხო კულტურა, თუ არა მთელი კავკასიის სფეროში. საფუძველი კავკასიის კულტურისა ერთია – ეს იაფეტური კულტურაა. ვინც ამ მთლიანობას გამოეყოფა, ეს გამოყოფა დასაწყისია მისი დასასრულისა<sup>49</sup>.

რაკი კავკასია და მისი ერები ერთია და ყოველთვის გაერთიანებული უნდა იყოს, ამისთვის საჭიროა მათ ჰქონდეთ ერთი იაფეტური ანბანი, და ასეთი ანბანი მან კიდევ შეადგინა და ამ ანბანით დაწერა ქართული ტექსტი სტატიისა: «რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება». მთლიან კავკასიას, გარდა ერთი ანბანისა, უნდა ჰქონდეს ერთი კავკასიის საერთაშორისო ენაც. მარი იკვლევს ყველა კავკასიის ენის თვისებას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ასეთ ენად უნდა იყოს ქართული ენა. აქ სისტემატურად და მჭევრმეტყველურად ნაჩვენებია უპირატესობა ქართული ენისა. ქართული ნაციონალური ენა, მარის სიტყვით, არის ფრიად მდიდარი, კულტურული, უნივერსალური შეთვისების მხრივ და სანახევროდ ეხლაც კავკასიის საერთაშორისო ენაა, ვინაიდან ამ ენაზე ლაპარაკობენ ქართლელები, კახელები, მეგრელები, სვანები, აფხაზები, ოსები, მთიელები და საქართველოს სომხებიც. ამასთან, ეს ენა არის უაღრესად დემოკრატიული, მისაწვდენი უმდაბლესი ხალხის ნაწილისათვის<sup>50</sup>.

ამრიგად, კოლოსალურია და ფასდაუდებელი ღვაწლი ნიკო მარისა ქართული ენის და კულტურის შესწავლაში, ასეთივეა მისი ღვაწლი სომხურის და საერთოდ, კავკასიის კულტურის შესწავლაშიც. რაც შეეხება იაფეტურ თეორიას, რომელიც ქართული ენის წიაღიდან წამოაყენა მარმა და რომელმაც უნივერსალური ხასიათი მიიღო, ეს ისეთი დიდი პრობლემა არის, რომ ამის გადაწყვეტას მთელი საუკუნე და მთელი რიგი მარის მსგავსად მომზადებული ლინგვისტების მუშაობა დასჭირდება. შესწავლილი უნდა იქნას დედამიწაზე არსებული ყველა ენა და გამორკვეული მათი დამოკიდებულება იაფეტურ ენებთან, ესე იგი, კავკასიის ენებთან პირველ რიგში. აგრეთვე პრობლემა ენის წარმოშობისა ერთობ რთულია და ეს მარტო ლინგვისტიკის საქმე არ არის. ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გზადაგზა იაფეტურ თეორიაზე მუშაობაში აუარებელი ქართული და კავკასიური სიტყვები და ფორმები ჯეროვნად განმარტებული და ახსნილია. მიმდევრები იაფეტური თეორიისა თანდათან ჩნდებიან ევროპაშიც და იქნება უფრო მალე გამართლდეს მარის სიტყვები, რომელმაც მომწერა: «ჩემს თეზისებს და თეორიას ჩემის სიკვდილის 40 წლის შემდეგ მიიღებენ». მიიღებენ თუ არ მიიღებენ საერთოდ იაფეტურ თეორიას, ეს კი ეჭვს გარეშეა, რომ ნ. მარი სამუდამოდ დარჩება მსოფლიო ლინგვისტთა პირველ რიგში, ბურჯად საქართველოს და მთელი კავკასიის მცოდნეობისა და მოციქულად კავკასიის ტომთა ერთობისა და სოლიდარობისა.

აღარა გვყავს ნიკო მარი, ბუმბერაზი მეცნიერებისა, მაგრამ ჩვენდა სანუგეშოდ მას დარჩა მრავალრიცხოვანი შეგირდი საქართველოში, სომხეთში, რუსეთში, ევროპაში და ამერიკაში, რომელთაც მან გადასცა უნარი დაუღალავი მუშაობისა, თავდადება და სიყვარული მეცნიერებისა, კრიტიკული მეთოდი კვლევა-ძიებისა, და რომელნიც ღირსეულად და ფრიად ნაყოფიერად ჩვენს თვალწინ განაგრძობენ თავისი მოძღვრის მეცნიერულ მუშაობას. საუკუნოდ დარჩება ღვაწლი და დამსახურება ნიკო

<sup>49</sup> ბატუმ, არდაგან, კარს. პეტროგრად, 1922 წ. გვ., 56–57.

<sup>50</sup> კ იზუჩენიუ სოვრემენნოვო გრუზინსკოვო იაზიკა. პეტროგრად, 1922 წ.

მარისა საზოგადოდ მეცნიერებაში და კერძოდ, კავკასიისმცოდნეობაში და საუკუნოდ იქნება ხსენებაც მისი.

## იური ნიკოლოზის ძე მარი (ნეკროლოგი)\*

ფრიად სამწუხარო ამბავი მივიღეთ ტფილისიდან. ჯერ ერთი წელი ძლივს შესრულდა, რაც დავკარგეთ ბუმბერაზი მეცნიერი ნიკო იაკობის ძე მარი და ეხლა მას თან მიჰყოლია ერთადერთი მისი შვილი იური მარი, რომელიც ხუთ დეკემბერს დაუკრძალავთ თბილისში, ახალი ვერის სასაფლაოზე.

იური მარი პატარაობიდან არაჩვეულებრივი ბავშვი იყო: მკვირცხლი, სიმპათიური, ნიჭიერი, კაცთმოყვარე, მასთან, თავისებური, უშიშარი და გაბედული. მამისაგან მას გამოჰყვა ნიჭი ენების ადვილად შესწავლისა და თანაც მერყეობა ახალგაზრდობაში მიმართულებისა და პროფესიის არჩევანში. ჯერ კიდევ გიმნაზიაში ადვილად შეითვისა ყველა ევროპული ენა. ასე რომ, ერთმა მისმა ნათესავმა პროფესორმა თარჯიმნად ის წაიყვანა ევროპაში და ამერიკაში მოგზაურობის დროს. გიმნაზია რომ გაათავა, ის გაიტაცა სურვილმა, მოეარა რუსეთი და გასცნობოდა ხალხს. ბოსიაკის სახით გაიჭრა სახლიდან და დაიწყო მოგზაურობა. მამამისი ნიკო მარი შწერდა – შვილი ჩემსავით მოხეტიალე გამომივიდა და მანდ თუ მოვიდეს, ყურადღება მიაქციეო. კარგა ხნის შემდეგ მართლა გამოჩნდა ტფილისში. ცოტა ხანი ჩემთან დაჰყო და შემდეგ გურიაში წავიდა. მე სიტყვა მომცა, რომ მალე დაბრუნდებოდა მამასთან პეტერბურგში, და მართლაც დაბრუნდა. ამავე დროს, სულ ახალგაზრდამ ცოლი შეირთო და უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე და დიდი წარმატება გამოიჩინა ამ ენების შესწავლაში. ხოლო როდესაც ომი დაიწყო, ომმა გაიტაცა და ქართულ ცხენოსანთა ესკადრონში ჩაეწერა, რომელიც სპარსეთში იყო გაგზავნილი სამოქმედოდ. როგორ შეეთვისა სამხედრო სამსახურს, არ ვიცი, ხოლო ეს კი ვიცი, რომ ყველა ამხანაგში დიდი სიყვარული დაიმსახურა. ამ დროს ის განსაკუთრებით ცხენების სიყვარულმა გაიტაცა. საოცრად უვლიდა და აპატივებდა ცხენებს მისას და სხვისას, სულ ერთი იყო მისთვის. ერთხელ მითხრა, ცხენებს მე ველაპარაკები, ჩემი ლაპარაკი ესმითო. მე რომ საჯინბოში შევდივარ, ყველა ცხენი ალერსს ფეხის ბაკუნით მიცხადებსო. რევოლუციის დროს ესკადრონი ტფილისში დაბრუნდა და დაიშალა. იური გურიაში წავიდა, თავისი მამის სოფელში და ერთხანად იქ მასწავლებლობდა. შემდეგ მოვიდა ჩემთან ტფილისში და მოინდომა პეტერბურგში დაბრუნება მშობლებთან და ცოლ-შვილთან. ცოლი და ერთი შვილი, ვაჟი, იქ ჰყავდა დატოვებული. გაემგზავრა, მაგრამ ჩრდილო კავკასიაში და ნამეტნავად როსტოვის ხაზზე ხან ბოლშევიკების რაზმებს გადაელობა, ხან თეთრგვარდიელების რაზმებს; ხან ერთ რაზმში იღებდა მონაწილეობას მეორის წინააღმდეგ, ხან მეორეში პირველის წინააღმდეგ. ერთიც და მეორეც დახვრეტას უპირებდნენ, მაგრამ თავისი სიმკვირცხლით დააღწია თავი და როგორც იყო მოვიდა ჩვენთან, ტფილისში. ჩვენ მაშინ ქართული უნივერსიტეტი გახსნილი გვქონდა და მისი სურვილისამებრ მოვათავსეთ უნივერსიტეტში, როგორც საპროფესოროდ მოსამზადებელი ასპირანტი. ამ დღიდან მისი მერყეობა

მიმართულების და პროფესიის ძეგნაში მოისპო და ის მუყაითად და გატაცებით შეუდგა სპარსული ენის და ლიტერატურის შესწავლას. იმავე დროს ფუტურისტულ ლექსებსაც ათავსებდა ხანდახან ტფილისის გაზეთებში, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა და სამეცნიერო ასპარეზი სამუდამოდ გახდა საგანი მისი ცხოვრებისა. მოკლე დროში თავისი დიდი ნიჭის გამო ის შეიქმნა კარგად მომზადებული ირანისტი. მუშაობდა ჩემი წამოსვლის შემდეგ კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში. აქედან ის უგზავნიდა ხშირად სტატიებს სპარსული პოეზიის დარგიდან აკადემიკოს ბარტოლდს და ბარტოლდი ათავსებდა მოხსენებათა სახით აკადემიის გამოცემაში. შემდეგ ის გადავიდა «სამეცნიერო გამოკვლევათა ინსტიტუტში კავკასიისმცოდნეობისა», რომელიც მამამისმა, ნიკო მარმა დააარსა ტფილისში და მას ჰქონდა ჩაბარებული ხელმძღვანელობა მახლობელი აღმოსავლეთის სექტორისა. უკანასკნელ დროს საბჭოთა აკადემიამ მას მიანიჭა ხარისხი ისტორიის ლიტერატურის დოქტორობისა.

როდესაც ფირდოუსის ათასი წლის იუბილეს იხდიდნენ, იური მივლინებულ იქნა სპარსეთში საქართველოდან. მისმა მოხსენებამ ფირდოუსის ნაწარმოების შესახებ აღტაცებაში მოიყვანა სპარსეთის მეცნიერები და ლიტერატორთა წრეები, გაოცებული დარჩნენ განსაკუთრებით მისი ერუდიციით სპარსულ ლიტერატურაში. სპარსეთის მთავრობამ ის დააჯილდოვა პირველხარისხოვანი ორდენით «დამსახურებისათვის კულტურულ ფრონტზე». მისი მთავარი კვლევის საგანს შეადგენდა ქართულ-სპარსული პოეზიის და ლიტერატურის დამოკიდებულება და კავშირი, პარალელები და მიმართულებანი და აგრეთვე მათი გადახლართვა საერთო კულტურულ მოვლენათა თანა. სწორედ ის, რაც ჩვენთვის ასე პირველხარისხოვანია. და აი, ამ დროს, როცა ის საუცხოოდ მოემზადა და მისი ნიჭი და ტალანტი ფართოდ უნდა გაშლილიყო, ამ დროს მოუწია სასტიკმა სენმა, ჭლექმა და იმსხვერპლა ახალგაზრდა მეცნიერი და უებრო სიმპათიური ადამიანი, 42 წლის ასაკის მქონე მხოლოდ. მას აღარ დასცალდა, მამამისსავით კაპიტალური ნაწარმოებნი და გამოკვლევანი დაეტოვებინა ჩვენთვის. ისე პატარ-პატარა სტატიები ბევრი აქვს, წერენ, 80 სტატია აქვს დაწერილი, მაგრამ ჩემამდე მეთედს არ მოუღწევია. ეხლა საბჭოთა აკადემიაში იბეჭდება დიდი მისი კრებული სტატიებისა «ნიზამ-ხაკან-რუსთაველი». სხვათა შორის, მას საბჭოთა ენციკლოპედიაში მოუთავსებია ირანის ისტორია სეფეიდების დინასტიიდან დაწყებული, მაგრამ ჩვენ ეს სტატია არ ჩავგარდნია ხელში. «ვეფხისტყაოსნის» ზოგიერთი ადგილის შესახებ მან რამდენიმე საყურადღებო წერილი და შენიშვნები დატოვა. აკადემიკოს ნიკო მარის ხსენებასთან ერთად საუკუნოდ დარჩება მისი ნიჭიერი შვილის – იური მარის ხსენებაც ჩვენში.

\*გაზ. «დამოუკიდებელი საქართველო», პარიზი, 1935 წლის დეკემბერი, №120, გვ. 11-12.

## ეროვნული განძეულობის თაობაზე

ამ უკანასკნელ დროს ემიგრაციაში სხვადასხვანაირი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ჭორი ვრცელდება – საქართველოდან ევაკუაციის დროს უცხოეთში გამოტანილი სამუზეუმო, საეკლესიო და ისტორიული მნიშვნელობის ნივთების შესახებ. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ შემდეგი:

1) არც ერთი ნივთი სამუზეუმო, საეკლესიო ან რაიმე ისტორიული ღირებულების, საქართველოდან ევაკუაციის დროს უცხოეთში გამოტანილი არ ყოფილა გაყიდული და არასდროს დაგირავებული;

2) ისინი საფრანგეთში ჩამოტანისთანავე, საფრანგეთის მთავრობის დახმარებით, გემიდან პირდაპირ საფრანგეთის სახელმწიფო ბანკის (Banque de France) განყოფილებაში იქმნა გადატანილი (ქ. მარსელში) და საქართველოს მთავრობის სახელზე იქმნა შესანახად მიბარებული (იხ. მიწერ-მოწერა ელჩის – აკ. ჩხენკელისა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და აღნიშნულ ბანკთან);

3) საქართველოს მთავრობა ამ ნივთებს ყოველთვის უყურებდა, როგორც შესანახად მიბარებულ კუთვნილებას საქართველოს ეროვნულ დაწესებულებათა, რომელთა წარმომადგენელი იყო აქ, უცხოეთში, ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილი. იგი საქართველოდან გამოჰყვა ნივთებს, როგორც რწმუნებული მუზეუმების, საქართველოს სამღვდლოების და დამფუძნებელი კრების მიერაც ამ საგნებისთვის ყურისმგებლად იყო გამოგზავნილი უცხოეთში;

4) ჩამოტანილი ნივთებიდან 13 ყუთი, ტფილისიდან წამოღებული, არ ყოფილა სრულიად გახსნილი, რადგან ისინი სათანადო მუზეუმების მიერ დაბეჭდილი იყო და ბეჭდის აუხდელად მათვე უნდა დაბრუნებოდა; დანარჩენი ნივთები თითოეულად იყო აღწერილი და მოთავსებული 26 ყუთში და დაბეჭდილი. ყველა ამ საგნის მიღებას, აღწერას და სახელმწიფო ბანკში მიბარებას აწარმოებდნენ: ბ-ები – ექვთიმე თაყაიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, იოსებ ელიგულაშვილი და ანდრია დეკანოზიშვილი. ამ პირთა მიერ შედგენილი სიები, მათ მიერ ხელმოწერილი და დაბეჭდილი ხელუხლებლივ შენახულია;

5) დღიდან ამ საგნების ბანკისთვის მიბარებისა არავის, არც პირადად, არც წერილობით, ბანკისთვის არ მიუმართავს არამცთუ რაიმე ნივთის გამოსატანად ან დასაგირავებლად, არამედ უბრალოდ დასათვალისწინებლადაც (ამის შემოწმება ხომ სულ ადვილია ბანკში);

6) თუმცა ამ საგნების დაცვის საკითხი არაერთხელ დასმულა «ეროვნულ ცენტრში», მაგრამ არც ეროვნულ ცენტრს და არც მუზეუმების წარმომადგენელს ბ-ნ ე. თაყაიშვილს არ მიაჩნდათ შესაძლებლად ამ ქონების უკეთესად დაცვა, თუ არა არსებული წესით და იმ ქვეყანაში, რომელიც უკანასკნელ დრომდე ცნობდა ჩვენს ეროვნულ უფლებებს და თავიდანვე დახმარება გაგვიწია ამ საგნების დაცვისთვის. საგნების შესანახი ქირა ეროვნულ მთავრობას შეტანილი ჰქონდა იმ დრომდე, სანამდისაც ბანკი ამას მოითხოვდა;

7) საფრანგეთის მთავრობა და ბანკი სთვლიდა საქართველოს ელჩს – აკ. ჩხენკელს ფორმალურად ამ ნივთების განმკარგულებლად. ამიტომ საელჩოს



დახურვის წინ ელჩმა განცხადებით მიმართა საფრანგეთის მთავრობას, რომელშიც იგი მოაგონებდა რა ამ ნივთების მნიშვნელობას, სთხოვდა მთავრობას, რათა ისინი ისევე ხელუხლებლად შენახოდა ქართველ ერს, როგორც აქამდე ინახებოდა (იხ. ელჩის – აკ. ჩხენკელის მიმართვა საგარეო საქმეთა მინისტრისადმი 28 ივნისს 1933 წ.);

8) საელჩოს დახურვის შემდეგ ქ-ნმა ობოლენსკისამ (თავ. მინგრელსკის ქალმა) საჩივარი აღძრა – იმ ნივთებში ჩემი საგვარეულო ქონებაც იმყოფებო (1920 წ. დეკემბერში დამგ. კრების დეკრეტით თავ. მინგრელსკის ქონება სახელმწიფოს საკუთრებად იყო გამოცხადებული) და ითხოვდა ამ ნივთების დაჭერას. სასამართლომ მას უარი უთხრა საჩივარზე, ხოლო იმავე დროს დაადგინა (8 მაისს 1934 წ.), რადგან საქართველოს ეროვნული მთავრობა «გაჰქრა» (que ce Gouvernement est disparu), ნივთები რომ არ დაიკარგოს, გადაეცეს დასაცავად ბ-ნ ჟუდონს (რომელსაც აზარია აგრეთვე საფრანგეთში დარჩენილი რუსეთის ქონება);

9) თანახმად ასეთი დადგენილებისა, ნივთები გადმოტანილ იქმნა ბანკის მიერ მარსელის განყოფილებიდან ამავე სახელმწიფო ბანკის მთავარ დაწესებულებაში პარიზში. ეს მოხდა საქართველოს ელჩის (ახლა მას აღარ ცნობდნენ ელჩად) და ბ-ნ ე. თაყაიშვილის დაუკითხავად და დაუსწრებლად, ხოლო თანდასწრებით, როგორც ბანკში განაცხადეს, საფრანგეთის სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებისა. ამნაირად, საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელს და სახელმწიფო ბანკს დააწვა ამ მომენტიდან პასუხისმგებლობა ნივთების დაცვისა;

10) ასეთი მდგომარეობის წინაშე ბ-მა ექვთიმე თაყაიშვილმა, როგორც საქართველოს მუზეუმების წარმომადგენელმა, მიმართა თხოვნით საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს (5 მაისს, 1935 წ.), სადაც იგი დაწვრილებით აუწყებდა მას, რომ ეს ნივთები წარმოადგენენ არა საქართველოს მთავრობის, არამედ კერძო მუზეუმების კუთვნილებას, რომ საქართ. ეროვნულ მთავრობას იგი მიზარებული ჰქონდა შესანახად და ხელუხლებლად. იგი იმას ინახავდა, სანამ მას ამის საშუალება წაერთმეოდა და სხვ. და სთხოვდა, ნივთები აღნიშნულ მუზეუმებს კუთვნილებისამებრ დაბრუნებოდა.

ნივთები დღემდე ინახება საფრანგეთის სახელმ. ბანკში, პარიზში, საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლის – ბ-ნ ჟუდონის მეთვალყურეობით. როგორც ზევით დავინახეთ, ისინი სავსებით დაცული და ხელშეუხებელი იყვნენ, სანამ საფრანგეთის მთავრობა სცნობდა საქართველოს ეროვნულ მთავრობას და მის საელჩოს და სანამ ამ უკანასკნელთ ფორმალური უფლება ამ საქმეში ჩარევისა არ წაერთვათ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საფრანგეთის მთავრობა აღნიშნულ ნივთებს კუთვნილებისამებრ ჩვენს მუზეუმებს გადასცემს.

ყოფილი ელჩი აკ. ჩხენკელი

მუზეუმების წარმომადგენელი და სამუზეუმო განმეულობის მეთვალყურე

ექ. თაყაიშვილი.

## მიმართვა ქართველი ემიგრაციისადმი

იყო დრო და ეს არც ისე დიდი ხანია, როცა ჩვენი ინტელიგენცია ერთობ გულგრილად უცქეროდა ქართულ საკულტურო ნაშთებს და თავს არ იწუხებდა მათი შეგროვებისა და გამოცემისათვის. ამ გულგრილობამ დიდძალი პირველი ხარისხოვანი ძეგლები დაგვიკარგა: რაც მამებს თავიანთ ძველ ოჯახებში დაგროვილი ჰქონდათ, შვილებმა დაკარგეს.

ამჟამად, ჩვენდა საბედნიეროდ, იშვიათია ისეთი განათლებული ქართველი, რომელსაც არ შეეგნოს და რომელიც არ ცდილობდეს ქართული ისტორიის და ლიტერატურის გაცნობას. ეროვნული მიმართულება თანდათან ღვივდება და ეს თავისთავად იწვევს ქართული კულტურის შესწავლას.

ქართული სულიერი, გონებრივი და მატერიალური კულტურა რთულია, მრავალმხრივია და ბევრ რამეში მეტად თავისებურია. იშვიათია პატარა ერი, რომელსაც ასეთი მდიდარი ძველი კულტურა ჰქონოდა. ამ კულტურამ გადაარჩინა ქართველი ერი მოსპობას ჟამთა ვითარების აბოზოქრებული ქარტახილისაგან, მისცა უნარი სიმტკიცისა, გამძლეობისა და ყოველი ჭირის გადატანისა.

ვინც ამ კულტურას ასე თუ ისე არ იცნობს, ის არასოდეს არ იქნება ნამდვილი ქართველი, ჭემმარიტი ქართული სულის მატარებელი, მას გადაგვარება მოეღოს, თუ უკვე გადაგვარებული არ არის. ამიტომ ყველა მოვალე ვართ, ხელი შევუწყოთ ჩვენი კულტურის საფუძვლიანად შესწავლას, რაც პირველ რიგში უნდა გამოიხატოს საკულტურო მასალების შეკრებაში და უკვე შეკრებილის გამოქვეყნებაში, უამისოდ ჩვენ ვერ აღვადგენთ ჩვენი კულტურის ნამდვილ სახეს და ვერ შევიგნებთ მის ცხოველმყოფელ ძალას, რომელიც იხატებოდა პირველ ყოვლისა მდიდარი ქართული ენის განვითარებაში, სასულიერო და საერო ლიტერატურაში, პოეზიაში, ფილოსოფიაში, ხუროთმოძღვრებაში და სხვა ყველა ხელოვნების დარგში, რჯულის და ზნეობის სიმტკიცეში, სოციალურ წყობილებაში, მეურნეობაში, ეკონომიკაში და სხვა.

ქართველთა მიერ ქართული ძეგლების შეკრება იწყება მხოლოდ წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებიდან. ამას ხელი შეუწყო კიდევ საეკლესიო მუზეუმის დაარსებამ და განსაკუთრებით განაცხოველა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებამ. ეხლა მას აგვირგვინეს ჩვენს დროს დაარსებული ქართული უნივერსიტეტი და ხელს უწყობენ ჩვენი მუზეუმები.

კვებნაში ნუვინ ჩამომართმევს, თუ ვიტყვი, რომ მე წილად მხვდა სხვებთან ერთად ჩემი სუსტი ღონე და მცირე თავისუფალი დრო, სპეციალური საპედაგოგო მოღვაწეობიდან გადარჩენილი, მთლად შემეწირა ქართული საისტორიო და საკულტურო საგნების და მასალების შეგროვებისათვის, ცნობაში მოყვანისათვის, აღწერისა და გამოცემისათვის. ამ მიზნით ხშირად მიხდებოდა მოგზაურობა და ექსპედიციების მოწყობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. შეგროვილი დიდძალი მასალა დაცულია ჩვენს მუზეუმებში, მცირე ნაწილი გამოცემულია, და ვინც ჩვენს ლიტერატურას თვალს ადევნებდა, დაინახავდა, თუ როგორც შეუწყვეს

ხელი ამ გამოცემებმა ჩვენი ისტორიის, ლიტერატურის და ხელოვნების შესწავლას. ხოლო ერთი ნაწილი მასალებისა თანა მაქვს და გამოუცემელი რჩება, საქმე კი საშურია: დრო მიდის, მე მივიწურე აღსასრულისაკენ «ადამის ტომთა წესითა», და ჩემს შემდეგ ამ მასალას თავს ვერავინ გაართმევს. თანა მაქვს, სხვათა შორის, შესანიშნავი სახუროთმოძღვრო ძეგლების გეგმები სამუსულმანო საქართველოსი და მრავალი ფოტოგრაფიული სურათი, მათ შორის, ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლების სურათებიც, რომელნიც დღეს სამუდამოდ მოსპობილია და მხოლოდ ჩემი აღწერილობა და გადმოღებული სურათებია დარჩენილი. ამათ გამოცემას მპირდებოდნენ ექვს დიდ ალბომად, მაგრამ ეს იმედი ახლა გაქრა, ამაზედ ოცნებაც მეტია, ვინაიდან ამას, სულ ცოტა რომ ვთქვათ, სჭირდება ნახევარ მილიონ ფრანკზე მეტი. ისიც დიდი საქმე იქნება, თუ აღწერილობათა ტექსტები გამოვეცით. ეს შეადგენს დაახლოებით 2000 გვერდს შუა ფორმატის წიგნისას. რასაკვირველია, ეს რამდენიმე წიგნად უნდა გამოვიდეს.

ამიტომ გავკადნიერდები, ვინაიდან ეს საზოგადო ქართული საკულტურო საქმეა, და მივმართავ ყველა საზღვარს გარეთ მყოფ ქართველ ორგანიზაციას და თვითეულ საზღვარ გარეთ მყოფ ქართველს განურჩევლად პარტიისა, კეთილ ინებონ და ვისაც რა შეუძლია, რამდენიც შეუძლია, დაგვეხმარონ ამ საქმეში. ვისაც ეხერხება, ერთდროული თანხა მოგვაწოდოს; ვისაც ეს არ ეხერხება, თვიურად ერთი წლის განმავლობაში ათ-ათი ფრანკი შემოიტანოს. უფრო ხელმოკლეთ შეუძლიათ თვიურად ხუთ-ხუთი ფრანკი გადადონ. რასაკვირველია, ვინც უმუშევარია, მათ ეს მიმართვა არ ეხება. კერძოდ, იმ ორგანიზაციებისათვის, რომელნიც გაზეთებს სცემენ, ჩემი წინადადება არის, ერთი-ორი ნომრის გამოცემა შეაჩერონ და მათი ფასი ამ საქმისთვის გადადონ. ამით მე მგონია, დიდი არაფერი დაშავდება.

მე მოწამე ვარ იმ საოცარი ევოლუციისა, რომელიც ჩვენში მოხდა ამ საკითხში. თუ პირველ ხანებში ამ დარგში მუშაობის დროს მე სასაცილოდ მიგდებდნენ, თავს მესხმოდნენ, განსაქიქებელ წერილებს მიძღვნიდნენ, – საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების შემდეგ მტრული განწყობილება სიმპათიად შეიცვალა. ყველამ დიდი პატივი დამდო. ძვირად თუ ვისმეს გავუწბილებივარ საყურადღებო ხელნაწერების და ნივთების შემოწირვაში. რაშიც ფულს ვაძლევდით, იმასაც სულ იაფად გვითმობდნენ. ათი წლის განმავლობაში დიდი მუზეუმი შევქმენით და მილიონი მანეთის უძრავი მამულები შევიძინეთ. ის ანდერძები, რომელნიც დაგვიტოვეს აკაკი წერეთელმა, დავით სარაჯიშვილმა, ნესტორ პეტრიაშვილმა, ლუდუშაურებმა და ბევრმა სხვებმა (ხოლო ჩვენ რევოლუციის და ფულის დაცემის გამო ნაკლებად ვისარგებლეთ), მოწმობენ ძირითად გარდატეხას და მტკიცე შეგნებას ჩვენი ძველი კულტურის შესწავლის აუცილებელი საჭიროებისა. ერთი სიტყვით, მთელმა საქართველომ დიდი პატივი დაგვდო და ხელი შეგვიწყო. თუ ასეთი სიმპათია გამოჰყვა ემიგრაციასაც, მაშინ ეს ჩემი წინადადება, დარწმუნებული ვარ, პატივით იქნება მიღებული. სამწუხაროდ, ჩვენი ემიგრაცია დაქსაქსულია პოლიტიკური მიმართულების თვალსაზრისით. ამ საქმეში მაინც შევვერთდეთ. იქნებ ამ შეერთებამ სხვა დიდ საქმეშიც შეერთება გამოიწვიოს. ღმერთმა ქნას!

ახლო ხანში 50 წელი შესრულდება, რაც მე საპედაგოგო დარგში და ამ დარგში დავიწყე მუშაობა. ამის გამო ზოგმა ჩემმა ყოფილმა შეგირდმა მომმართა წინადადებით იუბილის მოწყობისა, რაზედაც, რა თქმა უნდა, უარი განვაცხადე: პირველად – იმიტომ, რომ საიუბილეო არაფერი გამიკეთებია, – მე მხოლოდ ჩემს

ქართულ მოვალეობას ვასრულებდი; მეორედ – იმიტომ, რომ კიდევაც ღირსი ვიყო იუბილესი, ჩვენს პირობებში, ემიგრაციაში, იუბილე ვის გაუგონია! არ ეგების! იუბილეზე მეტად ჩავთვლი და უფრო სასარგებლოც იქნება, თუ ამ გამოცემათა საშუალებას მომიხერხებენ.

ნუვინ დამწამებს, თითქოს მე ჩვენი ემიგრაციის სიღარიბე არ ვიცოდე. არა, ძლიერ კარგად ვიცი, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, ჩვენში საზოგადო საქმე, თუ რამე გაკეთებულა, ისევ ღარიბი ქართველის ჯიბით და მისი ინტელიგენციის წყალობით. მდიდრები ცოტა გვყვანდნენ და ვინც გვყვანდა, ბევრი საიმისო არაფერი გაუკეთებიათ. თუ გული გულობს და ყველანი შევერთდებით, საერთო წვლილითაც ამ საქმეს ეშველება. ეს არის პირველი და უკანასკნელი ჩემი თხოვნა ქართველი ემიგრაციისადმი. ვინც პატივს დაგვდებს და დაგვეხმარება ამ საქმეში, მათ ვთხოვ წინდაწინვე მიიღონ ჩემი უღრმესი მადლობა და თანაგრძნობა.

პატივისცემით **ექვთიმე თაყაიშვილი**  
25 ნოემბერი, 1936 წ.

**P. S.** ვთხოვ სხვა ქართულ გამოცემას, გადაბეჭდონ ეს ჩემი მიმართვა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის მორიგ ნომერში ადგილი დაუთმოთ ამ ანგარიშს და მცირე შენიშვნას.

ჩემი «მიმართვა ქართველი ემიგრაციისადმი» 25 ნოემბრიდან 1936 წლისა დიდ თანაგრძნობას იწვევს ჩვენს საზღვარს გარეთ მყოფ მოძმეთა შორის. ბევრი წერილი მომდის თანაგრძნობისა და სიმპათიისა, რასაც ზნეობრივად ჩემთვის დიდი ფასი აქვს. ზოგმა უკვე მომაწოდა და უფრო მეტი მპირდება ერთდროულად თუ თვითურად თავისი წვლილის მოწოდებას. მე მოკლებული ვარ საშუალებას, ყველას ცალკე წერილით მადლობა გადავუხადო და პასუხი გავცე. ამიტომ ვსარგებლობ თქვენი გაზეთით და უღრმეს მადლობას ვუცხადებ ყველას, ვინც თავისი წვლილი მოგვაწოდა და ვინც დაგვპირდა მოწოდებას თვითურად თუ ერთდროულად. ზოგი მთხოვს განვმარტო, რამდენი დაჯდება მთელი გამოცემა, რა მასალები იქნება შიგ მოქცეული, რამდენი თანხა უკვე შემოვიდა, რამდენს არიან თვითურად დაპირებულნი და სხვა. სიამოვნებით ვასრულებ მათ სამართლიან სურვილს.

როგორც ჩემს მიმართვაში იყო უკვე მოხსენებული, ქართული ტექსტი მასალებისა, უსურათებოდ იქნება 2.000 გვერდამდე შუა ფორმატის წიგნისა. ეს შეადგენს 125 ფორმას; ფორმაში იქნება 16 გვერდი. მცოდნე პირთა დახმარებით ჩვენ შევკრიბეთ ყველა ცნობა. გამოირკვა, ეხლანდელი ფასების მიხედვით თითო ფორმა ეღირება 450-500 ფრანკამდე. აქ მიღებულია მხედველობაში სიძვირე მასალებისა,

რომელიც დღითიდღე მატულობს. მაშასადამე, მთელი გამოცემა დაჯდება 62.500 ფრანკი, ყოველგვარი ეკონომიის გაწევით – არანაკლებ 60.000 ფრანკისა. მასალები გამოვა ექვს წიგნად. შევუდგებით ბეჭდვას, როცა პირველი წიგნის – 20 ფორმის ფასის თანხა შესდგება, ესე იგი 320-გვერდიანი წიგნისა, რაც დაჯდება 10.000 ფრანკი. წიგნებში მოთავსებული იქნება მასალები, შეკრებილი ჩვენს მიერ მოწყობილი ექსპედიციებისა: ყოფილ ოლთისის ოკრუგში ყარსის ოლქისა, 1907 წელს (ეს ოკრუგი შეადგენდა ძველი ტაოს ნაწილს), სამუსულმანო საქართველოში «ტაო ისპირში» 1917 წელს; ლეჩხუმ-სვანეთში – 1910 წელს; იმერეთში, რაჭაში და გურიაში სხვა და სხვა დროს. ხასიათი და მნიშვნელობა მასალებისა იქნება ისეთი, როგორც არის ჩვენს მიერ გამოცემულ წიგნებში ქართულად და რუსულად (იხ. «არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი», წიგნი I და II); ასეთივე ხუთი წიგნი რუსულ ენაზე და «მატერიალი პო არხეოლოგია კავკაზა», წიგნი მე-12, მოსკოვში გამოცემული; სტატიები პეტერბურგში «ხრისტიანსკი ვასტოკ»-ში, ტომი 4, 5, 6); კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის გამოცემაში, ტ. II; ტფილისის უნივერსიტეტის მოამბეში, ტ. I და ამ ბოლო დროს ლონდონში გამოცემული «Georgica»-ში, ტომი I, წიგნი 2 და 3.

**ფულის ანგარიში  
დღემდე მიღებულია ერთდროულად:**

	<b>ფრანკი</b>
1. უცნობი პირისაგან, რომლის ვინაობა ბოლოს იქნება გამოცხადებული	1.000
2. ნოე ცინცამე	500
3. ელენე და ნიკო აბხაზი	100
4. ვარშავის ქართველთა ასოციაცია	250
5. გრიშა უჩამე	100
6. ანტონ ჟორჟოლიანი	50
7. ნიკო სიდამონ-ერისთავი	50
8. ვალიკო ფიჩხაია (პრალა)	105
9. ინჟ. პავლე ჟორჟოლიანი (პრალა)	35
10. ირაკლი ოთხმეზური (ბრიუსელი)	70
11. პარიზის «ქართული კერა» (ქ-ნ სონა კედიას მიერ წარმოგზავნილი	100
12. ქ-ნი სონა კედია თავისი ოჯახის სახელით ამჟამად	25
13. მარკოზ ტულუში (ბელგია) ბელგ. ფრანკი	250
14. ინჟ. დ. ბერეკაშვილი           "           "	140
15. გ. გაბუნია                           "           "	10
16. ირაკლი ჯაფარიძე               "           "	20
17. დ. ბრეგვაძე                       "           "	15
18. ნიუ-იორკის ქართველთა საზოგადოებისაგან ჯერხანად (დაპირებული არიან სულ 400 დოლარს).	50 დოლარი

**თვიურად შემოტანა ალგვითქვეს  
ერთი წლის ვადით:**

- 1) სოშოში მყოფმა ქართველმა მუშებმა (40 კაცამდე) ათ-ათი ფრანკი თვიურად და ამას გარდა ერთდროულად 1.000 ფრანკი.
- 2) ივანე ზურაბიშვილის ოჯახმა შვილებითურთ ორმოცდაათი ფრანკი თვიურად (სამი თვის 150 ფრ. უკვე შემოტანილი აქვთ).
- 3) ექიმმა კალისტრატე კახიანმა, რომელიც პოდკარპატის რუსში ცხოვრობს, ჩეხოსლოვაკიაში ბ-ნ შალვა აბდუშელიშვილის საშუალებით მაცნობა, რომ ის შემოიტანს 300 ფრანკს – ამას თვიურად; აპრილიდან დაწყებული ექვსი თვის განმავლობაში გაანაღდებს თვით ბ-ნი შ. აბდუშელიშვილი (აპრილისთვის 50 ფრანკი უკვე შემოიტანა).
- 4) ექიმმა ვახტანგ ღამბაშიძემ სიძეებითურთ თვიურად ოცდაათი ფრანკი (ერთი თვის უკვე შემოტანილი აქვს).
- 5) სერგო იმნაძემ ერთდროულად დაგვპირდა 50 ფრანკი, ხოლო თვიურად ათ-ათი ფრანკი.
- 6) გიორგი ჟურულის ოჯახმა შვილებითურთ თვიურად ათ-ათი ფრანკი.
- 7) ათ-ათი ფრანკის შემოტანა იკისრეს და ორი თვის უკვე შემოიტანეს პარიზში მყოფმა შემდეგმა პირებმა: ს. მდივანმა, ა. ჩხენკელმა, ნ. ჟორდანიამ, ი. სალაყაიამ, ი. ნუცუბიძემ, ე. გეგეჭკორმა, კ. კანდელაკმა, კ. ქავთარაძემ, სოს. ასათიანმა, ს. გოგოლაშვილმა.
- 8) ბელგიაში მყოფმა ქართველებმა ალგვითქვეს თვიურად ოც-ოცი ბელგიური ფრანკი: ლაზრიშვილმა ივანემ (უკვე შემოიტანა ოთხი თვის სარგო), ოთხმეზურმა ირაკლიმ (შემოტანილი აქვს ორი თვის სარგო), ყიფიანმა რუსუდანმა (შემოტანილი აქვს ორი თვის სარგო), ჯოხაძე არჩილმა (შემოტანილი აქვს ერთი თვის), ყავლიშვილმა გიორგიმ (შემოტანილი აქვს ერთი თვის), ქიქოძე მაქსიმემ (შემოტანილი აქვს ორი თვის 30 ფრანკი). ათ-ათი ბელგიური ფრანკი ალგვითქვეს: ტატიშვილმა იაკობმა (ორი თვის უკვე შემოტანილი აქვს) და უცნობმა პირმა (ორი თვის შემოტანილი აქვს 15 ფრანკი).

ამას გარდა, დაპირება თავისი ხვედრის მოწოდებისა სხვებისგანაც გვაქვს წერილობით, მაგრამ ვინაიდან რაოდენობა თანხისა არ აღუნიშნავთ, ამიტომ მათ ვინაობას ჯერ საჭიროდ არა ვპოვებ გამოვაცხადო.

სულ დღემდე, 23 აპრილამდე, შემოსულია ფრანგული ფრანკით რომ ვიანგარიშოთ, 4.365 ფრანკი.

თქმა არ უნდა, მთელი თანხა, რაც შემოვა, მოხმარდება მხოლოდ და მხოლოდ გამოცემებს და პირადად ჩემთვის ერთი ფრანკი არ იქნება დახარჯული.

ამ მიზნით ფული, რაც შემოვიდა 22 აპრილამდე, გადაეცა და რაც შემოვა შემდეგ, კვლავ გადაეცემა ქართველთ Office-ში ბატონ კ. კანდელაკს. ჩემი თხოვნით ის მიიღებს შრომას, გაიღოს ყოველი ხარჯი გამოცემისა. საბოლოო გამოცემას დართული ექნება სრული ანგარიში და სია შემომწირველთა, ხოლო ასეთივე ანგარიში დროგამოშვებით მოთავსებული იქნება ამავე გაზეთში.

## ანგარიში

### ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა

როგორც «დამ. საქართველოს» ამა წლის აპრილის გამოცემაში იყო მოხსენებული (№134, გვერდი 14–15), 23 აპრილისათვის ფონდის შემოსავალი იყო 4.365 ფრანგული ფრანკი. მას შემდეგ შემოვიდა:

1. ლიდა და მიხეილ უბირიასაგან (პრალა) – 100 ფრ.
  2. სერგო იმნადისაგან – 50 ფრ.
  3. პარიზის ქართველთ ახალგაზრდა წრისაგან (ლ. ზურაბიშვილის და ბ. რამიშვილის მიერ წარმოგზავნილი) – 300 ფრ.
  4. კალისტრატე კახიანისაგან (შ. აბდუშელიშვილის მიერ შემოტანილი) – 50 ფრ.
  5. პოლონეთში მყოფ ქართველთ ოფიცრებისაგან (ბ. ბაგრატიონის მიერ წარმოგზავნილი. სახელები შემომწირველთა ბოლოს იქნება გამოცხადებული) – 423 ფრ.
  6. ივანე ზურაბიშვილის ოჯახისაგან – 150 ფრ.
  7. სოშოს ქართველი მუშებისაგან (სახელები შემომწირველთა წლის ბოლოს იქნება გამოცხადებული) – 560 ფრ.
  8. ვალიკო ფიჩხიასაგან (ჩეხოსლოვაკია, ლომთათიძისაგან წარმოგზავნილი. ბ-ნი ვალიკო მეორედ გზავნის ასეთ თანხას) – 105 ფრ.
  9. პარიზის ცენტრის წევრებისაგან – 300 ფრ.
  10. პარიზში ქალთა კომიტეტის მიერ შეგროვილი (რომელშიც 200 ფრანკი შეგროვილია ლიდა და გიორგი ნოზაძისაგან; 300 ფრ. – პარიზის დრამატული დასის «დამხრჩვალ ჩიკვი»-საგან; 200 ფრ. – პარიზის «შავარდენის კარვედის გუნდი»-საგან; 100 ფრ. – ბ-ნ ლ. რუხაძის მიერ შეგროვილი; 50 ფრ. – M-e Brumaultdes Houlières-რისგან; 50 ფრ. - ბ-ნ ლ. ჭურღულაშვილისგან) 800 ფრანკი.
  11. კ. ქავთარაძისაგან წინათ შემოტანილი (ის შედის პარიზის ცენტრის წევრებშიც) – 10 ფრ.
  12. ბრიუსელში მყოფი ქართველებისაგან (რუსუდან ყიფიანი, ვ. ლაზარიშვილი და ი. ოთხმეზურისაგან) – 120 ბელგ. ფრანკი.
  13. ჟურნალ «სამშობლოს» რედაქციისაგან – 100 ფრ.
- სულ დღემდე, 13 ივლისამდე, შემოსულია ფრანგული ფრანკით რომ ვიანგარიშით, 7.428 ფრ.
- გულითადი მადლობა ყველა ზემოაღნიშნულ შემომწირველთ.

## ანგარიში

### ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა

როგორც «დამ. საქართველოს» ამა წლის ივლისის გამოცემაში იყო მოხსენებული (№137, გვ. 16), 23 ივლისს ფონდის შემოსავალი იყო 7.428 ფრანკი.

მას შემდეგ შემოვიდა:

ნიუ-იორკის ქართველებისაგან კერძოდ შეკრებილი სპეციალური კომისიის მიერ და ირაკლი ორბელიანის მიერ წარმოგზავნილი (სია შემომწირველთა ჯერ არ მიგვიღია) – 46 დოლარი.

ირ. ოთხმეზურისაგან და ივ. ლაზრიშვილისაგან (ბრიუსელი) – 151 ფრ.

პარიზის ცენტრის წევრებისაგან – 300 ფრ.

ჟურნალ «სამშობლო»-ს რედაქციისაგან (ალ. ასათიანის მიერ გადმოცემული) – 300 ფრ.

ივანე ზურაბიშვილის ოჯახისაგან – 150 ფრ.

კოლია ქვარიანისაგან – 100 ფრ.

ინჟინერ ნიკო დოლიძისა და მისი მეუღლის ვარდოთისაგან (პრალა, ემელ. ლომთათიძისაგან მოწოდებული) – 300 ფრ.

ევთიმი მსხეთელისაგან (სოშო) – 50 ფრ.

გიორგი ჟღენტისაგან (ლევილი) – 30 ფრ.

სულ დღემდე, 23 ოქტომბრამდე შემოსულია – 8.809 ფრანკი და 46 დოლარი.

გულითადი მადლობა ყველა ზემოაღნიშნულ შემომწირველთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. შეცდომის გასწორება. გასული 23 ივლისის ანგარიშში («დამ. საქ.» №137) შეცდომით წერია: 200 ფრანკი შეგროვილია ლიდა და გიორგი ნოზაძეებისაგან». უნდა იყოს: «200 ფრ. შემოწირულია ლიდა და გიორგი ნოზაძეებისაგან».



## წინასიტყვაობა თამარ პაპავას წიგნზე: «დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში»

პარიზი, 1937

ქალის განსაკუთრებული როლი ქართულ ისტორიაში ცნობილია. ქალი იყო ქართული ოჯახის ბურჯი, სიმტკიცე და საფუძველი სახელმწიფოსი. ქართველი ქალის ხელთ იყო არა მარტო სამეურნეო ნაწილი ოჯახისა, არამედ უმთავრესად შვილების აღზრდა, წერა-კითხვის სწავლება, ქართულ ზნეთა და რწმენათა ჩანერგვა. ქართველი ქალი უზრდიდა საქართველოს ღირსეულ შვილებს. არანაკლები იყო ქართველი ქალის როლი პოლიტიკაშიც, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ საქართველოს აყვავების ხანა, – მისი პოლიტიკური და კულტურული ზენიტი ქალის მეფობას ხვდა, – ბრძენმა თამარ მეფემ დააგვირგვინა.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ფაქტიც, რომ 1832 წ. შეთქმულებაში, რომლის მიზანი საქართველოს სუვერენობის აღდგენა იყო. შეთქმულთა მოთავე, მათი სულისჩამდგმელი და განმკარგულებელი ქალი იყო – ბატონიშვილი თამარი, ასული იულონ ბატონიშვილისა. ის ხომ წინდაწინვე მეფედ იყო დასახული.

ქართველი საზოგადოების გამაერთიანებელი ყოველთვის ქალი იყო. არავის შეეძლო ერთობა დაემყარებინა სხვადასხვა ჯგუფში, როგორც ქართველ წარჩინებულ ქალს, რომლის ირგვლივ იკრიბებოდნენ საუკეთესო მამულიშვილები. ეს როლი ქართველმა ქალმა შეინარჩუნა მე-19 საუკუნის პირველ ნახევრამდე. მისი უკანასკნელი წარმომადგენელი მანანა ორბელიანისა იყო. ხოლო შემდეგ, რუსულ ინსტიტუტებში აღზრდილ ქალებს, უმეტეს შემთხვევაში, ქართული ზნე და უნარი აღარ ეტყობოდათ. მოწინავე საზოგადოების ქალებმა შეითვისეს გარეგანი, უფრო უარყოფითი მხარეები ევროპული განათლებისა და გადაგვარებისაკენ მიიხარენ.

ჩვენს დროს აღარ იყო წარჩინებული, ქართულ ტრადიციაზე აღზრდილი ბანოვანი, რომელსაც შეძლებოდა მოწინავე საზოგადოებისა და ინტელიგენციის გაერთიანება. გაისმა უკმაყოფილება ქართველი ახალი თაობის ქალისადმი, მათი ფუქსავატობისა, ნაციონალური მიმართულების ღალატისა და სხვა. რასაკვირველია, ეს მიმართულება საერთო იყო როგორც ვაჟების, ისე ქალებისთვისაც; მაგრამ ქალებს ეს უფრო დაეტყოთ, ვიდრე ვაჟებს.

თქმა არ უნდა, ჩვენს დროსაც გვეყვანდნენ საზოგადო ასპარეზზე მომუშავე ქალები, რომლებმაც თავი იჩინეს მწერლობაში, ქველმოქმედებაში, ხელოვნებაში, განსაკუთრებით არტისტულ მოღვაწეობაში, აღმზრდელობაში და სხვა დარგებში, მაგრამ ეს ყველაფერი ვერ შეედრება იმ თვალსაჩინო როლს და უნარს, რომელსაც წინანდელი ბანოვანები იჩენდნენ.

ამ მხრივ მართლაც გამოჩაჩივრის შეადგენს ქალბატონი თამარ გოგოლაშვილის ასული პაპავასი, რომლის წინამდებარე ისტორიული ნარკვევები – «დიდი სახეები

პატარა ჩარჩოებში» – ფრიად სასიამოვნო მოვლენას წარმოადგენს ჩვენს ლიტერატურაში. ამ დარგში ქართველ ქალს ჯერ არ უმუშავნია. ეს პირველი ცდა არის ცდა ღირსეული და თვალსაჩინო.

ავტორს საკმაოდ შეუკრებია გამოქვეყნებული მასალები და ეს არც ისე ადვილია ევროპაში. ჩვენ ვამბობთ ევროპაში, თორემ საქართველოში, რა თქმა უნდა, მეტი მასალის მოპოვება შეიძლებოდა, მეტადრე ხელნაწერებში.

ყველაზე უფრო სასიამოვნო აღსანიშნავია, რომ ავტორი საუცხოოდ ერკვევა ამ მასალებში და საერთოდ შესაფერად ახასიათებს თითოეულ მოღვაწეს.

მთელი წიგნი ექვსი ნარკვევისაგან შედგება და თვითეულ ნარკვევს მონოგრაფიული ხასიათი აქვს... თუმცა ავტორს მთავარ მიზნად დაუსახავს გვაჩვენოს ქართველი ქალის როლი, ღვაწლი და განცდები იმ გმირულ ბრძოლებში, რომლებსაც აწარმოებდნენ თავისუფლების შესარჩენად საქართველოს ყოფილი სამეფოები, სამთავროები თუ განსაკუთრებული კუთხეები, მაგრამ აქ საკმაოდ ვრცლად წარმოდგენილია მთელი ისტორია ამ უთანასწორო ბრძოლებისა და დახასიათებულია ყველა მებრძოლი, როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცები.

პირველ ნარკვევში – **«მეფე ერეკლეს ქალები»** – რელიეფურად გამოსჭვივნიან სახეები დედოფლის დარეჯანისა და ირაკლის ასულთა, სახელდობრ, ქეთევანისა, მარიამისა და თეკლასი. ესენი იყვნენ პოეტები და მათ საუცხოო ელეგიებში აღბეჭდილია მათი მწვავე განცდები ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გამო. ესენი იყვნენ თვალსაჩინო წევრნი 1832 წლის შეთქმულებისა და სხვებთან ერთად იგემეს რუსთა სასჯელი. ამათში პოეტური ნიჭით უფრო მძლავრია მარიამი – ცოლი ქალაქის მოურავის დავით ციციშვილისა, ხოლო თეკლა ბატონიშვილი ხომ განთქმული იყო თავისი სილამაზით, მამაკაცური მხნეობით, ჭკუით და გავლენით; ეს იყო დედა პოეტის ვახტანგ ორბელიანისა და მწერალი პატრიოტის ალექსანდრე ორბელიანისა<sup>51</sup>.

მეორე ნარკვევში – **«ქართველი ქალი და 1832 წლის შეთქმულება»** – მოთხრობილია ისტორია ამ შეთქმულებისა და ის როლი, რომელი წილად ხვდა თამარ ბატონიშვილს, ფრეილინას, ბატონიშვილის იულონის ასულს და მასთან მთელ გუნდს ქართველი ქალებისა.

მესამე ნარკვევი – **«ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი»** – მოგვითხრობს ისტორიას ალექსანდრე ბატონიშვილის დაუღალავი ბრძოლებისა და მის დაქორწინებას მელიქ სააქის ასულზე მარიამზე, რომელიც თავრიზის აღების შემდეგ ხელში ჩაუვარდა რუსებს თავისი პატარა შვილით, ირაკლითურთ.

---

<sup>51</sup> ალექსანდრე ორბელიანის ნაწერები, ორბელიანთ სიგელ-გუჯრებთან ერთად, მე გამოვითხოვე პატივცემულ მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანისაგან და ჩავაბარე წერა-კითხვის საზოგადოებას; აღვნიშნე მათი ნუსხა საზოგადოების წიგნთსაცავის კატალოგში, ხოლო შემდეგ მათი მოკლე აღწერილობა მოვათავსე ჩემს რუსულად გამოცემულ კატალოგშიც. ვისაც ეს მასალები გადაუკითხავს, დაინახავდა, თუ რა მოკრძალებითა და ნაზი სიყვარულით ეპყრობა ყველაფერში დედას ალექსანდრე: თეკლა მისთვის ღმერთია; მის დაუკითხავად და რჩევის გარეშე ალექსანდრე არაფერს აკეთებს; ის დედასთან ყველაფერში გულახდილია, ისეთ საქმეშიც, რომელსაც მამაკაცი დედაკაცს, თუნდაც დედას, იშვიათად გაუმჟღავნებს. ამას მოწმობს ალექსანდრეს მიერ დაწერილი თავისი გულუბრყვილო ავტობიოგრაფია.

მოთხრობილია თავგანწირული ბრძოლა ამ ჭკვიანი ქალისა, რომ რუსეთში არ წაყვანათ მისი შვილი, რომელიც, რასაკვირველია, ბოლოს და ბოლოს ძლეულ იქმნა.

მეოთხე ნარკვევში – «**იმერეთის ქალების ეპიზოდები დასავლეთ საქართველოს ბრძოლათა ისტორიიდან**» – ვრცლადაა მოთხრობილი ჯერ სოლომონ მეფისა და შემდეგ იმერეთის დიდებულების გმირული ბრძოლები და თავგანწირვა თავისუფლების შერჩენისათვის, და ქალების განსაცვიფრებელი ბრძოლანი და ხერხიანი მოქმედებანი მამაკაცებთან ერთად, თუ ცალკე, მაგალითად, აბაშიძის ასულის, ეკატერინე წერეთლის მიერ «**მოდი ნახე**» ციხის დაცვა და სხვა.

მეხუთე ნარკვევში – «**სამეგრელოს დედოფალი ნინო**» (იყო ასული მეფის გიორგი მეთორმეტისა) – მოთხრობილია საკმაოდ ვრცლად მთელი ისტორია სამეგრელოს სამთავროსი დღიდან რუსეთის პროტექტორატის დამყარებისა და ენერგიული ცდები ნინოს მიერ სამეგრელოს ავტონომიის შერჩენისა და მისი გავლენის განმტკიცებისა აბხაზეთზე.

მექვსე ნარკვევი – «**ბატონიშვილი დარეჯანი**» (იყო იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ასული, მეუღლე ქაიხოსრო აბაშიძისა) – მოგვითხრობს ამ ქალის ლეგენდარულ მოქმედებას, შეუპოვრობასა და ბრძოლის უნარს, რომელიც ვერ დაატოვებინა ვერც ქმრის ბრძოლის ველზე სიკვდილმა, ვერც შვილების ბრძოლაში დახოცვამ და სხვა ათასმა უბედურებამ.

ნარკვევებში დახასიათებულია საქართველოს მთავარმართველნი და მათი ხელქვეითნი, იმერეთის გამგებელნი – სიმონოვიჩი, მაგილესკი, გორჩაკოვი, პუზირევსკი – ეს ყოვლად საზიზღარი ჯალათი, რომელსაც მამაცმა გურიელმა მოუსპო სიცოცხლე შემოქმედის მონასტერთან <sup>52</sup>, და სხვები.

ზურაბ წერეთელი გაკვრით არის მოხსენებული, თუმცა ის იმ დროს იმერეთში პირველი კაცი იყო, ჭკვიანი და მოხერხებული, მაგრამ მასთან ცბიერი და ეგოისტი. პირველად მისი მისწრაფება იყო რუსების შემწეობით თვით გამეფებულიყო იმერეთში და ამაში რუსის მთავრობაც აგულიანებდა.

განსვენებულმა ალექსანდრე ჭყონიამ, ნესტორ წერეთლის სიკვდილის შემდეგ, ერთი დოკუმენტი გადმოსცა წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკას, რომელშიც „ნამიოკებით“, მაგრამ აშკარად გამოსჭვივის წინადადება – თუ სოლომონ მეფეს წუთისოფელს გამოაცილებთ, იმერეთის მეფობა თქვენ დაგრჩებათო. ხოლო ზურაბი მალე დარწმუნდა, რომ რუსები მას ატყუებდნენ და ამიტომ ორჭოფული პოზიცია დაიკავა – არც სულ სოლომონს უჭერდა მხარს, არც რუსებს; აშკარა

---

<sup>52</sup> მართალია ის ვერსია, რომელიც პუზირევსკის მოკვლას მიაწერს გურიელის ძიძიშვილს ბოლქვაძეს და არა თვით გურიელს. ამ თარიღიდან გურულები წელს ითვლიდნენ, – „კუზირინსკი“ რომ მოკლეს, მას აქეთ ამდენი წელიაო, გამიგონია. როდესაც პუზირევსკიმ იკითხა, სად არის ის მამამადლი ქაიხოსრო გურიელიო, ბოლქვაძემ წამოიძახა: „ჰუიმე, ღმერთო მომკალი, ქაიხოსრო გურიელი და მამამადლიო!“ მყისვე იშიშვლა მახვილი და ორად გააპო იგი. ასე მსმენია მოხუცი გურულებისაგან.

ბრძოლაში არც სოლომონის მხარეს გამოსულა, არც რუსების; ერთსაც ატყუებდა და მეორესაც. ერთიც და მეორეც ამას აშკარად ხედავდა, ხოლო ვერც ერთი უმისოდ მაინც ვერ ახერხებდა საქმის მოვლას; მაგრამ ეს არ შეადგენდა ნარკვევების ავტორის მიზანს.

ავტორს აღებული აქვს დრო, როდესაც საქართველოს სუვერენობის მოსპობის შემდეგ ყველას გაუცრუვდა იმედი, მაგრამ ყველა მაინც გულწრფელად და გმირულად იბრძვის თავისუფლების აღდგენისათვის.

ყველაფერი ეს მოთხრობილია მშვენიერი ქართული ენით, ზოგჯერ მხატვრულად და ერთობ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. ამიტომ ჩვენ ვურჩევთ ყველას, წაიკითხოს ეს წიგნი; ვისაც სურს, გაეცნოს იმ უმაგალითო, თავგამოდებულ და გმირულ ბრძოლებს, რომელნიც აწარმოეს საუკეთესო მამულიშვილებმა, მამაკაცებმა და დედაკაცებმა რუსების წინააღმდეგ და უთანასწორო ბრძოლებში მსხვერპლად შეეწირნენ თავიანთი ქვეყნის თავისუფლებას, ხოლო პატივცემულ ავტორს ვუსურვებთ, გაეგრძელებინოს ასეთი შრომები.

### **ჯვრის მონასტრისეული «თთვენი» ანუ «საგალობელნი» მეთერთმეტე საუკუნისა<sup>53</sup>**

ტყავის ხელნაწერი, 23,8X16 სანტიმეტრი, ყდა ჰქონია, მაგრამ მოუძარცავთ, აკინძული რვეულები ეხლა უმეტესად დაშლილია, ეტრათი კარგია, არც მანდამაინც სქელი, მოყვითანო ფერისა, ნაწერია ლამაზი ნუსხურით XI საუკუნისა, ერთ სვეტად. ტექსტის სიგრძე 17,1, განი 10,5 სანტ. თვითველ გვერდზე 30 სტრიქონია, ნიშნებად ნახმარია თითო, ორ-ორი და სამ-სამი წერტილები. სათაურები, მეთაური ასოები უმეტესად ნაწერია სინგურით, სხვა ტექსტი შავის მელნით. პაგინაცია აღნიშნულია რვეულებზე თავში და ბოლოში ასომთავრულით, შემდეგ სხვა ხელით და მელნით აღნიშნულია კიდევ სომხური ასოებითაც. ხელნაწერში სულ 48 რვეულია, რვეულში რვა ფურცელია, მამასადაამე, სულ უნდა იყოს ხელნაწერში 384 ფურცელი (48-ჯერ 8 =384), მაგრამ ეხლა არის 382 ფურცელი, აკლია თავში ერთი ფურცელი, ერთიც მეშვიდე რვეულში. ამას გარდა, ბოლოში ერთი ფურცელი დაუწერელია. სულ ამ ბოლო დროს ვიღაცას ფანქრით აღუნიშნავს სათვალავი დაწერილი ფურცლებისა. ის პირველ ფურცელსაც ათვლის, რომელსაც ჩვენამდის არ მოუღწევია. ეს იქიდან ჩანს, რომ ეხლანდელ პირველ ფურცელს უზის სათვალავი 2. აღმნუსხველი უჩვენებს სულ 377 დაწერილ ფურცელს, მაგრამ ამ აღნუსხვაში შეცდომაა. მას აღუნიშნავი დარჩენია თითო ფურცელი, შემდეგ 58, 102 და 280 ფურცლებისა. ამას გარდა, 236 და 334

<sup>53</sup> ეს ხელნაწერი ჰქონია ერთ ლონდონელ ანტიკვარს და ბ-ნ ანდრია გუგუშვილის თაოსნობით მივიღე ლონდონიდან განსახილველად, რომლისათვის ბ-ნ ანდრიას დიდ მადლობას მოვახსენებ. არც ა. ცაგარელის და არც რ. ბლეიკის ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა აღწერილობაში ეს ხელნაწერი არ არის აღნიშნული და სულ უცნობია ლიტერატურაში.

სათვალავით ორ-ორი ფურცელია ნაჩვენები. აღმნიშვნელს რომ სწორად აღენიშნა ფურცლები, უნდა გამოსულიყო 382 დაწერილი ფურცელი, ვინაიდან ის პირველ, ჩვენამდის არმოღწეულ ფურცელსაც ანგარიშობს და ბოლოს დაუწერელ ფურცელს სათვალავში არ იღებს. ნამდვილად დღეს ხელნაწერში სულ 381 დაწერილი ფურცელია, აკლია ერთი თავში და ერთიც მეშვიდე რვეულში. ამრიგად, ხელნაწერი სულ მცირე ნაკლით არის ჩვენამდის მოღწეული. ტექსტიც კარგად არის შენახული, ხოლო ორ-სამ ადგილს ნახვრეტებია პერგამენტის ფურცლებში. სამ ადგილას ცოტა შემკობილობაც არის. 297-ე ფურცელზე verso ლამაზი ფერადებით შესრულებული, მოგრძო თავსართი მხატვრობაა (ზასტავკა), აქვე ფერებით შემკობილია მეთაური ასოები ქ და თ, აგრეთვე 183-ე ფ, ი და ნ შემკობილი, ხოლო 184-ე ფურცელზე verso ასო ნ არის შემკობილი.

შინაარსით ხელნაწერი შეიცავს საგალობლებს დეკემბრის, იანვრის და თებერვლის თვეებისას. პირველი დეკემბრის წმიდა ანანიას საგალობელს თავი აკლია და ტექსტი მეორე ფურცელზე ეხლა იწყება სიტყვებით:

გ ნათოდა გონებაჲ შენი საღმრთოთა მით  
ბრწყინვალეებითა ღირსებით: და სული  
წ-ღ მკვდრ იყო სიყრმითგან შენთანა ანა-  
ნია. და გამოგაჩინა მოწამედ თვსა:.

თავდება ხელნაწერის ტექსტი 28 თებერვლის საგალობლით წმიდისა პროხერი ალექსანდრიელ პატრიარქისა, რომელიც დაბოლოვებულია შემდეგი სიტყვებით:

აღიწიე სიმაღლედ. ზეცისა შენ მღვდელ  
მოწამეო. და მიხუედ წ-ე ღ-თისა შემკო-  
ბილი. გვრგვნითა მით მოღუაწე მის-ღთა.  
ევედრე ჩუენთვს რა მოგუცეს შენდობაჲ  
შეცოდებათაჲ. მადიდებელთა შენთა:.  
გ-ზნ ვენაჲო მაღლისაო ნაყოფიერო:.

შემდეგ მიმატებულია:

სხუად ყ-ი წ-დისა პროხერისი ჰპოო თ-ა  
სეკტენბერსა სამსა. ო-ო ღ-დდყვ აქბდით  
კ-ღ-ა . ეჰა დ-ბლნი და. ქ-ე კაცთ მ-ყრწ- თანა.  
და გ-ლბნი კ-ღ-დ: ფარაოდს ეტლები მ-თზ-ა.  
შემინდვეთ პრ-ვლ მუნ დეიწერენ. დედასა  
აქა მით არღარა დავწერენ:.

ეგრე ეწერა. ამის შემდეგ გადამწერის ანდერძია ასეთი:

სახელითა ღ-ღთა: განსროვლდა: ესეცა:  
წიგნი: სამი თთუწ- დეკენბერი იანვარი და ფებე-  
რვალი: ბრძანებითა: და მოღუაწებითა: ღ-თშე-  
მოსილისა: მამისა: და მოძღურისა: გ-ი: პროხორე-  
სითა: ქ-ნ ამათ: ყ-ლთა წ-თა მისთა თანა: დ-ბლ ყავნ:  
სული მათი: სასუფეველსა ცათასა: ა-ნ:  
ლ-ცვსა მომიწ-ნთ ც-დვლი უცბ-დ. მწხრეკალი (sic)

იოვანე.  
დვალი. წნო მმნო. და რი დამეკლოს შემინდვეთ  
ღნ გარწმნოს:

ვინ ესე წიგნი რაცა მიზეზითა მონასტე<sup>54</sup>  
რსა ჯრისასა გამოაჯუას. შემცა ჩუენე  
ბულ არს ვაყნი მწვალეებელნი და სული-  
მცა მისი დაშჯილ არს ყვლთანა ღისა განმარისხე-  
ბელთა:.

შეიმოსა კელითა კრთლისა ძმისა ნისთერე-  
ონისითა. ღნ აღუკოცენ ყნი ბრლნი მისნი ლც ყვთ.  
მისთვს წნო მმნო:.

შეუმოკლებლად ეს სტრიქონები იკითხება:

სახელითა ღმრთისადათა განსრულდა ესეცა წიგნი სამი თთუჭ, დეკემბერი, იანვარი და

თებერვალი, ბრძანებითა და მოღუაწებითა ღმერთშემოსილისა მამისა და მოძღუარისა გიორგი-  
პროხორესითა, ქრისტემან ამათ ყოველთა წმიდათა მისთა თანა დიდებულ ყავნ სული მათი  
სასუფეველსა ცათასა, ამინ.

ლოცვასა მომიკსენეთ ცოდვილი უცბად მჩხრეკალი (sic) იოვანე დვალი, წმიდაო მამანო, და  
რომელი დამეკლოს, შემინდვეთ, ღმერთმან გარწმუნოს.

ვინ ესე წიგნი რაცა მიზეზითა მონასტერსა ჯუარისასა გამოაჯუას, შემცა ჩუენებულ არს,  
ვითარცა ყოველნი მწვალეებელნი, და სულიმცა მისი დაშჯილ არს ყოველთანა ღმრთისა  
განმარისხებელთა.

შეიმოსა კელითა კურთხეულისა ძმისა ნისთერეონისითა. ღმერთმან აღუკოცენ ყოველნი ბრალნი  
მისნი, ლოცვა ყავთ მისთვს. წმიდანო მმანო!

თარიღი გადაწერისა არ არის. მაგრამ ჩვენ ვიცით, გიორგი-პროხორე  
აღმაშენებელია განთქმული ჯვარის მონასტრისა იერუსალიმისა მახლობლად.  
გიორგი მისი ერობის სახელია, პროხორე – ბერობისა. მისი თაოსნობით და  
ბრძანებით არაერთი წიგნი გადაწერილა ჯვარის მონასტრისათვის თვით ჯვარის  
მონასტერში და სხვაგანაც. გადაწერი ჩვენი ხელნაწერისა ბერი იოვანე დვალი  
ცნობილია სხვა ხელნაწერებიდანაც. სხვათა შორის, მას გადაუწერია ამავე ჯვარის  
მონასტერში 1055 წელს ხელნაწერი: «ცხოვრებად და შესხმად დიდისა ბასილისი,  
თქმული გრიგოლ ღვთისმეტყველისადა» (იხ. ცაგარელის კატალოგი №105 და რობერტ  
ბლეიკისა №14). სიტყვები «განსრულდა ესეცა წიგნი» ცხადყოფს, რომ გადაწერს სხვა  
თთუების საგალობლებიც გადაუწერია და მასთან ესეცა. ეტყობა, მთელი წლის  
საგალობლები ოთხ წიგნად ყოფილა გაყოფილი – სამ-სამი თვის საგალობელი თითო  
წიგნში. ამ ხელნაწერს არც ცაგარელი იხსენიებს თავის კატალოგში, არც რ. ბლეიკი.  
მაშასადამე, ის წინეთ ყოფილა გამოტანილი ჯვარის მონასტრიდან, ვიდრე ა.  
ცაგარელი იმოგზაურებდა იერუსალიმში. გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფიიდან  
ვიცით, რომ პროხორე აშენებდა ან ამთავრებდა შენობას ჯვარის მონასტრისა  
თეოდორა დედოფლის დროს საბერძნეთში (1054–1057); მეორე მხრით, პროხორე 1066

<sup>54</sup> ეს სტრიქონი ასომთავრულით არის ნაწერი.

წლის შემდგომ აღარ ყოფილა ცოცხალი<sup>55</sup>. დანამდვილებით თარიღი მისი გარდაცვალებისა არ ვიცით. ჩვენი ხელნაწერი უნდა იყოს გადაწერილი 1056–1066 წლებს შუა. ამ ხელნაწერში შენახულია ორ ქართველთა წმიდათა საგალობელი – წმიდისა აბოსი ფურც. 189 verso – 195 და წმიდისა ნინო მოციქულისაჲ, ფურცელი 221 verso – 224 verso.

აბოს საგალობელი, რომელიც უშუალოდ მოსდევს 7 იანვრის, წყალთა კურთხევის საგალობელს, ჩვენს ხელნაწერში იწყება ასე:

განძლიერდა ძალითა ქესითა. ღუაწლით შემოსილი  
აბო. წინააღმდეგომად მტერთა. და სირცხვილუფუცნა  
იგინი მადლითა სლისა წმიდისაჲთა:.  
მოსწრაფედ წინა აღუდგა აბო. ძალითა ჯრისაჲთა  
სიმძლავრესა. მას უშჯულოთასა. და დაამდაბლა  
სქელი მთი შეწევნითა ქსითა:.  
დღეს დათხეულითა სისხლითა უბიწოთაჲთა. ახოვან-  
მნ მწმმ . მოიგო ქესგ ნ ზ ცს გვრგვნი ბრწყინვალე  
და მეოხ არს ჩნ მგალობელთა მისთათ ს:.

ბოლო:

უძლევლო მოწამეო. სრბაჲ კეთილად აღასრულჳ.  
და აწ მკვდრხარ ნათელსა მას, გამოუთქმელსა. ევედრჳ  
ქსა. და დაამდაბლნეს მტერნი ჩნნი აბო. და მოსცეს  
ძლევად. მეფესა ჩნსა: არაჲთუ:.

ნაწილი ამ საგალობელისა შეადგენს ვარიანტს პ. ინგოროყვას მიერ გამოცემული «აბოს საგალობელისა», დაწყებული **ო პ ბ** გვერდიდან **რ პ ზ** გვერდამდე, სტრიქონები 24–174<sup>56</sup>. არ არის ჩვენს ხელნაწერში ტექსტი, რომელიც შეიცავს ინგოროყვას გამოცემაში **პირველ ათ** გვერდს (ა–ი), შემდეგ **როზ–რპზ** გვერდს, სტრიქონები 1–23; კიდევ **რპზ–რპჳ** გვერდებს, სტრიქონები 175–200. სამაგიეროდ, ჩვენს ხელნაწერში ხუთი გვერდი უკავია ტექსტს, რომელიც ინგოროყვას გამოცემაში არ არის.

წა ნინოს საგალობელი იწყება ასე:

იანვარსა: იდ: წდისა: ნინო: მოცქ ლისდ:  
ოო ღღ დესა: ჳდ: დ გი:.  
ჟ სს წლთა ზა სსწლი სკვრო ლთაჲ. რ სუეტი იგი  
ცხოვრებისა მომცემელი. დედაკაცისა მიერ მყის აღემართების.  
და დბის მეტყუელებს ქართველთა ენაჲ და  
ილტვიან არმაზ ზადენთა მალნი. ჟ. რავდენნი მადლნი  
მოგუცენ ქე ნინოჲს მიერ. რ ლითაც. აცხოვნენ სულნი  
ჩნნი ვა მოწყალე ხარ:.  
მადლისა ზიარსა მას ნინოს. მოვედით მორწმუნენო. და  
ერთობით პატივ ვსცემდეთ. რ ესე არს მსგავსი მცქ ლთაჲ.

<sup>55</sup> იხილე დავით ყიფშიძის გამოცემული «ცხოვრება პროხორესი», კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის მოამბეში («იზვესტია»), ტ. II, გვ. 37, შენ. 2.

<sup>56</sup> ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913.

რ ი მოივლინა ჩრდილოდსა ქ ყნად. და მადლითა საღმრთოთა  
გამომიქსნნა. ჟ. შურომან (sic) შენნი სწორ ლო  
მოც ქლო: ღთისა მიერ. რ ნი იღვწენ ჩ ნდა მომ რთ  
მეოხ გუყ ვ ჩ ნ:.

### ბოლო:

ოხ თდ: ნინოდსი: ჯ დ ა გ ხ ნთა ზ ა:  
გ ხნ რ ი ჰბრწყინავ. მოლუაწეო მც ქლთა თანა  
ნინო: რ სწორად მათისა ილუაწე და სწორი  
გვირგვნი. მათნათა მოიგე. ვ ა მოსწ. პ რელ. მთასა  
მას. ზ ა სინასა შჯული მოილო, ეგრეთვე შენ. მთასა  
ზ ა ლოცვითა მოიხუენ. ათნი მცნებანი, და  
ბრძანებით მიივლინე: ქლქდ სამეუფოდ მცხეთად.  
რ ა უქადაგო შენ, ქ ე ღ ი ჯ რცმლი. რ ი იშვა ქლ-  
წლისაგან. და აწ. მას ევედრე: მონიჭებად სულთა  
ჩ ნთა დიდი წყალობაჲ:.

ეს საგალობელი სულ სხვაა, ვიდრე საბინინის მიერ გამოცემული ს ა ქ ა რ თ ვ ე  
ლ ო ს ს ა მ ო თ ხ ე შ ი (გ. 156–167), მაგრამ ახლოა ჩემს მიერ გამოცემულ  
ჭელიძისეულ საგალობელთან (იხ. აღწერა წერა-კითხვის ხელნაწერთა, ტომი II, გვ.  
806–812), თუმცა განსხვავებაც თვალსაჩინოა – ჭელიძისეული ტექსტი უფრო  
ვრცელია.

უკანასკნელ გვერდზე ჩვენი ხელნაწერისა სხვა ნუსხურით და უფრო მქრალის  
მელნით, მაგრამ მე-11, მე-12 სს. ხელით მოყვანილია «დასდებელნი წმიდისა  
გრიგოლი ღვთისმეტყველისანი. გიხილეს რაჲ ქ ე ამას ზ ა ჯ დ ბ:» ამის ბოლოს  
უწერია:

«მაკარი გლახა ლოცვასა მომიქსენეთ ამათთა თარგმანი:»

ამგვარივე ხელით და მელნით აქა-იქ აშიებზე ხელნაწერში გვხვდება  
მინაწერები, დამატებანი საგალობელთა ან ცნობები, თუ რომელ თვეში არის კიდევ  
ხსენება ამა თუ იმ წმიდანისა.

ხშირად საგალობლები აკროსტიხებით არის წარმოდგენილი და ამ შემთხვევაში  
აღნიშნულია წითლურით: «აკროსტიხონნი». მეთაური ასოები აკროსტიხებისა  
ნაწერია ყოველთვის სინგურით და ეს ასოები შეადგენენ ფრაზებს. მაგალითად:

1. მოძლუარსა შევამკობდეთ ერნო.
2. მამასა მამათასა ღუვაწლით განშუენებულსა საბას უგალობდეთ.
3. მაცხოვარისა შობასა უგალობდეთ.
4. მაცხოვარისა მოსვლასა და ბეთლემს შობასა წმიდისაგან ქალწულისა დასთა  
ზეცისა განწყობილთათანა უგალობდეთ.
5. ქრისტეს შობასა ყოველნი შევამკობდეთ.
6. სილიბისტროსს რომთა ვასკულავსა ვაქებდეთ ერნო.  
მამათმთავართა კრებული დღეს ჩუენთანა იხარებს სულიერად.
7. აჰა ესერა მოიწვევის ქრისტე ნათლის ღებად.
8. დიდებულს მაქსიმეს უგალობდეთ.



9. ტიმოთეს მთიებსა ეფესოსასა უგალობდეთ.
10. მეოხ მეყავენით ყოელნო წმიდანო წინაშე მეუფისა დღესა მას განკითხვისასა.
11. გრიგოლის ღმრთის მეტყველსა ვაქებდეთ.
12. იოვანეს და არკადის ქებით შევასხამთ დღეს.
13. იგნატის ნაწილთა აღმოყვანებად რომით ანტიოქიას.
14. გალობით შევასხმიდეთ მოწამესა ელიას.
15. ნიკიფორე მოწამესა უგალობდეთ ერნო ქებით.
16. ბლასისის მღვდელთ მოძღუარსა შევამკობდეთ.
17. გიხაროდენ ქრისტეს მოწამეო პამფილი.

მერმენდელი ხელით მინაწერები ხელნაწერში სულ ცოტაა და უმნიშვნელო. ეხლანდელ აღნიშნულ მეორე გვერდზე მხედრული ასოებით მე-15 საუკ. ხელით სწერია:

ზენგიას შეუნდნეს ღმერთმან.

აღწერილი ხელნაწერიდან ჩვენ გვაქვს სამი დიდი და ერთი პატარა ფოტოგრაფიული სურათი, რომელნიც შეიცავენ ეხლანდელ პირველ გვერდს ხელნაწერისა, უკანასკნელ ფურცელს და ბოლოსიტყვაობას საგალობელისას.

## **ჩემი მოღვაწის იოსებ დადიანის ხსოვნას**

**(მოგონების სახით)**

უკვე ერთი წელიწადი გავიდა, რაც უღმობელმა სიკვდილმა გამოგვაცალა უებრო ადამიანი და სამშობლოსათვის მოჭირნახულე იოსებ დადიანი. გასული წლის 30 მარტს გარდაიცვალა და 1 აპრილს პარიზში მიწას მიაბარეს ეს ყველას მიერ პატივცემული და მეტად სიმპატიური მოღვაწე. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, მისდამი მიძღვნილ სამგლოვიარო წერილებში ყველამ სინამდვილით და სისწორით დაახასიათა მისი ადამიანობა, ხასიათი და საზოგადო მოღვაწეობა. მე დამრჩენია მხოლოდ მოგონების სახით დავუმატო ცოტა რამ, ვინაიდან ის ჩემი სიყრმის ამხანაგი და მეგობარი იყო.

მე და იოსები ერთად მოვხვდით ქუთაისის პროგიმნაზიის მესამე კლასში. იმ დღიდან ერთად ვსწავლობდით როგორც პროგიმნაზიაში, ისე გიმნაზიაში და ბოლოს პეტერბურგის უნივერსიტეტში. ქუთაისის პროგიმნაზიას ჩვენს დროს კარგი სახელი ჰქონდა. მისი ინსპექტორი იუდინი ცნობილი პედაგოგი იყო და პროგიმნაზია კარგად ჰქონდა დაყენებული როგორც სწავლის, ისე დისციპლინის მხრით. როცა მე პროგიმნაზიის მეორე კლასში შევედი, იქ 32 მოწაფე ვიყავით. ამათში პროგიმნაზიის კურსი მხოლოდ ექვსმა გავათავეთ. იუდინი სასტიკი იყო სწავლის მოთხოვნაში და პედანტი კანონის ყოველი წვრილმანის აღსრულებაში, მაგრამ მასთან სამართლიანი და კეთილი გულის პატრონი. იოსები ღარიბი ოჯახის შვილი იყო, მე კიდევ ბევრად უფრო ღარიბი. იუდინი შევიდა ჩემს მდგომარეობაში. გაგვანთავისუფლა სწავლის ფულისაგან და ამას გარდა რვა-რვა მანეთი სტიპენდია მოგვიხერხა თვეში, და ეს სტიპენდია გიმნაზიის დამთავრებამდისაც გვეძლეოდა.

პროგიმნაზიაში, გიმნაზიაში და უნივერსიტეტში იოსებ დადიანი ყველასათვის საყვარელი ამხანაგი იყო, მშვიდი, წყნარი, თავმდაბალი, კაცთმოყვარე, და მასთან მეტად მორცხვი. მე არ მახსოვს, მას რომელიმე ამხანაგთან ცუდი განწყობილება ჰქონოდა, ვინმეს წაჩხუბებოდა, ან უზრდელად მოპყრობოდა. ნიჭიერი იყო, მაგრამ ბეჯითობას სწავლაში მაინცდამაინც არ იჩენდა, სწავლულობდა იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იყო, რომ ხელმეორედ ერთ და იმავე კლასში არ დარჩენილიყო, როგორც ეს მას მესამე კლასში მოუვიდა. შემდეგ, გიმნაზიის უფროს კლასებში გამოიჩინა მათემატიკაში დიდი ნიჭი. გიმნაზიაში ჩვენ პატარა პატრიოტული წრე გვექონდა, რომელიც საქართველოს მომავალი კეთილდღეობისათვის და მისი სამსახურისათვის ოცნებობდა. ამ წრეში იოსებიც იყო, რასაკვირველია. გიმნაზიის გათავების დროს თათბირი გვექონდა, ვის რა დარგი ამოგვეჩია სწავლის გასაგრძელებლად უნივერსიტეტში, რა უფრო გამოადგებოდა საქართველოს. იოსებ დადიანმა საინჟინრო ნაწილი აირჩია. ეს მაინცდამაინც ჩვენ არ მოგვეჩონა, ანგარების და გამდიდრების სურვილი შევსწამეთ. გამდიდრებისათვის მიდრეკილება ჩვენთვის იმ დროს სამრახავი იყო. ერთხმად უთხრეს, შენ გამდიდრება დაგისახავს მიზნათო. – გამდიდრების არა ვიციო, – გვიპასუხა. – მე თქვენისთანა უნარი არა მაქვს, სხვა რამეში გამოვდგე; თუ გავმდიდრდები, თქვენთან ერთად საზოგადო საქმეს მოვახმარო. უნდა ვთქვათ, იოსებ დადიანს თავის თავზე არასოდეს ჰქონია დიდი წარმოდგენა, თუმცა ნიჭით და საქმის გაგებით არავის ჩამოუვარდებოდა, თუ არ მეტობდა. პეტერბურგში იოსები ჩვენს პატრიოტულ წრეში იყო ყოველთვის. მას ზოგიერთ "კნიაზებსავით" იქ ზნე არ უცვლია; ისევ წყნარი, ისევ მშვიდი, ისევ თავმდაბალი და უაღრესად დემოკრატი, ის არავითარ ცუდ მიმართულებას არ გაუტაცებია. პირიქით, ეხლა ის ჯეროვანი ცოდნის მიღებამ გაიტაცა. ბევრს მუშაობდა, სულ მეცადინეობდა და კარგადაც გაათავა ინსტიტუტი. ფიზიკურად ის ყოველთვის ჯანსაღი იყო, მასთან, ღონიერი და უშიშარი. ერთს ზაფხულს ჩვენ პავლოვსკში ვცხოვრობდით, ორი ოთახი გვეჭირა ერთი "დაჩის" მეზონინში. შემოსავალი დაუხურავი კიბით იყო ეზოდან. პირველ ოთახში ის წვებოდა, მეორეში მე. ერთს ღამეს შეამჩნია, კიბეზე ვიღაც ამოდიოდა; შეატყო, რომ ქურდია, მაგრამ იმის მაგიერ, რომ შეეძახა და გაექცია და ამით ხათაბალას მორჩენოდა, მან აცალა შემოსვლა კარიდორში, მერმე ეცა და დაიჭირა. კარგი ჩასკვნილი რუსი იყო, მაგრამ იოსებს ვერ დაუსხლტდა ხელიდან. მერე დაგვიწყო ხვეწნა, "ბარინ, ბოლშე ნე ბუდუ", გამიშვითო. პოლიციელის ძებნის თავი არა გვექონდა, ცოტა გავაჩერეთ და გავუშვით. მეორეხელ სამი მთვრალი მუჟიკი დაგვესხა თავს ვასილიევის კუნძულზე, – თქვენ "ჟიდები" ხართ, უნდა გცემოთო. ჩვენ ვუთხარით, – არა, ქრისტიანები ვართ-თქო. აბა, "ბოჟე, ცარია ხრანი" იმდერეთო (ხელმწიფის დღეობა იყო). არ მოგვეშვნენ, მანამ იოსებმა არ გაიღო ხელი და ძალით არ მირეკ-მორეკა. ამასობაში პოლიციელიც მოვიდა. პეტერბურგში მე უნივერსიტეტი ოთხი წლის განმავლობაში გავათავე, იოსები უნივერსიტეტის მესამე კურსიდან სამთო ინსტიტუტში შევიდა და ორი-სამი წელი მეტი დარჩა იქ. ინსტიტუტის გათავების შემდეგ ბაქოში მოეწყო ნავთის წარმოებაში. ღამაზი ახალგაზრდა, ინჟინერი, დიდი თავადის გვარის მატარებელი, კარგი ხასიათის პატრონი, იოსები ამ დროს ჩვენი არისტოკრატიისათვის სასურველი სასიძო იყო. ერთიმეორეს ეცილებოდნენ პატიჟობაში, როდესაც ტფილისში მოდიოდა. ის მორცხვად თავს აღწევდა, სადაც არ ეპრიანებოდა დაახლოვება. ბოლოს მან აირჩია ყოველი მხრივ

ღირსეული საცოლე და დაქორწილდა თამარ თარხნიშვილის ასულზე. თამარის დედა ელენე მძისწული იყო კნეინა გაგარინისა და გაგარინის დიდი ქონება მას დარჩა და, სხვათა შორის, თვალსაჩინო ნავთის ადგილები. ეს ყველაფერი იოსებს ჩაბარდა საწარმოოდ. მოსალოდნელი იყო იოსები დიდი კაპიტალისტი გახდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, მისი ხასიათის მქონე ვერც გახდებოდა კაპიტალისტი. დაქორწინებამდის იოსები ჩემთან ხშირად შემოდის, როდესაც ტფილისში იყო. მაგრამ შემდეგ ერთხელაც არ შემოსულა. ასე განვლო ათმა, თორმეტმა წელმა; არც მიწერ-მოწერა გვქონებია ერთმანეთში. ამრიგად, ჩვენ დავშორდით ერთმანეთს და მისი ცხოვრების საუკეთესო ხანა და მოღვაწეობა, შედარებით მატერიალურად კარგს პირობებში, ჩემის თვალ-მხედველობიდან შორს იყო. მე სწორედ გითხრათ, ვფიქრობდი, იოსები შესცვალა ახალმა ცხოვრებამ, სიმდიდრეში შევიდა, არისტოკრატიულ წრეში მოექცა, აეშალა თავადური ინსტინქტი, დაავიწყდა სიყრმის ზრახვანი და დაპირებანი-მეთქი, მაგრამ ეჭვები, ჩემდა სასიამოვნოდ, არ გამართლდა. ამაში მე დავრწმუნდი ორჯერ ბაქოში ყოფნის დროს. ჩემთვის ცხადი შეიქნა, ბაქოში, ამ მთელი კავკასიის დიდ საწარმოო ცენტრში, იოსები ღირსეული წარმომადგენელი იყო ქართველობისა. პატივმოყვარეობა მას არასოდეს არა ჰქონია, მაგრამ ყველა საქმეში, ყველა დაწესებულებაში მას მეთაურად ირჩევდნენ ერთხმად. ის იყო, კალონის თავმჯდომარე, მოთავე ქართული სკოლის და წიგნთსაცავის მოწყობისა, ხელმძღვანელი ყოველი ჩვენი საქმისა. ცნობილი ქართული საღამოების მოწყობა მის ოჯახზე იყო დაკისრებული. მას და მის ოჯახს დიდი სახელი და პატივისცემა ჰქონდა მოხვეჭილი არათუ ქართველობაში, უფრო მეტად კიდევ თათრებში, სომხებში, რუსებში და უცხოელებში. ყველა ამათთვის მას ანგარიში უნდა გაეწია. Noblesse oblige-ო, ამბობენ ფრანგები, და ყველაფერი ეს ძვირად უჯდებოდა. უაღრესი დემოკრატი მოექცა არისტოკრატიულ წრეში. ამ წრემ მისი ბუნება ვერ გააარისტოკრატა, მაგრამ ვერც მისმა რბილმა ხასიათმა ეს წრე ვერ გაადემოკრატა.

პირველად, როცა მე ბაქოში ვიყავი, იოსებთან განზრახ არ შევსულვარ, თუმცა გიმნაზისტმა ნ. ლოლობერიძემ გადმომცა, იოსები სახლიდან ფეხს არ იცვლის, ელის, რომ მასთან მიხვალთო. მე ოთხი დღე დავრჩი ბაქოში. რაკი მე მასთან არ შევედი, ის თვითონ მოვიდა ჩემთან წამოსვლის დღეს ვაგზალზე. უნდა გენახათ, როგორი დარცხვენილი სახე ჰქონდა. სიტყვა არ დაუძრავს საყვედურის, თუ რად არ შევედი მასთან. მე, რასაკვირველია, მოვეალერსე, გამოვკითხე ამბავი. "ჯანზე კარგად ვარ, მაგრამ საქმეები ვერ მაქვს კარგად, ვალები მაწუხებსო", და მომიყვა გულწრფელად, დაწვრილებით მიზეზებს. შემდეგ მიამბო იქაური ქართული საქმეების მდგომარეობა. ბოლოს მთხოვა, მასთან ჩამომხტარვიყავი, როცა მეორეხელ ვიქნეოდი ბაქოში. რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემს წინ ისევ ის თავმდაბალი, მორცხვი ამხანაგი იოსები იყო, როგორც სტუდენტობის დროს. ის სრულიად არ გამოცვლილა. მეც დავპირდი ნახვას, როცა ვიქნეოდი ბაქოში. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, საქმემ მოითხოვა და მე ბაქოში გავემგზავრე. ეს იყო მაშინ, როცა დ. ერმაკოვის ფოტოგრაფიული პლასტინკების კოლექციის სყიდვა განვიზრახე "საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის". კოლექციის სყიდვას გრაფინია უვაროვისა აპირებდა. ტფილისიდან ამ კოლექციის წაღება ჩვენთვის დიდი ზარალი იქნებოდა. ამიტომ წინდაწინ მოურიგდი ერმაკოვის მემკვიდრე ქალს ფასში, – სულ ორმოცდაათი ათასი მანეთი უნდა მიმეცა. წერა-კითხვის საზოგადოებას ჰქონდა სხვადასხვა თანხები და ამ საზოგადოების გამგეობისაგან დასტური მივიღე თანხის

სესხებისა, თუ მას გარანტია ექნებოდა დაბრუნებისა. ჩემი გეგმა იყო, თანხა გაენაღდებინათ ბაქოს ქართველთა მრეწველებს, რომელნიც ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებებს უხვად ეწეოდნენ ხოლმე. მე პირდაპირ იოსებთან მივედი, თუმცა მასთან არ დავბინავებულვარ. გავაცანი ჩემი გეგმა და კატეგორიულად განვუცხადე, როგორც არ იყოს და რა საშუალებითაც არ იყოს, ეს თანხა უნდა მოგვიხერხოთ-მეთქი. იოსებმა მითხრა, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მე ფული ეხლა ხელში არა მაქვს და როგორ მოვიქცეო. მე ასეთი წინადადება მივეცი: შენ მხოლოდ განაცხადე, რომ შენ ამ საქმისთვის სდებ ათიათას მანეთს, დანარჩენს იმეღია, სხვები გაინაწილებენ, ფულს ან ბანკიდან ისესხებთ, ან წერა-კითხვის საზოგადოებისაგან, და ვალს მერე გადაიხდით-მეთქი. ეს აზრი მოეწონა, მოიწვია ბაქოს ქართული კალონიის კრება, თავმჯდომარე ის იყო. მე მოხსენება გავაკეთე, ავუხსენი დაწვრილებით მნიშვნელობა კოლექციის შექმნისა. ყურადღებით მომისმინეს. პრინციპულად ხელის გაწყობაზე უარი არავის არ უთქვამს, ხოლო ზოგიერთებს თანხა ცოტა არ იყოს ედიდა. ბოლოს ერთხმად მიიღეს აზრი, რომ წერა-კითხვის საზოგადოებისაგან აგველო თანხა მათის გარანტიით. აქვე დაასკვნეს და განაცხადეს, ვინ რა წილის შემოტანას კისრულობდა. მე, რასაკვირველია, დიდად კმაყოფილი დავბრუნდი უკან. მაგრამ ტფილისში ჩემს ჩასვლამდის მდგომარეობა შეცვლილიყო: ეს ამბავი შეეტყო კავკასიის მუზეუმის დირექტორს, რომელსაც ჩვენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება თვალში ეჩხირებოდა, როგორც ენერგიული კონკურენტი; წასულიყო ნამესტნიკთან, გამოეთხოვა ნებართვა ერმაკოვის კოლლექციის შექმნისა, ხუთი ათასი მანეთი მოემატებინათ, შეეკრათ პირობა და მთელი კოლლექცია დაებეჭდათ, რომ აღარავინ ახლოს ხელი, მანამ ფულს ჩააბარებენ და კოლლექციას გადაზიდვდნენ მუზეუმში. მე ეს ამბავი მაინცდამაინც დიდად არ მწყენია, ვინაიდან, თუ კოლლექცია კავკასიის მუზეუმში დარჩებოდა, მოვლილი იქნებოდა, ფასით მაინც შეგვეძლო სარგებლობა საჭიროების დროს. ხოლო ჩვენი გეგმა ამით ჩაიშალა. წერა-კითხვის საზოგადოებას ეხლა ვეღარ გამოვართვით თანხა, ბაქოელები თავისუფალი გახდნენ მოვალეობისაგან იურიდიულად, მაგრამ ზოგიერთებმა მაინც გაანაღდეს თავისი დანაპირები, ზოგმა მთლად, ზოგმა ნაწილობრივ. მათ შორის მთლად შემოიტანა თავისი ხვედრი სულ ცოტა ხანში აკაკი ხოშტარიამ; იოსებმა ჩემის წინადადებით გვიყიდა მისი ნათესავის პუპი აბაშიძისაგან ბიზანტიური მილანქრის ჯვარცმის ხატი ორმოცი ათას მანეთად და სხვაც ბევრი დახმარება გაგვიწია კავკასიის ბანკის საშუალებით ნივთების შესაძენად.

ბოლოს, კავკასიის დირექტორის განზრახული საქმეც ჩაიშალა. ფინანსთა სამინისტრომ არ შეიწყნარა ნამესტნიკის წინადადება და უარი უთხრა კოლლექციისათვის ფულის გაღებაზე. ამ დროს რევოლუციამაც მოაწია, ფული დაეცა, ერმაკოვის კოლლექცია მაინც ჩვენ შევიძინეთ, ხოლო ეხლა, რასაკვირველია, მეტი მივეცით, ოთხმოცდათხუთმეტი ათასი მანეთი. ეს ფული გავიღეთ დავით სარაჯიშვილის მეუღლის ანდერძის გამო შემოსული ფულიდან და შემდეგ სანახევროდ კოლლექცია ჩვენს ტფილისის ქართულ უნივერსიტეტს გავუზიარეთ.

პოლიტიკური რწმენით იოსები ყოველთვის ნაციონალ-დემოკრატი, პატრიოტი იყო. ის იყო თავმჯდომარე ჩვენი პარტიის კომიტეტისა ბაქოში და სტამბოლში. როცა ჩვენი თავისუფლება გამოცხადდა და ნაციონალური საბჭო შესდგა, ბაქოელმა ქართველებმა თავის წარმომადგენლად იოსები აირჩიეს და, რა თქმა უნდა, ჩვენც სიამოვნებით მივიღეთ. მატერიალურ დახმარებას უმეტესად ბაქოს ქართველებიდან

მოველოდით; გვეხმარებოდნენ კიდევაც. შემდეგ, როდესაც დამფუძნებელი კრების არჩევნები მოვიდა, ჩვენს ნაციონალურ-დემოკრატიულ სიაში იოსები პირველ რიგში შევიტანეთ, რომ ბაქოელებს უსათუოდ ჰყოლოდათ თავისი წარმომადგენელი დამფუძნებელ კრებაში. მაგრამ რაღაც მანქანებით, სიის ჩამოყალიბების და წარდგენის დროს, ჩვენდა დაუკითხავად, ის პირველი რიგიდან ამოეშალათ და შორს გადაეტანათ. ამიტომ დამფუძნებელ კრებაში ის აღარ მოხვდა. ეს ამბავი მას არც კი აცნობეს. თვითონ დარწმუნებული, რომ არჩეულია, პირდაპირ მოვიდა ერთ კრებაზე, შემოვიდა ზალაში და იქ გაიგო ქვესტორიდან, რომ ის არჩეული არ არის. სხვა ასეთ მოპყრობას დიდ შეურაცხყოფად მიიღებდა, პარტიას დატოვებდა ან ოფიციალურად პროტესტს გამოაცხადებდა. არც ერთი და არც მეორე. ეს არ იყო მის ბუნებაში. ამის გამო კავშირი პარტიასთან მას არ შეუწყვეტია. ჩვენი თავისუფლების დროს, როცა მან, როგორც სხვებმა, ბაქოში ყველაფერი დაკარგა, ის შევიწროებული ცხოვრობდა ტფილისში, მაგრამ მაინც ახერხებდა ქართული იდეის პროპაგანდას უცხოელთა შორის, რომელნიც ხშირი სტუმარნი იყვნენ მისი ოჯახისა.

ემიგრაციაში, პარიზში, ის და მთელი მისი დიდი ოჯახი ყოველ მატერიალურ ღონისძიებას იყო მოკლებული. ექვს ქალში მარტო ერთი იყო გათხოვილი, სხვებს ჯერ სწავლაც არ დაემთავრებინათ. ფუფუნებას ჩვეულმა მისი ოჯახის მანდილოსნებმა აქ, როგორც სხვა ქართველმა ქალებმა, დიდი მხნეობა გამოიჩინეს, შრომის ხალხად გადაიქცნენ და თავიანთი პატიოსანი შრომით ირჩენდნენ და დღესაც ირჩენენ თავს. ერთხელ იოსებმა მომწერა, ჩემი ქალები დღე და ღამე კერავენ, მე კიდევ ცეცხლს ვუნთებ და საჭმელს ვუკეთებო. იოსები აქაც არც ერთ ქართულ საზოგადო საქმეს არ უშვებდა, რომ მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო. ის იყო თავმჯდომარე ქართული სამრევლო საბჭოსი, კავკასიის სამეცნიერო წრის, საინჟინრო საზოგადოების წევრი და სხვა. ის არ იშლიდა კრებების დასწრებას მაშინაც, როდესაც საშიშარი გულის ავადმყოფობა გამოაჩნდა, გრძნობდა აღსასრულის სიახლოვეს, მაგრამ ეს მას არ აშინებდა. შეკითხვაზე, როგორ ხარო, ის დამშვიდებით ამბობდა, საიქიოდან ბილეთი მომივიდა, მიბარებენო. უკანასკნელად ის დაესწრო გიორგი წერეთლის მოსაგონარ საღამოს. ცუდად იყო, დარიც ცუდი იყო, მაგრამ მაინც მოვიდა. ამას შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ მისგან გამოსათხოვარი წერილი მივიღე 23 მარტის თარიღით. მწერდა: "...მე მომიარა ჩემმა ავადმყოფობამ, ძალიან სუსტად ვარ. ლოგინზე წამოწოლილი ვჯდებნი ამ წერილს და იქნებ ვერც გაარჩიო. წუხელის ღამე ისეთი ძნელი სუნთქვა მქონდა, რომ მეგონა, აღარ გამითენდებოდა. ეხ, რაც იქნება იქნება! თუ გადავრჩი, კიდევ გნახავ, თუ არა და მშვიდობით, ძმაო, იცოცხლე და შენს ამაგს ნუ მოაკლებ შენს სამშობლოს".

ჭეშმარიტ პატრიოტს სიკვდილის წინაც სამშობლოს ინტერესები ედგა თვალწინ და მისდამი ამაგს გვავალებდა. თვითონ კი მთელს თავის სიცოცხლეში ზრუნვა და ამაგი არ დაუკლია სამშობლოსათვის. არ იყო არც ერთი ქართული საზოგადოებრივი საქმე და დაწესებულება, რომელშიაც მას თავისი წვლილი არ შეეტანა. ეს კეთილშობილი ადამიანი მუდამ სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნავდა. სამშობლოს კეთილდღეობა იყო მისი უმთავრესი ცხოვრების მიზანი. ის იყო ჩუმი მუშაკი, უპრეტენზიო და უანგარო. მან პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა, რამდენადაც ეს იმ რთულ პროცესში, რომელსაც მოვესწართ, შესაძლებელი იყო. მისდამი პატივისცემა და ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს შორის.

## ა ნ გ ა რ ი შ ი

### ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა

როგორც "დამ. საქართველოს" №139-ში იყო გამოცხადებული, 23 ოქტომბერს 1937 წლისა, ფონდის შემოსავალი იყო 8.809 ფრანკი და 46 დოლარი.

მას შემდეგ შემოსწირეს:

1. ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების ახლად დაარსებულის "ქართული საზოგადოების" წევრებმა: პავლე კვარაცხელიამ, კირილე გურგენიძემ, დიმიტრი ალავიძემ, მიშა ლორიამ და ვასო დუმბაძემ საერთოდ 1000 ფრ. (ფული გადმოგვცა საზოგადოების თავმჯდომარემ ვასო დუმბაძემ).

2. ლევან მამულაიშვილმა – 100 ფრანკი.

3. ირ. ოთხმეზურმა და ბ-ნ ლაზრიშვილმა (ბრიუსელიდან) – 80 ფრანკი.

4. ექიმ იოსებ ცინცაძემ (საფრანგეთის სუდანის ნიორო ქალაქიდან) – 500 ფრანკი.

5. რუბენ ყიფიანმა (სოშოდან) – 100 ფრანკი.

6. პარიზის ცენტრის წევრებმა – 500 ფრანკი.

7. ივანე ზურაბიშვილის ოჯახმა – 150 ფრანკი.

8. ჟურ. "სამშობლოს" რედაქციამ (ალ. ასათიანის წარმოდგენილი) – 200 ფრანკი.

9. პოლონეთში მყოფ ქართველ ოფიცრებმა (ბ-ნ ალექსანდრე ბაგრატიონის მიერ წარმოგზავნილი) – 570 ფრ. და 85 სანტ. (სია შემომწირ. არ მომსვლია).

10. ექიმ ვ. ალშიბაიამ (ვარშავიდან) – 5 დოლარი.

11. ვალიკო ახვლედიანმა (ლევლიდან) – 100 ფრ.

12. ელისე პატარიძემ – 50 ფრანკი.

13. ისიდორე ქარსელაძემ – 25 ფრანკი.

14. სოშოს ქართველ კოლონიის წევრებმა – 570 ფრანკი.

წინეთ როგორც მოხსენებული იყო უკანასკნელ ანგარიშში, ამათ შემოიტანეს 560 ფრანკი (საერთოდ იქნება 1130 ფრ.). ამის შემომტანი არიან: შავდია იასონ – 120 ფრ., ბარამიძე მირიან – 120 ფრ., წულაძე ზაქრო – 80 ფრ., კვერღველიძე დიომიდე – 20 ფრ., ჩარკვიანი ლევან 40 ფრ., ნადაშვილი მიხეილ – 85 ფრ., ბაქრაძე ლადო – 20 ფრ., თავბერიძე ბარნაბ – 50 ფრ., ჩიკვილაძე სიმონ – 20 ფრ., გაჩეჩილაძე ვალიკო – 10 ფრ., სალუქვაძე ილია – 40 ფრ., მურმანიძე სერგო – 100 ფრ., ორაგველიძე კოლია – 120 ფრ., ალანია ანტონ – 20 ფრ., ჭინჭარაძე მამედ – 40 ფრ., ახვლედიანი დუდული – 120 ფრ., ჭირაქაძე სევერიან – 65 ფრ., ბერძენიშვილი გიორგი – 60 ფრანკი.

უგულითადეს მადლობას ვუძღვნი ყველა ზემო აღნიშნულთ შემომწირველთ.

სულ დღემდის შემოვიდა თავის დროზე დახურდავებულის დოლარების ჩათვლით 14.386 ფრ. და 85 ს.

უკვე დაიბეჭდა ერთი მოზრდილი წიგნი "არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს", რომელიც შეიცავს 440 გვერდს. გამოცემა დაჯდა 15.125 ფრანკი. ამათგან ჯერხანად მიეცა ბ-ნ ვ. ნოზაძეს, – რომელმაც ააწყო წიგნი და ხელმძღვანელობდა გამოცემას, – 13 910 ფრანკი. მიცემულია კლიშეების დამზადებაში ვაჩეძორის მონასტრის საბუთებისა (ოლთისის ოკრუგისა) 256 ფრ. და 80 სანტ. მიეცა

ი. ზდანევიჩს ოთხთა ეკლესიის ერთი შენობის გეგმის დამზადებაში 100 ფრანკი. დაიხარჯა მიმართვის დაბეჭდვაში, მისვლა-მოსვლაში, მარკებში, ფოსტის და სხვა წვრილმან ხარჯებში 120 ფრ. და 5 სან. სულ გაცემული ხარჯი შეადგენს 14.385 ფრ. და 85 ს., ესე იგი იმ თანხას, რაც დღემდის შემოვიდა.

დარჩა მისაცემი ბ-ნ ვ. ნოზამისათვის 1.215 ფრ. ეს ხარჯი უნდა დაიფაროს მოსალოდნელი შემოწირულობით.

მეორე წიგნში, თუ ეღირსა გამოცემა, მოთავსებული იქნება აღწერილობა ძეგლებისა სამუსულმანო საქართველოსი, კოლა-ტაო-ისპირისა, როგორც შედეგი ჩვენი არქეოლოგიური ექსპედიციებისა 1907 და 1917 წლებში. ამას აუცილებლად დასჭირდება სურათები და მეტს ხარჯს მოითხოვს. ბეჭდვას შევუდგებით, თუ ქართველი ემიგრაცია კვლავ დაგვდებს პატივს და თავისი ღარიბი ჯიბიდან გაიღებს საჭირო თანხას.

## კოლია თაყაიშვილი

### ნეკროლოგი

ულმოხელმა სიკვდილმა კიდევ გამოგვაცალა ერთი ღირსეული ახალგაზრდა მამულიშვილი, კოლია თაყაიშვილი, რომელიც 11 ივლისს გარდაიცვალა ჭლექით სოშოში და 14 ივლისს დაასაფლავეს ქალაქ მობელიარის სასაფლაოზე, სადაც დაახლოებით 10 სხვა ქართველი განისვენებს. კოლია იყო უმცროსი შვილი კოწია ზაალის ძე თაყაიშვილისა. უკანასკნელი დიდი პიროვნება იყო, განთქმული მთელს გურიაში თავისი პატიოსნებით, პატრიოტიზმით და ლიბერალური მიმართულებით. გურიაში ის პირველი იყო, რომელმაც დაიწყო პროპაგანდა რუსთა უხეში მმართველობის წინააღმდეგ. ის უაღრესად მჭევრმეტყველი იყო, ენერგიულად ავრცელებდა ქართულ ნაციონალურ იდეებს და დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაზე. ასეთი მამის შვილი, რა თქმა უნდა, კარგი მამულიშვილი უნდა ყოფილიყო. განსვენებული სულ პატარაობის შემდეგ ძე აღარ მინახავს. მას გაეთავებინა საშუალო სასწავლებელი და მასწავლებლად ყოფილიყო ჯავახეთში. აჯანყების დროს მან მიიღო აქტიური მონაწილეობა ბრძოლაში. მოძრაობის დამარცხების შემდეგ ის იძულებული გახდა საზღვარგარეთ გადმოხვეწილიყო. ერთს ხანს პარიზში ცხოვრობდა, შემდეგ სოშოში წავიდა და იქ მუშაობდა. ნიჭიერი, პატიოსანი, ზრდილი, წარმოსადეგი, უებრო მოძღვრალი და კარგი დეკლამატორი თავისი და სხვების ლექსებისა, ის ყველასათვის საყვარელი ახალგაზრდა იყო. მას ბუნებით სუსტი ფილტვები ჰქონდა და საჭირო იყო კარგი თავის მოვლა, რეგულარული ცხოვრება. სამწუხაროდ, ეს მან ვერ შეძლო, როგორც მრავალი ჩვენი ახალგაზრდობა, ის გაიტაცა ქალაქის თამაშმა. ღამეებს ათენებდა თურმე ქალაქის თამაშობაში. მისმა სუსტმა ბუნებამ ეს ვერ აიტანა, დაჭლექდა და ლოგინად ჩავარდა. მისმა მეუღლემ და სოშოს ქართველობამ ყოველი ღონე მიიღეს მის გადასარჩენად. ჯერ გაგზავნეს სტრასბურგის საუკეთესო კლინიკაში და შემდეგ ბეზანსონში, მაგრამ სიკვდილს ვერ გამოგლიჯეს ხელიდან. გვიანდა იყო. თვით ატყობდა აღსასრულს. კარგად შეგნებული ჰქონდა, რომ თვით იყო მიზეზი

მდგომარეობისა. რამდენიმე დღის წინ სიკვდილისა მან უთხრა ილ. სალუქვაძეს: "ძალიან მინდა სიცოცხლე, მაგრამ ეხლა გვიანდა არის. ეხლა აღარ იყიდება ის, რაც დავკარგე, ხოლო გადაეცი ახალგაზრდებს, რომელნიც განაგრძობენ ჩემს ხელობას, რომ თავს ძალა დაატანონ და დაანებონ თავი (ქალაქის თამაშობაში ღამეების ტარებას), თორემ ჩემებრ რომ ლოგინზე დაწვებიან, შემდეგ გვიან იქნებაო". ჭეშმარიტი ანდერძია! მაგრამ გაუგონებს ჩვენი ახალგაზრდობა? გამოიჩენს იმდენს ნებისყოფას, რომ ეს სენი თავიდან მოიცილოს? დიდი ბედნიერება იქნება, თუ ეს მოხდება! ვინ არ იცის, რომ ზოგი ახალგაზრდა მთელს დღეს ქარხანაში მედგრად მუშაობს, ხოლო საღამოს თავის ნაშრომს ქალაქში აგებს, ჯანს იფუჭებს და სიცოცხლეს იმოკლებს. კოლია თაყაიშვილი პირველი მაგალითი არ არის ასეთი მოვლენისა. იმავე სოშოში ერთმა ყველასაგან კარგად მიჩნეულმა და პატივცემულმა პირმა თავი მოიკლა, როდესაც თავის ფულის ქალაქში წაგებას აღარ დასჯერდა და საზოგადოების ფულიც წააგო. ჩვენმა საზოგადოებამ უნდა იზრუნოს ასეთი სენის მოსასპობად, უნდა იქონიოს ზნეობრივი გავლენა ახალგაზრდობაზე, თორემ არაერთ მამულიშვილს იმსხვერპლებს ეს სენი.

ვისურვოთ, რომ ბუნებიდან უხვად დაჯილდოვებული და ყველა ამხანაგებისთვის საყვარელი კოლია თაყაიშვილი უკანასკნელი მსხვერპლი ყოფილიყოს ასეთი მოვლენისა და მისი ანდერძი ყურად ეღოს ჩვენს ახალგაზრდობას.

## ა ნ გ ა რ ი შ ი

### ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა

როგორც "დამ. საქართველოს" №147-ში იყო გაცხადებული, 24 ივნისს 1938 წელს მეორე წიგნის გამოსაცემი ფონდი იყო 1.432 ფრანკი და 75 სანტიმი.  
მას შემდეგ შემოსწირეს:

ინჟინერმა ვ. გაბელაშვილმა	100 ფ.
ვალეკო ინჭვირველმა	50 ფ.
ექიმმა კალისტრატე კახიანმა (შალვა აბდუშელიშვილის გადმოცემული)	200 ფ.
მიშა ჩუბინიძემ	100 ფ.
დარისპან მდივანმა	100 ფ.
ირაკლი გორდელაძემ (ოსლოდან)	152 ფ. 75 ს.
ორესტი გორდელაძემ (ოსლოდან) <sup>57</sup>	76 ფ. 35 ს.
სოშოს ქართველთა ასოციაციამ	500 ფ.

<sup>57</sup> ძმები ირაკლი და ორესტი გორდელაძენი სულ ახალგაზრდა მოსწავლენი არიან. მათ ცოტა სამუშაო იშოვეს და პირველი მათი მონაგები ჩვენს ფონდს შემოსწირეს. მათი შემოწირულობა განსაკუთრებით სასიამოვნოდ მოხვდა ჩვენს გულს. ვუსურვებთ მათ გაზრდას და ყოველგვარ წარჩინებას. თქმა არ უნდა, ისინი ღირსეული მამულიშვილები გამოვლენ.



გრიმა უჩაძემ	140 ფ.
ლიონის ქართველთ კოლონიამ (შალვა ანთაძის წარმოდგენილი)	145 ფ.
ჩრდილო ამერ. შეერთებული შტატებიდან	
პავლე კვარაცხელიასაგან	339 ფ. 30 ს.
სულ ახლად შემოწირული შეადგენს	1903 ფ. 40 ს.

უგულითადეს მადლობას ვუძღვნი ყველა ზემოაღნიშნულთ შემომწირველთ. პირველი წიგნის გაყიდვიდან შემოვიდა 530 ფრ.

სულ მეორე წიგნის გამოსაცემი ფონდი შედგა 3.866 ფრანკი და 15 სანტიმი.

ამ თანხით დიდი წიგნის გამოცემა, მსგავსად პირველი წიგნისა, შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩვენ დავბეჭდეთ ნაწილი ეხლანდელი სამუსულმანო საქართველოს ძეგლების აღწერილობისა სათაურით: "არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგიში 1907 წელს". წიგნი შეიცავს 88 გვერდს კარგს ქაღალდზე დაბეჭდილს და დართული აქვს ხუთი ფაქსიმილე ტაოში ნაპოვნი სიგელებისა. ეს მით უფრო მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რომ გეგმები და ნახაზები ამ წიგნში აღწერილი ძეგლებისა უკვე გამოცემულია (იხ. ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, შედგენილი პროფ. ექ. თაყაიშვილის მიერ. ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. ტფილისი, 1924, ტაბ. 12–35), ხოლო მათი ფოტოგრაფიული სურათები, სამწუხაროდ, ჯერჯერობით გამოუცემელი რჩება.

ამ მეორე წიგნის გამოცემა დაჯდა სულ 3.873 ფრანკი და 10 სანტიმი. ამათგან ქაღალდის ფასში და აწყობა-დაბეჭდვაში მიეცა ბ-ნ ვ. ნოზაძეს 3.025 ფრანკი. კლიშეების დამზადება და დაბეჭდვა დაჯდა 848 ფრანკი და 10 სანტიმი. პირველი წიგნის დაგზავნის ხარჯი და სხვა წერილების და ფოსტის ხარჯი – 180 ფრანკი და 50 სანტიმი. სულ მთელი ხარჯი შეადგენს 4.053 ფრანკს და 60 სანტიმს. გასავალს რომ შემოსავალი გამოვაკლოთ, დარჩება "დეფიციტი" 187 ფრანკი და 45 სანტიმი.

მორიგი გამოცემის მესამე წიგნში უნდა მოთავსდეს "არქეოლოგიური ექსპედიცია სამუსულმანო საქართველოში, ტაო-თორთუმ-ისპირში 1917 წელს", რომელშიც აღწერილი იქნება პირველხარისხიანი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები – იშხანი, ოშკი, ხახული, ოთხთა ეკლესია, პარხალი და სხვა. ამას წინ წაუძღვება მოკლე გეოგრაფიული და ისტორიული მიმოხილვა სამუსულმანო საქართველოსი, რომელიც წაკითხული იყო საჯარო კრებაზე 4 დეკემბერს 1937 წელს. გამოცემას მიუცილებლად დასჭირდება მრავალი სურათი გეგმებისა და ფოტოგრაფიებისა; ხოლო განხორციელება მისი დამოკიდებულია იმაზე, თუ ქართველი ემიგრაცია კვლავ დაგვდებს პატივს და შეძლებს საჭირო თანხის გაღებას.

ჩვენ დიდად დავალებული ვართ ქართველი ემიგრაციისაგან და საჭიროდ ვთვლით ერთხელ კიდევ უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ყველა იმათ, ვინც თავისი წვლილი მოგვაწოდა და ამით საშუალება მოგვცა ამ ორი წიგნის გამოცემისა.

## მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში

ჩვენი არქეოლოგიური ექსპედიციის დროს რაჭაში, 1919 წ. სექტემბერში, ნიკორწმინდის არეულს ქალაქის ნაფლეთებში ჩვენ ვიპოვნეთ ერთი თაბახი, რომელზედაც, სხვათა შორის, მოთავსებული იყო "სულთა მატიანე", ანუ მოხსენებანი ზოგიერთ საქართველოს მეფეთა და კათალიკოზთა. მაშინვე შევუდეგით გამოკვლევას, დაცულია თუ არა იქ ხელნაწერი, რომელსაც ეს თაბახი ეკუთვნოდა. საბედნიეროდ გამოირკვა, ხელნაწერი დაცული ყოფილა და წარმოადგენს კრებულს სხვადასხვა ნაწარმოებთა<sup>58</sup>. კრებული დიდი ფორმატის არის, in folio, ყდაში. დაწერილია ბომბიციანზე ნუსხა-ხუცურით, ორ სვეტად, მრავლის წითლური ასომთავრულებით. შინაარსით და ხელის მიხედვით სამ ნაწილად იყოფა:

1. დავითნი, სულ შვიდი რვეული. გადაწერილია ზოსიმე კარგარეთელის მიერ იმერეთის მეფის გიორგი მეორის დროს, 1585 წელს, 15 მარტს. ეს ჩანს შემდეგი ბოლო მინაწერიდან:

ოო ი<sup>3</sup> ქ<sup>ე</sup> ღ<sup>ო</sup> აცოცხლე ადღეგრძელე ჰელმწიფე მეფეთ მეფე გ<sup>ი</sup> ორთავე ცხოვრებასა შ<sup>ა</sup> ა<sup>ნ</sup>:

ამისა მწერალსა იკიმს ჭნბრისძესა (იოაკიმს ჭუმბურის ძესა) შ<sup>ნ</sup>ს ღ<sup>ნ</sup>. დაიწერა წ<sup>ნ</sup>ი და ს<sup>ლ</sup>თა განმანათლებელი დავითნი ესე ქ<sup>კ</sup>ნსაჲ (sic):. სნიგ: ნებითა ღ<sup>თ</sup>ა თუჴსა მ<sup>რ</sup>ტსა ი<sup>ე</sup>. გათავდა (sic):

ზოსიმეს კ<sup>რ</sup>გარეთელსა შ<sup>ნ</sup>ს ღ<sup>ნ</sup> ვინცა ჩ<sup>ნ</sup> მოგვკსენოთ თქ<sup>ნ</sup>ცა შ<sup>ნ</sup>ს ღ<sup>ნ</sup> ა<sup>ნ</sup>:

2. მეორე ნაწილი ხელნაწერისა დაწერილია სხვა ხელით და სხვა ქალაქზე, მაგრამ იმავე იმერეთის მეფის გიორგი მეორის დროს. იწყება «მომიქსენენით» თითოეული კვირის დღისა, შემდეგ მოყვანილია კვინკლოსი, რომელსაც სამი ისტორიული მინაწერი აქვს:

ქ<sup>კ</sup>ნს: რმე – 1457. აქა ჯოსტანტიპოლი დაიჭირეს ხუანთქრიანთაჲ (sic).

ეს ქორონიკონი მცდარია, ვინაიდან კონსტანტინეპოლი დაიჭირეს ოსმალებმა 1453 წ. 22 მაისს.

ქ<sup>კ</sup>ნსა: ს – 1512. აქა მოვიდენ თათარნი, ქუთაისი და გელათი დაწუეს.

ამავე წელს უჩვენებს ვახუშტიც, აგრეთვე შემოქმედის გულანის კვინკლოსის მინაწერიც.

ქ<sup>კ</sup>ნსა: სჟბ–1604. აქა გარდაიცვალა ყ<sup>ე</sup>თა მეფეთა უპატოსნესი ყოვლით ზნეობით შემკული და აღსავსე ყოვლითა საღთოთა სწავლულებითაჲ მრავალჯერ გამარჯულებული მძლეთა მძლე მეფეთ მეფე როსტომ ძე კონსტანტინესი და ელენესი ვინცა შენდობით მოიხსენოთ ღ<sup>ნ</sup> თ<sup>ქ</sup>ნც მოგიხსენოს მეფობდა ა(თ)ცამეტ წელ.

ეს მინაწერი არა ტექსტის ხუცურით არის დაწერილი. იმერეთის მეფე როსტომი მართლა კონსტანტინეს შვილი იყო, მაგრამ კონსტანტინეს მეუღლე ელენე ბროსეს

<sup>58</sup> ნიკორწმინდის ხელნაწერები აღწერილი აქვს განსვენებულს არისტო ქუთათელაძეს (იხ. ჟურნალი «მოამბე», 1894 წ. №7) და სხვათა შორის, ეს კრებულიც აქვს აღნიშნული, მაგრამ მეფეთა და კათალიკოზთა მატიანეზე არაფერი აქვს ნათქვამი. ალბათ, ეს თაბახი მაშინაც არ იყო თავის ადგილზე და ამიტომ შეუმჩნეველი დარჩა.

გენეალოგიურ ნუსხაში ცნობილი არ არის. ეს ახალი ცნობაა. როსტომის გარდაცვალება აღნიშნულია 1605 წლით (H.G. II, p. 642). ესევეა აღნიშნული კახეთის ქრონიკაშიც (ქორდანია ქრონიკები II, გვ. 434).

კვინკლოსის ბოლოს ტექსტის ხელით სწერია:

ქე ღო ადიდე სლით და ჯრცით ორთავე შინა ცხორებათა ღთივ გვრგვნოსანი მეფეთ მეფე გიორგი ან:-.

3. მესამე ნაწილი ხელნაწერისა დაწერილია აგრეთვე ბომბიცინაზე სხვა ხელით, მაგრამ გადაწერილია, ჩვენის აზრით, იმავე იმერეთის მეფის გიორგი მეორის დროს (1548–1585). შეიცავს საგალობლებს. დასაწყისი: იბაკონი წისა ღთის მშობლისანი და სადიდებელნი. ერთ ადგილას, შუა ტექსტში, ტექსტისავე ხელით უწერია:

ჩხეტიძესა მანოელსა მაწყუჭრელსა შნს.

მეორე ადგილს ასეა განმეორებული:

მანოელსა (მნოლსა):. მწყუჭრელსა დღეგრძელობით ცოდვანი მათნი შეუნდნეს ღნ.

მანოელ ჩხეტიძე 1529 წელს იმერეთის მეფეს ბაგრატ მესამეს დაუნიშნავს ხონელ ეპისკოპოსად, ხოლო 1534 წელს იმავე მეფეს იგივე დაუდგენია ნიკორწმინდად (იხ. ქორდანია ქრონიკები, II, გვ. 373, 379) და როგორც ჩვენი წარწერიდან ჩანს, მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ის გამხდარა მაწყვერელად. არა ვგონებ, აქ სხვა მანოელ ჩხეტიძეზე იყოს საუბარი.

მერმენდელის ხელით ამ ნაწილში ხელნაწერისა სწერია:

ღმერთო შეიწყალე: იოვანე: პატარამე: და მეუღლე: მისი: თანანა:.

თაბახი ხელნაწერისა, რომელზედაც მეფეთა და კათალიკოზთა მოხსენებანია მოთავსებული, ეკუთვნის მეორე ნაწილს ხელნაწერისა. ესეც დაწერილია ორ სვეტად ნუსხა-ხუცურით, ხოლო პარაგრაფების ანუ მუხლების შემცველი სტრიქონების ტექსტი იწყება ჩვეულებრივად წითლურით დაწერილის ასომთავრულით, მაგრამ წითლური ასომთავრული ერთ დროს კი არ არის სხვა ტექსტთან დაწერილი, არამედ შემდეგ, შეიძლება სხვა გადამწერისაგანაც. ტექნიკურად ეს გასაგებია. დროს მოსაგებად გადამწერი სტოვებდა ადგილს წითლური ასომთავრულისათვის და სწერდა მარტო ნუსხური ასოებით ტექსტს შავის მეღნით, ხოლო შემდეგ იგივე გადამწერი ანუ სხვა, დახელოვნებული ასომთავრულის წერაში, მიუმატებდა, მიუწერდა ნაკლებ სიტყვებს, ასომთავრულებს წითელის მეღნით ანუ კინოვარით. რომ ეს ასეა, ეს სჩანს იმ შეცდომებით, რომელნიც ამ ასოების მიმატების დროს არის დაშვებული. პირველ ყოვლისა ზოგიერთ სიტყვებს სულ არ უზის ასომთავრული, არც წითლური, არც შავი მეღნით დაწერილი. ესენი გამორჩენია ასომთავრულების მიმატების დროს მწერალს. მაგალითად, სიტყვის მაგიერ «ღთისი» (დავითის) სწერია «თისი». სიტყვის მაგიერ «შვილისა» სწერია «-ვილისა» და სხვა. ამას გარდა, ასომთავრულების მიმატების დროს, ეტყობა, გადამწერს ტექსტი ფრაზისა არ წაუკითხავს და ამიტომ ჯეროვანი ასომთავრულის მაგიერ სულ სხვა ასო დაუწერია, რომელიც სრულიად უაზროდ ხდის ფრაზას. მაგალითად, დედანში წერებულა «თის», მიუწერიათ ასომთავრული ღანი, გამოდის «ღთის» (ღვთის), უნდა მიეწერათ დ «ღთის» (დავითის), ვინაიდან მთელი ფრაზა ასე იგულისხმება: «დავითის მართლმადიდებელისა მეფისა საუკუნოს იყავნ (ხსენება)». მეორე ადგილას დედანში წერებულა «...ისა», მიუწერიათ წ «წისა», მაგრამ კონტექსტით უნდა მიეწერათ ძ, ვინაიდან იგულისხმება «ძისა მათისა პატრონისა ერეკლესი» და სხვა.

კიდევ მაგალითი. დედანში წერებულა ...**ართლისა**, მიუმატებიათ მ, გამოდის «**მართლისა**», მაშინ როდესაც კონტექსტით უნდა მიემატებინათ კ, «**ქართლისა პატრიარქნი**», და სხვა. ყველა ასეთი მაგალითები ჩვენ ქვემოთ თავთავის ადგილზე აღნიშნული გვაქვს.

თუმცა ხელნაწერი, როგორც მოვიხსენიეთ, გადაწერილია იმერეთში, მეფის გიორგი მეორის დროს (1548–1585), მაგრამ მეფეთა და კათალიკოზთა მოხსენებაში არც ერთი იმერეთის მეფე და აფხაზეთის კათალიკოზი არ არის მოხსენებული, არამედ საერთო საქართველოს მეფენი და საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქნი. ეს იმის მაჩვენებელია, რომ გადამწერს დედნად ასეთი ნუსხა ჰქონია ხელში და მას თვითონ არაფერი მიუმატებია. დედანი ამ ნუსხისა მაინცდამაინც ძველი არ ყოფილა. ეს იქიდან სჩანს, რომ მეფეთა ნუსხაში ბოლოს ცოცხლად მოხსენებულნი არიან ბაგრატ მუხრანის პატრონი (1512–1539), მისი მეუღლე ელენე და შვილები. ამასვე ამტკიცებს კათალიკოზ მელქიზედეკ მეორის მოხსენება, თუმცა ეს არა თავის ადგილზეა მიმატებული. კათალიკოზი მელქიზედეკ მეორე, ძე მეფისა (1524–1529), იყო მკვიდრი ძმა ბაგრატ მუხრანის ბატონისა, მეფის კონსტანტინე მესამის შვილი (H. G. II, 1, p. 626). თავში მეფეთა მოხსენების სიას აკლია. წინა ფურცელი ხელნაწერისა არ შენახულა, სხვა იკითხება ასე<sup>2</sup>:

1. ... ი და კურთხევა მათი:.

2. მრთლ მადიდებლთა მეფეთა, დაჩისი, ფარსმანისი და ფრსმანისი, ადარნასესი, ბაკურისი, არჩილისი და ადერნესესი სკნს იყვნ ჳსნაჲ:.

მოხსენებანი მეფეთა დედანში, ალბათ, იწყებოდა პირველი ქრისტიანი მეფე მირიანით, მაგრამ არ შენახულა, გარდა უკანასკნელი სიტყვებისა, პირველ მუხლში აღნიშნულისა.

მეორე მუხლში მოხსენებულნი უნდა იყვნენ: დაჩი (502–514), ვახტანგ გორგასალის შვილი, ფარსმან მეხუთე (528–542), ფარსმან მეექვსე (542–557), ადარნასე პირველი (619–639), ბაკურ მესამე (557–570), არჩილ პირველი (410–434), ადარნასე მეორე (+779), ნერსეს შვილი. როგორც ვხედავთ, აქ ქრონოლოგიური რიგი არ არის დაცული და არც ყველა მეფე და მთავარი არის მოხსენებული.

3. არჩილ მეფისა და მოწამისა სკნოს:.

აქ არის მოხსენებული არჩილ მეორე წამებული (668–718).

4. მრთლ მდიდებლთა მფთა ბაგრატისი, გისი სკნს ჳს:.

აქ არიან მოხსენებულნი ბაგრატ მესამე (980–1014) და მისი შვილი გიორგი პირველი (1014–1027).

5. ბაგრატისი, გისი, [დ]თისი მეფეთა შს წრჩინებლისა. რნ ბრწყინვლეს ჳყო სჯლი ქართველთა. და ადიდნა ეკლესიანი ღთისნი სკნს იყვნ ჳსნაჲ:.

დედანში, ამ მუხლში ორი შეცდომაა დაშვებული გადამწერის მიერ. პირველად ის, რომ სიტყვა **ღთისი**-ს მაგიერ სწერია «**თ ისი**». წითლური ასო **ღ**ონის დაწერა თავში დავიწყებიათ, და მეორედ ის, რომ ეს სიტყვა «**ბაგრატისი**»-ს წინ სწერია. ეს, გარდა იმისა, რომ არღვევს ქრონოლოგიურ წესს, დავით აღმაშენებელს აცლის განმარტებას, რომელიც შემდეგ ფრაზებშია მოქცეული და უეჭველად დავით აღმაშენებელს ეკუთვნის. ცხადია, ამ მუხლში იხსენიებიან ბაგრატ მეოთხე (1027–1072), მისი შვილი გიორგი მეორე (1072–1089) და ამ უკანასკნელის შვილი დავით აღმაშენებელი (1089–1125).

6. დიმიტრი მართლმდიდებლისა მფისა. რწ მონაზონებისა ღწლთა შა სრლ  
ყო საწუთო ესე სკნს იყ:-

ამ მუხლში იგულისხმება მეფე დიმიტრი პირველი (1125–1154), დავით აღმაშენებლის შვილი, რომელიც ბოლოს მართლაც ბერად შედგა დანიელის სახელით.

7. [დ]-თის მართლმდიდებლისა მფისა სკნს იყ:-

ამ მუხლშიც გადაძწერს შეცდომა დაუშვია. პირველი სიტყვისთვის წითლური დონის მაგიერ წითლური ღანი მიუწერია და გამოდის ღ-თისა (ღვთისა); ხოლო აქ კი საუბარია დიმიტრი მესამის შვილზე დავით მესამეზე (+1155).

8. თამარ თომად დასა (sic) დედფლისა დამფისა მონაზონებისა ზეშთა გ  
ნბრწყინვებლისა საუკუნ-ს იყვნ-.

აქ საუბარია დავით აღმაშენებლის ასულზე თამარზე, ცოლყოფილზე აღსართან შირვან შაჰისა, რომელიც ბოლოს მონოზონად შედგა და თიღვის ეკლესია აღაშენა (+1150). ეს იყო დად მეფე დიმიტრი პირველისა და მეორე ასულის დავით აღმაშენებლისა კატა-სი, რომელიც მისთხოვდა ბიზანტიის იმპერატორის შვილს ბრიენს. ამის გამო არის ის აქ მოხსენებული «დად დედოფლისა და მეფისა». ხოლო თამარ-თომად მისი მონოზონობის სახელი უნდა იყოს, რაც ცნობილი არ იყო აქამდის.

9. გ-ის მართლმდიდებლისა მეფისა პანგრატოვანისა (sic) სკნს:.

აქ იგულისხმება გიორგი მესამე (1154–1184), თამარ მეფის მამა.

10. [შ]ვილისა მთისა თამრ მფისა დფლისა და თვთ მპყრობლისა ყლისა აღმოსვლეთისა და საქართველოსად სკნს:-

ამ მუხლშიაც გადაძწერს დავიწყებია წითლურის ასომთავრულის შინის დაწერა. რაღა თქმა უნდა, რომ აქ გიორგის ასულზე თამარ მეფეზეა საუბარი (1184–1212).

11. ღთივ გვრგვნოსნისა მფთ მფისა ალექსანდრე ყოფილისა აბრჰმისი სკნს იყვნ-.

საუბარია ალექსანდრე დიდზე მცხეთის განმაახლებელზე (1413–1442). ცნობილია, რომ ის ბერად შედგა ბოლო ხანს, ხოლო მისი ბერობის სახელი «ქართლის ცხოვრების» შევსებულ-გადაკეთებულ გაგრძელებაში ათანასე-დ არის მოხსენებული (იხ. ჩვენი მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 889). სხვა წყაროებში ეს სახელი არ შენახულა. ცხადია, მისი ბერობის სახელი აბრაჰამი ყოფილა და არა ათანასე.

12. ღთივ გვრგვნოსნისა მფთ მფისა კოსტნტინე ყფილისა კვრილესი. სკნს იყვნ-:

აქ იგულისხმება მეფე კონსტანტინე მესამე (+1505), მაგრამ მისი ბერად შედგომა კვრილეს სახელით სულ ახალი ამბავია ჩვენთვის. სხვა წყაროებიდან არა ვუწყით.

13. თანამეცხედრისა მთისა დფლთ დფლისა თამრ ყფილისა თეკლასი. სკნს იყვნ-.

კონსტანტინე მესამის თანამეცხედრეს მართლა ერქვა თამარი, მაგრამ მისი მონაზონობა თეკლას სახელით ახალი ამბავია, სხვა წყაროებიდან უცნობი.

14. ღთივ გვრგვნოსნისა მფთ მფისა ღთ ყფლისი დამიანესი სკნო იყვნ ვსნბა:.

აქ იხსენიება მეფე დავით მერვე, რომელიც მართლა შედგა ბერად დამიანეს სახელით 1522 წელს.

15. გი ყოფილისა გერასიმესი სკნ იყვნ ვს:.

საუბარია მეფე გიორგი მეცხრეზე, რომელიც მართლა ეკურთხა ბერად გერასიმეს სახელით 1535 წელს.

16. თვით მკვრობლისა (sic) ღთივ გვრგვნოსნისა მფთ მფისა:.. სახლი მრვ ღცა არ-ნ წელნი სუფევისა მისისანი:.

აქ საზოგადო ფორმულაა მოცემული ცოცხალი მეფის მოხსენებისა.

17. ბატონისა ბაგრატისა მრ-ვლმცა არ-ნ წელნი მთნი:.

18. თ-ნა მეცხედრისა მთისა დ-ფლის ელენესი მრ-ვლმცა არ-ნ წელნი მთნი:-

19. ძისა მთისა პ-ტრონისა ერეკლესი და არჩილისი მრ-ვლმცა არ-ნ წელნი მთნი:-

ამ მუხლშიაც შეცდომაა გადამწერისა. პირველ სიტყვას მიწერილი აქვს წითლურით ასომთავრული წილი ასო ძილის მაგიერ. გამოდის წისა.

20. ბატონისა (sic) ალექსანდრესი და თ-ნა მეცხედრისა მთისა ბატონისა (sic) ელენესი და ძეთა მთთა მრ-ვლმცა არ-ნ წელნი მთნი:.. ზეცათა მფო ქყნისა მ-ფნი დაიცვენ:.

მე-17-20 მუხლებში ცოცხალი პირნი იხსენიებიან. ეს იმის მაჩვენებელია, რომ დედანი, საიდანაც ეს მოხსენებანია ამოღებული გადაწერილი ყოფილა აქ მოხსენებულთა პირთა სიცოცხლეში. ხოლო ეს პირნი არიან: ბაგრატი მუხრანის მფლობელი (1512–1539), მისი მეუღლე ელენე, ამათი შვილები ერეკლე და არჩილი. ბაგრატი ბერად შევიდა 1539 წელს ბარნაბას სახელით (იხ. ბროსე H. G. II, 1, p. 626. და ჩემი არხეოლოგიჩესკია ეკსკურსიი, ...III, გვ. 12–13). ხოლო ძნელია თქმა დანამდვილებით, ვინ არის ბატონი ალექსანდრე და მისი თანამეცხედრე ელენე. შეიძლება ეს ალექსანდრე იყოს იმავე ბაგრატი მუხრანბატონის შვილი, რომელიც ბროსეს ცნობით, ცოცხალი იყო 1604 წ. სხვა მის შესახებ არაფერი არ ვიცით (იხ. ბროსე, იქვე გვ. 626). ან შეიძლება ეს ალექსანდრე იყოს, იმერეთის მეფის ბაგრატი მესამის და მისი მეუღლის ელენეს შვილი, ძმა მეფის გიორგი მეორისა, რომლის დროსაც 1585 წელს გადაწერილია ჩვენი ხელნაწერი (H. G. II, 1, p 642). მაგრამ ჩვენ პირველი მოსაზრება უფრო სამართლიანად მიგვაჩნია, ვინაიდან საზოგადოდ იმერეთის მეფენი და მთავარნი არ იხსენიებიან ჩვენს ნუსხაში.

ამას შემდეგ მოყვანილია მოხსენებანი საქართველოს კათალიკოზთა, რომელსაც კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ვინაიდან აქ გვხვდება სახელები, რომელნიც ცნობილნი არ არიან ჩვენს ლიტერატურაში სხვა წყაროებიდან. მოხსენებანი ასეა წარმოდგენილი:

ქართლისა<sup>59</sup> პ-ტრიაქნი: – იოანესი (ი-ესი), სამოელისი, შიუსი (sic), ევლალისი, პეტრესი (პე-სი), სამოელისი, მელქიზედეკისი, ოქროპირისა, გიორგისა (გი-სა), გ-ბრიელისა, პეტრესი (პე-სი), ევსტ-ტისა, გიორგისი (გი-სი), დიმიტრისი, ბასილისი, იოანესი (ი-ესი), სკმონისი... ძე მეფთა (sic):. ქ-ზ:.. მელქიზედეკისი სკ-ნ:.

[დ]ა ყ-ისა აღმოს-ვლეთისა. პატრიაქთაჲ:.. სკ-ნსმცა არს სკ-ნს-ბელი და კ-ხე მ-თი:

წი-სა და ღ-თ შემოსილისა საზ-ე:.. ქ-ზისა. და ყ-ლისა საქართველოსა პატრიაქისა სკ-ნს:-

წი-სა გ-ლაბერიძისა არსენისი: მიქელ მირიანის ძისა:.. ქ-ზისა ს-კნო:-

<sup>59</sup> დედანში წერია «მართლისა». აქაც შეცდომით მიწერილია ასომთავრული ძანი ქანის მაგიერ.

წისა მით მთვრისა და ღთმემოსილისა აღმოსავლეთისა და ყლისა საქართველოსა მით მთვრისაჲ სჯლთა თვთმპყრობლისა. და პატრიარქისა მრვლმც არან წელნი მთნი:-

რწ დაიცვს წჲ მეფე მთი: წწ სამეხამან ესენი ადიდნა:

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება ისტორია საქართველოს კათალიკოზ პატრიარქთა. არსებობს რამოდენიმე ნუსხა. უძველესი მათგანი ეკუთვნის ქართლის მოქცევის მატიანეს შატბერდის ხელნაწერისა და შეიცავს სამ სიას. პირველი შეტანილია ქართლის მოქცევის ტექსტში ჩვენებით, თუ რომელი კათალიკოზი რომელ მეფის ან ერისთავის დროს ცხოვრობდა. აქ აღნიშნულია 20 კათალიკოზი, შემდეგ ცალკე სიით წარმოდგენილია 9 ცოლოსანი კათალიკოზი და ამის შემდეგ სიითავე მოყვანილია სახელები 19 კათალიკოზისა. ჭელიძის ვარიანტში უკანასკნელი სია არ მოიპოვება და პირველი ორი ერთ სიად არის წარმოდგენილი<sup>60</sup>. ეხლა გამორკვეულია, რომ ქართლის მოქცევის სიები სრული არ არის. გამოტოვებულია რამოდენიმე კათალიკოზი, რომელნიც სხვა წყაროებიდან ცნობილნი არიან. ქართლის მოქცევის ნუსხის გაგრძელებად მიჩნეულია ერთი, 1270 წლის შიომღვიმის ხელნაწერის სია<sup>61</sup>, მაგრამ ეს სია პირდაპირ, უშუალო გაგრძელებას არ წარმოადგენს შატბერდისეული ნუსხისა. შიომღვიმის ნუსხას რამდენადმე ეთანხმება ზემომოყვანილი ნიკორწმინდის ნუსხა, მაგრამ თვალსაჩინო განსხვავებასაც წარმოადგენს. ჩვენი აზრით, ეს ორი ნუსხა ერთიმეორეს ავსებს და ამიტომ მოვიყვანეთ აქ პარალელურად.

**ნიკორწმინდის ნუსხა:**

**შიომღვიმის ნუსხა:**

1. იოანე
2. სამოველ
3. შიო
4. ევლალი
5. პეტრე
6. სამოველ
7. მელქიზედეკ
8. ოქროპირი
9. გიორგი
10. გაბრიელ
11. პეტრე
12. ევსტატი
13. გიორგი
14. დიმიტრი
15. ბასილი
16. იოანე
17. სვმეონ

1. ოქროპირი
2. სვიმეონ
3. მელქისედეკ
4. იოვანე
5. დიმიტრი
6. ბასილი
7. იოანე
8. სვიმეონ
9. საბაჲ
10. ნიკოლაოზ
11. მიქაელ
12. თეოდორე
13. ბასილი
14. იოანე
15. ეპიფანე
16. არსენი
17. გიორგი

<sup>60</sup> იხ. ჩვენი აღწერა წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერთა რუსულ ენაზე, ტ. II, გვ. 722–727.

<sup>61</sup> თუმცა შიომღვიმის ხელნაწერი 1270 წელს ეკუთვნის, მაგრამ ის გადმოწერილია 1172 წლის დედნიდან (თ. ჟორდანი, ქრონიკები 1, გვ. 79–81).

18. მელქიზედეკ, ძე მეფისა

19. საბა

20. არსენი გულაბერიძე

21. მიქელ მირიანის ძე

ორთავე ზემომოყვანილ სიაში აღნუსხული სახელების შემცველი კათალიკოზები რომ არსებობდნენ საქართველოში, უდავოა, მაგრამ რიგი მათი არც ერთში სწორი არ არის. ქრონოლოგიურად დასაყრდენი ორთავე სიისა არის მოხსენება მელქიზედეკ კათალიკოზისა, რომელიც ეჭვს გარეშე არის მელქიზედეკ პირველი, სვეტიცხოვლის მეორედ აღმაშენებელ-განმაახლებელი, რომელიც კათალიკოზად იჯდა ბაგრატ მესამის, გიორგი პირველის და ბაგრატ მეოთხის დროს, დაახლოებით 1010–1033 წლებში<sup>62</sup>. ნიკორწმინდის სიაში ამის წინ მოხსენებული სახელები გვხვდება ქართლის მოქცევის კათალიკოზთა ნუსხებში სხვადასხვა დროს. მაგალითად, იოანე – ორჯერ, სამოველ – ცხრაჯერ, შიო – არცერთჯერ, ევლალი ანუ ევლალე – ორჯერ, პეტრე – სამჯერ. ამჟამად, მელქიზედეკის წინ მოხსენებული კათალიკოზნი ერთიერთმანეთის მომდევნონი არ არიან, არამედ სხვადასხვა დროს ეკუთვნიან, ხოლო შიომღვიმის სიაში მელქიზედეკის წინ მოხსენებული სვიმეონი სწორია, ვინაიდან ვიცით, რომ მელქიზედეკი სვიმეონის მომდევნო იყო («ქართლის ცხოვრება», I, გვ. 212). სვიმეონის წინ მოხსენებული ოქროპირი უცნობია – ეს სახელი არ გვხვდება ქართლის მოქცევის სიებში, სამაგიეროდ ნიკორწმინდის სიაში მელქიზედეკის შემდეგ მოხსენებული სამი კათალიკოზი – ოქროპირი, გიორგი და გაბრიელი – რიგრიგობით მისდევნენ ერთმანეთს და ცნობილნი არიან «ქართლის ცხოვრებითაც». ესენი არიან: იოანე-ოქროპირი (შიომღვიმის სიაში მარტო იოანეს სახელით ნაჩვენები, ნიკორწმინდისაში – მარტო ოქროპირად), გიორგი ტაოელი და გაბრიელ საფარელი (ქართ. ცხ. I, გვ. 222, 223). აღნიშნული მოხსენებანი ცნობილ კათალიკოზთა მელქიზედეკის წინ და შემდეგ მოწმობენ, რომ მელქიზედეკი ორთავე ნუსხის მეთერთმეტე საუკუნის მელქიზედეკია, ავტორი ცნობილის «მცხეთის გუჯრისა». ამიტომ მიუღებელია ს. კაკაბაძის აზრი, ვითომც შიომღვიმის სიის მელქიზედეკი სხვა იყო, მისი ანგარიშით დაახლოებით 1093–1102 წლებში მცხოვრები (საისტორიო მოამბე, I, გვ. 102). შემდეგი სამი კათალიკოზი ნიკორწმინდისა სიისა – პეტრე, ევსტატი და გიორგი – უცნობია (გიორგი შიომღვიმის სიაში უკანასკნელად არის აღნიშნული). პეტრე ოთხჯერ არის მოხსენებული ქართლის მოქცევის სიებში, მხოლოდ ევსტატი არც ერთ ცნობილ სიაში არა ჩანს. დიმიტრი, ბასილი, იოანე, სვიმეონ და საბა ორთავე სიაში არიან მოხსენებულნი და ესენი ერთი ერთმანეთს მისდევნენ რიგით, თუმცა ნიკორწმინდის სიაში სვიმეონ და საბას შორის ნახსენებია მელქიზედეკ, ძე მეფისა, მაგრამ ეს უადგილო ადგილს არის ეჭვგარეშე მოთავსებული. ეს მელქიზედეკ მეორე იყო, როგორც მოვიხსენიეთ, ძმა ბაგრატ მუხრანბატონისა, ძე კონსტანტინე მესამისა. კათალიკოზობდა 1518–1529 წლებში,

<sup>62</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოცემა, I გვ. 212 მოსაზრება ს. კაკაბაძისა (საისტორიო კრებული, წიგ. I, გვილის, 1928, გვ. 35-107), რომ მცხეთის განმაახლებელი მელქიზედეკი სხვა არის და მეთერთმეტე საუკუნის გუჯარში მოხსენებული სხვა და ვითომც პირველი მათგანი ცხოვრობდა დაახლოებით 925-945 წლებში, სამართლიანად უარყოფილია ნ. ბერძენიშვილის მიერ (იხ. მცხეთის საბუთი მეთერთმეტე საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტომი VI, გვ. 229-296).



გარდაიცვალა 1549 წელს. ეს რომ სიის ბოლოს იყოს მოხსენებული, ქრონოლოგიურად მაშინაც არ შეესაბამება მოხსენებულ კათალიკოზებს. საბას შემდეგ შიომღვიმის სია იხსენიებს 8 კათალიკოზს, ნიკორწმინდის – მხოლოდ ორს: არსენი გულაბერიძეს და მიქელ მირიანის ძეს. მიქელ და არსენი მოხსენებულნი არიან შიომღვიმის სიაშიც. შიომღვიმის სია საბადს შემდეგ სწორია: ნიკოლაოზ კათალიკოზი გულაბრის ძე კათალიკოზად იჯდა გიორგი მესამის დროს. მან სიმდაბლით დატოვა კათალიკოზობა და წარვიდა იერუსალიმს, ხოლო იქიდან გამოიწვია თამარ მეფემ საეკლესიო კრებისათვის (ქართ. ცხ. I, გვ. 280). შემდეგი კათალიკოზი იყო მიქაელი ანუ მიქელ მირიანის ძე, რომელიც ნიკორწმინდის სიის ბოლოს არის მოხსენებული. ის ჩანს გიორგი მესამის გარდაცვალების დროს, 1184 წელს და თამარის მეფობის პირველ წლებში. ეს იყო შფოთიანი და ამღრევი საეკლესიოთა წესთა და ამიტომ, როცა გარდაიცვალა, «არვინ შეწუხდა მისთვის, რამეთუ ყოველნი სძულობდეს მას» (ქართ. ცხ. გვ. 276, 280, 293). თეოდორე კათალიკოზი მიქელის შემდეგ კარგად ცნობილია თამარის მეფობაში (მარიამ დედოფლის ვარიანტი, გ. 501). შემდეგი კათალიკოზი ბასილი «ქართლის ცხოვრებით» ცნობილი არ არის, ხოლო იოანე მოხსენებულია თამარისავე მეფობაში და მისი მეფობის ბოლო დროს უნდა ეკუთვნოდეს (ქართ. ცხ. I, გვ. 312–317). ამის შემდეგ კათალიკოზი ეპიფანე ცნობილია ნ. მარის გამოცემული ანისის ქართული ეკლესიის წარწერით 1218 წლისა. ამის მომდევნო კათალიკოზი არსენი, ბულმაისის ძედ წოდებული, ცნობილი მწერალია. იგი ჩანს 1224 და 1233 წლებში. შემდეგ მან კათალიკოზობას თავი დაანება და უბრალო მწირად ცხოვრობდა შიომღვიმეში და ცოცხალი იყო 1249 წელსაც<sup>63</sup>. შემდეგი გიორგი კათალიკოზი სხვა წყაროებით ცნობილი არ არის. აქ საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ: შიომღვიმის ხელნაწერში, სადაც თავდება სია კათალიკოზთა, არშიაზე დედნისავე ხელით მიწერილი ყოფილა: «არსენისა ყოვლად განთქმულისა საღმრთოთა წიგნთა თარგმანისა და საქართველოთა ეკლესიათა მნათობისა და საუკუნო იყავნ ქსენება». ს. კაკაბაძე აქ გულისხმობს კათალიკოზ არსენის და ჰგონია, შიომღვიმის სია ამ არსენით თავდება, ხოლო სია მეფეების მოხსენებისა ხელნაწერში მოყვანილი ყოფილა რუსუდანამდის და ხუთასეული ცხრილი 1224 წლამდის. ამისდა მიხედვით, დაასკვნის ავტორი, ხელნაწერიც გადაწერილი ყოფილა 1224 წელს და ამ წელს მჯდარა ზემო მინაწერში მოხსენებული კათალიკოზი არსენი, რომელიც მას მიაჩნია არსენ მესამედ. რაკი 1218 წელს კათალიკოზად ეპიფანეა და 1224 წელს არსენ მესამე, ამრიგად, არსენ და გიორგის კათალიკოზობა მოდის 1218–1224 წლებზე. მეორე მხრივ, 1224 წლიდან იწყება კათალიკოზობა არსენ მეოთხის ბულმაისის ძისა, რომელიც 1233 წელსაც კათალიკოზად ყოფილა<sup>64</sup>. ჩვენ ეს მსჯელობა მიუღებლად მიგვაჩნია. ჯერ ერთი, ეს არსენი მინაწერში კათალიკოზად სრულებით არ არის მოხსენებული; მეორედ, ეს რომ მართლა კათალიკოზი ყოფილიყო, კათალიკოზთა

<sup>63</sup> იხ. თ. ჟორდანიას ქრონიკები, I, გვ. 81; II, გვ. 103–110 და ს. კაკაბაძე, მეცამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს კათალიკოზები, ტფილისი, 1913 წ., გვ. 4 და 8. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 287–301. ნ. ბერძენიშვილი ამ არსენ ბულმაისის ძეს (sic) აფხაზეთის კათალიკოზად ცნობს და ჯერ გამოუქვეყნებელ მის სტატიაზე გვითითებს «ქართული სავაზიროს გენეზისის საკითხები» (საქარ. მუზ. მოამბე, VI, გვ. 260). ეხლა შეიძლება სტატია დაბეჭდილი იყოს, მაგრამ ჩვენ არ გვინახავს.

<sup>64</sup> იხ. ხსენებული ბროშურა, გვ. 3–4.

ნუსხაში იქნებოდა აღნიშნული და არა ცალკე შენიშვნის სახით არშიაზე. ის არც ტექსტის გამომცემელ თ. ჟორდანიას მიუღია კათალიკოზად და მისთვის ახსნა-განმარტება არ გაუკეთებია (ქრონიკები. I, გვ. 80–81). ჩვენი აზრით, ეს მოხსენება არსენ იყალთოელს გულისხმობს. ს. კაკაბაძის ცნობით, არსენ მეოთხის ბულმაისის მის შემდეგ კათალიკოზად ზის არსენ მეხუთე<sup>65</sup>. ამის შემდეგ მიქაელ, რომელიც ჩანს 1249 წ., ხოლო 1250 წლიდან კათალიკოზად უნდა ყოფილიყო ნიკოლოზ<sup>66</sup>. ჩვენ იმედი გვაქვს, როცა ჩვენი უამრავი ხელნაწერი და წარწერები შესწავლილი იქნება სავსებით, სხვადასხვა ნუსხებში მოხსენებული უცნობი კათალიკოზების მოღვაწეობის დრო ბევრ შემთხვევაში გამორკვეული იქნება.

<sup>8</sup> იხ. ხსენებული ბროშურა, გვ. 3–4.

<sup>9</sup> შესაძლოა, ეს არსენი იყოს ნიკორწმინდის სიის არსენი გულაბერიძე. მაშინ ეს არსენი მეოთხე იქნება, ვინაიდან არსენ მესამე კაკაბაძისა არ არსებობდა. მაგრამ აქ კიდევ შესაძლოა კითხვის დასმა. ბულმაისის ძე გულაბერიძედ ხომ არ შეიცვალა გრაფიკულ ნიადაგზე?

<sup>10</sup> მეცამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქარ. კათალიკოზები. ტფილისი, 1913, გვ. 8.

## ა ნ გ ა რ ი შ ი

### ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა

როგორც მოხსენებული იყო «დამ. საქართველოს» №152-ში 24 დეკემბერს 1938 წელს, მეორე წიგნის გამოცემის შემდეგ (არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს), დარჩა დეფიციტი 187 ფრანკი და 45 სანტიმი. მას შემდეგ შემოვიდა:

ლევან მამულაიშვილისაგან	100 ფ.
ილია ნუცუბიძისაგან	50 ფ.

თეირანის ქართველებისაგან ბ-ნ ი. გეგენავას წარმოგზავნილი ათას რვაას ოთხმოცდაათი სპარსული რიალი ანუ თერთმეტი გირვანქა სტერლინგი. ამის შემომწირველნი არიან:

ექიმი ვ. თოფურია	250 რიალი
ქორქია მიხეილ	250
გიუნაშვილი შალვა	250
გიუნაშვილი ევსევი	250
გეგენავა იოსებ	250
ბებიაშვილი დავითი	150
თვალაძე რაფიელ	100
წულაზე ბორისი	90

<sup>65</sup> შესაძლოა, ეს არსენი იყოს ნიკორწმინდის სიის არსენი გულაბერიძე. მაშინ ეს არსენი მეოთხე იქნება, ვინაიდან არსენ მესამე კაკაბაძისა არ არსებობდა. მაგრამ აქ კიდევ შესაძლოა კითხვის დასმა. ბულმაისის ძე გულაბერიძედ ხომ არ შეიცვალა გრაფიკულ ნიადაგზე?

<sup>66</sup> მეცამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქარ. კათალიკოზები. ტფილისი, 1913, გვ. 8.

სხირტლაძე ალექსანდრე	80
რობიტაშვილი ივანე	50
პაპავა ედუარდი	50
ღუდუშაური იასონი	50
მაყაშვილი მარგო	50
მიქელაძე გიორგი	20=1890 რ.

უგულითადეს მადლობას ვუძღვნიტ ყველა ზემოაღნიშნულთ შემომწირველთ.

ამას გარდა, წიგნების გაყიდვიდან შემოვიდა 240 ფრანკი. სულ შემოსავალი ფრანგულის ფულის ანგარიშით უდრის 2.326 ფრანკს. ამ თანხიდან გასტუმრებულია დეფიციტი წინა გამოცემისა 187 ფრანკი და 45 სანტიმი. წიგნების ფოსტით გაგზავნაში დახარჯულია 180 ფრანკი და 55 სანტიმი. სულ გასავალი უდრის 368 ფრანკს. შემოსავალს რომ გასვალი გამოვაკლოთ, დარჩება 24 ივლისისთვის ამა 1939 წლისა 1.958 ფრანკი.

### სამუსულმანო საქართველო

სამუსულმანო საქართველოს ეხლა, დიდი ომის შემდეგ, შეადგენს თითქმის მთელი ბასეინი ჭოროხის მდინარისა, პატარა პროვინციის გამოკლებით აჭარისტანისა ქალაქ ბათუმითურთ, ზემო წელი მდინარე მტკვრისა, ყოფილი არდაგანის «ოკრუგი» ყარსის ოლქისა, და ფოცხოვის «უჩასტოკი» მტკვრის შემდინარის ფოცხოვის წყლის ბასეინში, რომელიც წინეთ არდაგანისავე «ოკრუგ»-ში შედიოდა. უკანასკნელ მსოფლიო ომამდის ოსმალეთის ხელთ იყო მხოლოდ ზემო და შუა წელი ჭოროხის მდინარისა თორთუმის ხეობითურთ. სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილი ბასეინისა, სახელდობრ, ჭოროხის მარჯვენა შემდინარის ოლთისის წყლის ბასეინი და ქვემო წელი ჭოროხისა ეკუთვნოდა რუსეთს. უკანასკნელი ადმინისტრაციულად წარმოადგენდა ბათუმის ოლქს, ხოლო პირველი, ოლთისის წყლის ბასეინი – ოლთისის «ოკრუგს» ყარსის ოლქისა.

ძველად მთელი ჭოროხის ბასეინი შეადგენდა სამ დიდ პროვინციას – კლარჯეთს, ტაოს და ისპირს. საზღვრები ამ პროვინციებისა ზოგჯერ იცვლებოდა, მაგრამ საზოგადოდ კლარჯეთი შეადგენდა, ფართო მნიშვნელობით ამ სახელისა, ქვემო წელს ჭოროხის ბასეინისა და დაახლოებით უდრიდა ყოფილი ბათუმის ოლქს სოფელ მელიომდის.

კლარჯეთში შედიოდა თვით კლარჯეთი, ვიწრო მნიშვნელობით ამ სახელისა, შავშეთი, იმერხევი, ნიგალისხევი და, უნდა ვიფიქროთ, აჭარაც.

ნიგალისხევი განცალკევებული ხევი კი არ იყო, არამედ ეს სახელი ეწოდებოდა თვით ჭოროხის ბასეინის ნაწილს, თვით ჭოროხის ხეობას, რომელიც დაახლოებით უდრიდა ართვინის «ოკრუგის» ტერიტორიას და შეიცავდა ორივე ნაპირს ჭოროხის მდინარისა: ამასვე ამოწმებს ჩვენი სახელოვანი ბატონიშვილი ვახუშტი, რომელიც წერს: ...«ჭოროხის მდინარის აღმოსავლეთის კიდეზედ არს ართვანი, ქალაქი მცირე, მოსახლენი არიან ვაჭარნი, და ამ ართვანის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს

სამზღვრამდე, ჭოროხის ხეობის იმიერ და ამიერი იწოდების ლიგანის ხეობად».<sup>67</sup> იგივე იგულისხმება, როდესაც ვახუშტი ანჩის ეპისკოპოსის სამწყსოს განმარტავს: «ჯდა (ანჩას) ეპისკოპოზი მწყემსი ლიგანის ჳევისა გაღმა-გამოდმართის: გონიამდე, ფორჩხის ხეობისა და აჭარისა»<sup>68</sup>. სახელი ლიგანისხევი ოსმალებმა ლივანე-დ ანუ ლივანა-დ შეცვალეს. გ. ყაზბეგის ცნობით, ლივანა იწყებოდა მდინარე ჩაირსუ-დან, რომელიც ერთვის ჭოროხს ბორჩხასთან (ვახუშტის ფორჩხა)<sup>69</sup>. ინგლისის კონსულის ვ. ჯიფფორდ პალგრევის სიტყვით, ლივანე ერთი საუკეთესო, მდიდარი და ნაყოფიერი პროვინცია იყო ტრაპიზონის ვილაეტისა, ჭოროხის ორივე ნაპირზე (უფრო მარცხენაზე) მდებარე, სიგრძით 80 მილი და განით 35 მილი. მისი სავაჭრო და ადმინისტრაციული ცენტრი იყო ლივანე ანუ ართვინი<sup>70</sup>. ერთი ვაჭრის ცნობით, რომელსაც დ. ბაქრაძე გადმოგვცემს, ლივანში პარხალიც შედიოდა<sup>71</sup>.

ლივანა ლიბანა-ს სახით ეხლაც დაცულია. ეს არის ერთი სოფლის სახელი, ანუ უკეთ ვთქვათ, სოფელ ჩიხორის უბნის (მეჰლე-ს) სახელი (მარრის დღიური, გვ. 79).

კლარჯეთში შედიოდა კიდევ ეგრი, რომელსაც იხსენიებს უსახელო სომხური გეოგრაფია. ეს სახელი, ჩვენის აზრით, უდრის ეხლანდელ სოფელ ერგი-ს ანუ ერგე-ს, ჭოროხის პირზე, ათი კილომეტრის სიშორით ზღვიდან. ამ ადგილას ჭოროხი გამოდის ვიწრო ხეობიდან, ქმნის ფართო კალაპოტს და მიმდინარეობს კახაბერის დაბლობში. აქ თავდებოდა ნიგალის ხევი და იწყებოდა ეგრი, რომელიც შეიცავდა ალბათ მთელი კახაბერის დაბლობს ზღვამდის. ცხადია, იმ დროს, როდესაც სომხური გეოგრაფია არის შედგენილი (ზოგის აზრით, მეხუთე საუკუნეში, ზოგის – მეშვიდე საუკუნეში), აქ მეგრელები ცხოვრობდნენ და ეს მხარე საეგროს შეადგენდა, სამეგრელოს ნაწილი იყო. «ქართლის ცხოვრება»-ც კლარჯეთის საზღვრებს უჩვენებს არსიანის ქედიდან ზღვამდე<sup>72</sup>. კლარჯეთი ეხლა ცალკე სოფელსაც ჰქვია, არტანუჯის რაიონში, სოფელ ტანზოტის მახლობლად. ამ სოფლის დასავლეთით მშვენიერი ციხეც არსებობს ორი კოშკით და მახლობლად ეკლესიის ნანგრევებია დაცული (მარრის დღიური, გვ. 107).

ისპირს შეადგენდა ზემო და შუა წელი ჭოროხისა, ხოლო ტაოს მთელი დანარჩენი ნაწილი, ესე იგი სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილი ბასეინისა, ყოფილა ოლთისის ოკრუგი, თორთუმი, იშხანი და სხვა. მაგრამ ვინაიდან ისპირი ხშირად ტაოში შედიოდა, მთელი ჭოროხის ბასეინი ჩვენს ისტორიაში ცნობილი იყო ტაო-კლარჯეთად.

## მდინარე ჭოროხი

მდინარე ჭოროხი, რომელიც თავისი შემდინარეებითურთ არის სიცოცხლის მიმცემი მთელი ტაო-კლარჯეთისა, იწყება სომხეთის მაღალ პლატოზე ანუ, უკეთ ვთქვათ, ამ პლატოს მთების კვანძში, ერზერუმისა და ბაიბურთის შუა. აქვე აქვთ სათავე მდინარეებს – ევფრატს და არეზსაც, მაგრამ ესენი სხვადასხვა მხრით

<sup>67</sup> ვახუშტის გეოგრაფია, ბროსეს გამოცემა, გვ. 114.

<sup>68</sup> იქვე გვ. 110.

<sup>69</sup> გ. ყაზბეგი. ტრი მესიაცა ვ ტურეცკოი გრუზიი. ზაპისკი კავკ. ოდელ. გეოგრაფ. ობშჩესტვა. X, გვ. 97.

<sup>70</sup> იზვესტია კავკ. ოტდ. რუსკ. გეოგრ. ობშჩ. VII, გვ. 57–62.

<sup>71</sup> დ. ბაქრაძე. არქ. მოგზ. გურია-აჭარაში, გვ. 39.

<sup>72</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამის ვარიანტი, გვ. 156–7...

მიიმართებიან. ევფრატი ეკუთვნის სპარსეთის ზღვის ყურეს. არეზი უერთდება მტკვარს მის ბოლოწელში და მტკვართან ერთად ეკუთვნის კასპიის ზღვის ბასეინს, ხოლო ჭოროხი – შავი ზღვის ბასეინს.

მიმდინარეობა ჭოროხისა ერთობ უსწორმასწოროა. თავიდან ის მიემართება დასავლეთისაკენ, მაგრამ ქალაქ ბაიბურთიდან ჯერ იწყებს დენას ჩრდილოეთით, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთით. ოლთისის წყლის შერთვის შემდეგ მიიქცევს პირს ჩრდილოეთით, ხოლო აჭარისწყლის შერთვის შემდეგ მიემართება ჩრდილო-დასავლეთისაკენ, გამოდის კახაბერის დაბლობზე და შეერთვის შავ ზღვას რვა კილომეტრის სიშორით ქალაქ ბათუმიდან. შესართავთან ის ქმნის რამოდენიმე ჭალაკს, დელტას.

ჭოროხი მთის მდინარეა. განი მისი კალაპოტისა არსად არ აღემატება 200 საჟენს და საზოგადოდ შეიცავს ასიდან ორმოცდაათ საჟენამდე. ზოგჯერ ჭოროხი იკვლევს გზას სულ ვიწრო კლდის ნაპრალებში და მაშინ მისი განი სულ მცირეა. მაგალითად, ართვინის ხიდთან განი მდინარისა უდრის 12 საჟენს, სიღრმე წყლისა სხვადასხვაა, მაგრამ საზოგადოდ სამს მეტრს არ აღემატება. ართვინიდან ჭოროხზე ნაოსნობა იწყება, მაგრამ ნავები ბრტყელძირიანებია, კაიუკები, და ბათუმამდის სულ 5-6 საათში ჩამოდიან, ხოლო უკანვე მათ ზემოთ ატანას რამოდენიმე დღე უნდება და ისიც საჭეების საშვალეებით.

ჭოროხის შემდინარე წყლები ერთობ მრავალია. მარცხენა შემდინარენი იწყებიან პონტოს ქედიდან. ამათი სიგრძე არ აღემატება 30-40 კილომეტრს, კლდოვან ვიწრო კალაპოტებში მომდინარეობენ დიდის სისწრაფით, კიდეები ტყიანი აქვთ. ასეთებია: პარხალის-წყალი და მისი შემდინარენი – არმენხევი და კობაკი, შემდეგ ბელღევანი, იხხალა, მურღული და ხატილა. უკანასკნელი ოთხი ბათუმის ოლქს ეკუთვნოდა წინათ.

მარჯვენა შემდინარენი ჭოროხისა ბევრად უფრო გრძელნი და დიდრონი არიან: მათ შორის აღსანიშნავია აჭარისწყალი, 70 ვერსი სიგრძით, ერთვის ჭოროხს 15 ვერსის სიშორით მისი ზღვაში შესართავიდან. აჭარის-წყლის აუზი შესდგება თვით თავი აჭარის ხევიდან და შვიდი გვერდის ხეობათაგან. შემდეგი შემდინარე არის მაჭახელის-წყალი, 35 ვერსი სიგრძით, ერთვის ჭოროხს ოთხი ვერსის ზემო აჭარისწყლის შესართავიდან. ეს ჰქმნის მკაცრ ხეობას (ამ ხეობას წინეთ მიჭიხიანი ეწოდებოდა), განთქმული იყო საუცხოო იარაღების (თოფების, დამბაჩების) კეთებით (აქაურ თოფს გურიაში მაჭახელა ერქვა). შემდეგი დიდი შემდინარე არის იმერხევი, 70 ვერსი სიგრძით. ამის ზემოწელი ცნობილია შავშეთის წყლად, რომელიც ძველად იმერხევის სახელსაც ჰფარავდა. იგი ერთვის ჭოროხს ათი ვერსის ზემოთ ართვინისა. იმერხევს მარჯვნივ ერთვიან: ბამგირეთი, ჩიხორი, ახალთა და ბერთა, რომელნიც კარჩხალის ქედიდან გამოდიან და სიგრძით თვითეული არ აღემატება 20 ვერსს. მარცხენა შემდინარეთა შორის იმერხევისა აღსანიშნავია სათლელის წყალი, 35 ვერსის სიგრძით, ერთვის იმერხევს სოფელ დოლისყანის ზემოთ. მარცხნივ არტანუჯის წყალს ერთვის ქალაქ არტანუჯთან ტანზოთი. საზოგადოდ იმერხევის დიდი აუზი შეადგენს დიდს რაიონს შავშეთ-იმერხევისა, რომელიც შემოზღუდულია ქედებით – არსიანის, კარჩხალისა და იალნუსჩალისა და იყოფა ორ ნაწილად – მთიანისა და უფრო სწორისა. პირველს შეადგენს ზემოწელი იმერხევისა, მეორეს – ქვემო ნაწილი. ყველაზე უფრო დიდი შემდინარე ჭოროხისა მარჯვნივ არის ოლთისის წყალი, 145 ვერსი სიგრძით, გამოდის სევრიდაგის მთიდან და თავისი

მრავალრიცხოვანი შემდინარეებით ჰქმნის დიდს ბასეინს. მარჯვნივ მას ერთვის ბანას წყალი, 52 ვერსი სიგრძით. ბანას წყლის შემდინარედ ითვლება ბარდუსის წყალი, 66 ვერსი სიგრძით. შემდეგ ოლთის წყალს ერთვის ყანლის წყალი, 48 ვერსი სიგრძით და სალაჩურის წყალი, 28 ვერსი სიგრძით. მარცხენა შემდინარეთა შორის საყურადღებოა სევრის წყალი და თორთუმის წყალი. თორთუმის წყალი ჰქმნის თორთუმის ტბას, რომლიდანაც გადმოჰქუხს ლამაზის წყალვარდნით; შუა ნაწილი ოლთისის წყლის აუზისა, ასი ვერსის სიგრძით, მსოფლიო ომამდის ეკუთვნოდა რუსეთს და შეადგენდა ოლთისის ოკრუგს ყარსის ოლქისა.

### თვისებანი ჭოროხის ბასეინისა

ჭოროხის ბასეინი წარმოადგენს განსაკუთრებით სასტიკი მთიანეთის მხარეს. ის შემოზღუდულია თითქმის ყოველი მხრიდან წყალგამყოფი მაღალი ქედებით და მხოლოდ პატარა ნაწილი ეკვრის შავ ზღვას ციხისძირიდან კომპუშის კონცხამდე. აღმოსავლეთის მხრიდან მას საზღვრავს მაღალი ქედები არსიანისა და სოდანლულისა, რომელნიც ამ მხარეს გამოყოფენ კასპიის ზღვის ბასეინიდან. სამხრეთით მთელი რიგი მაღალი ქედებისა სხვადასხვა სახელით მიიმართებიან აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, არზრუმის და ბაიბურთის მიმართულებით, და გამოჰყოფენ ჭოროხის ბასეინს არეზის ბასეინიდან. დასავლეთით მას ზღუდავს ბაიბურთის ანუ ისპირის მთები, რომელნიც ბოლოს ქმნიან ცნობილს ზეკარს, გურჯი-ბოლაზად, ესე იგი, საქართველოს კარად წოდებულს. ჩრდილოეთის მხრით ამართულია მაღალი პონტოს ქედი, სიგრძით 675 ვერსამდის, რომელიც ყოფს ჭოროხის ბასეინს შავი ზღვისაგან. ეს ქედი იწყება მდინარე იეშილ-ირმაკის ქვემოწელიდან (ძველი ირისი), მახლობლად სამსუნისა და ნიკსერისა. თავში ის ჰყოფს შავ ზღვას იეშილ-ირმაკის და კიზილ-ირმაკის (ძველი ჰალისი) შემდინარეებისაგან და შემდეგ ჭოროხისაგან. პონტოს ქედის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს კარჩხალის ქედი, რომელიც გამოყოფილია პონტოს ქედიდან ვიწრო ჭოროხის ნაპრალით. კარჩხალის ქედიც მიიმართება სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთად, 40 ვერსის მანძილზე და უერთდება შავშეთის ქედს. ამიტომ ზოგიერთები კარჩხალის ქედს გულისხმობენ, როგორც გაგრძელებას შავშეთის ქედისა. ამას გარდა, ჩრდილოეთის საზღვარს ჭოროხის ბასეინისა შეადგენს კიდევ აჭარის ქედი, რომელიც თავდება ციხისძირთან. ციხისძირიდან პონტოს ქედის შტოს კომპუშის კონცხამდე, საიდანაც მსოფლიო ომის წინათ იწყებოდა რუს-ოსმალთა საზღვარი, ჭოროხის ბასეინი ეკვრის შავ ზღვას 40 ვერსის მანძილზე.

ყველა ჩამოთვლილი წყალ-გამყოფი ქედები გამოყოფს აუარებელ მკლავებს და ქედ-ქედებს, ზოგჯერ ფრიად დიდებს, რომელნიც ეხლებიან ერთიმეორეს, იკვანძებიან ერთიმეორეში და ჰქმნიან დიდ-რიცხოვან ღრმა ხევეებს, ღელეებს. ხრამებს და ნაპრალებს. სწორი ადგილი ცოტაა, საძოვრები უამრავი, ზოგ ადგილას სჭარბობს ტყეები: მაგალითად, ყოფილ ბათუმის ოლქში ორი მესამედი სივრცისა უჭირავს ტყეს. ჰავა სხვადასხვაა და დამოკიდებულია ადგილის სიმაღლეზე. ღრმა

ხვევებში, რომელნიც სულ მოცულია ბალებით, ისე თბილა, რომ ზოგჯერ თოვლი სულ არ არის, მაგრამ მთებზე საკმაოდ დიდხანს სძლებს და ადრეც მოდის.<sup>73</sup>

### მოკლე ისტორია ჭოროხის ბასეინისა

ისტორია ჭოროხის ბასეინისა ერთობ რთულია. აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ხალხები: ქართველები, სომხები, ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, თათრები-სელჯუკები, თათრები-ოსმალები და სხვა. იცვლებოდა უფლება ერთი ხალხისა მეორეზე, იცვლებოდა სარწმუნოება, ენა და განათლება. სპარსელებს, არაბებს და სელჯუკიანთ არავითარი თვალსაჩინო კვალი არ დაუტოვებიათ ამ მხარეში. დიდია გავლენა ბერძნებისა, ესე იგი ბიზანტიისა, და კიდევ უფრო მეტი სომხებისა.

თავდაპირველი მკვიდრნი ჭოროხის ბასეინისა, ნ. მარრის ტერმინოლოგიით, იყო თუბალ-კაინის მოდგმისა, ესე იგი შესდგებოდა ჭან-ლაზ-მეგრელთა ხალხებისაგან<sup>74</sup>. მაგრამ ესენი იყვნენ მარტო ერთი ნაწილის – კლარჯეთ-ისპირის მცხოვრებნი, ხოლო ტაო-თორთუმი მეორე ქართველთა ტომით, მესხებით იყო დასახლებული. ქსენოფონტე, რომელმაც ბერძენთა 10.000 მხედრით IV საუკუნეში ქრისტეს წინ ამ მხარეში გამოიარა, მცხოვრებთ ტაოხებს (ტაოხოი) უწოდებს, ესე იგი, ტაოს მცხოვრებთ.

ჭან-ლაზთა ტომს ეჭირა ზემო და შუაწელი ჭოროხისა და ორივე მხარე პონტოს ქედისა, შავი ზღვიდან ჭოროხის მდინარემდე. შემდეგ მათი მოსახლეობა გავრცელებული იყო ისპირიდან ტრაპიზონამდე და მის არემარემდე, და ეს დასავლეთის ადგილი იწოდებოდა ქალდეად და მცხოვრებნი ქალდელებად ანუ ხალიბებად; ზოგჯერ ეს მხარე ცნობილი იყო ჭანეთად (ბერძნულად ცანიკად) და მცხოვრებნი ჭანებად (ბერძნულად ცანებად), ხოლო ჭოროხის ქვემო-წყლის მოსახლეობას შეადგენდა ლაზ-მეგრელთა ტომი.

ამგვარად, ძველად მთელი ჭოროხის ბასეინი დასახლებული იყო ქართველთა ტომებით, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. მეორე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს წინ, ანტიოხ დიდის დამარცხების შემდეგ, მისმა სარდლებმა არტაქსიმ და ზარიადრმა, სტრაბონის ცნობით, სომხეთი დაიპყრეს და ამათ გააფართოვეს სომხეთის საზღვრები მეზობელი ერების – ხალიბების, მოსსინიკების და სხვების მიწების შემოერთებით; შემდეგ ტაოც შევიდა სომეხთა ამ სამფლობელოში, ტაიკის სახელით. აქედან იწყება სომხური ენის გაძლიერება ამ ადგილებში. ქალდეაში, პლინიუს სეკუნდუსის თქმით, ჩნდება შერეული ტომი სომეხთ-ქალიბებისა (გენს არმენო-ხალიბეს). ასეთი შერეული მოსახლეობა სომეხ-მესხებისა უნდა ვიგულისხმოთ შემდეგ დროში ტაოშიც.

რაც შეეხება კლარჯეთს, ის ზოგჯერ გადადიოდა სომხების ხელში, მაგრამ არა ხანგრძლივად; ქართველები მას იბრუნებდნენ უკან.

ჩვენ გვაქვს ცნობა: მეფე მირდატმა, ბაკურის ძემან, მეოთხე საუკუნეში აღაშენა ეკლესია თუხარისის ციხეში, „რამეთუ ჳესა კლარჯეთისასა“, უმატებს «ქართლის

<sup>73</sup> გეოგრაფიული და სტატისტიკური ცნობები უფრო დაწვრილებით იხ. ია. პროსკურიაკოვ, ზამეტკი ო ტურციი. ზაპისკი კავკ. ოტდ. რუსკ. გეოგრ. ობშჩ. ტიფლის, 1905; კნიგა XXV; ვ. ლისოვსკი, ჩოროხსკი კრაი, ტიფლის, 1887; პ. ხელმიცკი, კარსკაია ობლასტ, ჩასტ I. ტიფლის, 1892.

<sup>74</sup> ნ. მარრი. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 11.

ცხოვრება», „არა იყო ეკლესია“. მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა აღაშენა ციხე არტანუჯში. თვით უსახელო სომხური გეოგრაფია, რომელსაც ზოგნი მიაწერენ მეხუთე საუკუნეს, ზოგნი მეშვიდეს, მოგვითხრობს, რომ კლარჯეთი, შავშეთი, ნიგალი (ნიგალის-ხევი), ეგერი (ეგრი) და აჭარა ქართველების პროვინციებს შეადგენდაო<sup>75</sup>. მაგრამ ძველ სომეხთა მოსახლეობის გავლენა კლარჯეთშიაც ცხადად მოჩანს მრავალს გეოგრაფიულს სახელებში.

საერთოდ, არაბების შემოსევამდის, უმეტესი ნაწილი ჭოროხის ბასეინისა სომხეთის მხარეს შეადგენდა. აქ იყო გავრცელებული სომხური ქრისტიანული კულტურა. ხოლო არაბების შემოსევამ უცვალა ფერი ამ მხარეს, მეტადრე მურვანყრუს გალაშქრებამ 730 თუ 731 წელს ძირიანად მოსპო ყველაფერი: სოფლები განადგურდა, ეკლესიები, მონასტრები და ციხეები ნანგრევებად იქცა. ამას დაერთო კიდევ ხოლერა, რომელმაც ბოლო მოუღო ისედაც განადგურებულ მოსახლეობას. ხალხი ამოწყდა; რაც დარჩა, ტყეში გაიხიზნა. ამ მდგომარეობაში იყო ქვეყანა, როდესაც აქ მოვიდა თავისი სეფეწულით და დიდის ამალით, არაბების მიერ დევნილი, ქართლის ერისთავი აშოტ დიდი და აქ, კლარჯეთში დაემკვიდრა. ეს იყო ქართველთა პირველი ბაგრატიონი.

აშოტის მამა, ადარნასე, როგორც საფიქრებელია, იძულებით გადმოხვეწილი თავისი საპატრონო ტაო-კლარჯეთიდან, არჩილ მეფის დროს მოვიდა საქართველოში და გახდა მისი ქვეშევრდომი, მისი ვასალი, მიიღო სამფლობელოდ არტანი და შულავერი; მისი ასული ლატავრა შეირთო ცოლად არჩილის შვილმა ჯუანშერმა, შვილი მისი აშოტი გახდა ქართლის ერისთავი. ადარნასემ, როგორც ეტყობა, საქართველოში მოიგა ძალა და ჯუანშერისავე სიცოცხლეში დაიბრუნა თავისი კუთვნილება ტაო-კლარჯეთში, ანუ, როგორც «ქართლის ცხოვრება» მოგვითხრობს, „იცვალა ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა და აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ქვემოსა ტაოსა და აწ ციხეთაგან, რომელი ჰქონდეს შვილის-შვილთა ვახტანგ მეფისათა, და შემდგომად მისა წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკუდა.“<sup>76</sup>

მაშასადამე, აშოტი დაემკვიდრა თავისი მამის მამულში, ტაო-კლარჯეთში, მოშორებით თბილისის არაბთა საემიროსგან. ამ ქვეყნის გადარჩენილმა ხალხმა ის მიიღო აღტაცებით და აღუთქვა სამსახური. აშოტმა გამოიჩინა დიდი ენერგია და უნარი თავისი სამფლობელოს მოწყობისა. განაახლა არტანუჯის ციხე, რომელიც აშენებული იყო ვახტანგ გორგასლის მიერ, აღმართა შიგ ეკლესია პეტრესი და პავლესი და გააშენა ქალაქი ციხის ქვემოთ; აღადგინა გავერანებული სოფლები, შეიძინა და გააშენა ახლები. არტანუჯი გახდა რეზიდენციად პირველი ბაგრატიონისა. მაგრამ მთავარი კიდევ ის იყო, რომ მან დაიჭირა მჭიდრო კავშირი ბიზანტიასთან, მიიღო ხარისხი კურაპალატობისა და ამ სახით გახელმწიფდა ტაო-კლარჯეთში (780–829). აქედან იწყება გაქართველება წინეთ გასომხებული ქართველობისა. ეს პროცესი ისეთი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ, რომ უკვე მეცხრე საუკუნის ბოლოს ეს ქვეყანა ენითაც და განათლებითაც სულ ქართული იყო, და ის გახდა სავანედ ქართული კულტურისა. ამას ხელი შეუწყო პირველად იმ გარემოებამ,

<sup>75</sup> იხ. პატკანოვის თარგმანი.

<sup>76</sup> მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 218–219.



რომ მოსახლეობა აქ შერეული იყო, ქართულ-სომხური, და ქართველობა აქ არასოდეს არ აღმოფხვრილა, მეტადრე კლარჯეთში; მეორედ, ამას ხელი შეუწყო სარწმუნოებამ. დიდძალი სომხობა ამ ქვეყნისა მართლმადიდებელი ხალკიდონიტი დარჩა და გრიგორიანობა არ მიიღო, მჭიდრო მეგობრული კავშირი ჰქონდა ყოველ საქმეში ქართველობასთან და წირვა-ლოცვა მათი ქართულს ენაზე წარმოებდა. როგორც ბოლო დროს ჩვენში კათოლიკე ქართველებს თავისთავი ფრანგებად მიაჩნდათ, ისე მართლმადიდებელი სომხები ქართველობდნენ. სარწმუნოებას ყოველთვის დიდი გავლენა ჰქონდა დენაციონალიზაციის პროცესში; მესამედ, და ეს მთავარია, ამ პროცესს, უმეტესად ყოვლისა, ხელი შეუწყო ქართულმა საერო და სამონასტრო კოლონიზაციამ, რომელიც იმთავითვე ტალღასავით მოედდა მთელ ტაო-კლარჯეთს. ქართლიდან დევნილნი და არაბთაგან შევიწროებული მოსახლეობა მიილტვოდა ტაო-კლარჯეთში, სადაც სიმშვიდე იყო. აქ მათ ბაგრატიონთა მფარველობის ქვეშ თავისუფლად შეეძლოთ გაეშალათ თავისი მოქმედება სამეურნეო და სავაჭრო დარგში. ქართლიდანვე დაიძრა სამონასტრო კოლონიზაციაც. ამის მოთავე იყო განთქმული და დაუღალავი ბერი გრიგოლ ხანძთელი (759–861), რომელიც მოვიდა ქართლიდან კლარჯეთში აშოტ დიდის დროს. გრიგოლს კლარჯეთში დახვდა მარტო ერთი ქართული მონასტერი ოპიზა, ხოლო ბოლო დროს ის გახდა არქიმანდრიტი კლარჯეთის თორმეტი მონასტრისა, რომელთა შორის ხუთი მის მიერვე იყო აშენებული, სხვები – მისი მოწაფეების მიერ. ცხოვრება ამ შესანიშნავი მოღვაწისა ეკუთვნის დიდად ნიჭიერ მწერალს გიორგი მერჩულეს და წარმოადგენს შედეგს არა მარტო ქართველ მამათა ცხოვრებისა, არამედ საზოგადოდ მთელი ქრისტიანული აგიოგრაფიისა.<sup>77</sup>

გიორგი მერჩულეს თხზულება გვიხატავს იმ დროის ცხოვრების სურათს არა მარტო სასულიერო-საეკლესიო ცხოვრებისა, არამედ საეროსაც. აშოტ დიდის და მისი მრავალრიცხოვანი შთამომავლების დროს ტაო-კლარჯეთი აღივსო ეკლესია-მონასტრებით, რომელნიც იმავე დროს შეადგენდნენ კერას ქართული განათლებისა. ყოველ მონასტერში იყო სკოლა, სემინარია, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, საღმთო სჯულს, ფილოსოფიას, ბერძნულს და სხვა ენებს, გალობას, კალიგრაფიას, მხატვრობას, ოქრომჭედლობას და სხვა. აქედან გამოდიოდნენ მღვდელ-მომღვარნი, მთარგმნელები და გადამწერნი წიგნებისა, მინიატურისტები და ოქრომჭედელნი. ზოგიერთი მონასტრის ნანგრევებთან დღემდის საკმაოდ კარგად დაცულია ასეთი სემინარიების ფრად დიდრონი შენობანი, რომელნიც «საოსტიგნედ» ანუ სასადილო შენობებად არიან აღიარებულნი, მაგრამ ეჭვგარეშე, უფრო სემინარიების შენობებს წარმოადგენენ, ვიდრე სასადილოებს. ყოველ შემთხვევაში, ორივე მიზნისათვის უნდა

<sup>77</sup> გამოცემულია დიდებულად ნ. მარრის მიერ ვრცელის წინასიტყვაობით, რუსულის თარგმანით, სიტყვათა და ფრაზათა განმარტებით და სხვა სამეცნიერო აპარატით. გამოცემას დართული აქვს დღიური მოგზაურობისა შავშეთ-კლარჯეთში, რომელშიაც აღწერილია ნაშთები ყველა «ცხოვრებაში» მოხსენებულის ძეგლებისა და კლარჯეთის სხვა ეკლესია-მონასტრებისა. ამას გარდა, შეკრებილია დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა ეხლანდელი ამ მხარის მკვიდრთა, რომელთაც არ დავიწყებიათ ქართული ენა და ქართული ტრადიციები; მოყვანილია მრავალი მათი სახალხო პოეზიის ნიმუშები. «ცხოვრება» ეხლა გამოცემულია ლათინურ ენაზედაც ცნობილის მეცნიერის ბოლანდისტის პოლ-პეტერსის მიერ, რომლის დაუღალავი ღვაწლით ევროპა ეხლა საკმაოდ იცნობს ქართულ სასულიერო ლიტერატურას. იხილეთ *Annalecta Bollandina*, t. XXXVI-XXXVII – *Histoires Monastiques Georgiennes*. Bruxelles, 1923, pp. 207–309.

ყოფილიყვნენ განკუთვნილნი. ამ შენობათა გეგმა სამნავიანი ბაზილიკაა, თავისი სვეტებით და ღია კამარებით, მაგრამ მათ ახლავთ კიდეც, ერთი მხრივ, დიდი ზალა, დარბაზი ტრომპებიანი გუმბათით, გვირგვინით, რომლის ქვეშ წარმოებდა გადაწერა ხელნაწერებისა, ხოლო თვით დარბაზი შეიცავდა ბიბლიოთეკას (იხ. გეგმა და სურათები ასეთი შენობისა ოშკის მონასტერთან).

თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტაო-კლარჯეთს ქართული კულტურისათვის, საკმარისია აღვნიშნოთ უძველესი ტყავის ხელნაწერები – რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ და რომელნიც გადაწერილი არიან საქართველოს ყოფილ საზღვრებში და არა უცხოეთში (სინას მთაზე, პალესტინაში, ათონზე და სხვა) – ყველა ეკუთვნის ტაო-კლარჯეთის მონასტრებს პირველი პერიოდიდან ქართული მწიგნობრობისა, ესე იგი, მცხეთა-თბილისის პერიოდიდან, რომელიც გაგრძელდა ქრისტიანობის მიღებიდან. მეოთხე საუკუნის ნახევარში, არაბების დამკვიდრებამდე საქართველოში, მეშვიდე საუკუნის ნახევარში, ჩვენამდე ერთ ხელნაწერ ტყავის წიგნს არ მოუღწევია; თუმცა საფიქრებელია, ის პალიმპსესტის ხანმეტნი ტექსტები, რომელნიც ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა, უნდა ეკუთვნოდნენ ამ პირველ პერიოდს; მაგრამ ესენი ფრაგმენტებს წარმოადგენენ და არსად დაცული არ არის არც დრო და არც ადგილი გადაწერისა. უძველესი ქართული მწერლობის ძეგლები ტაო-კლარჯეთმა შეგვინახა.

ამრიგად, მეორე პერიოდში ქართული ისტორიისა, რომელიც გრძელდებოდა მერვე საუკუნის ნახევრიდან მეათე საუკუნის დასასრულამდე, ტაო-კლარჯეთი ხდება სავანე ქართული კულტურისა, ქართული განათლებისა. ამ პერიოდში საქართველო დაკავშირებულია პოლიტიკურად და კულტურულად ბიზანტიასთან. აქედან იწყება ინტენსიური ელინოფილური პერიოდი. ბაგრატიონთა სახლის წევრები იღებენ ბიზანტიურ საკარისკაცო ხარისხებს მაგისტროსისა, პატრიკისა, კუროპალატისა. ეს ხარისხი შთამომავლობით გადადიოდა უფროს ბაგრატიონთა სახლის წევრებზე. ხოლო როდესაც მეფობა განმტკიცდა და საქართველო გაერთიანდა, მეფენი იღებენ უფრო უმაღლეს და უწარჩინებულეს ხარისხებს ნობილლისიმოსისა, სევასტოსისა და ბოლოს, კესსაროსისაც.

დიდად ვრცელდება ვაჭრობა. არტანუჯი გადაიქცა ცენტრად აღებ-მიცემობისა ბიზანტიასა და აღმოსავლეთს შორის, და ეს დამოწმებულია იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ მის წიგნში De administrando imperio. მთელი ქვეყანა მოცულია კარგად გაკეთებულის გზებით; მოსარწყავი სისტემა არხებისა უაღრესად განვითარებულია; მათი ნაშთები დღემდე დაცულია და განსაცვიფრებელია. ფერდობები და ხევები მთებისა საუცხოოდ დამუშავებულია და წარმოადგენენ წალკოტებს. მატერიალურ კეთილდღეობას და სიმდიდრეს ამ ქვეყნისა, სხვათა შორის, ამტკიცებს უამრავი სახუროთმოძღვრო ძეგლები, რომლებითაც მოცულია მთელი ეს მხარე და რომელთა ნანგრევებსაც განცვიფრებაში მოჰყავთ მნახველნი თავისი კოლოსალური სიდიდითა და სილამაზით. ბოლოს, თავი მნიშვნელობა ტაო-კლარჯეთისა არის ის ფაქტი, რომ აქედან დაიწყო და გაერთიანდა მთელი საქართველო ბაგრატიონთა დინასტიის მეთაურობით. ეს იყო ხანგრძლივი პროცესი.

საქმე ის არის, რომ არაბთა საემიროს დამკვიდრების გამო თბილისში, ქართლის ცენტრში, ტაო-კლარჯეთი არ იყო მარტო ერთი განცალკევებული სამფლობელო, რომელიც შორეულ საქართველოს საზღვარზე დაარსდა. ამავე დროს გაჩნდა

საქართველოს აღმოსავლეთის მიჯნაზე კახეთის სამფლობელო, რომლის პატრონი ქორიკოზებად არიან წოდებულნი. პირველი ცნობილი ქორიკოზი იყო გრიგოლი (+ 827). ხოლო ხანს კახეთის მოსაზღვრედ, ერეთში (ძველი ალბანია) დაარსდა კიდევ ერეთის სამფლობელო. ამათზე უფრო ადრე დასავლეთ საქართველოში გაჩნდა აბხაზეთის სახელმწიფო. ამის დამაარსებელი იყო ლეონ ერისთავი, რომელიც წინეთ ბიზანტიის ერისთავად ითვლებოდა აბხაზეთში, მაგრამ როცა ბიზანტია დასუსტდა ხატთა ბრძოლის გამო, იმარჯვა დრო და ხაზართა დახმარებით თავისი თავი გამოაცხადა დამოუკიდებლად და გახდა მეფე აბხაზთა (746–791). ამან დაიპყრო ეგრისი და მთელი დასავლეთ საქართველო ლიხის მთებამდე. მათი სატახტო ქალაქი იყო ქუთაისი, მაშინ ქუთათისად წოდებული.

პირველად დასავლეთ საქართველოში უფლება ექირათ კოლხებს, მეგრელებს, და სახელმწიფო კოლხეთად ანუ კოლხიდად იყო ცნობილი. შემდეგ ძალაუფლება გადავიდა ლაზების ხელში და ამ მხარეს ლაზიკა დაერქვა; ხოლო ბოლოს აბხაზთა მიერ მოექცა სათავეში და დაარსდა აბხაზთა სახელმწიფო.

საქართველოს სამხრეთით, სომხეთში, გაჩნდა რამდენიმე სამთავრო, ხოლო მეცხრე საუკუნეში ერთი მთავარი, არარატის პროვინციის მფლობელი, ბაგრატიდი აშოტ I (885–890) ბაღდადის ხალიფისა და ბიზანტიის იმპერატორის თანხმობით გახდა მეფე სომეხთა.

თბილისში ამ დროს იჯდა არაბთა ემირი, მაგრამ თბილისის ემირებიც მოწადინენი იყვნენ თავი გაენთავისუფლებინათ ბაღდადის ხალიფისაგან და დაეარსებინათ დამოუკიდებელი საემირო. ეს მათ კიდევ განახორციელეს, როდესაც შესუსტდა ძალა ბაღდადის ხალიფატისა.

საქართველოს ყველა ამ განაპირა ადგილებში დაარსებული სახელმწიფოებისა და სამთავროების მფლობელნი ცდილობდნენ გაეფართოებინათ თავიანთი სამფლობელო და შემოეკრიბათ თავისი ბატონობის ქვეშ საქართველოს ყველა ნაწილი. დაიწყო ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, რომელიც გაგრძელდა ორი საუკუნე. აქ უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი, რომელ მთავარს, რომელ დინასტიას უნდა შემოეკრიბა საქართველოს ყველა ნაწილი და გამხდარიყო თვითმპყრობელი მთელი საქართველოსი.

იყო დრო, როდესაც ძალით ჭარბობდა კახეთის ქორიკოზი. შემდეგ დიდი ძალაუფლება მოიცვეს აბხაზთა მეფეებმა. ამათ გადალახეს ლიხის მთა და დაიჭირეს აღმოსავლეთ საქართველოს მრავალი ადგილი. აქ მათ ჰყავდათ თავიანთი ერისთავები. თუ სადამდის მიდიოდა მათი ძალაუფლება, იქიდან ჩანს, რომ კონსტანტინე აბხაზთა მეფემ (873–912) დაიწყო შენება საუკეთესო ტაძრისა სამშვილდეში მეოცე წელს თავის მეფობისა, ესე იგი 893 წელს; ხოლო დამთავრდა შენობა მესამე წელს აბხაზთა მეფის ლეონ მეორის მეფობისა, ესე იგი 960 წელს. ლეონი 957–967 წლებში მეფობდა. ეს ლეონი თავისი მამის გიორგი მეორის სიცოცხლეში (912–957) ერისთავად იყო ქართლისა, ხოლო მამის სიკვდილის შემდეგ გახდა აბხაზთა მეფედ და 964 წელს ახალქალაქის მახლობლად აღაშენა განთქმული კუმურდოს ეკლესია<sup>78</sup>. მაგრამ ვერც კახეთის მფლობელებმა და ვერც აბხაზეთის

<sup>78</sup> იხ. ჩვენი «არხეოლოგიჩესკია ეკსკურსიი ი ზამეტკი», II, გვ. 42–43 და «ძველი საქართველო», ტომი II, გვ. 21–30. კუმურდოს ეკლესიის შესახებ იხ. ჩვენი «მატერიალი პო არხეოლოგიი კავკაზა», მოსკოვის გამოცემა, ტ. XII, გვ. 35–44.

მეფეებმა ვერ შეძლეს საქართველოს გაერთიანება. ეს ბედი ერგოთ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს. ამის მიზეზი იყო, ერთის მხრივ, მათი უნარი, ენერგია და შორსმხედველობა; მეორეს მხრივ, და ეს თავი და თავია, უაღრესი კულტურა, რომელსაც მიაღწია ტაო-კლარჯეთმა მეცხრე და მეთექვსმეტე საუკუნეებში.

ტაო-კლარჯეთი იყო მემკვიდრე და გამაგრძელებელი მცხეთა-თბილისის კულტურისა. აბხაზებს – შორეულ მონათესავეებს ქართველებისას ენით – მწერლობა არა ჰქონიათ თავის ენაზე. მათი სახელმწიფო და საეკლესიო ენა ქართული იყო და საზოგადოდ ღრმად განიცადეს ქართული კულტურის გავლენა. აბხაზეთი, როგორც კახეთი, ქართველთა ტომების სახელმწიფო იყო. აბხაზთა სახელმწიფოში, როგორც მოვიხსენიეთ, შედიოდნენ ეხლანდელი მეგრელები, სვანები, იმერლები და დიდძალი ქართლები; ასე რომ, მცხოვრებთა უმეტესობა არა-აბხაზები იყო. აბხაზებს მხოლოდ სახელმწიფო ძალაუფლება ჰქონდათ ხელში. მათი დინასტია ედგა სათავეში რამდენიმე ქართველთა ტომს, ისე როგორც წინა დროში ასეთი უფლება ეკუთვნოდათ ჯერ კოლხებს (მეგრელებს) და შემდეგ ლაზებს. ამიტომ ამ ხალხების გაერთიანება მთავარ ქართველ ტომებთან – ქართლებთან და მესხებთან, რომელთაც დიდად განვითარებული კულტურა და ლიტერატურა ჰქონდათ – სრულიად ბუნებრივი იყო. ასეც მოხდა.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა უფლების ქვეშ ჯერ გაერთიანდა აბხაზეთი, ქართლი და ტაო-კლარჯეთი ბაგრატ III დროს (978–1014) და ქუთაისი გახდა სატახტო ქალაქად ამ გაერთიანებული სახელმწიფოსი. შემდეგ ამ დინასტიამ შემოიერთა კახეთი და ჰერეთი, და ბოლოს, დავით აღმაშენებლის დროს, 1122 წელს – თბილისიც. მოისპო თბილისის არაბთა საემირო და თბილისი კვლავ გახდა საქართველოს სატახტო ქალაქად. აქედან იწყება ოქროს ხანა გაერთიანებული საქართველოსი.

ამ დროს საქართველომ გამოგლიჯა მაჰმადიანებს სომხეთის სამთავროები სამხრეთით, გააფართოვა თავისი მფლობელობა აღმოსავლეთით. შირვანის სამეფო გახდა ვასალი საქართველოსი. ძალაუფლება საქართველოსი გავრცელდა შავის ზღვიდან კასპიის ზღვამდის. საქართველომ მიიღო ხასიათი კავკასიის იმპერიისა. მან სახელი განითქვა ბიზანტიაში და დასავლეთ ევროპაშიც. უმაღლეს ხარისხს თავისი პოლიტიკური და კულტურული განათლებისა მან მიაღწია თამარ მეფის დროს (1184–1212). მაგრამ ეს ოქროს ხანა გაგრძელდა მხოლოდ მეცამეტე საუკუნის ნახევრამდის, ესე იგი მონღოლთა შემოსევამდის.

მონღოლებმა დაიპყრეს საქართველო და გაჰყვეს ქვეყანა ორ სამეფოდ – აღმოსავლეთისად და დასავლეთისად. შემდეგ ამასაც არ დასჯერდნენ და ხელი შეუწყეს შექმნას მესამე დამოუკიდებელი სამთავროსა – სამცხე-საათაბაგოსა, რომლის მფლობელად გახდნენ სამცხის ათაბაგები ჯაყელთა სახლიდან. ათაბაგებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს მონღოლებს წინააზიის ომებში. ამით მოიგეს მათი გული, გააფართოვეს თავისი სამფლობელო და გახდნენ დამოუკიდებელნი ქართლის მეფეებისაგან. მათმა ლოიალურმა პოლიტიკამ მონღოლთადმი მისცა მშვიდობიანობა სამცხე-საათაბაგოს; და ეს მხარე დიდ წარმატებას განიცდიდა ქართლისა და იმერეთის სამეფოებთან შედარებით.

ამ სამფლობელოს მაშინ შეადგენდა: სამცხე (ახალციხის მაზრა ფოცხოვითურთ), ჯავახეთი (ახალქალაქის მაზრა), ყოფილი არდაგანის ოკრუგი (ჩილდირი, ფოსო, არტაანი, ერუშეთი და კოლა), ესე იგი მთელი ზემოწელი მტკვრის ბასეინისა, შემდეგ

მთელი ჭოროხის ბასეინი (ტაო-კლარჯეთი, ისპინი, ოლთისი), ბოლოს ლაზისტანი და არზრუმი (ერზერუმი).

პირველი დამოუკიდებელი ათაბაგი იყო სარგის I. ამან დიდი დახმარება გაუწია გულაგუ-ხანს ბრძოლაში ბერკა-ხანთან და მიიღო სამფლობელოდ არზრუმი თავისი პროვინციითურთ. ამით უკმაყოფილო დარჩა ქართლის მეფე დავით V. შეიპყრო სარგისი, მაგრამ იძულებული გახდა გაენთავისუფლებინა იგი ხაკანის მოთხოვნით. მაშინ სარგისი სულ ჩამოშორდა ქართლის მეფეს და დამოუკიდებლად გამოაცხადა სამცხე-საათაბაგო 1269 წელს.

მისმა შვილმა ბექა I (1285–1306) კიდევ გააფართოვა თავისი სამფლობელო და შეუერთა მას ლაზისტანი. აქ ლაზისტანი პირველად შემოდის საქართველოს საზღვრებში და ის რჩება ამ საზღვრებში ოსმალთა მიერ ამ ქვეყნის დამპყრობამდის. აზრი, ვითომც ლაზისტანი საქართველოს პოლიტიკურ სფეროში და საზღვრებში არასოდეს ყოფილიყოს, არ არის მართალი.

პირველ ხანაში დამოუკიდებლობა სამცხე-საათაბაგოსი გაგრძელდა ორმოცდაათი წელი. ამ დროს შესუსტდა მონღოლთა განმანადგურებელი ძლიერება. მონღოლეთი დაიყო რამოდენიმე სახელმწიფოდ, რომელთაც სასტიკი ბრძოლა ჰქონდათ ერთმანეთს შორის. ამჟამად, საბედნიეროდ, საქართველოს ტახტზე აღვიდა გიორგი VI, ბრწყინვალედ წოდებული, რომელიც შემდეგ დავით აღმაშენებლისა უნდა ჩაითვალოს მეორე აღმაშენებლად საქართველოსა (1318–1346). ამან პირველმა ალაგმა და განდევნა ოსები, რომელთაც მონღოლთა ხელის შეწყობით დაჭერილი ჰქონდათ მთელი ლიახვის ხეობა ქალაქ გორითურთ და ქართლის სხვა ადგილებიც. გიორგი მეექვსემ შემოიერთა იმერეთი და მისი გამდგარი მთავრები: დადიანი, გურიელი, შარვაშიძე აბხაზეთისა და სვანთა ერისთავი; აღადგინა წინანდელი დამოკიდებულება შირვანთან, სძლია და უკუაქცია აზერბაიჯანის ნოინი, რომელსაც უნდოდა კვლავ დაედგა მონღოლთა უღელი გიორგისათვის. ამანვე კვლავ შემოიერთა სამცხე-საათაბაგო და ბექა I-ის შვილს სარგის II-ს უბოძა სამცხის სპასალარობა; მაგრამ სარგის II ამასთანავე იყო მხატვართ-უხუცესიც. მის სურათს ზარზმის ეკლესიაში აწერია: «სამცხის სპასალარი და მხატვართ-უხუცესი სარგის».

ბექა პირველს სარგის II-ის გარდა ჰყავდა კიდევ ორი შვილი: ყვარყვარე I და შალვა. ყვარყვარე ატარებდა სამცხის ამირსპასალარის თანამდებობას. ამ პირველი ათაბაგების დროს სამცხე-საათაბაგო დიდ წარმატებას განიცდიდა. აქ მშვიდობა სუფევდა, მონღოლები მას არ აწუხებდნენ, მცხოვრებნი გამრავლდნენ; ხვნა-თესვა, წარმოება მაღალ დონეზე იყო.

სულ სხვა მდგომარეობაში იყო ქართლის სამეფო. გაუთავებელმა ომებმა მონღოლებთან, აუტანელმა დაბეგვრამ მონღოლთა ხარკისათვის, სამეფოს გადასახადისათვის, ეკლესია-მონასტერთა, ერისთავთა და მეზატონეთა შენახვისათვის მწარმოებელი დაბალი ხალხი აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდო. ხვნა-თესვა და მეურნეობა შეწყდა; ამას მოჰყვა შიმშილობა და ჭირი; პური დიდი ფასითაც არ იშოვებოდა; ხალხი ამოწყდა. ათაბაგ ბექას ქვეყანა ამ დროს სამოთხედ ჩნდა და იქ მიაწყდა შიდა ქართლის ხალხი, იქ მაინც პური სასყიდლად იშოვებოდა. ამ დროს სამცხე-საათაბაგომ დიდი სამსახური გაუწია ქართველ ერს. დიდძალი ხალხი გადაარჩინა გადაშენებას.

ათაბაგი ბექა პოლიტიკურადაც დაეხმარა ქართლის სამეფოს. როგორც მოვიხსენიეთ, ოსებმა ისარგებლეს ქართლის სამეფოს დასუსტებით, ლიახვის ხეობის

დაპყრობასაც არ დასჯერდნენ, ძამის ციხეც დაიჭირეს და ლამობდნენ ძამის ხეობის ხელში ჩაგდებასაც, მაგრამ ბექა ათაბაგმა გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და ალაგმა ოსები.

პირველი ათაბაგები მსჯულმდებელი და მაშენებელი იყვნენ. პირველი მსჯულმდებელი, ესე იგი კანონმდებელი იყო ბექა I (1285–1306), მეორე – მისი შვილიშვილი ალბულა (ნამდვილად არ ვიცით, ყვარყვარე I შვილი იყო თუ შალვასი). ბექას კანონები, გამოცემული XIII საუკუნეში, შეავსო ალბულამ მე-14 საუკუნეში. ბექას კანონები შეიცავდა 65 მუხლს. ალბულამ ანუ, უკეთ ვთქვათ, მისგან შედგენილმა საკანონმდებლო კომისიამ მიუმატა მას 35 მუხლი<sup>79</sup>.

ათაბაგების ღვაწლი აღმაშენებლობაში ბევრ ადგილას მოიპოვება სამცხე-საათაბაგოში, მაგრამ უმთავრესად ეს ღვაწლი სამცხეს ემჩნევა. აქ მათ მიერ აშენებულია მშვენიერი საფარის და ჭულების მონასტრები. ღვაწლი მათი ჩანს ზარზმის მონასტერშიც. სამივე მონასტერში დაცულია სურათები-ფრესკები სარგის I-ის, მისი შვილი ბექა I-ის და შვილიშვილების – სარგის II, ყვარყვარე I და შალვასი. უკანასკნელის სურათი მოიპოვება მხოლოდ ჭულებში.

სამი შვილის გარდა ბექა I-ს ჰყავდა კიდევ ორი ქალი. ერთი მისთხოვდა ტრაპიზონის იმპერატორს მიხეილ კომნენს, ალექსი II-ის შვილს; მეორე – ნათელა იყო ცოლი ქართლის მეფის დიმიტრი III-ის (გარდაიცვ. 1289 წ.). დიმიტრის ნათელადან ჰყავდა შვილი გიორგი ბრწყინვალე, რომელმაც საათაბაგო კვლავ მოიყვანა ქართლის მეფის ხელქვეშ. ამ დროიდან სამცხე-საათაბაგო 145 წელს ითვლებოდა საქართველოს ნაწილად, მაგრამ ბრძოლა ჩამოშორებისათვის არ შეწყვეტილა. როდესაც 1470 წლის ახლო ხანში საქართველო გაიყო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ, ათაბაგებიც გამოვიდნენ ქართლის მეფის წინააღმდეგ, ასე ვთქვათ, ნახევარმორჩილებისაგან და გახდნენ სრულნი უფალნი სამცხე-საათაბაგოსი; თუმცა ბრძოლა ქართლის მეფეთა და მათ შორის მაინც გრძელდებოდა. აქედან იწყება დაკნინება მთელი საქართველოს ნაწილებისა და მათ შორის სამცხე-საათაბაგოსი.

ათაბაგები პოლიტიკურ ჩამოშორებასთან ერთად ცდილობდნენ ეკლესიურადაც ჩამოშორებოდნენ საქართველოს, რომ ამ მხარის ეპისკოპოსები მცხეთაში არ გაეგზავნათ საკურთხად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიერ, არამედ ეს უფლება მიენიჭებინათ აწყურის მთავარეპისკოპოსისათვის. ამას ანტიოქიის პატრიარქის ცბიერის დახმარებით ცოტა ხანს კიდევაც მიაღწიეს. ათაბაგები განაგებდნენ დამოუკიდებლად თავის სამფლობელოს, მანამ ოსმალებმა არ დაიწყეს მხედრობა სამცხე-საათაბაგოში.

ანატოლიისა და კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა სულეიმან დიდის სულთანის დროს (1552–1566) დაიკავეს არზრუმში, ვანი და ყარსი, და დააარსეს ამ ქალაქების საბეგლარბეგოები. შემდეგ, ათაბაგ ქაიხოსრო მეორის დროს (1545–1573) დაიპყრეს მთელი ჭოროხის ბასეინი, სახელდობრ, 1550 წელს – ტაო, 1552 წელს – არტანუჯი და არდაგანი. ამასთანავე, ბაიბურთი, ხახული, ოლთისი და ბანა (პენიაკი) ადმინისტრატიულად სანჯაყებად გამოაცხადეს, შემდეგ განაახლეს ციხეები ყარსისა და არდაგანისა. არდაგანის ციხის კედელზე დღემდე დაცულია წარწერა

<sup>79</sup> ს. კაკაბაძე, «სჯულმდებელ ბექას და ალბულას ვინაობა», ტფილისი, 1912; ივანე ჯავახიშვილი, «ქართული სამართლის ისტორია», I, ტფილისი, 1926, გვ. 107–108, 111.

სულიემან დიდისა 1555 წლის თარიღით. შემდეგ ლალა-ფაშის დიდი ლაშქრობის დროს, 1578 წელს დაპყრობილ იქნა ჩილდირი, ხერთვისი, ახალქალაქი, ახალციხე და აწყური, და ამრიგად, მთელი სამცხე-საათაბაგო მთლად მოექცა ოსმალთა მფლობელობაში. ქაიხოსრო II-ის შვილები – ყვარყვარე V (1573–1582), მანუჩარ II (1558–1614), ამისი შვილი მანუჩარ მესამე (1614–1625) იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ ოსმალებს და მათის სახელით დარჩენილიყვნენ მმართველად ამა თუ იმ საათაბაგოს ნაწილებისა, მაგრამ ჯერ კიდევ ქრისტიანობა შეინარჩუნეს; ხოლო ბექა III-ის შვილმა ყვარყვარე V-მ მოწამლა თავისი ძმისწული, კანონიერი ათაბაგი მანუჩარ III, წავიდა სტამბოლს, მიიღო იქ მუსულმანობა საფარ-ფაშის წოდებითა და გახდა ახალციხის ფაშა.

ახალციხის საფაშალიკოში შედიოდა არა მთელი სამცხე-საათაბაგო, არამედ მხოლოდ სამცხე და ჯავახეთი. საფარ-ფაშა და მისი შთამომავალნი, ახალციხის ფაშები, ადმინისტრაციულად ემორჩილებოდნენ არზრუმის ფაშას. აქედან იწყება ტრადიციული სამცხე-საათაბაგოსი, საქართველოს ამ საუკეთესო კულტურული ნაწილის.

ვისაც არ სურდა მაჰმადიანობის მიღება, მისთვის ყოველი სახსარი ცხოვრებისა მოსპობილი იყო. ამიტომ თავადაზნაურობა, რომელმაც არ უღალატა მამაპაპურ სარწმუნოებას, იძულებული შეიქნა გადასახლებულიყო ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში და სხვა ადგილებში. ამათ რიცხვში უფრო წარჩინებული გვარები არიან: შალიკაშვილი, ციციშვილი, ავალიშვილი, ჯაყელი, დიასამიძე, გოგორიშვილი, თავდგირიძე, ხიმშიაშვილი, კავკასიძე, დოლენჯიშვილი, ხერხეულიძე, თაქთაქიშვილი, ქობულაშვილი (ქობულისძე), სუმბათაშვილი, ზედგენიძე, თუხარელი, გუგუნავა და სხვა.

ვინც გამაჰმადიანდა და ასეთები უმრავლესობა იყო, მიიღეს თათრული ხარისხი და თანამდებობანი. უბრალო ხალხი მტკიცედ იდგა სარწმუნოებაზე, მაგრამ უამრავი გადასახადებით და ყოველგვარი შევიწროებით იძულებული იყო ცხოვრების შერჩენისათვის თანდათან მაჰმადიანი გამხდარიყო. ეკლესიები და მონასტრები ზედიზედ იკეტებოდა. განძეულობა ეკლესია-მონასტრებისა, უმეტესი ნაწილი განადგურდა; ზოგი გადმოტანილ იქნა საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში, უფრო გურიაში და სვანეთში. ყოველგან შემოიღეს თათრული წესი და თათრული მიწათმფლობელობა. მაინც ეკლესია-მონასტრების საბოლოო ლიკვიდაცია მოხდა მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნის დამლევს; მანამდის, ასე თუ ისე, გაჭირვებით ზოგი მონასტერი კიდევ არსებობდა და მათ წინამძღვრებს სულტანი ამტკიცებდა ფირმანით.

საფარ-ფაშის შვილიშვილის, როსტომ ფაშის დროს (1647–1695) სამცხე-საათაბაგო გარეგნულად მაინც გახდა სამუსულმანო ქვეყნად; ხოლო ქობულებში, აჭარაში და იმერხევში მაჰმადიანობამ ფეხი ვერ მოიდგა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე. არც ოსმალთა პოლიტიკური უფლება ყოფილა აქ განმტკიცებული. ზოგ სხვა ადგილებში დიდხანს დარჩნენ ქრისტიანები ხან ფარულად, ხან აშკარად. მაგალითად, გიორგი ყაზბეგმა 1874 წელს პარხალის მიდამოებში იპოვა ხუთი კომლი აშკარად ამღიარებელი ქრისტიანობისა და მათი მღვდელი, გვარად მღებრიძე, ხოლო

80 კომლი ფარული ქრისტიანები იყვნენ<sup>80</sup>. ესენი იყვნენ სოფელ ხევეკისა და არმენხევის მცხოვრებნი.

უკანასკნელი მსოფლიო ომის დროს, როდესაც რუსის ჯარმა დაიკავა ჭოროხის ბასეინი, მთელმა ამ სოფლის მოსახლეობამ აშკარად აღიარა თავისი ქრისტიანული რწმენა და დიდ სიხარულს განიცდიდნენ. ჩვენმა 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა დ. შევარდნაძემ და ი. ზდანევიჩმა ინახულეს იგინი და ჰქონდათ მათთან საუბარი მრევლის მოწყობის შესახებ. ჩვენს საკათალიკოხო საბჭოს უნდა გაეგზავნა მათთვის მღვდელი, რომ ფრონტი არ მოშლილიყო და რუსის ჯარს არ მიეტოვებინა ეს მხარე. რასაკვირველია, დატრიალდნენ ბერძნის მღვდლებიც და უნდოდან ჩაეგდოთ ხელში სოფელი და დაემყარებინათ იქ ბერძნული წირვა-ლოცვა, თუმცა იქ მთელი სოფელი ქართულად ლაპარაკობს. ამ მიზნით ერთ ბერძენ მღვდელს ცბიერებით გამოერთმია მათთვის ძველი ქართული საეკლესიო წიგნები, რომელნიც მალულად შერჩენილი ჰქონებოდათ. ზოგ ადგილას გამუსულმანებული ქართველები ასრულებენ ზოგიერთ ქრისტიანულ წესებს და ჩვეულებას. მაგალითად, ყურბან-ბაირამობის დროს (მუსულმანთა აღდგომას) ამზადებენ შეღებილ კვერცხებს და მიაქვთ ეკლესიის ნანგრევებში. ამას აღნიშნავს ე. ვეიდენბაუმიც ბანის ტაძრის შესახებ, რომელიც მან ინახულა 1879 წელს<sup>81</sup>. ხახულში, მონასტრის კარის ბჭეში, აღმოსავლეთის კედელში, ღვთისმშობლის სურათია გამოქანდაკებული, რომელსაც მკვიდრნი მარიამს უწოდებენ. თუმცა მუსულმანთა ქალები მეჩეთში არ დადიან, მაგრამ ამ ქანდაკებასთან მოდიან თამამად, აღიპყრობენ ხელებს და სთხოვენ შვილიერებას: ვისაც რძე აკლია – რძის მომატებას, ვისაც ავადმყოფი ჰყავს – მის მორჩენას და სხვას, ვისაც რა აწუხებს. მარიამი დიდად სწამთ არათუ დედაკაცებს, არამედ მამაკაცებსაც. მათი რწმენით, მარიამი არავის შეარჩენს ტაძრის გაუპატიურებას და ხელის ხლებას. როდესაც რუსის ჯარმა უკანასკნელი ომის დროს ეს მხარე დაიკავა, ხახულის კომენდანტად დანიშნული იყო პორუჩიკი ნ. მ. შუგუროვი და ის გვამცნობს ზოგიერთ თქმულებას ხახულის შესახებ თავის ბროშურაში<sup>82</sup>.

<sup>80</sup> გ. ყაზბეგი: „ტრი მესიაცა ვ ტურეცკოი გრუზიი“, კავკ. გეოგრ. საზ. „ზაპისკები“, X, გვ. 124.

<sup>81</sup> იხ. „მატერიალი პო არხეოლოგიი კავკაზა“, ტ. XII, გვ. 92.

<sup>82</sup> პორუჩიკი ნ. მ. შუგუროვი მეტად პატიოსანი, სათნო და ღვთისნიერი ადამიანია. როდესაც მან პირველად ხახულის ეკლესია ნახა, გაცხებული დარჩა მისი ლამაზი სტილით, მშვენიერი დაცვით და მკვიდრთა ამ ძეგლისადმი კარგის განწყობილებით. მე და სხვებსაც მოგვწერა არაერთი აღტაცებული წერილი და გვთხოვდა მოგვეწყო ექსპედიცია ძეგლის შესასწავლად. მეც დავპირდი. შემდეგ ის თვითონ ჩამოვიდა თბილისში და 6 ივნისს 1917 წელს თბილისის თავადაზნაურთა საკრებულოში წაიკითხა მოხსენება ხახულის ტაძრის შესახებ. მეც ვიყავი მიწვეული, მაგრამ მოხსენებას ვერ დავესწარი სხვა საჭირო საქმეების გამო; ხოლო 1918 წელს ეს მოხსენება დაბეჭდა ბათუმში კ. დ. მაჭავარიანმა რუსულად (ს. მ. შუგუროვი, «ხახულის მონასტერი. მცირე მიმოხილვა», ბათუმი, 1918, in 16, გვ. 21). მოხსენებაში აღნიშნულია მოკლე ცნობები ხახულის მონასტრის შესახებ არსებული ლიტერატურის მიხედვით და მოთხრობილია, თუ რა გააკეთა მან ხახულში. შუგუროვს გაუწმენდია ტაძარი, გაუკეთებია ხის კანკელი, ტრაპეზი, მაგიდა, სამკვეთლო, კარადა სანთლისათვის, სატრაპეზო ჯვარი და ზედ ქართულად დაუწერია: «აღსდევ უფალო განსასვენებლად შენდა კიდობანი სიწმიდისა შენისა» (ფსალმუნი 131, 8). ხატები გამოეგზავნა ოდესიდან დედამისს მ. თ. შუგუროვისას. ერთი სიტყვით, შეეკრიბა ყველაფერი, რაც საჭიროა წირვისათვის. გარდა ამისა, გაუკეთებია ორი დიდი ჯვარი ბჟოლის ხისა: ერთი დაუდგამს კარის ბჭეზე, მეორის დადგმა გუმბათის თავზე უკისრია ქართველ ჯარისკაცს რახრამეს, რომელიც სასწაულებრივი სიმარჯვით ასულა გუმბათზე, აუტანია და დაუმაგრებია ეს დიდი ჯვარი მთელი გაკვირვებულის სოფლის თანდასწრებით. სოფლელებს



სხვათა შორის, მას უამბეს: ერთს ჩვენს მოხერხებულს და მხნე ახალგაზრდას გაგონილი ჰქონდა, რომ ჯვარის ქვეშ გუმბათისა ხაზინაა დაკრძალულიო, და მან განიზრახა ასულიყო გუმბათზე ხაზინის მოსაპოვებლად. ასვლა მოუწყობლად ასასვლელისა ძნელია, მაგრამ ასვლით მაინც ავიდა, ხოლო ვერაფერი ვერ იპოვნა. ჩამოვიდა ძირს, დაბრუნდა სახლში, დაჯდა იატაკზე და მაშინათვე მოკვდაო. მარიამმა დასაჯა ის კადნიერებისათვისო, დასძინა მთქმელმა მაჰმადიანმაო. ზოგ სხვას ადგილებშიაც დიდი მოკრძალება აქვთ ეკლესიისადმი. მაგალითად, ოთხთა ეკლესიის გვერდით თუმცა მშვენიერი ბაღნარია, მაგრამ ხალხი იქ არ ცხოვრობს. იქ არ შეიძლება ცხოვრებაო, ამბობენ, ვინც არ დასახლდა, ყველანი ამოწყდაო. ერთხელ ერთმა მწყემსმა ეკლესიაში ფარა შერევაო, მაგრამ ეს ფარა შემდეგ მოვარდნილმა წყალმა იმსხვერპლაო. იშხანში მხატვრობა მოშლილი დამხვდა და ეტყობოდა ზოგიერთი ფრესკის მოშლა ახალი საქმე იყო. მე ვკითხე მუხტარს, რატომ შლით სურათებს-მეთქი? მან მიპასუხა: ჩვენ მაგის გვემინია და არასოდეს ხელი არ გვიხლია; ესენი სულ რუსი სალდათებმა ხიშტის წვერებით მოშალესო. მართლაც და თვით ხახულის ყოფილი კომენდანტი შუგუროვი გვიმოწმებს თავის ზემოხსენებულს წიგნაკში (გვ. 6) რუსის სალდათების და პრაპორშჩიკების ბარბაროსობას, რომელთაც მიაწერს ხახულის ღვთისმშობლის ქანდაკების სახის გაფუჭებას და დასძენს: განა ესენი არ იყვნენ, იშხანის ტაძარში მიზანში სროლა რომ ასტეხესო?! ზოგიერთი სალდათის ფსიქოლოგიის მიხედვით, ამბობს ნ. შუგუროვი, ყველა ეკლესია სათათრეთში, ქართულია ის თუ სომხური, „თათრული ეკლესია“ არის და არავითარი პატივისცემის ღირსი არ არისო (გვ. 10).

სოფელ **დასაბომა**-ში, ნ. მარრის თქმით, არის მოზრდილი ეკლესიის ნანგრევები ჩვეულებრივი რიგისა. ამ ნანგრევების დიდი შიში აქვთ სომხებს და ქართველ მუსულმანებს. აქ მოდიან სალოცავად შორეული კუთხეებიდანაც, განსაკუთრებით აღდგომას, ისე სხვა დროსაც. აქედან არაფრის წაღება არ შეიძლება. ამბობენ, ერთმა ბებერმა სცადა აქ ბოსტნის გაშენება, მაგრამ მაშინვე მოკვდაო (დღიური, გვ. 35–36).

სამუსულმანო საქართველოში ჩვეულებააა ზიარეთში წასვლა. ეს უდრის ჩვენებურ ხატობას. ზიარეთი სამლოცველო ადგილს ჰქვია და ისეთი ადგილებია, სადაც ძველი ეკლესიის ნანგრევებია ან ყოფილი საჯვარეა. აქ მოდიან სხვადასხვა ადგილებიდან, ნამეტნავად ქალები. მოაქვთ ჩამოქნილი თაფლის სანთლები, აანთებენ სანთლებს და ლოცულობენ. აქ რჩებიან ერთ-ორ დამეს. თუ შორიდან მოსული არიან, უფრო მეტსაც. და ამათ უნდა დაესიზმროთ ღამით, თუ რა ცხოველი დაკლან სამსხვერპლოდ: ცხვარი, თხა, ხბო, ძროხა თუ ხარი; და რაც დაესიზმრებათ, იმას დაკლავენ ხოლმე. ასეთ ჩვეულებას ასრულებენ პორტას (ძველი შატბერდის) მონასტრის ნანგრევებში და ბევრ სხვა ადგილას. მოლები უშლიან, რასაკვირველია,

---

უთქვამთ: მარიამი შეეწია, თორემ ეს შეუძლებელი იყოო. როდესაც რახრამეს გაუჩხრეკია ბუდე, რომლითაც ძველი ჯვარი ყოფილა დამაგრებული გუმბათზე, იქიდან ამოულია ძელის ნაჭერი, სრულიად კარგად შენახული. ამ ნაჭრიდან შუგუროვს გაეკეთებინა სატრაპეზო ჯვარი, რომელსაც თან ატარებდა, და მეც მაჩვენა. ხე, რომლიდანაც ჯვარია გაკეთებული, თათრულად **ტურგენ**-ი ყოფილა, ჩვენებურად **ძელქვა** უნდა იყოს. ამის შემდეგ ნ. შუგუროვს 24 ივნისს 1916 წელს ზეიმით უკურთხებია ტაძარი: წირვა გადაუხდია მამა ნიკოლსკის, გალობა ყოფილა რუსულად და ქართულად. წამოსვლის ხანს ნ. შუგუროვს გასაღები ტაძრისა ჩაუბარებია ადგილობრივი ხოჯისათვის, რომელმაც ჩვენი ექსპედიციის დროს ჩვენ გადმოგვცა, და წამოსვლის ხანს მასვე ჩავაბარეთ.

ასეთ ქცევას ხალხს, მაგრამ ვერაფერს ხდებიან (ნ. მარრის დღიური, გვ. 80). ასეთი ზიარეთი აქვთ ხახულის მცხოვრებთაც მათი ხევის სათავეში, მთაზე, სადაც ეკლესიის ნანგრევებია დაცული. ქრისტიანობის ნაშთი ისახება ხოლმე ზოგიერთ თქმულებაშიც. მაგალითად, ამბობენ, იმერხევში **თავკვეთილობას** (იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთას) თოვლი მოვაო (ნ. მარრის დღიური, გვ. 8).

რაც ლეგენდებს შეეხება, ქართველ მეფეთა შორის ლეგენდები ზოგ ადგილას მარტო თამარ დედოფალზეა შენახული. იშხანში, ხახულში, ოთხთა ეკლესიაში, პარხალში მცხოვრებნი მათი ეკლესიების აშენებას ძლევამოსილს, მდიდარს და შესანიშნავ დედოფალს მიაწერენ. მაგრამ სახელი მისი იციან კობაკში და ბინათში, სხვაგან დავიწყებული აქვთ. ოთხთა ეკლესიის მცხოვრებნი ამბობენ: იმ მეფის ასულს, რომელმაც ოთხთა ეკლესია აღაშენა, ფული არ ეყო და თავისი თმის სამკაული გაჰყიდაო; ხოლო კობაკის მცხოვრებლებმა იციან სახელი დედოფლისა, რომელმაც აღაშენა იშხანი, ოშკი, ხახული, ოთხთა ეკლესია და პარხალი. ეს იყო თამარ, ანუ შირვანის ასული. მამამ ყველა შვილი გაამაჰმადიანა, ხოლო თამარს დიდი დამსახურების გამო ნება დართო ქრისტიანი დარჩენილიყო. თამარს ჰყავდა თეთრი რაში ისეთი, რომ ერთს დღეს შეეძლო მოევლო ოშკი, იშხანი, ოთხთა ეკლესია და პარხალი. კობაკის მახლობლად უჩვენებენ კლდეს ხელისგულის გამოსახულებით და ამბობენ, ეს თამარ მეფის ხელის ნაშთიაო. როცა მან გაიარა ამ კლდესთან თავისი ჯარით, ცხენიდან ჩამოვარდა და ხელი კლდეს მიაბჯინა, რომელზედაც დარჩა ნასახი მისი ხელისაო.

პარხალის ზემო სოფლებში დღემდის დარჩენილია ძველი გრძელი არხი, რომელიც იწყება სოფელ უთავიდან – კობაკის მახლობლად, გაჭრილია კლდეში რამოდენიმე ვერსის სიგრძეზე და მიდის სოფელ ზავრიეთში. ამას მიაწერენ თამარ მეფეს და ამბობენ, ყველაზე დიდი ღვაწლი, რომელიც მან დასდო ამ მხარეს, ეს არისო. კიდევ უფრო კარგად იციან თამარის სახელი ბინათის მცხოვრებლებმა. ბინათი მდებარეობს მელოს მახლობლად, სოფელ ორჯოხის ზემოთ, ჭოროხის პირზე. ამ სოფელში 219 სული ცხოვრობს, ყველა ქართულად ლაპარაკობს. მათი თქმულებით, ამ სოფლის სახელი ასე წარმოიშვა: ერთხელ მეფე თამარმა აქ გამოიარა. ცუდი ტაროსის გამო გზა ვეღარ განაგრძო და ინება ღამის გათევა ამ სოფელში. მას მიუჩინეს საუკეთესო ბინა და მას შემდეგ სოფელს დაერქვა სახელი ბინათი, რომ ამით აღენიშნათ თამარის ღამის გათევა ამ სოფლის ბინაში.<sup>83</sup>

<sup>83</sup> ეს ლეგენდა ბ-მა ალექსანდრე სტეფანეს ძე მატეასევიჩმა გადმოგვცა. ეს იყო ომის დროს „ნაჩალნიკი“ მელოს „უჩასტკისა“, დაიარა ყველა სოფელი ჭოროხის შუაწელისა და შეკრიბა სტატისტიკური ცნობები მოსახლეობისა და სია გადმოგვცა ჩვენ ჩვენებით, თუ რომელ სოფელში ლაპარაკობენ ქართულად. აგრეთვე მან გადმოგვცა ფოტოგრაფიული სურათები ზოგიერთი სოფლებისა, ძეგლებისა და მკვიდრთა გუნდებისა, რომელთათვის უგულითადეს მადლობას ვუცხადებთ. ა. მატეასევიჩი მხატვარიც არის. მის მიერ გადმოღებული აქვარელის სურათი იშხანის ტაძრისა ჩვენ შევიძინეთ საქ. საისტ. და საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის. საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ ცნობები ქართული ენის ცოდნის შესახებ ზოგიერთი სოფლებისათვის სრულად არ ჩაითვლება. მის სიაში მოხსენებული არ არის, რომ სოფ. ოთხთა ეკლესიაში (დორთ-კილისაში) ქართულად ლაპარაკობენ, მაშინ როდესაც იქ ყველა ქართულად მოლაპარაკეა. მცხოვრებნი ყოველთვის არ ამხელენ, რომ ქართულად ლაპარაკობენ. ამას გარდა მამაკაცები, მეტადრე რუსის მოხელენი, დედაკაცებს ვერ ნახულობენ, ოჯახებში ვერ ჩაიხედავენ, სადაც უფრო არის დაცული ქართული ენა. ზოგჯერ არც ეკლესიის შესახებ აწვდიან ცნობებს. მაგალითად, მატეასევიჩმა გადმოგვცა სურათი ოთხთა ეკლესიის ციხისა და როდესაც ვკითხე, ეკლესიის სურათი არ გადმოიღე-მეთქი, მიპასუხა, იქ ეკლესია არ არისო. შესანიშნავი ოთხთა

რაც შეეხება ენას, ქართული ენა თანდათან დავიწყებას მიეცა და დაუთმო ადგილი თათრულ ენას. ამას ხელი შეუწყო პირველად სიადვილემ თათრული ენისა, გადმოსახლება თათრებისა ქართველ მკვიდრთა შორის, სკოლებმა, სადაც მხოლოდ «ყურანს» ასწავლიდნენ თათრულ ენაზე და სხვა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრ ადგილას ჯერეც შერჩენილია ქართული ენა, ნამეტნავად მთის მივარდნილს და ძნელად მისავალ სოფლებში. მამაკაცებმა ყველამ იცის თათრული, მაგრამ თათრულად ელაპარაკებიან მხოლოდ უცხოელებს და ოსმალთა თანამდებობის პირებს. თავიანთ შორის, ოჯახში მარტო ქართულად ლაპარაკობენ, ნამეტნავად ქალები და ბავშვები. არდაგანის და ოლთისის „ოკრუგებში“ ნაკლებად არის დაცული ქართული ენა, ვინაიდან აქედან ბევრი ქართველობა გადასახლდა ოსმალეთში რუს-თათართა ომის შემდეგ 1877–1878 წლებისა და მათ ადგილას სხვები გადმოასახლეს: თათრები, თარაქამები, ქურთები, ბერძნები და სომხები. არდაგანის ოკრუგში ჩემი ექსპედიციის დროს 1902 წელს ქართულად ლაპარაკობდნენ მხოლოდ სოფელ ველში<sup>84</sup>, ხოლო ერუშეთში მარტო მოხუცებულებს ესმოდათ ქართული. ოლთისის ოკრუგში, ფანასკერტში, ანზავში, მიაკომში ქართული ესმოდათ მხოლოდ მოხუცებულებს და უფრო ქალებს, ვიდრე მამაკაცებს. ბევრად უფრო კარგად არის დაცული ქართული ენა ყოფილი ბათუმის ოლქში. ცნობილია, რომ აქ ქობულეთელებსა და აჭარლებს ყველაზე კარგად აქვთ შენახული ქართული ენა. ამას გარდა, ქართული ენა დაცულია კლარჯეთში და იმერხევში, სადაც დღემდის დიდად გავრცელებულია სახალხო პოეზიის ნაწარმოებნი, ლექსები, მეტად ფირალებზე. ნიმუშები მათი შეკრებილი აქვს ნ. მარს (იხ. მისი «გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება», დღიური, გვ. 46–74).

ლაზები ამ ოლქისა ლაპარაკობენ თავიანთ ლაზურ ენაზე. კიდევ უკეთ არის შენახული ქართული ენა ზოგიერთ ძნელად მისავალ სოფლებში შუა ჭოროხის ბასეინისა. ჯერ კიდევ გ. ყაზბეგმა აღნიშნა, რომ პარხალის მახლობელ სოფლებში არმენხევში და კობაკში ყველა ქართულად ლაპარაკობსო, ხოლო პარხალში ყველამ არ იცის ქართული (იხ. მისი ზემოთ ნაჩვენები წერილი, გვ. 119).

ჩვენი 1917 წლის ექსპედიციის მიერ შეკრებილის ცნობებით და ნამეტნავად იმ ცნობებით, რომელნიც გადმოგვცა ალ. სტ.-მე მატეასევიჩმა, სოფლები, რომლებშიაც ყველა ქართულად ლაპარაკობს, არიან შემდეგნი: კობაკი, არმენხევი, ხევეკი, გუდახევი, ხუმხალი, ბალხი, ხოდ-სუფლია, უტავი, ვანისხევი, კირვანსი, ოთხთა ეკლესია (დორთ-კილისა) და ბინათი. ამ მხარეში არის კიდევ ერთი დიდი სოფელი მაღალ ზეკარზე (უღელტეხილზე), იშხანის მახლობლად (სოფელი იშხანის სამუხტაროში შემოდის). სოფელში 208 სული მცხოვრებია და ყველა ქართულად ლაპარაკობს. ამ სოფლის სახელი რუკაზე არის ჩილჩიმი, მაგრამ ნამდვილად მისი სახელია ჭიმჭიმი და მცხოვრებნიც ასე გამოსთქვამენ მის სახელს. ამ სოფლის სახელი გვამცნევს, თუ საითგან წარმოსდგა სახელწოდება ცნობილის ქართველი მეცნიერის და ფილოსოფოსის იოანე ჭიმჭიმელისა, რომელიც ამდენ დავას და უჯერო განმარტებას იწვევდა მკვლევართა შორის. ეხლა ცხადია, იოანე ყოფილა სოფელ

---

ეკლესიის ბაზილიკა მას უნახავი დარჩა. თვითონ შემთხვევით ვერ წააწყდა (ეკლესია ხუთი კილომეტრით მოშორებულია სოფელს) და მცხოვრებლებმა არაფერი უთხრეს მის შესახებ.

<sup>84</sup> ეს დამოწმებული აქვს დ. ბაქრაძესაც, რომელმაც იმოგზაურა ამ მხარეში 1881 წელს. იხილეთ ვახუშტის ისტორია, გვ. 131, შენიშვნა.

ჭიმჭიმოდან და აქედან წარმოსდგა ჭიმჭიმელი, როგორც რუსთავიდან რუსთაველი, ხონიდან ხონელი და სხვა<sup>85</sup>.

მუსულმანი ქართველები ყოველგან თვალსაჩინოდ განირჩევიან სხვა სამუსულმანო საქართველოს მცხოვრებთაგან: თურქებისაგან, ქურთებისაგან, თარაქამებისაგან და სხვებისაგან; განირჩევიან სახით, ჩაცმა-დახურვით, ზნე-ჩვეულებით, დარბაისლობით (პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისა), სიდინჯით და პატიოსნებით. ტანისამოსი მამაკაცისა ისეთია როგორც გურულებისა, აჭარლებისა და ლაზებისა, ეს იგი ჩაქურა; ხოლო აჭარლები ქობულეთელებისაგან განირჩევიან ხასიათით. მათ შორის სისხლის აღება არ არსებობს, მრავალცოლიანობა იშვიათია, ხალხი მშვიდია, პატიოსანი, ქურდობა მათ შორის შეუძლებელია. ხახულის მუხთარს ვკითხე, ქურდობა თუ არსებობს თქვენს შორის-მეთქი? დიდად გაიკვირა: ქურდობა ჩვენში არავის გაუგონიაო. ქურდი ქურთია, ჩვენში შეუძლებელიაო. რუსის მოხელენიც, რომლებმაც ისტორია ამ მხარისა არ იცოდნენ, ანუ ნაკლებად იცოდნენ, ისინიც ამჩნევდნენ ამ ტიპიურ განსხვავებას და გამოსთქვამდნენ აზრს, რომ ისინი გამაჰმადიანებული ქართველებიაო. მაგალითად, ია. პროსკურიაკოვი, ვ. ლისოვსკი, პ. ხელმნიცკი და პორუჩიკი ნ. შუგუროვი, რომელთა წიგნები ზემოთ ვუჩვენეთ. სხვათა შორის, ნ. შუგუროვი წერს თავის წიგნაკში:

„სამი წლის განმავლობაში ჩემი ფრონტზე ყოფნისა მე კარგად დავუკვირდი ნამდვილ თურქებს. მაგრამ ხახულის თურქების სახეებში, ნამეტნავად ახალგაზრდებისა, აშკარად შევნიშნე ნამდვილი ქართული სახეები. მეტად თავისებურია დიდრონი შავი თვალები და ანაგება ტუჩისა... განსაკუთრებით

---

<sup>85</sup> ეს აღარ იწვევდა ეჭვს მას შემდეგ, რაც ჩვენ «მცირე უწყებად ქართველთა მწერალთათვის» გამოვქვეყნეთ (იხ. «ძველი საქართველო», ტ. I, განყ. 3, გვ. 1–60). მაგრამ იქ აღნიშნული იყო მისი წარმომოხა სამცხის სოფლიდან და მდებარეობა ამ სოფლისა არ ვიცოდით. ამ სოფლის მცხოვრებთა გუნდის ფოტოგრაფიაც გვაქვს.

ჭიმჭიმში ძველად ერისთავიც მჯდარა. ჩემს საბუთებში ინახება სამი წარწერა, რომელნიც მე გარჩეული მაქვს, მაგრამ მათი ფაქსიმილე ეხლა ხელთ არ მაქვს და არ მახსოვს, ვინ გადმომცა, ან რომელ ძეგლს ეკუთვნიან. ერთი მათგანი, რომელშიაც ჭიმჭიმის ერისთავია მოხსენებული, იკითხება ასე:

ქე შე სლი ფ

რ ნ: ეესდ მვს

ძსდ ჭმჭმსა

ქრისტე. შეიწყალე სული ფირან (თუ ფრიდონ ან ფარსადან) ერისთავთ ერისთავისა, იოვანეს ძისა, ჭიმჭიმელისა.

მეორე წარწერა:

ქე ე სო... დდე ბგრტ და

მმ დდფ

ქრისტე იესო... [ა]დიდე ბაგრატ და მარიამ დედოფალი

აქ მოხსენებული ბაგრატ უნდა იყოს ბაგრატ მეოთხე (1027–1072), ხოლო მარიამ დედოფალი არის დედა ბაგრატისი. ესენი ერთად ხშირად იხსენიებიან ქართულს წარწერებში.

მესამე წარწერა:

ქე შე სლი ნშსდ ესე კ თხე მ სია

ქრისტე შეიწყალე სული ნუშირვანისა (თუ ნუგეშისა?). ესე კუთხე მისია.

ამგვარი წარწერები პარხალის მონასტრის ზემო, მეორე სართულის კამარებზეა და შეიძლება მას ეკუთვნოდეს. იგულისხმება, ვის მიერ არის კამარა შეკაზმული.

ხახულის „თურქთა“ (ესე იგი გამაჰმადიანებული ქართველების) შესახებ უნდა ვთქვა: ეს ხალხი რაინდულად პატიოსანია, სიმართლით გამსჭვალულია და ფრიად სტუმართმოყვარე. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ომით გაუბედურებული იყვნენ, მრავალჯერ შეურაცხყოფილი სალდათთა მიერ, მათ მაინც კეთილი განწყობილება დაიცვეს ჩვენდა მომართ, ნამეტნავად ოფიცერთა მომართ. მე არ ვიცი შემთხვევა, რომ მათ ბოროტისათვის ბოროტით მოეზღოთ. პირიქით, სულ მცირე კეთილისათვის გვიზღვნიდნენ ნათელი გულის მადლობით. ერთხელ პროტოერეი C-სთან საუბრის დროს მე მას გავუზიარე ჩემი დაკვირვება ხახულის მცხოვრებთა შესახებ და ვთქვი: „აი ხალხი, რომელთაც განახორციელეს თავიანთ შორის ქრისტიანული იდეალები! პროტოერეი დამეთანხმა“ (გვ. 15–16).

სამუსულმანო საქართველოს დაბრუნება ყოველთვის შეადგენდა ქართველი მეფეების მისწრაფებას და ზრუნვას, მაგრამ პირობები ამას ხელს არ უწყობდა. რუსთათართა ომის დროს 1768–1774 წლებში თითქო ამის განხორციელება შესაძლებლად ჩნდა და ამიტომ მიიღეს ასეთი გულწრფელი და ენერგიული მონაწილეობა ომში ირაკლი მეორემ და სოლომონ პირველმა რუსეთის მხრით. მაგრამ ცნობილის კრიმინალის გრაფ ტოტლებენის მოლაღატეობამ სულ აწეწა საქმე და ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოები უფრო დიდ განსაცდელში ჩააგდო, ვიდრე წინათ იყო. თუ მაშინ ეს ორი სახელმწიფო სულ არ დაიღუპა, ამის მიზეზი ამ ორი მეფის საარაკო გამირობა და ომის წარმოების იდეალური უნარი და ხერხები იყო. ზრუნვა სამუსულმანო საქართველოს დაბრუნების შესახებ შემდეგაც არ შეწყვეტილა.

1783 წლის ტრაქტატში, რომელიც დადებული იყო მეფე ერეკლე მეორესა და ეკატერინე მეორეს შორის, ნათქვამი იყო სეპარატიული კონვენციის სახით, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში რუსეთი დაეხმარებოდა საქართველოს დაკარგული ტერიტორიის აღდგენისათვის. რა თქმა უნდა, აქ სახეში იყო მიღებული სამცხე-საათაბაგოს დაბრუნება. შემდეგ, როცა რუსეთმა შეშალა პირობა და საქართველოს ანექსია მოახდინა, შეუდგა იგი თავისი იმპერიალისტური მიზნებით, რასაკვირველია, ამ საქმის განხორციელებას. 1828–1829 წლების ომის შემდეგ ოსმალებთან რუსეთმა მიიღო (ადრიანოპოლის ზავის დადგენილებით, 2 სექტემბერს 1829 წელს) ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, ხოლო 1877–1878 წლების ომის შემდეგ (ბერლინის ტრაქტატის ძალით) რუსეთს დარჩა ყარსის და ბათუმის ოლქები. ამით სამი მეოთხედი სამცხე-საათაბაგოსი კვლავ მოედვა საქართველოს ტერიტორიას.

როდესაც საქართველო განთავისუფლდა რუსეთიდან და შექმნა დემოკრატიული რესპუბლიკა, ის ადგილები, რომელნიც შეადგენდნენ სამცხე-საათაბაგოს ნაწილებს, ითვლებოდა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში. ეს საზღვრები დაადასტურა თვით ბოლშევიკურმა რუსეთმა, როდესაც საგანგებო ხელშეკრულებით 7 მაისს 1920 წელს აღიარა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენობა მის საზღვრებში. ხოლო მეორე წელს ბოლშევიკური რუსეთი მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს რესპუბლიკას, და როდესაც საქართველო ამ უთანასწორო ომში სისხლში იწურებოდა, ოსმალებმა განაახლა აგრესიული მოძრაობა საქართველოს მიმართ, დაწყებული ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ და შეჩერებული ანტანტის სახელმწიფოების გამარჯვების გამო. მან ულტიმატუმით მომართა საქართველოს მთავრობას, დაიჭირა არტან-ოლთისის მხარე, ბათუმის ოლქი და უპირებდა ანექსიას ბათუმსაც, მაგრამ 17 მარტს 1921 წელს

ქართველ ჯართა უკანასკნელის გმირული მოქმედებით გაძევებულ იქნა ბათუმიდან. შემდეგ, 13 ოქტომბერს 1921 წელს ყარსში დადებული ხელშეკრულებით ოსმალეთმა მიიღო ბოლშევიკებისაგან, რაც დაკარგა ბერლინის ტრაქტატის ძალით, ესე იგი ყარსის და ბათუმის ოლქები და მათ შორის სამცხე-საათაბაგოს ტერიტორია, სახელდობრ, არდაგანის ოკრუგი, მისი „უჩასტკებით“, ფოცხოვისა, ჩილდირისა, არტანისა და გელისა, და ოლთისის „ოკრუგი“, რომელიც შეიცავდა „უჩასტკებს“: ოლთისისა და ტაოსკარისა; ხოლო ბათუმის ოლქიდან მიიღო „უჩასტკები“: ართვინისა, არტანუჯისა, შავშეთ-იმერხევისა და გონიისა. საქართველოს საზღვრებში დარჩა ბათუმის ოლქიდან მხოლოდ კინტრიშის, ზემო და ქვემო აჭარის „უჩასტკები“ ბათუმიტურთ. ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ ეხლა ეს გაყოფილია: ხულოს, ქედის, ჭოროხის და ქობულეთის მაზრებად.

სივრცით არდაგანის „ოკრუგი“ უდრის 5.644,74 კვადრატულ კილომეტრს; ოლთისისა – 2.958,38 კვ. კილომეტრს და ის, რაც ბათუმის ოლქიდან დარჩა ოსმალებს, შეადგენს 4.442,61 კვ. კილომეტრს, ხოლო რაც საქართველოს საზღვრებში ითვლება – 2.500 კვ. კილომეტრს. საერთოდ, ოსმალეთს დაეთმო 13.046 კვადრატული კილომეტრი საქართველოს ტერიტორიისა<sup>86</sup>. მცხოვრებთა რიცხვი დანამდვილებით არ ვიცით, მაგრამ 1917 წლისათვის აღემატებოდა 250.000 სულს.

აი, სულ მოკლედ, კონსპექტის სახით, ისტორია სამუსულმანო საქართველოსი და კერძოდ, ჭოროხის ბასეინისა.

რაც შეეხება ასე თუ ისე გადარჩენილს შესანიშნავ სახუროთმოძღვრო ძეგლებს სამუსულმანო საქართველოსა, ეს საჭიროებს ცალკე მიმოხილვას და აქ ვეღარ ვეხებით.

---

<sup>86</sup> სტატისტიკური ცნობები ამოღებულია 1900 წლის კავკასიის კალენდრისაგან, სადაც სივრცე ოლქებისა ნაჩვენებია კვადრატული კილომეტრითაც და კვადრატული ვერსითაც, ხოლო 1917 წლის კალენდარში (ეს უკანასკნელი გამოცემა) სივრცე ნაჩვენებია მარტო კვადრატული ვერსით და ეს ცნობები ცოტა განსხვავდება 1900 წლის კალენდრის ცნობებისაგან. თუ 1917 წლის ცნობების კვადრატულ ვერსებს გადავიტანთ კვადრატულ კილომეტრებზე, მაშინ არდაგანის ოკრუგში იქნება 5.604,50 კვ. კილომეტრი; ოლთისისაში – 2.985,61 კვ. კ., ხოლო ის, რაც ოსმალებს დარჩათ ბათუმის ოლქიდან, იქნება 4.481,35 კვადრატული კილომეტრი. საერთოდ, ოსმალეთის მფლობელობაში გადასული ტერიტორია იქნება 13.071 კვადრატული კილომეტრი. ცნობა, რომ ბათუმის ოლქიდან საქართველოს საზღვრებში დარჩა 2.500 კვ. კილომეტრი, ამოღებულია ი. რუხადის „საქართველოს გეოგრაფიიდან“, გვ. 63, თბილისი, 1927.

## გიორგი მეფის ერთი ფულის შესახებ

მიუხედავად ბროსეს, ბარათაშვილის (ბარათაევის), ბართოლომეის, ლანგლუას და პახომოვის ფრიად თვალსაჩინო და დაუღალავი შრომისა, ქართულ ნუმისმატიკაში ბევრი რამ გვაკლია. ზოგიერთ მეფეთა ფულები ჯერ არ არის აღმოჩენილი; აღმოჩენილთა შორის ზოგი ცუდად არის შენახული და მათი ლეგენდების (წარწერების) და სურათების აღდგენა საძნელოა. ამიტომ ყოველ ახალ წვრილმანს ამ დარგში თავისი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ არის ერთი პატარა ვერცხლის ფული, რომლის სურათები აქ მოგვყავს და რომელიც ჩვენ ვიპოვეთ კაცხის მონასტერში, იმერეთში. ეს ფული გახვრეტილია, მაგრამ საბედნიეროდ ნახვრეტი არც წარწერას აზიანებს და არც თვით მეფის სახეს.

ამ ფულის პირველ პირზე (avers) წარმოდგენილია თავი მეფისა en face გვირგვინით და წვერ-ულვაშით. ეს მხარე ამას გარდა შემკობილია ზემოთ წერტილების წრეებით და ქვემოთ, გვერდებზე ყვავილოვანი წრეებით. მეორე პირზე (revers) ასომთავრულით აწერია გარკვეულად: **მეფე გი**, ესე იგი: მეფე გიორგი (იხ. სურათები ნამდვილი სიდიდით და გადიდებული).

დღემდე ცნობილია სხვადასხვა სახის სამი ვერცხლის ფული, რომელნიც რამდენიმედ წააგავან ჩვენს ფულს და რომელთაც ჩვენი ნუმისმატიკები – ბროსე, ბარათაშვილი და ლანგლუა მიაწერენ გიორგი მეცხრეს (ვახუშტისა და მათი სათვალავით, მერვეს). ეს გიორგი მეფობდა 1446–1476 წლებში. სამივე ფული ცუდად არის მოღწეული ჩვენამდე. მათი სურათები მოთავსებულია ლანგლუას შრომაში. პირველი მათგანის პირველ პირზე №3 მეფის თავია წარმოდგენილი, მარცხნივ მიმართული პროფილით და წვერ-ულვაშით; მეორე პირზე მარცხნივ მიმავალი ლომია. წარწერიდან მეფის თავის მარცხნივ მოსჩანს მხოლოდ ასოები: «ფე» და «ი», რასაც ლანგლუა კითხულობს: «მეფე გიორგი». მეორე ფულზე №4 იგივე სურათებია, მაგრამ წარწერა სრულიად არ მოიპოვება. მესამე, №5 პირველ პირზე, თავი არის მეფისა en face წვერ-ულვაშით და გვირგვინით, ხოლო მეორე პირზე ჩიტის თავის მსგავსი ფიგურაა და მარტო ასო «ე» მოსჩანს. აქაც ლანგლუა კითხულობს: «მეფე გიორგი». ეს ფული, შედარებით ჩვენს ფულთან, თითქმის ნახევარს უდრის, ხოლო პირველი ფული №3 სიდიდით ჩვენსას უდგება.

ჩვენი ცალი ამ ფულისა, თავისი სრულად დაცული წარწერით და კარგად შენახული მეფის თავის სურათით, უნიკუმად უნდა ჩაითვალოს.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ არა გვაქვს ცნობა, გამოვიდა თუ არა მეორე ნაწილი ე. პახომოვის წიგნისა „მონეტა გრუზი“, და თუ გამოვიდა, მოთავსებულია თუ არა შიგ ალწერილობა უკეთესად შენახული გიორგი მეცხრის ფულისა, შედარებით იმ ფულებთან, რომელნიც ლანგლუას დროს იყო ცნობილი. პირველი ნაწილი პახომოვის წიგნისა, რომელიც შეიცავს ქართული ფულების ალწერილობას მონღოლთა დრომდის, დაბეჭდილია პეტერბურგში 1910 წელს. მეორე ნაწილში მოთავსებული უნდა ყოფილიყო ქართული ფულების განხილვა მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე.

## ოსებისადმი ბოძებული ექვსი სიგელი

საქართველოს მეფენი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ დარიალის ხეობის და საზოგადოდ, ეგრეთწოდებული საქართველოს სამხედრო გზის დაცვას. ამ მიზნით ისინი ცდილობდნენ კეთილგანწყობილება ჰქონოდათ ოსებთან, ქისტებთან და ყველა მთიელ ტომთან. ზოგი მათგანი, უფრო წარჩინებული და გავლენიანი პირი, მეფის სამსახურში ირიცხებოდა და სიგელით განსაზღვრულ ჯამაგირს იღებდა მეფის ხაზინიდან. დიდ დახმარებას უწევდნენ კავკასიის მთიელნი ალექსანდრე ბატონიშვილს და მის ძმებს რუსებთან ხანგრძლივ თავგანწირულ ბრძოლაში. ბატონიშვილებს, რასაკვირველია, ჯამაგირის გაღება არ შეეძლოთ: სამაგიეროდ, სიგელებს აძლევდნენ და ჰპირდებოდნენ სამსახურის ანაზღაურებას, ძმობას და მეგობრობას, როდესაც რუსებს გარეკავდნენ კავკასიიდან და ბაგრატიონთა ტახტს აღადგენდნენ. პატრონები დღემდისაც კრძალვით ინახავენ სიგელებს, დედნებს არ ელევან. მათ სწამთ – ბაგრატიონები კვლავ აღადგენენ საქართველოს და მათი სიგელებიც განაღდდება. ზოგი ამგვარი სიგელი ჩვენ გამოვეცით კრებულში – «საქართველოს სიძველენი», ზოგი გამოუცემელი დაგვრჩა თბილისში. ქვემოთ მოყვანილი ექვსი სიგელი შემთხვევით აღმოჩნდა ჩემს ქალაქებში. ესენი გადმოსწერა და მომაწოდა ბ-მა **ტიტე კახიძემ**, რომელიც ჩვენს დროს მასწავლებლად იყო ვლადიკავკავის გიმნაზიაში. ამათში სამი წარმოადგენს ჯამაგირის წიგნს. პირველი მიცემულია მეფე ერეკლე მეორის, მეორე და მესამე – მისი შვილის, მეფე გიორგი მეცამეტის, ხოლო მეოთხე სიგელი – ბატონიშვილ ფარნავაზის მიერ, რომელიც პირველად თავის ძმას ალექსანდრეს უდგა მხარში რუსებთან ბრძოლის დროს; მეხუთე და მეექვსე ეკუთვნის ალექსანდრე ბატონიშვილს. სამი უკანასკნელი წერილი მეტად საინტერესოა. მათში აშკარად გამოსჭვივის ბატონიშვილთა სრული რწმენა რუსებზე გამარჯვებისა. ამისთვის საჭირო იყო, პირველ ყოვლისა, მთიელთა ძალების გაერთიანება და საერთო ბრძოლა; მაგრამ მთიელებს მტრული განწყობილება ჰქონდათ ურთიერთმორის, ერთმანეთს ვერ ენდობოდნენ უმძევლოდ და ამიტომ ალექსანდრე ბატონიშვილი დაბეჯითებით მოითხოვს ოსებისაგან მძევლების მიცემას ქისტებისა და სხვებისათვისაც; მას მის მიერ აყვანილი მძევლები კიდევაც გადაუცია.

### I

#### დანაშაულის<sup>87</sup> კორნაკისადმი 1766 წელს, სექტემბრის 19.

ქ. ესე ჯამაგირის წიგნი გიბოძეთ შენ ჩვენსა ერთგულსა და ნამსახურს შანაშვილს კორნაკს ასე რომ ნიადაგ წელიწადს ჩვენის სალაროდამ ათის მარჩილის<sup>88</sup> ფარჩა მოგეცემოდეს. (გ)ქონდეს და გიბედნიეროს (ღმერთმა) ჩვენს ერთგულობასა და სამსახურსა შინა. აღიწერა სექტემბრის ით, ქორონიკონს უნდ.

<sup>87</sup> აზნაური შანაშვილები – ოსურად შანატე, ცხოვრობდნენ ლარსის მახლობლად სოფელ ჩმისში (ოსურად ცმი).

<sup>88</sup> მარჩილი ირაკლის დროს სამ აბაზს ანუ თორმეტ შაურს უდრიდა.



ბეჭედი  
მეფე ირაკლისა

ამ წიგნს უმტკიცებს პატრონს მეფე გიორგი მეცამეტეც მკათათვის 2, 1800 წელს  
შემდეგი მინაწერით იმავე გვერდზე:

ქ. ჩვენ მეფე ყოვლისა საქართველოსა მეათსამეტე გიორგი ვამტკიცებ ამ  
კურთხეულის ბატონის მამის ჩვენისაგან განწესებულს ჯამაგირს და არც ჩვენგანით  
მოგეშლება. კათათვის ბ, ქორონიკონს უპყ.

ბეჭედი  
მეფე გიორგისა

## II

ჯამაგირის წიგნი, მიცემული მეფე გიორგი მეცამეტის  
მიერ შანაშვილის ბეასლანისადმი 1800 წელს, თიბათვის 26.

ქ. ჩვენ მეფე ყოვლისა საქართველოსა, ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეორე  
ირაკლის ძემან მეათსამეტემან გიორგიმ [ეს ჯამაგირის წიგნი გიბომეტ<sup>89</sup>] შენ  
შანაშვილს ბეასლანს. კურთხეულის ბატონის მამის ჩვენისაგან ჯამაგირი გქონდა  
გაჩენილი და ეს ჯამაგირის წიგნი ერევნის ომში დაქკარგოდა (sic) და ახლა ჩვენ  
გაგიჩინეთ წელიწადში ორმოცი მარჩილის ფარჩა. როცა შენ ჩვენთან ჩამოხვალ ეს  
ჩვენგანით განწესებული ჯამაგირი ჩვენის კარის მოხელენი ჩვენის სალაროდამ  
უკლებლივ მოგცემდნენ და შენც უნდა ჩვენის სამსახურის მცდელი და ერთგული  
იქნებოდე და არც შენ დაგაკლდედა ყოველს წელიწადს ეს ჩვენი მოცემული ჯამაგირი.  
თიბათვის კვ, ქორონიკონს უპყ.

მეფე სრულიად ქართლისა და  
კახეთისა და სხვათა გიორგი

**მეორე გვერდზე აწერია:**

ქორონიკონის უპყ. ამ წლის ჯამაგირი მიეცა უკლებლივ შაქარაშვილი გასპარას  
ოთახში კვეზერელ დავითას ხელით.

<sup>89</sup> ეს ფრაზა გამოშვებულია ჩვენს პირში, შეიძლება შეცდომით გადმომწერის მიერ.

### III

**ჯამაგირის წიგნი, მიცემული მეფე გიორგი მეცამეტის მიერ ქურთული<sup>90</sup> ბიქოასშვილის გააცასადში თიბათვის 28, 1800 წელს.**

ქ. ჩვენ მეფე ყოვლისა ქართლოსა, ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეორე ირაკლისა ძემან მეთასამეტემან გიორგიმ შენ ქურთული ბიქოასშვილის გააცას გაგიჩინეთ ჯამაგირად წელიწადში ათის მარჩილის ფარჩა. როცა შენ ჩვენთან ჩამოხვალ, ეს ჩვენგნით განწესებული ჯამაგირი ჩვენის კარის მოხელენნი ჩვენის სალაროდამ უკლებლივ მოგცემენ და შენც უნდა ჩვენს სამსახურზედ ბეჯითად და ერთგულობით მოიქცეოდე და არც შენ დაგაკლდება ჩვენგნით განწესებული ჯამაგირი. თიბათვის (sic) კჳ, ქორონიკონს უპჳ.

ბეჭედი მეფე გიორგის
------------------------

**მეორე გვერდზე მინაწერი:**

ქორონიკონს უპჳ ამ წლის ჯამაგირი მიეცა მელიქიშვილი გასპარას ოთახში კვეზერელ დავითადამ.

### IV

**გიორგი მეფის ძის ფარნავაზის წერილი ქურთაულებისადმი, მიწერილი 1800 წელს, სექტემბერის 18.**

ქ. საქართველოს მეფის ძის ფარნავაზის მიერ ძმური სიყვარულით სახსოვარნო ერთობით ქურთაულელნო. მერმეთ თქვენც კარგად იცით, რომ ძველთაგან ჩვენი მამაპაპანი და თქვენი ერთმანეთისანი ყოფილან და ძმურის სიყვარულით და მამაშვილების სახით ჰყვარებიათ. ახლა კიდევ ისე ჩვენ ერთმანეთისანი ვართ და ჩვენი ოჯახი თქვენი იქნება და რომელსაც ჯამაგირის წიგნი გაქვსთ ჩვენი მამაპაპისა იმასაც ერთი ორათ დაგიმტკიცებთ და ვისაც არა გაქვსთ, წყალობა ყეენისა მეტი იქნება და ჩვენ საუკუნოდ საკუთარნი ვიქნებით. ახლა თქვენ იცით, როგორც ჯარად გამოხვალთ და თაგაურთ<sup>91</sup> შემწენი იქნებით და მაგ გზებს შეჰკრავთ, რომ რუსთ ველარ გაიარონ და ვერც შემოვიდნენ და ჩვენგან როგორც გინდოდეთ იმ წყალობით გული შეისრულებთ. ღვთის წყალობით ჩვენ აქ სტეფანწმინდას მოვედით და ქალაქს ვაპირებთ წასვლას, რომ იქიდან ჩვენი ძმა ალექსანდრე მოვა ყიზილბაშის ჯარით და ახლა თქვენ იცით, როგორც ამ საქმეს არ უსუსტებთ და მხნედ მოიქცევით და თქვენ

<sup>90</sup> ქურთა – ხევის სახელია საქართველოს სამხედრო გზის დასავლეთით.  
<sup>91</sup> თაგაურები იყვნენ დარღვსის ხევის მცხოვრებნი, განთქმული მეომარნი.

ამბავსაც ჩვენ გვაცოდინებთ. სექტემბერს იწ, ქორონიკონს უქბ. საფარი ქალაქსა გვაქვს და ღვთის მოწყალებით იქაურს საქმეს რომ მოვრჩებით აქავ მოვალთ. კახეთის თავადებიც ჩვენთან მოვიდნენ, საქართველოს ხალხი ყველა უკუდგა, ღვთით საქმე კარგად არის და ახლა თქვენ იცით.

ფარნაოზის  
ბეჭედი

**წერილი მეფის ძის ალექსანდრესი მირზაბეგ თულათისშვილთან<sup>92</sup>  
და დუდავ მასურისშვილთან, მიწერილი 30 მარტს, 1813 წელს.**

ქ. მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავთ თულათისშვილო მირზაბეგ და მასურისშვილო დუდავ. მერმეთ ვიცით ჩვენს ვითარებას იკითხავთ. ღვთის მოწყალებით მშვიდობით ვიმყოფებით. ახლა თქვენც კარგად იცით, რომ რუსთ ჩვენი ოჯახი როგორ დაამხეს, და თუ ჩვენ ასე გვიყვეს ჩვენზედ დაბალს ოჯახს რას უზმენ? თქვენ ჭკვიანი კაცნი ბრძანდებით, კარგად უნდა იფიქროთ მაგათის ამ ქვეყანაში დათესლებას ბოლო რა მოსდევს ან თქვენთვის და ან ჩვენთვის. ხოლო ახლა ჩვენც ღვთის მოწყალებით საქმესა და თადარიგებაში ვართ და თქვენც ჩვენი ოჯახისათვის და ჩვენის გულისათვის თავი უნდა დასდვა(თ) და ოჯახიცა. თქვენ ჩიმითელთა ქურთაულელთ მზევალი უნდა მისცეთ და ერთმანეთში დაზავდეთ. ჩვენ ვაძლევთ თქვენს მზევალს იმათ და თქვენცა ჩვენის ოჯახისა და ჩვენის გულისათვის უნდა გამოიმეტოთ. არც უარის თქმა იქნება და მერმე როგორც გინდოდესთ ისე მიძმევით და ჩვენი ოჯახიც გაისაკუთრეთ საუკუნოდ. თქვენ და ეგენი ერთი უნდა შეიქმნათ და სადაც ან ჩვენი ოჯახის მტერი არის და ან თქვენი იმაზედ მიხვიდეთ ღვთით და ღვთით ამ ჩვენს მტერს რომ მოვრჩებით მერე მშვიდობასა და განსვენებაში ვიქნებით თქვენცა და ჩვენცა და ჩვენი ოჯახი თქვენი საკუთარი სახლი იქნება და ჩვენი კარი ყოველთვის თქვენთვის ღია იქნება ახლა თქვენ იცით, როგორც ამ საქმეს შეჰფერობოდეს ისე მოიქცევი(თ). მარტს ლ, ქორონიკონს ფა.

ბეჭედი  
ალექსანდრესი

ქ. სხვას ჩვენს სიტყვას ყაზიბეგისშვილი ჩალი და იპოლიტე გიამბობ(თ).

ბეჭედი  
ალექსანდრესი

<sup>92</sup> თულათისშვილები აზნაურები იყვნენ დაარღვევის ხევში, სოფ. ყობანში. ამათ მტრობა ჰქონიათ ჩიმითისა და ქურთათის ხევის მცხოვრებთან, და ალექსანდრე ბატონიშვილის რჩევით, მათ უნდა მიეცათ მძევლები. უამისოდ მათი გაერთიანება არ შეიძლებოდა.

წერილი მეფის ძის ალექსანდრესი, მიწერილი მასურისშვილის<sup>93</sup>  
ქელესხანისა და დუდარისადმი 1813 წელს, აპრილის 1.

ქ. მეფის ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავ მასურისშვილო ქელესხან და დუდარ. მერმეთ ამას წინათაც მოგწერეთ მზევლების საქმეზე წიგნი და ახლაც ეს არის რომ ჩვენის გულისათვის თქვენ ქურთაულებსაც და ქისტებსაც მზევლები უნდა მისცეთ. თქვენ ამ საქმეზე ბეჯით იყავით ღვთის მოწყალებით. მერმე ჩვენი ოჯახი თქვენი იქნება. რასაც ამ ჟამად თქვენ ჩვენთვის გაირჯებით, ის საქმე თქვენთვის საშვილიშვილო პური იქნება. ახლა როგორც თქვენი იმედი გვაქვს, ისე ერთგულად და ბეჯითად მოიქეცით, რომ ერთმანეთს ზავი გქონდესთ და მისვლა-მოსვლა და ღვთით ჩვენი საქმეცა და თქვენიც კარგად მოვა. სხვას ჩვენს სიტყვას თქვენი ძმა და ბიძაშვილი უცი გაიმბობსთ. აპრილის ა. ქორონიკონს ფა.

ბეჭედი  
ალექსანდრესი

---

<sup>93</sup> მასურისშვილები ბალტის ხევის მცხოვრებნი უნდა იყვნენ და ბატონიშვილი თხოულობს მათს გაერთიანებას ქისტებთან და ქურთაულებთან.

# პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი

## წინასიტყვაობის მაგიერ

წინამდებარი წიგნაკი შედგენილი იყო 1922 წელს. პირველი 16 გვერდი დაიბეჭდა 1929 წელს, მაგრამ შემდეგ იძულებული ვიყავით შეგვეჩერებინა გამოცემა. ეხლა იბეჭდება უფრო შემოკლებულად, ვიდრე განზრახული იყო. ყველა ის მინაწერი მსგავსი ხელნაწერებისა, რომელნიც მოიპოვებიან ჩემს მიერ შედგენილს «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის ხელნაწერთა აღწერაში», გამოვუშვით. გამოვუშვით აგრეთვე ალაპები და მრავალი მინაწერი თისელის მონასტრის სვინაქსარისა (№ 4) და ცალკე სტატიები სამდივნო წიგნისა (№ 26).

გარდა ამისა, ჩემს მოვალეობად ვხადი უდრმესი მადლობა გამოვუცხადო ჩემს ყოფილ მოწაფეს, ბ-ნ არჩილ მეტრეველს, რომელმაც ამ გამოცემის ხარჯი იკისრა და რომელსაც სავსებით შეგნებული აქვს აუცილებელი საჭიროება ამგვარი ძეგლების გამოცემისა და მზად არის განახორციელოს კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი გამოცემანი.

ექ. თაყაიშვილი  
10 თებერვალი, 1933 წ.

\* \* \*

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მოიპოვება სულ 26 ქართული ხელნაწერი. ეს რიცხვი იყო ასი წლის წინათ, ბროსეს დროსაც. შემდეგ ამ დარგში ბიბლიოთეკას არაფერი შეუძენია. პარიზის ქართულ ხელნაწერებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს დღესაც ჩვენთვის. აქ დაცულია რამოდენიმე იშვიათი ხელნაწერი, რომელთა ცალი ან სულ არ არის ან ცოტა მოგვეპოვება ცნობილ წიგნთსაცავებში. პარიზის ხელნაწერებმა დიდი სამსახური გაუწიეს მ. ბროსეს. მათი საშუალებით მ. ბროსემ მიჰყო ხელი ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის შესწავლას. თითქმის თითოეული ხელნაწერი გახდა საგნად ბროსეს შესწავლისა. ცნობები მათ შესახებ გაბნეულია ბროსეს შრომებში, განსაკუთრებით იმ სტატიებში, რომელნიც «სააზიო ჟურნალის» წიგნებში იბეჭდებოდა 1927–1937 წლებში. შემდეგ ეს ხელნაწერები აღწერა ალ. ხახანაშვილმა ორჯერ – ერთხელ «ივერიაში» მოკლედ და შემდეგ უფრო ვრცლად ჟურნალ «მოამბეში» (1898 წ., XXIV)<sup>1</sup>.

უკანასკნელ შრომაში ალ. ხახანაშვილი იხსენებს რა, რომ ბროსეს პატარ-პატარა სტატიებში განურჩევია პარიზში ჩვენი სიტყვიერების ნაშთნი, განაგრძობს: «თვით პარიზის ხელნაწერები კი დაახლოებით არავის შეუსწავლია. ამ რამდენიმე წლის

---

<sup>1</sup> ამ «მოამბის» ნომერი აქ პარიზში ვერ ვიპოვე და ბატონმა რობერტ ბლეიკმა მომაწოდა ალ. ხახანაშვილის სტატია ფოტოგრაფიულად გადაღებული, რისთვისაც დიდ მადლობას ვსწირავ.

წინათ მე დავბეჭდე «ივერია»-ში მოკლე განხილვა პარიზის ხელნაწერებისა. ახლა, რადგანაც უფრო დაბეჯითებით გადავათვალიერე ისინი, შემიძლია მკითხველს ვრცელი ცნობა მივაწოდო. (გვ. 3).

1908 წ. პარიზში დაიბეჭდა ფრანგულად «აღწერა ნაციონალური ბიბლიოთეკის სომხური და ქართული ხელნაწერებისა», შედგენილი ფ რ ე დ ე რ ი კ მ ა კ ლ ე რ ი ს ა და გამოცემული ერნესტ ლერუს მიერ. მაკლერი ცნობილი არმენისტია. ქართული ხელნაწერების აღწერის დროს ის უჩვენებს ბროსეს შრომებს და აგრეთვე ემყარება ალ. ხახანაშვილის ცნობებს ჟურნალ «მოამბეში» დაბეჭდილს.

ყველა ზემოთქმულის შემდეგ მე აღარ მეგონა, თუ დამჭირდებოდა ამ ხელნაწერების ხელახლა განხილვა, მაგრამ როგორც ქვემოთ მკითხველი დაინახავს, ეს საჭირო აღმოჩნდა. გარეგანი აღწერა ხელნაწერებისა ფ. მაკლერის მიერ შედგენილ კატალოგში სრული და ჯეროვანია, ამიტომ მას არ შევეხებით. შინაარსის აღნუსხვა ძლიერ სუსტობს, ხოლო უთარილო ხელნაწერების დროს განმარტება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სულ შემცდარია, თარიღიანი ხელნაწერებიც ზოგჯერ შეცდომით არის აღნიშნული. ხშირად ალ. ხახანაშვილი ბროსეს მიერ სწორად წაკითხულს ამახინჯებს და მაკლერი მას იმეორებს. ამ შეცდომების შესწორება აქვს მიზნად ამ შრომას.

მაგრამ ერთი დიდი მნიშვნელობა პარიზის ხელნაწერებისა იმაშიც მდგომარეობს, რომ ესენი გვაძლევენ გასაღებს ოცი ქართული კრიპტოგრაფისა ანუ საიდუმლო დამწერლობისა, რომელსაც ბროსემაც მიაქცია დიდი ყურადღება, მაგრამ ჩვენი მეცნიერების მიერ შეუმჩნეველი დარჩა. ალ. ხახანაშვილი ამ ნიმუშებს სრულიად არ იხსენიებს.

პატივცემული პროფესორი ივ. ჯავახიშვილი თავის ახალ შრომაში «ქართულ დამწერლობათა მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია» (ტფილისი, 1926 წ.) აღნუსხავს, თუ რა არის გაკეთებული ქართულს საიდუმლო დამწერლობაში (გვ. 129–133) და აცხადებს, რომ აკად. მ. ბროსეს ნათქვამი აქვსო, რომ ბევრი სხვადასხვა საიდუმლო ანბანის ნიმუში ჰქონია ხელთაო, მაგრამ არც ერთს მაგალითს ბროსეს მიერ გამორკვეული კრიპტოგრაფისა არ უჩვენებს. აგრეთვე პროფ. აკაკი შანიძე უშუალოდ არკვევს ერთ კრიპტოგრაფს (იხ. ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები. საქართველოს მუზეუმის მოამბე, I, ტფილისი, 1922, გვ. 63–68), რომლის სახელწოდებას განმარტავს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ივ. ჯავახიშვილმა ფარსადან გორგიჯანიძის მიერ შემოღებული ანჯანური კრიპტოგრაფი დაბეჭდა თავის პალეოგრაფიაში. აკაკი ამბობს, ერთ-ერთ სისტემას, რომელიც ჩემს მიერაა ამოშიფრული (საქ. მუზ. მოამბეში) შეიძლება ანჩინურის სახელი დაერქვას ფარსადან გორგიჯანიძის ანჯანურის ანალოგიითო (აკაკი შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები. – მიმომხილველი. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო. I, ტფილისი, 1926, გვ. 237). აქვე აკაკი შანიძეს მოჰყავს ნიმუშები რამდენიმე სხვა მისგან გარჩეულის კრიპტოგრაფებისა (გვ. 238–243). ბროსეს შრომა ამ კრიპტოგრაფების შესახებ, რომელიც მოთავსებულია Journal Asiatique-ში (1834, Septembre, t. 14, p. 244–248), შეუმჩნეველი რჩება პატივცემულ მეცნიერთათვის (ეტყობა ეს წიგნი არ მოიპოვება ტფილისის წიგნთსაცავებში), შეუმჩნეველი რჩება, რომ ბროსეს დროთაგან ცნობილია არათუ ანჩინური და ანჯანური, არამედ ანჰოეური და ანრეურიც. თუ ეს ოთხი კრიპტოგრაფი გამორკვეული იყო ბროსეს მიერ და მათი გამოყენება შეეძლო მკვლევარს, სამაგიეროდ შეუძლებელი იყო გამოყენება დანარჩენი 16 კრიპტოგრაფისა, რომელნიც შეიცავენ ამდენივე განცალკევებულ ანბანს, ვინაიდან,

თუმცა მათ არსებობას ბროსე აღნიშნავს, მაგრამ პალეოგრაფიულად მოყვანილი არა აქვს და უამისოდ მათი გამოყენება შეუძლებელი რჩებოდა. ბროსე თვით ამბობს: «Tous ces alphabets, excepté les quatre derniers (ანჩინური, ანჯანური, ანჰოეური, ანრეული), me paraissent difficiles à tracer, et par là peu commodes pour le but que l'on se propose». (p. 248-249).

ჩვენი მიზანია ეს ნაკლი შევავსოთ და მკვლევართ მივცეთ საშუალება გამოიყენონ ისინი. ამიტომ ვათავსებთ ყველა კრიპტოგრაფს ხუთ ტაბულაზე იმ ზომით და სახით, როგორც დედანშია (იხ. ტაბ. I, II, III, IV და V).

გასაღები ანჩინურისა წარმოდგენილია №15 (ძველი ფონდი II) ხელნაწერში ნაციონალური ბიბლიოთეკისა, რომელიც შეიცავს შინაარსით გალექსილს ბარამიანს. აქ ბოლოს სხვადასხვა ლექსებს შორის ასეთი მინაწერია:

«ა მ ა ს ა ნ ჩ ი ნ უ რ ი ე წ ო დ ე ბ ი ს:

აჩ. ბც. გძ. დწ. ეჭ. ვხ. ზჯ. ზთ.

ირ. კს. ლტ. მუ. ნფ. ქჯ.

ლო. ყპ. შყ.

ესენი ერთმანეთის ნაცვლად დაისმის».

როგორც მკითხველი ხედავს, აქ კრიფტოგრაფად ნახმარია ჩვეულებრივი ანბანი, მხოლოდ ასოთა მნიშვნელობა შეცვლილია. ვინაიდან ქართულში ეს კრიპტოგრაფი იწყება ა ჩ, ესე იგი ა და ჩ ერთიმეორის მაგიერ იხმარება, ამიტომ ამას ა ნ ჩ ი ნ უ რ ი დარქმევია. რასაკვირველია, თუ სხვა ამგვარი სისტემა იქნებოდა შემოღებული, იმასაც ამის ანალოგიით უნდა დარქმეოდა იმ ასოების შეერთებული სახელი, რომლებითაც ეს სისტემა იწყებოდა. და მართლაც, ყოფილა ჩვენში სხვა ამგვარი სისტემები. ნაციონალური ბიბლიოთეკის მეორე ხელნაწერი №1 გვამღევს ჩვენ, გარდა ანჩინურისა, კიდევ სამს ასეთ სისტემას: **ანჯანურს, ანჰოეურს და ანრეურს**. მართალია, ამ სისტემებს სახელები არ უწერია ჩვენს ხელნაწერში, მაგრამ თვით სისტემები განცალკევებულად არის წარმოდგენილი ტაბულაზე (იხ. ტაბ. I) შემდეგი სახით:

ანჩინური	ანჯანური	ანჰოეური	ანრეური
აჩ	აჯ	აჰ	არ
ბც	ბჯ	ბჰ	ბს
გძ	გხ	გჯ	გტ
დწ	დჭ	დჯ	დუ
ეჭ	ეწ	ეხ	ეფ
ვხ	ვძ	ვჭ	ვქ
ზჯ	ზც	ზწ	ზღ
ზთ	ზჩ	ზძ	ზყ
ირ	თშ	თც	თშ
კს	იყ	იჩ	იჩ
ლტ	კღ	კშ	კც
მუ	ლქ	ლყ	ლძ
ნფ	მფ	მღ	მწ
ოდ	ნუ	ნქ	ნჭ
პყ	ოტ	ოფ	ობ
ჟშ	პს	პუ	პჯ

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, ასოები **ღ** და **ჯ** არც ერთს ამ ოთხ კრიპტოგრაფში ნახმარი არ არის, **ჰ** და **ჭ** იხმარებიან მხოლოდ ა ნ ჰ ო ე უ რ შ ი და სხვებში არა.

ა ნ რ ე უ რ ს აქვს მიწერილი დედანში წითლურით: ანტონი კუზისა (იხ. ტაბ. I), და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ეკუთვნის ანტონ I კათალიკოზს.

1. პირველი კრიპტოგრაფი ა ნ ჩ ი ნ უ რ ი. ეს კრიპტოგრაფი ყველაზე ძველი უნდა იყოს, ვინაიდან ის გვხვდება უკვე მეათე საუკუნის ხელნაწერებში (იხ. აკაკი შანიძე, «კრიპტოგრაფიული მასალები», მიმომხილველი, I, 238; კ. კეკელიძე, «ქართული ლიტერატურის ისტორია», I, 158), აგრეთვე მე-16, მე-17 და მე-18 სს. ხელნაწერებში (საქ. მუზეუმის მოამბე, I, 65–68). ანჩინურის კრიპტოგრაფით შესრულებული მინაწერები მოიპოვება კიდევ ერთს მე-18 საუკუნის დასაწყისის მინიატურულ სახარებაში, რომელიც ჩვენ ვიპოვნეთ პარიზში ერთს ანტიკვართან სხვა რამდენიმე ქართულ ნივთთან ერთად. ამ ხელნაწერში სიტყვა ან (ამინ) მოყვანილია ორ სხვადასხვა ადგილად ამ სახით: ჩ-ფ, რაც ანჩინურად ნიშნავს ან (ამინ) და კიდევ ერთს ადგილს ასეთი მინაწერია (ქარაგმებს ვხსნით):

წმიდაო ლუკა მახარებელო  
მეოხ მეყავ წინაშე ქრისტესა ყოვლად  
ცოდვილსა ამისსა მწ-  
ერალსა ღჩღმფჩკ

უკანასკნელი სიტყვა ანჩინურად არის მოყვანილი, მაგრამ დაშვებულია შეცდომა: ღ-ს მაგიერ უნდა იყოს ორივე ადგილას ყ, და მაშინ გამოვა: პაპუნას.

2. მეორე კრიპტოგრაფი ა ნ ჯ ა ნ უ რ ი, შემოღებულია ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძის მიერ, რასაც მოწმობს თვით ფ. გორგიჯანიძის მინაწერი:

ქ. ვისაც სამალავათ ერთმანეთთან წიგნის მიწერა გინდოდეს, ამას ქვეით, რომ ანჯანის ანბანი დაიწერების, ან ზეპირათ ისწავლეთ და დაიმახსოვრეთ და ან ანჯანის ანბანი თან იქონიეთ ხოლმე. იმით მისწერდეთ და ან მოგწერდენ წაიკითხვის. ფარსადან გორგიჯანიძეს შეუწყვია. რაც ასო თქმასა და გაგონებას მოუწდების, ყველა არის. ანჯანის ანბანი ეს არის:

ქ. აჯ. ბხ. გჯ. დჭ. ეწ. ვძ. ზც. ჰჩ. თშ. იყ. კდ. ლქ. მფ. ნუ. ოტ. პს. რჟ. (იხ. მოსე ჯანაშვილი: ფარსადან გორგიჯანიძე და მისი შრომანი, ტფილისი 1896, გვ. 72).

მიუღებლად მიგვაჩნია მოსაზრება პატივცემული პროფესორის ივანე ჯავახიშვილისა, თითქოს «ფარსადან გორგიჯანიძე არ უნდა იყოს მომგონებელი ანჯანისა, არამედ ან განმაახლებელი ძველის და მივიწყებულის სისტემის ან სხვა ქვეყნის მაგალითის მიმბაძველი». მიმბაძველობა სხვა ქვეყნის მაგალითებისა ყველა კრიპტოგრაფზე შეიძლება ითქვას, მაგრამ შემოღება და შეწყობა ანჯანურისა კი ფარსადან გორგიჯანიძის საქმეა და არა გვაქვს არავითარი საბუთი არ დავუჯეროთ, როდესაც ავტორი წერს «ფარსადან გორგიჯანიძეს შეუწყვიაო». ანჯანური შემოღებულია ანჩინურის ანალოგიით. მიუღებლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე აზრი, ვითომც მე-17 საუკუნეში საზოგადოდ საიდუმლო ანბანი ანჯანის სახელით ყოფილიყოს ცნობილი. ანჯანის ანბანი ანუ ანჯანური, როგორც სამართლიანად



შენიშნავს აკაკი შანიძე (მიმოხილვენი, 1, 237), მხოლოდ ერთი სახეა საიდუმლო დამწერლობისა, ისე როგორც ანჩინური, ანჰოეური და ანრეური. მეორეს მხრივ მიუღებელია თვით აკაკი შანიძის აზრიც, ვითომც ფარსადან გორგიჯანიძის დროს ქართულ მხედრულ ანბანში უკანასკნელ ასოდ **ჯ** იჯდა და არა **ჰ**, რომელიც მერვე ადგილზე იყო გადმონაცვლებული (მიმოხილველი I, გვ. 237, შენ. 4). ანჩინურის და ანრეურის არსებობა საბუთს გვაძლევს, რომ ასეთი სისტემისათვის სავალდებულო არ ყოფილა უსათუოდ უკანასკნელი ასო აეღოთ. ამას გარდა, უკანასკნელი ასო ქართული ანბანისა **ჟ** არის და არა **ჰ**. ჩვენს ტაბულაზე, ანჯანურში სწორად არის წარმოდგენილი **ფ** და არა **ჰ**, აგრეთვე **ბჯ** და **გბ**, **ბხ**-ის და **გჯ**-ის მაგიერ **მ**. ჯანაშვილის გამოცემისა. არევა ერთმანეთში **ფ** და **ჰ**, **ჯ** და **ხ**-ისა ხშირია ბოლო საუკუნეების ხელნაწერებში და აიხსნება მით, რომ **ფ** დაკარგა თავისი ძველი ხასიათი დიფტონგისა და **ჯ** ბევრით აღარ განირჩეოდა **ხ**-ისაგან. **ჰ** ხმარება **ფ**-ს მაგიერ ხშირია ხელნაწერებში და სიგელ-გუჯრებში, ნამეტნავად ქორონიკონის რიცხვებში.

**3.** მესამე კრიპტოგრაფი, ა ნ ჰ ო ე უ რ ი, უნდა იყოს შემოღებული ანჯანურის შემდეგ, მაშასადამე მე-17, მე-18 საუკუნეებში, მაგრამ ვისგან, არა სჩანს.

**4.** მეოთხე კრიპტოგრაფი, ა ნ რ ე უ რ ი, როგორც მოხსენებული იყო, უნდა ეკუთვნოდეს ანტონ I კათალიკოსს და ეს რიცხვით უკანასკნელი კრიპტოგრაფი უნდა იყოს ქართულში მთელი იმ სისტემისა, რომელსაც ატბაშური (atbache) ეწოდება და რომელიც ასოთა მნიშვნელობით უკუღმა მობრუნებულს ანბანს წარმოადგენს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, «ქართული პალეოგრაფია», გვ. 13). მაშასადამე, ატბაშურს სისტემას ქართულში ეკუთვნიან: ანჩინური, ანჯანური, ანჰოეური და ანრეური. მართალია, ანჩინურში ასოთა ფონეტიკური მნიშვნელობის შეცვლის გარდა ასოთა რიცხვითი მნიშვნელობაც არის თითქოს მიღებული მხედველობაში, ესე იგი, ის ასოები, რომელთა რიცხვითი მნიშვნელობაც ერთეულებს წარმოადგენს, ნახმარია იმ ასოების ნაცვლად, რომელნიც შესაბამისად (აკაკი შანიძე, საქარ. მუზეუმის მოამბე I, 64–65), მაგრამ ეს არ უშლის, რომ ანჩინურიც ატბაშურ სისტემას მივაკუთვნოთ. აქ უნდა შევნიშნოთ კიდევ, რომ ის არევა ერთმანეთში **ფ** და **ჰ**-სი, რომელიც აკაკი შანიძის (გვ. 65) და ივ. ჯავახიშვილის (გვ. 131) ნიმუშებშია წარმოდგენილი, ჩვენსაში არ არსებობს. საზოგადოდ, ანჩინურიც და ანჯანურიც ჩვენს ტაბულაზე უფრო სწორად და სისტემატურად არის წარმოდგენილი, ვიდრე სხვა დღემდის ცნობილებში.

ამ ოთხი ატბაშური სისტემის ნიმუშების გარდა, ჩვენს ხელნაწერში წარმოდგენილია კიდევ 16 სხვა კრიპტოგრაფი. ესენი ეკუთვნიან მეორე სისტემას კრიპტოგრაფისა, რომელიც აღინიშნება განცალკევებულის ანბანით. აქ 16 კრიპტოგრაფი ამავე რიცხვით განცალკევებულის საიდუმლო ანბანით არის წარმოდგენილი. ზოგს მათგანს შესატყვისი ნიშანი მხედრულის ანბანით თითოეულის ასოს ზემოთ უწერია (ასეთებია მე-5, მე-18, მე-19 და მე-20. იხ. ტაბ. I და V) და მისი გასაღები ცხადია. სხვებს შესატყვისი მნიშვნელობა არ უწერია, მაგრამ ეტყობა, ყველა ანბანის რიგზეა დალაგებული და შესატყვისის ჩვენება არც ისე ძნელია, ნამეტნავად, როდესაც ანბანი სრულად არის წარმოდგენილი ან ცოტა ნიშნები აკლია. უმეტეს შემთხვევაში, პირველ რიგში აკლია **ღ** და **ჯ**, შემდეგ **წ**, **ჰ** და **ჟ**. უფრო ძნელია გამოცნობა, როდესაც ბევრი ნიშანი აკლია. ასოები ამ ანბანებისა ამოღებულია სხვადასხვა უცხო ანბანისაგან – ზოგი გადაკეთებულია, ზოგში

შერეულია ქართული ანბანი – მხედრული და ხუცური. ასოები ხან თავისივე მნიშვნელობით არის წარმოდგენილი, ხან შეცვლილი მნიშვნელობით. ზოგ მათგანს გვერდზე წითლურით უწერია, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის სამალავი ანბანი. მაგალითად, მეექვსეს უწერია «არჩილისა» (ტაბ. II) და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ცნობილს არჩილ მეფეს ეკუთვნის მე-17 საუკუნისა. მეშვიდე კრიპტოგრაფს უწერია: «კაჭვხაური»; მერვეს: «თაქალთიანთა»; მეცხრეს: «სულხანისა». ეს უნდა ეკუთვნოდეს საბა-სულხან ორბელიანს; მეათე: «ჩხეიძისა» – უნდა იგულისხმებოდეს ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე; მეთერთმეტეს: «მუხრანელთა» – უნდა ეკუთვნოდეს მუხრან ბატონებს. ეტყობა, წარწერა ჰქონია კიდევ მეთორმეტეს და მეცამეტეს, მაგრამ ეხლა სრულიად გადასულია. დანარჩენებს წარწერები არ ჰქონია.

განვიხილოთ რიგობით ხსენებული კრიპტოგრაფები.

5. მეხუთე კრიპტოგრაფის ანბანი (იხ. ტაბ. I) შეიცავს სულ 37 ასოს. მნიშვნელობა ნაჩვენებია მხედრულის ასოებით ყველა ნიშნების ზემოთ, გამოტოვებულია მხოლოდ ს. მხედრული ანბანიდან თავის ადგილზე დატოვებულია **ფ, მ, ჭ** (ამას ქვემოთ ი უზის ორი ხაზით). ხუცურის ასომთავრულებისაგან თავიანთ ადგილებზე დატოვებულია **ბ, კ, ტ, ძ** (გადმობრუნებული). ასომთავრული **გ** ნახმარიარ **ღ-ად, ე** შებრუნებული) **რ-ედ, ყ-** შინად, **ღ-ჩინად, ნუსხა-ხუცურის ო** ნიშნავს **პ**, ამნაირივე, მაგრამ უფრო მაღალი ასო – **ყ-ს**, არაბული ციფრი **8** ნიშნავს **ფ**, ხოლო **7 – წილს**. ბერძნული ანბანიდან გვხვდება **ა, ე, ი, მ, ნ** და **ო** თავიანთი მნიშვნელობით და სხვა.

6. მეექვსე კრიპტოგრაფი, **ა რ ჩ ი ლ ი ს ა** (ტაბ. II) შეიცავს 36 ასოს. მნიშვნელობა ასოებს არ უწერია, მაგრამ ანბანი რიგზე უნდა იყოს დაწყობილი, აკლია ერთი ასო. ესეც სხვადასხვა ანბანიდან და ნიშნებიდან შესდგება. მხედრული ასოებიდან აქ დაცულია **ჯ** (ანის მნიშვნელობით), **წ** (განის მნიშვნელობით), **ვ, თ, რ, ს** და **ფ** (მნიშვნელობა ყველას შეცვლილი უნდა ჰქონდეს). ხუცური ასოებიდან გვხვდება **ხ, ო, უ, ჟ** (ყველა შეცვლილის მნიშვნელობით). ლათინურიდან არის ამოღებული **ა, ი, ო, ფ, X** და სხვა შეცვლილის მნიშვნელობით.

7. მეშვიდე კრიპტოგრაფი, **კ ა ჭ ფ ხ ა უ რ ი** (ტაბ. II) შეიცავს სულ 33 ასოს. იწყება **ქ-ით**, მაგრამ ეს ანის შემცვლელი არ უნდა იყოს, არამედ ჩვეულებრივი დასაწყისი ქრისტეს სახელისა. უნდა აკლდეს **მ, ჯ, ჰ** და **ჭ**. შიგ ურევია მხედრული **თ, ბ, ნ, ქ, ო, ძ, უ, ც, ყ, ს**. ხუცურიდან შეცვლილის მნიშვნელობით **ბ, ი, კ** და სხვა.

8. მერვე კრიპტოგრაფი, **თ ა ქ ა ლ თ ი ა ნ თ ა** (ტაბ. II) შეიცავს 37 ანბანს. აკლია ერთი, შესდგება სხვადასხვა ნიშნებიდან, რომელთა შორის არიან მხედრული **ნ, ხ, მ, ო, ც, ლ**; ხუცური **ფ** (თავუკუღმა გამოხატული), **ზ, ი, პ, ჯ** და სხვა.

9. მეცხრე კრიპტოგრაფი, **ს უ ლ ხ ა ნ ი ს ა** (ტაბ. II) შეიცავს 36 ნიშანს. უნდა აკლდეს **მ** და **ჯ**. მხედრულ ასოთაგან აქ სჩანან: **ვ, ო, ფ, ნ, ყ, რ, მ, კ, ა, ძ, ც**; ციფრებიდან – **4, 9, 8** და **0**.

10. მათე კრიპტოგრაფი **ჩ ხ ე ი ძ ი ს ა** (ტაბ. III) შეიცავს 34 ანბანს. იწყება ქ-ით, მაგრამ ეს ასო აქაც სიტყვის «ქრისტეს» დასაწყისია. მხედრულ ანბანთაგან იხმარება: **ხ, ჩ, ო, ბ, ე, პ**; ასომთავრულიდან: **კ, ჩ, ქ, წ, ი** და სხვა.

11. მეთერთმეტე კრიპტოგრაფი, **მ უ ხ რ ა ნ ე ლ თ ა** (ტაბ. III) შეიცავს 31 ასოს. იწყება ქ-ით. მხედრულ ასოთა შორის მოსჩანან: **ვ, ყ, წ, ჩ, ა, ც, უ, ჩ, ე** და სხვა.

12. მეთორმეტე კრიპტოგრაფი (ტომ. III) შეიცავს 32 ასოს. უნდა აკლდეს **წ, ე, ვ, ვ, ჰ** და **ჟ**. ზოგიერთი ასო მოგვაგონებს მხედრულ **ჩ, ჯ, ი, თ, ნ** და სხვა.

13. მეცამეტე კრიპტოგრაფი (ტაბ. III და IV) შეიცავს 33 ასოს. უნდა აკლდეს **წ, ე, ვ, ჯ** და კიდევ ერთი. მხედრული ასოებიდან დაცულია **თ, ბ, ჩ, ო, ჰ** და **წ**. მესამე სტრიქონი გადმოტანილია შემდეგ გვერდზე (ტაბ. IV) და აქ გვხვდება ასომთავრული **ვ, ზ, მ** და ციფრი **8**.

14. მეთოთხმეტე კრიპტოგრაფი (ტაბ. IV) ყველაზე უფრო ნაკლულოვანია, შეიცავს 20 ასოს. პირველი ასო წარმოადგენს მონოგრამას ასომთავრული **ფდ**-ისა, მეორე ჰგავს მხედრულ **კ**, მესამე – **z**, მეოთხე ჰგავს მხედრულ **წ**, მეხუთე – **9**, მერვე – **უ**, მეცხრე ხუცური – **ვ**, მეთერთმეტე – **ყ**, მეთხუთმეტე – **ო** და სხვა.

15. მეთხუთმეტე კრიპტოგრაფი (ტაბ. IV) შეიცავს 34 ასოს. მხედრული ასოებიდან განირჩევა: **თ, პ, ჯ, ი, ვ, კნ, მწ**. მეოთხე ასო არის ციფრი **8**.

16. მეთექვსმეტე კრიპტოგრაფი (ტაბ. IV) შეიცავს 22 ასოს. მეხუთე ასო მოგვაგონებს ციფრს **8**, მეხუთე – **ე**, მოჩანს კიდევ ლათინური **A**, მხედრული **ნ** და სხვა. უკანასკნელი ორი უნდა იყოს **ჰ** და **ჟ**.

17. მეჩვიდმეტე კრიპტოგრაფი (ტაბ. IV) სხვებზე უფრო თავისებურია. იწყება ასომთავრულით – **წ**, რომელიც ანის მნიშვნელობით არ არის ნახმარი, არამედ ჩვეულებრივი დასაწყისია სიტყვა «წმიდისა», ანუ «წილქანის» მაგიერია. ზოგიერთი ნიშნები ჯგუფებად დაწერილია ხან სამჯერ და ხან ორჯერ. ასოები – **ა, ბ, დ** და **ე** იმავე სახის არიან, როგორც **ნ**. მარის მიერ ამოშიფრულს კრიპტოგრაფში (XB, III, 207), მაგრამ აქ **ა** სამჯერ არის გამეორებული, **ბ** – ორჯერ და მესამედ უწერია შესატყვისი ძველი მხედრულის მსგავსი **ბ**. მეოთხე რიგში თავიდან ოთხი ასოა წარმოდგენილი. ორი უკანასკნელი **დ** სრულიად ისეთი სახისაა, როგორც მარის გარჩეულში, ხოლო მათ წინ წარმოდგენილია ასომთავრული **ი** და **გ**. შესაძლოა აქ **ი** ნიშნავდეს **გ** და ასომთავრული **გ** იყოს წარმოდგენილი იმის შესატყვისად, როგორც მსგავსად წარმოდგენილია წინა რიგში **ბ**. მხოლოდ აქ ერთი დაბრკოლებაა ასეთი დასკვნისათვის. ეს ის, რომ ეს ორი ასო არ არის გამოყოფილი ორს უკანასკნელიდან წერტილებით. ენი აქაც, როგორც მარის გარჩეულში, სიმრგვლით არის წარმოდგენილი, მაგრამ განმეორებულია და თავზე წერტილი უზის, რაც მარის გარჩეულში არ არის, და ამას გარდა, ეს გამოყოფილი არ არის წერტილებით სამი შემდეგი ნიშნისაგან, რომელთა უკანასკნელი მხედრული **ვ** ჰგავს და ეს იმის შესატყვისი უნდა იყოს, რომ წინა ასო ვინაა, მაგრამ ეს **ვ** მარის გარჩეულს თითქოს ჩამოჰგავს, ხოლო სულ იდენტური არ არის. შემდეგი ჯგუფი ორი ასოსაგან შესდგება. პირველი მხედრულს **ძ** ჰგავს და ისეთივეა, როგორც მარის გარჩეულში **თ**-ის შესატყვისია; მეორე ასო ხუცურ **თ**-ს მოგვაგონებს და იმის აღმნიშვნელი უნდა

იყოს, რომ წინა ასო თანია. სხვა ასოებთა შორის მარის გარჩეულს მოგვაგონებს მეორე ჯგუფი ბოლოდან მეორე სტრიქონისა. აქ პირველი ასო იგივეა, რაც მარისაში ნიშნავს რ-ს. მესამე სტრიქონის პირველი ჯგუფის (თავიდან) მეორე ასო იგივეა, რაც მარისაში ნიშნავს შ-ს. ასომთავრული ფ მარისაში ნიშნავს ძ-ს. აქ არის ასეთივე ასო მეორე სტრიქონში, მაგრამ რიგით ძ-ს არ უნდა ნიშნავდეს. აგრეთვე ასომთავრული ქ მარისაში ნიშნავს ღ-ს. აქ ასეთი ასო ორჯერ არის წარმოდგენილი მესამე სტრიქონში, მაგრამ ღ-ს ნიშნავს თუ არა, მნელი სათქმელია. ამით თავდება ახლობელი და შორეული მსგავსება ამ ანბანისა მარის გარჩეულთან. ასე რომ, ეს ანბანი და მარის გარჩეული ერთი და იგივე არ არის, უმეტესი ასოების მსგავსებას არ წარმოადგენენ. ამას გარდა, მარის გარჩეულში ცნობილია მხოლოდ 26 ასო. დანამდვილებით იგივეობა მარის გარჩეულში და ჩვენსაში, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ა, ბ, დ-ზე თუ ჩვენ წერტილებით გამოყოფილს ჯგუფებს მივიღებთ მხედველობაში, ასეთი ჯგუფების რიცხვი ამ კრიპტოგრაფში დასაწყისი ასოს გამოშვებით იქნება 36, და თუ ჩვენ თავიდან მესამე და მეოთხე ჯგუფში ორ-ორ ასოს ვიგულისხმებთ, მაშინ ანბანი სრულად იქნება წარმოდგენილი. მხედრულ ასოთა შორის, გარდა აღნიშნულისა, აქ გვხვდება **ფ, ბ, კ, თ** (გადმობრუნებული) და **ო**.

18. მეთვრამეტე კრიპტოგრაფი (ტაბ. V) შეიცავს სულ 37 ასოს, აკლია მხოლოდ ჯ. შესატყვისი ანბანი უწერია თითოეულ ასოს ზემოთ. მხედრულ ასოებთა შორის თავიანთ ადგილებზე დატოვებულნი არიან: **ფ, ა, ქ, ძ, ზ. თ** იხმარება ა-ს მნიშვნელობით. ზოგიერთ ასოს აქვს სახე ძველი მხედრულისა.

19. მეცხრამეტე კრიპტოგრაფი (ტაბ. V) შეიცავს 24 ასოს, მნიშვნელობა ყველას ზემოთ უწერია. ცხრა ასო გამოშვებულია, მაგრამ მათთვის ადგილები დატოვებულია ორ-ორი წერტილებით შემოზღუდული. ესენი არიან: **ზ, ჰ, თ, ფ, ღ, ყ, ჯ, ჯ**. გამოშვებულია და მათთვის ადგილი არ არის დატოვებული: **ა, ვ, ქ, ჰ** და **შ**. ნიშნებთა შორის არის მხედრული ასოები შეცვლილის მნიშვნელობით: **ძ, უ, ტ, ა, ო** (პირუკუღმა), **ქ** ლათინური **q**, ბერძნული **დ** და სხვა.

20. მეოცე კრიპტოგრაფი (ტაბ. V. ტაბულა უნდა შეაბრუნოთ წაკითხვის დროს). ეს ყველაზე უფრო თავისებურია როგორც ნიშნების მხრივ, ისე მნიშვნელობით. ნიშნები უფრო აღმოსავლურ ანბანს წააგავენ და დაწერილნი არიან წითლურით. მათ უზის შესატყვისი მხედრული ასოები, განიყოფება ხაზით ორ ნაწილად. ხაზს ზემოთ წარმოდგენილია ნიშნები, რომელნიც გამოხატავენ: **ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ო, პ, რ** (აკლია **ფ** და **ა**), ხაზს ქვემოთ იგივე მოხაზულობა და ფორმა ნიშნებისა გამოხატავენ გაგრძელებას ჩვენი ანბანისა: **ს, ტ, უ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, ჰ, ხ, ჯ, ჰ** (აკლია **ვ** და **შ**). ნიშნები შესდგება წერტილებისაგან, პატარა სიმრგვლეებისაგან და მოღუნული ხაზებისაგან.

კრიპტოგრაფები, რომელნიც შესდგებიან განცალკევებული ანბანისაგან, ბევრი ყოფილა ქართულში. ერთი ამგვარი კრიპტოგრაფი, ამოღებული გელათის ხელნაწერიდან, კ. კეკელიძემ მიაწოდა ნ. მარს და მან გაარჩია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (XB, III, 205–207). ოთხიოდე ნიშნებს ამ სისტემის კრიპტოგრაფისა უჩვენებს აკაკი შანიძე (იხ. მიმომხილველი I, გვ. 238–241).

ქართულში არსებობდა კიდევ მესამე სისტემა კრიპტოგრაფი, სათვალავით კრიპტოგრაფი. ასეთ კრიპტოგრაფში სიტყვის მაგიერ სიტყვის ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა არის დასახელებული. ერთი ასეთი კრიპტოგრაფი კ. ინგოროყვამ

გამოაქვეყნა მიქელ მოდრეკილის მეათე საუკუნის ხელნაწერიდან, სადაც სიტყვა «მიქაელ»-ის მაგიერ სწერია: ორმოცი ათი ექუსასი ერთი ხუთი ოცდაათი (მ-40, ი-10, ქ-600, ა-1, ე-5, ლ-30). რიცხვების მაგიერ თუ მათ გამომხატავ ასოებს დავსვამთ, გამოვა «მიქაელ» (პ. ინგოროყვა, «ძველი ქართული სასულიერო პოეზია», ტფილისი, 1913 გვ. XII). ამავე სისტემას ეკუთვნის ავ. შანიძის მიერ გამოქვეყნებული ალექსანდრე ბატონიშვილის მინაწერი 1798 წლისა მის მიერ ფრანგულიდან გადმოთარგმნილი სამხედრო სახელმძღვანელოს ხელნაწერში, სადაც სიტყვების მაგიერ ციფრებია მოყვანილი (მიმომხილველი I, 241).

ამრიგად, ეს ხელნაწერი გვადლევს ძვირფას ნიმუშებს ოცი კრიპტოგრაფისა, რომელთა შორის ჩვენს მკვლევართათვის ჯერხანად ცნობილია მხოლოდ ორი – ანჩინური და ანჯანური; სხვა უცნობია

ეხლა უნდა მოინახოს ჩვენს მრავალ ხელნაწერებში მინაწერები, შესრულებული ჩვენს ტაბულებზე წარმოდგენილის ნიმუშებით. მაშინ საბოლოოდ გამოირკვევა, თუ რომელი ასოები აკლია იმ საიდუმლო ანბანებს, რომელნიც ამ ტაბულებზე სრულად არ არიან წარმოდგენილნი და შესატყვისი ასოები ზემოთ არ უწერიათ.

## ხელნაწერები

გადავდივართ ეხლა ხელნაწერების მოკლე აღნუსხვაზე იმრიგად, როგორც ეს არის წარმოდგენილი დაბეჭდილ კატალოგში.

### № 1 (ძველი ფონდითაც 1)

კ რ ე ბ უ ლ ი სხვადასხვა სასულიერო, საკალენდარო, საასტრონომიო და სხვათა სტატიებისა და ცნობებისა, სხვადასხვა ხელით და სხვადასხვა დროს გადაწერილი, პატარა ტანის ხელნაწერი in 32 ქაღალდზე და არა პერგამენტზე, როგორც ალ. ხახანაშვილი აღნიშნავს, შეიცავს 171 ფურცელს. ბოლოში აკლია, ნაწერია სანახევროდ წვრილის ნუსხურით, სანახევროდ წვრილის მხედრულით. წიგნი შემკობილია მრავალის ფერადებიანის ფიგურებით, ასომთავრული ასოებით, მხედრულის და ასომთავრულის წითლურის ხვეულებით, ბალახ-ბულახებით, ყვავილებით, გეომეტრიული ფიგურებით და სხვა. მხატვრობანი წარმოდგენილია როგორც ტექსტში, ისე ამიებზე. ხოლო მეორე ნაწილში ხელნაწერისა განცალკევებულ ფურცლებზედაც.

ქაღალდი ხელნაწერისა ერთგვარი არ არის, უმეტეს შემთხვევაში, ერთობ თხელია. ასე რომ, მეორე გვერდის ასოები ხშირად პირველ გვერდზე გამოსჭვივან. ზოგჯერ ქაღალდი საკმაოდ სქელია. მაგალითად, ნუსხა ჭრელისა (ფ. 54-84) ნაწერია უფრო სქელ ქაღალდზე, ხოლო ქაღალდი განცალკევებულის სურათებისა სულ სქელია (ფფ. 40; 85-90; 94-95; 103-104; 108-113; 113-156; 156, 160), გადაწერილია და შემკობილი ვინმე ალექსის მიერ 1725 წელს და არა 1795 წელს, როგორც აღნიშნულია დაბეჭდილ კატალოგში. ხოლო ერთი სტატია «ქირომანსი» (ფ. 150-153) სხვა უფრო ლამაზი ხელითაა დაწერილი და ალექსის არ უნდა ეკუთვნოდეს. როგორც ეტყობა, არც თვით ალექსის ერთ დროს კი არ გადაუწერია და დაუხატავს მთელი ხელნაწერი, არამედ სხვადასხვა დროს და განცალკევებულად, სხვადასხვა ქაღალდზე და შემდეგ მოუქცევია ერთ ყდაში. ხელნაწერი ქართველ კათოლიკეთა წრიდან უნდა გამომდინარეობდეს, რაც ცხადად ჩანს როგორც სტატიების შერჩევით, ისე ნამეტნავად მხატვრობით, ფიგურებით და მხატვრობის რიგის ხასიათით. ბროსე

ამბობს, მხატვრობა ისეთია, როგორც სომხურ ხელნაწერებშიო, მაგრამ ეს იმდენად მართალია, რამდენადაც ეს ემჩნევა მეხიტარისტების მიერ კათოლიკურ მხატვრობათა შეთვისებას. კათოლიკური გავლენა აქ ექვს გარეშეა. სამების მხატვრობას ლათინური წარწერები აქვს.

გადამწერი ალექსი რამდენიმე ადგილს იხსენიებს თავის თავს და თავის დედას თამარს, მაგრამ უფრო გარკვეულად 90-ე ფურცელზე verso, ხელთის ნახატვის ქვემოთ, გადაბმული ასომთავრულით (ქარაგმებს ვხსნით):

«ღმერთო: შეიწყალე: ამა ჳელთის: და: იბაკოაის: დამხატავიცა: და: დამწერიცა: მონა ღვთისა: ცოდვილი ალექსი: ქკს: უიგ (1725)».

ალ. ხახანაშვილი შეცდომებით ასე კითხულობს ამ მინაწერს:

«ღმერთო შეიწყალე ამისა მომხვეჭელისა და დამწერისა მონა ღვთის გიორგი. ქკს უიგ, ესე იგი 1795 წ. (?)» (მოამბე, 1898, XX IV, გვ. 3).

ბროსე შეცდომით კითხულობს ალექსის მაგიერ «გრიგოლ»-ს და ჰგონია გადამწერი ხელნაწერისა არის ალექსი და დამხატავი გრიგოლ, მამა ალექსისი.

მაგრამ ზემომოყვანილი მინაწერი ცხადყოფს, რომ დამწერიც და დამხატავიც არის ალექსი. გრიგოლ არსად არ იკითხება ხელნაწერში.

ბროსე თავის დაწვრილებით აღწერაში შინაარსს ამ ხელნაწერისა 26 სტატიად ჰყოფს (Nouveau Journ. Asiat. 1834, t. XIV, p. 143–164), მაგრამ ის თვითეულ ლოცვას ცალკე იხსენიებს. საზოგადოდ შინაარსი ასეთია:

1. იბაკონი წ-ისა ღვთის მშობლისანი და ძილის პირნი (2-13), სათაურები წითლურის ასომთავრულის ხვეულებით. პირველ ფურცელზე verso წარმოდგენილია მხატვრობა, სიმრგვლე ფერადებიან ყვავილებში, ხოლო აშიები პირველი შვიდი ფურცლისა შემკობილია 24 ფერადებიანი მხედრულის ასოებით. ანიდან იწმინდის თითო ასოა, შემდეგ გადაბმულია: **ია, იბ, იგ, იდ, იე, ივ, იზ, ით, კ** (მარტო) და ბოლოს **კა, კბ, კგ, კდ**. ასოების თავები წარმოადგენენ გამოხატულებას ცხოველებისა, ფრინველებისა და ქვემძრომთა.

2. წესი და განგება წ-ისა ზიარების ლოცვისა (15–19).

3. ლოცვანი წმიდისა ზიარებისა და შემდგომად ზიარებისა თქმულნი სხვა და სხვა მამათა მიერ, დიდისა ბასილისა, იოანე ოქროპირისა, სვიმონ მეტაფრასისა, იოანე დამასკელისა, სვმეონ ახლისა ღვთისმეტყველისა და სხვათა მამათა (20–33). აქ თავში არის დასაწყისი ფერადებიანი მხატვრობა. ბოლოს უწერია: «გასრულდა ყდ სულის საოხი ლოცვანი ესე ზიარებისანი:»

4. გალობანი წ-ისა ღვთის მშობლისანი (34–40). ამის ბოლოს დახატულია მინიატურული ღვთისმშობლის სურათი ჩჩვილეთი, წელს ზევით, ხოლო მეორე გვერდზე სურათი ღვთისა ერთარსებისა, მაგრამ სამსახოვანისა, ლათინურის წარწერებით: Pater, Filius, Spiritus Sanctus. ეს არაჩვეულებრივი მხატვრობა წარმოადგენს მხცოვანი კაცის სახეს მღვდელმთავრის სამოსელით, – ერთის თავით, სამის პირით, სამის ცხვირით და ექვსი თვალით. სამს გამყოფელ ხაზებში უწერია: non est, შემაერთებელ ხაზში est Deus.

5. სხვადასხვა ლოცვები, სადიდებელნი, ძილისპირნი და სახარების საკითხავნი (41–46). სათაურად ამაებს ყვავილოვან თავსართში ასომთავრულის ხლართულით უწერია:

ვცა შნ დიდებო.

45-ე ფურც. აშიაზე სწერია ხუცურით:

ბრძნბსა (ბრძანებასა) უსჯულოსა მის მოძღვრისსა არა დაემორჩილნეს.

6. გალობანი ყოველთა წმიდათანი (48–50 რ.) ნაწერია ნუსხა-ხუცურით, რომლის აშიებზე ფერადებით წარმოდგენილია ყვავილებში ათორმეტთა ზოდიაკთა სიმბოლონი: სასწორი, ღრიანკალი, მშვილდოსანი, თხის რქა, წყლის საქანელი და სხვა.

7. ხუთი გვერდი წვრილის, უშნო მხედრულის და მქრალის მეღნით ნაწერი (50 v – 52 v). ბროსე და შემდეგ ა. ხახანაშვილი ვერ არჩევენ ტექსტს და გვამცნობენ, რომ ეს ტექსტი ნაწერია საიდუმლო ასოებით. მაგრამ ეს ასე არ არის. ეს ნაწილი შეიცავს საგალობლებს და ნაჩვენებია სიტყვების გაგრძელებით, წერტილებით, ხაზებით და ასოებით, თუ როგორ უნდა იგალობონ, სად გააგრძელონ ანუ ასწიონ ხმა და სხვა. აქ ერთნაირი ნოტების შემცვლელი ნიშნებია და ხერხი გალობისა. ხოლო თუ რა და რა გალობას ანუ საგალობელს შეიცავს ესა თუ ის ტექსტი, ეს ნაჩვენებია, გარდა თვით ნიშნებით აღნიშნული ტექსტისა, კიდევ ცალკე აშიებზედ. მეღანი აქაც ერთობ მქრქალია, მაგრამ საერთოდ მაინც საკმაოდ განირჩევა. ამ საგალობლების სახელებია: უპატოოსნესი; და აღმატებითი; უზეშთაესი... სიტყვისა მხოლოსა განუხრწნელი; ხოლო გალობით; დღეს ტაძარი, კრეტსაბამი სამხილებელად განიპო, უსჯულოთა მათ დაიფარა; რამეთუ უფალსა გხედვიდე ჯვარცმულსა; შეუძვრელო ბეჭედო, უნებელო ძეო, სიბრძნეო, სიტყვაო, მკლაო მარჯვენაო გნატრი.

ჩვენი სტამბის ნიშნების საშვალეებით ამ გალობის გადმოცემა შეუძლებელია. ეს ფოტოგრაფიის საშვალეებით უნდა გამოიცეს. დასაწყისი დაახლოებით ასეა წარმოდგენილი:

ქ. უპატიდი: – იი: დი: ოჰსნეს უუ საჰაია: ვიდიახა: უუ: უუჰა: ტიოიო: მსნწ ევუფე ექეს (?) ესუუსაჰაია: ოინი: ქერაბინთა ააა დაიალ უმაჰავიდიია: აიაჰატეწე: ახაიავია და იაჰალუჰჰუმიია: ჰია: ავიაა: ახაი აა: – – წინათქმა: ს: დ: და ესე უცხო: ავიდიდი დე ახაიაა».

ბოლოში თითოეული საგალობელისა შენიშვნებია, თუ როგორ გათავდება საგალობელი და სხვა, მაგალითად: «დღეს ტაძარი»-ს ასეთი შენიშვნა აქვს: მაღალზე გათავდება. ქ: დუღეიე: საიაია: ტაიაჰა: იაია: აჰაძე. რისავია. – ააიაა.

«კრეტსაბამი»-ს შენიშვნა აქვს: დიდება მაღლის შესხმის კილოს ს: დ: ი შესხმის კილო დღეს ტაძარზე გათავდება.

«განიპო უსჯულოთა მათ»-ს უწერია: უცხო ოინი და მოკლე დღეს ტაძრისა ბოლოზე გათავდება განიპო: ქ: უ.

სჯულოთა მათ: თავი უკე: ცოტა წინ თქვევ და ქე მწვეზე გათავდება.

«რამეთუ უფალსა გხედვიდე ჯვარცმულსა»-ს აქვს შენიშვნა: ი მეთუ უფალსა გხედვიდე ჯვარცმულსა თავს გახდა სული დიდება მაღალი.

«არსების ხატი»-ს შენიშვნა: არსების ხატი თავს უსჯულოსა ცოტა უცხო და წინ თქმა ს: დ.

ასეთია დაახლოებით შინაარსი ამ მნიშვნელოვანი საგალობლის სახელმძღვანელოსი, რომელიც საიდუმლო ასოებით დაწერილ ტექსტად იყო აღიარებული.

ამ სტატიაში 51 v–52 r. გვერდებზე ფერადებით შესრულებული მხედრული ასოებით ლამაზი ხლართულებია, რომელიც ქარაგმების გახსნით იკითხება ასე:

მოიხსენე მამაო დღესა  
მას დიდისა განკითხვი-  
სასა სული ფრიად  
ცოდვილისა ალექსისა.

უკანასკნელი სიტყვის ხვეული ხელის მსგავსია ჯვართ.

8. ნუსხა ჭრელისა სრული და მართალი (54–84) ნაწერია ნუსხა-ხუცურით, აშიები შემკობილია ფერადებით შესრულებულის ყვავილებით, ბალახ-ბულახებით და ფრინველების და ნადირთა სახეებით. ერთ ადგილას გვირგვინოსანი მეფის სახეც არის ყვავილებში. ბოლოს უწერია (მოგვყავს ქარაგმების გახსნით):

«ღმერთო შეიწყალე მწერალი ალექსი განმასრულებელი ნუსხისა ამის, შეცოდებანი რანიცა იხილოთ ნუ განქირდულ ჰყოფთ, სხვადაცა ბევრი კარგი იქნების და ჩემ უცებად მცოდნესათვის ესეც ნამეტნავი არს ყოველადვე.

9. შემდეგ ფურცლებზე (85–97) უმეტესწილად სურათებია ფერადებით. თავში ყვავილებისა რამკებით, სიმრგვალებით თუ ნახევარის სიმრგვალებით, რომლებშიაც ხუცურის ასოებით მოყვანილია სათვალავის რიცხვები. ეს კვანკლოსის მაჩვენებელი ნიშნები უნდა იყოს, ვინაიდან ერთს სურათზედ დათვის ფეხია დახატული და ზედ აწერია: დათვს ფეკთა და მისნი კიკლოსნი: ფეხის თითებზე მხედრული წითლური ასოებია: ა ე ო უ (89 V). ერთს სურათზე შვიდი საიდუმლოა წარმოდგენილი (90), მეორე გვერდზე – სიმრგვალე ცისა, შუაში – მელია და ქვემოთ, ხელთა წარწერით, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ.

მზის მოქცევა ანუ კვანკლოსი (91–95): აშიები შემკობილია მხატვრობით და ერთზე ქალის სახეა. 93-ე ფურცელზე V. წითლური ასომთავრული ხელჩართულია.

93-ე გვ. V. შვიდი სიტყვა ასომთავრული ჩართულით ანუ ხლართულით და შემდეგ ასომთავრული წითლურით სწერია:

აღიარებენ: ქ ე ანენი:

შემდეგ ფერადებიან ლამაზ ჩარჩოში მხედრულად წითლურით წერია:

ეგოდენი: ივახშე: ოც  
და ათი: თვით: უძღვენ: ნა  
ხევარი: განქარვე: შენეულ-  
ისა: ზოგი: დაშთა: ღ თო: შე: ალე[ქსი].

94-ე ფურცელზე ფერადებიან სიმრგვალეს ცისაა აწერია მხედრულად ირგვლივ: «ადგე ბეჟან შავი ცხენი ქიტას მიეც».

და ქვემოთ უწერია კიდევ: კ ნ ჭ ი: კ დ: კაცი: გ ო.

97-ე ფურცელზე – ასტრონომიური ნიშნები განმარტებით; ზოდიაკთა და თვეთა სახელები და მათი ემბლემების ახსნა.



10. სახარების საკითხავთა მაჩვენებელი სათაურით: ჳ<sup>დ</sup>:  
სხრ<sup>ბ</sup>: ზატკთა: აღდგომიდამ ყ<sup>თ</sup> წ<sup>თ</sup> კ<sup>კ</sup>: (98).

11. სლვა მთავრისა სამარადისო (99–100).  
შემდეგ 101-ე ფურ. ყვავილები.

12. შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა და შვიდი მაღლი ფერადებში წარმოდგენილი (102).

102-ე ფ. V. ქვეყნის გლობუსია წარმოდგენილი მაგიდაზე, რომლის ქვემოთ მოჩანს საზომი იარაღები და გაშლილი სახარება ხუცურის ტექსტით: პირველითგან იყო სიტყვა და სხვა...

103-ე ფ. r. ყვავილოსანი შტოებია ფერადებით შესრულებული.

13. ხელთა ახსნიურთ აღდგომის საპოვნელად, თუ რომელ თვეში და რომელ რიცხვს იქნების (103–104).

14. სურათები და ნახატები საასტრონომიო, მზის და მთავრის დაბნელების გამოსაცნობად (105–107). აქ ბოლოს ასომთავრულით ხვეულად არის მინაწერი:

უფალო შენდობით მიანიჭე დედასა ჩემსა თამარს.

106-ე ფ. r. ყვავილებში მოქცეულია ოთხი ლოცვა-ვედრება ღვთისმშობლისადმი. მეორე ლოცვა ასეთია ქარაგმების გახსნით:

«უხრწნელო ღვთის მშობელო, დაიციე ქალაქი შენი, რ<sup>ნი</sup> ესე შენ მიერ მეფობს სამღვთოდ და შენ მიერ მოაქვს ძალი და შენ მიერვე სძლევს მტერთა, ზემთა ექნების განსაცდელთა, მტერთა გარე მიაქცევს და ჰმართებს განსაგებელსა ღვთისასა».

ეს უნდა იყოს კათოლიკეთა ლოცვა რომის ქალაქის დაცვისათვის.

შემდეგ კიდევ ასტრონომიული სურათები, ხელით დახატული, ყვავილები (ერთ ფურცელზე 110-ე ფრინველით), ათთორმეტი დღესასწაულის ნუსხა ყვავილებში (114), ხელჩართული წითლური ხვეული (111 v.) და სხვა ხელჩართული მხედრულია. შემდეგ ფურცელშემოსილი ჯვარი, რომელიც მე-115 ფ. r ბოლოშია წარმოდგენილი. აქ საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ საზოგადოდ ასტრონომიული, ასტროლოგიური და სხვა სურათები და სტატიები, რომელიც 85–115 ფურცლებზეა მოქცეული, თხოულობს ცალკე გამოცემას ფერადებიანის სურათებით და ცალკე განხილვას და შესწავლას. უამისოდ საზოგადო აღწერაში ამათზე ცნობა ყოველთვის ცალმხრივი იქნება. სურათებს თან ახლავს, უმეტეს შემთხვევაში, ასომთავრულის ასოების რიგ-რიგად აღნიშვნანი, პარალელურად შავი და წითელი მელნით.

15. საქრისტიანო მოძღვრება საბა-სულხან ორბელიანისა (116–149) თავში ნაწერია ნუსხა-ხუცურით, შემდეგ მხედრულით.

16. ხირომანტია (ხირომანსი), ანუ ნიშნები ხელის გულის შენობისა და მათი მნიშვნელობანი ადამიანისთვის არისტოტელეს აზრების ჩვენებით, ასტროლოგიური ხასიათის სტატია (150–153), მხედრულად კარგის ხელით ნაწერი. დასაწყისი: «ქ. აწ ესე უნდა ვიცოდეთ, რომ ხუთის თითის ქვემოთ ხუთის ეტლის მთანი არიან და ხელის გული არეას მინდორი არის»...

17. სხვადასხვა სურათები (155–164) პირველზე გამოხატულია ოთხი სიმრგლით ჯოჯოხეთი, შემდეგ ცოდვები და მადლნი, აყუანა სულისა წმიდისა (156), ათნი მცნება (158), ცოდვანი და მადლნი სურათებით კიდევ (159) და შენიშვნით: ცოდვანი, რომელნიცა აღადგინებენ კაცთა ღვთისა მიმართ.

აქვე ზემოთ წარწერა:

«ღმერთო შეიწყალე ცოდვილი ალექსი».

ქორწინება (160), ნუსხა მფრინველთა წარწერით: მფრინველთა ცნობა. ნუსხა ხილთა წარწერით: ხილის ცნობა (162 v.), ნადირის ცნობა (163 v.), ფრინველის ცნობა (164) მცენარეთა სურათბში (160–164).

18. ოცი კრიპტოგრაფის ნიშნები, რომელნიც ზემოთ მოვიყვანეთ (165–167).

19. ნუსხა მსოფლიო წმიდანებისა სიმრგვალეში წარმოდგენილი წითლურით (168).

20. კვინკლოსი (168 v. – 171 r.).

უკანასკნელი ფურცლის მეორე გვერდზე დარიგებანია ღვინის მიღების, ძილის და სახლის რიგის შესახებ მღვდელ-მონაზონთათვის. პირველი გვერდის წინ დატანებულ ფურცელზე ასეთი რეცეპტია:

კალის გაღესვა ეს არის.

დ<sup>ა</sup>. მისხალი კალა უნდა დაადნო.

ა<sup>ა</sup>. მისხალი სინდიცი უნდა ურიო:.

პირველ გვერდზე ხელნაწერს აწერია:

«წიგნი ესე ეკუთვნის ვიკტორ ლეტელიეს».

ლეტელიეს გარდაცვალებას ბროსე, მაკლერი და ხახანაშვილი უჩვენებენ 1718 წელს. აქ დიდი ანახრონიზმი გამოდის. როგორ შეიძლება წიგნი გადაწერილი 1725 წელს ჰკუთვნებოდა კაცს, რომელიც გარდაცვლილა 1718 წელს? მარტო ჩვენს ხელნაწერში რომ იყოს ასეთი მოვლენა, კიდევ შეიძლებოდა ასე თუ ისე ამის ახსნა. შეიძლებოდა გვეფიქრა, პირველი ნაწილი ამ ხელნაწერისა (გვ. 1–40), რომელზედაც ეს მინაწერია, შესაძლოა გადაწერილი იყო უკვე 1718 წლამდის და შემდეგ მოათავსეს ერთ ყდაში 1725 წელს გადაწერილს და კიდევ სხვა დროის ხელნაწერებთან. მაგრამ ასეთი მინაწერი სხვა ხელნაწერებზედაც მოიპოვება. მაგალითად, №13, ომანიანის ხელნაწერისა, რომელიც გადაწერილია დავით რექტორის მიერ 1782 წელს. მოსაზრება ალ. ხახანაშვილისა, რომ შეიძლება ხელნაწერების თარიღებში იყოს შეცდომა, სრულიად მიუღებელია, ვინაიდან თარიღები არავითარ ეჭვს არ იწვევენ და დედნისავე ხელით არიან ყოველგან ნაწერნი. ორში ერთი – ან ეს ლეტელიე ის არ არის, რომელიც 1718 წელს გარდაიცვალა (იმის სახელი ყოფილა კამილი, მაგრამ უფრო ცნობილი ყოფილა აბბატ ლუვიეს სახელით), ანდა ეს მინაწერები სხვისი ხელითაა დაწერილი მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ან მეცხრამეტის დასაწყისში ჩვენგან უცნობის მიზნით. მინაწერის ხელიც ამ დროს უფრო მოგვაგონებს.

## № 2 (ძველი ფონდით 25).

კ ა ტ ე ხ ი ზ მ ო (და არა საითიკო ღვთის მეტყველება, როგორც ალ. ხახანაშვილი აღნიშნავს) ანუ აღსარება მართლისა სარწმუნოებისა წი-სა კათოლიკე და სამოციქულოსა ეკლესიისა მართლმადიდებელთა აღმოსავლისათა. კითხვა მიგების სახით. დასაწყისი წითლურით:

«წყალობითა ღ-სათა პატრიარხი ნეკტარიოს წი-სა ქალაქისა იერუსალიმისა და ყ-ისა პალესტინისა ყ-თა მართლ მადიდებელთა მამათა და საყუარელთა შჯლთა გი-ხნ, ხ-უ-ისა მიერ მადლი, მშვიდობა და წყალობა იყავნ თქუ-ნნ ყ-თა თანა».

მხედრული ხელნაწერი ქალაქდზე და არა ტყავზედ, როგორც ალ. ხახანაშვილი უჩვენებს, შეიცავს სულ 213 გვ. და კიდევ 26 გვ. დამატებას<sup>2</sup>. გადაწერილია მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, რაც უეჭველი ხდება ხელის და მართლწერის მიხედვით. მაგალითად, იხმარება უ-ბრჯგუ. წიგნი გაყოფილია სამ ნაწილად: 1. სარწმუნეობა (1-122), 2. სასოება (123-162), 3. სიყვარული (163-213). ბოლოს, დართული აქვს ცალკე სათვალავით: მღუდელმთავრისა ლიტურდიისა განმარტება სახის-მეტყველებით. ვ-დ ყ-სავე მღუდელ-მოქმედებასა მისსა საიდუმლოებითი ძალი უპყრის (1-26). სათაურები შესრულებულია მშვენიერის ასომთავრულის ხვეულებით სინგურით. ტექსტი კითხვა-მიგების ყაიდაზეა მოყვანილი.

## № 3 (ძველი ფონდით 2)

კ ა ნ ო ნ ი წ ე ლ ი წ ა დ ი ს ა დ წ ე ს ი ს ა ე ბ რ წ მ ი დ ი ს ა ქ ა ლ ა ქ ი ს ა ი ზ რ უ ს ა ლ ი მ ი ს ა, in folio, ნაწერია კარგს ეტრატზედ, ლამაზის ნუსხა-ხუცურით ორს სვეტად, სათაურები წითლურით თავსა და ბოლოში აკლია; დაცულია 387 ფურცელი. ძველი პაგინაცია ნაჩვენებია რვეულებზე ასომთავრულით. რვეულში 8 ფურცელია. უკანასკნელ რვეულს უზის სათვალავი **ნხ** (57). ამ რვეულში ეხლა მარტო ოთხი ფურცელია. ტექსტი იწყება მეხუთე რვეულით, ხოლო 56-ე რვეულს მიჰყვება ჯერ მეოთხე რვეული, შემდეგ მესამე. ასე რომ, ეს სამი რვეული – 2, 3, 4 – მოქცეულია 56-ე და 57-ე რვეულებს შორის. მარტო 57-ე რვეული რომ ვიანგარიშოთ, ხელნაწერში უნდა იყოს 57X8=456 ფურცელი, დაცულია 387. მაშასადამე, აკლია 69<sup>2</sup>. ტექსტის საკითხავები იწყება დეკემბრის თვიდან. მრავალს ადგილას ეტრატის აშიები ბოლოში მოჭრილნი არიან. ადგილ-ადგილ შემდეგი დროის მინაწერებში აღნიშნულია რაოდენობა ფურცლებისა: ერთი მე-16 საუკუნის მხედრულის ხელით მინაწერი (ფ. 341 v.) გვამცნობს:

«ქ. ოთხას ორმოცდა ოთხი ფურცელი არის და ვინც დააკლოს ღმერთმან ჰკითხოს დღესა მას საშინელსა განკითხვისასა. 272-ე ფურც: ოთხას თორმეტი ფურცელია.

370-ე ფ. მე-17-18 სს. მხედრულის ხელით: სამას ოთხმოცდა თორმეტი ფურცელი არი(ს) და სამოცი დაჭრილია. კრულმცა ორსავე ყოფასა თავად ამა ყოლსა

---

<sup>2</sup> 66-ე და 99-ე გვერდების აღნიშვნა გამოშვებულია პაგინაციაში.

(ყოვლისა) დამჭრელი და აწ თორავინ (sic) დააკლოს ანო<sup>3</sup> ფურცლად და ანო დაჭრილ იოდას თანამცა ნაწილი მისი.

ასეთივე წარწერა გამეორებულია 386-ე ფურცელზეც.

386-ე ფურცელზე მინაწერში ნაჩვენებია მე-18 ს. მხედრულით: სამას ოთხმოცდა თორმეტი ფურცელი.

იტალიური მინაწერი თავში გვამცნობს, რომ ეს ხელნაწერი გამოუგზავნია ევროპაში საქართველოდან კაპუჩინთა მისიონერების წინამძღვარს 1731 წელს.

ეს ერთი საუკეთესო ხელნაწერი ნაციონალური ბიბლიოთეკისა შეიცავს იმავე ტიპის იერუსალიმის კანონს, რომელიც პროფ. კორ. კეკელიძემ გამოსცა ტფილისში 1912 წ. მაგრამ ამაში ბევრი თვალსაჩინო და საყურადღებო განსხვავებანიც მოიპოვება და ჩვენდა სასიამოვნოდ ეს ხელნაწერი ფოტოგრაფიულად გადაუღია და საყურადღებო გამოკვლევა უძღვნია ბონის უნივერსიტეტის პროფესორს, აწ უკვე გარდაცვლილს დოკტორს Heinr. Goussen-ს: ÜBer georgische Drucke und Handschriften. Die Festordnung und den Heiligenkalender des altchristlichen Jerusalems betreffend, B. Kühlen, München-Cladbach, 1923, SS, 42<sup>4</sup>.

აღ. ხახანაშვილი ხელნაწერის გადაწერის საუკუნეს არ უჩვენებს.

დაბეჭდილი მაკლერის კატალოგი ხელნაწერს აკუთვნებს მე-13 და მე-15 ს., ხოლო დოქტორი გუსსენი მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებს, მაგრამ წერის ხასიათის მიხედვით, ხელნაწერი უნდა ეკუთვნოდეს მეათე საუკუნის დასასრულს ან მეთერთმეტის დამდეგს.

მე-300 ფ. ტექსტში არის მოყვანილი სხვათა შორის (ქარაგმებს ვხსნივთ):

«თუესა დეკენბერსა კა ვსენებაჲ წმიდისა გრიგოლ პართენისაჲ. ფსალმუნი: ჳმაჲ ბ...

თუესა დეკენბერსა კბ ვსენებაჲ რიფსიმესი და გაიანესი და მათთანა მოწამეთაჲ: ყოველი წმიდათაჲ.

თუესა დეკენბერსა კგ ვსენებაჲ სამეუფოსა ქალაქისა კონსტანტინეპოლეს. სატფური წმიდისა ეკლესიისა სოფისაჲ. რომელი აღაშწნა ღმრთის მოყუარემან ისტჳნიანე მეფემან...

ამის შემდეგ ანდერძი გადამწერისა:

დიდებაჲ შენდა ქრისტე:

დაესრულა კანონი

წელიწადისაჲ. განწე-

სებული რიცხუსა

5 თუეთასა რომელი განა-

წესეს ნეტართა და

ღმრთივ შემოსილთა წმიდათა

მოდღუართა ჩუენთა წე-

<sup>3</sup> საინტერესოა ამ დროისთვის ასო «ო»-ს ხმარება «უ»-ს მაგიერ მხედრულ წარწერაში.

<sup>4</sup> ამ წიგნის რეცენზია კორ. კეკელიძისა იხ. საქართ. საისტორიო და საეთნ. საზოგადოების ორგანოში – «მომომხილველში», I, ტფილისი, 1926.

- სისაებრ წმიდისა ქა-  
**10** ლაქისა იწმისა. რომელ-  
 სა ზედა ჩუენ მიერცა შეეპი-  
 (ნა)<sup>5</sup>.  
 რაოდენნიმე კრება-  
 ნი და საჯმარნი გ-
- 15** ულს მოდგინებისაებრ  
 ღმრთისა მოყვარეთადასა:  
 რომელნი აღასრულებთ  
 კანონსა კეთილად მ-  
 სახურნი მღდელნი და
- 20** მოძღუარნი. ყოველივე  
 საჯმარი თითოეუ-  
 ლისა ჟამისაჲ. და  
 რიცხვ საკითხავთაჲ  
 მოგცეს შემდგომმან
- 25** ამან თავად თავად  
 განკარგებულმან: ვითარცა  
 ესე განგვწესებიეს:  
 მე გ: ზატიკსა: დღესა  
 შაბათსა წმიდისა ნინო-
- 30** დსი 1): იანვრისა: 1) ეხლა 14 იანვარს.  
 წმიდისა არჩილისი 2): 2) ეხლა 21 ივნისს.  
 ივნისა: კვ: რაჟდე-  
 ნისა 3: (ივლისა: გ: 3) ეხლა 3 აგვისტოს.
- ამიბოს ეპისკოპ-
- 35** ოსისაჲ 4): აგვისტოსა: ივ: 4) ეხლა 29 ნოემბერს.  
 მეზკამბესი: აგვისტო-  
 სა: კა: სარმეანისი:  
 ოკდონბერსა: იზ: შუშა-  
 ნიკისი 5): ნოემბერსა: დ: 5) ეხლა 28 აგვისტოს.
- 40** იოვანე სტეფანე. და ეს-  
 აია. მართალთა. სა-  
 ფლავისაჲ. დეკენბე-  
 რსა: კ: ესტატი მცხ-  
 ეთელისაჲ 6): 6) ეხლა 29 ივლისს.
- 45** საუკუნითგან ტკ-  
 ბილო ო<sup>1</sup> ო. ორსავე ცხ-  
 ორებასა უმეტეს ა-  
 დიდე მამაჲ სტეფანჲ  
 და მეოხმცა არიან
- 50** წინაშე შენსა. ყოველნი რომელნი შთა-

---

<sup>5</sup> აქ აშია მოჭრილია და ეს ორი ასო აკლია.

- წერილ არიან წმიდასა  
ამას კანონსა შინა ა ნ.  
ცოდვილი მწერალი  
ამის წმიდისა წიგნისაჲ  
55 ლოცვასა მომიჯსენ-  
ეთ ღმერთმან დაგაჯეროს ა ნ.

ზემოთ მოყვანილ ტექსტში გადამწერი თავის სახელს არ უჩვენებს, მაგრამ მისი სახელი და აგრეთვე მამა სტეფანეც მოხსენებულია შუა ტექსტში 237-ე ფ. v. ამრიგად (ქარაგმებს არ ვიცავთ):

«დიდებად ღმერთსა ჩუენსა: დაესრულა კანონნი: ზატიკთაჲ: ქრისტე შეიწყალე: და ადიდე: ნათლი ჩემი: მამაჲ: სტეფანე: დღეგრძელობით: მწერალი მონაზონაი (sic): ლოცვასა: მოიჯსენეთ: ღმრთისა: თჳს».

ეტყობა მამაჲ სტეფანე ფრიად გამოჩენილი პიროვნებაა და ამიტომ მწერალი მონაზონაი მას იხსენიებს მოწიწებით «ნათელი ჩემი»-ო. ვინ უნდა იყოს ეს სტეფანე? ჩვენის აზრით, ის არის სტეფანე სანანოძე ძე ჭყონდიდელი – მეთაუ საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწე (იხ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტ., I, გვ. 177-179).

განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის ზემოთ წარმოდგენილი კალენდარი ქართველთა წმიდანებისა, რომელთა შორის ზოგიერთი სხვა წყაროებში არ იხსენიება. მაგალითად, მეზკამბე, სარმეანი (თუ ეს სარმეან კათალიკოზი არ არის).

ეს კალენდარი თვალსაჩინოდ განირჩევა სხვა ამგვარი კალენდრებისგან და მისი ქართული ტექსტის გამოცემა საჭიროა. გუსსენს, როგორც ეტყობა, შეცდომები შეჰპარვია ფრაზების ამოკითხვაში. თვით დასაწყისი ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ ქართველ წმიდათა ნუსხისა, რომელიც იწყება წმ. ნინოს ხსენებით, მართლად არ არის ამოკითხული, ვინაიდან მის ხსენებას გუსსენი უჩვენებს აღდგომის მეორე სამშაბათს, ნამდვილად კი აღდგომის მესამე შაბათია. დღეები ქართველ წმიდათა ხსენებისა ეხლანდელს არ უდგება – წინათ სხვა ყოფილა. მეორე თვალსაჩინო კალენდარი, რომელშიაც შეტანილია ქართველ წმიდათა ხსენება, დაცულია ერთ სინას მთის კრებულში 956 წლისა და შედგენილია იოანე-ზოსიმეს მიერ. აქ არის ხსენებანი: ახო ტფილელისა (7 იანვარს), მეფე არჩილ ქართველისა (15 იანვ.), კათალიკოზი მამაჲსი (3 მაისს); მანგლისის ჯვარისა (20 მაისს); შუშანიკ დედოფლისა (17 ოკტომბერს); «ყოველნი წმიდანი მოწამენი ქართლს შინა» (11 დეკემბერს); მცხეთის ჯვარი (ზატიკის მესამე კვირიაკეს და მარტვილის შემდეგ ოთხშაბათს)<sup>6</sup>.

ხელნაწერში ბევრია მერმენდილი მინაწერები ძველი მხედრულის ხელით, მაგრამ არა დიდმნიშვნელოვანი ცნობებისა. მინაწერებში შენდობას თხოულობენ:

გიორგი ირემისაძე (ფ. 97 v. ხელი მე-11-12 სს.), მამა ქადაგა, ნავროზა, ცხადა, კახა და არსენალა (ფ. 67, მე-13-14 სს.), კახა და იოვანე (ფ. 244): ხოცეთა (sic) გიორგისა შეონდვენ (sic) ღმერთმან (ფ. 81, მე-13-14 სს.).

97-ე ფ. v. მე-13 საუკ. მხედრულით: ქრისტე გაუმარჯვე გ უ ირულისა.

---

<sup>6</sup> იხ. მარრის წინასწარ მოხსენება მოგზაურობისა სინას მთაზედ, გვ. 41-42. კეკელიძე, ძველი ქარ. ლიტ., I, გვ. 163.

113-ე ფ. ver. მე-12-13 საუკ. მხედრულით:

ქ. კაცი: ოჩინო (sic) იქნება: და ნაწერი საჩინო არს:

107-ე ფ. მე-15-16 საუკ. მხედრულით:

«ქ. ესე წიგნი მოგეც მე დემეტრე. თქვენ ივნს: ამა ორს: კირას: თო კეჭროლს არა წამოვიდე: ანდრიას წ<sup>ე</sup>: და შენ: საქმე არა გა(ვ)მართოთ მერმე ჯარის მომკ<sup>ნ</sup>ბლი: ვარის მოშთა (?): ამის მოწმე დავით არის. მე გადამწერად მყო.

ესე წიგნი მო... ოდეს: ბიძა უფლა: ი<sup>ნ</sup>ეს: დაუწერეთ ყავდა ქალი: ელისაბედ: არსე (sic) რომე დღე და ღამე პირის სგ... ესე წიგნი მისი არის».

ერთი ოთხსტრიქონიანი მხედრული აბდაუბდა მინაწერი მე-14-15 საუკ. მხედრულით ორპირობის წერილს წარმოადგენს ორ მეზობელთ სოფელთა შორის, თუ რამე გაიგონონ (ცუდი) ერთმანეთზე და არ გაამხილონ, პატრონისთვის ასი თეთრი ზღონ. სოფლების სახელები (საბარათაშვილოს სოფლებია) სხვადასხვა სახით წერია:

«ქ: ესე წიგნი მოგაცსენეთ თქნა ხანკელით ბაგეთი ჩენ ლელოელით ხზანდარმა და ჩემთ მეზობელთ...»

ქ: ესე წიგნი მოგაცსენე (sic) თქნ ხორაკელით ბაგეთი ჩენ გელოვნებით არჭულმან და ჩემთ მეზობელთ რაც გაგეგონოს არ გრვიოთ (?) პატრონს თ<sup>ს</sup> ასი თეთრი ვზლოთ».

მეორე ვულგარული წარწერა XVII საუკ. უშნო მხედრულით მოყვანილია 58-ე – 59-ე ფურცლების აშიებზე და ეკუთვნის მართა მონაზონს. ტექსტი სავსეა ზედმეტი ანუ პარაზიტული ასოებით, რომელთაც ჩვენ არ ვიცავთ. ეს და სხვა შემდეგი დროის მინაწერები მოწმობენ, რომ ხელნაწერი საბარათაშვილოში ყოფილა დაცული ბოლო დროს:

«იყო ცოდვილი მონა მღთის მონაზონი მართა ოჯახსა გომტაშაბიშვილისას მონასტერს პატიოსანსა მღთებისას. დაბედა ამიერ სოფელს, ნახა და გასინჯა სიცრუე მისი და შევიდა სენაკთა უღირსი და საწყალობელი წმიდას პატიოსანს ორშაბათს მარხვისას, განმანათლებელს სულთა ჯორცთა ჩვენთა. აღდგომასა მიბრძანეს მოძღვართა მაკურთხეველთა ჩემთა, გამომიყვანეს კვირაცხოვლის საწრამადი (?) ახლა ვერა მაღათითა. მერმე მისის უბიწოს მშობლის იმედითა ამიერის უკუნისამდი. ამა საქმეზე(ე) დამამტკიცოს მღთისაგან. რამაც ადამიშვილმა ამა საქმეზე ჯელი მამიმართოს, იმასაც ყოვლნი უდაოთა მოქალაქენი, მოწამენი და მღდელთ მოძღვარნი, წინასწარმეტყველნი, მოციქულნი და ყოველნი წმიდანი მღთისანი ამ სოფელს დღეგრძელობითა, იმ სოფელსა განსვენებითა. მოძღვარს და სულიერ მამას ნიკოლოზა და პატრონი ჩვენი ბატონი პაპუნა შვილითა და შვილიშვილითა დალოცე, ამა ყოველთა წმიდათა მაღლი შეაწიე ორსავე სოფელსა. ამინ. უწყის უფალმან ერთგულნი ვიყავით თქვენი, რასაც ჩვენი სული გებრალეზათ უპატრონო, ღმერთი დაგიმადლებსთ, უშვილო უძეო შენდობას მიბრძანებდეთ:

ამ წერილში მოხსენებული პაპუნა არის ბარათაშვილი ანუ გოსტაშაბისშვილი, კარგად ცნობილი ჩემს მიერ გამოცემულის მრავალის სიგელებით 1636-1703 წლებისა (საქართველოს სიძველენი, ტ. I, გამოცემა 1, გვ. 118, 132, 139, 354-368). ამის მიერ აშენებულია ამლივის ეკლესია საბარათაშვილოში.

ს ვ ი ნ ა ქ ს ა რ ი თისლისა მონასტრისა<sup>7</sup>, in folio, ეტრატზედ, ერთ სვეტად, მომსხო ნუსხა-ხუცურით, ხელნაწერის მცირედი ნაწილია დაცული. შეიცავს მხოლოდ 87 ფურცელს. ძველი პაგინაცია რვაფურცლიან რვეულებზეა აღნიშნული: თავში აკლია 4 რვეული და მეხუთე რვეულს აკლია კიდევ ერთი ფურცელი. უკანასკნელი რვეული ეხლა მეთხუთმეტეა. ეს სვინაქსარი საყურადღებოა ჩვენთვის განსაკუთრებით მით, რომ მის აშეებზე მრავალი მინაწერია, ეგრეთწოდებული აღაპები და შეწირულობის სიგელები, რომლებშიც იხსენიება სამცხის გვარეულობის პირნი. ყველა ეს მინაწერი ლიტოგრაფიის საშუალებით დართულია ბროსეს მიერ პარიზში 1830 წ. გამოცემულს Chronique Géorgienne-ის ბოლოში, გვ. 113–128. ამავე ხელნაწერიდან არის ამოღებული დავით და კონსტანტინეს ცხოვრება, რომელიც ბროსეს აქვს გამოცემული თავის Éléments de la langue géorgienne-ში, გვ. 268–283. საკვირველია, რომ ალ. ხახანაშვილი არც ბროსეს გამოცემას აღნიშნავს და მინაწერთაგან მარტო ოთხიოდეს უჩვენებს, იმათაც შეცდომებით და ხელნაწერს აკუთვნებს მე-16-17 საუკუნეებს. ამასვე იმეორებს დაბეჭდილი ფრანგული კატალოგიც, მაშინ როდესაც მერმინდელ მინაწერებთა შორის ხელნაწერში ორი დათარიღებულია. ერთი თარიღი უჩვენებს 1446 წელს, მეორე 1518 წ.<sup>8</sup> თუ მერმინდელი ხელით მიწერილი 1446 წ. ეკუთვნის, როგორ შეიძლება ამაზე წინ დაწერილი ხელნაწერი მე-16-17 საუკ. ეკუთვნოდეს! ხელნაწერი ეკუთვნის მე-13-14 საუკუნეებს. საჭიროა ამ მინაწერების შესწორებული მეორე გამოცემა.

#### № 5 (ძველი ფონდით 17)

მ ა რ ხ ვ ა ნ ი, in folio, დაწერილია ეტრატზედ ნუსხა-ხუცურის ხელით, ერთ სვეტად. შეიცავს 292 ფურცელს – თავში და ბოლოში აკლია. პაგინაცია რვეულებზეა აღნიშნული; რვეულში 8 ფურცელია. უკანასკნელი რვეულის სათვალავი ლჭ (38), რომელშიაც 4 ფურცელია დარჩენილი, სულ აკლია 12 ფურცელი: თავში 8 (ანუ ერთი რვეული), ბოლოში 4 (თუ ხელნაწერში სულ მხოლოდ 38 რვეული იყო). ამ წიგნში სამი სხვადასხვა დროს გადაწერილი ხელნაწერია მოქცეული ერთ ყდაში. პაგინაციაც ფურცლებისა ყდის გაკეთების შემდეგ არის აღნიშნული. სამივე ხელნაწერი შეიცავს **მარხვანს** ანუ მის ნაწილს, მაგრამ თარგმნილს არა ერთი ავტორის, არამედ სამი სხვადასხვა ცნობილი ავტორის მიერ. ეს გარემოება დაბეჭდილს კატალოგში აღნიშნული არ არის. ალ. ხახანაშვილს ხელნაწერი არ აღუწერია (წიგნთსაცავში ვერ იპოვნესო, აღნიშნავს). დაბეჭდილი კატალოგი ხელნაწერს საერთოდ აკუთვნებს მე-16-17 სს. ნამდვილად კი, პირველი ნაწილი ეკუთვნის მე-11 სს. ერთი რვეული შუაში მე-12 და მესამე ნაწილი მე-13 საუკუნისაა.

პირველი ნაწილი ხელნაწერისა (1–216 ფურცელი ანუ პირველი კჭ რვეული) შეიცავს დიდ-მარხვანს გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილს და ამ დიდ-მარხვაში მოიპოვება ანდრია კრიტელის დიდი კანონიც. ხელი წერისა ათონურია, მე-

---

<sup>7</sup> სოფელი თისელი ძვეს აწყურის მახლობლად, სამცხეში. მისი დღემდის დაცული ეკლესიის აღწერა იხ. ჩემს შრომაში. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების გამოცემა: მატერიალი პო არხ. კავკაზა. XII, გვ 5–7.

<sup>8</sup> იხ. ბროსეს გამოცემა, გვ. 113, 116.



11 საუკუნისა და ხელნაწერი თვით გიორგის ზედამხედველობით უნდა იყოს გადაწერილი და ბოლოში ანდერძი ყოველ შემთხვევაში მისი ხელით არის დაწერილი.

ამ პირველს ნაწილში ადგილ-ადგილ გადასული ტექსტი განახლებულია. მეორე ფურცელზე ეხლანდელის ნაკლულის ტექსტისა ასეთი სათაურია:

«ჯორციელისა შაბათსა კსენება საუკუნითგან შესვენებულთა მამათა და ძმათა ჩ<sup>-</sup>ნთა: ჯ<sup>-</sup>დ: ა: შ<sup>-</sup>ნ მხ<sup>-</sup>ყა და:»

აქედან დაწყებული აღდგომის კვირის გათავებამდის მთლად არის წარმოდგენილი მარხვანი.

127-ე ფ. ასეთი სათაურია ტექსტისა: «მასვე დღესა დიდნი გალობანი სინანულისანი თქმულნი ანდრეა კრიტელისანი რომელი იყო ი<sup>-</sup>წლიმით ჯ<sup>-</sup>ა: გ: რ<sup>-</sup>ნ წამის ყოფით.

138-ე–139-ე ფ. ტექსტში სინგურით წერია:

სახელითა: ღმრთისაფთა: ესევე: დიდნი: გალობანი: ანდრეა: კრიტელისა: თქმულნი: და ჩუენ (ჩ<sup>-</sup>ნ): გიორგი: მთაწმინდელისა: მიერ: მეორის: გუერდსა (გ<sup>-</sup>რდსა): აღწერილნი:

154-ე ფ. ver. თავდება გიორგი მთაწმინდელის თარგმნილნი გალობანი ანდრეა კრიტელისანი და აქ შუა ტექსტში ასომთავრულით იწყება გიორგი მთაწმინდელის ანდერძი. სასვენი ნიშნები ანდერძისა ორ-ორი წერტილი, ხოლო ზოგჯერ ორ-ორი წერტილი ხაზით შუაში-: ნიშნები შესრულებულია სინგურით. ორ-ორი წერტილის მაგიერ ჩვენ ვტოვებთ თითო წერტილს და სადაც ორ-ორი წერტილია ხაზით შუაში, იქ ვტოვებთ მარტო ორ წერტილს. ქარაგმებს ვხსნით:

«ესე დიდნი. გალობანი. წმიდასა. მამასა ეფთჳმის: სავედრებელისა. პირსა ზედა. ეთარგმნეს: და მეტნი სახის მეტყოველებანი. და სახელნი დაეტევენს. ვითა გონებისა შემექცეველნი. და ძნიად. გოჯლის ჳმის საყოფელნი: ვითა ჩუენცა დაგოჯწერიან. თოჯსა (sic) ადგილსა. მადლითავე მისითა: კეთილად. და შოჯნიერად: და ბრწყინვალედ:

შემდეგ ფრიად წვრილის ნუსხა-ხუცურით, როგორც ჩვეულება იყო გიორგი მთაწმინდელისა:

ვინაფთგან კულა: სახიერებამან ღმრთისამან: ღირს მყო მე გლახაკი გიორგი: ხუცეს მონაზონი: მარხვათა და ზატკთა: სრულებით თარგმნად: და წიგნი შეჳმზადა. განმანათლებელი. კათოლიკე ეკლესიისა: რომელ ჳემმარტად: სწორია მისი: არცა ბერძენთა თანადა იპოვების: არცა ქართველთა: მამა (sic) შეუძლებელ იყო ჩუენგან: ნაკლულევეანებისა რაჲსმე დატეობაჲ: რომელი არა შუენოდა; ამის წმიდისა გვრგჯნსა შემკობასა: ამისთჯს: იგივე დიდნი გალობანი: კულად ფრიადითა შრომითა: მეორის გუერდსა ვთარგმნენ: ვითა ბერძნულად არიან: და ვით წმიდასა ანდრეას: სახის მეტყველებანი: და სახელნი. ძუელთა: და ახალთა: წერილთაგან. ეკსენნეს: ვაჯსენენ: და სრულიად. და შუენიერად: სრულყო: ყოვლად ძლიერმან. ღმერთმან:-

ხოლო ვინაფთგან: წმიდასა მამასა ეფთჳმეს: სხუასა პირსა. ზედა აღწერნეს: და წმიდა ანდრეას. სხუასა: რავოდენნიმე (sic): დასდებელნი: და მე ვერცა. წმიდისა მამისა. ეფთჳმესსავით: დავაგდებდი: ვერც წმიდისა ანდრეაჲსსა: ამის პირისათჯს: უმრავლესი ძალი შემოვიდა: და უმრავლესი დასდებელი: ფსალმუნთა შინა: და

საჭირო იქმნა მუკლთა: წურილადრე: დაჭრად: გარნა ვესავლა: რომელ. დაღაცათუ: დასდებელი გამრავლებული: გარნა არა: საწყინო [არ]ს<sup>9</sup>: არამედ ყოვლად. შუენიერ. და სამგზის. საწადელი:-

ხოლო შენ ღმერთის მოყუარეო: იგიც გქონან. და ესეცა: რომლითაცა (რ<sup>-</sup>ლთაცა) აშენდებოდი: მასცა გალობდი: და ჩუენთვს ლოცვა ყავ: რადთა (რ<sup>-</sup>ა) უფალმან (ო<sup>-</sup>ნ) შემინდვნეს. აურაცხელნი. ცოდვანი ჩემნი: სხუად კულა ყოველი. განგებად. ამათ. გალობათად: ო<sup>-</sup>ო ღ<sup>-</sup>ლდყვი. და აქებდითი: და წარდგომად. და ხუედრნი. და სტიქარონნი: უკუნა თავის თავის. ადგილსა. ჰპოვნე. და მუნით ბრძანენ: ჩუენ თვთ იცის უფალმან: რომელ არა ვაგონებდით. თუ სიკუდილმან გუაცალოს. ამის წიგნისა სრულ ყოფად. და ძალი ფრიადი. და სივრცე. წმიდისა ამის წიგნისა. ერეოდა უძლურებასა ჩუენსა. ვინადთგან კულა სრულ ყო ღმერთმან: ყოველივე განგებად. მარხვათა და ზატკთად; მაშინლა კელყავი თამა წმიდათა; და ყოვლად შუენიერთა: გალობათაცა აღწერად: ხოლო შენ ქრისტეს მოყვარეო: ამას ჩუენსა დაწერილსაცა დასწერდი: და ჰმადლობდი ღმერთსა. და ადიდებდი: რომელმან უნაყოფოთაგან და უღირსთა. ესე ვითარ ტკბილი. და სურნელი: ნაყოფი გამოგცა: და უსაზღვროდ. იგი ძლიერებად მისი. უძლურებისა ჩუენისა მიერ სრულ ყო. ვითარცა თვთ. ბრძანა. პირითა მით უტყუველითა: რომლისა არს დიდებად. თანა მამით და სულით წმიდითურთ: აწ და მარადის. და უკუნით: უკუნისამდე. ამინ:-»

გიორგი მთაწმინდელის ტექსტს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აკლია ბოლოში. ეხლა უკანასკნელი სიტყვებია:

«მთაჰკედ ქუესკნელთა ქუეყანისათა და შემუსრენ მოქლონნი საუკუნენი»...

216-ე ფ. წითლურით წერია ტექსტის ხელით:

იგივე გალობანი:

«ჩუენისა: უნდოდა: გულის ჳმის ყოფისაებრ: ორნივე: წ<sup>-</sup>ე: დაუსხმანილა: რომელნიცა ჯერ გინჩნდენ: გალობდით: უგ<sup>-</sup>ა: ჳი: დ:-»

ამ პირველ ნაწილში ხელნაწერისა მოიპოვება ერთი მინაწერი მე-16 საუკუნის მხედრულით 22-ე ფურცლის აშიაზე verso:

ღმერთო: ადიდე: ორთავე: შინა: ცხორებასა: პატრონი: ორაჟავნდა: სიმრავლესა შინა: ჟამთასა: ამინ: და კირიალესონ:

ორაჟავნდა და ორაჟავნდაშვილები სამცხე-საათაბაგოს დიდებულები იყვნენ და ერთს მათგანს ქაიხოსრო ორაჟავნდაშვილს ათაბეგმა ქაიხოსრო II და მისმა ცოლმა დედისიმედმა 1578 წელს მიათხოვეს თავიანთი ქალი თამარი, რომელიც შემდეგ, 1583 წელს ვახტანგ გურიელს მისთხოვდა და ბოლოს 1592 წელს მანუჩარ დადიანს (იხ. რუსული თარგმანი ჩემი სამი ხრონიკისა, გვ. 203. შენ. 2). ალბათ, ამ ორაჟავნდაზეა აქ საუბარი.

მეორე ნაწილი ხელნაწერისა შეიცავს ერთს რვეულს მეკთ (ფ. 217-222), დაწერილია სულ სხვა ნუსხა-ხუცურით მე-12 საუკუნისა და წარმოადგენს გაგრძელებას თუ შევსებას წინა ნაკლულოვანის ტექსტისას საზოგადოდ, თორემ ისე, სიტყვასიტყვით შეწყვეტილ ტექსტს არ უდგება. ეს არის მიმატებული არსენ ბერის, დავით აღმაშენებლის მოძღვრის თარგმანიდან, რაც ჩანს ამ რვეულის მეორე ფურცელზე სინგურის სათაურიდან:

«გ<sup>-</sup>ლზნი მეორედ მოსლვისანი: შედარებ<sup>-</sup>ლნი თარგმნთნი არს<sup>-</sup>ნი: ბ<sup>-</sup>: გ<sup>-</sup>ი: შემწე და მჳ დღეს გ<sup>-</sup>ნსაკრთომელსა».

<sup>9</sup> ამ ასო «ს»-ის წინ ორი თუ სამი ასო ამოფხევილია. უნდა იყოს: ანუ «არს» ანუ «იყვს».

ამ მეორე ნაწილს აქვს სათაური:

«იწყე აქეთგ<sup>ნ</sup> სტრიქონნი მარხვათანი მეზვერისა და ფარისევლისა კვირიაკითგან: და სრულ იქმნებიან ნათლით შემოსილსა კვირიაკესა: კ<sup>ნ</sup>: ა: ეჰა დიდებ<sup>ლი</sup>:»

ტექსტი რვეულისა იწყება ჯორციელის შაბათიდან და თავდება ყველიერის ხუთშაბათით. და ჩვენ ვიცით, რომ ჯორციელის შაბათის საგალობელი და ყველიერის ხუთშაბათისა უთარგმნია არსენ ბერს, დავით აღმაშენებლის მოძღვარს (კ. კეკელიძე, ძველი ქართ. ლიტერატურა, I, გვ. 321).

რვეულის ბოლოს 222-ე ფურ. verso წერია ტექსტის ხელით:

«მკითხველნო ჩ<sup>მ</sup> ცდვილისათ<sup>ს</sup>ცა ლც<sup>ვა</sup> ყ<sup>ვ</sup>თ»:.

მესამე ნაწილი წიგნისა იწყება 30-ე რვეულით (ფ. 223–292), დაწერილია სხვა ეტრატზედ მე-13 საუკუნის სულ სხვა წვრილი ნუსხა-ხუცურით. ეტრატი წარმოადგენს პალიმპსესტს, რომელზედაც წინათ წერებულა ასომთავრული ტექსტი (ფ. 249–292).

ხელნაწერი შეიცავს არსენ ბერის მიერ თარგმნილს მარხვანს ანდრია კრიტელის დიდი კანონითურთ, რომელიც მას უთარგმნია დავით აღმაშენებლის ბრძანებით. ეს ნაწილი წიგნისა გადაწერილი უნდა იყოს ვინმე ოქროპირის მიერ, რომელიც მოხსენებულია ანდერძის ბოლოს (ფურცელი 248) მინაწერში:

«ქ<sup>ე</sup> ლ<sup>ო</sup> შ<sup>ე</sup> ს<sup>ლი</sup> ოქროპირისაჲ ა<sup>ნ</sup>»:.

ერთ ადგილას ტექსტში ეფრემ მცირის თარგმნილი საგალობელიც არის მოყვანილი, რომელსაც მიუძღვის ასეთი სათაური (ფ. 273) წითლითურთ:

«ახლად თარგმნილი უსაკუთრესითა სიტყვჯთა ეფრემის მიერ ბრძანებითა ბერისა ანტონი ტბელისაჲთა».

შემდეგ მოყვანილია ეფრემის თარგმნილი საგალობელი<sup>10</sup>.

მერმინდელი ხელით მინაწერი ამ მესამე ნაწილში ხელნაწერისა იპოვება მხოლოდ 231-ე ფ. v. ხუცურით:

«ქ. ქე: ლ<sup>ო</sup> შ<sup>ე</sup>:. ნავროზ: მელღლე: მისი: გულიგ. მის შვილს: მიდიჩ: შ<sup>დ</sup>ს: ლ<sup>ნ</sup>: ა<sup>ნ</sup>: ა<sup>ნ</sup> კ<sup>ნ</sup>:».

ამ ნაწილს ხელნაწერისა თავი აკლია და ტექსტი ეხლა იწყება შემდეგის სიტყვებით:

«სამთა ყრმათა ც<sup>ც</sup>ხლი მძაფრი ს<sup>კ</sup>მილისჲ დაშრიტეს.

რ<sup>ლ</sup>თა იგი თ<sup>ა</sup> ჩ<sup>ნ</sup>ცა მის მ<sup>რ</sup> გც<sup>ხ</sup>ვნე ქ<sup>ე</sup> ლ<sup>ო</sup> ვ<sup>ა</sup>

კ<sup>ც</sup>თ

მ<sup>ყ</sup>რე ხ<sup>რ</sup>:.

საზოგადოდ ტექსტი ამ ნაწილში იწყება ყველიერის ხუთშაბათით.

237-ე ფ. v. ტექსტს წითლითურთ ასეთი სათაური აქვს:

«მეხუთისა შჯდეულისა ხუთშაბათსა სტიქარონნი სინანულისანი. მწუხრი. უწინარეს დიდთა გოლგოთასა. ბერძულსა ანბანსა ზ<sup>ა</sup> ჩავლენ. ვ<sup>რ</sup> ესე თითოეულისა მხ<sup>ლ</sup>ისა და თ<sup>ა</sup> დაგკსუმს ასოჲ თ<sup>სი</sup>:»:

248-ე ფ. v. ტექსტის ხელით, მაგრამ უფრო წვრილი ნუსხურით წერია ასეთი ანდერძი:

---

<sup>10</sup> საუბარია ეფრემ მცირეზე და მის სულისჩამდგმელზე ანტონ ტბელზე (კეკელიძე, ძველი ქართ. ლიტ., I, გვ. 107, 256, 262, 271-272).

«ვინაძთგან წმიდათა მამათა და დიდთა მნათობთა ჩუწნდა (ჩ ნთა): ეფთიმეს და გიორგის: მთაწმიდელთა ორგზის ეთარგმნეს წმიდისა ანდრეა მღვ-დელ მთავრისა მიერ აღწერილი ესე დიდნი გალობანი და პირველსა მას მეტად შეემოკლნეს რომლისადასა წერილისა სახისმეტყველებანი ყოვლად დაეტევენს. და ნაცვლად მათდა. სინანულისა დასდებლები (დს ბლბი) შეემატა. ვითარცა მხოლოდ სულთა სარგებლისა ხოლო. და არცა წიგნთა ძალი სიტყუა (ს ტა) უცთომელობისა მეძიებელისა. ამას თანა (ამ ს თ ა). მისაგანცა თვისისა (თვს სა). და ძილის პირთაგან. შეეცვალნეს. ხოლო მეორესა განერცვენეს რამეთუ წმიდისა თქმული ყოველი სრულობით ეთარგმნა და მამისა ეფთვიმეს შემატებულნი იგი დასდებელნი არავე დაეტევნა. ვითარცა თვთ აღიარებს. დაღათუ ჳ ა არა შეეცვალა. გარნა თვისთა ძილის პირთა ზედა თარგმნაძ არცა მას გულს ედგინა: ესრეთ მძიმედ რადმე ტვრთად ზედა ესხნეს ორნივე იგი ყოვლისა საქართველოდასა ეკლესიათა. ამისთვს მე უ-ღირსმან მონამან საღმრთოდასა მონებისა ღირს ქმნულთამან მდაბალმან მონაზონმან არს ენი ვიკადრე მესამედ თარგმნაძ ამათ. უცვალეზლად თვისისა ჳმისაგან თვთ მათვე ძილის პირთა რ ა მათთა რომელთა ზედა წმიდასა ანდრეას ბერძნულად აღეწე - რნეს. ბრძანებითა და ჯერჩინებითა. კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცულისა დავით (დ თ) აფხაზთა და ქართველთა და რანთა. და კახთა მეფისადათა. რომელმან მე თარგმანებისა. ხოლო წმიდასა მწყემსთა მწყემსსა. იოანეს (ი ნეს). ქართლისა<sup>11</sup>: კათალიკოზსა. ვითარცა კეთილად მორთულსა ორღანოსა ჳელოანთა მთავარსა სულისსა. ჳმისაძ დადებასა ჳელყოფაძ გვბრძანა ვინაძთგან უცხო იყუნეს ენის ჩუწნისაგან. ძლისპირნი ამათნი რომელი ესე ორივე სრულყო მოხედვამან საღმრთომან და მეოხებამან ყოვლად უხრწნელისა ღმრთი-ს მშობლისამან. და უზაკველი და შეურყეველი ჳეშმარიტებაძ. წინა დაუყო ყოველთა ტრფიალთა სიტვსათა. და მოსურნეთა ჳეშმარიტებისთა. ხოლო კნინ სიტყუათა და ქუწმეთრვეთა სასწაული სიტყვს საცილობელი. რომელსა შინა რადთურთით არა რაძ ჳრთავს ჩემი. თვნირ ცთმოლებისა. ხოლო კეთილი რომელიცა არს. ყოველი შემდგომად ღმრთისა და საღმრთოთა (ს ლ თ თა) დიდისა მეფისა და წმიდისა თვთ მპყრობელი-სა ჩუწნისა და მისისა გულს მოდგინებისაძ არს. რომლისანი მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი. და საუკუნო კურთხევაძ.»

263-ე ფ. v. ტექსტის ხელით და სინგურით წერია:

«გალობანი წმიდისა და დიდისა ხუთშაბათისნი რომელთა თავნი იტყვან ბერძულეზრ:

გრძელსა მეხუთესა გრძელსა გალობასა ვგალობ»:

ასეთია შინაარსი ამ ფრიად ძვირფასი კრებულისა, რომელშიაც მოიპოვება დიდმარხვანი და ანდრია კრიტელის დიდი კანონი ანუ დიდნი გალობანი, რომელნიც პირველად უთარგმნია ეფთვიმე მთაწმინდელს, მაგრამ მას გამოუშვია სახისმეტყველებანი ანუ ალლეგორიული ახსნანი სამღთო წერილისანი და

---

<sup>11</sup> ეს სიტყვა მარტო ასო «ქ»-ით არის წარმოდგენილი.

სამაგიეროდ შეუტანია შიგ, თავის მხრით, რაოდენიმე დასდებულნი ანუ სინანულის საგალობელნი, ამასთანავე საგალობელის ხმანიც შეუცვლია. გიორგი მთაწმინდელს სრულად უთარგმნია დიდმარხვანი და ანდრია კრიტელის საგალობელნი, მაგრამ ეფთვიმეს ავტორიტეტით შეპყრობილს ვერ გაუბედავს ხელი ეხლო შემატებათათვის და ისინი სრულად დაუტოვებია. ამით ეს წიგნი გაზრდილა, დამძიმებულა, დედანს დაშორებია და, არსენ ბერის თქმით, მძიმე ტვირთად დასწოლია საქართველოს ეკლესიას. ამას უნდა დავუმატოთ კიდევ, რომ გიორგი მთაწმინდელს თუმცა ხმანი არ შეუცვლია, მაგრამ ქართული გალობისათვის ვერ შეუფარდებია. ამიტომ მეფე დავით აღმაშენებელს უბრძანებია ცნობილი მეცნიერის და მისი მოძღვრის არსენ ბერისთვის მესამედ შეუცვლელად ეთარგმნა ეს წიგნი, ხოლო ქართული გალობის უაღრესად მცოდნე ხელოვანის, ქართლის კათალიკოზ იოანესათვის დაუვალებია ქართულ კილოზე გაეწყო საგალობელნი, ვინაიდან ბერძნული გალობა არ ეწყობოდა ქართულს. ამ საყურადღებო მოწმობით, როგორც სამართლიანად შენიშნავს ნ. მარრი, იხსნება თეორია ქართული გალობის ბერძნულიდან წარმოშობისა. ამ ხელნაწერის შემცველი ცალი, რამდენადაც ვიცით, ტფილისის მუზეუმებში არ მოიპოვება, მაგრამ დაცული ყოფილა სინას მთაზე № 70 (იხ. ნ. მარრის წინასწარი მოხსენება სინას მთაზე მოგზაურობისა (გვ. 42) და მისივე ისტორიული მიმოხილვა ძველი ქართული ეკლესიისა (ცერკოვნია ვედომოსტი, 1907 წ., №3, დამატება, გვ. 141–142; კეკელიძე, ძველი ქართ. ლიტ., I, გვ. 230–320). მაკლერის კატალოგში ხელნაწერი სვინაქსარად არის ცნობილი.

#### № 6 (ძველი ფონდით 18)

ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ი მ ა რ ტ ი ს თ ვ ი ს ა თ ვ ი ს დაწერილია ეტრატზედ ნუსხა-ხუცურით, ერთ სვეტად, პატარა ტანისა in 16ll. თავში აკლია ერთი რვეული ანუ 8 ფურცელი, აკლია ბოლოშიც. უკანასკნელი რვეული მეთვრამეტე სრულია. ტექსტი მოყვანილია 25 მარტამდის, დაცულია 138 ფურცელი. საგალობლები სრულად არის წარმოდგენილი მარტის ოთხიდან ოცდახუთამდის. ხელი მე-12-13 საუკუნის არის. ალ. ხახანაშვილი დროს არ უჩვენებს. ფრანგულს კატალოგში ნაჩვენებია მე-17 საუკუნე.

დასაწყისი ტექსტისა:... გ ლ ბით შევასხმიდეთ. რ თა დაწუწს უღთ ბისა ნივთი ღის მსხრბით. და იგი გ ნთლებ ნ ყ ა ს ფლსა. ღ თივ შ ნ რ დ. ვ ა მნათობნი ყ დ ბრწყინვლენი. ბოლო: რ ჩმდა. სახედ აღივსო ცუართა. საწ მისი გედეონისი. თვნიერ ჰერთაჟსა. და კ დ სამნი ყრმანი. სახედ ჩ მდა დაიცვნა საჰმლ მნ. და აწ. განწმედილითა. ს ლითა...

#### № 7 (ძველი ფონდით 20)

ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ი ი ვ ლ ი ს ი ს თ ვ ი ს ა (და არა ივნისისა, როგორც უჩვენებს კატალოგი), ეტრატზედ ნუსხა-ხუცურით, ერთ სვეტად, შეიცავს 61 ფურცელს in 4ll პატარა ფორმატისა. თავში და ბოლოში აკლია. ტექსტი იწყება 8 ივლისიდან, თავდება 31 ივლისით. მაგრამ ამ დღის საგალობელნი სრულად არ არიან დაცული. ეს ხელნაწერი ნაწილია დიდი ხელნაწერისა, რომელსაც თავში აკლია 23 რვაფურცლიანი რვეული. იწყება 24-ე რვეულიდან. ამ რვეულს თავში აკლია ერთი ფურცელი. უკანასკნელი რვეული ოცდამეთერთმეტეა, რომელსაც აკლია ბოლოში ორი ფურცელი. ხელი მე-12-13 საუკუნის არის. დაბეჭდილ კატალოგში ნაჩვენებია

მე-7 ს. 47-ე ფურცლის ნახევარია დაცული მერმინდელი ხელით მინაწერი 58-ე ფურცელზე v. მე-14 ს. მხედრულით:

ამა: ყლთა: წამიდათა მდლითა: იოვანესა: და მშობელთა: მისთა: შეუნდავენ: ღთმან: ამინ: ამინ:

59-ე ფურცელზე v. მე-13 საუკუნის მხედრულით:

ქ: პირველად: ცხოვრებაი: და: შემდგომად წამებაი: ყლად ქებოლისა: და: სამგზის: სანატრელისა...

#### № 8 (ძველი ფონდით 19)

ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი ი ვ ლ ი ს ი ს თ ვ ი ს ა. ეტრატზედ, ერთ სვეტად, ნუსხა-ხუცურით in 4<sup>0</sup>, შეიცავს 102 ფურცელს. ტექსტი იწყება პირველი ივლისიდან და თავდება 31 ივლისით, მაგრამ უკანასკნელი დღის ტექსტი დამთავრებული არ არის, ცოტა აკლია. უკანასკნელ მეცამეტე რვეულს ერთი ფურცელი აკლია. ხელნაწერი მე-12 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. დაბეჭდილ კატალოგში მე-17 საუკუნეა ნაჩვენები.

96-ე ფურცელზე r. მხედრულად წერია:

ქ: ადიდე: ღმერთო: ბატონი: კოზი: დიასამიძე: იოვან.

69-ე v.-72 r. მოყვანილია საგალობელნი ბარალამ კავკასიელი-ს:

ივლისსავე ოცხა წი-სა ბარალამ კავკასიელი-ს: ა: გ-ი: გზ-ნი საჭურველი პ-ტიოსნისა. ჯ-ა შეიჭურე ნტ რო ბარალამ და მადლი, სლი-სა მობილე და მტერთა მძლე იქმენ<sup>12</sup>...

31-ე ფურ. r.-32 v. თ-ა ივლის-სა: თ: წ-სა ბაგრატ მოციქულთა სწორისა ტავრომანელთა. მდღით მძღ-რისდ.

#### № 9 (ძველი ფონდით 21)

თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა დ მ ა თ ე ს ს ა ხ ა რ ე ბ ი ს ა დ ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა დ, ნათარგმნია ექვთიმე ათონელის მიერ, in folio, დაწერილია კარგ ეტრატზედ ლამაზის ნუსხა-ხუცურის ხელით, ერთ სვეტად. თავში და ბოლოში აკლია. დაცულია განმარტებანი მე-12 თავიდან მე-19 თავამდე. შიგადაშიგ ფურცლები აკლია. ტექსტი სახარებისა ზოგჯერ სინგურით არის მოყვანილი. ტექსტების შემდეგ, აქა-იქ, ტექსტისავე ხელით და სინგურით მოხსენებულია **ლეონტი მროველი**. მაგალითად, მე-11 ფურ. v.:

ქ-ე აკურთხე ს-ლითა. ლეონტი. მრუელ. ებისკოპოსი ა-ნ:.

34-ე ფურ. r.: ლეონტი ადიდეო ო-ო ღ-ო.

65-ე ფურ. r.: ქ-ე მეუფე ყ-ლთა ს-უკნთო. დაიცევ ს-ლიერად და კორ-ციელად. ლეონტი მთავარეპისკოპოსი ან:.

116-ე ფურ. v.: ქ-ე ადიდე ლეონტი ა-ნ:

121-ე ფურცელზე ქვემოთ აშიაზე მხედრულად:

უფალო: შეიწყალე: ტფილელ: ყოფილი: ონოფრე: ერისთავი: ძე (sic). ონოფრე (ხელჩართულად)<sup>13</sup>.

---

<sup>12</sup> ბარალამ კავკასიელის ცხოვრება, იხ. ნ. მარრი, ზაპისკები რუსულ არქეოლ. საზოგ. აღმოსავ. გან. ტ. 13, გვ.109-114.

ხელნაწერი ეკუთვნის მე-11 საუკუნეს. ამ საუკუნეში ცხოვრობდა ლეონტი მროველიც<sup>14</sup>. ალ. ხახანაშვილი დროს არ განმარტავს, არც ერთს მინაწერს არ უჩვენებს. მაკლერით ხელნაწერი ეკუთვნის მე-16-17 სს.

## № 10 (ძველი ფონდით 7)

ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი, in folio, დაწერილია ქალაქდზე მხედრულის ხელით მე-18 საუკუნისა. ყდა აქვს სპარსული რიგისა. შეიცავს 258 ფურცელს. ამათში 249 უჭირავს ვეფხის-ტყაოსანის ტექსტს თავისი გაგრძელებით და გადამწერის ბოლოსიტყვაობით. შემდეგ სამთვარიო (251–258), სხვადასხვა ლექსები (257–258); შემდეგ მრავალი დაუწერელი ფურცელია და ბოლოს ცალკე აღნიშნული სათვალავით 7 ფურცელი შეიცავს რიცხვების გამოხატვას ქართული ანბანით, ნაჩვენებია, რომელი ანბანი რომელ რიცხვს აღნიშნავს (ფ. 2); სხვადასხვა ავადმყოფობის წამლისა რეცეპტები (ფ. 3–4), შემდეგ თათრული ლექსები მხედრული ასოებით დაწერილი (ფ. 5–7).

249-ე ფურცელზე v. გადამწერს შემდეგი ბოლოსიტყვაობა აქვს:

ქ: ესე: ლექსი: აღამა: გარდმოწერა: რომ: არის: ბეჟოას ქალი(ა) ცოდვისგან: ვიტანჯვი: მიშველეთ: ვინც: ხართ: სომხის: შვილია ადრე: წავიდეთ: სამოთხეს: შემოვიხვეწოთ: მარიამის: შვილია და: ცოდვისგან: მალ: ნუ: მომკლავს: ვიაჯი თუ. თვის: დედის შვილია

ვახსენოთ დამბადებელი: ღ-მერთი: არსისგან: ქებული

წამის: ხანს: შექმნა: ქვეყანა: არვისგან: დაწუნებული

ადამ: და: იევა: დაბადა. კაცთაგან: შედარებული

და: ანგელოზთ: დასი: შეამკო: ეშმაკი: შექმნა: ვნებული

და: ესე: წიგნი: არის: სამასი: რვა: არის: დაიწერა (sic):

შამახის: წიგნი: იანვრის. იე. გასულსა: ქ-კს ტყ:.

წინანდელ წაშლილ ამოფხევილ სიტყვებზედ სწერია ჯვარიანს სამკუთხედში:

ქ: მე: ცოდვილი: ყაზანთ: ბეჟოას: ქალამა: დამიწერია: ვეფხის: ტყაოსანი: ვინცა: გამოასწერას: შენდობა: მითხრას: მე:

ქორონიკონი ნათლად დაწერილი ტჟ უდრის 1702 წელს. დაბეჭდილ კატალოგში ავტორს ასო ჟ ნი ზ-ად მიუღია და ამ შეცდომით აიხსნება, რომ ხელნაწერს 1619 წელს მიაკუთვნებს. რომ ხელნაწერი მეთვრამეტე საუკუნეს ეკუთვნის, ეს გარდა წერის ხასიათისა იმითგანაც ჩანს, რომ ქალაქდის ნიშანი, ფილიგრანი, წარმოადგენს ღერბს ორი ლომით აქეთ-იქით და ქვემოთ უზის ლათინური ასოები AJ, მეორე ფურცელზეა ID.

<sup>13</sup> ონოფრე, იოანე ნათლისმცემლის წინამძღვარი, მოხსენებულია ხელნაწერთა მინაწერებში 1697 და 1705 წლებში. იხ. თ. ჟორდანი, კატალოგი საეკლ. მუზ. I, გვ. 122, 200.

<sup>14</sup> ჩვენის აზრით, ეს უნდა იყოს ის ლეონტი მროველი, რომელიც არის ავტორი ქართლის ცხოვრების დასაწყისის «მეფეთა ცხოვრებისა», ამავე «ქართლის ცხოვრებაში» ჩართულის «წმიდა ნინოს ცხოვრების ვარიანტისა» და «არჩილ მეფის წამებისა». იხ. მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრების ვარიანტი, გვ. 211; ივ. ჯავახიშვილი, «ძველი ქართული საისტორიო მწერლობა», 1, 113, 262; კეკელიძე, «ძველი ქართული ლიტერატურა», 1, 238–241. ლეონტი მროველი მოხსენებულია კიდევ ერთს ივერიის მონასტრის ხელნაწერში № 65 (ნ. მარო, ზაპისკი... ტ. 13, გვ. 84).

ხელნაწერის პირველ გვერდზეც არის იგივე წელი აღიშნული ოთხსტრიქონიან წარწერაში, რომელიც შემდეგ წაუშლიათ, მაგრამ ქორონიკონი ტჟ კარგად ჩანს. ეს წარწერა ტექსტისავე ხელით არის შესრულებული და შეიძლება საზოგადოდ მისი აღდგენა:

ქ.: დაიბადა: ქალაქსა: ღამით (?) ფახოას: (?) ქალი:.  
ელენე: მარტისა: ათი: გასული: დღე:.  
ნავრუზი: შავთიას: (?) დილას: მთვარეს:  
ექვსი: გასული: ქ კს: ტჟ):

ხახანაშვილსაც ქორონიკონი წინათ მოხსენებულ ტზ-ანად წაუკითხავს (1619), ლექსი და მინაწერები არ მოჰყავს.

ტექსტი ვეფხისტყაოსნისა ამ ხელნაწერში ძლიერ გარყვნილია. გადამწერი სომხის ქალი ვერ ყოფილა დახელოვნებული ქართულში, ხელიც უშნოა. ამიტომ -სამართლიანად მიუწერია ვიღაცას პირველ გვერდზე წიგნისა: დიად ცუდი ვეფხისტყაოსანია. არც მეთვრამეტე საუკუნეში ყოფილა მოსაწონი ეს ვეფხისტყაოსანი: 112-ე ფურცლის აშიაზე v. მერმენდელის ხელით ასეთი მინაწერია:

მე. იოანემ. სარდლის. შვილმა. ვნახე. მინდა. მეყიდა. და. აღარ. ვიყიდე. 1723. იოანე (ხელჩართულად 113-ე ფურცელზე).

ამრიგად, ეს ვეფხისტყაოსანი გადაწერილია შემახიას უვიცი სომხის ქალის მიერ 1702 წელს.

#### № 11 (ძველი ფონდით 24)

ნაკლული ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი ვახტანგის მიერ დაბეჭდილი ტფილისში, 1712 წელს. ყველა ნაკლული ტექსტი შევსებულია ხელნაწერით ლიბერ ქალაღდზე, ნუსხა ლამაზის მხედრულით in folio, ქართული ტყავგადაკრული ყდით. სულ 172 ფურცელი, უმეტესი ნაწილი ხელითაა ნაწერი მე-19 საუკუნის დასაწყისში. ბოლოს უწერია:

სრულ იქმნა წიგნი ესე ყ-ის ზნეობებით სავსე, რომელიც ივერიელთა შ-ს იპოებიან. დემეტრე (ეს სიტყვა ჩართულად წერია).

#### № 12 (ძველი ფონდით 8)

ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი in 4], გაკრული ნუსხა მხედრულის ხელით ლიბერ ქალაღდზე, შეიცავს 120 ფურცელს უბრალო კარტონის ყდაში. გადაწერილია 1811 წელს, რაც ჩანს ბოლო მინაწერიდან: დიდება ღთ-სა ყ-ლთა მასრულსა:

სრულ იქმნა ჴელითა იოანე იალღუზის ძისათა: -  
აპრილის 21. წელს 1811.

ფრანგული მინაწერი წინა ფურცელზე უჩვენებს, რომ ხელნაწერი შეუწირავს ბიბლიოთეკისათვის გამბას 17 ნოემბერს 1824 წ. გამბა საფრანგეთის კონსული იყო ტფილისში.

#### № 13 (ძველი ფონდით 9)



ო მ ა ი ნ ი ა ნ ი ანუ ამბავი პირველი ტარიელის შვილის სარიდანის ძის ომან ჭაბუკისა, რომელიც ამბავი ესე ზედ მოებმის ამბავსა ვეფხის-ტყაოსნისასა, ლექსად და პროზად.

მხედრული ხელნაწერი in 4ll, 20,5X16 სანტ. დაწერილია ქალაქდზე მომრგვალო მხედრულით, შეიცავს 91 ფურცელს, ყდა კარდონისაა, მიხაკისფერ ტყავადაკრული, სრულია, გადაწერილი დავით რექტორის მიერ 4 თებერვალს, 1782 წელს. სათაურები წითლურით არის ნაწერი. ბოლოში შემდეგი ლექსები და ბოლოსიტყვაობა არის დავით რექტორისა:

ჩემი თქმული შაირი მაჯამად. და თავად კიდურ-წერილობადვე. ჩემივე სახელი დავით:

დანაკოდარი სევდიოთა, გული რა დილეგს იგება:

ვიზრახე მუნით აზატმან, წყლულლო ჭირს ქვერად იგება:

ისრით ნაკრავსა სჯეროდი, კვლა ლახვარს გულს ნუ იგება:

და თვალთა ნუ იდენ ცვარებსა, იგივე დღე შენდა იგება:

ესეცა მისებრივი არს მაჯამა. და კიდურ-წერილობად.

სახელი ჩემივე დავით.

დასაწყისის მქონე სჭმუნავ, სოფლისთა მომკლეს მანათა:

ვის მისცნა გაუმწარებლად, შვებანი ან ცხრა მანათა:

ისწავენ გაქვსვე დასასრულ, დაგიშთენ ოქრო მანათა:

და თლილთ სპეკალთ დღეს შენ ოხრება. ხვალე მე მომცნა მანათა:

ამის წიგნისა მხილველთა. და მკითხველთა. ჩემ მცირისა ალექსის ძის დავითისაგან. ესრეთ მორეგებსენნესთ:

ამისი კითხვა. ჩემგან ვიცი რომენ. სათანამდებო არაა. არამცა აღწერა. და ეს გვარსა ბედითსა მსოფლიოთა ჰამბავთა ზედა დაშრომა. მარა სევდიანი საწოლთა ვსჯე ნუგემთაგან ყოლე მოკლებული. ურვანი გულთა მიღამებდა და კაემანთა განმრავლებანი ტყვე მყოფდეს სოფელსა არა ვემდუროდი. მარა უბრალოდ დასჯასა ჩემსა ვკვირობდი. და ესეცა სოფლისაგან, რომენ არცა მე მიტევა თვისისა მზაკვრისა მშვილდისაგან მტერობის ისარ განწონასა მიუცილებელი. მარმენიოსმან ჩემმან დამსვა საგნად: და ესდენთა ჭირთა განმრავლებამან. საპყრობილეთაგან შემდგომად გამოსვლამან ესე აღმაწერინა. ცუდად ჯდომას ცუდი შრომა ვირჩიე:

ე გ რ ე თ ვ ე ჭირთაცა შინა ვხადო და მიხსნენს და მასვე სრულიად უცნაურსა და არა სრულიად უცნაურსა ღთსა დიდება:

ს რ უ ლ იქმნა ძალითა ღთსათა: თთვესა. ჭებერუალსა. რიცხუსა 4. წელსა. სიტყვისა ღთსა: 1782.

დავით (ჩართულად).

მაღალ კეთილ-შობილი. ალექსის ძე რექტორი დავით:

გამართულია. დასაწყისი:

დიდება შენდა დიდება, ღთო ყოვლისა მპყრობელო

ჩვენ უღირსთაგან უცნობო, ენითა მიუთხრობელო.

ტექსტს წინ უძღვის ცალკე ფურცელზედ ფერადებით დახატული ერთი ლამაზი სურათი სპარსული ყაიდისა, რომელიც შეიცავს ჩვენის აზრით მისრეთის კელმწიფის ალიექბარ მეფისაგან თავისის ასულის ბურნა მელიქის კელმწიფედ დასმის გამორჩევას. წარმოდგენილნი არიან: ხელმწიფე ტახტზე ვეხმოკეცილი, ძის

წინ სავარძელში მისი ასული, აქეთ-იქით ორნი წინამდგომნი ფალავანნი, ქვემოთ მეჩონგურე და მერიქიბე ტაბაკით ბრეწეულების (?) მიმრთმევი.

ტექსტის დასაწყისში ფერადებიანი «ზასტავკა» არის.

პირველ გვერდზე სურათიანი ფურცლისა წარწერაა მხედრულით:

წიგნი ესე ეკუთვნის ვიკტორ ლეტელიეს.

აღწერა ამ ხელნაწერისა ნახე ბროსეს N. J. As. t. XIV.

#### № 14 (ძველი ფონდით 10)

მ ი რ ი ა ნ ი, მხედრული ხელნაწერი, in 4<sup>o</sup>, დაწერილია ქალაქდზე გაკრული წუსხა მხედრულით, შეიცავს 32 ფურცელს, კარდონის ყდით. პირველ გვერდზე უწერია:

წიგნი ესე ეკუთვნის ვიკტორ ლეტელიეს. ტექსტის დასაწყისს «ზასტავკა» ყვავილების ფერადებით შესრულებული.

სათაური: ქ: ამბავი პირველი თავი. დასაწყისი. ჩინეთის ჯელმწიფისა. ამა წიგნსა ეწოდების მირიანი.

სათაურები ნაწერია წითლურით. ფილიგრანი ქალაქდისა: გვირგვინი ვენახის ტევნით ქვემოთ.

ტექსტის დასასრულს მარცხნივ და მარჯვნივ წითლურით ნახატავი ორი ვარსკვლავის მსგავსი ყვავილია და ირგვლივ წარწერა აქვს: მარცხნივ: ქ. აღიწერა. მირისა. და ნომი. ავთამის. წიგნი. სამსა. დღესა. (მარჯვნივ): და ამისთვის. ვერა. რაი. კაი: ჯელი. იქმნა. თებერვალს (ი<sup>-</sup> ზ). ქ კს: უნჯ: (=1770<sup>15</sup>).

პირველ ფურცელზედ ხელნაწერისა ორი ლექსია:

ქ: გიწერს ბრძენი შვენიერად. უმსგავსოსა საქმეს მოვლად.

რას მაშიყოზ ვისსა ვისი, მეცნი მბრძნობენ ძველსა პროვლად.

ტრფიალების მდრანჯვნელობით: ყვავი ვარდზედ. ნუხარ მროვლად.

და შენებრ მსგავსთა ელაციცე. მათთა ბაგეთ. იყავ მლოვლად:

ქ: იგი არის საწყინო. გულისა გასაგმირალი:

უჯამსად ქცევა მიდამოდ. ჰყავს საყვარელი მტირალი:

სურან ერთ ოდენ სხუად არად. მუხთალ არს გულ მწირალი.

თვალთა რად ჰფარავს ფიცებით იგი არს მისდა მზირალი.

მეორე გვერდზე პირველი ფურცლისა ექვს ტაეპოვანი ლექსია კიდევ უმწო მხედრულით შემდეგ მიწერილი, უმნიშვნელო და ულაზათო.

ბროსეს აღწერა ნახე. N. J. As. t. XIV, გვ. 240–241 და t. XVI. აგრეთვე Bul. de l'Acad. XXIV, გვ. 296–297.

#### № 15 (ძველი ფონდით 11)

ბ ა რ ა მ ი ა ნ ი, in 4<sup>ll</sup>, დაწერილია ლექსად გაკრული მხედრულით, 83 ფურცელი. ყდა ხისაა შავტყავადაკრული, ზედ ჩაღრმავებული სახეებით, სათაურები წითლურით. ეს ბარამიანი გალექსილია ონანა მდივნის მიერ 1726 წელს

---

<sup>15</sup> აღ. ხახანაშვილს 1760 წელს აქვს ნაჩვენები კატალოგში XIX ს.

ასტრახანს, ხოლო ჩვენი ხელნაწერი გადაწერილია მისი დედნისგან 1769 წელს, 6 ოკტომბერს და გამართულია (შესწორებულია) დავით რექტორის მიერ 1788 წელს. ყველაფერი ეს ცხადად ჩანს ბოლოსიტყვაობიდან და წიგნის ბოლო მინაწერებიდან. არ არის მართალი, ვითომც ხელნაწერი გადაწერილი იყოს დავით რექტორის მიერ. ეს დავით რექტორის ხელი არ არის, ხოლო მისი ხელით არის დაწერილი 82-ე ფურცლის ბოლოს (recto) შემდეგი ფრაზა:

ქ: ეს ბარამიანი. მე. ალექსის ძემ დავითმან. გავმართე.

ქ კს უოვ. თიბათვის: თ:

ონანა მდივნის ავტოგრაფი ბარამიანისა მე აღწერილი მაქვს დაწვრილებით (იხ. აღწერა წერა-კითხვის ხელნაწერებისა, რუსულ ენაზედ, ტ. I, გვ. 532–540). ზემოხსენებული ხელნაწერი იმეორებს ყველა ცნობებს და მინაწერებს ავტოგრაფისას, გარდა მრავალის ანბან-ქებისა, რომელიც ყოველ გვერდზე აქვს დამატებული დედანს პირველ ნახევარში ხელნაწერისა. აგრეთვე ჩემს შრომაში სრულად არის წარმოდგენილი ყველა სხვა ხელნაწერის აღწერა ბარამიანისა (გვ. 541–562). ამიტომ აქ უკვე ცნობილს მინაწერებს აღარ ვიმეორებ. თარიღი აღნიშნულია ხელნაწერში ხუცურის ასოებით:

სრულ იქმნა ოკტომბრის: ვ: ქ კს. უნზ: (=1769).

პირველ გვერდზე ხელნაწერისა სხვადასხვა ხელით სწერია ცნობილი ლექსები: ყაფლანიშვილის საბასი (საბა ორბელიანის), არჩილ მეფისა, ვახტანგ მეექვსისა, სხვათა შორის მისი გამოცანა:

ორსა ბროლისა ბურთს შუა შიგან უფასო თვალია,

იაგუნდისა აუზი მაშიგან ვარდის წყალია,

გარშემო ჭალა ავლია, ვერ დასწვავს ნაპერწკალია

და ყველა მაზედან ვარჯიშობს მეფე და ჯართაც კმალია.

ამას შემდეგ ანახანუმის ლექსი:

ანისახანუმის ნათქუამი, ვჰგონებ სანატრელს ცხებულს საქართველოს მეფეს თეიმურასზედ:

ორნო ლომურად შეყრილნო, ტანო წერწეტო და შალო,

ქიშმინი მისად სახუჭვლად ვით ორბი მხარ განაშალო,

ფერად ბედისა ჩემისა პირ ქუფრად მიმონაშალო

და დამცა იშლები ვინც ჩემი და მისი შეყრა დაშალო.

ამას შემდეგ არის ანჩინური სამალავადი ანბანის ახსნა-განმარტება, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ (გვ. 4).

## № 16 (ძველი ფონდით 12)

ა ლ ზ ი რ ა ა ნ უ ა მ ე რ ი კ ე ლ ნ ი, ტრადედია.

მხედრული ხელნაწერი ლურჯ ქაღალდზედ, in folio, კარდონის ყდით, 35 ფურცელი. ფილიგრანს ქაღალდისა უზის ფიცარი 1819 და სურათი ორთავიანი არწივისა და ასოები: ჭ, D, R. პირველ გვერდზე მინაწერი:

წიგნი ესე ეკუთვნის ვიკტორ ლეტელიეს.

სრული და უნაკლულ ეგზემპლარია, გადაწერილია XIX საუკუნის 1819–1830 წლებში.

## № 17 (ძველი ფონდით 4)

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი საბა-სულხან-ორბელიანისა, in 4||, მოლურჯო ქალაღდზედ ნუსხა გაკრული მხედრულით, პირველი ასოები ხუცურად არის ნაწერი თითოეულის სიტყვისა, 322 ფურცელი, ხის ყდით შავტყავადაკრული, ზედ გამოსახული ყვავილებით და ფიგურებით.

ქალაღდის ფილიგრანს სხვათა შორის უზის 1809 წელი. წიგნის ბოლოს ტექსტის ხელით წერია:

დიდება სულსა ყ`დ წმიდასა ღ`თსა სრულ მყოფელსა ყ`თასა, სრულ იქმნა ჯელითა იოანე იალღუზის ძისათა. წელსა 1812: ხ` თქნ კეთილ`გულის`ჯმის მკითხნო, გ`ბით რათა ლოცვით და სიყვარულით არა დაიცონოთ (sic) სულითა მოჯსენებად ჩემისა უღირსებისა.

ბოლოში ხელნაწერს დართული აქვს ჩვეულებრივი ბიოგრაფიული ცნობები საბაზე, მისი და სხვების ლექსები; შემდეგ მოჯელენი საქართველოსანი ქართული და თათრულ-სპარსული სახელებით ნუსხა ავი დღეებისა, ზოდიაკოს ნიშნებისა და სხვა. ყდას შიგნით აწერია:

წიგნი ესე ეკუთვნის ვიკტორ ლეტელიეს.

ხელნაწერი წინათ ციციშვილების საგვარეულოს კუთვნილება ყოფილა და მათი ოჯახის წევრების დაბადება და გარდაცვალება არის მრავალ ადგილას აღნიშნული ხელნაწერის თავსა და ბოლოში:

თავადის დავით ციციანოვის ძე ზაქარია დაიბადა 1803 წელსა სექტემბრის 8 დღესა.

ამისავე მეორე შვილი იერონიმე დაიბადა 180 (sic) წელსა, დღესა და ამასვე დღესა გარდაიცვალა.

ამისავე ძე იესე დაიბადა 1807 წელსა მაისის 26 დღესა. გარდაიცვალა 1812 წელსა.

ამისვე ძე იოანე დაიბადა 1810 წელსა თვესა თებერვალსა 13 დღესა და გარდაიცვალა 1812 წელსა...

ამისივე ქალი დარია დაიბადა 1814 წელსა სექტემბრისა 4 დღესა.

ამისივე ძე სარდიონ დაიბადა 1816 წელსა ოკტომბრის 13 დღესა პარასკევსა, დღისა ჟამსა 6 მეექვსესა სოფელს ქარელში.

1809 წელსა აგვისტოს 12 დღესა მაიორის თავადის დავით ციციანოვის პატ[რე]თი დაიხატა ტფილისს.

1820 წელსა აპრილსა 14 დღესა ოთხშაბათს რომელი თხუთმეტად და ხუთშაბათად გასთენდებოდა შუალამისა პატარა მიხაილ დაიბადა თავადის მაიორისა ციციშვილის დავითის ძე ქალაქსა გორში.

1813 წელსა თებერვლის ი, კვირე დღესა თავადის დავით ციციშვილის პატარა შვილი გიორგი გარდაიცვლა.

1814 წელსა სექტემბრის 4... დაიბადა დავით ციციშვილის პატარა ქალი დარია.

#### № 18 (ძველი ფონდით 15)

ღ რ ა მ ა ტ ი კ ა დავით ბატონიშვილისა, შედგენილი 1790 წელს ქალაქ ტფილისს. მხედრული ხელნაწერი, ლიბერ ქალაღდზედ, 81 ფურცელი, მდიდრულ მაროქენის ყდით, პარიზში გაკეთებულის, in 4|| პატარა ფორმატისა, ხელი სტამბური მხედრული ლამაზია, სათაურები და მეთაური ასოები ასომთავრულია. პირველ ფურცელზედ ბატონიშვილის თეიმურაზის ხელით შემდეგი წარწერაა:

დრამატიკა ესე, ვინაჲდგან არს ქართულსა ენასა შ<sup>ა</sup> ურჩეულესი ამისთვის. უძღვნი დიდებულსა პარიჟის ყ<sup>დ</sup> ბრძენსა მეაზიელესა საზოგადოებასა. რათა წევრნი მისნი ქართულისა ენისა მეცნიერნი სარგებლობდნენ ამით:

უუპატივცემულესად სრულიად ზემოდასა საქართველოდასა და სხვათა მეფის გიორგი მეათცამეტის ძე. თეიმურაზ.

ქვემოთ ამ სიტყვების თარგმანია ფრანგულად ბროსეს ხელით მიწერილი. ხოლო ზემოთ ფრანგულად წერია:

Ce livre appartient à la Societé Asiatique de Paris.

Ce livre est le premier exemplaire, qui a été composé pour ce raison, je ne l'ai pas donné à copier.

სათაური წიგნისა: დავითის მიერ დავითიან პანკრატოვანისა ირაკლი მეორისა პირმშო მისა გიორგის პირმშოს მისაგან კელ-ხეზაჲ: წელსა. ჩღჟ: ხ<sup>დ</sup> ქართულსა ზედა უოჭ; სამეუფოსა ქალაქს ტფილისს.

წინასიტყვაობაში თავის შრომას დავითი უძღვნის ირაკლი მეორეს. ბოლოს დავითის ხელით რამდენიმე ტერმინია მოყვანილი რუსულად (მაგრამ ქართული ასოებით) და ქართულის თარგმანით, რომლის ბოლოს თეიმურაზის ხელით წერია:

ეს მეფის მის დავითის დასახსომებლად ყდაზე მოეწერა ამ ადგილს, თვით მისის კელით. და ამისთვის აღარ წავშალე.

ეს წიგნი ერთი საუკეთესო ეკზემპლარია დავით ბატონიშვილის დრამატიკისა, თვით დავითისავე ნაქონი; ქალაქის ფილინგრანთა შორის 1788 წელი ჩანს. ხელნაწერი მე-18 საუკუნის დასასრულს ეკუთვნის და თუმცა თვით დავითის ხელით არ არის გადაწერილი, მაგრამ მისი ზედამხედველობით არის ნაწერი, მისი ხელის წარწერები აქვს და ავტოგრაფს უდრის.

#### **№ 19 (ძველი ფონდით 7 bis)**

ს ა მ ო ს წ ა ვ ლ ო დ რ მ ა ტ ი კ ა, in 4II, ლურჯ ქაღალდზედ უმწო გაკრული ნუსხა მხედრულით და ასომთავრული სათაურებით და მეთაური ასოებით, კარდონის ყდაში, 23 ფურცელი, XIX საუკუნის პირველი ნახევრისა, უმნიშვნელო ხელნაწერია.

#### **№ 20 (ძველი ფონდით 13)**

ქ ა რ თ უ ლ ი ს ა მ ო ს წ ა ვ ლ ო დ რ ა მ ა ტ ი კ ა; მხედრული ხელნაწერი, in 4II, ლურჯ ქაღალდზე, მომრგვალო ხელით, სათაურები და მეთაურები ასომთავრულით, 52 ფურცელი. ეს ისეთივე დრამატიკა არის, როგორც №19, ხოლო უფრო სრული და კარგი ხელით გადაწერილი, მე-19 საუკ. დასაწყისისა.

#### **№ 21 (ძველი ფონდით 14)**

ლ ო დ ი კ ა ანტონ კათალიკოზისა, ლურჯ ქაღალდზე, მხედრულის ხელით და ხუცურის სათაურებით, მე-19 საუკ. პირველის მეოთხედისა; ქალაქის ფილიგრანი უჩვენებს 1807 წელს, კარტონის ყდით, 75 ფურცელი, წინასიტყვაობაში ჩამოთვლილია ფილოსოფიის დარგები, და შემდეგი შეიცავს ლოდიკის ტექსტს, რომელიც შვიდ თავად არის გაყოფილი. ბოლოს უწერია: დასასრული პირველი

ნაწილისა, ეს პირველი ნაწილი ფილოსოფიისა შეიცავს მამასადამე ლოდიკას. უფრო დაწვრილებით ამის აღწერა იხ. ალ. ხახანაშვილი. მ ო ა მ ბ ე №24, გვ. 15–16.

## № 22 (ძველი ფონდით 16)

შ ე მ ო კ ლ ე ბ უ ლ ი მ ო თ ხ რ ო ბ ა ქართული ისტორიიდან შედგენილი მეფის გიორგის მეთორმეტის ძის თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ დეკემბერში 1832 წელს პეტერბურგს, ავტოგრაფი თვით თეიმურაზისა, ლამაზი მხედრული ხელით დაწერილი, მშვენიერის ოქროს ვარაყიანი ყდით, 180 გვერდი. საქმე ის არის, რომ მარ. ბროსეს მიუწერია თეიმურაზისათვის წერილი პარიზის სააზიო საზოგადოების სახელით და უთხოვია ცნობები: რაოდენნი მეფენი იყვნენ საქართველოში გიორგის სახელით და რომელს ჟამს და კიდევ ვახტანგ მეფე, ლეონის ძე, მერამდენე ვახტანგი იყო გთხოვთ გვაუწყოთო. აი ამის საპასუხოდ თეიმურაზი უძღვნის სააზიო საზოგადოებას ამ შემოკლებულ მოთხრობას შემდეგის თავაზიანი წერილის წინ წამძღვარებით. მოგვყავს ეს შესავალი:

ფრანციელთა ერთა დიდებულისა სამეუფოსა ქალაქს პარიჟის ყოვლად ბრძნისა მეაზიელის მიმართ საზოგადოებისა: -

მიიძღვანების შრომილი ესე სახსოვრად საზოგადოებისა მის: და პატივისცემისათვის ღირს შესახებულისა სიბრძნისა მოყვარების მათისა: მამულისა ჩემისა ენასა ზედა აღწერილი, გამოკრებული სხვათა და სხვათა აღწერილთაგან საქართველოს ისტორიათასა, ორთა ამათთვის შემეცნებათა ქვემოთ ამისსა, მცირესა ამას შინა წიგნსა აღწერილთა: უღრმესითა პატივის ცემითა უმდაბლესად. უმწვერვალესის მგრძნობელობით მძღვნობელი. ზემოდა ივერისა (ესე იგი ზემოდა საქართველოდას) და სხვათა: მეფის გიორგის ძე თეიმურაზ:-

აღიწერა სამეუფოსა ქალაქსა შინა სანკტპეტერბურგს: -

ბოლოს უწერია: სრულ იქმნა შემოკლებული ესე მოთხრობანი ყოვლითურთ ნამდვილთაგან საქართველოდას ისტორიათა და მოთხრობათაგან სხვათა და სხვათა აღწერილთაგან გამოკრებული: წელსა ქ სით 1832-სა ქართულსა ქკს: მეათოთხმეტისა მოქცევისასა 520-სა: თვესა დეკემბერსა:-

მოთხრობა ფაქტიურად დამყარებულია ქართლის ცხოვრების და ბატონიშვილ ვახუშტის ცნობებზე. ამ მოთხრობის ცალი ტფილისშიაც მოიპოვება.

## № 23 (ძველი ფონდით 6)

ეგრეთ წოდებული ქ ა რ თ უ ლ ი ხ რ ო ნ ი კ ა, Chronique Géorgienne, რომელიც გამოცემულია პარიზში სააზიო საზოგადოების მიერ, ბროსეს თარგმანით და შენიშვნებით. ტესტი გამოცემულია ლიტოგრაფიის საშუალებით და დამზადებულია 1829 წელს, ხოლო თარგმანი და საერთოდ წიგნი გამოვიდა 1830 წელს. სათაურად ამ გამოცემას უწერია: ცხოვრება საქართველოსა. Chronique Géorgienne, traduite par M. Brosset jeune, მაგრამ ხელნაწერში ტექსტს არავითარი სათაური არა აქვს და პირდაპირ იწყება სიტყვებით: «ქორონიკონსა:.. ძა:.. თურქნი მოვიდნენ მეფე გიორგი მოკლეს»... და სხვა. დაწერილია კარგ ქალაქში in 4<sup>||</sup> ლამაზი სტამბურის მხედრულით მე-18 საუკუნისა, შეიცავს სულ 96 დაწერილ ფურცელს. თავში ორი ფურცელი დაუწერელია, ბოლოში ექვსი. ადგილ-ადგილ ტექსტში სიტყვები და სტრიქონები წითლურით არიან ნაწერნი. ზოგჯერ ტექსტში ცარიელი ადგილებია დატოვებული თითქოს წითლური სიტყვების და

სტრიქონების ჩასაწერად, მაგრამ ადგილები დარჩენილია შეუვსებლად. მაგალითად, 251-ე და 26-ე გვერდებზე verso სათვალავი აღნიშნულია რვეულებზე, რვეულში 8 ფურცელია, სულ 13 რვეულია. ქალაქის ნიშანი, ფილიგრანი, სხვათა შორის შეიცავს გვირგვინს. ამ არაჩვეულებრივ ხელნაწერში არც შესავალია, არც ბოლოსიტყვაობა, არც გადამწერი ჩანს, არც ამ კომპილევატური ტექსტის შემდგენელი, არც რაიმე შენიშვნა მოიპოვება. ამ ხელნაწერის ცალი მარტო ერთი მოიპოვება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ბიბლიოთეკაში, მაგრამ ის გადაწერილია ეჭვს გარეშე ჭროსეს გამოცემიდან და ამიტომ მნიშვნელობას მოკლებულია. შესწორებული მეორე ფრანგული თარგმანი ბროსესი 1841 წლისა მოთავსებულია პეტერბურგის აკადემიის მემუარებში, მე-6 სერია,

#### № 24 (ძველი ფონდით 5)

კ რ ე ბ უ ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს ა ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ფ ი ს ა ქალაქდზე, in folio, ხის შავტყავგადაკრული ყდით, ნუსხა მხედრულით ნაწერი, სრული, შეიცავს 282 ფურცელს: ბოლოს უწერია: აღვწერე (sic) მოქალაქე მოსესის ძე ტიტულიარნი სოვეტნიკი ნიკოლოზ ბაღინოვი თებერვლის იე-სა დღესა ჩყკვ-სა წელსა:- თავში აქვს სარჩევი ანბანის რიგით შედგენილი (1-8 ფურ.), მას მოსდევს კიდევ მეორე შედარებითი სარჩევი (19-54), რომელიც შედგენილი ყოფილა 1750 წელს მეფე თეიმურაზ II ბრძანებით, შემდგენელი ამ მეორე სარჩევისა თავის სახელს წინასიტყვაობაში (ფ. 18 verso) არ იხსენიებს. ტექსტის რიგი ასეთია: სამართალი ბერძნული (65-119); - სომხური (121-211); - კათალიკოსთა (212-214); ძველის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ (215-221), სამართალი აღბუღასი (223-241), სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა (242-282). ეს ხელნაწერი, 1823 წელს ნიკოლოზ ბაღინოვის მიერ გადაწერილი, შეუძენია საფრანგეთის კონსულს ტფილისში გამბას და დაუთმია პარიზის საკოროლო (ახლა ნაციონალური) ბიბლიოთეკისათვის იანვარში 1825 წელს, რასაც მოგვითხრობს ფრანგული წარწერა. მთელი ტექსტი ამ ხელნაწერისა მ. ბროსეს გადმოუწერია თავისთვის. წერა დაუწყია 23 დეკემბერს 1828 წ. და დაუმთავრებია 27 თებერვალს 1829 წ. ბროსეს მიერ გადმონაწერი ეს ხელნაწერი ჩვენ მოგვეპოვება ახლა ტფილისში წერა-კითხვის მუზეუმში №3682 და აღწერილია ჩემ მიერ (იხ. ჩემი აღწერა წერა-კითხვის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა, ტომი II, გვ. 617-618) და ამიტომ აქ საჭიროდ არ მიმაჩნია გავიმეორო წინასიტყვაობა შედარებითი სარჩევის შემადგენლისა<sup>16</sup>. აგრეთვე მე აღწერილი მაქვს ყველა კრებული ქართული სამართლისა და თვით ვახტანგის სამართლის ცალებიც, რომელნიც მოიპოვებიან ტფილისის მუზეუმებში (იხ. ხსენებული აღწერა, ტ. II, გვ. 614-671). ამათში ერთი ხელნაწერი №3066 გადაწერილია 1809 წელს იმავე ნიკოლოზ მოსესის ძის ბაღინოვის მიერ, რომელსაც ზემოხსენებული ხელნაწერი გადაუწერია, ხოლო მაშინ გადამწერი ყოფილა კოლესკის რედისტრატორი (იქვე, გვ. 616).

#### № 25 (ძველი ფონდით 22)

---

<sup>16</sup> ხოლო ბროსეს გადმოწერილში უნდა შესწორდეს სიტყვა: მსაჯულ-მომგენი (618 გვ. სტრიქონი 4 ზემოდან), უნდა იყოს: მსაჯულ-გამგენი. ამას გარდა ბაღინოვის გადაწერის თარიღად ბროსე შეცდომით უჩვენებს 1825 წ. ნაცვლად 1823-სა.

წერილი იმერეთის მეფის სოლომონ პირველისა პიომეე ქვესეპაპისადმი, მიწერილი 25 აგვისტოს 1779 წელს. წერილს თან ახლავს იტალიური თარგმანიც; ნაწერია ნუსხა მხედრულით თვით სოლომონ მეფის ხელით. მოგვყავს სრულიად უცვლელად ტექსტი წერილისა თავისი ნიშნებით, ხოლო სიტყვების გადასატან ნიშნებს ჩვენ ვუმატებთ<sup>17</sup>. წერილი ჩადებულია პატარა კონვერტში, რომელზედაც აწერია:

მათს: უწმინდესობას; უფ-  
ალს: ბატონს; პიომეე: პაპს  
მეექვსეს: მიერთვას: ესე  
წიგნი.

მათს. უწმინდესობას პიომეე: პაპს. მეექვსეს: -  
უწმინდესსა. და. უნეტარესსა. წმიდათა მოცი-  
ქულთა ყოვლისა ქრისტიანობისა. განმა-  
ნათლებელთა. პეტრესა. და: პავლესა. დიდისა: ს-  
აყდარსა. და. პატიოსანსა: ეკლესიასა. ზედა:  
მჯდომარესა. დიდისა. ქალაქისა. რომისა. მპყრო-  
ბელ. განმგესა. ყოვლისა. დიდებითა: აღსავსეს.  
უფალს ბატონს. ჩვენ. მაგათი. ჟ-  
ამ მარად. სამსახურისა. და. კარგად. ბრძანებ-  
ის. წადიერი. სრულიად. იმერეთის: მეფეს ს-  
ოლომონ. წმინდას. მარჯვენას. ჳელს. მთხვ-  
ეუნას. მოვახსენებთ: ვიკითხავთ. მაგათის უწმი-  
ნდესობის. მშვიდობის. ამბავს: ვითხოვთ, უფლისა: ჩვე-  
ნისა. იესოს. ქრისტესაგან. გვეუწყოს: ამას: მო-  
ვახსენებთ: მათს: უწმინდესობას: ჩვენ და: ჩვენი ქვეყა-  
ნა: ყოველთვის. ბრძოლით. ურჯულოთაგან: დ-  
იად. შეიწრებულია. რათა. მოხედოთ. სხვას. ამას:  
მოვახსენებთ. ვედრებასა. ვყოფთ. წინაშე მათსა:  
ორი: აქიმი: ასრეთი. გვიწყალობოთ. ყოვლის: ს-  
ნეულების. ოსტატობის. მკურნალობით: სრუ-  
ლი: იყოს: თავისის: წამლებით. და. რიგით. სტომაქი-  
ს. სნეულების. თიაქრის. ჩამოსულის: თუ. ჩამოუ-  
სვლელს. კარგად. იცოდეს. თქვენეულად. თქვენ:  
რომ: გეკადრებათ: ერთი. სათიგ. კარგი. გვიბოძ-  
ოთ: ბატონო: აღიწერა, თვესა აგვისტოს: კე: ქ-კს: უფო:  
ბეჭედი

---

<sup>17</sup> ეს წერილი პირველად ბროსემ დაბეჭდა. ნახ. Mémoires inédits, relatifs à l'Histoire et à la langue Georgienne... Paris, 1833: აღ. ხახანაშვილსაც მოყვანილი აქვს.

---

<sup>17</sup> ეს წერილი პირველად ბროსემ დაბეჭდა. ნახ. Mémoires inédits, relatifs à l'Histoire et à la langue Georgienne... Paris, 1833: აღ. ხახანაშვილსაც მოყვანილი აქვს.



## № 26 (ძველი ფონდით 23)

ს ა მ დ ი ვ ნ ო წ ი გ ნ ი, in folio დიდი ფორმატისა, დაწერილია ქალაქდზე თავში სტამბურის მხედრულით, ბოლოში ნუსხურის მხედრულით, შეიცავს სულ 70 ფურცელს. ძველი ყდა უხეოდ ტყავის არის ჩაღრმავებულის სახეებით. შიგნით სპარსული მატერია აქვს გაკრული. შემდეგ ხელნაწერი მოქცეულია ახალი კარტონის ყდაში. ხელნაწერი ეკუთვნის მე-18 საუკუნეს. სამდივნო წიგნი არის საზოგადოდ კრებული ნიმუშისა ანუ მოდელებისა სხვადასხვა დამწერლობისა, ყოველგვარი წერილებისა და სხვა. ასეთი წიგნები ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ნიმუშები გამოგონილი კი არ არის, არამედ ნამდვილი წერილებიდან გადმოღებული პირები. ამ ხელნაწერში მოქცეული წერილები ეკუთვნიან 1638–1730 წლებს. აქ სხვათა შორის არის წერილები იმერეთის მეფის ალექსანდრე მესამისა როსტომ მეფისადმი, მარიამ დედოფლისა, როსტომის მეუღლისა, ხონთქრის მურად მეოთხისა სეფე შაჰის მიმართ; წერილები ვახტანგ მეექვსისა და მისი ოჯახისა და სხვა. წერილებს ბროსეს შენიშვნები აქვს, რომელსაც ეს ხელნაწერი განუხილავს პეტერბურგში პარიზის ბიბლიოთეკის მინდობილობით, სულ III წერილის ნიმუშია წარმოდგენილი. საჭიროა ამ წერილების ცალკე გამოცემა. უკანასკნელ ფურცელზე მოყვანილია საყურადღებო ქართული ფულის ანგარიში:

- ე – ერთი ფული
- ი – ორი ფული
- კ – ერთი ბისტი
- ლ – ექვსი ფული
- მ – ორი ბისტი
- ნ – ერთი შაური
- ნი – სამი ბისტი
- ო – თოთხმეტი ფული
- პ – ოთხი ბისტი
- ჟ – თვრამეტი ფული
- რ – ორი შაური
- ს – ერთი აბაზი
- ტ – ექვსი შაური
- უ – ორი აბაზი
- ფ – ათი შაური
- ქ – სამი აბაზი
- ღ – თოთხმეტი შაური
- ყ – ოთხი აბაზი
- შ – თვრამეტი შაური
- ჩ – ერთი მინალთუნი
- ც – ორი მინალთუნი
- ძ – სამი მინალთუნი
- წ – ოთხი მინალთუნი
- ჭ – ხუთი მინალთუნი
- ხ – ექვსი მინალთუნი
- ჯ – შვიდი მინალთუნი

- ჯ – რვა მინალთუნი
- ჰ – ცხრა მინალთუნი
- ჟ – ერთი თუმანი.

მეორე გვერდზე დინარების სათვალავია ქართული ანბანის ციფრების მიხედვით ა–ერთი დინარი, ბ–ორი დინარი (და სხვა, ლ–შვიდასი დინარი უკანასკნელია).

ზემოთ მოყვანილი ნუსხა ფულის ანგარიშისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში მე-17-18 საუკ. სწორია და ეთანხმება ცნობებს საბას ლექსიკონისა, ვახტანგ მეფის სამართლისა და ევროპიელების მოგზაურებისა, ტურნეფორისა, გვლდენშტეტისა და სხვათა. უკნინესი ერთეული იყო ფული და აღინიშნებოდა ასო ე, შემდეგ ბისტის – (კ) შეიცავდა 4 ფულს, შემდეგ შაურის – (ნ) შეიცავდა 10 ფულს ანუ 2 1/2 ბისტს; შემდეგ აბაზის – (ს) შეიცავდა ოთხ შაურს; შემდეგ მინალთუნი – (ც) შეიცავდა 5 აბაზს; შემდეგ თუმანი – (ჟ) შეიცავდა 10 მინალთუნს ანუ 50 აბაზს. ეს სათვალავი საფუძვლად დაედო ქართულ–რუსულ ფულებს, რომელიც იჭრებოდა ტფილისში 1804–1833 წლებში. შავი ფულები იყო ერთფულიანი (ე), ორფულიანი (ი), ოთხფულიანი (კ). თეთრი ფულები იყო ნახევარაბაზიანი (რ), ერთაბაზიანი (ს) და ორაბაზიანი (უ). რატომ ეწერა ერთს ფულზედ რიცხვი 5? გვლდენშტეტის მოწმობით, ერთი ფული იწონიდა 2 1/2 დრახმ სპილენძს; მაშასადამე, 5 იმის მაჩვენებელი ყოფილა, რომ ფულში 5/2 დრახმა სპილენძი ყოფილა. ამ ცნობაზე დამყარებით პროფ. ივ. ჯავახიშვილმა მშვენივრად გამოარკვია, რომ ფულის აღრიცხვის და სისტემის ერთეულად მე-17-18 საუკ. 1/2 დრახმა სპილენძი ყოფილა მიღებული და თვით ვერცხლის ფულის ერთეულებისათვისაც საფუძვლად სპილენძის წონითი რაოდენობა მიუღიათ (იხ. მისი ნუმიზმატიკა–მეტროლოგია, გვ. 27–30, 32–35).

**ახლად შეძენილი ორი ხელნაწერი,  
№ 27**

ქ ა რ თ უ ლ ი ღ რ ა მ ა ტ ი კ ა შეთხზული ტფილისის საკეთილშობილოს სასწავლებლის მოძღვრის პროტოპოპის იოანე ქართველოვისაგან სახმარად მისივე სასწავლებლისა, 1809 წელსა, ტფილისს. დაწერილი ყოფილა ლურჯ ქაღალდზე, ახლა დაცულია ხოლმე განცალკევებული ფურცლები, ზოგჯერ ნაფლეთები, რომელნიც დაწებებულნი არიან ახალ ქაღალდზე და მოქცეულნი ყდაში, in folio დ.

წიგნს ჰქონია ასეთი წინასიტყვაობა:

წინა უწყება მკითხველთადმი.

თუმცაღა ცნობა კანონთა დრამატიკისათა კმად აღწერილ არს განსუწმნებულის საქართველოს კათოლიკოს–პატრიარხისა ანტონისაგან მის მრ ქმნილსა დრამატიკასა შა, გარნა ვინაფთგან სივრცისა გამო მისისა არა ადვილ ძალ უმსთ (sic) ჰწავლად იგი მცირ წლოვანთა ყრმათა, ამისთს და გულს მოდგინებისა ძლითცა თანამდებობისა ჩემისადმი, ეგრეთვე სასარგებლოდცა ყრმათა თანამემამულეთა ჩემთათა დაავჰ(შ)უწრ შეთხზუასა შა წინამდებარისა ამის წიგნისასა. ჰელ მყოფმან აღწერად ამისა ვიგულისმოდგინე მსგავს ყოვლად სისტემაფ (სისტეპაფ?) მისი როსსიულისა დრამატიკისა თანა, ხსხუანი კანონნი ლექსთა წარმოებისა და ლექსთ თხზულებისანი დაავჰზდე ყნივე ესრეთნი, ვა მოითხოვდა თვსება ქართულისა ენისა. ამას შა ხმარებულნი წოდებანი რლთამე სიტყვს ნაწილთ მდევართანი,

ეგრეთვე განყოფილებანი მათნი და სხუანი, თუმცადა არიან სახელდებულ ახლითა გუარითა, გარნა არა წინა აღმდეგად სხუათა ღრამატიკათა ქართულსა ენასა ზედა ქმნულთა, ად მსუბუქ და უსრულეს ცნობისათვს ხელოვნებისა ამის ყრმათა მრ როსიულისა ენისა მოსწავლეთა. ვჰსასოებ რლ გულსმოდგინებული ამისდამი შემძლებელ იქმნების მოპოებად სარგებლობისა მცირისა ამის შრომისა ჩემისაგან. ხოლო უსრულესად მეცნავი ამის ხელოვნებისა. უკეთუ ჰპოებს მას შა ნაკლულევანებასა რასამე არა გიებულ მყოფს მე მისთს, ად თვით იმეცადინებს სრულ ყოფად მისსა.

პროტოპოპი იოანე ქართუჭლოვი.

პირველი რვა ფურცელი სულ ქართული ტექსტია, შემდეგ რუსულ-ქართულია, ქართული თარგმანია რუსული ტექსტისა. ბოლოში ხუთი თაბახი სულ მარტო რუსული ტექსტია.

სათაურები ასომთავრულით არის ნაწერი.

აღ. ცაგარელი ამბობს. რომ იოანე ბატონიშვილის წიგნების კატალოგში მოხსენებულია იოანე ქართველოვის ქართული გრამატიკა შედგენილი 1809 წელს, მაგრამ მას ეს გრამატიკა არ უნახავს (იხ. მისი შრომა რუსულ ენაზედ, ქართული გრამატიკის ლიტერატურისათვის, გვ. 39).

## № 28

ს ა ხ ა რ ე ბ ა, ო თ ხ თ ა ვ ი, ხუცური ხელნაწერი თეთრ კარგ ეტრატზე, in 4<sup>0</sup>, ხელი ნუსხა-ხუცურია, გარდა მეთაური ასოებისა, რომელნიც ასომთავრულია. ყდა ახალი აქვს. თავში ორი ფურცელი ეტრატისა დაუწერელია, ტექსტი იწყება ევსების ეპისტოლეთი:

ეპისტოლე ევსებისა კარპიანეს მრთ:.. ამის შემდეგ ორ ფურცელზე ოთხი ფერადით შესრულებული კამარა არის. ყველა კამარების თავები შემკობილია ერთგვარი ყვავილებით, ფერადებია მწვანე, ოქროს ფერი და წითელი. ყველა თავს წინ მიუძღვის სათვალავი სახარებისა. სახარების ტექსტის წინ მახარობელის სურათია ფერადებით შესრულებული: წ მ თ ე, წ მ მ რ კ ო ზ მ ხ რ ბ ლ ი, წ მ ლ კ მ მ ა ხ რ ბ ლ ი, წ მ ი ნ ე მ ხ რ ბ ე ლ ი.

თითოეულს სახარებას მახარობელის სურათის წინ მიუძღვის სათაური სახარებისა. იოანე მახარობელი თვით არ წერს სახარებას, არამედ პროხორეს უკარნახებს. ზემოთ კუთხიდან უფლის მაკურთხეველი ხელი მოჩანს, მახარობლები ყველა ფიქრში არიან და ჯერ წერა არ დაუწყიათ გადაშლილ ფურცლებზე. სურათები ფერად ჩარჩოშია მოქცეული. ხელი მე-13 საუკუნის არის, ნაწერია ორ სვეტად, თითო სვეტში 25 სტრიქონია.

მათეს სახარების სარჩევის შემდეგ ორ გვერდზე მე-5 verso და მე-6 recto მხედრული წარწერა ყოფილა მე-13 საუკ., მაგრამ პირველი გვერდის წარწერა განზრახ სრულიად ამოფხეკილია და მხოლოდ ქიმიურის რეაქციით შეიძლება მისი აღდგენა, ისე არ იკითხება. შემდეგი ნაწილი იკითხება ასე:

....დაუსაბამოისა ღთისა პირითა. და განმცემელისა იუდასამცა თანა არს ნაწილი მისი:.. ხ თ ქნ წ ნ ო და ღ თ შემოსილნო პატიოსანნო მამანო და მმანო ჯუარელნო. მიითუალეთ მცირე ესე გ ლ ს მოდგინებაი ჩ ნ ი, და რ ჟ ს აღმოიკითხვიდეთ. სამეუფოთა ამათ სიტყუათა, მცნებისათვს უფლისა

ლოცვაჰყოფდეთ მდაბალთა მონაზონთა. ბასილი და დიმიტრისთჳს: საცნაურ იყვნ სიწმიდესა თქნსა რი ჟამი აღსასრულისა ჩემისაი მაგას წდასა მონასტერსა შინა გამეგო: გარნა სიღრმემან სიბერისამან. და თვთ მპყრობელთა ჳელმწიფებამანცა, არ ღირს მაუფლეს: ესე წდაი სახარებაი სულიერისა შვილისა ჩემისა სჳმეონ<sup>18</sup> ხუცისა ჳელითა მიითუალეთ.

სრულებით გარეთ ღილოკილოითურთ ზარხოდ ოქროითა და ვეცხლითა შემოსილი. და წაი ლოცვაი თქნი იყავნ მფარველ სულთა ჩ[ნთა]:-

იოანეს სახარების ბოლოს ტექსტი ხელით, მაგრამ უფრო წვრილი ასოებით წერია:

ამისი დამწერელი ცდვილი მაილ დავით -

ის ძე ლცვასა ღირს მყვთ ვინცა

ჰნახოთ:.

ამას შემდეგ იწყება ვრცელი სარჩევი სახარების საკითხავებისა, ფურცელი 225–246.

231-ე ფუცელზე შუაში წითლურით წერია:

ონო მმნო ეს ვნბისა კრკისა სხრბნი ბერძნულად არიან:

და ბერძნულისაგან დაგვიწერიან: სხდ კულა გნგებდ არად გჳჳნია: არცა დაგჳწერია თქნ კულა ვითაცა აშენდებდთ ეგრეცა ქმენით. თუ გინდა სადა გნ ღირს ყფდ სმენდ ჩნდა, და თუ გინდა ქართლითა გნ გებითა წაკითხლდ.

247-ე ფურცელზე ახალ ეტრატზედ არა ტექსტის ხელით ხუცურად წერია:

დბდ ღა სრლ მყფელსა ყისა კთილისსსა: და ჯა პტსნსა ქეანეთა სიქადულსა შეიკჳმად წად ესე ოთხთავი ჳელითა ფდ ცდვილისა ურბნლ მთვარ ებისკოპოსისა ევლასესითა სააკაჰს მისათა: ვლასეს და მისთა მიცვლბლთა ყთავე შნს ღნ. ვინცა ბრძანოთ თქნცა შგნს ღნ: ჩმს მწფეს ივანტბლს შნს ღნ: ჩმს ბერს გბრისლს შნს ღნ:.

ურბნისის ეპისკოპოსი ვლასი ანუ ევლასე და მისი თანა მოგზაური ტფილეელი ვარნავა იყვნენ იერუსალიმში, ჯვარის მონასტერში, 1570–1572 წლებში, ამათ ბევრი წიგნი შეუკაზმავთ ამ მონასტრის ბიბლიოთეკისა (იხ. ა. ცაგარელის წიგნი, ქართული ძეგლები წმიდა ადგილში და სინას მთაზედ, რუსულ ენაზედ, გვ. 64, 88–89, 168, 182).

ნუსხა-ხუცურის ხელით წერია:

ამავე ფურცლის მეორე გვერდზე სხვა მერმინდელის ნუსხა-ხუცურის ხელით წერია:

წ: მე მონაზონმნ ანდრია მოვაჰედინე. წდ ესე სხრბდ. და შევსწირე პტსნსა ცხველს მყფლსა ჯა წა გოლგოთას. სხსრად სლისა ჩნისა თს. და მშბლთა ჩნთად. ცდვთა შსნდობლდ. მე ანდრიას კნდელკსა პტსნის: ჯისსა მესხსა ვაზნიძესა (თუ ელზნიძესა?). უწყის ღნ ჩმის აღნის მოღწებითა მოვიგე და გავაკეთე წა ესე სხრბდ მს ჟმსა ოდეს კახეთიდაღმა პლ რუსეთს წველ. და ვინცა მიემთხჳოთ ამა წთა სხრბდთა შნდობღსა. ბრძანებდეთ თქნის ღის სყრლის გლისათს. და ვინცა რდმნცა კცმნ ესე გმოაჳუას: ჩმთამცა ცდვთა მზღველი არის: იუდასთანამცა და ისჯების და შეჩუჭნ ბლმცა არის შჳდის კრბისგნ:.

ამ მინაწერებიდან ჩანს, რომ სახარება სამჯერ ყოფილა შემოსილი სხვადასხვა დროს და სამჯერვე მოუცარცვავთ. ეხლანდელი ყდა მეოთხეა, ახალი.

---

<sup>18</sup> ასო ჳ ყოველგან ხუცურია.

246-ე გვ. verso მინაწერებია ხუცურად სხვადასხვა ხელით, მაგრამ ზოგიერთი წაბლალულია, ზოგიერთი მქრქალია.

იკითხება შემდეგი:

ქე ლო დაიცვენ და შეუნდვენ ძმათა ჩნთა იაკობს ალ ბერდ:. (აქ სტრიქონს ზემოთ სწერია: ი<sup>-</sup>ბ).

ქე ლო დაიცევ და შეუნდენ ძმა ჩნი სისი (?) და შვილნი: იანე და პეტრე:. და გ<sup>-</sup>ი:. და მ<sup>-</sup>რმ:. და სადი: და ღანია: სეთლალი. რამონდა:.

ქ<sup>-</sup>ო<sup>-</sup>ლ<sup>-</sup>ო დაიცვენ და შეიწყლნ ძმ<sup>-</sup>ნი ჩ<sup>-</sup>ნნი ი<sup>-</sup>სბ და ი<sup>-</sup>ე:. გზრლ კელანის მ<sup>-</sup>შენებელისა შვილის შვილნი და ღირს ყვენ ჩ<sup>-</sup>ნ ჯრ<sup>-</sup>ლთა ძმ<sup>-</sup>ბსა და შეპანისასა (?):-

უო ლო შეიწყლნ ძ<sup>-</sup>მა ჩ<sup>-</sup>ნი სიკილიელი ოტოსკარიონ: პ<sup>-</sup>ტე და ქეფორე შვილნი მისნი: და ციცილია: - და ლობერდი: ფირანგოს: ფრაგა.

უო ლო შეწყლე ჩ<sup>-</sup>ნი ძმა ბაბისკი ვარდის ძე და [შვი]ლნი მისნი...

ქ. [ლო შეიწყალენ და დაიცვენ] ძმანი ჩ<sup>-</sup>ნნი: კონმოტიე: კოსტანტინე: და ბო... ამინ იყვენ: მოიკსენნო ლო ხაზინ ლუსმა და ფერის:.

ამრიგად, ეს სახარება საქართველოშია დაწერილი და შემდეგ წარგზავნილი იერუსალიმში, ქართველთ ჯვარის მონასტერში. ჯვარის მონასტრიდან ის კარგა ხანია გაუტანიათ, ვინაიდან ეს სახარება არც ა. ცაგარელის კატალოგშია მოხსენებული და არც რობერტ ბლეიკის.

## არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში

და

### სოფელ ჩანგლში 1907 წელს

#### წინასიტყვაობა

ადგილები, რომელნიც ერგო რუსეთს ოსმალეთისაგან ბერლინის ტერაქტის ძალით 1878 წელს, რუსეთის მთავრობამ გაჰყო ორ ადმინისტრატიულ ოლქად: ყარსისა და ბათუმისა. ყარსის ოლქს შეადგენდა ოკრუგები ყარსისა, ყალიზმანისა, არდაგანისა და ოლთისისა. ისტორიულად და ეთნოგრაფიულად ყარსის და ყალიზმანის ოკრუგები ეკუთვნოდა სომხეთს, არდაგანის და ოლთისის საქართველოს. ოლთისის ოკრუგი ხელოვნურად იყო მიწერილი ყარსის ოლქზე, გეოგრაფიულად ის უნდა შესულიყო ბათუმის ოლქში, ვინაიდან ის მოქცეულია ჭოროხის შემდინარე ოლთისის წყლის არემარეში, და ჭოროხი ეკუთვნის შავი ზღვის ბასეინს, ხოლო ყარსის სვა ოკრუგები, რომელიც მდებარეობით წარმოადგენს ზეგანის პლატოს, გაყოფილი იყო უჩასტკებად: ცილდირისა (რუსულად: ჩალდირისა), არდაგანისა, გელისა და ფოცხოვისა. პირველი სამი უჩასტკა მდებარეობს მტკვრის ზემო წელზე, ხოლო ფოცხოვის უჩასტკა ფოცხვერის წყალზე. ეს უჩასტკაც ხელოვნურად იყო მიწერილი არდაგანის ოკრუგზე, ვინაიდან გეოგრაფიულად ფოცხოვი სრულიად არ შეადგენს არდაგანის ზეგანის პლატოს ნაწილს, არამედ ეკუთვნის ახალციხის ტერრასას, შეიცავს ფოცხოვის წყლის ბასეინის ნაწილს. ამ ბასეინს შეადგენენ, გარდა ფიცხოვის წყლისა, მისი შემდინარენი, რომელთა შორის უმთავრესი არიან წურწყაბის წყალი, შუა წყალი,

ჯაყის წყალი და ქობლიანის წყალი; სიგრძეზე ფოცხოვის წყლისა არის 70 ვერსი. ამათგან ყარსის ოლქში შედიოდა 30 ვერსი, ხოლო დანარჩენი ეკუთვნოდა და ახლაც ეკუთვნის ახალციხის მაზრას. ფოცხოვის წყალი ერთვის მტკვარს 7 ვერსის ქვემოთ ქალაქ ახალციხისა. ყველა ზემოაღნიშნული ადგილი არდაგანის ოკრუგისა, ახალციხის მაზრასთან ერთად, რომელიც შეადგენდა ძველ სამცხეს, და ახალქალაქის მაზრასთან, რომელიც შეადგენდა ვიწრო მნიშვნელობით ჯავახეთს<sup>19</sup>, და მთელი ბასეინი ჭოროხის მდინარისა საერთოდ ძველად წარმოადგენდა ზემო ქართლს ანუ მესხეთს. ხოლო მე-13 საუკუნიდან, როცა აქ დამყარდა უფლება სამცხის ათაბაგების ჯაყელთა სახლისა, ეს მხარე ცნობილი იყო სამცხე-სათაბაგოდ. კერძოდ, მთელი არდაგანის ოლქი შიდავდა 5 644 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მისი მოსახლეობა ჩვენს დროს უდრიდა 84 257 სულს<sup>20</sup>; უმრავლესობას შეადგენდნენ გამაჰმადიანებული ქართველები, მესხები<sup>21</sup>; დანარჩენს ქურთები, კარაპაპახები, თურქმენები, სომხები და რუსები.

არდაგანის ოკრუგის ძეგლები, სახელდობრ ჩილდირის და არდაგანის უჩასტკებისა და ნაწილი ოლთისის ოკრუგისა, ბანა (ეხლა პენიაკი) და მისი არემარე გამოკველული იყო ჩემ მიერ 1902 წლის ექსპედიციის დროს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით. შეკრებილი მასალა უკვე გამოცემულია ამავე საზოგადოების მიერ (იხ. «მატერიალი პო არხეოლოგიი კავკაზა», ტ. XII).

მეორე ექსპედიცია ჩემ მიერ მოწყობილი იყო იმავე საზოგადოების დავალებით 1907 წელს. ამ ექსპედიციის მიზანი იყო გამოგვეკვლია ძეგლები კოლასი (გელის უჩასტკის არდაგანის ოკრუგისა) და დაგვემთავრებია გამოკველვა ოლთისის ოკრუგის ძეგლებისა; აგრეთვე გვენახა და შეგვესწავლა ჩანგლის ეკლესია, ყალიზმანის მახლობლად.

ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად მოვიწვიეთ სამოქალაქო ინჟინერი ანატოლი ნიკოლოზის ძე კალგინი და მოხალისე ფოტოგრაფი, თბილისის მეორე სავაჟო გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელი ედუარდ კარლოს ძე ლიოზენი. ა. ნ. კალგინმა დაზომა და ე. კ. ლიოზენმა ფოტოგრაფიულად გადმოიღო ყველა ასე თუ ისე საყურადღებო ნახული ძეგლები.

ჩვენი სვლის გეზი (მარშრუტი) ასეთი იყო: თბილისიდან ყარსი; ყარსიდან ბულა-ტაპის ზეკარით ნიაკომი კოლაში (გელის უჩასტკაში); კოლას მოვლის შემდეგ გადავეშვით აგუნდირის ზეკარით ოლთისის ოკრუგში. პირველად დავდექით საფოტო სადგურში, კოსორში; აქედან მოვიარეთ მახლობელი ადგილები და ბანას არემარეც. შემდეგ გავჩერდით ქალაქ ოლთისში; იქიდან გავემგზავრეთ სოფელ ოლორში; ოლორის უბნის მოვლის შემდეგ დავბრუნდით ოლთისში. აქედან განზრახვა გვქონდა ჩავსულიყავით ნარიმანში და იქიდან ავყოლოდით ცხენებით რუს-ოსმალთა საზღვარს სარაყამიშამდის, შემდეგ გვენახა ჩანგლი და მივსულიყავით ყარსში, მაგრამ ექსპედიციის წევრები კალგინი და ლიოზენი ავად

---

<sup>19</sup> ვამბობთ ვიწრო მნიშვნელობით, ვინაიდან ვრცლად ბატონიშვილი ვახუშტი ჯავახეთს აკუთვნებს გარდა ახალქალაქის მაზრისა, არტაანს (არდაგანს), კოლას და ერუშეთს.

<sup>20</sup> ამათში მაჰმადიანები იყვნენ 54 203.

<sup>21</sup> აქ კიდევ უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ რუს-თათართა ომის შემდეგ 1877–1878 წლებისა არდაგანის ოკრუგიდან სათათრეთში გადასახლდნენ 22 743 სული მცხოვრები.

გახდნენ მალარიით ოლთისში და ცხენებით მგზავრობა აღარ შეეძლოთ. ამიტომ ეს რაიონი უნახავი დაგვრჩა. იძულებული გავხდით ოლთისიდან ტელეგრამით დაგვებარებია ყარსიდან ეტლი და დავბრუნებულიყავით ყარსში. ხოლო ყარსიდან მაინც შევძელით ჩანგლში გამგზავრება და ჩანგლის ეკლესიის გასინჯვის შემდეგ დავბრუნდით უკან ყარსში და ყარსიდან თბილისში. ჩვენი ექსპედიცია გაგრძელდა 1 ივლისიდან 20 აგვისტომდის.

შეკრებილი მასალა უნდა გამოსულიყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების «მატერიალ»-ებში, მსგავსად მე-12 ტომისა, რომელშიაც დაიბეჭდა ჩვენი პირველი ექსპედიციის შედეგები, მაგრამ ინჟინერმა კალგინმა ვერ მოიცალა გეგმების დასამზადებლად და მასალა დროზე ვერ მივაწოდეთ საზოგადოებას. ბოლოს რევოლუციის დროს დამზადდა გეგმები. ამათში ვაჩი-ძორის და ბობოსგირის ნახაზები დამზადებულია თვით კალგინის მიერ, ტაოსკარის თავი-ტაძრის ნახაზები ხუროთმოძღვრის კერნის მიერ, ჩანგლის ეკლესიის ნახაზები ხუროთმოძღვრის რიაბოვის მიერ, ხოლო ყველა დანარჩენი გეგმა და ნახაზი შესრულებულია ტეხნიკოსი გ. ებრალიძის მიერ ა. კალგინის ხელმძღვანელობით. ამ მასალას დაემატა შემდეგ ბევრი სხვა გეგმა, ნახაზი და მასალა, რომელიც იყო შედეგი ჩვენი ექსპედიციებისა საქართველოს სხვადასხვა მხარეებში. შესაძლო გახდა გამოფენის მოწყობა ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა; გამოფენა გამართული იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ 1920 წელს თბილისის სამხატვრო გალერეაში, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ქართული კატალოგი გამოფენისა შედგენილი იყო ჩემ მიერ, ხოლო რუსული დიმიტრი გორდეევის მიერ. კატალოგებში მოყვანილია მოკლე ცნობები გამოფენილ ძეგლთა შესახებ და დაწვრილებით ნაჩვენებია ავტორები, რომლებმაც გეგმები და ნახაზები შეასრულეს, რა თქმა უნდა, ა. კალიგინის დაზომვის მიხედვით. დროთა ვითარების გამო (ომი, რევოლუცია, უსახსრობა, ტეხნიკურ საშუალებათა უქონლობა) ექსპედიციების დროს დაგროვილი მასალების დასტამბვა და სურათების ალბომების გამოცემა შეუძლებელი შეიქნა. იმ დროს თბილისში ერთადერთი ცინკოგრაფია მუშაობდა. იმის საშუალებით განვიზრახეთ პირველ ხანად მარტო ზოგიერთი გეგმის გამოცემა, რომელთა დამზადება დაკავშირებული და გამოწვეული იყო ჩვენს არქეოლოგიურ მოგზაურობა-ექსპედიციებთან. გამოცემა იკისრა ქართული უნივერსიტეტის საბჭომ. სათაური უნდა ყოფილიყო: «ალბომი ე. თაყაიშვილის არქეოლოგიური ექსპედიციებისა. გეგმები ძეგლებისა». კლიშეები სულ დამზადებული იყო, როდესაც თებერვლის დამლევს 1921 წ. ჩვენ საზღვარგარეთ წამოსვლა მოგვიხდა. შემდეგ 1924 წელს ალბომი გამოსცა უნივერსიტეტმა და ჩვენს ნებადაურთველად სათაური შეუცვალა და წინასიტყვაობა დაურთო, რომელიც, სამწუხაროდ, ზოგ რამეში არ შეეფერება სინამდვილეს, მაგრამ ჩვენი უნივერსიტეტისადმი პატივისცემა მავალეებს ამჟამად არ შევეხო ამ საკითხს, მით უმეტეს, რომ შეიძლება ეს ყველაფერი დროთა ვითარების გამო იყოს გამოწვეული. ალბომში სულ 80 ტაბულაა, ხოლო რიცხვი სურათებისა უდრის 137. ჩვენი 1907 წლის ექსპედიციის გეგმები და ნახაზები მოქცეულია ალბომში მე-12-35 ტაბულებზე და შეიცავენ 40 სურათს. სამწუხაროდ, არ არის მიღებული ელემენტარული რიგი ალბომით სარგებლობისა. ტაბულებზე სურათები არც ციფრების რიგით არის აღნიშნული, არც ანბანის. სათაურში ზოგი ლათინურის ასოებით არის ნაჩვენები და მკითხველმა თვით უნდა გამოარკვიოს, რომელი ანბანი რომელ სურათს უდრის. როცა ტაბულაზე რამდენიმე სურათია მოთავსებული, ეს არც ისე ადვილია. ზოგჯერ გეგმები არეულია; ერთი რაიონის ძეგლის გეგმა

მეორეშია გადატანილი; ერთი სახელი მეორისთვისაა მიკუთვნებული. მაგალითად, 26-ე ტაბულაზე წარმოდგენილია 6 სურათი: **a** არის კოსორის მღვიმის ეკლესიის გეგმა და არა ბანას მახლობელი მღვიმის ეკლესია და მღვიმეების გეგმა, როგორც ნაჩვენებია სარჩევში; **b** არის გეგმა მღვიმის დარბაზისა ოლთისის ციხეში და არა ოთხაფსიდიანი ეკლესიის გეგმა ბანას მახლობლად; **c** არის ოთხაფსიდიანი ეკლესიის გეგმა ბანას მახლობლად და არა კოსორის მღვიმის ეკლესიის გეგმა; **d** არის მღვიმის ეკლესიის და მღვიმეების გეგმა ბანას მახლობლად აღმოსავლეთით და არა ოლთისის ციხის ექვსაფსიდიანი ეკლესიის გეგმა; **e** არის ოლთისის ციხის მღვიმის დარბაზის განაკვეთი და **f** არის ოლთისის ციხის ექვსაფსიდიანი ეკლესიის გეგმა და არა ოლთისის ციხის მღვიმის დარბაზის გეგმა, როგორც ნაჩვენებია სარჩევში. ერთი სიტყვით, ამ ტაბულაზე მარჯვნივ არის კოსორის მღვიმის ეკლესიის გეგმა, მის ქვემოთ მღვიმის ეკლესიის და მღვიმეების გეგმა ბანას აღმოსავლეთით; მარცხნივ ამ ტაბულაზე არის ოლთისის ციხის მღვიმის დარბაზის გეგმა; მის ქვემოთ, განაკვეთი ამ დარბაზისა და სულ ბოლოს, გეგმა ოლთისის ეკლესიისა. 28-ე ტაბულაზე **a** არის გეგმა ოკამის ეკლესიისა კოლაში და არა ტაოსკარის პატარა ეკლესიისა, როგორც ნაჩვენებია სარჩევში; **b** არის ძველი ეკლესიის გეგმა ოლთისში, ხოლო **c** არის ტაოსკარის პატარა ეკლესიის გეგმა და არა ოკამისა, როგორც ნაჩვენებია სარჩევში. 25-ე ტაბულაზე ასო **g**-ით აღნიშნულია სარჩევში კოპის ეკლესიის გეგმა, მაგრამ ეს არის გეგმა პერტუსის ეკლესიისა. შემდეგ ალბომში არ არის სრულიად შეტანილი სამწუხაროდ ტაოსკარის ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის სურათი, რომლის კლიშე ჩემს დროს დამზადებული იყო. ეს ნახაზი აღნიშნულია ხუროთმოძღვრების გამოფენის კატალოგშიც №126-ის ქვეშ. არ არის შეტანილი ალბომში აგრეთვე გეგმა ეკლესიისა ბოლნის-კაპანაკჩის მახლობლად, თუმცა ამის კლიშეც მზად იყო. მაგრამ ეს არ არის სავალალო, ვინაიდან მისი გეგმა და აღწერილობა გამოცემული აქვს დ. ჩუბინაშვილს «ხრისტიანსკი ვოსტოკში», ტ. V, 217–220. ამ შესწორებებით ჩვენ ვუჩვენებთ წინამდებარე გამოცემაში ხსენებული ალბომის ნახაზებს. მაგრამ მანამ ცნობების მოყვანას შევუდგებოდეთ, ჩვენ ზნეობრივ მოვალეობად მიგვაჩნია ჩვენი უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ინჟინერს ანატოლი ნიკოლოზის ძე კალგინს, რომელიც დიდი ხალისით შეეგება ჩვენს ექსპედიციაში მონაწილეობის მიღებას და დიდი შრომა გასწია დასახული მიზნების მისაღწევად. აგრეთვე დიდის მადლობით და პატივისცემით უნდა მოვიხსენიოთ აწ განსვენებული ედუარდ კარლოს ძე ლიოზენი, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა ჯეროვნად გადმოეღო ნახული ძეგლები. ის ამავე დროს დიდი მოყვარული იყო ქართული ენისა – ქართული ზმნების პარადიგმებიც გამოსცა ლითოგრაფიის საშუალებით. რიცხვი გადაღებული ფოტოგრაფიებისა უდრიდა 100. სამწუხაროდ, ახლა ხელთ არა მაქვს ყველა ჩვენი ექსპედიციის ფოტოგრაფიული სურათი, მაგრამ უმთავრესი ძეგლების სურათები მომეპოვება. ამას გარდა, დიდ მადლობას ვუცხადებთ ბ-ნ დავით ვასილის ძე ქუთათელაძეს, რომელიც ერთხმად «პოდატნოი ინსპექტორი» იყო ოლთისში და გვეპატიჟებოდა მოგვეწყო ექსპედიცია ოლთისის ოკრუგში, ხოლო მის იქ ყოფნის დროს ეს არ მოხერხდა, მაგრამ მან შეგვიდგინა რუკა ოლთისის ოკრუგისა აღნიშვნით, თუ სად მოიპოვებოდა ნანგრევები ციხეებისა, დაბებისა და ეკლესიებისა. ამან დიდად შეგვიწყო ხელი. გარდა ამისა, მანვე თავისი ხარჯით გამოგვიგზავნა თბილისში ოლთისის ციხის ეკლესიის ნანგრევებისაგან ოთხკუთხედი გათლილი ქვა სვეტის ნაწილითურთ, რომელზედაც ის ყოფილა



დაშენებული. საყურადღებო წარწერა ამ ქვისა მოყვანილია ქვემოთ ოლთისის ციხის ეკლესიის აღწერაში.

## თავი I

### კოლა

კოლა ანუ კოლას ხევი არის სათავე მდინარე მტკვრისა. თათრები ამას უწოდებენ **გელ**, ხოლო რუსების დროს ეს შეადგენდა გელის უბანს არდაგანის ოლქისას. ტერიტორია ამისი უდრის 1898 კვადრატულ კილომეტრს. ეს არის უზარმაზარი ჩაღრმავება ანუ ქვაბური; სახე აქვს ტოლფერდი სამკუთხედისა, რომლის განიერი ფუძე ჩრდილოეთისაკენ მდებარეობს, ხოლო მწვერვალი სამხრეთისაკენ. ზედაპირი მისი წარმოადგენს ვაკეს, რომელიც ამდღებულა ზღვაზე 6 500 ფუტით. შუაში პატარა მაღლობი ახლავს, რომელზედაც გაშენებულია სოფელი ოკამი, ადმინისტრაციული ცენტრი გელის უჩასტკისა. ეს ის ადგილი უნდა იყოს, რომლის შესახებ ბატონიშვილი ვახუშტი წერს: «ხოლო არტანისა და კოლის საზღვარს ზეით, მტკვრის კიდის დასავლით, არს მცირე ქალაქი კოლა, და ზის აწ ფაშა კოლის, და უწოდებენ კოლის ფაშას» (იხ. ვახ. გეოგრ. ბროსსეს გამოცემა, გვ. 106). მთებიდან, რომლებითაც შემოზღუდულია კოლას ქვაბური, აუარებელი წყარო გამოდის, რომელნიც სხვადასხვა ადგილას ერთდებიან და ბოლოს შეადგენენ მდინარე მტკვარს. გაზაფხულზე, თოვლის დნობის დროს, ქვაბური იქცევა უზარმაზარ ჭაობად, რომელიც ტბის სახეს იღებს, და ალბათ ამიტომ დაარქვეს თათრებმა «გელ», რაც ნიშნავს «ტბას». მართლა, გადმოცემით და გეოლოგიურადაც, ეს ქვაბური ერთხელ უნდა ყოფილიყო ტბა, რომლის ჩრდილოეთის ნაპირები გაირღვა და გაიკაფა გზა არდაგანის ველზე მტკვრის საშუალებით. მაისის შუა რიცხვებში უმეტესი ნაწილი კოლასი შრება და ივლისში იმოსება მშვენიერი ბალახით, მაგრამ ზოგ ადგილას რჩება ჭაობები, რომელნიც სასტიკ სიციხიან ზაფხულშიც არ შრება. მომალლო ადგილებსა და მთის კალთებზე არის სახნავი მიწები, მაგრამ პური და ქერი ყოველთვის არ მწიფდება. მთელი დანარჩენი ნაწილი ვაკესი წარმოადგენს მორწყულ მიწდვრებს. ამიტომ აქ საუკეთესო საძოვრები და სათიბებია და მცხოვრებნი უმეტეს შემთხვევებში მისდევენ საქონლის მოშენებას, თუმცა ხვნა-თესვასაც არ აკლებენ ხელს.

ამრიგად, კოლას რაიონი, როგორც მოვიხსენიეთ, არის მტკვრის დასაწყისი, მაგრამ ვინაიდან ამ დასაწყისს შეადგენს უამრავი წყარო, ძნელია გადაჭრით თქმა, რომელია მათში სათავე მტკვრისა, მაგრამ სათავედ საზოგადოდ მიჩნეულია ერთი დიდი წყარო, რომელიც ნაკადულად გამოჰქუხს მთიდან სამხრეთ-დასავლეთის ნაწილში ქვაბურისა და რომელსაც ეხლა მაჰმადიანები ეძახიან **კურიუხ-ბაჩაი**, ხოლო ქრისტიანები **აიაზმას** უწოდებენ, ესე იგი ნაკურთხს ანუ წმიდა წყალს. ეს სახელი ძველთაგან უნდა მომდინარეობდეს. ქართველებს ამ სახელით მოუნათლავთ თავისი საყვარელი მდინარე. ამ წყაროზე აშენებული ყოფილა ძველი ქვის ეკლესია ჩვეულებრივი რიგისა, რომლის ნანგრევები დღესაც ჩანს. ალბათ, ეს ის ადგილია, სადაც ჯერ მოინათლნენ წყალში ღამით, ფარულად თავიანთი წარმართი მშობლებისაგან, და შემდეგ ამისათვის ეწამენ მათგან ამავე ადგილას «ცხრა ყრმა, სულიერი ძმანი, კოლაელნი», რომელთა ცხოვრება გამოსცა ნ. მარმა (იხ. ტექსტი ი.

როზისკანია, V, 53–64) და რომელსაც დროთი აკუთვნებენ V–VI საუკუნეს<sup>22</sup>, ხოლო მათი მარტვილობის დაწერას – მე-8-9 საუკუნეს. შეუძლებელია, ეს ადგილი არ აღენიშნათ ეკლესიის აშენებით. ეს წყარო, მტკვრის სათავედ მიჩნეული, ერთი კილომეტრის დინების შემდეგ თანდათან იკარგება მიწაში და მისი დენა აღნიშნულია მხოლოდ ჭაობებით, რომელნიც მცხუნვარე ზაფხულშიაც არ შრება და ბოლოს გამოდის მდინარედ სოფელ **არჰაშენთან** და შემდეგ დის სოფელ **ვარგინისამდის**, სადაც მას ერთვის **კიურდკეი-სუ**, ანუ როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი უწოდებენ **პასარდჟიკრაი**. აქედან უკვე მტკვარი თვალსაჩინო მდინარეა და მისი სიგრძე კასპიის ზღვაში შერთვამდის უდრის 1100 კილომეტრს<sup>23</sup>.

მოსახლეობა კოლასი, ჩვენი ექსპედიციის დროს, ფრიად აჭრელებული იყო: ნაწილს შეადგენდნენ გამაჰმადიანებული ქართველები, მესხები, ნაწილს – ქურთები, ბერძნები და სომხები. ბერძნები და სომხები გადმოსახლებულნი იყვნენ აქ რუს-ოსმალთა ომის შემდეგ 1877–1878 წლებისა ოსმალეთიდან და დასახლებულნი იმ ადგილებში, რომელნიც დასტოვა გამაჰმადიანებულმა ქართველობამ და ირჩია ოსმალეთში გადასახლება. ოფიციალური ცნობებით, არდაგანის ოკრუგიდან სულ გადასახლდა ოსმალეთში 1407 კომლი ანუ 22 843 სული. ამას უნდა მიემატოს კიდევ ფოცხოვის უჩასტკიდან გადასახლებულნი 388 კომლი ანუ 3 752 სული. ოლთისის ოკრუგიდან გადასახლდა 1063 კომლი ანუ 10180 სული.

სიძველეთა ძეგლები, ეტყობა, კოლაში ბევრი ყოფილა. არ არის სოფელი ან ნასოფლარი, სადაც არ იყოს ნანგრევები ან ნაშთები ეკლესიებისა, კოშკებისა თუ ციხეებისა, მაგრამ ახლა ყველა ეს უმეტეს შემთხვევაში განადგურებულია. ჩვენამდე მოღწეული ძეგლები, შედარებით სხვა სამუსულმანო საქართველოს რაიონებთან, ცოტაა. ეკლესიები უმეტეს შემთხვევაში ჩვეულებრივი რიგის არის, ერთნავიანი ბაზილიკა, ნაშენი გათლილის პატარა ოთხკუთხედი ქვებით. გუმბათიანი ეკლესია ბევრი არ ყოფილა. ბერძნებს და სომხებს ძველი ქართული ეკლესიები ზოგი გადაუკეთებიათ, ზოგი დაუშლიათ და მათ ადგილას იმავე ქვებით ახალი აუშენებიათ. მაჰმადიანებს კიდევ თავის მხრით დაუშლიათ ეკლესიები და მათი ქვები გამოუყენებიათ თავიანთი სახლების და ჯამეების ასაშენებლად.

## დადაშენი

დადაშენი ცნობილია როგორც კათედრა ეპისკოპოზ დადაშენელისა, რომლის სამწყსო სამცხე-საათაბაგოს მწყემსთა სიაში ასეა განმარტებული: «სრულიად კოლა და ხორცევანი (ვარიანტით ხორტევანი) ყარსალზედ მიდგამდის» (დ. ბაქრაძეს არხ. მოგზ. გურია-აჭარაში, გვ. 81–86 და ჩემი არხ. მოგზ. I, გვ. 77). ქართლის მეფის კურთხევის დროს შემდეგ საქართველოს დაყოფისა და დადაშენელს 35-ე ადგილი ეჭირა (იქვე, გვ. 80, 85). ბატონიშვილი ვახუშტი თავის გეოგრაფიაში (გვ. 106) ამ ეკლესიის შესახებ ასე წერს: «ამ (მცირე ქალაქის) კოლას ზეით, მტკვრის კიდეზედ, დადემს არს ეკლესია, დიდმშვენიერ-გუმბათიან-შენი, და აწ უკმობენ

---

<sup>22</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 37, გამ.2; კ.კეკელიძე, ძველიქართული ლიტერატურა, გვ. 561-565.

<sup>23</sup> გეოგრაფიულ-სტატისტიკური ცნობები უფრო დაწვრილებით იხ. ხელმიცვი, კარსკაია ობლასტ, ნაწილი I. თბ. 1892, გვ. 56-57, 203-305.

დორთქილისია. იჯდა ეპისკოპოზი, სულიად კოლისა, და აწ უქმი არს». სახელოვანი გეოგრაფი აქ შემცდარია. დორთ-კილისა სხვა არის და დადაშენი სხვა.

დადაშენის გუმბათიანი ლამაზი ეკლესია გაშენებული ყოფილა მოგრძო მაღალ გორაკზე, რომელიც ამობურცულია ვაკეზე და წარგრძელებული ცხენის ზურგსავით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. გორაკი ვიწროა და მოზღუდული ქვითკირის კედლებით ერთი საყენის სისქისა; ხოლო სამხრეთის მხრით ახლა ზღუდე აღარ მოჩანს. ზღუდეში შესავალი ორი მხრიდან არის, ერთი დასავლეთით და მეორე ჩრდილო-დასავლეთის მხრით. აქეთ-იქით ორივე შესავლისა აღმართული ყოფილა მაღალი ოთხკუთხედი კოშკები; დასავლეთის კოშკები გვარიანად არის შენახული. თვით ეკლესია აშენებული ყოფილა უფრო მომადლო ნაწილში აღმოსავლეთით გორაკისა, მაგრამ ეს ეკლესია, მოწითალო თლილის ქვით შექმნილი შიგნით და გარეთ, დაუნგრევიათ და მისი ქვები მოუხმარიათ ჯამეს ასაშენებლად სოფელში, რომელიც გორაკს ქვემოთ, ცოტა მოშორებით არის ახლა გაშენებული. კედლების ნაშთები აღმოსავლეთით, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით უკეთ არის შენახული და ამის მიხედვით არის შედგენილი ის გეგმა, რომელიც ჩვენს ალბომში მოქცეულია 27-ე ც. ტაბულაზე. გარედან ეს გეგმა წარმოადგენს სწორკუთხოვან ოთხკუთხედს, რომლის საკურთხეველი მომრგვალებით გამოდის გარეთ აღმოსავლეთით. შიგნით კი გეგმა ჯვარის სახით არის გამოხატული და ეს ჯვარი ჩასახულია ოთხკუთხედში. სამკვეთლოს და სალაროს ანუ სადიაკვნეს აფსიდები არა აქვთ, სწორკუთხოვან ოთახებს წარმოადგენენ, ისე როგორც მათი ფარდი ოთახები დასავლეთის კუთხეებში. ამ ოთხი ოთახის კედლებზე ყოფილა დამყარებული თაღები გუმბათით. როგორ იყო განაწილებული კარები და ფანჯრები, დარჩენილი კედლების ნაშთებთან არა ჩანს და ამიტომ არც გეგმაზეა აღნიშნული.

ირგვლივ, როგორც ზღუდეში, ისე ზღუდის გარეთ, მრავალი შენობის ნაშთები მოჩანს, თლილის ქვებისაგან ნაშენნი. საკმაოდ მოიპოვება აგრეთვე სასაფლაოს ქვები, რომელნიც უფრო ხშირად წარმოადგენენ ქანდაკებას შეკაზმული ცხენისა, თუ ცხვარისა და ზოგჯერ ქვაზე ამოჭრილი კაცის სახეებს. გერმანელი მოგზაური ბოტანიკოსი კოხი თავის მოგზაურობაში 1843 წლისა სხვათა შორის იხსენიებს ამ დადაშენის ეკლესიასაც<sup>24</sup>. მის დროსაც ეკლესია დანგრეული ყოფილა და მას მოჰყავს ხალხის თქმულება, თუ რისთვის იქნა დატოვებული და გაოხრებული ეს ეკლესია. ამ

თქმულებით, საქართველოს მეფე არტანუჯში ცხოვრობდა. მან უბრძანა ერისთავს მისთვის დადაშენში აეშენებინა საზაფხულო სასახლე და ეკლესია. ერისთავმა თავდაპირველად ეკლესია აღაშენა. მობრძანდა მეფე და უსაყვედურა ერისთავს, რომ მას უმაღლეს სასახლე არ აუშენებია. ერისთავმა უპასუხა: ზეციერი მეფე უფრო მაღლა დგას, ვიდრე მიწიერიო. განრისხებულმა მეფემ ბრძანა ამ კადნიერებისათვის. ერისთავის ეკლესიის სვეტზე ჩამოკიდება. ბრძანება აასრულეს და მით ეს ეკლესია წაბილწეს. მორწმუნე ხალხმა მიატოვა მას შემდეგ ეკლესია, მაგრამ კედლები კიდევ დგანან, რომ ხსოვნა უცნაურის სისხლის ღვრისა არ ამოიფხვრას ხალხის მეხსიერებიდან. ამ თქმულებიდან ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ

---

<sup>24</sup> Reise im pontischen Gebirge und türkischen Armenien, II. Weimar, 1846.

დადაშნის საკათედრო ეკლესია იმ დროს არის აშენებული, როდესაც ბაგრატიონების რეზიდენცია ჯერ კიდევ არტანუჯი იყო, ესე იგი მე-9-10 საუკუნეში ამ დასკვნას თვით ეკლესიის გეგმაც არ ეწინააღმდეგება.

### დორთ-კილისა

**დორთ-კილისა** თათრული სიტყვაა და ნიშნავს **ოთხ ეკლესიას**. დორთ-კილისად არის აგრეთვე ცნობილი ერთი სოფელი ისპირში. ძველად აქ იყო «ლავრა ოთხთა ეკლესიათა». ამ შემთხვევაში თათრული მისი სახელი ქართულიდან არის ნათარგმნი. ასეთივე იყო ძველად კოლას დორთ-კილისის სახელი თუ არა, არ ვიცით.

ისპირის ოთხთა ეკლესიაში დღემდე კარგად შენახულა სამნაოსნიანი დიდი ბაზილიკა<sup>25</sup>.

კოლას დორთ-კილისა ბორცვზეა გაშენებული. ეკლესია მართლა ოთხი ყოფილა ერთ დროს. პირველი მათგანის ნანგრევები შუა სოფელში მოჩანს, მაგრამ გარდა სამირკვლის ნაშთებისა და შეკირწყლული მაგარი კედლების ნამტვრევებისა აღარაფერი არ შენახულა. ეკლესია პატარა ყოფილა. სხვა ეკლესიები არის გაშენებული ბორცვებზე დასავლეთის მხრით სოფლისა. ერთ ბორცვზე, რომელიც უფრო ახლოა სოფელზე, დაცულია ნანგრევები კოხტა გუმბათიანი ეკლესიისა. ეკლესია ქვისგან ნაშენი შეძერწილი ყოფილა შიგნით და გარეთ პატარა კვადრატული ნათალი ქვებით. გეგმა მისი სამაფსიდიანია, ლამაზი ჯვარის სახისა (იხ. ტაბ. 23, ც). აფსიდები გარეთ სამწახნაგოვნად გამოდიან და მათში თითო ფანჯარაა დატანებული. დასავლეთის ფრთა წაგრძელებული ოთხკუთხედიანია, რომელსაც ახლავს დასავლეთითვე სტოა ოთხკუთხედი, წაგრძელებული სამხრეთით, სამხრეთის ჯვარის მკლავის გასწვრივ. შესავალი აქვს სტოას დასავლეთით და ეკლესიაც დასავლეთის კარებით უერთდება მას. გუმბათი და გუმბათის ყელი ჩანგრეულია და უმეტესი მათი ნაწილები ძვეს შუა ეკლესიაში. გუმბათი ყელითურთ დაბალი ყოფილა; აფრები ჰქონია კონუსისებური; კონუსის სახე აქვს გუმბათსაც. შიგნით ეკლესია შელესილი ყოფილა და შემკობილი ფრესკებით, რომელნიც ახლა სულ მოშლილია. ეს ეკლესია რამდენიმედ მოგვაგონებს ზეგანის სამაფსიდიან ეკლესიას არდაგანის ოკრუგში (იხ. ჩემი მე-12 ტომი, მოსკოვის საზ. „მატ. პო. არხ. კავკაზა“, გვ. 65, სურ. 38, 39). განხილული ეკლესია უნდა ეკუთვნოდეს მე-9 საუკუნეს.

მეორე ბორცვზე ამ ეკლესიის მახლობლად მოიპოვება ნანგრევები ორი ეკლესიისა, რომელნიც ერთი მეორეზეა მიდგმული. ორივე ნაშენია ქვით და შეძერწილი ზერელე ნათალი ქვებით (იხ. ტაბ. 27, ც). ერთი მათგანი ჩვეულებრივი რიგისაა: ერთნეფიანი ბაზილიკა, მოგრძო. კარი ჰქონებია დასავლეთით (გეგმაზე აღნიშნული არ არის). ფანჯარა – აღმოსავლეთით და დასავლეთით. სამხრეთით ეს ბაზილიკა უერთდება კარით მეორე ეკლესიას, რომელიც ოვალური, კვერცხის მსგავსი გეგმისაა. ორის ფანჯრებიანის აფსიდით, აღმოსავლეთით და დასავლეთით, და კარით სამხრეთის კედრით (გეგმაზე აღნიშნული არ არის). ამ კედრით ყოფილა

---

<sup>25</sup> ივ. ჯავახიშვილი შეცდომით ამ ლავრას კოლას აკუთვნებს (იხ. «ქართველი ერის ისტორია», ტ. II, გვ. 325).

კიდევ ერთი ფანჯარა. ეკლესიას გუმბათივც ჰქონია შინაგანი კვადრატის კუთხეებზე დაყრდნობილ კამარებზე აგებული, მაგრამ ეს ახლა სრულიად მოშლილია. დასავლეთის მხრით ეკლესიის კედელი ამოყვანილია ერთ მთლიან ქვაზე და ამ ქვის ქვემოთ მოჩანს შესასვლელი აკლდამაში, მაგრამ ეხლა შესასვლელი დახშულია. ერთი დიდი მასიური გათლილი ქვა, ერთი საჟენი და 4 ვერშოკი სიმაღლით და 2 არშინი და 14 ვერშოკი განით აყუდებულია სამხრეთის კართან ეკლესიისა და ამ ქვაზე ამოჭრილია ჯვარი. დანიშნულება მისი ჩვენთვის გამოურკვეველია. შესაძლოა ვიფიქროთ, ეს სასაფლაოს ძეგლი იყო. ორივე ეკლესია დახურული ყოფილა ლორფინით. ეკლესია IX–X საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

### **სოფელი ოკამი**

ეს სოფელი ადმინისტრაციული ადგილი იყო გელის უჩასტკისა. მცხოვრებნი თათრები და ქურთები იყვნენ. შუა სოფელში დარჩენილია ნანგრევები ძველი ეკლესიისა მოდიდო თლილის ქვით შეძერწილი შიგნით და გარეთ. ეკლესია ერთაფსიდიანია, მაგრამ ჩრდილოეთის მხრით ეკვტერი აქვს უაფსიდო (გეგმა იხ. ალბომში, ტაბ. 28 a და არა c, როგორც შეცდომით აღნიშნულია სარჩევში). ამ ეკლესიის ნანგრევებს ამშვენებდა ჩვენს დროს ყარყატის ბუდე. ირგვლივ ძველი სასაფლაოა დიდრონის ქვებით მოცული, ზოგჯერ ქვები სახელებით არის შემკობილი; ერთზე კაცის სახეა ამოჭრილი, მეორე წარმოადგენს ქანდაკებას შეკაზმული ცხენისას.

### **ტახტაკრან**

ტახტაკრანი ფოსტის სადგური არის არდაგან-ოლთისის გზატკეცილისა. ამ სოფლის მახლობლად მთის ფერდობზე არის პატარა ეკლესია, ტლანქად ნათალი ქვით ნაშენი. სიგრძე აქვს 16 არშინი, სიგანე – 2 არშინი და 9 ვერშოკი. ნაწილი თლილის ქვებისა გარედან მომარცულია. ჩრდილოეთის მხრით ეკვტერი აქვს, რომელიც ახლა მთის ფერდობის მიწაშია მოქცეული. კარ-ფანჯრების განაწილება იხ. ტაბ. 25, e.

### **ჯიჯორი**

ქურთების სოფელია 15 ვერსის მანძილზე ოკამიდან, მტკვირს პირზე. სოფლის ზემოთ გორაკზე მოჩანს პატარა ძველი ეკლესია, ჩვეულებრივი რიგისა, საკმაოდ კარგად დაცული, სიგრძით 15 არშ. და 5 ვერშ., განით 8 არშ. და 13½ ვერშ. ნაშენია ზერელე ნათალი პატარა ქვებით. თალი ჩამონგრეულია. კედლები კარგად არის შენახული, სართავი კამარის ქუსლები ძირამდის არ ჩამოდის, დაკიდულია. გეგმა იხ. ტაბ. 25, a.

### **თურქაშენი**

ეს ბერძნების სოფელია ჯიჯორის ზემოთ, მტკვირის პირზე. აქ არის ნანგრევები ორი პატარა ეკლესიისა, ორივე ჩვეულებრივი რიგისა, ზერელე ნათალის ქვით ნაშენნი. ერთი გვარიანად არის დაცული, მეორე უფრო დანგრეულია. გეგმა მათი

ისეთივე არის, როგორც ჯიჯორის ეკლესიისა. აქვე მოიპოვება ნანგრევები ძველი მრგვალი ქვის კოშკისა, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი **კულას** უწოდებენ.

სხვა ეკლესიების ნანგრევებზე ჩვენ აღარ შევჩერდებით, ხოლო მოკლედ ჩამოვთვლით, სად რა ვნახეთ.

სოფელ **მუზარეთში**, ბერძნების სოფელია, ძველი ეკლესია დაუნგრევიათ და მის ადგილას იმავე ქვებით ახალი აუშენებიათ. ერთ ქვაზე შერჩენილი იყო ასომთავრული წარწერიდან: «წ ო გ ი». აქვე ყოფილა მეორე ძველი ეკლესია. ისიც დაუნგრიათ და ჩემსობას იმ ადგილას აშენებდნენ ახალ ეკლესიას. ასეთივე ბედი წვევია სოფ. **არგინისის** ეკლესიას. ქურთების სოფელში **მუხთერეკში** დაცულია ეკლესიის ნანგრევების სამი კედელი. სოფ. **დემურკამბ**-ში არის პატარა ქვის ეკლესია: ოთხივე კედელი დაცულია. აქ წითელ ქვაზე წარწერა ყოფილა ამოჭრილი, რომელიც გელის უჩასტკის თანაშემწეს არდაგანში წაუღია. **უჩ-კილისაში**, როგორც სახელი უჩვენებს, სამი ეკლესია ყოფილა. ორი ეკლესიის მცირე ნანგრევები დაცულია, მესამე დაუნგრევიათ და მის ადგილას ახალი აუშენებიათ. განადგურებულია ძველი ეკლესია სოფ. **ხევამი... თურქაშენის** ზემოთ, გზატკეცილის პირზე, პატარა ეკლესია არის კარგად შენახული. **ორა-კილისაში** ეკლესიები განადგურებულია. განადგურებულია აგრეთვე სოფ. **კალკოსში**. **სამუთში** ორი ეკლესია ყოფილა: ერთის ნაშთები დაცულია. სოფელ **სინოთში** ჯამე აუშენებიათ ძველი ეკლესიის ქვებიდან. **ლაგოსტანში** შერჩენილია ნანგრევები ძველი ეკლესიისა.

### ციხე კალაჯუხი

სახე და გეგმა იხ. ტაბ. 31, ა. ეს ციხე მდებარეობს ხუთი ვერსის სიშორით სამხრეთ-დასავლეთით ჯიჯორისა, მშვენიერად არის დაცული და ფრიად ლამაზია. ეს უსათუოდ ერთი საუკეთესო ძეგლია კოლას რაიონისა. აქ მტკვარს უერთდება ჩრდილოეთიდან უზარმაზარი ღრმა ხევი. მტკვრისა და ამ ხევის ნაპირი ქმნის ცხვირს სამკუთხედად მოყვანილს და ამაზე არის გაშენებული ციხე. ცხვირის ნაწილი მტკვარსა და ხევსა შორის მოზღუდულია მაღალის ქვითკირის კედლით, რომელიც ნაშენია ვეებერთელა ქვებისაგან. სისქე კედლისა უდრის ერთ საყენს და ზემოთ დაკბილულია. კედლებს ეკვრის ოთხი ნახევრად-მრგვალი და ორი ოთხკუთხედი მაღალი კოშკი. უკანასკნელს კოშკებს გვერდებიდან აქვს თითო კარი. ჩრდილოეთ-სამხრეთის შესავალს ზემოდან დახურული ბანი აქვს, რომლის მუხის მთლიანი სქელი იატაკი დასვრეტილია, რომ აქედან მდულარის გადარება შესაძლებელი ყოფილიყო მომხდურთათვის და აგრეთვე წვიმის წყალი არ გაჩერებულიყო იატაკზე. ამ კოშკების გაგრძელებას შიგნით ციხისა შეადგენენ დახურული შენობანი, აგრეთვე სიმაგრენი და სხვა სადგომები. ციხიდან საუცხოო გადასახედა, ვინაიდან მისი არემარე ერთობ ლამაზია. მეორე პირი მტკვრისა აქ მოცულია ნამძვ-ფიჭვნარით სულ მთის მწვერვალამდის. ეს ტყე იწყება თურქაშენის დასავლეთით და მთები, რომელნიც აქედან მიიმართებიან არსიანის ქედამდის, სულ ფიჭვნარით არის მოცული. სხვა ადგილები კოლას რაიონისა უტყეოა. მარჯვენა მხარეზე მიყოლილი მთები მტკვრისა ადგილ-ადგილ არის ტყიანი. ჩვენი ფოტოგრაფიული სურათი ციხისა კარგად გამოსულია.

ჩვენის აზრით, კალაჯუხი ის ციხეა, რომელსაც ვახუშტი ქუმურლუხის სახელით იხსენიებს. ის წერს: «ხოლო მტკვრის სათავეს ზევით, ყალნუ-მთის ძირზე, არს ციხე შენი ქუმურლუხი, მაგარი და შეუვალი (ვგონებ ბეჭის ციხედ), აწ ცარიელ

არს. ამას ზედა გარდავალს გზა ბანას და ფანასკეტს» (იქვე, გვ. 106). სხვა უკეთესი ციხე კოლაში არ არის.

სოფელ კონკის ზემოთ მთაზე დიდი ოთხკუთხედი ციხეა. სიგრძე აქვს 12 საჟენი, განი ექვსი საჟენი. შიგნით და გარეთ მისი კედლები დიდრონი ქვებით არის შეპერწილი, მაგრამ უკიროდ; ხოლო შუა კედელი კი კირითაა ნაშენი; სისქე კედლებისა ერთი საჟენია. მიმართულება აქვს ჩრდილოეთიდან სამხრეთით; კუთხეებში მომრგვალო კოშკებია აშენებული. ახლა ციხე სანახევროდ დანგრეულია.

სოფ. ვალავერის ზემოთ და მახლობლად სოფელ ოხჩისა და მეხკერაკისა არის პატრა ციხე-კოშკი; ახლა უწოდებენ ქოროღლის ციხეს; პატარა ციხე მოიპოვება აგრეთვე სოფ. სანამ-ოღლში. აქ თხრის დროს ჯვარი ეპოვათ.

თუმცა კოლას ოლთისის ოკრუგიდან მაღალი წყალთგამყოფი ქედი ჰყოფს, მაგრამ გადასასვლები კარგია. მათ შორის საუკეთესოდ ითვლება ორი ზეკარი – პანჯურეთისა და აგუნდირისა. აგუნდირი უკანასკნელი სოფელია კოლასი, სადაც თავდება ახალქალაქ-არდაგან-კოლას გზატკეცილი და აქედან ეშვება ქალაქ ოლთისში. ჩვენ ამ გზით ვისარგებლეთ.

## თავი II

### ოლთისის ოკრუგი (ძველი ტაოს ნაწილი).

ოლთისის ოკრუგი ყარსის ოლქისა მოქცეული იყო მთლად ოლთისის წყლის ბასეინში: ოლთისის წყალი შემდინარეა ჭოროხისა მარჯვენა მხრით; იწყება სევრიდაგის მთიდან და სდის 145 ვერსის მანძილზე. ამათგან 25 ვერსი სათავითგან რუსთა საზღვრების შემოსვლამდის და 20 ვერსი მისი ბოლო ნაწილისა დარჩენილი იყო ოსმალეთის საზღვრებში; ხოლო დანარჩენი ნაწილი 100 ვერსის სიგრძით ეკუთვნოდა რუსეთს.

ოლთისის წყალი ხან სულ ვიწრო კალაპოტში მიმდინარეობს და შეკრულია კლდოვანი მაღალი მთებით, ხან ქმნის ფართო ხეობებს ორი ვერსის სიგანით. ასეთია მაგალითად, ხეობა ბანადან (პენიაკიდან) დაწყებული ოლთისამდის. ამ ხეობაში ხშირია თიხის სილიანი გორაკები და ბორცვები, შეხამებული სულ სხვა და სხვა საუცხოო ფერადებით, წითელით, ყვითელით, თეთრით, მწვანით და მაცვლის ფერით. ეს გორაკები იშვიათს თვალწარმტაც სურათს წარმოადგენენ. ოლთისის მხარე შეადგენდა ძველი ქართული პროვინციის ტაოს ნაწილს. ტერიტორია მისი შეიცავდა 2958 კვადრატ. კილომეტრს. მცხოვრებთა რიცხვი უდრიდა 275 450 სულს. უმეტესობა შეადგენდა გამაჰმადიანებულს ქართველობას, მესხებს. სხვებთა შორის იყვნენ ბერძნები, ქურთები და სომხები. უკანასკნელებს იმ დროს შემოიხიზნენ ზოგნი აბდულ ჰამიდის ჟღეტის ჟამს ოსმალეთიდან გადმოხვეწილი სომხები. ბეგები ამ მხარისა ეკუთვნოდნენ ხიმშიაშვილის გვარეულობას. ოთხს მათგანს ჩვენ გავეცანით ჩვენი ექსპედიციის დროს. ერთი უფრო შეძლებული დურუსუნ ბეგი ცხოვრობდა ტაოსკარში, ერთი ფანასკერტის მუხთარი (მამასახლისი) იყო, მეორე კარნავაზის მუხთარი. ამას კიდევ შერჩენოდა ნაწილი ძველი დიდებული სახლისა, რომელიც საუკეთესო იყო მთელს ოლთისის ოკრუგში. მესამე სტრაჟნიკი იყო და ოკრუგის უფროსმა ჩვენ გვაახლა ყოველგან იმ რაიონში მოგზაურობის დროს. ის, რა თქმა უნდა, ჩვენთვის მარტო საპატიო მხლებელი იყო, რომელიც კარგად იცნობდა ყველა სოფელს. ჩვენ გავეცანით ოლთისში ამ სამი ძმის დედას. ის ასი წლის მოხუცი იყო, მაგრამ ერთობ მხნე, მაღალი და წარმოსადეგი. მშვენივრად ლაპარაკობდა

ქართულს; მეხსიერებაც კარგი ჰქონდა. გამოირკვა, ის ყოფილა ბერიძის ასული; წამოუყვანიათ ბეგის საცოლოდ 16 წლისა გურიიდან, სოფელ ქაქუთიდან. ქაქუთი ჩოლოქის წყლის ნაპირად მდებარეობს, ყოფილ ოსმალეთის საზღვარზე და შედის ჩემი სამშობლო ლეხორის საზოგადოებაში. იგი მომიყვა იმ დროის გურიის ამბებს და აგრეთვე როგორ დაწინაურებულნი იყვნენ ოსმალეთში მისი ქმარი და სხვა ქართველი ბეგები. ბოლოს მკითხა, მალაქია გურიელი, დათა გურიელი, ყარამან თავდგირიძე როგორ ბრძანდებიანო? მალაქია გურიელი დიმიტრი, კოწია და ქაიხოსრო გურიელების მამა იყო, ხოლო დათა გურიელი იყო ჯაბა, ვახტანგ, მამია, ტელემაკ და ვარდენ გურიელების მამა. ეს ორი ჩემს დაბადებამდის იყვნენ გარდაცვლილნი. ყარამან თავდგირიძის სახელი, ნიკო თავდგირიძის მამისა, ბავშვობაში ხშირად მსმენია, მაგრამ პირადად არ მინახავს. მე ვუთხარი, არც ერთი აღარ არის ცოცხალი-მეთქი. ჰო, რა ადრე გარდაცვლილანო, მიპასუხა. მაჰმადიან ქართველებს ქართული ენა საზოგადოდ დავიწყებული ჰქონდათ, მაგრამ ზოგიერთ სოფელში – ფანასკერტელში, ანზავში და ნიაკომში მოხუცებულებს ზოგჯერ ესმოდათ ქართული; ხოლო შეგნება, რომ ისინი წინათ ქართველები იყვნენ, თითქმის ყველას ჰქონდა.

როგორც მოვიხსენიეთ, ოლთისის ოკრუგი მოქცეული იყო ოლთისის წყლის ბასეინში. ეს მხარე ფრიად დასერილს მთიანეთს წარმოადგენს, ვინაიდან წყალგამყოფი მაღალი ქედებიდან არდაგანის და ოლთისის ოკრუგების შორის გამოდიან მრავალი შტოები და ქედები და ავსებენ მთელს მხარეს მთებით, რომელნიც თავის მხრითაც წყალთ-გამყოფნი არიან ოლთისის წყლის უამრავი შემდინარეების და ხეებისა. ამ შემდინართა შორის უმთავრესნი არიან: ბანას წყალი (ეხლა პენიაკ-ჩაი), 52 ვერსი სიგრძით. ამ ბანას წყალს მოერთვის ბარდუსის წყალი, სიგრძით 66 ვერსი. ასე რომ, უფრო სამართლიანი იყოს შეიძლება ბანას წყალი მივიღოთ ბარდუსის წყლის შემდინარედ და არა წინაუკმო. მეორე შემდინარე ბანას წყალისა არის კანლის წყალი (კანლი-სუ), სიგრძით 20 ვერსი. შემდეგ თვალსაჩინო შემდინარე ოლთისის წყალისა არის სალაჩურის წყალი, სიგრძით 28 ვერსი; მარცხენა შემდინარეთა შორის უფრო საყურადღებო არის სევრის წყალი (სევრიჩაი), მაგრამ ეს შემდინარე, რომელიც სევრიდაგიდან გამოდის, უმეტეს ნაწილად მოქცეული იყო ოსმალეთის საზღვრებში. მის საზღვრებში იყო აგრეთვე თორთუმის წყალი.

ოლთისის წყალი შემოდის რუსეთის საზღვარში ეგრეთ წოდებული ნარიმანის კარებით. ნარიმანი დიდი ბერძნული სოფელი იყო ალლა-ბალიკ-სუს ნაპირას, რომელიც ოლთისის წყლის მეორე მარცხენა შემდინარეს წარმოადგენს. ნარიმანის ჩრდილოეთის მხრით მაღალ კლდეზე ეკლესიის ნანგრევებს უჩვენებენ. ამის ქვემოთ მეორე ეკლესიის ნანგრევები ყოფილა და აგრეთვე დიდი ციხისა, რომლის ზღუდეები ზოგ ადგილას კარგად ყოფილა დაცული. სამწუხაროდ, ეს ადგილები ჩვენ უნახავი დაგვრჩა, როგორც მოვიხსენიეთ, ჩვენი თანამშრომლების ავადმყოფობის გამო.

### ბანას დიდი მრგვალი ტაძარი

შესანიშნავი ბანას ტაძრის ნანგრევები დაცულია ვერსნახევარი სიშორით სოფელ პენიაკიდან, ჩრდილოეთის მხრით, მარჯვენა ნაპირზე ბანას წყლისა, რომელიც შემდინარეა ოლთისის წყლისა. ბატონიშვილი ვახუშტი წერს ბანას შესახებ: «ამ წყალზედ (ბანა-ფანასკერტელის წყალზედ), მთაში, არს ბანა, აწ უწოდებენ ფანაქს. აქ არს ეკლესია გუნბათიანი, დიდი, შვენიერად ნაგები, კეთილ-



შვენიერ ადგილს, აღაშენა მეფემან ადარნასემ, და დაფლულ არიან მეფენი, იჯდა ეპისკოპოზი მწეყმსი ფანასკერტისა და სრულიად ტაოსი, ოლთისისა და ნარუმაკისა (ნარიმანისა) და აწ არს ცალიერი» (იხ. ვახუშტის გეოგრაფია, ბროსეს გამოცემა, გვ. 118).

ბანელის სამწყსო სამცხე-საათაბაგოს მღვდელ-მთავართა სიაში ასეა მოხსენებული: სულ ბანი, ტაოს-კარი, ფანასკერტი, ჰარიზის ხეობა, სრულად ოლთისი, ნამურკანი ანუ ნამურაკანი (ეხლანდელი ნარიმანი (იხ. ჩვენი არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 77).

ბანას ეკლესიის აშენების დრო გარკვეულად აქვს აღნიშნული ბაგრატიონთა ისტორიკოსს სუმბატ დავითის ძეს. იგი წერს: «ადარნასე, ძე დავით კურატპალატისა, დასუეს ქართველთა მეფედ... და ამან ადარნასე (881–923), ძემან დავით მოკლულისამან, აღაშენა ბანა კელითა კვირიკე ბანელისათა, რომელი იგი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანელ» (იხ. ჩვენი სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. 59 და მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 347–348). აქედან ცხადდება, რომ ბანას აღშენება ეკუთვნის მეცხრე საუკუნის დასასრულს, ან მეათეს დასაწყისს. კვირიკეს გარდა ბანელ ეპისკოპოზთა შორის ცნობილია იოანნე, რომელმაც უღალატა ბაგრატ IV და ტაოელ აზნაურებთან ერთად წავიდა საბერძნეთს 1027 წელს, და ზაქარია, რომლის ბრძანებით მეთერთმეტე საუკუნეში გადაწერილია დიდი ტყავის კრებული, №1 სეკლესიო მუზეუმისა, რომელიც შეიცავს უმთავრესად შრომებს გრიგოლ ღვთისმეტყველისა. ბანაში დაიწერა ჯვარი ბაგრატ IV ბიზანტიის იმპერატორის ძმის რომან არგირის ასულზე ელენეზე. ბანას ეკლესიაში იმარხებოდნენ ზოგიერთი ტაოს ბაგრატიონები. ბოლო დროს იქ დაიმარხა ვახტანგ IV (1442–1445) და მისი მეუღლე სითი-ხათუნ, ფანასკერტელის ასული, რომელიც გარდაიცვალა ერთი წლით ადრე თავისი ქმრისა.

ბანას საეპისკოპოზო შესანიშნავი ტაძრის აღწერილობა, როგორც მოვიხსენიეთ, გამოცემულია უკვე (იხ. «მატიერიალი პო არხეოლოგიი კავკაზა», XII, გვ. 88–117); იქვეა აღწერილი ბანას არემარის საყურადღებო ეკლესიების ნაშთები სოლომონისის ანუ სოლომონ-კალის, ჩამხუსის და კიაგმის-ალტის (გვ. 80–84). ამიტომ აქ მოკლე ცნობებს მოვიყვანთ მათ შესახებ და ვუჩვენებთ ხსენებულს გამოცემაში მოთავსებულ სურათებს. კერძოდ, ბანას ზოგიერთი სურათი მოთავსებულია ჩვენი გეგმებისა და ფოტოგრაფიების მიხედვით გ. ჩუბინაშვილის გამოცემაში: «ქართული ხელოვნების ისტორია», ტ. I, სახელგამი, ტფილისი, გვ. 168–174. აქ არის სხვათა შორის ხუთი ფოტოგრაფია (იხ. სურათები 122, 123, 124, 125 და 126), რომელნიც მოსკოვის გამოცემაში არ შესულა, თუმცა ჩვენ მიერ წარმოდგენილი იყო. მიზეზად ისედაც სიუხვე სურათებისა დაასახელეს (მართლაც, ბანას აღწერილობას დართული აქვს სულ 26 სურათი). ზოგიერთი სურათი გამეორებულია აგრეთვე რუსულ და ქართულ გამოცემაში გ. ჩუბინაშვილისა და ნ. სევეროვისა: «ქართული არქიტექტურის გზები», წაკითხული სრულიად საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების პირველ კრებაზე, 1936 წლის 21 თებერვალს. ტექსტომცემლობა: «ტექნიკა და შრომა», ტფილისი, 1936, გვ. 59–66; რუსულად: „პუტი გრუზინსკოი არხიტექტური“, გვ. 58–70, იგივე წელი.

ბანას ტაძარი აშენებულია განგებ ზემოთ დავაკებულს მრგვალ ბორცვზე და ძველად შემოზღუდული იყო ქვითკირის გალავნით, რომელიც ახლა განადგურებულია (საზოგადო სახე მისი შორიდან დასავლეთით იხ. ქართ. ხელ.

ისტორ. სურ. ნაშთები ფრესკებისა შევამჩნიეთ საკურთხევლის კონქში და ზემო სართულის პატრონიკეს ნაწილებშიც, მაგრამ თავდაპირველად ბანას კედლები ფრესკებისათვის არ ყოფილა განკუთვნილი. ამას მოწმობს სხვადასხვა ფერის ქვებით საუცხოოდ შეხამებული სამი მეოთხედი სვეტი სამხრეთ-აღმოსავლეთის საკურთხევლის ნაწილისა და აგრეთვე ის გარემოება, რომ ნაგლესის (შტუკატურის) ჩამოვარდნის შემდეგ გამოჩნდა ნაშთი ასომთავრული წარწერისა ნათალ შექერწილ ქვაზე ამოჭრილი და შემდეგ წითლად შეღებილი:

.... წყლე თე  
დიდი

ზოგიერთის სიტყვების აზრით, დამატებით, შეიძლება ეს ნიშნავდეს:

«[ქრისტე შეი]წყალე თეოდორე დიდი».

ასეთივე წარწერა უნდა ყოფილიყო კიდევ სხვა ქვებზეც, ვინაიდან ერთ ჩამოვარდნილს ქვაზე ეტყობა ორსტრიქონიანი წარწერა. პირველი სტრიქონი მოშლილია, მეორეში იკითხება: «დიდი». ეს წარწერები თანამედროვე უნდა იყოს ტაძრის აღშენებისა, ხოლო ეს არ ითქმის მესამე წარწერაზე ზემო სართულის კუთხის ოთახის კედელზე აგრეთვე ასომთავრულით, რომელსაც დ. ბაქრაძე აღნიშნავს:

ქე შე გ-ი, ესე იგი: «ქრისტე, შეიწყალე გიორგი».

ეს მერმინდელი წარწერაა და უნდა ეკუთვნოდეს მოსრულ მლოცველს. განცალკევებულ ქვებზე ზოგჯერ არის ნიშნები ხუცურის ასომთავრულით, უფრო ხშირად ასომთავრული ხ-ხ. სხვა წარწერები ახლა არ ჩანს. კოხი ამბობს, წარწერები იყო, მაგრამ მაჰმადიანებს ისე გაუფუჭებიათ, რომ აღარაფერის გარჩევა არ შეიძლებოდა დაწვრილებითო. ე. ვეინდელბაუმი იყო ბანაში 1879 წელს და ის შენიშნავს, მამად-ბეგმა გადმომცა, წარწერა იყო შესასვლელის ზემოთ შიგნიდან, მაგრამ მცხოვრებლებმა წაიღეს შენობისათვისო. მე კიდევ ადგილობრივ გადმომცეს, რუს-თათართა ომის დროს 1877–1878 წელს რუსის «ოტრიადი» იღვა ეკლესიის გარშემო და ერთმა ლენერალმა წაიღო წარწერიანი ქვა ეკლესიიდანო. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ წარწერები ყოფილა, მაგრამ არ შენახულა. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ახლა ექვი შეაქვთ, ვითომც როცა ოსმალებს ამ ადგილას თავიანთი ბანაკი ჰქონდათ მოწყობილი. 1843 წელს, როდესაც ბოტანიკოს კარლ კოხმა ინახულა ეს ტაძარი, მას არავითარი ზედშენი არა ჰქონია და მთელი შენობა გარედან მას წარმოუდგა როგორც ერთი უზარმაზარი გუმბათი, რომლის განის დიამეტრი უდრიდა გუმბათის სიმაღლეს. ესო, ამბობს კოხი, ეჭვს გარეშე, ყველაზე უფრო ლამაზი და ყველაზე უფრო მშვენიერია მათ შორის, რაც მე ამგვარი რამე მინახავს მთელს აღმოსავლეთში, კონსტანტინეპოლის გამოკლებითო.<sup>26</sup> ჩვენს გამოცემაშიც აღდგენილი ფასადი დაახლოებით ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს (იხ. ტაბ. XX a).

1881 წელს, როდესაც დ. ბაქრაძემ ნახა ბანას ტაძარი, მას მხოლოდ გუმბათი ჰქონდა ჩაქცეული. ჩვენი პირველი ნახვის დროს 1902 წელს ტაძარი უკვე ძალზე დანგრეული იყო. გადარჩენილი იყო მხოლოდ შინაგანი აღმოსავლეთის სახე, მისი პატრონიკენით, გალერეით და გარედან მიშენებული აღმოსავლეთისა და სამხრეთის კოშკებით. დაცული იყო აგრეთვე გალერეის კედლები, გარდა ჩრდილოეთის

---

<sup>26</sup> Reise im pontischen Gebirge und türkischen Armenien, II. Weimar, 1846. pp. 243–247.

ნაწილისა. ამ გალერეის შიგნით ჩაქცეული სამი მეოთხედი ტაძრის შინაგანი კორპუსისა მოგეჩვენებოდათ ქვებით ამოვსებულ უზარმაზარ მორევად ანუ ტბად. 1907 წელს, როდესაც მეორეხელ ვინახულე ბინა, სურათი კიდევ უფრო სამწუხარო იყო. გალერეის ჩრდილო ნაწილის ნანგრევი ბევრად უფრო გაფართოებული იყო (იხ. საქ. ხელ. ისტ., სურ. 126). ის შესანიშნავი ორნამენტები აღმოსავლეთის გალერეის კამარებისა, რომელიც ჩვენ ფოტოგრაფიულად გადმოვიღეთ 1902 წელს (ტაბ. XIX, 35), სულ ჩამონგრეულიყო, უფრო დაზარალებულიყო აგრეთვე აღმოსავლეთის შინაგანი სახეც (იხ. საქ. ხელ. ისტ., სურ. 121), ძალზე ჩამონგრეული იყო კიდევ კოშკებიც და სხვა. ეხლა ალბათ არც ის იქნება დაცული, რაც ჩვენ ბოლო დროს ვნახეთ. ასეთია სამწუხარო ბედი ჩვენი დიდებული კულტურის ნაშთებისა.

შიგნით ბანას ტაძარი ყოფილა შემკობილი ფრესკებით 123); საუცხოოა აგრეთვე ერთი სვეტის თავი, კაპიტელი, კორინთის რიგისა, გალერეაში (იხ. ტაბ. XX, 38). აფსიდებში სამ-სამი ფანჯარაა. გარეგანი სახე რგოლივით მრგვალი შემოსასვლელისა ანუ გალერეისა შეიცავს 28 წახნაგს შემკობილს თითო ყალბი კამარით და მომრგვალებულის ფანჯრით. ფანჯრები არ არის მხოლოდ კარებიან წახნაგებში, რომელნიც ამ შემთხვევაში უფრო განიერია სხვებზე (იხ. ტაბ. XVII, 31, 32 და XX a). კამარები ეყრდნობა ორმაგ პატარა ნახევარ სვეტებს, ბაზებით და სვეტის თავებით შემკობილთ (იხ. იგივე ტაბულები). კამარების ზემო სამკუთხედი არების მორთულობა წარმოადგენს ფოთლოვან შემკულობას, ვაზებს მტევნებით და ნამეტნავად ბროწეულის შტოებს მსხვილი ბარელიეფური ნაყოფით, ბროწეულებით (ტაბ. XIX, 35); დასავლეთის კარის კამარის შემკობილობა შეიცავს ლამაზ პალმეტებს (ტაბ. XX b).

დიამეტრი გალერეისა და მამასადამე მთელის შენობისა უდრის 18 საჟენს. გარეთ გალერეა შეძერწილია მოყვითალო ნათალის ქვით, შიგნით კი ტაძარი და ეკლესია შეძერწილია ნაცრისფერი ნათალი ქვებით. სამივე შესასვლელს, ეტყობა, ჰქონია პატარა კარიბჭე, პორტიკი, მაგრამ დღემდის არც ერთი არ არის დაცული. ოთხკუთხედი მინაშენი ყოფილა აღმოსავლეთის მხრითაც, მაგრამ მას ახლა ფარავს გარედან შემდეგ მიშენებული კოშკი და შიგნიდან აგრეთვე შემდეგ ამოყვანილი კედელი; გალერეას შიგნით მიშენებული აქვს პილასტრები, რომელნიც წაგრძელებულნი არიან 0,90 საჟენის მანძილით, და ესენი ქმნიან ოთხკუთხედ ნიშებს, შეძერწილს ნათალის ქვებით. პილასტრები ზემოთ შეერთებულნი არიან კამარებით; ამათ შელიგების ზემოთ იწყება ცილინდრული თაღები, და ესენი აერთებენ გაკერეას კედლებს შინა ტაძრის კედლებთან (იხ. ტაბ. XXa და ქართ. ხელ. ისტ. სურ. 124). გალერეის ნიშნები ეხლა ამოვსებულია ქვითკირის კედლებით, მაგრამ ეს მერმინდელი სქემა (იხ. ტაბ. XIX, 36) უფრო მერმინდელია კიდევ ამ ვეებერთელა შენობის ციხედ გადაქცევა გალერეაზე ზედშენით და ორი მაღალი კოშკის მიშენებით აღმოსავლეთით და სამხრეთით (იხ. ტაბ. XVII, 31, 32). ეს მომხდარა, უნდა ვიფიქროთ, ყირიმის ომის დროს. გეგმით ეს არის კოლოსალური ზომის სამსართულიანი მრგვალი ეკლესია, ფრიად რთული კომპოზიციისა, მაგრამ ერთობ მხატვრულად შესრულებული (გეგმები თითოეული სართულისა იხ. ჩვენი მე-12 ტომი "მატერიალებისა", სურ. 68, 69, 70, 70a, 71; განაკვეთი და აღდგენილი ფასადი, ტაბ. XXa და სურ. 67). ტაძრის კორპუსი შედგება ორი ჰარმონიულად შეერთებული ნაწილისაგან, თვით ეკლესიისა და რგოლივით მრგვალი შემოსასვლელისა, გალერეისა. შინაგანი ეკლესია წარმოადგენს სწორმკლავიან ბერძნულ ჯვარს, ანუ ეგრეთ წოდებულ ტეტრაკონქს, შეხაზულს სიმრგვალებში. კუთხეებში ჯვარისა ამოყვანილია სამსართულიანი ოთახები, პატრონიკენი,

რომელნიც თავიანთი სქელი კედლებით შეადგენენ ამავე დროს თავბურჯებს ამ უზარმაზარი შენობისა. ამათ გადაყავთ გუმბათის დაწოლა გარეგანი კედლების შემოხაზულობაზე. ქვემო სართულის აბსიდები თავსდებიან კოლონადებით, რომელთა ზემოთ კამარები ნალისებურია (იხ. სურ. 68 და ტაბ. XVIII და XXa). სვეტები მრგვალია, დამყარებულნი ბაზებზე და შემკობილნი ლამაზი სვეტის თავებით კლასიკური რიგისა, მაგრამ გადამუშავებულნი. აღმოსავლეთის აბსიდაში, რომელიც საკურთხეველს წარმოადგენს, სულ ექვსი სვეტია, სიმაღლით ერთი საჟენი თითო და ეს სვეტები დაყენებულია ორ არშინნახევარის სიმაღლის სპეციალურ კედელზე. ამით საკურთხეველი თვალსაჩინოდ გამოყოფილია სხვა აბსიდებისაგან და შეუვალი გალერეიდან. მათი შეუვალობა კიდევ უფრო ხაზგასმულია გადახერვით საკურთხევლის ნაწილის გალერეისა, რაც შესრულებულია მერმინდელი ამოყვანილი ქვის კედლებით (იხ. სურ. 62 და 64). სხვა თანასწორ აფსიდებში ოთხ-ოთხი სვეტია და ეს სვეტები უფრო მასიურია და ორჯერ უფრო მაღალი, ვიდრე საკურთხევლის აფსიდის სვეტები. ესენი პირდაპირ იატაკიდან იწყებიან და იმავე დროს მათი კამარები ტაძარში შემოსასვლელებს შეიცავენ გალერეის მხრიდან. მეორე სართულის პატრონიკები როგორც საყდარში, ისე საკურთხეველში გამოდიან ორმაგი კამარებით და ლამაზი ჩუქურთმიანი სვეტებით შუაში (იხ. ტაბ. XVIII, 33 და XX, 37). სხვა სვეტებიც პატრონიკეთა შემკობილია ლამაზი სვეტის თავებით (ერთი მათგანის სურ. იხ. ქარ. ხელ. ისტ. სურ. 125). ტაძარი ადარნასე ქართველთა მეფეს კი არ აშენებინოს მეცხრე-მეათე საუკუნის მიჯნაზე, არამედ მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში აშენებული ტაძარი განეახლებინოს და კვირიკე ბანელი დაესვას მის ეპისკოპოსად. ამ მოსაზრებას გამოთქვამს პროფესორი გ. ჩუბინაშვილი (იხ. ქართ. ხელ. ისტ. გვ. 177–178). ჩვენი აზრით, ამაო ცდა არის ბანას ეკლესიის აშენების დროს მეცხრე-მეათე საუკუნის მიჯნიდან მეშვიდე საუკუნის ნახევარში გადატანა. ჯერ ერთი, რომ ეს ეწინააღმდეგება ასეთი სწორი ისტორიკოსის მოწმობას, როგორც არის სუმბატ დავითის ძე. რამდენად მეტს ვპოულობთ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დროის წარწერებს, მით უფრო და უფრო ვრწმუნდებით სუმბატის მიერ გადმოცემულ ფაქტების უაღრესად სისწორეში, და ასეთი წარწერები ჩვენ ვიპოვნეთ იმხანის და ოშკის ტაძრებში, რომელნიც 1917 წლის ექსპედიციის მასალების აღწერილობაში იქნება მოხსენებული. სუმბატ არ ამბობს, ადარნასემ მეორედ აღაშენა ბანაო, არამედ ის კატეგორიულად აცხადებს: **აღაშენა ბანა კელითა კვირიკე ბანელისათა, რომელი იგი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანელ.** თუ ბანა მეშვიდე საუკუნეში იყო აშენებული, იქ ხომ წინათ სხვა ეპისკოპოსებიც უნდა მჯდარიყვნენ და კვირიკე როგორ იქნებოდა მოხსენებული პირველ ბანელ ეპისკოპოსად. ამ პირველხარისხოვან ტაძარს არა თუ ტაოს, არამედ, მთელი კავკასიის უბრალო სამრევლო ეკლესიად ხომ ვერ წარმოვიდგენთ. ჩვენს გამოკვლევაში აღვნიშნეთ, რომ ბანას ტიპის ეკლესია პირველად აშენებული იყო იმხანში მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში სომხის ეპისკოპოსის ნერსესის მიერ და ის აფსიდის კოლონადა, რომელიც დაცულია დღემდის იმხანში, უნდა ეკუთვნოდეს ნერსესის ძველ შენობას. ეს კიდევ უფრო დამტკიცდა ჩვენის 1917 წლის ექსპედიციით ტაო-ისპირში. ნერსესი წარმოშობით თვით იმხნიდან იყო. ეს იმხნის ეპისკოპოსი 641 წელს აკურთხეს სომხეთის კათალიკოსად ნერსეს მესამის სახელით; მან აღაშენა ეჩმიაძინის მახლობლად კარგად ცნობილი სომხურ ლიტერატურაში მშვენიერი ზავარტნოცის ტაძარი და მიიღო სახელი აღმაშენებლისა. ამ ტაძრის ნანგრევები გათხარა არქიმანდრიტმა ხაჩიკმა და მისი აღწერილობა პირველად გამოსცა არქიმანდრიტმა (ეხლა ეპისკოპოსმა) მესროპმა ტერ მოვსესიანმა (იხ.

მეშვიდე წიგნი არხეოლოგიის კომისიის "იზვესტიისა"; პეტერბურგი, 1903 წელი). ზავარტნოცის ტიპის ეკლესია აღაშენა ანისში 1001 წელს მეფე გაგიკმა. ამის ნანგრევები ნ. მარმა გათხარა და ის აღმოჩნდა სრული განმეორება, ასლი ზავარტნოცის ტაძრისა (იხ. მარმის "ტექსტი ი როზისკანია", წიგნი მეათე)<sup>27</sup>. ჩვენ ყველა ამ ტაძრის ნაშთები დაწვრილებით შევადარეთ ბანას ტაძრის ნაშთებს და იმ დასკვნაზე მივედით, რომ ეს ტაძრები ერთი ტიპის არიან, გეგმებით, მასებით და ნაწილობრივ ორნამენტებით, მაგრამ ბანა იჩენს ისეთ თავისებურებას, ისეთ გადამუშავებას შინაგანი კონსტრუქციისა სამსართულიანი პატრონიკეთა მოწყობით, რომ ის უნდა ჩაითვალოს უაღრეს განვითარებად და გაუმჯობესებად ძირითადი გეგმისა, ძირითადი ტიპისა. ამან მისცა ბანას ტაძარს სიმტკიცე და გამძლეობა; მან გაძლო მეათე საუკუნის დამდეგიდან მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდის, მაშინ როდესაც ნერსესის იშხანს და ზავარტნოცს ორი საუკუნეც არ დასცალეობათ, ხოლო გაგიკის ტაძარმა ნახევარი საუკუნეც ვერ გასძლო. მასთან ეს პატრონიკენი არა თუ არ აუშნობენ შინაგან სახეს ტაძრისა, არამედ ისე არიან შეხამებული საერთო კონცეფციასთან, რომ პირიქით ამშვენებენ და ალამაზებენ საერთო სურათს. ბანას ხუროთმოძღვარი დიდ ხერხს და გენიალურ ნიჭს იჩენს ამ შემთხვევაში.

ვისაც ტაოს ტაძრების ნაშთები დაუთვალა იერებია, ის ადვილად დარწმუნდება, რომ ძველი დროიდან X საუკუნის დასასრულამდის ამ მხარეს ნაირნაირის გეგმების ძებნა ახასიათებს; არც ერთ სხვა კუთხეში ამდენ სხვადასხვა გეგმების ტაძრებს ვერ იპოვნით, როგორც აქ, მაგრამ ამავე დროს ხშირია ერთი და იგივე გეგმის გამეორება, მაგალითად ოლთისის ციხის ექვსაფსიდიანი ეკლესია იგივეა, რაც კიაგმის ალტის ეკლესია; ორთული და ბახჩალი კიშლა ერთგვარი ტრიქონქია, ოშკის ტაძარი საერთოდ გრანდიოზული გამეორებაა იშხანის ეკლესიისა, პარხალი ტიპიური გამეორებაა ოთხთაეკლესიისა და სხვა; ამიტომ, რა საკვირველია, რომ ადარნასე მეფეს აერჩიოს საზოგადო ტიპი ძველი იშხნისა ან ზავარტნოცისა და მის ხუროთმოძღვარს თავისებურად გადაემუშავებინოს ეს ტიპი და მიეცეს მისთვის ხასიათი დიდი გამძლეობისა და მხატვრულად დაგვირგვინებისა. თუ ქართული ხელოვნების ავტორს მართლა სწამს, რომ ბანა მეშვიდე საუკუნის ნახევარშია აშენებული, მაშინ მას ეს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში აღარ უნდა შეეტანა, ვინაიდან მაშინ ეს სომხური ხელოვნების ნაშთი იქნებოდა, ე.ი. ნერსეს კათალიკოსის აშენებული. მართალია, ავტორი მოგვითხრობს, რომ "ტაოში ცხოვრობდა ქართველთა და სომეხთა შერეული მოსახლეობა, იშხნელ ეპისკოპოსთა კათედრა, როგორც სიები გვიჩვენებს, შედიოდა იმ დროს საქართველოს საკათალიკოსოს შემადგენლობაში ისე, როგორც მეცხრე საუკუნეში და უფრო გვიანაც, ამიტომ დაეჭვება, იშხნელთა კათედრა საქართველოს კათალიკოსს ეკუთვნოდა თუ სომხეთისას, უადგილოა" (იხ. გვ. 175–176). აქედან თითქოს ის დასკვნა გამოდის, რომ რაკი ტაოში მართლმადიდებელი ქართველობა ცხოვრობდა, ნერსე ეპისკოპოსიც მართლმადიდებელი იყო, მის მიერ პირველად

---

27 იხ. აგრეთვე მისივე წიგნი: "ანი. კნიჟნიაია ისტორია გოროდა ი რასკოპკი ნა მესტე გორდიშჩა. ლენინგრად-მოსკვა, 1934", გვ. 55–66, ტაბ XXIII–XXVIII. გამოკვლევა ზავარტნოცის და გაგიკის ტაძრების შესახებ იხ. Strzygowski, Die Baukunst der Armenier und Europa, Wien. pp. 108–121. იქვე ბანას შესახებ, გვ. 121–125.

იშხანში აშენებული ბანას ტიპის ეკლესია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია. ამის გარდა, ავტორის აზრით, ბანას ტაძრის აღმშენებელმა მეშვიდე საუკუნის ნახევარში ზემთაგონება იშხანისაგან მიიღო, ესე იგი ქართული რიგის ტაძრისაგან. მაგრამ ამის დასამტკიცებელი საბუთები არ არსებობს. ჯერ ერთი, ავტორი არ გვაუწყებს, რა სიებია ეს სიები, რომელნიც გვიჩვენებს, რომ იშხანის კათედრა მეშვიდე საუკუნის ნახევარში საქართველოს საკათალიკოსოს შემადგენლობაში შედიოდა? ჩვენ ვიცით მარტო ერთი სია "სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სია", რომელშიაც განმარტებულია იშხნელის სამწყსო და რომელიც ჩვენ ზემოთ ვუჩვენეთ. მაგრამ საიდან ჩანს, რომ სია მეშვიდე საუკუნის ეკუთვნის, ან უფრო უწინდელ დროს? ჯერ მარტო სათაური უჩვენებს, რომ სია შედარებით გვიან დროს ეკუთვნის, არაუადრეს მეცამეტე საუკუნისა, როდესაც ათაბაგების უფლება განმტკიცდა მესხეთში და ამ მხარეს ეწოდა სამცხე-საათაბაგო. ტაოში, დიახ, შერეული მოსახლეობა იყო ქართველთა და სომეხთა, შერეული იყო აგრეთვე სარწმუნოებაც, ქართველები და დიდძალი სომხობა მართლმადიდებელნი იყვნენ. ამ ორმა გარემოებამ შეუწყო ხელი ტაოს მოკლე ხანში ძირიანად გაქართველებას, როდესაც მერვე საუკუნის მეორე ნახევრიდან აქ დამყარდა ქართველი ბაგრატიონების ხელისუფლება; მანამდის ტაო სომხეთის პროვინციას შეადგენდა. ეგევე არ ითქმის კლარჯეთზე, რომელიც ზოგჯერ გადადიოდა სომხების ხელში, მაგრამ არა ხანგრძლივად. უკვე სომხური გეოგრაფია, რომელსაც ზოგნი მეხუთე საუკუნის ძეგლად თვლიან, ზოგნი მეშვიდის, მოგვითხრობს, რომ კლარჯეთი საქართველოს ნაწილს შეადგენდა. ნერსესი წარმოშობით იშხანიდან იყო, ტომობით სომეხი, ხოლო რწმენით ხალკედონიტი, მაგრამ ამას იგი პირველად არ ამხელდა, მანამ სომეხთა კათალიკოსი არ გახდა. მისი ცდა სომეხთა და ბერძენთა სარწმუნოების გაერთიანებისა უშედეგოდ დარჩა. ნერსესის ხალკედონიტობა ნებას არ გვაძლევს მის მიერ პირველად იშხანში აშენებული ეკლესია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლად ჩავთვალოთ. მაშინ ხომ მის მიერ იშხნის გეგმისად აშენებული ზავარტნოციც ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი იქნებოდა! თუ ბანა მეშვიდე საუკუნის ეკუთვნის, ის უსათუოდ სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლად უნდა ჩავთვალოთ, უფრო გარკვეულად, იმავე ნერსესის აშენებულად. სხვას იმ დროს ტაოში ასეთი ძეგლის აშენება არ შეეძლო. ამავე დროს ეს ფაქტი აღნიშნული იქნებოდა ან სომხურს, ან ქართულს წყაროებში. ჩვენ კი მეათე საუკუნემდის ბანას შესახებ არავითარი ცნობა არ გვაქვს. მერმე კიდევ, თუ პირველყოფილი იშხანის გეგმის ისეთი გენიალური გადამუშავება, როგორც ბანაში გვაქვს, მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა, მაშინ როგორ წარმოვიდგინოთ, რომ ნერსესმა მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევარში არ ისარგებლა ამ გეგმით და ზავარტნოცი ბანას გეგმით არ აღაშენა? ეგ შეუძლებელია. არც ის გამოდგება გადამჭრელ საბუთად, რომ ბანას ერთი ორნამენტი, რელიეფური გამოხატულება ბროწეულისა, გამეორებულია ბანაში, ისე როგორც ზავარტნოცში. ამას ხაზგასმით აღნიშნავს გ. ჩუბინაშვილი. მაგრამ რაკი ბანას ხუროთმოძღვარმა ზავარტნოცის მსგავსი ტაძრის გეგმა მიიღო საფუძვლად თავისი ნაწარმოებისა, რა გასაკვირველია, რომ მან ზოგი მისი შემკობილობაც იქიდან ისესხა და აღადგინა. ხოლო ორნამენტებში განსხვავებაც ბევრია. მაგალითად, ზავარტნოცში არ მოიპოვება ისეთი ლამაზი სვეტის თავი კორინთული რიგისა, როგორც არის ბანაში. არ გვხვდება აგრეთვე ზავარტნოცში ისეთი პალმეტები, რომელნიც არის დასავლეთის კარის ზემოთ და სხვა. სამაგიეროდ, ბანაში არ ყოფილა სვეტის თავები ფრთაგამოღილი ბიზანტიური არწივების სახით და კაცის თავის ფიგურებით, რომელნიც მოიპოვება ზავარტნოცში.

ყველა ამის მიხედვით ჩვენის აზრით, ბანა უნდა დარჩეს ქართული ხუროთმოძღვრების ქმნილებად მეცხრე-მეათე საუკუნის მიჯნისა. მისმა ხუროთმოძღვარმა მიიღო ძირითადი გეგმა ზავარტნოცის ტიპის ტაძრისა, მაგრამ გენიალურად გადაამუშავა მისი შინაგანი სახე და გალერეის ფორმა, რომლითაც მისცა თავის ქმნილებას უაღრესი სიმტკიცე და გამძლეობა და მასთან დამთავრებული მხატვრული საუცხოო სახე.

### **ბანას პატარა ეკლესია**

ამ ეკლესიის ნანგრევები მოიპოვება დიდი ტაძრის გვერდით, ჩრდილოეთის მხრით, ზღუდის გადაღმა, გეგმა მისი ერთობ ლამაზია და საინტერესო. ეკლესია ტეტრაკონქია, ჯვარის სახისა, რომელიც შეხაზულია ექვს წახნაგოვანში; გუმბათი ჩაქცეულია; კედლები სანახევროდ დაცულია; ნაშენია თლილის ქვით; შესავალი უნდა ჰქონებოდა დასავლით და აფსიდებში თითო ფანჯარა.

### **ბანას მღვიმეში დაცული ეკლესია**

აღმოსავლეთ-სამხრეთის მხრით ბანას ახლავს მაღალი კლდოვანი მთა, რომლის ნაპრალებში მღვიმეები მოჩანან. წინა პირი მათი ქვითკირის კედლებით არის მოცული; კედლებში დატანებულია სარკმლები. მღვიმის ზალები კამარებით არის შეერთებული და ერთს მათგანში, აღმოსავლეთისაკენ, პატარა ბაზილიკური რიგის ეკლესია არის ერთის ფანჯრით აღმოსავლეთის აფსიდაში.

### **კიაგმის ალტი**

ბანას არემარე, როგორც საუკეთესო ადგილი ოლთისის ოკრუგისა, სავსეა ძველი ეკლესიის ნაშთებით. ჩვენ აქ აღვნიშნავთ, რომელნიც უკეთ არიან დაცულნი და გამოცემულია ჩვენს მიერ მეთორმეტე ტომში «მატერიალებისა» და ვუჩვენებთ ამ გამოცემის სურათებს. ჩრდილო-აღმოსავლეთით ბანას ტაძრისა ადგილზე, რომელსაც ჰქვია **კიაგმის-ალტი**, დაცულია ნანგრევები ფრიად ლამაზი ექვსკონქიანი ეკლესიისა. კედლები შიგნით და გარეთ შემერწილია მოწითალო ნათალის ქვით. აღმოსავლეთის კონქი წაგრძელებულია და შეიცავს საკურთხეველს, სხვები თანასწორია. გარედან ეკლესია მრავალწახნაგოვნად გამოდის, შემკობილია არკატურით და სამკუთხოვანი ნიშებით. გუმბათის ყელი მრგვალია. გუმბათი, რომელიც ახლა ჩამონგრეულია, კონუსის მსგავსი უნდა ყოფილიყო. ტაძარი მეათე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

### **ჩამხუსი**

ჩამხუსის მახლობლად, სოლომონ კალის კლდოვანი მთის ძირში, პატარა ხევის პირზე, მოჩანს ნანგრევები მეორე ფრიად საყურადღებო ეკლესიისა თავისი გეგმით, მაგრამ სამწუხაროდ, სულ დანგრეულია; ასე რომ ნანგრევებიდან მარტო გეგმის აღდგენა შეიძლება. ეს გეგმა საუცოოა თავისი სილამაზით. შუა ნაწილი როტონდოა ოთხი თავი აფსიდით ჯვარის სახედ, მაგრამ ეს უბრალო ტეტრაკონქი

როდია, არამედ ჯვარის კუთხეებში გამართულია ოთახები, რომელნიც როტონდოს უერთდებიან მომრგვალო ნიშნებით, აფსიდოლებით. როგორც თავი აფსიდები, ისე კუთხის ოთახები გარეთ გამოდიან სამწახნაგოვნად. ასე რომ, მთელი შენობა მრავალწახნაგოვანია. საერთოდ, შენობა მცხეთის ჯვარის და მისგან წარმოდგარის ატენის სიონისა და მარტვილის გადამუშავებულ ტიპს ეკუთვნის და მათზე უფრო გვიანი დროის უნდა იყოს, დაახლოებით მერვე-მეცხრე საუკუნისა.

### სოლომონისი, ახლა სოლომონ-კალა

ჩრდილოეთით სოფელ პენიაკიდან და რვა ვერსის დაშორებით მისგან მაღალ კლდოვან მთაზე გაშენებულია სოფელი, რომლის ძველი სახელი ყოფილა სოლომონისი, ხოლო ახლა უწოდებენ სოლომონ-კალას, ესე იგი სოლომონის ციხეს. სოფელში ახლა 15 მოსახლე გამუსულმანებული მესხი ცხოვრობს, სხვები რუსთათართა ომის შემდეგ 1877–1878 წლებისა გადასახლებულან ოსმალეთში. სოფლის სამხრეთით კლდოვან სერზე გაშენებულია დიდი მოგრძო ციხე, რომლის მაღალი კედლები, კოშკები, ცისტერნები და სხვა შენობები საკმაოდ კარგად არიან დაცულნი. სხვა მრავალ შენობათა შორის ციხეში დაცულია პატარა თლილის ქვისაგან ნაშენი ლამაზი გუმბათიანი ეკლესია. ცენტრალური გეგმა მისი გუმბათის ქვეშ კვადრატს წარმოადგენს, რომელსაც აღმოსავლეთით ეკვრის აფსიდა, ხოლო დასავლეთით «პაპერტი» შეერთებული ტაძართან გაშლილის კამარით. გუმბათის ყელი მრგვალია, ცილინდრისებურის გუმბათით. ზემოთ აფრები კონუსის მსგავსია. გუმბათის ყელში ოთხი მრგვალი სარკმელია და ყელი გარედან შემკობილია რვა კამარით, რომელნიც ემყარებიან ორმაგ ნახევარ სვეტებს თავიანთი ბაზებით და სვეტის თავებით. ზემო ნაწილი გუმბათისა ჩამონგრეულია. დასავლეთის კედელზე ორ ქვაზე ასომთავრული წარწერაა, რომელიც შემოკლებულად იკითხება ასე:

«ღმერთო და წმიდაო დიმიტრი, შეიწყალე ცოდვილი დავით მონაზონი, ამინ».  
მეორე ქვაზე მარტო დასაწყისია დარჩენილი წარწერისა:  
«ქრისტე, შეიწყალე»...

შიგნით ეკლესია სულ მოხატულია. მხატვრობა საკმაოდ კარგად არის დაცული. ერთი ფრესკის წარწერა შეუმოკლებლად იკითხება ასე:

«შუბიძე მიქელ შეუნდვენ, ქრისტე ღმერთო დიდო (?), ამინ»

ეტყობა ეკლესია წმიდა დიმიტრის სახელზე ყოფილა აშენებული.

საკურთხევლის აფსიდაში დახატულია მაცხოვარი მოციქულებითურთ, მთელის ტანით. გუმბათის ყელის ქვემო ნაწილში წარმოდგენილნი არიან მედალიონებში წელსზევითნი ფიგურები წინასწარმეტყველთა და მოციქულთა; აფრებში – მახარობელნი; გუმბათის ქვეშ სულის წმიდის მოფენაა. ჩრდილოეთის კამარის ზემოთ წმ. ბასილი, სამხრეთის კამარის ზემოთ წმ. კირილე და შემდეგ იოანე დამასკელი. ფრესკები, თუმცა დ. ბაქრაძეს მიაჩნია მეთერთმეტე საუკუნის ნაწარმოებად, ჩვენის აზრით, ისინი მოგვაგონებენ ზარზმის და ჩულეს ფრესკებს და უნდა ეკუთვნოდეს მეთოთხმეტე საუკუნეს. თვით ტაძარი კი, ჩვენის აზრით, ეკუთვნის მეცხრე-მეათე საუკუნეს.



## მღვიმის ეკლესია<sup>28</sup> სოლომონისისა

ჩრდილოეთის მხრით სოფ. სოლომონისისა დაცულია პატარა მღვიმის ეკლესია გამოჭრილი კლდეში და ძნელად მისადგომი. ჯერ უნდა ახვიდეთ ციცაბო კლდეზე და იქიდან ჩახვალთ პატარა კლდოვან ეზოში, რომელიც შემოზღუდულია პირამიდური კლდოვანი მწვერვალებით და ერთ ასეთ პირამიდურ კლდეში გამოჭრილია ეკლესია, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან. ერთი არის თვით ეკლესია კვადრატული სახისა აფსიდით აღმოსავლეთის ნაწილში და მეორე სწორკუთხედი ოთახი უაფსიდოდ, შეერთებული ეკლესიასთან ვიწრო გასასვლელით. ეკლესია სულ მოხატულია ფრესკებით. ფერადები ახლად გამოიყურება, მუქი ლურჯი ფერებია, ნაგლესი (შტუკატურა) არსად მოცილებია, მაგრამ ზოგ ადგილას სურათები ცოტა გაფუჭებულია მახვილის წვერით. წარწერები ასომთავრულია, არა ძველი, მაგრამ თავისებური, ჭარბობს ოთხკუთხედი ასოები. სამხრეთის კედელზე წმიდა ნიკოლოზის ფიგურაა მთელის ტანით და ეტყობა, ეკლესია ამ წმიდანის სახელზე ყოფილა ნაკურთხი. მარჯვნივ ამისა წარმოდგენილია ბერმონაზონი მუქი მწვანე საბერო ტანისამოსით და გრძელის წვერით. ორივე მხარეს ჩამოგრძელებულია 20 სტრიქონად ასომთავრული წარწერა; შინაარსით აქ ორი წარწერაა, მაგრამ ერთ დროს და ერთის ხელით შესრულებული. ქვემოთ ორი სტრიქონი გაფუჭებულია, სხვა შეუმოკლებლად იკითხება ასე:

«რატი ყოფილსა რაფიელს შეუნდეს ღმერთმან».

«სახელითა ღმრთისათა (და) მეოხებითა, პატრონმან ყუარყუარე, სამკუიდროი ესე პირველად წმიდისა ნიკოლოზის (sic) ყოფილი სიგელი იყო. აწ მეცა გაუთავე და მოვახსენე სოლომონის და დავემკვიდრე აქა ქორანიკონსა რო (=1482). შევსწირე წმიდასა ნიკოლოზს მუხრტავი».

აქედან ჩანს, ეკლესია მოხატულია მეორე ნახევარში მეხუთმეტე საუკუნისა. აქ მოხსენებული ყვარყვარე უნდა იყოს ათაბაგი ყვარყვარე III (1499). პატრონი რატი ბერობაში რაფიელი უსათუოდ ათაბაგის გვარიდან უნდა იყოს, მაგრამ ისტორიაში ცნობილი არ არის.

რატის სურათის პირდაპირ ჩრდილოეთის კედელზე დახატულია ქალი მონაზონის ტანისამოსით. წაბლალულ წარწერაში ჩვენ ამოვიკითხეთ სიტყვები:

«პატრონი მარეხ... ყუარყუარე»...

მარეხი უნდა იყოს ათაბაგ ყვარყვარე მეხუთის მეუღლე, დადიანი ლევან პირველის ასული, რომელიც, როგორც ეტყობა, ბოლო დროს მონაზვნად შემდგარა. მისი ფრესკა მერმე უნდა იყოს დახატული, ვინაიდან ყვარყვარე მეხუთე 1582 წელს გარდაიცვალა (H. G. II, 640).

დასავლეთის შესასვლელის მარჯვნივ კლდეში ამოჭრილია ღრმა უბე, სასაფლაოს მსგავსი. ეს ალბათ რატის სასაფლაო იყო. ამის თაღში ღვთისმშობელია წარწერით:

«ყოვლად წმიდა ღვთის მშობელი, ხატი მიძინებისა».

---

<sup>28</sup> სტრიგოვსკი აქცევს ყურადღებას ამ ეკლესიას და მოჰყავს ჩვენი წიგნიდან გეგმა, განაკვეთი და შიგნითი სურათი. Die Baukunst der Armenier und Europa, I. pp. 72–73.

შემდეგ კედელზე წარმოდგენილია ბერი წარწერით:

«მე ივნე: წ გელთლი»,

ესე იგი: მე ივანე... გელათელი. რას ნიშნავს ასო «წ»-ილი, ჩვენთვის გამოურკვეველია; შეიძლება ნიშნავდეს «აწ» ანუ «მწირი». გელათელი აქ ქუთისის მახლობელ გელათელად კი არ უნდა მივიღოთ, რადგან სოფელი გელათი არის დღემდე ამავე სახელით მახლობლად სოლომონისისა.

არის კიდევ ერთი კაცის სურათი აქვე, რომლის წარწერა აღარ განირჩევა. სხვა ფრესკებთა შორის აღსანიშნავია თაღზე ეკლესიისა ქრისტე ტახტოსანი ჯვარით და ბურთით და ქერუბიმებით. მის ქვემოთ ღვთისმშობელი. მარცხნივ ზემოთ იერუსალიმში შესვლა და ფერისცვალება. ამას ქვემოთ კონსტანტინე და ელენეს ფიგურებია ჯვარით შუაში, შემდეგ ღვთისმშობელის მიძინება, პილასტრებზე: წმიდა ირინე, ეკატერინე, თეკლე, ბარბარე და ელისაბედი. შესასვლელის მარცხნივ წმიდა ფეოდოსი, საკურთხეველში 9 ეკლესიის მამაა. ამ ეკლესიის შუა ნაწილიდან კარია კლდეში გაჭრილი რამდენიმე საფეხურით, რომელსაც მიყავხართ მეორე ოთახში. ეს ოთახი არ არის შემკობილი ფრესკებით, მაგრამ ტრაპეზი აქვს მიშენებული კედელზე აღმოსავლეთით. ეს სასაფლაოდ ყოფილა განკუთვნილი, ვინაიდან ნათლად ჩანს 3 სასაფლაოს ნაშთი, რომელნიც განძთა მაძიებელთ გაუთხრიათ და გაუნადგურებიათ. აქ, საფიქრებელია, დამარხულნი იქნებოდნენ ყვარყვარე და მარეხ, რომელნიც წარწერებში იხსენიებიან.

ირგვლივ ხსენებული ეკლესიისა მოჩანს რამდენიმე სენაკის ნაშთი, ხან მღვიმეში, ხან უბრალო ქვით ნაშენი, მაგრამ ახლა დანგრეული. აღმოსავლეთ მხრით, სასტიკი ხრამის გაღმა, ორი მაღალი კონუსის მსგავსი კლდეა მღვიმეებით მათ ქვეშ, მაგრამ მათ მისავალი ახლა აღარა აქვთ და არ ვიცით, იქ მარტო სენაკებია, თუ ეკლესიაც მოიპოვება.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ ამ ღვიმის ეკლესიის აღწერა ეკუთვნის 1902 წელს. 1907 წლის ექსპედიციის წინ ჩემთან იყო თბილისში ოლთისის ოკრუგის უფროსი და თავმომწონედ მითხრა – რომ მობრძანდებით ჩვენს მხარეში, ისეთ რამეს გაჩვენებთ, რომელიც არავის არ ენახოსო და ამიწერა მოკლედ ამ მღვიმის ეკლესიის მდგომარეობა და დასძინა: ადგილი სრულიად მიუვალი იყო. მე მივიღე ზომა და დავაკიბვიე კლდე და ახლა თქვენც ადვილად ახვალთო. როდესაც მე ვუთხარი, ეს ადგილი მე უკვე ნახული მაქვს-მეთქი, არ დაიჯერა. მანამ კიბეები არ გააკეთეს. მე ვერ ავედი იქ და თქვენ როგორ ახვიდოდითო? მაგრამ მე ვაჩვენე გეგმა და ფრესკის სურათი ამ ეკლესიისა; გაოცდა. მე მაინც დავპირდი მეორეჯერ ნახვას და დანარჩენი ფრესკების გადაღებას ფოტოგრაფიულად. მართლაც, 1907 წლის ექსპედიციის დროს ვინახულე მეორეჯერ ეს ეკლესია. გზა, დიახ, გაკეთებული იყო; დაკბილულ კლდეზე ახლა ადვილი იყო ასვლა, მაგრამ ვაი ამ ნახვას! სწორედ ამ გზის გაკეთებას ლამის დაეღუპა ეს კოპწია ეკლესია. საქმე ის არის, რომ გზის გაკეთების შემდეგ დაუწყიათ აქ ხშირად მოსვლა სომხებს და ბერძნებს სალოცავად და დროს გასატარებლად, როგორც დღეობაში. ენთოთ ცეცხლი ეკლესიაში და ფრესკები სულ შემურვილი იყო ჭვარტლით. ასე რომ, არავითარი ფრესკის გადმოღება შესაძლებელი აღარ იყო.

კოსორის მღვიმის ეკლესია

სოფელ კოსორში, მამად-ბეგის სახლის ეზოში, არის მღვიმის პატარა ეკლესია, რომელსაც საკურთხეველი მომრგვალებული არ მოეპოვება, არამედ ტრაპეზის ქვა მიშენებულია კედელზე; კედელში დატანებულია ორი პატარა უბე. ეკლესია ახლა საკუჭნაოდ არის გადაქცეული.

### არსენიაკი

არსენიაკი ორია. ერთი მუსულმანების სოფელია, მეორე ბერძნებისა. მუსულმანების სოფელში ძველი ეკლესიები სულ განადგურებულია. ბერძნებისაში ძველი ეკლესიის ადგილას ახალია აშენებული, მაგრამ ძველი ეკლესიის ქვებზე ეტყობა ნაშთები ხუცური წარწერებისა. ორ ქვაზე ამოჭრილია ჯვარი: ერთი კარის თავზეა მოქცეული, მეორე სამხრეთის კედელშია დატანებული. ამ სოფლის ზემოთ კლდოვან ამართულ მთაზე ციხეა მომრგვალებული ფორმისა, ხოლო მთის დავაკება ადგილზე გაშენებულია ციხე-დარბაზი, სიგრძით 30 ფეხის ნაბიჯი, სიგანით 18. სიგნით და გარეთ კედლები შეძერწილია თლილის ქვით. ერთ კედელს დატანებული აქვს მცირე სარკმელი. ციხის ზემო კლდეების ქვეშ ორმოა ამოთხრილი. ორმოში უზარმაზარი ქვა ძვეს ჯვრის სახისა და ზედ დაზიანებული ასომთავრული წარწერა მოჩანს. ადგილობრივ ჩემ მიერ გადმოწერილი ტექსტი ხელთ არა მაქვს და ფოტოგრაფიაზე ახლა სრულად წარწერას ვეღარ ვარჩევ.

ზემო ნაწილზე უნდა ეწეროს: წ<sup>ა</sup>დ<sup>ს</sup>/მშბ...

ქვემო ნაწილზე: ს<sup>ხ</sup>/ლი/დ<sup>ის</sup>/ათ/ა...

ეს ჯვარი დაზიანებულად არის შენახული: მარჯვენა და მარცხენა ფრთები მოტეხილი აქვს, თავიც დაზიანებულია. ორივე მხრით გველივით იკლიკანტური შემკობა აქვს. ჯვარი სასაფლაოს ძეგლს უნდა წარმოადგენდეს.

### აკრიაკი

აკრიაკის საზოგადოება ორი სოფლიდან შესდგება: აკრიაკისა და კალკოსისაგან. აკრიაკში ყოფილა სამი ეკლესია: ერთის ადგილზე სომხებს აუშენებიათ ახალი ეკლესია ძველი ეკლესიიდან. აქ დარჩენილა მრგვალი კვარცხლბეკები სვეტებისა და ქვისაგან გამოქანდაკებული ცხვრის თავები. ახლა ახალი ეკლესიის კედლებში ჩატანებული შესასვლელის თავის ქვაზე ყოფილა ასომთავრული წარწერა, რომელიც გადაუფხვკიათ. სოფლის ზემოთ მეორე ეკლესია ყოფილა თლილის ქვისაგან ნაშენი. დარჩენილია ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილი თავის აფსიდით და ერთის ფანჯრით. ირგვლივ ძველი სასაფლაო არის. ამას ზემოთ კიდევ მესამე ეკლესიის ნაშთებია, რომლებიდანაც ჩანს, რომ ეკლესია სწორკლავიანი ჯვარის სახის ყოფილა, გუმბათიანი.

### კალკოსი

კალკოსში სომხები ცხოვრობენ, მაგრამ სომხურად არ ლაპარაკობენ, არამედ თათრულად. ძველი ეკლესია ნაცრისფერი და წითელი ქვით ნაშენი სომხებს გადაუკეთებიათ. ჩვეულებრივი რიგისაა. სიგრძე აქვს 18 არშინი, სიგანე 9 არშინი და 14 ვერშოკი. შესავალი ერთია, დასავლეთით. ამის მარჯვნივ წითელ ქვაზე

ამოჭრილი ხუცური წარწერაა, მაგრამ შემდეგ დროში უნდა იყოს შესრულებული. პირველი სტრიქონის ნაწილი წაჭრილია, სხვა იკითხება ასე:

. . . . უნი და მისი ასული

ქ. ირინე ფ`დ ცოდვილი.

ირგვლივ სასაფლაოა. სასაფლაოს ქვები დაყუდებულია. ბევრ მათგანზე ჯვარია ამოჭრილი. ერთი სასაფლაოს ქვა წარმოადგენს შეკაზმულ ცხენს, ზედ ხმალი ჰკიდია ქართული და აქეთ-იქით ამოჭრილია ცული და წერაქვი.

### კალკოსის სახარება

ეკლესიაში ინახება ძველი ქართული სახარება, რომელსაც დიდ თაყვანს სცემენ სომხები და ბერძნები. სახარების ძალა მუსულმანებსაც სწამთ და ზოგჯერ ავადმყოფები მოჰყავთ აქ განსაკურნებლად. მცხოვრებნი ამ სოფლისა ორთულიდან არიან მოსული და ამბობენ, ჩვენ წინათ ქართველები ვიყავითო, ხოლო შემდეგ გრიგორიანობა მივიღეთო.

სახარება, 32,5X25 სმ. დაწერილია ბომბიციანაზე ორსვეტად ნუსხა-ხუცურით, არა უადრეს მე-13 საუკუნისა, სვეტზე 21 სტრიქონია. ყდა ხისა აქვს შავტყავადაკრული, მაგრამ ამ ტყავზე დაკრულია მრავალი ვერცხლის ფირფიტა და ნაჭერი სხვადასხვა გვარისა; წინა პლანზე შვიდი ვერცხლის ჯვარია უბრალო ქვებით შემკობილი, სამი კაცის ხელის ფორმის ფირფიტაა, თორმეტი ვერცხლის როზეტია ნაირნაირად შემკობილი, შემდეგ მრავალი ფოლაქი ვერცხლისა, ლურსმნის თავის მსგავსი, ზოგჯერ ჯვარის სახედ ჩარიგებული, და სხვ. ამას გარდა, სახარებაზე ჩამოკიდებულია ჩანჩხურები ჯვრებისა, ოთმანური ფულებისა და ერთი ბეჭედი აყაყის თვალთ, რომელზედაც არაბული წარწერა მოჩანს, და სხვა. უკანა პირი ყდისა, გარდა ორი ვერცხლის როზეტისა და ფოლაქებისა, შუაში შემკობილია ვერცხლის ფირფიტით, რომელზედაც წარმოდგენილია ნახევარი ტანით ღვთისმშობელი ჩჩვილედ, ბერძნულის წარწერით სახელისა; ხელობა დაბალია, დაცემის ხანისა; ადგილ-ადგილ ნაკლულოვანი ტექსტი სახარებისა შემდეგ შევსებულია თეთრ ქაღალდზე ნაწერით. თავები სახარებათა შემკობილია გრძელი ოთხკუთხედი ფერადოვანი ზოლებით. ტექსტი გიორგი მთაწმინდელის რედაქციის არის, მისივე ანდერძით. ერთს ადგილას აშიაზე უწერია: «არცა ძემა» და ამ სიტყვებს, რომელიც ტექსტში არაა შეტანილი, შენიშვნა აქვს: «სამთა სახარებათა შ`ა არა ეწერა ბერძნულთა და არცა მე დავსწრე, მთაწმინდელი იტყვის». გადამწერი და დრო გადაწერისა არა ჩანს, ხოლო ამკინძავი ზაქარია იხსენიებს თავის თავს ოთხს ადგილას ხუცურის და მხედრულის ხელით მე-13-14 საუკუნისა; მაგალითად, მარკოზის სახარების თავში.

ქ სახელითა ღმრთისათა: მამისა: ძისა: და სულისა წმიდისათა:

მე ზაქარიამან აბამა: აბელისშვილმან: ავკინძე: ესე: ოთხთავი

ჩმისა: დღეგრძელობისათჳს: ჩმთა: დედმამათა: ვინცა შენ-

დობა: ბრძანოთ: თქვენცა შეგინდვენს ღმრთმან.

მეორე ადგილას ნუსხა-ხუცურით ზაქარია ასე წერს:

ო`ო ღ`ო. შეგცოდე. შემინდეგ: ცოდვილსა: ზაქარიას ესე:

წიგნი: მე ავკინძე: (სულ(ი)სათვის: ვ(ი)ნცა შენდობა ბრძა-

ნოთ თქუნცა: შეგ(ი)ნდვენს: ღ`ნ დღ(ე)სა: მას განკითხვი-

სასა.

სხვა წარწერებიც ბევრია ნუსხა-ხუცურის ხელით შემდეგი დროისა. მოგვყავს შემოკლებით ზოგიერთი:

ს<sup>1</sup>ლსა აზთჰხოთოყ<sup>1</sup>ს შეუნდნეს ღ<sup>1</sup>ნ ა<sup>1</sup>ნ.

. . . . . ორთლსა (ორთულელსა) გ<sup>1</sup>გრგოსსა გლაზს აღდიკომს<sup>1</sup>ს წირვა მოუშლელად ჰქონდეს ვ<sup>1</sup>ცა მაუშალოს ღ<sup>1</sup>ისა მან გისციეს პასუხი.

ღანიასა შ<sup>1</sup>ნ ღ<sup>1</sup>ნ. გ მარჩილი ერთხელ მიმიცემია: ო ახ თავსთს გასაკლებია.

ქ. სულსა: აღდგო: მელსა: შუნეს ღმერთმა: და მისა: შვილსა შხლივსა შეუდნე: ღმერთმა.

მარკოზის სახარების თავის მეორე ფურცელზე დახატულია ფერადებით ჯვარი და არის წარწერა ნუსხა-ხუცურით:

წ. არის ნიკოლოზი(ს) წიგნები: სახარებაჲ, სამოციქულო, სადღესასწაულო, მარხვანი, გ<sup>1</sup>რდნი (გვერდნი), დავითნი: ჟამნი: კურთხევანი, ჰელ-ტუიბიკონი. ნიკოლას და ჯაგლაგის და ეზეკიელს შ<sup>1</sup>ს ღ<sup>1</sup>ნ.

ლუკას სახარების თავში მხედრულით:

. . . . . სახარების მადლო მიწყალი: სული ბოგმანისა უზუნისა: მისისა მეუღლისა ბორახოშნისა, ასულთა მათა, ესანობის, ივლიტესი, როდამისი: შამანდაუ.

ანას: შეუნდნეს ღმერთმანა. . .

ლუკას სახარების თავში:

ღ<sup>1</sup>ო შ<sup>1</sup>ე მომეთა ა<sup>1</sup>ნ<sup>29</sup>

მე-13-14 საუკუნის მხედრულით:

ღმერთო: მიწყალე: მახარი: თანა დარია ყოფილი მარინე:

ღმერთო: შეიწყალე: და: მისი მარინე: ყოფილი: მართა

მახარობელს შ<sup>1</sup>ს ღ<sup>1</sup>ნ

ღ<sup>1</sup>ო: შ<sup>1</sup>ე: ბაინდურა: მე: მისი გულბუდახ: ღ<sup>1</sup>ო შ<sup>1</sup>ე გიორგის და მის მეუღლეს ანას შ<sup>1</sup>ს ღ<sup>1</sup>ნ.

ლუკას სახარების ბოლოს:

ღ<sup>1</sup>ო: შ<sup>1</sup>ე: სტეფანე ან

ღ<sup>1</sup>ო: შ<sup>1</sup>ე: ხანსულთან: ან.

ღ<sup>1</sup>: შ<sup>1</sup>ე: დღეგრძელობით დიღან.

იოანეს სახარების ბოლოს:

რ<sup>1</sup>ი ეგე ხრ მიზეზი და წყ<sup>1</sup>როჲ ყ<sup>1</sup>თა კ<sup>1</sup>თლთაჲ ქ<sup>1</sup>ე ღ<sup>1</sup>ო ჩნო შეუნდვენ ცოდვანი მისნი გ<sup>1</sup>ის:

გიორგი მთაწმინდელის ანდერძის შემდეგ დღიური საკითხავების ბოლოს მიმატებულ ქაღალდზე უწერია: «ქ<sup>1</sup>ე შ<sup>1</sup>ე ნილ». ამას შემდეგ მოყვანილია ავგარ მეფის ჩვეულებრივი წერილი, ხოლო შემდეგ საკითხავი დიდის პარასკევისა ჯვარცმისათვის და დაფლვისათვის იესო ქრისტესა თქმული გიორგი ნიკომიდიელ მთავარეპისკოპოზისა.

წიგნის ბოლოს:

სულსა აზნრისაშვილსა შ<sup>1</sup>ნ ღ<sup>1</sup>ნ და მისა მეუღლესა ხარშ<sup>1</sup>ნსა

შ<sup>1</sup>ნ ღ<sup>1</sup>ნ და მათსა შვილსა აზრისატა: შ<sup>1</sup>ნ ღ<sup>1</sup>თნ.

დეღღმისაც შ<sup>1</sup>ნ ღ<sup>1</sup>ნ.

---

<sup>29</sup> ესევეა განმეორებული სხვა ადგილასაც.

ამ სახარებიდან უნდა იყოს ამოღებული ერთი მინაწერი მხედრულის ხელით, რომელიც ახლა აკლია, მაგრამ მისი ფაქსიმილე ხელთა მაქვს (არ მახსოვს, ვინ გადმომცა) და იკითხება ასე:

უზუნის მღ`დელი დარჯ`ან აქრადკელი<sup>30</sup>. ფალავანი მოვიდა:.

დაჯდა ბატონზე. ფალავანი გამომიჩინე შევეჭიდოო და ბატონმა

ვრ იშუა: მღვდელმან მივე პატრონთან დასტური ვთხოვე... (სხვა აკლია).

ამ სახარებიდან ფოტოგრაფიით გადაღებულია: ორივე მხარე ყდისა, ლუკას სახარების დასაწყისი და ერთი გვერდი შემდეგის დროის წარწერებისა.

---

<sup>11</sup> ესევეა განმეორებული სხვა ადგილასაც.

<sup>12</sup> ახლანდელი აკრიაკის სოფლიდან უნდა იყოს.

## ორთული

დიდი სოფელია გამუსულმანებული მესხებისა. აქ ორი ეკლესიის ნანგრევებია. უკეთესი მათგანი, როგორც ეტყობა, აშენებულია უფრო ძველის ეკლესიის ადგილზე. ეკლესია უბრალო ქვით არის ნაშენი, ხოლო ფანჯრები, კამარები და ლავგარდანი კარგის თლილის ქვით. გეგმით ის წარმოადგენს იშვიათ სამაფსიდიან ეკლესიას, ჯვარის სახისა, თითო ფანჯრით აფსიდაში და ერთი კარით დასავლეთის ფრთაში; ტაძრის თალი გოდრულია; საკურთხეველი მომრგვალებით გამოდის გარეთ, სხვა ფრთები ოთკუთხედად უკეთ დაცულია აღმოსავლეთის მხარეს; სხვა კედლები და თალები ჩანგრეულია; ირგვლივ დიდი სასაფლაოა ისე მოჩხირული დიდრონის სასაფლაოს ქვებით, რომ გავლა არ შეიძლება თავისუფლად. ზოგი მათგანი წარმოადგენს ცხენთა და ცხვართა ქანდაკებებს, ზოგზე გამოჭრილია ჯვარი, ზოგზე სამეურნეო იარაღები და სხვა. ყველაზე შესანიშნავია და იშვიათი ერთი ობელისკის მსგავსი სვეტი ქვისა, სიმაღლით 3 არშინი და 5 ვერშოკი, სიგანე 9 1/2 ვერშოკი, თავი პირამდის მსგავსი აქვს. ოთხივე წახნაგზე გამოქანდაკებულია ფიგურები: ერთზე უნდა იყოს ქრისტე და ღვთისმშობელი; აქვე ზემოთ მარჯვნივ კაცის თავი მოჩანს, სანახევროდ დაცული; მეორეზე ადამის ცდუნება უნდა იყოს, ვინაიდან კაცის ფიგურასთან დახვეული გველიც მოჩანს. აქვე ზემოთ, მარცხნივ სანახევროდ დაცული კაცის თავი ჩანს. მესამეზე ორი ფიგურაა: ერთი მათგანი წარმოადგენს წმ. ქრისტეფორეს ძაღლის თავით. მეოთხეზე, შუაში ერთი ფიგურაა, ხოლო ქვემოთ ორი პატარა ფიგურაა უშარავანდელოდ. სხვას ყველას შარავანდელები აქვს. ამას გარდა, ზემოთ ხეები ჩანს სტილიზაციით, ლეღვის ხე უნდა იყოს; ამასვე ვხედავთ მეორე წახნაგზე. ქვემოთ ყველა წახნაგი თავდება სამი წაგრძელებული აკანთის ფოთლით. ძეგლი, ჩვენის აზრით, ეკუთვნის მე-8-9 საუკუნეს<sup>31</sup>.

---

<sup>30</sup> ახლანდელი აკრიაკის სოფლიდან უნდა იყოს.

<sup>31</sup> ჩვენ გვინდოდა ეს ძეგლი როგორმე გადმოგვეტანა თბილისში, მუზეუმში. ვთხოვეთ ოლთისის უჩასტკის უფროსს, მოეწყო მისი ჩამოტანა ფოსტის გზამდე, სადგურ კოსორამდის და შემდეგ ფურგონით ყარსამდე. რა თქმა უნდა, ხარჯის ანაზღაურებას დავპირდით, მაგრამ მან ეს საქმე ვერ მოგვიხერხა. შემდეგ რევოლუციის დროს ერთმა ქართველმა ოფიცერმა (სამწუხაროდ, მისი გვარი არ მახსოვს) გადმომცა, რომ მან ნახა ეს ჯვარი ორთულში და ითავა ამ ძეგლის წამოღება, მაგრამ კოსორამდის მოტანა ადგილობრივმა მუშებმა ვეღარ შეძლეს (ძეგლი ერთობ მძიმე იყო) და ერთს

მეორე პატარა ეკლესია ორთულისა ჩვეულებრივი რიგისა ეხლა საზღვრად არის გადაქცეული. სოფლის ზემოთ მაღალ მთაზე მოჩანს ნანგრევები დიდის ციხისა,

მოგრძოდ ნაშენი ვეებერთელა ქვებისაგან, უკიროდ. ურარტუს სამეფოს დროის შენობა უნდა იყოს. არემარე ირგვლივ უტყეოა და ისე მაღალი, რომ სოფლის ახლო მთაზე 11 ივლისს ცოტა კიდევ მოჩანდა თოვლი.

ორთულიდან გავემგზავრეთ დასავლეთის მხრით და გრძელი, სასტიკი თავგაღმართით ჩავეშვით საზამთრო ადგილზე, მეზრეზი, მიტენდიერ-ად წოდებულზე. აქ პატარა ხევის პირად არის ნაშთები ციხისა, კარგად ნაშენი ქვითკირით, მაგრამ დიდრონი ნათალი ქვები მოძარცული აქვს. შემდეგ გზა მიდის ხევის პირზე, საზამთრო მეორე მეზრე თემურ-ყიშლამდის. ხევი წოდებულია თემურ-გამ-ად.

თემურ-ყიშლის მახლობლად, კლდის ძირში, ლამაზი, კარგად დაცული ეკლესია არის, ახლა პატარა ვანქად წოდებული.

### პატარა ვანქი

ძველი სახელი მისი არ ვიცით. ეს არის ერთნაოსიანი ბაზილიკა მკვიდრად ნაშენი და შექმნილი გარედან კარგად ნათალი ქვებით. აღმოსავლეთის ფასადი ეკვრის კლდეს და სრული არ არის. აღმოსავლეთის ფანჯარა ახლა სანახევროდ მიწაშია მოქცეული. საკურთხეველში ორივე მხარეს ფანჯრისა ჯერ სულ პატარა ნიშებია, შემდეგ დიდრონი უბეები, რომელნიც ასრულებენ სამკვეთლოს და სალაროს მაგივრობას, სიმბოლურად მაინც. ამავე უბეებს თავის მხრით კიდევ მომრგვალებული პატარა ნიშები აქვს. მეორე ფანჯარა დასავლეთის კედელშია და მესამე – სამხრეთის. შესასვლელი აქვს მარტო სამხრეთით. თაღები გოდრული დამყარებულია სამსართავ კამარაზე, რომლის შუალას აქვს რთული კომპოზიციის მომრგვალებული ქუსლები; თვით ნახევარი სვეტები პილასტრისა მთელის ქვისანი არიან ერთი საყენის სიმაღლით. ჩრდილოეთით ამ ეკლესიას მიშენებული აქვს მეორე პატარა ეკლესია, რომელსაც შესასვლელი აქვს დასავლეთით, ფანჯარა თითო აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით, საკურთხეველის აფსიდაში ორი

---

სოფელში კოსორის მახლობლად დატოვეს. გ. ჩუბინაშვილის გადმოცემით, «ქართული ხელოვნების ისტორია», ტომი პირველი, გვერდი 212) იაკობ სმირნოვს წაუკითხავს მოხსენება ამის მსგავსი სომხური ძეგლების შესახებ რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების კლასიკური განყოფილების სხდომაზე ლენინგრადში 11 მაისს 1926 წელს. მომხსენებლის აზრით, მის მიერ განხილული ძეგლები ჰკუთვნებია მე-6-9 საუკუნეებს (მოხსენება ჯერ დაბეჭდილი არ არის). მოხსენების წაკითხვის წინ ი. სმირნოვს ცნობა მიუღია, რომ თურქეთში, სოფელ კოსორში, ასეთივე ძეგლი აღმოაჩინესო. თქმა არ უნდა, რომ ეს ცნობა ჩვენს მიერ აღწრილ ძეგლებს ეხება. სურათები ჩვენი ძეგლისა გამოფენილი იყო ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა გამოფენაზე, თბილისში, 1920 წელს, სხვა მრავალი ძეგლის ნახაზებთან და სურათებთან ერთად. ამას იხსენიებს გ. ჩუბინაშვილიც (იქვე, გვ. 214, შენ. 1), მაგრამ რასაკვირველია, მან არ იცის, რომ ეს ის ძეგლია, რომლის შესახებ ი. სმირნოვს მიუღია ცნობა. ვსარგებლობთ შემთხვევით აღვნიშნოთ, უსანეთის ეკლესიის ამის მაგვარი ძეგლი, რომლის სურათი №16654 გ. ჩუბინაშვილი უჩვენებს (იქვე, გვ. 212, შენ. 3) ერმაკოვის კოლექციაში, გადაღებულია ჩვენი არქეოლოგიური მოგზაურობის დროს გორის მაზრაში ივნისში 1910 წლისა. ამავე მოგზაურობის დროს არის გადაღებული ერმაკოვის მიერ ყველა სურათი იკორთის ტაძრისა და მასში დაცული ნივთებისა, ბიეთის ეკლესიისა, მეჯვრის ხევისა, უსანეთის ეკლესიისა და შავნაბადისა.

ოთხკუთხედი პატარა უბეა. ეს მიშენებული ეკლესია უფრო დაბალია, ვიდრე თავი ეკლესია. ორივე ეკლესია დახურულია ლორფინით. მომრგვალებული კარის თავის დიდ ქვას ჰქონია ასომთავრული წარწერა, რომელიც განგებ მოუთლიათ. ლავგარდანი (კარნიზი) უბრალო თლილი ქვით არის. საკურთხევლები ორთავე ეკლესიაში ამალელებულია ეკლესიის ქვის იატაკზე ნახევარი არშინით, თავ ეკლესიაში უფრო მეტით. კანკელი ქვისა ყოფილა, მაგრამ ახლა მოშლილია; მისი და ეკლესიის იატაკის ქვებით აშენებულია სახლი მეზრეში. დასავლეთის სარკმელს მთავარი ეკლესიისა აქვს ნახევარფარგლიანი ჭრილი ფანჯრის თავი და მისი შინაგანი არე დაყოფილია ფერადებით, თეთრით და ყვითელით, მარაოს მსგავსად; შთაბეჭდილება ისეთი აქვს, თითქოს სხვადასხვა ფერის ნაჭერი ქვისაგან იყოს შექმნილი. ჩვენს ფოტოგრაფიულ სურათზე ეს და დასავლეთის სახეები ორთავე ეკლესიისა კარგად მოჩანს. ზემირკველი ეკლესიისა ორსაფეხურიანია, ხოლო ჩრდილოეთის ეკლესიისა – სამსაფეხურიანი. ამავე ეკლესიის შესასვლელის თავზე ჭრილი ქვის ჯვარია. შიგნით თავ ეკლესიაში კედლებზე ბევრია ნაშთი ასომთავრული წარწერებისა, ერთობ დიდრონი ასომთავრული ასოებით, მაგრამ ეს წარწერები მერმინდელია, მლოცველთა მიერ ამოჭრილნი კედლებზე. მაგალითად, საკურთხეველში:

დ<sup>-</sup>ფსღ ქ<sup>-</sup>ე შ<sup>-</sup>ეწყლ. ქ<sup>-</sup>ე შ<sup>-</sup>ე ს<sup>-</sup>რგ.

ერთს უბეში საკურთხეველისა: ქ<sup>-</sup>ე შე; მეორე უბეში: თე<sup>-</sup>დრ. ჩრდილოეთის კედელზე: «ქ<sup>-</sup>ინე». სამხრეთის კედელზე: «ქ<sup>-</sup>ე შ<sup>-</sup>ე ად<sup>-</sup>დე»; შემდეგ განცალკევებულ ქვაზე უფრო დიდი ასოებით: «გ<sup>-</sup>გი»; შესავლის მარჯვნივ გარედან ყოფილა კარგი წარწერა, უფრო ძველი ასომთავრულით, რომელიც განგებ გაფუჭებულია და დარჩენილი ნაწილიდან მოჩანს ...«რდაკად».

ორი საჟენის მოშორებით ეკლესიისა დასავლეთის მხრით ამართულია ბუნებრივი კლდე, სრულიად კომკის მსგავსი, ხოლო ჩრდილო-დასავლეთის მხრით დაკიდულ კლდეებში, რომელნიც შედგებიან ნალევი კონგლომერატისაგან, მოჩანს მრავალი მღვიმე, ზოგი მათგანის წინაპირები ამოშენებულია ქვიტკირის კედლებით, შიგ დატანებული მომრგვალო ფანჯრებით; ექვსგარეშეა, რომ ამ მღვიმეებში ეკლესიებიც მოიპოვება, მაგრამ ახლა ისინი შეუვალნი არიან, გზები სულ მოშლილია და თვით ზოგიერთი მღვიმეც ჩამონგრეული. ეკლესიის ცოტა ქვემოთ წყლის აუზი ყოფილა; მახლობელი სოფლების ქრისტიანები, სომხები და ბერძნები ამ ეკლესიაში ორჯერ მოდიან წელიწადში და იხდიან დღესასწაულს ღვთისმშობლის მიძინების დღეს და ერთს დღეს კიდევ აღდგომის შემდეგ.

### ათაბაგ მზეჭაბუკის ციხე-დარბაზი და ეკლესიის ნანგრევები

დემურ-კიშლას წყალი ერთვის ბარდუსის წყალს (ახლა ბარდუს-ჩაი), მარჯვენა ნაპირზე ბარდუსის წყლისა, მაღალი კლდეების ძირში, ვიწრო, მაგრამ საკმაოდ გრძელი ტერასაა, რომელზედაც მოიპოვება ნანგრევები ციხისა და მთელი რიგი სასახლის შენობათა, ახლა სულ განადგურებული და ქვები ერთმანეთში არეული. ამათ შორის უკეთ დაცულია სასახლის ეკლესია, ჩვეულებრივი ერთნეფიანი ბაზილიკა, მიძერწილი შიგნით და გარეთ თლილის ქვით, თაღი ჩამონგრეულია, ხოლო კედლები დაცული, მაგრამ ნაწილი ნათალი ქვებისა დასავლეთით და ჩრდილოეთით გამარცვულია; შესასვლელი აქვს სამხრეთით, ფანჯრები აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. კარი ახლა ამოშენებულია ქვებით, ხოლო ირგვლივ შემკობილია არამდიდრული ჩუქურთმებით და



ნახევარფარგლიანი კამარით, რომლის ქვეშ ქვაზე ღვთისმშობლის ფიგურაა ჩვილით; ყრმა მაცხოვარს აწერია ხუცურად: ქ-ე. კარის წრის ორივე მხარეს ქვაზე თითო როზეტია ამოჭრილი (კარი გადაღებულია ფოტოგრაფიულად). კარის მარჯვნივ ხუთ დიდ ქვაზე დიდრონი გადაბმული ასომთავრულით ცოტა ნაკლულოვანი წარწერაა, გაგრძელებული აღმოსავლეთის კედელზე:

...ამ ეკ-ლს აღმშნბ[ლსა ათაბაგსა პა] ტრონსა მზეჭაბუკს (შემდეგ აღმოსავლეთის კედელზე): დღგრძბით შ-ნ ღ-ნ.

უქარაგმოდ:

...ამ ეკლესიის აღმაშენებე[ლსა ათაბაგსა პა]ტრონსა მზეჭაბუკს დღეგრძელობით შეუნდვნენ ღმერთმან.<sup>32</sup>

წარწერა უნდა ეკუთვნოდეს ათაბაგს მზეჭაბუკ დიდს, ქაიხოსრო I შვილს, რომელიც გარდაიცვალა 1516 წელს (H.G. II, 1, p. 640). ამ წარწერის ზემოთ ერთ ქვაზე მრგვალი სარკმელია ამოჭრილი. ეკლესიის ეკვტრის აღმოსავლეთით დიდი ოთხკუთხედი ზალაა ათაბაგის მზეჭაბუკის სასახლისა და შემდეგ მთელი რიგი ოთახებისა: მისასვლელი ამ ციხე-დარბაზის ნაშთებთან მარტო აღმოსავლეთის მხრიდან არის. სასახლიდან იშლება ერთობ ლამაზი პანორამა ბარდუსის ხეობისა.

---

<sup>14</sup> ეს წარწერა დ. ბაქრაძესაც აქვს ნახული და ამასთან ერთად ჩამოთვლილი აქვს მოკლედ მის მიერ ნახული სხვა ეკლესიებიც ოლთისის ოკრუგში (იხ. გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების «იზვესტია», VII, გვ. 200–201).

ეკლესიის პირდაპირ მომრგვალებით წაგრძელებული კლდე მოჩანს და მისი ატმოსფერული წყლებით დასერილი გვერდები გვაძლევს შთაბეჭდილებას, თითქოს ეს ხელოვნურად ნაშენი ორსართულიანი ციხე იყოს. დასავლეთის მხრით ეკლესიის კლდეში მოჩანს მღვიმის ეკლესია, მაგრამ მისასვლელი ახლა მოშლილია.

## კოპი

კოპი ბარდუსის წყლის პირზეა და შეადგენს მეზრეს სოფელ პერტუსისა, რომელიც მაღალ მთაზეა გაშენებული. აქვე არის ხიდი და წისქვილი. მარჯვენა ნაპირზე ბარდუსის წყლისა კლდეებში მოჩანს მღვიმეები, რომელთა პირი ამოშენებულია ქვითკირით. ერთი მათგანი მოგვაგონებს მაღალი ციხის კედლებს დიდრონი კოშკებით, ძაბრის მსგავსად. მისასვლელი ახლა მოშლილია. მარცხენა ნაპირზე მდინარისა უფრო მაღალ კლდეებში მრავალი დიდრონი მღვიმე მოჩანს. აქაც მღვიმის პირები ქვითკირით არის აღმოშენებული, შიგ დატანებული ფანჯრებით. აღმოსავლეთით მღვიმეებისა კლდის ნაპრალებზე მცირე ადგილი დავაკებულია და ზედ აშენებულია თლილის ქვის ეკლესია, ჩუქურთმებით შემკობილი; ჩრდილოეთის ნაწილი და ნაწილი აღმოსავლეთის კლდისა კლდეზეა მიშენებული. სხვა ნაწილები დურბინდით კარგად მოჩანს. შესასვლელი ერთი აქვს,

---

<sup>32</sup> ეს წარწერა დ. ბაქრაძესაც აქვს ნახული და ამასთან ერთად ჩამოთვლილი აქვს მოკლედ მის მიერ ნახული სხვა ეკლესიებიც ოლთისის ოკრუგში (იხ. გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების «იზვესტია», VII, გვ. 200–201).

სამხრეთით; ფანჯრები თითო, აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით; დახურულია ლორწინით. ახლა ამ მღვიმეებს და ეკლესიას მისასვლელი აღარა აქვს.

## პერტუსი

პერტუსში 50 კომლი სომეხია, სათათრეთიდან მოსული. ამ სოფელში ორი ქართული ეკლესია ყოფილა ჩვეულებრივი რიგისა: ერთი მათგანი, სოფლის ზემოთ, სულ განადგურებულია; მეორე დაცულია, მაგრამ სომეხებს გადაუკეთებიათ თავის ეკლესიად 1893 წ. და ის ქართული წარწერა, რომელსაც ბაქრამე იხსენიებს, მოუსპიათ. მას შესასვლელი აქვს სამხრეთით, ფანჯრები აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. საკურთხეველში ერთი პატარა უბეა; მიძერწილია ნათალის ქვით. ირგვლივ სასაფლაო არის. სასაფლაოს ქვების სახეები წარმოადგენენ ხშირად ცხენის და ცხვრის ფიგურებს.

რვა ვერსზე პერტუსიდან მთაზე მრგვალი დიდი კოშკია, კარგად ნაშენი და ამ კოშკის ქვემოთ პატარა, ჩვეულებრივი რიგის ეკლესია ყოფილა, ახლა სულ მოშლილი.

## ბობისგერი

პერტუსის ქვემოთ, დაბლობში სოფ. **ბობისგერია**, აგრეთვე სომეხებით დასახლებული, მაგრამ ზაფხულში აქ არავინ რჩება, ისე ცხელა. ამ სოფელს მინდორი ახლავს და შუა მინდორში ერთობ ლამაზი გეგმის ეკლესია მოიპოვება. მკვიდრად ნაშენი ქვისგან და შიგნით და გარეთ მიძერწილი ნათალი ქვებით. ეს ოთხაფსიდიანი ეკლესია, ჯვარის სახის გეგმაში ჩასახული, გარეთ მრავალ წახნაგოვნად გამოდის. შუა ნაწილი შიგნით წარმოადგენს კვადრატს, რომელსაც სამი მხრით აფსიდების წინ ეკვრის სწორკუთხოვანი ოთხკუთხედები, ხოლო აღმოსავლეთის მხრით კვადრატი. დაბალი, კონუსის სახის გუმბათი თავისი დაბალი, მრგვალი გუმბათის ყელით, დამყარებულია ოთხ განცალკევებულ მრგვალ სვეტზე, რომელნიც შუა კვადრატის გარე კუთხეებშია მოთავსებულნი. კამარები მომრგვალებულია. გუმბათის ყელში ოთხი მრგვალი სარკმელია, ხოლო აფსიდებში, გარდა ჩრდილოეთისა, თითო ზევით მომრგვალებული ფანჯარაა; შესავალი აქვს დასავლეთით და სამხრეთით. სახურავი ქვისაა. ლამაზი სვეტები მთელი ქვისაგან დამუშავებული დამყარებულია მომაღლო კვარცხლბეკებზე; მათი თავები ორმაგია; ქვემო მრგვალია, ზემო – ოთხკუთხედი, ერთი სვეტი სამხრეთ-დასავლეთის ნაწილში გატეხილია და სომეხებს შეუცვლიათ ხის სვეტით იმავე ზომისა, როგორც სხვებია და მოუთავსებიათ ძველ კვარცხლბეკზე და სვეტის თავიც ძველი დაუშენებიათ. კანკელი ქვისა ყოფილა, 14½ ვერშოკი სიმაღლით და ლავარდანი (კარნიზი) ღაროვანი ჰქონია; შუაში, საკურთხეველში შესასვლელად, ორი საფეხურია დატანებული. კუთხეებში კანკელისა ოთხწახნაგოვანი ქვებია, რომელნიც შუაში ამოღრმავებულია. ამათში ალბათ ჩასმული იყო კანკელის მრგვალი სვეტები. ამ დაბალი კანკელის ქვები, ეტყობა, წმიდანთა ფიგურებით ყოფილა შემკობილი; ერთი მათგანი დარჩენილია საკურთხეველში, ძალზე გაშავებული ჭვარტლით, და ზედ გამოქანდაკებული ფიგურა, ვგონებ, იოანე ნათლისმცემელს უნდა წარმოადგენდეს, ან წმიდა ნიკოლოზს; დანამდვილებით ძნელია თქმა. ირგვლივ ძველი ასომთავრული წარწერა ძალზე დაზიანებულია. წარწერა ასე უნდა იკითხებოდეს:

ქ. ქე შე მ ქელ ... ცოდვილი

ქ. ქრისტე, შემიწყალე მიქელ ... ცოდვილი.

ამ ქვას დიდს პატივს სცემენ სომხები და ბერძნები მახლობელი სოფლებისა, უნთებენ სანთლებს, და ლოცულობენ მის წინაშე. გადმოგვცეს, ვითომც ერთხელ ქვა ერთს ქურთს წაეღოს ეკლესიიდან, მაგრამ სიზმარი ენახა, თუ ქვა არ დააბრუნე თავის ადგილზე, ამ დღეებში მოკვდებო და უკან დაებრუნებო.

ერთი მოშლილი და სულ გაფუჭებული ფიგურა მეორე ქვაზეც შევამჩნიეთ. ტრაპეზის ქვა სიგრძით 1 არშინი და 7½ ვერშოკი, სიგანით 1 არშინი და 1 ვერშოკი, კედელზეა მიშენებული. ადგილობრივი სომხების თქმულებით, ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელობის არის. შიგნით ეკლესია ერთობ წმიდად ნათალი ქვებით არის შეძერწილი და თავისი სიმეტრიული, ჰარმონიული გეგმით, ლამაზი სვეტებით და მოხდენილი გუმბათით თვალწარმტაც შთაბეჭდილებას ახდენს. ეკლესია, ჩვენის აზრით, მე-9 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს და ყოველ შემთხვევაში მეათე საუკუნეზე უფრო გვიანი არ არის. გარედან ეკლესია ძალზე დაზიანებულია. გარეგანი სახე ეკლესიისა გადმოღებულია ფოტოგრაფიის საშუალებით; აგრეთვე კანკელის ქვის ფიგურაც.

## კოტისი

კოტისში ქურთები ცხოვრობენ. მოზრდილი, ძველი, ჩვეულებრივი რიგის ეკლესია, თლილის ქვით შეძერწილი, მცხოვრებთ მიწით გადაუხურავთ. შესავალი ჰქონია დასავლეთით, ხოლო ფანჯრები აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით.

## ქარგლუხი ახლა კარკლუხი

მუსულმანთა სოფელია. აქ ორი ეკლესია ყოფილა: ერთი მოდიდო, ნახევრად ნათალი, მოწითალო პატარა ქვებით ნაშენი და ამიტომ შორიდან აგურით ნაშენსა ჰგავს. ჩვეულებრივი ოთხკუთხედი გეგმის არის საკურთხევლის აფსიდით. თალი მოშლილია, კედლები დაცული, შესავალი აქვს ჩრდილოეთით და სამხრეთით; სამხრეთით ახლავს პატარა ეკვტერი, ფანჯრიანი აფსიდით და დასავლეთის კარით; ეკვტერი მთლად არის დაცული. თავ ეკლესიაში თითო ფანჯარაა ყოველ მხრით. გოდრული თალი დამყარებული ჰქონია ერთ სართავ კამარაზე.

მეორე პატარა ეკლესია მაჰმადიანებს ჯამეთ გადაუკეთებიათ და აღმოსავლეთით აფსიდი აღარ აქვს. ისე შენობა კარგად არის დაცული. შესავალი აქვს სამხრეთით. ფანჯრები აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით, შიგნით კედლები შელესილია; აქა-იქ მოჩანს კედლებზე გვიანი სომხურად დაჩხაპნილი წარწერები. ერთი ამ ეკლესიათაგანი უნდა ყოფილიყოს წმიდა გიორგის სახელზე აშენებული; ერთი ცალკე ფურცელზე მერმინდელი მინაწერი ჯრუჭის სახარებისა გვამცნევს, რომ „თემსა მას ბანისასა ქარგლუხს“ წმიდა ბერს ავქსენტის აუშენებია წმიდა გიორგის ეკლესია და შიგ დაუდვია მრავალი ნაწილი, მაგრამ იმ ადგილს მაშინ ყოფილა ურწმუნო სანჯაკი ბაადინ-ბეგი, რომელსაც წმიდა ბერი ციხეში ჩაუგდია, ხოლო შემდეგ იქიდან გაუნთავისუფლებიათ. ეს უნდა ეხებოდეს მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნის ამბავს და არა სელჯუკების დროს, როგორც ბროსე ფიქრობს (Rap. XII, pp. 85–96).

## ლექსორი

ლექსორში დიდი ლავრა ყოფილა გაშენებული ბარდუსის წყლის მაღალ კლდოვან ნაპირზე. დაბლა წყლის ნაპირზე ვიწრო, მაგრამ ღრმა ხეობაში ბაღებია გამართული კაკლის ხეებისა, თუთისა, ქლიავისა და სხვა. მცირე თუთუნის პლანტაციაც მოჩანს. ზემოდ კლდეებზე მონასტრის შენობებია ირგვლივ. ერთი თავი ეკლესიაა, დიდი, სამი ეკვტრით და ხუთი პატარა ეკლესია. ყოფილა მეექვსეც, როელიც ეხლა მოშლილია. ყველა ეკლესია ქვითკირით არის ნაშენი და შემერწილი ნათელი ქვებით. სამი პატარა ეკლესია ჩრდილო-აღმოსავლეთით თავი ეკლესიისა ერთგვარი გეგმის არის, ერთი კარით სამხრეთით და ერთი სარკმლით აღმოსავლეთ აფსიდაში. მეოთხე პატარა ეკლესიას შესავალი აქვს დასავლეთით და სამხრეთით, ფანჯარა აღმოსავლეთით; მეხუთე პატარა ეკლესიაც ამ რიგის არის. თავი ეკლესია წარმოადგენს ერთნეფიან მოდილო ბაზილიკას ორის სართავი კამარით. ამ დიდ ოთხკუთხედ შენობას ჩრდილოეთის მხრით აქვს გრძელი ეკვტერი, რომელიც უერთდება ეკლესიას ერთი კარით. ორი ეკვტერი ერთვის ეკლესიას სამხრეთის მხრით, ორივე უწევს მხოლოდ სამხრეთის კარამდის თავი ეკლესიისა. ყველა ეკვტერი დაბალია თავ ეკლესიასთან შედარებით და შემდეგ უნდა იყოს მიშენებული. კედლები თავი ეკლესიისა კარგად არის დაცული. თალი ჩანგრეული ყოფილა და შემდეგ მებატონეს მამულისა, მამედ-ბეგს, ეკლესია დაუხურავს მიწით და გადაუქცევია საცხოვრებელ სახლად, მაგრამ ეხლა ეს მიწური სახურავიც ჩანგრეულია და იქ არავინ ცხოვრობს. ეს თავი ეკლესია შიგნით მოხატული ყოფილა ფრესკებით, მაგრამ ეხლა მხატვრობა სულ მოშლილია. ეკლესიათა კედლები აქა-იქ დაჩხაპნილია მნახველთა თუ მლოცველთა მიერ ქართულის, სომხურის და ბერძნულის წარწერებით. ერთ ადგილას ხუცურად წერია:

ქ ე შ ე სეით და კარი უღე ცოდვილთა.

## ქალაქი ოლთისი ოლთისის ციხე და ციხის ეკლესია

ქალაქი ოლთისი გაშენებულია ორივე ნაპირზე ოლთისის წყლისა. მარცხენა ნაპირზე ახალი სახლები და კაზარმებია, ხოლო ძველი ქალაქი, ციხე, ჯამე და უმეტესი ნაწილი შენობათა მოთავსებულია მარჯვენა ნაპირზე. ნაპირები შეერთებულია დიდის ხის ხიდით, რომლის ქვემოთ აუზი მდინარისა ფართოა და მოცულია ბალ-ბოსტნებით. მახლობელი მთების კალთები ბუჩქნარით არის შემოსილი. მდებარეობა ლამაზია. თავ სიძველეს ქალაქისა შეადგენს ოლთისის ციხე, რომელიც გაშენებულია მაღალ კლდოვან გორაკზე ოთხკუთხედად და მიმართულება აქვს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. კლდეების მწვერვალები გორაკისა წამახვილებულია შუბის წვერის მსგავსად. ამ მწვერვალებზე და მათ შორის ამოყვანილია მაღალი და მკვეთრი ზღუდეები მომრგვალებული კოშკებით. ზღუდის თავები, ეტყობა, დაკბილული ყოფილა სათოფურებით. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან, ვიწრო გვირაბის მსგავსი კორიდორებით, რომელნიც ახლა ჩამონგრეულია. შუა ციხეში მოედანია სხვადასხვა შენობათა ნაშთებით. ერთი მათგანი ძველ დარბაზს შეიცავს, თაღებიანი მიწით დახურული დასავლეთის ნაწილში დარბაზს ჩვეულებრივი დარბაზის გვირგვინი ახლავს, რომლიდანაც დარბაზში ჩამოდიოდა სინათლე. ამ დარბაზიდან მიწაში მიდის სამალავი გვირაბი,

რომელიც ალბათ ქალაქში გამოდიოდა. სამხრეთის კედრით ამართულია შიდა-ციხე (ციტადელი), ყველაზე მაღალი, რომელიც ზემოთ ბრტყელი ბანით თავდება და კუთხეები მომრგვალებული აქვს. მოედნიდან კამარის ქვეშ კიბე მიდის შიდა-ციხის ზემო ნაწილში ასასვლელი. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრით მოედნისა დარჩენილია ნანგრევები ძველი ეკლესიისა, რომელიც შიგნით და გარეთ მოწითალო ლამაზი თლილის ქვისაა. ნათელი ქვები ახლა მეტნაწილად გამარცვულია. გეგმა ეკლესიისა ექვსაფსიდიანია, მრავალწახნაგოვანში ჩასახული. ეს ეკლესია ჭეშმარიტი კოპიო არის ჩვენ მიერ აღწერილი კიაგმის-ალტის ეკლესიისა, ბანას მახლობლად (იხ. XII ტომი კავკასიის მასალებისა, გვ. 85–89) და ამიტომ მასზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს ეკლესია უფრო ცუდად არის შენახული, ვიდრე კიაგმის-ალტისა, მაგრამ შიგნით ეკლესიის კედლებზე მოჩანს ნაშთები ფრესკებისა და ეტყობა საკურთხეველში უკეთ ყოფილა დაცული. ამას გარდა, კოხის შენიშვნით, ღვთისმშობლის სურათი ამ კომპოზიციისა მარცხნივ საკმაოდ კარგად განირჩევა. დ. ბაქრაძე უჩვენებს ამ ეკლესიის შინაგან კედელზე რამდენიმე ბერძნულ ასოს, ხოლო ჩვენ დროს ეს აღარ იყო. ბოტანიკოს კოხის მოგზაურობის დროს, 1843 წელს, როგორც მისი აღწერილობიდან ჩანს, ამ ეკლესიის ნანგრევები უკეთ ყოფილა დაცული. ამას გარდა, კოხის შენიშვნით, ყოველგან, როგორც ციხის, ისე ქალაქის ზღუდის კედლებზეც, მას უნახავს უკვე შეზღაღული ძველი ქართული წარწერები და ფიგურები, ამოჭრილი დიდრონ ქვებზე. ნამეტნავად მას თვალში სცემია ღვთისმშობლის ფიგურა ჩვილით და სამ მეფეთა სურათი. ზოგჯერ მე მეჩვენებოდაო, დასძენს კოხი, რომ ეს ფიგურიანი ქვები უფრო ძველ შენობებს უნდა კუთვნებოდაო (იხ. კოხის უკვე ნახსენები თხზულება, II, გვ. 251–252).

ოლთისის ციხის ეკლესიას ეკუთვნის მოწითალო ბრტყელი თლილი ქვა, სვეტზე დამყრებული, რომელიც, როგორც მოვიხსენიეთ, დათიკო ქუთათელაძემ გამოგვიგზავნა თბილისში ჩვენს მოგზაურობამდის. ეს ქვა, ვგონებ, ერთ სვეტზე დამყარებულს ტრაპეზის ქვას წარმოადგენდა. ამ ქვის სისქეზე ოთხივე მხრით ასომთავრული წარწერა არის. ერთი სტრიქონი სულ მოშლილია. დანარჩენში ჩვენ ამოვიკითხეთ:

1. ო ო ღ ო ძ ლ ო
2. ქ ე შ ე გ ბ რ ლ რ ო ნ ა დ ი და წ ო გ ო და ა დ
3. მართა წ ო გ ო ს საკურთხეველი.

უქარაგმოდ:

«უფალო ღმერთო ძლიერო, ქრისტე, შეიწყალე გაბრიელ, რომელმან ადიდა წმიდაა გიორგი და აღმართა წმიდაა გიორგის საკურთხეველი».

ერთ მხარეს ქვაზე ეწერა კიდევ:

ქ დ ო თ მ ა

შქმნა ჯელთაგან<sup>33</sup>

ქ ე შ ო გ ბ რ ლ

უქარაგმოდ:

«ქ. დავითმა შექმნა ჯელთაგან. ქრისტე შეიწყალე გაბრიელ».

წარწერა უჩვენებს, სხვათა შორის, რომ ციხის ეკლესია წმიდა გიორგის სახელზე ყოფილა აშენებული.<sup>34</sup>

<sup>33</sup> აღარ მახსოვს, ეს სიტყვა ამ სტრიქონს ეკუთვნის თუ მეორეს.

ხსენებული ეკლესიის ქვემოთ, მღვიმეში, მოთავსებულია დარბაზის შენობა.

### მეორე ეკლესია ოლთისის ციხისა

დასავლეთის მხრით ოლთისის ციხეს ეკვრის ფრიად ვრცელი ოთხკუთხედი მოედანი, მოზღუდული მაღალი ქვითკირის კედლებით. ეს არის მეორე დაბლობი ნაწილი ციხისა. ამ ადგილში ახლა მარტო ერთი შენობა მოჩანს, იგიც ახალი, ყაზარმის მსგავსი, მიშენებული თვით ციხის კლდეზე, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში ამ ზღუდისა დაცულია ძველი ქართული ეკლესია მოზრდილი, ერთნეფიანი ბაზილიკა, მაგრამ თან ახლავს სამკვეთლო და სალარო, რომელთაც აფსიდები არა აქვთ და რომლებიც საკურთხეველს არ უერთდებიან კამარებით, არამედ თვით ეკლესიას. თაღები ეხლა დაბალია და უსწორმასწორო; ეს სომხებს გადაუკეთებიათ, რომელნიც ეკლესიას ფლობენ. წინანდელი თაღები დამყარებული ყოფილა ორ სართავ კამარაზე. შესავალი აქვს სამრეთით და ჩრდილოეთით (დასავლეთის კედლის ახლოს). ფანჯრები თითო საკურთხეველში, სამკვეთლოში და სალაროში, ხოლო სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებში სამსამი. ეკლესია შემერწილია სხვადასხვა ფერის ნათალი ქვებით. დასავლეთის მხრით ეკლესიას პატრონიკე (ხორი) აქვს. კედლებში რამდენიმე ქვა არის ჩატანებული ზედ ამოჭრილი ჯვრებით. ერთს ქვაზე აკანთის ორნამენტი, ლამაზი. ეკლესიაში ორი ქვის ნატეხი იპოვება. ერთზე გადასული ასომთავრული წარწერა, ეტყობა; მეორეზე ოთხი მოსხო ლამაზი ბერძნული ასოა: II O I. ეკლესიაში ახლა ინახება სომხური ხელნაწერი სახარება ბომბიციანაზე დაწერილი ორ სვეტად. თავში ორი ფურცელი და ბოლოს ერთი ფურცელი პერგამენტისა არის. ხელნაწერი გადაწერილია 1605 წელს, ყდა ხისა აქვს შავტყავგადაკრული და პირველ გვერდზე შემკობილია ჯვრით, რომელიც შემოუწირავს ვიღაც აბრაამს შესაწყნარებლად მისი დედისა ზანონისა და მამისა ალექსიანისა. სახარება შემკობილია ფერადოვანი მინიატურებით მახარობელთა, ათთორმეტ საუფლო დღესასწაულთა და სხვა სახარების სცენებით. მეთაური ასოებიც ფერადოვანია.

### მიზგითა ანუ ჯამე ასლან-ფაშისა

ეს ჯამე საუკეთესოდ ითვლება მთელს ყარსის ოლქში. ლამაზი გუმბათიანი შენობაა კვადრატული. სამხრეთ-დასავლეთის მხრით თან ახლავს მაღალი და კოხტა მინარეტი. შესავლის წინ კარიბჭეა სამგუმბათიანი. გუმბათები ერთი მხრით დამყარებულნი არიან თვით კვადრატის კედელზე და მეორე მხრით ოთხ, მთელი ქვისაგან გაკეთებულ ერთობ ლამაზ სვეტზე. კარიბჭე 12 ვერშოკით ამადლებულია თვით ჯამეს იატაკზე. შენობა სხვადასხვა ფეროვანი ნათელი ქვებით არის ნაშენი. დახურული ყოფილა წინათ კრამიტით; ახლა ჟესტის სახურავი აქვს, მწვანედ შეღებილი. დეტალები ამ შენობისა ერთობ საუცხოოა. სვეტები შემკობილია ლამაზი კვარცხლბეკებით და სვეტის თავებით. კვარცხლბეკებზე დადებულია სპილენძისაგან ჩამოსხმული მრგვალი ბალიშები და ამას ემყარება სვეტები. ასეთივე

---

<sup>34</sup> ეს ტრაპეზის ქვა, როგორც კუთვნილება ჩვენი მუზეუმისა, ჩვენს დროს ინახებოდა უნივერსიტეტის შენობის პირველი სართულის კორიდორში.

მრგვალი ბალიშებია სვეტის თავსა და სვეტს შორის. შესასვლელის კარის არე მოცულია ისეთივე ჩუქურთმებით, როგორც ქართული ეკლესიები საუკეთესო დროისა. კერძოდ, თავი კამარა შუაში შემკობილია ფურცლოვანი ჩუქურთმით, რომელიც ბანას ეკლესიის შემკობას მოგვაგონებს. კამარები ისრულია, გუმბათი ტრომპებზეა დამყარებული. ფანჯრები მრგვალი, ოთხკუთხედი და მომრგვალებული, სულ ქართული ჩუქურთმებით არის შემკობილი. ფანჯრებში სხვადასხვა ფერადოვანი მინებია ჩასმული. შიგნით კედლები შელესილია და შეღებილი მომწვანოდ. პატრონივე ხისა არის დამყარებული ხის სვეტებზე, მაგრამ სვეტების კვარცხლბეკები სპილენძისა არის, ისეთივე ვალუტებით, როგორც ბანას ეკლესიის სვეტის თავებს ამშვენებენ. მიმბეთი შიგნით მოცულია ოთხკუთხედი ქართულად მოჩუქურთმებული ხის ჩარჩოთი. იატაკი ცემენტისა არის. ერთის სიტყვით, ჯამეს ხუროთმოძღვარს სავსებით და მოხდენილად გამოუყენებია ქართული შემკობილებანი, რომელნიც ამშვიდებენ ბანას და მისი არემარის ეკლესიებს. მრავალი თათრული წარწერა კარების ირგვლივ და ეზოში შესავლის თავზე მოგვითხრობს, რომ ჯამე აშენებულია ასლან ფაშის მიერ მე-17 საუკუნეში. ეს იყო ტომით ქართველი, ათაბაგის ჩამომავალი. მის ძმას ახმედ ფაშას ჯამე აუშენებია ბარდუსში, რომელიც ჩვენ არ გვინახავს. აღმოსავლეთის მხრით ოლთისის ჯამეს ეკვროდა ასლან ფაშის სასახლე, რომელიც სრულიად განადგურებულია ახლა, ხოლო რამდენიმე ქვის კამარა კიდევ მოჩანს. თვით ასლან ფაშა სიკვდილით დასჯილ იქნა 1677 თუ 1779 წელს (Hist. de la Géorgie, II, p. 640).

### უცნობი ეკლესიის წარწერები

ოფიცერმა კოტე ჯინჭარაძემ გვიამბო, რომ მას ოლთისის მახლობლად უნახავს ერთი ეკლესია, რომელსაც ჰქონია ასომთავრული წარწერები და გადმოგვცა, რაც მას ხელით გადმოედო. ოთხი სიტყვა ამათში ფრესკების წარწერებს შეიცავს:

«წ ო მინა, ფოკა; კონონ».

შემდეგ იკითხება სიტყვები:

სლცვ (= სალოცავად)... და შჩნებლ ღმთისაგნ დაოჯსბმძსა:

წ თა»... (= და შეჩვენებულ ღმ(რ)თისაგან დაუსაბამოძსა: წმიდათა).

### სიხჩევი

სიხჩევი ქართული მაჰმადიანების სოფელია, გაშენებული სიხჩევის წყლის ვიწრო ხეობაში. მარჯვენა ნაპირზე ამ წყლისა ამართულია მაღალი კლდე თავმოკვეთილი კონუსის მსგავსად. ერთი მხარე მისი მიუდგომელი ვერტიკალური სალი კლდეა, მეორე მხრით კლდე თითქო დაკიდებულია. აქა-იქ ფერდობზე ვიწრო კალთებია შემაგრებული ქვითკირით, რომ არ ჩამოიქცეს და ერთ ასეთ კალთაზე სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით, მწვერვალის მახლობლად, გაშენებულია პატარა ოთხკუთხედი ქვის ეკლესია, ერთაფსიდიანი, კარგად შენახული. შესასვლელი აქვს დასავლეთის მხრით და ფანჯარა აღმოსავლეთით; საკურთხეველში ორი პატარა უბე მოჩანს. ჩრდილოეთის მხრით მიშენებული აქვს ეკვტერი, უფრო კარგის თლილის ქვით ნაშენი, ვიდრე თვით ეკლესია. ერთი კარით დასავლეთით და ერთი სარკმლით აფსიდაში. ეკვტერი ეკლესიას კარებით არ უერთდება. როგორც ეკლესია, ისე მისი ეკვტერი სულ მოხატული ყოფილა ფრესკებით. ნაწილი მოჩანს საკურთხეველში. ეკლესია ქვით არის დახურული. მეორე კალთაზე ამ კლდისა დიდი ქვითკირის

აუზია და აუზის მახლობლად მრგვალი კოშკი. მთელი კალთა შემოზღუდულია ქვითკირის კედლებით. სულ მწვერვალზე პატარა სწორ ადგილზე აგრეთვე კოშკია ამართული, მაგრამ მისავალი ახლა მოშლილია. აქედან საუცხოო პანორამა იშლება ოლთისის ხეობისა.

სიხჩევის აღმოსავლეთით სოფელი **ლესპეჯი** არის. ამის მახლობლად გიმერის მადანია. აქვე გამოდის სიამერის ქედი, რომლის ერთი მწვერვალი **კორ-კორ-დაგი** შედგება ქვა-მარილისაგან, მაგრამ ამის მარილი უფრო დაბალი ხარისხისაა, ვიდრე ყალიზმანისა და კულპისა.

### **ჩაპარლი-ყიშლა**

აქ 15 სახლი სომეხია. ძველი ეკლესია, რომელიც ჩუქურთმებით ყოფილა აქა-იქ შემკობილი, მოუშლიათ და მის ადგილზე ახალი აუშენებიათ. ძველი ეკლესიის ქვები აქა-იქ მოჩანს კედლებში.

### **ბაღჩალი-ყიშლა**

ბაღჩალი-ყიშლაში მაჰმადიანები ცხოვრობენ, მეზობელ სოფელში **ურუკში** – სომეხები. ეკლესია ბაღჩალ-ყიშლასი გაშენებულია პატარა მდინარის **გეჩუდ-სუს** პირზე, ციხის მარცხნივ. ქვით ნაშენი ეკლესია ჯვარის სახისა არის, სამფასადიანი, დასავლეთის მკლავი სწორკუთხიანია, წაგრძელებული, თალი და გუმბათი ჩანგრეულია, კედლები კარგად არის დაცული და მიძერწილია შიგნით და გარედ ლამაზად ნათალი მუქი მოწითალო კუბიკური ქვებით. შესასვლელი აქვს სამხრეთით, ფანჯრები – თითო აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. ეკლესიის ირგვლივ ძველი სასაფლაო არის. სასაფლაოს დიდრონი ქვები წარმოგვიდგენენ ქანდაკებებს შეკაზმული ცხენებისა, ცხვრებისა და სხვა ცხოველთა.

პატარა მდინარე, რომლის ნაპირზე ეკლესია არის გაშენებული, გამოდის კლდეების ნაპრალიდან, რომლის სიგანე 2 საყენს უდრის. ერთ ნაპირზე ნაპრალისა მაღალ კლდეზე ციხე-კოშკია გაშენებული, მეორეზე – დიდი ოთხკუთხედი კოშკი, მიძერწილი მოწითალო ქვებით. ამის შემდეგ მდინარე ფართოვდება, მაგრამ შემდეგ შედის ასეთივე კლდეების ნაპრალში. სოფელი **ბაზმალი-ყიშლა** ამ ორ ნაპრალ კლდეებს შუა არის გაშენებული.

### **ფარნაკი (კარტაზე – პერნიაკი)**

ფარნაკი მდებარეობს ოლთისის წყლის ორთავე ნაპირზე, იქ, სადაც ბანის წყალი ერთვის ოლთისის წყალს. ამის მახლობლად მარილის სამრეწველოა და სოფელი ავჭალა. აქ ორივე ფრიად მაღალ კლდოვან ნაპირზე ოლთისის წყალისა თითო ციხეა გაშენებული. პირველი მოთავსებულია მარცხენა ნაპირზე ვიწროდ წაგრძელებულ კლდოვან გორაკზე, რომელიც ირგვლივ შემოზღუდულია მაღალი ქვითკირის კედლებით და შეადგენს ერთს მაგარ ციხეს. დასავლეთის ნაწილში ციხისა აშენებულია საკმაოდ დაცული გუმბათიანი პატარა ეკლესია, რომელიც მიძერწილია ტლანქად ნათალი წითელი ქვებით. გუმბათი დამყარებულია აღმოსავლეთით აფსიდის კამარაზე, ხოლო დასავლეთით სართავი კამარის ქუსლებზე. საკვირველი ესაა, რომ გუმბათს გადამავალი აფრები სრულიად არა აქვს. გუმბათი ეხლა სანახევროდ ჩამოქცეულია. ეკლესიას შესავალი აქვს დასავლეთით



და სამხრეთით, ფანჯრები – თითო ყოველის მხრით. გუმბათში ოთხი მრგვალი სარკმელი ყოფილა. გუმბათი ოთხწახნაგოვანია, დაბალი. ეკლესიის დასავლით პატარა სწორი ეზოა.

ამ პირველი ციხის პირდაპირ, მარჯვენა ნაპირზე ოლთისის წყლისა უფრო მაღალი კლდოვანი მთა არის გამაგრებული ზღუდეებით, კოშკებით და სხვა შენობებით. ასე რომ, სიმაგრე რამდენიმე სართულიანია. ნაშთები სახლებისა, ეკლესიებისა და აბანოებისა იპოვებიან როგორც კლდის ძირში, ისე ზემოთ სართულებშიც. ამ სიმაგრეიდან, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, მიდის გვირაბი ოლთისის წყალთან.

ამავე მარჯვენა ნაპირზე ოლთისის წყლისა არის სოფელი **ეგრი-კილისა**, რომლის ძველი ქვის ეკლესიისაგან მხოლოდ აფსიდის ნაწილი მოჩანს და ეტყობა, ეკლესია მიძერწილი ყოფილა ქვებით.

### **ნორბერდი**

ნორბერდი სომხური სიტყვაა და ნიშნავს ახალ-ციხე-ს. ეს ციხე გაშენებულია კონუსის მსგავსი მაღალი კლდის მწვერვალზე იქ, სადაც ოლორის წყალი (ოლორ-სუ) ერთვის ოლთისის წყალს. მწვერვალი შემოზღუდულია მაღალი ქვითკირის კედლებით, სათოფურებით ზემოთ. შუაში ამართულია მაღალი მრგვალი კოშკი. აქედან სულ ბაღნარით გზა მიდის ოლორის წყლის ნაპირად ოლორში.

### **ოლორი**

ოლორი გაშენებულია მაღალ პლატოზე, ბაღნარში. აღმართი ოლორის წყლიდან ოლორამდის ორ ვერს-ნახევარს შეიცავს. აქ ტაოსკარის უჩასტკის მმართველის სადგურია. ეკლესიის ნანგრევები აღარ მოიპოვება; სულ განადგურებულია, ხოლო ციხეების და კოშკების ნანგრევები მის არემარეში საკმაოდ არის.

### **ორთისი**

ოლორიდან ორთისამდის ორი საათის გზაა: ერთი საათი აღმართით, მეორე დაღმართით. სოფელი სულ ვიწრო ხეობაშია გაშენებული ორთისის წყლის პირად და შესდგება 49 გამუსულმანებული ქართველების სახლისაგან. ირგვლივ სულ ბაღნარია, შემორტყმული სხვადასხვაფეროვანი სალი კლდეებით. ერთი კლდე შუა სოფელშია სვეტის მსგავსად ამალღებული და მის მწვერვალზე ლამაზი კოშკია, ეხლა სანახევროდ ჩამონგრეული. თვით სვეტიც დასერილია და თანდათან იშლება, კოშკის შერჩენილი ნაწილიც მოკლე ხანში ჩამოვარდება, ვინაიდან სვეტის ზემო ნაწილი კოშკითურთ უფრო დიდი და ბრტყელია, ვიდრე დიამეტრი მისი გამაგრებული ძირისა. ასეთი სხვადასხვა კონგლომერატებისაგან შემდგარი ბუნებრივი სვეტები ხშირია ტაოში. ამ სვეტის მახლობლად, ჯამეს წინ, წყაროა ამოშენებული ძველი ნათალი ქვებით წყალსადენად. სახლები მცხოვრებთა ხისაა, მიწით დახურული. ხისაა აგრეთვე ჯამე, რომლის ხის აივანი შიგნით, პატრონიკეს წინ, შემკობილია ლამაზი ჩუქურთმებით ქართული რიგისა.

## კალმახის ციხე და დიდი მონასტერი-ლაგრა ვაჩი-ძორი ანუ ვაჩე-ძორი

ორთისის წყალი ერთვის სალაჩურის წყალს, შემდინარეს ოლთისის წყალისა. ამ წყლების კალაპოტები იმავე დროს გზებია. სხვა გზები აქ არ მოიპოვება. ჩვენ გავყევით ჯერ ოლთისის წყლის კალაპოტს, შემდეგ სალაჩურისა ნიაკომის წყლის შესართავამდის, რომელიც მარჯვნივ ერთვის სალაჩურის წყალს (აქედან ავყევით ნიაკომის წყლის მაღალ ხეობას და მივედით ეხლა დიდ ვანქად წოდებულ დიდი მონასტრის ნანგრევებთან. აქ ხეობა შედარებით ფართოა, წყლის პირად ბაღებით მოცული. ორივე მხრით ხეობისა ფრიად მაღალი მთებია, ქვემოთ ტყით და ბუჩქნარით შემოსილი, ხოლო ზემოდან კლდოვანი. ერთი მაღალი და მიუვალი კლდის მწვერვალზე სამხრეთის მხარის მონასტრის ნანგრევებისა აშენებულია დიდი ციხე, ეხლა მუსულმანთა ჩვეულებით **კალად** წოდებული. ჩვენის აზრით, ეს უნდა იყოს ძველი **კალმახის ციხე**. პირდაპირი საბუთი ამისა არა გვაქვს, ხოლო როდესაც ადგილობრივ მცხოვრებთ შევეკითხეთ, რას უწოდებთ ამ ციხეს-მეთქი, ყველამ ერთხმად მიპასუხა: კალასო: კალმახი არ გაგიგონიათ-მეთქი? ერთმა ხანშესულმა მიპასუხა: როგორ არაო, ბაბუა ჩემი და სხვა ძველი კაცები მაგას კალმახ-კალას ეძახოდნო, მაგრამ ჩვენ კალას ვეძახითო.

«ქართლის ცხოვრების» თქმით, არჩილ მეფის დროს (688–718), «სარკინოზნი განძლიერდნენ ქუეყანასა რანისასა და დაეპყრათ გაზირი და სომხითი». ამის გამო გუგარის ანუ სომხითის მთავარნი, რომელნიც იწოდებოდნენ პიტიახშეზად, ესე იგი საზღვრის მცველებად, მიადგნენ კლარჯეთს, მაგრამ იქ არ შეუშვეს და ნახევარნი მათგანნი წარვიდნენ ტაოს, შეიპყრეს კლდე ერთი, რომელსა ერქვა კალმახი, და მუნ აღაშენეს ციხე (ბროსეს გამ. ქართ. ცხ. I. გვ. 181). მარიამ დედოფლის ვარიანტში (გვ. 211) ეს ამბავი ასეა მოთხრობილი: «მასვე ჟამსა (არჩილ მეფის დროს) პიტიახშნი ვინმე არა შეუშუნეს კლარჯეთს სახვად, და წარვიდეს ნახევარნი მათგანნი და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქუა კალმახი, და აღაშენა ციხედ». სომხური წყაროების ცნობით, კალმახი ანუ კამახი ტაოში (ტაიკში) 771 წლის ახლოს ხანშია აშენებული სომხის მთავრის აშოტ ქველის მიერ (820. Brosset, Additions, გვ. 159).

ნ. მარრის ახალი ცნობით, კამახი ანუ კალმახი აშენებულია 782 წლის ახლო ხანში ბაგრატიდის აშოტ მისაკერის მიერ, სიმბატის ძისა (იხ. ანი. ლენინგრადი, 1934, გვ. 21). ვახუშტი ბატონიშვილმა არ იცის მდებარეობა კალმახისა, როდესაც ამბობს: «ხოლო კვალად არტანუჯის მდინარის შესართავს ზეით ჭოროხს მოერთვის თორთომის მთიდან გამომდინარე წყალი, რომელი მოდის აღმოსავლეთად: ამ ხევზე კალმახისა არს ციხე კალმახისა, რომელი აღაშენეს პიტიახშთა, დიდ-შენი მაგარი და შეუვალი, იყო საერისთო ტაოსი» (ბროსეს გამოცემა, გვერდი 118<sup>35</sup>). ჩვენ მოვლილი გვაქვს თითქმის მთელი ტაო და არსად ისე შეუვალი და მიუდგომელი ციხე არ გვინახავს, როგორც აქ. მე და კალგინი არ ავსულვართ ამ ციხეზე. ლიოზენმა შეძლო ასვლა და გადმოიღო ფოტოგრაფიულად. ციხე ძალზე დანგრეულია.

---

<sup>35</sup> დ. ბაქრაძე იმეორებს ვახუშტის ცნობას, როდესაც ამბობს, კალმახი მდებარეობს არტანუჯის ზემოთო (ვახუშტის ისტორია, გვ. 137, შენ.).

წარწერები ლიოზენმა ვერ იპოვა. ქვემოდან, მონასტრის ნანგრევებიდან, სახე ციხისა სამჯერ არის გადაღებული. ამ ციხის, ასე ვთქვათ, მფარველობის ქვეშ ყოფილა გაშენებული ნიაკომის ხეობაში დიდი მონასტერი ვაჩი-ძორი, რომელიც სრულიად უცნობია ჩვენს წყაროებში. ამ მონასტრის არც არსებობა ვიცოდით, არც სახელი, არც მდებარეობა. მხოლოდ ერთ ხელნაწერს საეკლესიო მუზეუმისა №73 ბომბიცინაზე დაწერილს, რომელსაც აკუთვნებენ მე-11 საუკუნეს და რომელიც შეიცავს ექვსთა დღეს ვასილ დიდისა და გრიგორ ნოსელისა, აქვს მინაწერი ტექსტის ხელით: «სრულ იქმნა... დიდსა ლავრასა შატბერდს... ჴელითა გრიგოლ ვაჩეძორელისათა» (იხ. თ. ჟორდანას აღწერილობა, I. გვ. 73). ქვემოთ მოყვანილ მღვიმეში ნაპოვნი წერილებისაგან ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ხეობის და მონასტრის სახელი ყოფილა ვაჩი-ძორი, იგივე ვაჩე-ძორი, ხოლო თავი ეკლესია ამისა აშენებული ყოფილა პირველ მოწამის წმ. სტეფანეს სახელზე.

ეს მონასტერი ერთი საუკეთესო ძეგლთაგანია ოლთისის ოკრუგისა. ეს უფრო დიდია და უფრო ლამაზი, ვიდრე ლექსორის მონასტერი და თავისი სირთულით მოგვაგონებს საფარის მონასტერს, ახალციხის მახლობლად, ვინაიდან თავ ტაძარს აქ ახლავს რვა პატარა ეკლესია და სხვა მრავალი შენობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ეს მინგრეულ-მონგრეულია. საქმე ის არის, რომ ნიაკომის მცხოვრებთ ეს ადგილი გაუხდიათ თავის მეზრედ, საზამთრო სადგურად (თვით სოფელი მთაზეა გაშენებული) და მონასტრის შენობები გამოუყენებიათ საბოსლედ, სათივედ, საბძელად და სხვა სადგურებად. ყველაფერი ეს ხელს გვიშლიდა შენობათა დეტალების გასაცნობად.

ყველა პატარა ეკლესია ჩვეულებრივი რიგისაა. ყველა ნაშენია უბრალო ქვით, ხოლო კამარები და ჩარჩოები კარ-ფანჯარათა ნათალის ქვით, შიგნით ყველა შელესილია და მოხატული ყოფილა ფრესკებით, რომელნიც ახლა უმეტეს შემთხვევაში მოსპობილია. ყველა შენობა ქვითაა დახურული. შუა ადგილს და ძირითად ფუძეს მონასტრისას შეადგენს მოგრძო ოთხკუთხედი გუმბათიანი ტაძარი, სამნეფიანი და მრავალეკვტრიანი. ადგილის უსწორმასწორობის გამო საკურთხეველი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ არის მიმართული. შენობა შედარებით საკმაოდ კარგად არის დაცული, თუმცა თაღები აქა-იქ ჩანგრეულია, მაგალითად საკურთხეველში უმეტესი ნაწილი, მაგრამ გუმბათი და გუმბათის ყელი მაგრად არის. მრგვალი გუმბათის ყელი, რომლის დიამეტრი უდრის 2,16 საჟენს, სულ დაბალია. მისი სიმაღლე არ აღემატება 0,84 საჟენს. ის თავისი კამარებით დამაგრებულია ოთხს მრგვალ სვეტზე. დიამეტრი ქვით ნაშენი სვეტისა უდრის 0,56 საჟენს, ხოლო სიმაღლე 2,12 საჟ. სვეტები შემერწილია თლილი ნაცრისფერი ქვებით. გადასვლა კვადრატის კამარებიდან გუმბათის ყელის სიმრგვალეზე კონუსისებური აფრებით წარმოებს. თვით დაბალი გუმბათიც კონუსის მსგავსია.

ქუსლები, სართავი კამარებისა და იმ კამარებისა, რომელნიც მიმართული არიან სამხრეთით და ჩრდილოეთით, ერთს სიმაღლეზე დგანან, ხოლო იმ კამარებისა, რომელნიც მიმართული არიან აღმოსავლეთით, უფრო დადაბლებული არიან. შინაგანი სიმაღლე ეკლესიისა იატაკიდან გუმბათის თავამდის უდრის 6,05 საჟენს. გუმბათის ყელში ოთხი ფანჯარაა: აღმოსავლეთის სამს აფსიდაში თითო, დასავლეთის მხრით ორი ფანჯარა ყოფილა, მაგრამ ეხლა ერთი სულ დახშულია და მეორე სანახევროდ შემდეგ მიშენებული სტოათი. კარები თითოა სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. უკანასკნელი დაბალია და ჩრდილოეთის ეკვტერში გადის. ეს ეკვტერი უაფსიდოა, მაგრამ ტრაპეზის ქვა მიშენებული აქვს აღმოსავლეთის სწორ კედელზე, ფანჯრის ქვემოთ. ეკვტერი კლდეშია გამოკვეთილი,

ვიწროა, სიგანით 0,60 საჟენი და უფრო გრძელ კორიდორს მოგვაგონებს. ჩრდილოეთის კედელში სამი უბეა დატანებული. იატაკი მისი ამალღებულია ეკლესიის იატაკზე 0,90 საჟენით. დასავლეთის მხრით ამას ახლავს შემდეგ მიშენებული პატარა ეკლესია, რომელიც შეერთებულია კორიდორთან ვიწრო გასავალით აფსიდიდან. ჩრდილოეთის ეკვტრის მინაგვარი შენობა სამხრეთის მხრიდანაც ემჩნევა ეკლესიას, მაგრამ ამისგან ეხლა მარტო ერთი კედლის ნაწილია დარჩენილი.

დასავლეთის მხრით თავ-ტამარს თანდათანობით, სხვადასხვა დროს, რამდენიმე მინაშენი ახლავს. თავდაპირველად ოთხკუთხედი სტოა ერთი კარით დასავლეთით; მეორე კარი მას აერთებს ჩრდილოეთის კორიდორზე მიშენებულ ეკლესიასთან, ფანჯარა ერთი აქვს სამხრეთით და ერთიც – კარის ზემოთ, დასავლეთით. თალი გოდრულია. შემდეგ ამ სტოას მიშენებული აქვს ღია კამარებზე დამყარებული კარიბჭე: ამისი თალი აგურისა არის, ჯვარისებური. ორთავე ამ მინაშენის განის კედლებს კონტრფორსები ახლავს. სამხრეთ-დასავლეთის მხრით კარიბჭეს მიშენებული აქვს პატარა ეკლესია, რომელიც შეძერწილი ყოფილა ლამაზი ნათალის ქვებით და შემკობილი ჩუქურთმებით. ქვები მოუძარცვავთ; ზოგი მათგანი ჩატანებულია სხვადასხვა საოჯახო უშნო შენობებში ამ საზამთრო სადგურისა. შესავალი აქვს ეკლესიას ეზოდან ჩრდილოეთით, ფანჯრები თითო აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. აფსიდაში ორი პატარა უბეა. თალი ჩაქცეული ყოფილა, მაგრამ მცხოვრებთ მიწური ჭერით დაუბურავთ და ეკლესიის საბოსლედ გადაუქცევიათ. ჭერს შეყენებული აქვს შუაში ხის ბოძი ნათალ ქვაზე დამყარებული. ქვას ასომთავრული წარწერის ნაშთები ემჩნევა:

«... უძლე... / ორყ... / ო: მის /.: ა: ქავთ(არ):»

ეს შეიძლება საფლავის ქვის წარწერა იყოს.

კარის ჩარჩო ამ ეკლესიას ჰქონია შემკობილი ლამაზი ჩუქურთმებით ირგვლივ და გადაბმული ასომთავრული წარწერებით სამი მხრით. ეს ქვები მოუძარცვავთ და ჩაუტანებიათ ძირის კედელში ერთ უხეშად შეკოწიწებული საბძელისა ჩრდილოეთის მხრით ეკლესიისა. ორი წარწერიანი ქვა ჩვენ დიდის გაჭირვებით და ვაივაგლახით მაგნის საშუალებით ფოტოგრაფიულად გადმოვიღეთ. მესამეს, ვიწროს, ვერ მივუდექით, მაგრამ ადგილობრივად წავიკითხეთ. წარწერა ზოგ ადგილას გაფუჭებულია. საერთოდ წარწერა ასე იკითხება:

1. : ქ: ქართველთა: <sup>36</sup> და: აფხაზთა: მეფისა: დიმიტრის  
ასული[ისა]... [პატრონი]სა: რუსუდანისა: დაჯთვ<sup>-</sup>თ (?):

ყ...

2. და: მათითა: საფასოდთა: აღეშენ :

3. ეკოჯტერი: ესე: სახელსა: ზ<sup>-</sup>ა: ყ<sup>-</sup>დ წ<sup>-</sup>სა: ღ<sup>-</sup>თის: მშობლისასა: მოძღრბასა: შინა:  
უჩ...

4. გ<sup>-</sup>დმს: ძისა: ქორონიკონსა: ფკვ: ჳ[ელითა]... ა: ცხო...:

უქარაგმოდ:

1. ქ. ქართველთა და აფხაზთა მეფისა დიმიტრის ასულ(ისა)... (პატრონი)სა  
რუსუდანის დაუთავეთ (?) ყ(ოვლითა)

2. და მათითა საფასოდთა აღეშენა

---

<sup>36</sup> აქ და ბევრ ადგილას სამ-სამი წერტილი უზის, ჩვენ ორ-ორს ვტოვებთ.

3. ეკუტერი ესე სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისასა, მოძღურობასა შინა უჩ...
4. გოდერძის ძისა, ქრონიკონსა ფკვ, კელითა... ა ცხო...

ქორონიკონი უდრის 1306 წელს. აქ მოხსენებული დიმიტრის ასული რუსუდან არის მეფე დიმიტრი III (Hist. de la Géorgie, II, 1, p. 624). ამრიგად, ეს ეკლესია-ეკუტერი აშენებულია მე-14 საუკუნის დასაწყისში, მაშასადამე, წინა შენობანი დასავლეთის სტოა და კარიბჭე იმაზე წინა დროს ეკუთვნიან. ბოლო დროს, ალბათ იმავე მე-14 საუკუნეში, დასავლეთის მხრით აშენებულია ორსართულიანი სამრეკლო, ლამაზად ნათალი ქვებით შექმერწილი. ზემო ნაწილი რვაწახნაგოვანია, ქვემო სართული გაშლილი კამარით 1,28 საუენის სიგანით, ალაყაფის კარებად არის გამოყენებული ეზოში შესავალად. ამ სამრეკლოსაც ჩრდილოეთის მხრით მიშენებული აქვს პატარა ეკლესია ერთის ფანჯრით აფსიდაში და სამით დასავლეთის მხრით; კარი სამხრეთით აქვს. საკურთხეველში ორი პატარა უბე მოჩანს. ეკლესია უბრალო ქვითაა ნაშენი. გოდრული თაღი აგურით არის ამოყვანილი. ეს ეკლესია კარგად არის დაცული და ეხლა სათივედ არის გამოყენებული.

სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში სამრეკლოს ზემო სართულისა, ფანჯრებს შუა, კალატოზს გამოუხატავს თავისი თავი ქვაზე. ეს კაცია მოზრდილი წვერით ზის და ხელი გაუშვერია გასათლელი ქვისაკენ. ქვემოთ ქვისა წერაქვია გამოხატული, ზემოთ კიდევ მეორე სათლელი იარაღი და მას ლამაზი ასომთავრული წარწერა აქვს:

ქ ე შ ე გ ი (=ქრისტე შეიწყალე გიორგი).

ქვემოთ კიდევ ყოფილა რაღაც წარწერა, რომელიც ეხლა გადამლილია. შიგნით თავი ეკლესია სულ მოხატული ყოფილა კარგი სტილის ფრესკებით, რომლითაც მოცული ყოფილა კედლები, თაღები და სვეტები. ახლა ეს სულ მოშლილია, მაგრამ ნაშთები ყოველგან ეტყობა. გუმბათის ყელში წარმოდგენილნი ყოფილან წინასწარმეტყველები თავისი წარწერიანი გრაგნილებით და მიქაელ მთავარანგელოზი. შერჩენილია წარწერები:

აჰა	ჯრ	მიქაელ	
ესეთა	ენეს	დიდი	
ქლწლი	გ ნ ცხო	მთ	ძლითა
მიუდ	რბდ	ვართ	შნთა
გეს და	ხა	ანგე	
შვას ძე.	რიშნ.	ლ ზთაჲ	გ დთა.

საკურთხეველში მოჩანან წმიდა მამაები, ექვს-ექვსი ფანჯრის ორივე მხრით და ერთი წელსზევითი სურათი ანგელოზისა. აფრებზე ემჩნევა მახარობლები. სვეტებზე და კამარებზე ნაშთები სხვადასხვა წმიდათა, მეფეთა და წამებულთა, მაგრამ მთელად არც ერთი არ შენახულა. საკურთხეველის ორ ღრმა უბეში (გეგმაზე ერთია აღნიშნული) ემჩნევა ფრესკები, მარჯვენაში დაცულია იოანე ღვთისმეტყველი, დასავლეთის ფანჯრის ორივე მხარეს თითო ფიგურაა მთელის ტანით, იოაკიმე და ანა, იოაკიმეს სურათი გადმოღებულია; თვით ფანჯრის თაღში ანგელოზია. ამ ფანჯრის ქვემოთ მრგვალი სარკმელია.

ირგვლივ ვაჩი-ძორის თავი ეკლესიისა მრავალი შენობის ნანგრევებია. ამათში ერთი თაღიანი შენობა სამხრეთის მხრით არის სულ ახლოს ეკლესიასთან.

მეორე დიდი ოთხკუთხედი შენობა არის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრით. ეს უნდა ყოფილიყო საოსტიგნე (სასადილო სახლი). ამას აქვს შესავალი დასავლეთით

და სამ იარუსად განაწილებული ორ-ორი ფანჯარა სამხრეთით. ქვემოთ ორი ფანჯარა სარდაფს ეკუთვნის, რომლის შესავალი ეხლა აღარ მოჩანს. ზემო ნაწილი ამ შენობისა ეხლა გაყოფილია ხის ჭერით ორ სართულად. ზემო ნაწილი გადაქცეულია სათივედ და დახურულია ხით. თალი კარგი ხანია ჩაქცეულა.

ამ საოსტიგნეს და ტაძარს შუა მეორე თალიანი ქვის შენობაა, შეერთებული ერთთან და მეორესთან. შენობა თაღს ზემოთ დახურულია მიწით და ეს სახურავი იამვე დროს ბანად არის გამოყენებული. შენობა სალარო უნდა ყოფილიყო ძველ დროში.

სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით თავი ეკლესიის რამდენიმე შენობის ნაშთია. ყველაზე მნიშვნელოვანი არის დიდი ოთხკუთხედი მოგრძო შენობა, ეკლესია ერთაფსიდიანი, ხოლო თვით ორსართულიანი. ქვემო სართული აკლდამას წარმოადგენს... შენობას ორივე მხრით სიგრძეზე ერთობ გამოწეული პილასტრები აქვს მიშენებული და ამ პილასტრებზე კამარებია გადაყვანილი. შუა ნაწილში ერთ კამარაზე ბალკონია.

შენობას სამხრეთით აქვს შესავალი კარი და სამი ფანჯარა. ამ შენობაზე (ეტყობა შემდეგ დროში) მიშენებულია საკურთხეველი. ასე რომ, ჩვენი აზრით, შენობა წინეთ ეკლესია არ ყოფილა, ხოლო შემდეგ დროში გადაუქცევიათ ეკლესიად და მოუხატავთ ფრესკებით. ფრესკები საკმაოდ კარგად არის შენახული, ფერადებიც ნათლად მოჩანს, მაგრამ ისე ძველი არ არის, როგორც თავი ეკლესიისა; რიგი მათი და ფერადებიც სრულიად ისეთია, როგორიც ჩვენ ვიპოვნეთ 1902 წელს სოლომონ კალის მღვიმის ეკლესიაში და რომელიც ეკუთვნის მე-15 საუკუნეს, ათაბაგების დროს (იხ. XII ტომი მოსკოვის საზოგ. მატერიალებისა, გვ. 82-84). გარჩევა და გადმოღება ფრესკებისა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ამ შენობის შუა წელში ხის ჭერი იყო გაკეთებული ზემოდ დახურული მიწით, ერთი არშინის სიმაღლით. ამრიგად, ეკლესია ორ სართულად იყო გაყოფილი: ქვემო ნაწილი საბოსლედ იყო გამოყენებული და ზემოთი – სათივედ. ჩვენ დროს ეს სართული სულ თივით იყო გაჭედილი და დაცლა მისი შეუძლებელი გახდა, ვინაიდან პატრონი იქ არ იყო, ხოლო დასავლეთის კედელზე ზემო სართულში მოჩანდა ერთ ადგილას თავები წმიდათა ასომთავრული წარწერებით: «წ-ე ეფრემ ასოზრი, წ-ე საბა, სიმეონ მესვეტე» და სულ ზემოთ, მეფის სურათი გრავნილით, რომელზედაც ეწერა: «ნეტარ არს კაცი». ქვემო სართულში დასავლეთის კედელზე ჩვენ შევამჩნიეთ: «წ-ე დ-ე, წ-ე ევსტათე, წ-ე პროკლე» (ესენი გადაღებულია ფოტოგრაფიულად). ჩრდილოეთის კედელზე ზემო სართულისა განირჩეოდა თავები ფიგურებისა წარწერით: «...ალექსანდრიელი, ხალამპრი».

### **ვაჩი-ძორის მახლობლად მღვიმეში ნაპოვნი საბუთები**

ჩვენს ვაჩი-ძორის მისვლის წინა დღეებში ერთ მონადირეს ამ ნანგრევების მახლობლად კლდის წვერზე მოეკლა გარეული თხა. თხა ძირს აღარ ჩამოშვებულიყო, შუა ნაპრაღზე კლდისა დასცემოდა ერთი მღვიმის ამოშენებულ კედელს, ჩაენგრია შერყეული კედელი და ჩავარდნილიყო მღვიმეში. მონადირე ასულა ზევით თხის ჩამოსატანად და მღვიმეში უპოვნია მთელი შეკვრა საბუთებისა: ზოგი დამპალი იყო, ზოგი ნაწილობრივ გადარჩენილიყო და ზოგი – მთელად. მონადირემ საბუთები მიართვა უჩასტკის უფროსს, ფეოდორ ინჟავეტსკის, რომელიც ჩვენთან იყო. ჩვენ გვინდოდა წამოგვეღო საბუთები. ნაჩაღნიკიც მომხრე იყო. მაგრამ მეორე, ჩვენთან მყოფმან, ყარსის გუბერნატორის საგანგებო მოხელემ, სტეფან

ერმოლაევმა განაცხადა, რომ კანონით ნახული საბუთები ჯერ უნდა გადაეცეს გუბერნატორს და შემდეგ შეიძლება მათი ამა თუ იმ დაწესებულებაში წარდგენაო. სულ ექვსი საბუთია: ხუთი ქალაქიდან დაწერილი, ერთი ტყავზე, ორის მარტო თავია დარჩენილი, ოთხი სრულად არის დაცული. ყველა დაწერილია მხედრულის ხელით, ჩვენის აზრით, მე-15 საუკუნის პირველი ნახევრისა.

## I

პირველი საბუთი ფრიად საყურადღებოა. თქმა არ უნდა, ეს ეხება იმ მონასტერს, რომლის ახლოს ნაპოვნია და ამით ირკვევა, ამ ახლა ვანქად წოდებულის მონასტრის, ძველი სახელი **ვაჩი-ძორი** ანუ **ვაჩე-ძორი** (როგორც დავინახეთ, შატბერდის ხელნაწერის გადამწერი ვაჩემორელად არის მოხსენებული). შინაარსით საბუთი წარმოადგენს დადგენილებას ვაჩი-ძორის მონასტრის მოძღვარ კანდელაკის და საერთოდ, კრებულისა. ამ დადგენილებიდან ვცნობილობთ: მოძღვარ კანდელაკს და კრებულს უთხოვიათ ერისთავთერისთავისა და მეჭურჭლეთუხუცესის ზაზა ფანასკერტელისათვის, რათა მას მონასტერი ვაჩი-ძორი გაენთავისუფლებია სამონასტრო გადასახადის **ალავისაგან**. ზაზას თხოვნა შეუწყნარებია და მათთვის მიუცია გუჯარი «თავსა და ბოლოს ფიცით», რომ ერთი **ტეზოლის** ალავთა მეტი ალავი მათ არ ეთხოვებოდეს. კრებულს სანუქფოდ გაუჩენია ექვსი წირვა დღესასწაულთა დღეს წელიწადში ზაზასათვის. ფრიად საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. კრებული პირობას იძლევა, თუ ერისთავმა შემდეგში რაიმე ახალი გადასახადი შემოიღო, ისინი ვალდებული არიან ეს გადასახადი შეკრიბონ და ერისთავს დროზე წარუდგინონ და ალავის აღმოფხვრა ამ ახალ გადასახედზე უარის სათქმელად არ გამოიყენონ. თვით ტერმინი **ალავი** არსად სხვა საბუთებში ჯერ ჩვენ არ შეგვხვებდრია. ალბათ, ეს სამონასტრო გადასახადი მარტო ტაოში იყო შემოდებული. ამ ტერმინიდან უნდა იყოს ნაწარმოები ჩვენში დარჩენილი გვარი **ალავიძე**. ალავიძენი, სხვათა შორის, ლეჩხუმში ცხოვრობენ. ჩვენი საბუთი პირია იმ დადგენილებისა, რომელიც მონასტრის კრებულს ზაზასათვის მიუერთმევია.

ამ ზაზა ფანასკერტელის ასული უნდა იყოს სითიხათუნ, ვახტანგ IV ცოლი (1444), დასაფლავებული ბანას. იქვეა დასაფლავებული ვახტანგ IV-ც 1445 წელს. ჩვენი საბუთი და სხვა ამას ქვემოთ მოყვანილი წერილებიც მე-15 საუკუნის პირველ ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს. ამას ეთანხმება მხედრული ხელის ხასიათიც წერისა. XV საუკუნის მეორე ნახევარში, დაახლოებით 1465 წელს, ზაზა უკვე ფანასკერტიდან გადმოსახლდა ქართლში და გახდა მამამთავარი ციციშვილთა გვარეულობისა (ქართ. ცხ. II, გვ. 154). ის დახატულია ყინწვისის ეკლესიის დასავლეთის მხრის ეკვტერში, რომელიც მას მიუშენებია და მოუხატავს. წინეთ ის მთელის ტანით ყოფილა დახატული, მაგრამ როდესაც მე გავმინჯე, ფრესკის მარტო წელსზევითი ნაწილი იყო დარჩენილი. მოგვყავს აქ ეს პირველი საბუთი:

ქ: თქუნ: პატრონთა: ნათელსა: და თქუნთა: შვილთა: მეჭურჭლეთა; უხუცეს: ერისთავთა: ერისთავსა: ფანასკერტელს: ზაზასა: და თქუნსა: ძმასა: ციცის: კადრეთ: ესე: წიგნი: და პირი: მტკიცე: მიზეზე შემოუღებელი: კადრე: და

მოგაკსენეთ: ჩუენ: ვაჩი ძორისა<sup>37</sup> მოძღვრმან: კანდელაკმან: და ერთსულობით: კრებულმან:

მოვედით: კართა: ზედა: ვიჩივლეთ: რომე: რაცა: დროსთა ნაცა: სათხოარი: შემოვიდის: მონასტრისა: შესავალშინა: ალავთა: ამოსა წყუედლად: დაგსხონან:<sup>38</sup>

მოიკლეთ: რომე: ვერა: ამოვიდოდით: დიდი: მისჭირდის: ალავთაგან: ქუეყანას მოიკლეთ: და შეგუიწყალეთ: თქუენად: სამლოცველოდ: და ალავისა: მოსდა:

ამოგუიგდეთ: რომე

ერთ: ტეზოლისა: ალავთა მეტი: ალავი: არა: შემოვიდეს: რაცა: ქუეყანასა: უკანა: სათხოარი: იყოს: რასთანაცა: მისა: წიგნსა გუიბოძებდეთ

ვინცა: მოძღვრად: ვიყნეთ: და მონასტერსა: ჩუენ: მოვკრეფდეთ: ჟამიერად

ქუეყანას: უკანა: მოგაკსენებდეთ: დაუყონებლად: რომე: არა: შეგეცილნეთ: რაც კართა: ზედა: თქუენითა ნებითა: არა: გუირვთ:<sup>39</sup> და გუიბედნეთ: საურავითა:

თქუენითა: საპირნოყედ: სხუა: არად: დაგიყოვნოთ: ჟამიერად: მოგაკსენოთ: რასთანაცა: ისი: პირი: სათხოარი: იყოს: არა: მიზეზისხუა: არად: დაგიყოვნოთ:

ჟამიერად: მოგაკსენოთ: რასთანაცა: ისი: პირი: სათხოარი: იყოს: არა: მიზეზი: შემოვიდოთ: უ(ა)ლაობითა: დაკლებული: არა ვქნათ: თუ: ესე: პირი: და წიგნი:

არა: გავათავოთ: თქუენ: პირადნი: უბრალონი: იყუნეთ: და ჩუენ: ვიყუნეთ: ამა: ფიცისა: და პირისა: გამტეხელი: ამისი: სიმტკიცე: თავსა: და ბოლოსა: თქვენ:

უკუ(ე)ფიცით: ექსი: წირვა: დღესასწაულთა: თავად: გარიგონ: ჩუენთა: შემდეგო მთა: საუკუნოდ: ზაზასათუის:

## II

მეორე საბუთი წერილია, როგორც ეტყობა, ერისთავის, ზაზა ფანასკერტელის კარის კაცისა ანტონისა ვაჩიძორის მონასტრის მოძღვრის აბრაამისადმი მიწერილი. ის აფრთხილებს აბრაამს, თუ თავისთვის ავი საქმე არ უნდა, ზაზას უნახავადაც ციცი არ ინახულოს. ზაზას ის ამოურჩევია შუა კაცად მის და მისი ძმის ციცის შორის. ეტყობა, ძმათა შორის რაღაც დავა ან უსიამოვნება ყოფილა. ცხადია, ვაჩიძორის მოძღვრის ავტორიტეტი დიდი ყოფილა, რადგან ერისთავი ზაზა მხოლოდ მას ირჩევს შუაკაცად და სხვა კაცი არ უნდა შუა შემოიყვანოს. ტექსტში ზოგიერთ სიტყვას უზის სრულიად ზედმეტი შემოკლების ნიშანი:

: ქ: მ იწა: წმიდათა: მადლთა: თქუ ნთა:  
შემთხუვის: მონასტრი: ანტონი: გრძლად:  
კადრებითა: არ: დაგრჯი: მოძღუარის: აბრა  
მის: მადლმან: ჩე შგან: არ გეკადრების: მოკსე  
ნება: და სხუად: ეზომს: მოგაკსენებ: რომე: თ უ:  
ანუ: პატრონი: ზაზა: არ მოგიმდურვებია: და  
ა ნუ: შენის: თავის: ჰავი: არ გინა: პატრონი  
სა: ზაზას: უნახავად: ციცის: ნუ: ჰნახავთ: აქა:  
მოუქსენებია: და ნუღარას: დაიყოვნი: წამო  
დით: შენითა: პირითა: ეპრიანების: პატ

<sup>21</sup> ესე იგი: გვიურვოთ.

<sup>37</sup> წინათ წერებულა «ვაჩისძორისა», მაგრამ შემდეგ ს წაუშლიათ.

<sup>38</sup> დაგსხნან (?)

<sup>39</sup> ესე იგი: გვიურვოთ.



რონს: ზაზას: ციცის:  
საუბარი: და უთქუნს:  
კაცს: არ შემოიყვანს: შუა:  
და წამოუვალობას: ნუ  
იქთ: სხუას: ნუვის: მოუცდი: შენ: წინათ: გა  
მოისწრაფე: და დღე: და ღამე: წამოდი: საქმე:  
აქეთ: არის: ნულარ სდგა: წამოდი:

### III

მესამე საბუთი წარმოადგენს წერილის პირს, რომელიც მიუწერიათ ალბათ ვაჩიძორის მოძღვარს დავითს და ჯურელს (ჯვარის მონასტრის ყოფილ ბერს) ბართლომეს ყოფილის (უნდა ვიფიქროთ) ქრისტეს საფლავის ბერის პატრონის ნიკოლოზისათვის. ნიკოლოზი, როგორც ეტყობა, ყოფილა ვაჩიძორის მონასტერში, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო წასულა და ხავაღს (ალბათ აქაც მონასტერი იყო) დამდგარა. წერილის ავტორებს მასთან გაუგზავნიათ მისი გამზრდელი ბერი და სთხოვეს უკან დაბრუნდეს და მათთან იღვაწოს ამ წმიდა სტეფანეს (ვაჩიძორის) მონასტერში. ამავე დროს რაღაც პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად მას უთმობენ მამულს ნამორეთს. ხავალი უნდა უდრიდეს ახლანდელ ხუვახს ხუთვერსიანი რუკისა, სათათრეთში, ყოფილი საზღვრის მახლობლად, მთის დათქალაბაშის ძირში, სამხრეთ-დასავლით ანზავისა.

ქ.: პატიოსნისა: ცხოველს:.. მყოფელის:.. ქრისტეს:.. საფლავისა: მადლითა:.. შექ  
ურვილო:.. პატრონო:.. ნიკოლოზ:.. თქუნნი:.. მიწანი: და: აწვე: წიწნაშებისა: მო  
ნტრენი:.. მოძრი: დავით:.. ჯურელი:.. ბართლომე:.. მოგაცსენებთ:  
თქუნმან: მადლ  
მან: არ: გეკადრებოდა:.. რომელ:.. ჩუენი:.. უნახავი: წახუე: აწ: და: ვინათგან  
ღთი: გუწყალობს:.. და:.. მანდა:.. ხავაღს:.. ხარ:.. პირველი:.. თქუენი:.. გა  
მზრდელი:.. წამოვიდა: თქნსა:.. წწნაშე:.. და:.. ჩუენ:.. ნამორეთი:.. მოგუი  
ცსენებია:.. თქუნსა: გამზრდელს:.. ნუ: გაბედითებთ: ესეთთა:.. ჟამთა  
შიად:.. მერმე: ამა: წმიდასა: სტეფანეს  
ნუ: მოეშორები:.. ესეცა:.. დიდი: ღუ  
აწლია:.. რომელ: ამა: მონსტერსა  
და: ეკლესიასა: იღუწიდე:.. საღმრ  
თოთა: საქმეთა: მიერი:.. კულა:.. იგივე  
მოგაცსენოთ:.. ჰავნი: ჟამნია: და: ამაზე: ვითარ: ერდგან:.. ვილუაწნეთ(?)  
ნებითა: ღთისათა: შევიგნეთ: თუ: რასა: მშვიდობასა: მოგვივლენ  
ს: ღთი: და: ესე: წიდა: სტეფანე: ბორჭისა: კიდე: მოეშალა  
თქუენი: მიზეზი: ესე თუა: აჰა:  
თქუენ მამული:..

### IV

მეოთხე საბუთი წერილია საბასი, ვაჩიძორის მოძღვრისა პატრონ ნიკოლოზთან, ალბათ იმავე პირთან, რომელიც მოხსენებულია წინა წერილში, მაგრამ, სამწუხაროდ, წერილის მარტო თავია დაცული.

ქ: ღ თო: ჩემო პატრონო: და სულისა: ჩემ  
მისა: იმედო: ნიკოლოზ: მიწასა: და  
ღირსთა ოდნად: თქუნთა: ლოცვათა: სმენისა:<sup>40</sup> მო  
ნატრესა: საბასა<sup>41</sup>: ნეტარძი: თუ აწ  
ცა უმიზეზონი: სუფევთ: მე ვითა: თქუნთა: მად  
ლთა: ნატრა. მმართვებს: აგრე: მომინდო  
მია: და მენატრების: თქუნთა: მადლთა: შემთ  
ხუვა: მერმე: გრძლად: მოკსენებთა: ვე  
ღარას: ვიკადრებ: სულამდი: ველარა  
ს: ვიკადრებ<sup>42</sup> რას: ამა: წინასთუისცა: მომიკსენე  
ბია: რთულითა: განაღამცა: წინაშე ვითა  
თუ სულნი: გამიძლებენ: მე რომ თქუნსა: ნახვა  
სა: ველირსო: განაღამცა: მაშინ: ნეტარძი...

## V

მეხუთე საბუთი ეტყობა ნასყიდობის წიგნია, მაგრამ შესავალია დაცული, სხვა  
აკლია; წიგნის მიმცემია თევდორაძე ლომინა.

ს ხლითა. ღ თის. მამისა: ძისა: სოლისა. წმდ  
სა: მოხებითა. ყლდ: წმინდისა. დედოფლის [ჩუ  
ნი]ს: ღ თის. მშობლის: მარიამისითა: ძლიერებ  
[ითა] ცხოველს: მყოფლის. ჯოარის. რომელს  
[ზე]და: განპყრნილი: იქმნ [უკრწნელნი] მკ  
ლავნი: თსნი: ჯსნის. და ცხორებისა [ჩუ  
ენი]სა: დევლთა: წმნდათა: რომელნი  
[საუკ]უნითგან: სათნო: ეყვნს: უფ ლს ჩ ნს  
[სა] ქრისტეს: მე: თევდორასაძეს ლომინას: ...

## VI

მეექვსე საბუთი არის ნასყიდობის წიგნი ტყავზე დაწერილი მოსხო  
მხედრულის ხელით მე-15–16 საუკუნისა. ეს საბუთიც გადმოვიღეთ  
ფოტოგრაფიულად, მაგრამ მქრქალად გამოვიდა, ვინაიდან ტყავი გაყვითლებული  
იყო, და ამიტომ სურათი არ მოგვეყავს აქ. საბუთი საყურადღებოა ორი სოფლის  
სახელის გამოსარკვევად ვაჩი-ძორის მახლობლად. ეს არის **პარგრძორი**, რომელიც  
უნდა უდრიდეს ეხლანდელ პარისორს ვაჩი-ძორის სამხრეთით, ხოლო **ორისა** უნდა  
იყოს ეხლანდელი **ორი** ვაჩი-ძორის ჩრდილო-აღმოსავლეთით. პარგრძორის წყალი,  
ღელე ერთვის სალაჩურის წყალს.

ქ. ღთსა: და: ყოველთა: წთა: მისთა:  
შუამდგომლობითა: და წისა: პირველ:  
მოწამის: სტეფანესთა: დაგიწერეთ:  
დაწერილი: ესე: მტკიცე და: უქცეველი:  
ჩუენ პარგრძორელთა მა... ან:<sup>43</sup> ვარ  
დაკმან: ონოფრე: და: ბასილმან: და ჩ

<sup>40</sup> ნამდვილში: სმენი: სა.

<sup>41</sup> ეს სიტყვა ორჯერ ყოფილა დაწერილი, მაგრამ პირველი წაშლილია.

<sup>42</sup> ნამდვილში: ვიკადრებ:ბ.

<sup>43</sup> ამ სიტყვის შუაში ტყავზე ეხლა ნახვრეტია.

უენტა: შვილთა: და: შვილისა: შვილთა:  
და მოგყიდეთ: ჩუენი: ყანა: პარგრძორის  
წყლის: აქათი: ორისისაკე: შენ: ანდ  
რიკის ძესა: გიორგისა: და შენსა შვილსა:  
და ყოველთა: სახლისა: შენისა: მომავალთა:

ავიდეთ: სრული: ფასი: და: შევსჯერ  
დით: გისურნეს (?) ღ-მნ: და წ-მან:  
სტეფანე: მოწმენი: თავად: ღ-თი: კაცთაგან:  
ჭახურალი: აკაკი: და მისი: ძმის წული:  
გიორგი: ტუმლელ მაჭჩი: (?) მიხაელ:  
მოსე: ჩუენტა: ნებითა: და წ-მითა:  
გულითა: მოგვიცემია: ვინცა: ვინ:  
ამ: წერილისა: მშლელად: გამოჩნდეს:  
ჰრისხავსმცა: მამა: ღ-მრთი: სული: წმიდა:  
და ყოველნი: წ-ნი: მისნი:

## ტაოსკარი

ძველ ისტორიულ სახელს ამ ქვეყნისასა ტაო-ს, რომელიც ცნობილია ქსენოფონტეს აღწერილობით მეოთხე საუკუნედან ქრისტეს წინ, ახლა მოგვაგონებს ხოლმე მარტო ამ დაბის სახელი, ტაოსკარი. ეს სახელი ზედ გამოჭრილია ამ ადგილისათვის, ვინაიდან ტაოში ვიწრო კლდოვან გამოსავალს მდინარისა თუ ხევის კარს უწოდებენ. მაგალითდ, ნარიმანის კარი, კისხას კარი (ეხლა კისხა-ტაპუ) თორთუმის მახლობლად და სხვა. ტაოსკარი გაშენებულია ერთობ ფართო დაბლობში ანუ ქვაბულში, იქ, სადაც ტაოსკარის წყალი ერთვის სალუჩურის წყალს. ეს ქვაბური ყოველი მხრით შემოზღუდულია მაღალი კლდოვანი მთებით და აქ იყრიან თავს, გარდა სალაჩურის და ტაოსკარის ხევებისა, კიდევ სხვა ხუთი პატარა ხევი. მთელი ეს ჩაღრმავებული ფართო ხევი ტაოსკარისა მოცულია ბაღნარით და ბაღები გაგრძელებულია მარცხენა ნაპირზე სალაჩურის წყალისა ოთხს ვერსზე. ბაღების ბოლოში, ასი საჟენის სიშორით წყლის ნაპირისა, ფრიად დიდი მღვიმეა. აღმოსავლით ტაოსკარისა, ყოფილ ოსმალეთის საზღვარზე, ზეკარია (უღელტეხილი), რომელსაც ჰქვია **ჭიშკარი**. ამას ზემოდ მეორე ზეკარია და სახელ დევს **საჩინო**. როგორც ვხედავთ, ქართული სახელები აქ ყოველთვის დავიწყებული არ არის. ოლთისის წყლის შესართავთან სალაჩურის წყალის ნაპირები ფართოვდება და ხეობა აქ უფრო ვრცლად იშლება, ვიდრე ამას ვხედავთ ქალაქ ოლთისის და ბანას შორის. მახლობლად სალაჩურის წყლის შესართავისა სოფელ **კრანში** დიდი ციხეა.

ტაოსკარში ჩემს დროს იყო სადგური, „პოსტი“ საზღვართა დამცველი გუშაგებისა. მოსახლეობას შეადგენდა უმთავრესად გამაჰმადიანებული ქართველები, 100 კომლამდის. ადგილობრივი ბეგი ხიმშიაშვილი იყო, დარვიშ-ბეგი. ხიმშიაშვილების მიერ არის აშენებული ტაოსკარის ჯამე 1072 წელს გიჯრისა. ქვის ოთხკუთხედი შენობაა ოლთისის ჯამეს გეგმისა, მაგრამ არა ისე ლამაზი და შემკობილი. ხოლო მისი ხის მიმბეთი და კათედრაც ლამაზად მოხარატებულია. მის ახლოს ძველი აბანოს შენობა არის, ახლა დაქცეული. ზემო ნაწილში დაბისა, ლამაზ ბაღნარში, დაცულია ორი ძველი ქართული ეკლესიის ნანგრევი. უმთავრესი მათ შორის ეკუთვნის მრგვალი რიგის ეკლესიის ტიპს; გეგმა მისი მეტად ორიგინალურია და მასთან ერთობ ლამაზი. განმეორება ამისა არ მოიპოვება არც ჭოროხის ბასეინში, არც სხვა ადგილას საქართველოში; ის ფრიად თავისებური

უნიკუმი. კორპუსი ეკლესიისა ეხლა სანახევროდ მიწაშია ჩასმული; შენობა დიდად დაზარალებულია. შიგნით და გარეთ შეძერწილია ლამაზად ნათალი არა დიდრონი ქვებით, რომელნიც ეხლა უმეტეს შემთხვევაში მოძარცვულია. გუმბათის ყელიდან აღმოსავლეთის ნაწილია დარჩენილი, ერთი ფანჯრითურთ. ეს და სხვა ნაშთები იძლევა საშუალებას ტაძრის საზოგადო სახის აღდგენისა, რაც შეასრულა ინჟინერმა ა. კალგინმა.

შინაგანი გეგმა ტაძრისა რვაბოლოიან ვარსკვლავს მოგვაგონებს; გარედან ის გამოდის თექვსმეტწახნაგოვნად. რვა მოგრძო ბურჯი, რომლებიც შეადგენენ კარდინალურ ფუძეს მთელი შენობისა, იწყებიან კედლებიდან და ცენტრისაკენ თანდათანობით ვიწროვდებიან და თავდებიან სამი-მეოთხედის სვეტებით, რომლებზედაც დამყარებულია ფართო გუმბათი თავისი გუმბათის ყელით. ამ ბურჯებთა შორის რვა განიერი ოთხკუთხოვანი სენაკია მოთავსებული, გოდრული თაღით გადახურული. ესენი მოგვაგონებენ რამდენიმედ გოთურ-რომანულ ტაძრთა კაპელებს. განი სენაკისა 1,13 საჟენია, სიღრმე – 1,30 საჟ., ხოლო სიმაღლე 3,40 საჟ. გარედან თითოეული ბურჯის სიღრმეში სამკუთხიანი უბეა, რომლის მხარეები 0,72 საჟენს უდრის; შიგნით ეკლესია გეგმით რვაკუთხედიან; დიამეტრი სიმრგვალისა, რვაკუთხედში შეძერწილისა, უდრის 4,40. საჟენს. შუა ნაწილი ტაძრისა დახურულია გუმბათოვანი თაღით; შინაგანი რვაკუთხედი გუმბათის ყელზე გადადის ორი წინგამოწეული, ერთი მეორეზე დადგმული, პატარა კამარების საშუალებით. შინაგანი სიმაღლე ეკლესიისა, შუა ნაწილისა უდრის 7,30 საჟენს. ყოველ სენაკში თითო ფანჯარაა, ხოლო გუმბათის ყელში – ოთხი. აღმოსავლეთის სენაკი საკურთხევლად არის გამოყენებული და მას ორივე მხრით თან ახლავს ბურჯების სისქეში გამოკვეთილი ღრმა უბეები, განით 0,45 საჟ., რომლებიც აღმოსავლეთის მხრით გამოდიან გარეთ პატარა მრგვალი ლამაზი სარკმლებით. ეს უბეები სამკვეთლოს და სალაროს შემცველნი არიან თუ არ რეალურად, სიმბოლურად მაინც. აღმოსავლეთის ფასადის კლიშე დამზადებული იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ალბომში არ შეუტანიათ და ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას ის აქ ვუჩვენოთ. შესავალი აქვს ტაძარს დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. ირგვლივ ტაძარს უვლის ორსაფეხურიანი ზეძირკველი; ამაზეა დამყარებული თექვსმეტკუთხიანი პრიზმა, რომლის სიგანე უდრის 8,06 საჟენს. ეს პრიზმა თავმოკვეთილი თექვსმეტწახნაგოვანი პირამიდით გადადის მეორე 4,53 საჟენიან პრიზმაზე. სიმაღლე პირველი პრიზმის კედლისა უდრის 3,17 საჟენს, მეორესი გამოურკვეველია, ვინაიდან ლავარდანი (კარნიზი) დაცული არ არის. საზოგადო სახე ამ საუცხოო სახუროთმოძღვრო ნაშთისა მავზოლეუმს მოგვაგონებს. შინაგანი შემკობილობა ეხლა აღარა ჩანს, მაგრამ დ. ბაქრაძე, რომელმაც ეს ნანგრევები ინახულა 1881 წელს, ამბობს, რომ გუმბათის ყელის ძირში მოჩანდა ფრესკებიდან ფეხები წმიდანებისაო (იხ. მისი დღიური წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავში). ეტყობა, მის დროს ნანგრევები შედარებით უკეთ ყოფილა დაცული.

ძველი აშენებული უნდა იყოს მე-9 საუკუნეში. ყოველ შემთხვევაში, ის მეათე საუკუნის პირველი ნახევრის უგვიანესი არ არის.

აღმოსავლეთის სახე ეკლესიისა, როგორც აღვნიშნეთ, ალბომში არ შეუტანიათ, მაგრამ ის ხუროთმოძღვრების გამოფენის კატალოგში არის ნაჩვენები 126-ე ნომრით, რომელიც თბილისში დაიბეჭდა 1920 წელს. სამხრეთით ამ თავი ეკლესიისა მოიპოვება ნანგრევები მეორე მოზრდილი ეკლესიისა, რომელიც შეძერწილი ყოფილა ისეთი თლილის ქვებით, როგორც თავი ეკლესია, მაგრამ ამ შენობის მარტო საძირკველი მოჩანს სრულად და ნაწილი კედლებისა. გეგმა მისი

წაგრძელებული ოთხკუთხედი, განიერი დასავლეთის ნახევარში და უფრო ვიწრო აღმოსავლეთის მხარეს, რომელიც აფსიდით თავდება. აფსიდაში ერთი ფანჯარაა, მეორე მოჩანს სამხრეთის ნაწილში, დასავლეთის მხარეს.

ტაოსკარის ხეობაში შესავალთან ჩვენს დროს დაცარიელებულ სოფელში ალბათ მცხოვრებნი საზაფხულოდ მთაში იყვნენ გახიზნულნი, ჩვენ ვნახეთ კიდევ ერთი ჩვეულებრივი რიგის ეკლესია უბრალო ქვისაგან ნაშენი, მაგრამ კარგად შენახული. შესავალი აქვს დასავლეთით, ფანჯრები თითო აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. სამხრეთის მხრით ეკვტერი აქვს მიშენებული, კარგად დაცული. შიგნით კედლები ფრესკებით ყოფილა მოცული. ნაშთები საკმაოდ მოჩანს საკურთხეველში, სამხრეთის კედელსა და თაღებზე. აქ კედლებზე მრავალ ადგილას მხედრული წარწერები მოჩანს, უმეტეს შემთხვევაში გაფუჭებული. ერთ ადგილას იკითხება მე-14–15 საუკუნის მხედრულით:

ქ. ამისა დამწ[ერელსა] ცოდვილსა დავითს შეუნდნეს. მისა მეუღლესა...  
მეორე ადგილას: «მარკოზს შ ს ღმერთმა».

### ფანასკერტი

ტაოსკარიდან დავბრუნდით ოლორში, გამოვიარეთ სოფელი კიახი, სადაც ცხოვრობენ 12 კომლი მაჰმადიანი ქართველები. აქ ყოფილა პატარა ჩვეულებრივი რიგის ეკლესია, ახლა მარტო საძირკველი მოჩანს. მეორე სოფელი გზაზე ოლორისაკენ არკუნისი იყო. აქ დაკბილულ მაღალ კლდეზე მოჩანს ნანგრევები ციხისა. მის ქვემოთ ადგილის სახელი კალადიბია. აქედან მივედით ფანასკერტში, რომელიც შესდგება ორი სოფლისაგან, ზემო და ქვემო ფანასკერტისაგან. ეს იყო სამყოფი ერისთავთ ფანასკერტელებისა; აქ მოველოდით ნახვას მრავალი სიძველენისა, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. არათუ ეკლესიები, ისტორიაში კარგად ცნობილი, შესანიშნავი ციხეც სულ განადგურებულია; ქვები ძველი ეკლესიებისა და ციხისა მცხოვრებთ გამოუყენებიათ ჯამეების და სახლების ასაშენებლად. ერთის სახლის კედელში ჩატანებულ ლამაზად ნათალ ქვაზედ დიდრონის ასომთავრულით ნაშთია ოთხსტრიქონიანი გადასული წარწერისა:

... ა ... /ღ სახბლს/ ... სა სუბატ/: ისათს ესად/ :::

მეორე და მესამე სტრიქონში უნდა იკითხებოდეს: «სუმბათისათჳს ერისთავისა» (?).

ასოების ხასიათის მიხედვით, წარწერა არა უგვიანეს მე-9, მე-10 საუკუნისაა.

ორი ეკლესიის ნანგრევებიდან მარტო საძირკველის ქვები მოჩანს აქა-იქ. მესამე ეკლესიიდან ჩვეულებრივი რიგისა დარჩენილია მხოლოდ დასავლეთის კედელი კარით და ჩრდილოეთის ერთი ფანჯრით, აგრეთვე მცირე ნაწილი აფსიდისა. ეკლესია შემერწილი ყოფილა თლილის ქვით და შიგნით მოხატული.

ახალი ჯამეს შესავალთან ამართულია ორი ქვის სვეტი: ერთი წახნაგოვანია; მეორეზე, მთელს სიმაღლეზე, გამოქანდაკებულია ჯვარი. ამბობენ, ეს უკანასკნელი მოტანილია სოფელ ოგდადაბიდანო. ორივე სვეტი სასაფლაოს ძეგლებს უნდა წარმოადგენდეს.

ამ ჯამეს ქვემოთ ყოფილა კიდევ ეკლესია, რომელიც ახლა თითქმის სულ მიწასთან გასწორებულია.

უკეთ დაცულია ნაწილები სომხური ეკლესიისა, რომელიც ჯამედ გადაუკეთებიათ და დასავლეთის მხრით თავლა მიუშენებიათ. ძველი ეკლესიიდან დარჩენილია მთელი დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლები. როგორც ეტყობა,

ტამარი სამაფსიდიანი ყოფილა, უბრალო ქვით ნაშენი, მაგრამ კამარები და კარები სარე თლილი ქვის არის. პატარა ფანჯრები მრგვალი თუ მომრგვალო ერთიან ქვებშია გამოჭრილი. ჯამეს კუთხეში აღმოსავლეთით ერთ ქვაზე ოთხსტრიქონიანი სომხური წარწერა იყო, რომელიც ჩვენ ფოტოგრაფიულად გადმოვიღეთ და განსვენებულ ნ. მარსს გავუგზავნეთ დასავლეთის კედელში მოჩანს ქვაზე სომხური ჯვარი, ხაჩკარი, წარწერით. ჯამე თავისთავად არაფერს საინტერესოს არ წარმოადგენს.

ეხლა ფანასკერტი დიდი სოფელია, გაშენებული მომაღლოდ, ორ წყალთა შორის, ფანასკერტის წყლის და კაპის წყლის (ფანასკერტ-სუ და კაპ-სუ). კაპ-სუს მეორე სახელია ალაბულახ-სუ, ესე იგი კალმახის წყალი. ციხის ნანგრევების ქვემოდ, ფანასკერტში რკინის წყალია, უფრო დიდი წყარო რკინის წყალისა არის კიდევ სამი ვერსის სიშორეზე ფანასკერტიდან. ფანასკერტში მცხოვრებნი ქართველი მუსულმანებია 150 კომლი.

### ხოშევანქი

ხოშევანქში ჩვენ მივედით **ნორპეტიდან**, რომელიც გაშენებულია ორივე ნაპირას ოლთისის წყალისა, ბაღებში. ნორპეტის ეკლესია ჩვეულებრივი რიგისა სულ მიწასთან იყო გასწორებული. ხოშევანქი, სამს ვერსზე ნორპედიტან, პატარა ხეობაშია გაშენებული. ძველი ეკლესია აქ უკეთ არის დაცული. აღმოსავლეთის ნაწილი, აფსიდა თალითურთ და ერთის ფანჯრით მთელად არის შენახული; აგრეთვე ჩრდილოეთის კედელი და ნაწილი სამხრეთისა, სამხრეთით ეკვტერი ჰქონია, ახლა დანგრეული, ნაშენია ზერელე ნათალის ქვით.

ნორპეტის ქვემოდ, ოლთისის წყლის მარჯვენა ნაპირზე, დიდი ველია და აქ ეტყობა ძველი დროის ნაქალაქევი. ერთი ადგილის კლდის ძირში მოჩანს ეკლესიის ნანგრევები, რომელიც შეძერწილი ყოფილა ნათალის ქვით, მაგრამ ეხლა სულ განადგურებულია. ადგილის სახელია **ახშეერ** (თეთრი ქალაქი), ხოლო ეკლესიის ნანგრევებს ემახიან **ხუდლი-პუნარ** (რძის წყარო). აქ მართლა პატარა წყარო გამოდის, სადაც რძენაკლული ქალები მოდიან, სვამენ და მათი თქმით, ყოველთვის რძე ემატებათ.

### კარნავაზი

კარნავაზი გაშენებულია მაღალ ადგილზე, კარნავაზის წყლის პირად, რომელიც ერთვის ოლთისის წყალს მარცხნით. შესართავიდან კარნავაზის სოფლამდე მაღალი ხეობა ოთხ ვერსზე სულ ბაღნარით არის მოცული. კარნავაზში დავაკებულ კლდის თავზე ყოფილა ციხე-კოშკი, რომელიც ეხლა სულ მინგრეულ-მონგრეულია. ამის ქვემოდ სასახლეა ბეგის ხიმშიაშვილისა, ეხლა ძალზე შერყეული და ნაწილობრივ შენახული. სასახლე თათრულ-სპარსულ ყაიდაზეა აშენებული და შემკობილი ჩუქურთმით და ფერადოვანი მხატვრობით შიგნით. წინათ სულ ყოფილა 27 ოთახი; ეხლა დარჩენილია მხოლოდ ერთი დიდი ზალა, ხისაგან ნაშენი; ქვემო სართული ქვისაა. გეგმა ზალისა და დეტალები მორთულობისა. კედლები ნაშენია ხით და ქვით, ერთმანეთში არეულით; ქვები ჩაწყობილია ხის ჩარჩოებში და შემდეგ შიგნით და გარედ შეგლესილია. ყოველ მხრით შიგნით კედლებზე ნარებია მიშენებული, ჭერი ხისა ჭრილია ჩუქურთმით და შემდეგ ოქროს ფერად შემკობილი; მხატვრობა კედლებისა უმეტეს შემთხვევაში წარმოგვიდგენს ვაზებს ყვავილებით და

თაიგულებს, მცენარეთა ბუჩქებს და სხვადასხვა ხილთა ნაყოფს. მხატვრობა ფრიად ფერადოვანია. კარები და ფანჯრები ჭრილია ჩუქურთმით ისეთივე ყაიდისა, როგორც ჯამეებში. დახურულია კრამიტით. სახლი აშენებულია 1249 წელს გიჯრისა ყორ-უსეინ-ბეგ ხიმშიაშვილის მიერ.

როგორც ჩვენმა მასპინძელმა ხიმშიაშვილმა გადმოგვცა, მათი შთამომავლობა ასეთი ყოფილა: აბდულ-ბეგი, ამისი შვილი, სელიმ-ფაშა ახალციხელი, რომელსაც ოთხი შვილი ჰყოლია: ამ სახლის მამულებელი უსეინ-ბეგი ანზაველი, ახმედ-ფაშა აჭარელ (მამა შერიბეგისა), აბდი-ბეგი შავშეთელი, დურსუნ-ბეგი ტაოსკარელი (მამა დევრიშ-ბეგისა, რომელიც ჩვენ ვნახეთ ტაოსკარში). ამ სასახლის მახლობლად ჯამეა უბრალო, ინტერესს მოკლებული. მინარეთი ხისა აქვს, ზემოთ თეთრი „ქესტით“ კონუსისებურად გადახურული.

## უკიამი

კარნავაზიდან ჩავეშვით ოლთისის წყლის პირზე, გავიარეთ სოფელი სევექარი, სადაც ცხოვრობენ ქურთები და მათ გვერდით 12 მოსახლე ციგანი, რომელნიც აქ მებაღეობას მისდევენ. აქედან მივედით უკიამში, რომელიც გაშენებულია ოლთისის წყლის ორივე ნაპირზე. აქ რამდენიმე ეკლესია ყოფილა. მათ შორის უკეთ დაცულია ორი. ერთი უფრო მოდიდო არის მთის ფერდობზე, სოფლის თავში, მარცხენა ნაპირზე ოლთისის წყლისა, ჩვეულებრივი ბაზილიკური რიგისა, ნაშენია უბრალო ქვით, თალი ჩამონგრეულია, კედლები ყველა დაცულია. შესავალი აქვს სამხრეთით, ფანჯრები – აღმოსავლეთით და დასავლეთით. აფსიდაში ორი პატარა უბეა. ჩრდილოეთის მხრით ჰქონია ეკვტერი, რომელიც ეხლა მოშლილია. მეორე ამავე რიგისა, მაგრამ უფრო პატარა ეკლესია გაშენებულია სოფლის მომადლოდ კლდეზე. თაღები აქაც ჩანგრეულია, შესასვლელი აქვს სამხრეთით, ფანჯრები თითო აღმოსავლეთით და დასავლეთით. საკურთხეველში ორი პატარა მომრგვალებული უბეა.

ერთი ვერსის მოშორებით უკიამიდან-ოლთისის წყლის მარცხენა ნაპირზე, მაღლობზე დაცულია ნანაგრევები ნახევრად ნათალი ქვით შექმნილი ეკლესიისა. ეს ეკლესია გუმბათიანი ყოფილა, სრულიად ისეთი რიგისა, როგორც პერნიაკის ეკლესია არის, ხოლო ძალზე დანგრეულია. უკეთ დაცულია ჩრდილოეთის კედელი და ნაწილი საკურთხეველისა, რომელშიც უბეც მოჩანს. ერთი კარის ნაშთი ემჩნევა კიდეც ჩრდილოეთით; ირგვლივ სასაფლაოა დიდრონი სასაფლაოს ქვებით.

## ხოსორი

ხოსორში საზღვრის გუშაგთა პოსტი იყო. გზაზე ამ პოსტის მახლობლად, ოლთისის წყლის ნაპირას, ნასოფლარია. აქ მარცხენა ნაპირზე მდინარისა ორი ეკლესიის ნანგრევია. ერთის ჩვეულებრივი რიგის ეკლესიის სიგრძე 10 არშინია, სიგანე – 5, ნაშენია ნახევრად ნათალის ქვით, თაღები ჩამონგრეულია, კედლები – დაცული, გარდა დასავლეთის კედლისა, რომელიც სანახევროდ არის დარჩენილი. შესავალი აქვს დასავლეთით, ფანჯრები თითო ყოველის მხრით, გარდა ჩრდილოეთისა. მეორე ეკლესია ამავე ზომისა და გეგმისაა. აქაც მარტო კედლებია დარჩენილი.

ხოსორი, რომლის პოსტზე ჩვენ ღამის გათევა მოგვიხდა, ერთობ ჭაობიანი ადგილია. მთელს ოლთისის ოკრუგში ასეთი დაბალი ადგილი სხვა არ მოიპოვება.

ჩალამ-კალამი ჭაობებში ტყესავით იზრდება, ჰაერს აბნელებდა კოლოთა გუნდი, გუშაგები აქ ექვს თვეზე მეტს ვერ სძლებდნენ. ჩემმა თანამგზავრებმა აქ მალარია შეიძინეს, რომელიც მათ ოლთისში დაბრუნების დროს გამოაჩნდათ. მე გადავრჩი, ვინაიდან მივიღე ზომა და კოლოებს არ ვაკბენინე. აქედან ჩვენ გავემგზავრეთ ანზავის წყლის ხეობით კინეპოსისაკენ.

## კინეპოსი

კინეპოსი პატარა სოფელია, კინეპოსის წყლის ვიწრო ხეობის კლდოვან ფერდობზე გაშენებული. ეტყობა აქ მონასტერი, ლავრა ყოფილა, ვინაიდან მრავალი პატარა ეკლესიების ნანგრევებია. შვიდი საკურთხეველი დღესაც მოჩანს. ყველა ქვით არის ნაშენი, ზოგჯერ შემერწილი სანახევროდ ნათალი ქვებით. რიცხვი პატარა ეკლესიათა წინეთ მეტი ყოფილა, მაგრამ ზოგი მათგანი დღეს მიწასთან არის გასწორებული. მთელს ამ ეკლესიათა კომპლექსში საუკეთესო და ფრიად ლამაზი არის შიგნით და გარეთაც ერთი ჯვარის გეგმის ოთხაფსიდიანი გუმბათიანი ეკლესია სამი ზედ მიშენებული ეკლესიით ანუ ეკვტრებით ჩრდილოეთის მხრით საკურთხევლის აფსიდა წაგრძელებულია და გარეთ გამოდის ხუთწახნაგოვნად. ამავე აფსიდას ახლავს ოთხკუთხედი რიგის სამკვეთლო და სადიაკვნე, თითო ფანჯრით, რომელნიც უერთდებიან კარებით ეკლესიას და არა საკურთხეველს. სხვა მკლავები გარეთ სწორკუთხოვნად გამოდიან. ყოველ აფსიდას თითო ფანჯარა აქვს, საკურთხეველი სამი საფეხურით ამალეებულია შუა ეკლესიაზე; გუმბათის ყელი დაბალია, შიგნით მრგვალი, გარეთ რვაწახნაგოვანი; გუმბათში რვა ფანჯარაა, 4 მრგვალი, 4 მოგრძო. მომრგვალო კამარები, დამყარებულნი ნახევარ სვეტებზე კვადრატის კუთხეებში, გადადიან გუმბათის ყელზე კონუსური აფრებით. ეკლესია შიგნით მოხატული ყოფილა, მაგრამ მხატვრობა ეხლა სულ მოშლილია; ცოტა ნაშთი ჩანს საკურთხეველში და ჩრდილოეთის კედელზე ასომთავრულის წარწერებით. ჩრდილოეთის მხარეს თავ ეკლესიაზე მიშენებულია სამი ეკვტერი. ერთი ოთხკუთხედი, უაფსიდო, მაგრამ ტრაპეზი მიშენებული აქვს აღმოსავლეთის კედელზე; შესავალი აქვს დასავლეთით, სამხრეთით ის კარით უერთდება სამკვეთლოს. ფანჯარა ერთი აქვს აღმოსავლეთით; მეორე ეკვტერი გრძელი, აფსიდიანი, წინა ეკვტერს ეკვრის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრით და უფრო განცალკევებულს ეკლესიას წარმოადგენს; დასავლეთის კედელი მოშლილი აქვს. ამას ჩრდილოეთის მხრით ეკვრის მესამე მოკლე აფსიდიანი ეკვტერი; ზემოდ კიდევ სხვა მინაშენის ერთი კედელი ემჩნევა. თავი ეკლესია უნდა ეკუთვნოდეს მე-9 საუკუნეს, ყოველ შემთხვევაში, ის მე-10 საუკუნეზე უგვიანესი არ არის.

ხუთი საყენის სიშორეზე სამხრეთით თავი ეკლესიისა არის პატარა ბაზილიკა, შეძერწილი ნათალის ქვით, რომელიც ახლა სანახევროდ მოძარცვულია; შესავალი აქვს ჩრდილოეთით; ფანჯარა ერთი აღმოსავლეთის აფსიდაში, მეორე დასავლეთის მხარეს. თაღი ჩამონგრეულია, ნაწილი შერჩენილია აფსიდაში. დასავლეთით თავი ეკლესიისა არის ერთი მოგრძო ბაზილიკა, აგრეთვე ნათალის ქვებით შეძერწილი; თაღი სულ ჩამონგრეულია, კედლები სანახევროდ არის დაცული. უკეთ შენახულია მესამე პატარა ბაზილიკა აღმოსავლეთის მხრით თავი ეკლესიისა, რომელსაც შესავალი აქვს სამხრეთით. თაღი შერჩენილია მხოლოდ აფსიდაში, კედლები დაცულია; თავი ეკლესიის და სამხრეთის ბაზილიკის შუა მოჩანს ნაშთები ოთხკუთხედი შენობისა, ასეთივე ქვებით ნაშენი, როგორც სხვა ეკლესიები. ეტყობა, აქ სამრეკლო ყოფილა. ყველა შენობა დახურული ყოფილა ძველი კრამიტით.



ირგვლივ სხვა სახლების ნანგრევებია. კინეპოსში მაჰმადიანნი ქართველები ცხოვრობენ. სახლები მათი ეკლესიებიდან მოძარცული ქვებით არის ნაშენი. ჩვენ რომ სოფელში მივედით, თავ ეკლესიის კედელზე კიბე მიედგათ და ნათალ ქვებს ამრობდნენ. რომ დაგვინახეს, ხელი აიღეს ნგრევაზე, სიტყვაც მოგვცეს, აწ ხელს აღარ ვახლებთო, მაგრამ არ არის იმედი, რომ ეს შესრულებული იქნება.

## ანზავი

კინეპოსის წყალი ერთვის ანზავის წყალს მარჯვნივ. ჩვენ ჩავეშვით ანზავის წყლის პირად და შევუდექით ანზავის ხეობას სათავისაკენ. ხეობა ვიწროა კლდოვან მთებში მოქცეული, მაგრამ სოფელ ანზავთან ფართოვდება. ჩრდილო-დასავლეთის მხრით სოფელს ახლავს მაღალი კლდე, ზემოდ დავაკებული და მოცული ციხესიმაგრეებით. კლდეს უვლის მაღალი ზღუდეები სამი ოთხკუთხედი კოშკით, ჩრდილოეთის მხრით მიუვალი ნაპრალია და ამ მხრით კედლები არ ახლავს; კოშკები ეხლა ჩამონგრეულია. ციხეზე ასავალი გზა ყოფილა დაბლიდან მიშენებულის კოშკის საშუალებით, რომელიც ეხლა მოშლილია. ამიტომ ჩვენთვის ეს ციხე შეუვალი შეიქნა, თუმცა ჩემი თანამოგზაურნი დიდად ეცადნენ ასვლას. ეს მით უფრო სამწუხაროდ დარჩა, რომ დაბლიდან, შუა ადგილას სიმაგრისა, მოჩანს კარგად დაცული პატარა ეკლესია, ჩვეულებრივი რიგისა, ნათალის ქვით შემქრწილი, ერთი კარით სამხრეთიდან და თითო ფანჯრით აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრით. ადგილობრივი მცხოვრებლებიდან ზოგნი თხასავით დადიან კლდეებზე. ერთი მათგანი ავგზავნეთ ზევით და იმან გადმოგვცა, ეკლესიის თალი მხოლოდ ერთ ადგილას არის ჩამონგრეული და ეკლესიის კედლები სულ მოხატული არისო. სიგრძე ანზავის ხეობისა შეადგენს ოთხს კილომეტრს და სულ ბაღნარით არის მოცული. ამის მახლობლად არის მწვერვალი ზივინი; გზა აქედან სოფელ ხუვახზე მიდის.

ანზავიდან გავემგზავრეთ სოფელ **ერუკანზავში**, რომელიც ანზავის წყლის შემდინარე ერუკის წყალზე მდებარეობს, სოფელში მისვლამდის გზაზე საზღვრის მცველთა პოსტია. აქ ვნახეთ პოსტის უფროსი და მისი ცოლი. კარგად მიგვიღეს. საშუალება მოგვეცა ნალები გამოგვეცვალა ცხენებისათვის. შემდეგ გავემართეთ ციხე **ქორ-ოღლისაკენ**. ძველი სახელი ამ ციხისა უცნობია. ციხე გაშენებულია მაღალი კლდის მწვერვალზე და შორიდან დიდი ერთიანი ქვის სვეტის შთაბეჭდილებას ახდენს. ნამდვილად შენობა მოგრძოა და საკმაოდ კარგად დაცული. გადავიღეთ ფოტოგრაფიულად. მთის კალთები აქ შემოსილია ნაძვნარით და სურათი ადგილისა ერთობ ლამაზია. მახლობლად სადარაჯო პოსტი იყო, კარგ შენობაში მოთავსებული. მათი უფროსი იმ დროს იქ არ იყო და ჯარისკაცებმა ზრდილობიანად ვერ მიგვიღეს. ამიტომ იქ აღარ გავჩერდით და გავემგზავრეთ **სიხსურში**. სიხსურში ორი ეკლესია ყოფილა ქვისა, ჩვეულებრივი რიგისა. ერთი მიწასთან გასწორებულია, მეორის მარტო სამირკველი და ნაწილი კედლებისა მოჩანს. სამაგიეროდ, აქ კარგად დაცული დიდი სასაფლაოა. სასაფლაოს დიდრონი ქვები წარმოადგენენ ლამაზ ნახელავს ცხენების და ცხვრების ქანდაკებას.

5 აგვისტოს დასვენება გვქონდა ოლთისში. აქ გავიგეთ, რომ ერთ სომეხს, ნათან ეგოიანცს, ქვის ჯვარი, ხაჩქარი, ჰქონდა **მანასკერტის** სიმაგრიდან წამოღებული, ანისის მახლობლად. ჯვარი ლამაზი ნახელავი აღმოჩნდა.

## ტამრუტი

6 აგვისტოს ოლთისიდან გავემგზავრეთ სოფელ ტამრუტში. ტამრუტის ზემოდ, ტამრუტ-სუს მაღალ კიდეზე, ადგილზე, რომელსაც ეწოდება **ჯეუს-დერი** (ნიგვზის ხეობა), დაცულია ნანგრევები სამაფსიდიანი ეკლესიისა. აფსიდებში თაღებიც მოჩანს, მაგრამ სხვა ნაწილები მიწასთან გასწორებულია. ეკლესია მიძერწილი ყოფილა ტლანქად ნათალი მოწითალო ქვებით. ირგვლივ სასაფლაოა ცხენის და ცხვრების ქანდაკებათა სასაფლაოს ქვებით, მაგრამ ქვები უმეტეს შემთხვევაში დამტვრეულია.

ტამრუტის ზემოდ 1½ ვერსის სიშორით, მაღალ კლდეზე მოზრდილი ციხეა ოთხკუთხედად ნაშენი უბრალო ქვით, კედლის სისქე 2½ არშინია. კუთხეებში ოთხკუთხედი კომკები აქვს დატანებული; შესავალი აქვს სამხრეთით; ციხის ქვემოდა ჩვეულებრივი რიგის პატარა ეკლესია არის; კედლები დაცულია 1½ არშინის სიმაღლეზე.

## ჯუჯურუსი

სოფელი ჯუჯურუსი გაშენებულია ჯუჯურუსის წყალზე, რომელიც ერთვის ოლთისის წყალს მარჯვნივ, მახლობლად ოლთისისა; მცხოვრებნი სომხებია. სოფლის ზემოდ მოდიდო ჩვეულებრივი რიგის ეკლესია არის, უბრალო ქვით ნაშენი; თაღი შერჩენილია მხოლოდ აფსიდაში, სხვა ჩანგრეულია. კედლები ყველა დაცულია. შესავალი აქვს სამხრეთით, მეორე კარი ჩრდილოეთის კედლისა აერთებდა მას ჩრდილოეთის ეკვტერთან, რომელიც ეხლა სულ მოშლილია; სამაგიეროდ, კარგად დაცულია მეორე ეკვტერი სამხრეთით, შესავლით დასავლეთიდან და ფანჯრით აფსიდაში. თვით ეკლესიას თითო ფანჯარა აქვს აღმოსავლეთით და დასავლეთით. თაღი გოდრული დამყარებულია ერთ სართავ კამარაზე. საკურთხეველში პატარა უბეა. ირგვლივ დიდი ძველი სასაფლაოა. სასაფლაოს ქვები წარმოადგენენ შეკაზმულის ცხენების, ცხვრების და სხვა ცხოველების ქანდაკებებს.

## ზარდანესი

ჯუჯურუსის სამხრეთით, სოფელ ზარდანესის მახლობლად არის მოზრდილი ეკლესიის ნანგრევები **ტეზონსად** წოდებულს გორაკზე აშენებული, შეძერწილია უბრალო ქვებით შიგნით და გარეთ; კარი ყოფილა სამხრეთით და დასავლეთით. ამის ზემოდ, თათრის საზღვარში, სევრი-ჩაის ნაპირზე, **კალა-ბოლაზად** წოდებული სოფელია და ამის თავზე კონუსის მსგავს კლდეზე ძველი ციხეა.

ოლთისიდან, როგორც მოვიხსენიეთ, ჩვენ დავბრუნდით ყარსში და ყარსიდან გავემგზავრეთ სოფელ ჩანგლში, ქალაქ ყალიზმანის მახლობლად.

### თავი III

#### ჩანგლი<sup>44</sup>

ცნობილია, რომ სომხეთში, ალაშკერტში, არსებობდა ქართული საეპისკოპოზო კათედრა. სამცხე-სათაბაგოს სამწყსოს გუჯარში რაიონი ალაშკერტის ეპისკოპოზისა ასეა განსაზღვრული: «ყალზევან ზეითი, ვალაშკერტს აქეთ ხინუსი და დევაბოინს აქეთი» (დ. ბაქრაძე, არქეოლოგ. მოგზ. გურია-აჭარაში, გვ. 81-86; და ჩემი არქეოლოგიური მოგზაურობანი, I, გვ. 77).

როდესაც მეფე გიორგი I 1022 წელს ომს აწარმოებდა ბიზანტიის კეისართან ბასილთან, ზავზე მოსალაპარაკებლად «ქართლის ცხოვრების» თქმით (ბროსეს გამოცემა, I, გვ. 215), «ვიდოდა კეისარსა და გიორგის შორის დესპანი». სომხის ისტორიკოსის არისტარხი ლასდივერის ცნობით, ეს დესპანი ალაშკერტის ქართველი ეპისკოპოზი ზაქარია იყო.<sup>45</sup>

დ. ბაქრაძის აზრით, ალაშკერტის კათედრა უნდა ყოფილიყო აქამდე დარჩენილი ყალიზმანის მახლობლად, სოფელ ჩანგლში, ეკლესია, რომელსაც 1030 წლის ქართული წარწერა მოიხსენიებს მონასტრად (ვახუშტის ისტორია, გვ. 150, შენ.).

ქართული წარწერა ჩანგლის ეკლესიისა გადმოღებულია ნერსე სარგისიანის მიერ და გამოცემული ბროსეს მიერ (იხ. მემუარები პეტერბურგის აკადემიისა, ტომი

---

<sup>44</sup> დაწვრილებითი აღწერილობა ჩანგლის ეკლესიისა სხვა სტატიებთან ერთად (1. ფიტარეთის მონასტერი და მისი წარწერანი, 2. ორი ეკლესია ტანძიის სოფლისა, 3. თევდორე წმინდანის მონასტრის და სოფლის მდებარეობა, 4. ყველის ციხე, მისი ეკლესია და წარწერები. 5. ვერცხლის დოქი მეფე გიორგი მესამისა, 6. ერთი ფრაგმენტი-პალიმფსეტის ქართული ხელნაწერისა, აწ განსვენებულს ნ. მარს გავუგზავნე ლენინგრადში მისივე თხოვნით, პარიზში ყოფნის დროს 1922 წელს; სტატიების მიღება აკადემიამ წერილობით მაცნობა: უნდა დაბეჭდილიყო ლენინგრადის "მატერიალნი კულტურის აკადემიის გამოცემაში". სტატიას თან დართული ჰქონდა, გარდა ხუთი ნახაზი სურათისა კიდევ 13 მშვენიერი ფოტოგრაფიული სურათი ლიოზენის მიერ გადაღებული და თ. კიუნეს იერ გადაღებული, სახელდობრ სახეები: 1) აღმოსავლეთისა, 2) დასავლეთისა, 3) სამხრეთისა, 4) ჩრდილოეთისა, 5) ნაწილი სამხრეთის სახისა, მისი ლაგვარდანის (კარნიზის) წარწერით, 6) ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის სვეტი შიგნით, სვეტის თავითურთ და გუმბათის ყელის ქვემო ნაწილითურთ, 7) შიგნით სახე გუმბათის ყელისა, აფრებით და საკურთხეველის კამარით, 8) ოთხი რელიეფური ფიგურა ქვის სანთლოის კვარცხლბეკზე, 9) კარის თავის ჩუქურთმიანი შემკობილება დასავლეთის ფასადის წარწერითურთ, 10) გაგრძელება მარჯვნივ ამ წარწერისა. სტატიების ბედი მე ვეღარ გავიგე. ბოლოს მოვთხოვე განსვენებულს მათი უკან დაბრუნება. მან მომწერა შენი სტატიები თბილისის საარქეოლოგო ინსტიტუტში უნდა იყოს გაგზავნილიო, მოვიკითხავს და თუ დაბეჭდილი არაა, დაგიბრუნებო. შემდეგ ივანე ქრისტეფორეს მე ზავრეევმა მაცნობა: ნ. მარრიდან წერილი მივიღე და მთხოვს გადმოგცეთო: დ. გარდევეს (ინსტიტუტის წევრი იყო) მივწერე შენი სტატიების შესახებ და მან დაადასტურა. სტატიები მიღებული იყო ინსტიტუტის მიერ, მაგრამ ვიღაცამ წაიღო და აღარ დააბრუნაო. მე ვიმედოვნებ, პატივცემული თავმჯდომარე და ინსტიტუტის წევრები მონახავენ და უკან დამიბრუნებენ სურათებითურთ სტატიებს.

<sup>45</sup> Prud'hom, Hist. d'Arménie, pp. 34.35. ზაქარია ვალაშკერტელს უნდა ეკუთვნოდეს შესანიშნავი სურათებით შემკობილი სადღესასწაულო ხელნაწერი საეკლესიო მუზეუმისა (იხ. კ ო ნ დ ა კ ო ვ ი და ბ ა ქ რ ა ძ ე, ოპის და სხ. გვ. 166-170)

VIII, №10, გვ. 22–24, ტაბ. IV, №26, 27), მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახეთ, წარწერა 1030 წელს კი არ უჩვენებს, არამედ 1362 წელს.

ჩანგლი დიდი სოფელია სომხებისა. დასავლეთით სოფელს პატარა, მაგრამ ერთობ ღრმა და მოგრძო ტბა ახლავს, სავსე თევზებით, ნამეტნავად კობრებით. ტბიდან პატარა წყარო გამოდის, კაპოიტად წოდებული. ეკლესია აგებულია შუა სოფელში, მცირე მაღლობზე. შორიდან ის ჩვენ კომკად მოგვეჩვენა. ეს საკმაოდ დიდი ეკლესია არის; სიგრძე მისი გარედან უდრის 7,4 საჟ., განი 4,3 საჟ., სიმაღლე – 12,5 საჟ. ეკლესია მკვიდრად ნაშენია ქვისაგან და შეძერწილია შიგნით და გარედ მელანსავით შავი, დიდრონი ვულკანური ნათელი ქვებით; გეგმა მისი ჯვარის სახეს წარმოადგენს შიგნით და გარეთაც, მაგრამ დასავლეთის ფრთა ჯვარისა უფრო მოგრძოა აღმოსავლეთისაზე და ამ მხრით აქვს ტაძარს სამი შესავალი: დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. პირველი ორი ეხლა დახშულია და დატოვებულია მხოლოდ სამხრეთის კარი. ეკლესია სამაფსიდიანია, მაგრამ სამსხვერპლო და სადიაკვნო დაბალია. ესენი მიშენებულია საკურთხეველზე თითო ფენის სახურავით. ასეთ მოვლენას ვხედავთ ჩვენ ხახულის ტაძარშიც: სამსხვერპლო და სადიაკვნო ეხლა არ უერთდებიან საკურთხეველს კარებით, არამედ მხოლოდ მარჯვენა და მარცხენა ფრთებს ეკლესიისას. მაგრამ დაკვირვებიდან აღმოჩნდა, რომ წინეთ საკურთხეველს ქონია სამკვეთლოში შესავალი კარი, რომელიც შემდეგ დაუღშვიათ. ამას გარდა, საკურთხეველის აღმოსავლეთის კედელი უფრო წინ არის წაწეული, ვიდრე სამსხვერპლოსი და სადიაკვნოსა და შემკობილია სამი კამარით, რომელნიც ეყრდნობიან ოთხ ჯგუფად გაწყობილს რთულ სახის ნახევარ სვეტებს. სხვა მხრიდან ასეთი შემკობილობა ტაძარს არა აქვს. ხოლო ვინაიდან სამკვეთლოს და სადიაკვნის კედლები არ უწევენ აღმოსავლეთის კედლებს, ამ ასიმეტრიული შთაბეჭდილების შესამსუბუქებლად აღმოსავლეთის კედლის კუთხეებიდან მათ კედლებამდის გადმოყვანილია ნახევარ-ნახევარი კამარები ისეთივე რიგისა, როგორც აღმოსავლეთისანი. ფანჯრები აღმოსავლეთით (საკურთხეველში) და დასავლეთით თითოა, ხოლო ჩრდილოეთით და სამხრეთით სამ-სამი. ესენი გარედან ვიწრონი არიან, მაგრამ შიგნით გაფართოებულნი, თითო წვრილი ფანჯარა არის აგრეთვე სამკვეთლოში და სადიაკვნოში. ესენი გეგმაზე აღნიშნულნი არ არიან. ყველაზე დიდი ფანჯარა დასავლეთისა არის. ოთხკუთხედი, ჩუქურთმიანი ორნამენტით შემკობილი. ჩუქურთმიანი ორნამენტით შემკობილია, აგრეთვე, დასავლეთის შესავლის თავი. სხვა კედლები სადაა. სამხრეთის ფრთაში შიგნიდან დასავლეთის კედელთან მომრგვალებული საჯდომია წინამძღვრისა თუ ეპისკოპოზისა, ამ საჯდომის ისრული კამარა შემკობილია მთლიანი ქვის სვეტებით, თავიანთ კვარცხლბეკებით და სვეტის თავებით. თაღები მარჯვენა, მარცხენა და დასავლეთის ფრთებისა გოდრულია; აფრები გუმბათის ყელისა კონუსისებურია. ორი მათგანი სამხრეთისანი დასერილია შიგნით, ორი სადაა; ყველა აფრებს ახლავს ზემოდ განმტვირთავი კამარეტები. შუა ნაწილი ტაძრისა გეგმით წარმოადგენს კვადრატს, რომელსაც ეკვრის ოთხი ფრთა და ეს ჰქმნის ჯვარის სახეს შენობისას. კუთხეებში კვადრატს მიშენებული აქვს სამი მეოთხედი სვეტები რთული კომპოზიციისა, რომლებზედაც დამაგრებულნი არიან მაღალნი ისრულნი კამარები გუმბათის ყელისა. კონსტრუქცია გუმბათის ყელისა ორიგინალურია. ეს უბრალო როტონდო კი არ არის, არამედ რვა მომრგვალებული უბე აქვს თითო სარკმლით. უბის ქვემო გვერდები მოჭრილია ფანჯრის ძირამდის და შემაგრებული დაბალის სვეტებით უკვარცხლბეკოდ და კუბიკურის თავებით. გარედან ამათ პირდაპირ სამკუთხედი უბეებია შეჭრილნი. ამრიგად, გუმბათის ყელს შიგნით გალერეა

უვლის, ისე როგორც ეს უნდა ყოფილიყო ბანას ეკლესიაში (იხ. ჩვენი „მატერიალი“, XII, გვ. 105 სურათი 71), რომლის მიზანმიმართულ შესაძლოა იყოს გაკეთებული ჩანგლის ეკლესიის გუმბათის ყელიც. გარედან გუმბათის ყელი 16 კამარით არის შემკობილი, რომელნიც ორმაგ პატარა სვეტებს ეყრდნობიან, შემკობილთ კვარცხლბეკებით და სვეტის თავებით. რვა კამარაში თითო ფანჯარაა, რვაში თითო უბე. გუმბათის ყელი შედარებით მაღალია; სიმაღლე უდრის 3,6 საჟენს. თვით გუმბათი შიგნით სფერულია, ხოლო გარედ კონუსის სახე აქვს. სიმაღლე მისი უდრის 3,3 საჟენს. ტაძარი დახურულია ლორფინით. ირგვლივ ეკლესიას უვლის სამსაფეხურიანი საძირკველი (ცოკოლი). აქა-იქ შიგნით ეკლესიაში ჩუქურთმიანი და პლასტიკური შემკობილებაც მოიპოვება. მაგალითად, ერთი სართავი კამარის დაკიდული ქუსლი ჩრდილოეთის ფრთაში შემკობილია ფიგურით, რომელიც წარმოგვიდგენს გველს, შემოხვეულს გვერდის მხრით ერთ ყურძნის მტევანზე, ხოლო წინათ მხრით იმავე გველს პირში უკავია მეორე მტევანი. ზოგიერთი პილასტრის თავები, როგორც ეკლესიისა, ისე გუმბათის ყელისა შიგნით შემკობილია ფოთლოვანი ჩუქურთმებით. სადიაკვნეში შესავალ კარებს ქვემოდაც აქეთ-იქით უძევს ძირში თითო ქვა, ორ-ორი წახნაგით, ზედ გამოქანდაკებული ბარელიეფით. ერთ წახნაგზე ოსტატი წერაქვით თლის ფანჯარაა, რვაში თითო უბე. გუმბათის ყელი შედალით ადამიანის სახე. მეორე ქვაზე გამოსახულია კაცის ფიგურა წელსზევით, რომელსაც უკავია ქვა, ზედ გამოსახული სოლომონის ბეჭდით და კაცის გულით შუაში. ამათ ზემოდ სხვა ქვაზე გამოსახულია კიდევ ორი კაცის ტლანქი ფიგურა. ჩრდილოეთის კედელზე შიგნით ეხლა მიშენებულია ხის ფანჯატური, კარადის მსგავსი და შიგ მოთავსებულია ქვის სანათლო. ეს სანათლო სულ ახალია, მაგრამ მისი კვარცხლბეკი კი ძველია, სამწახნაგოვანი და ამ წახნაგზე ამოჭრილია ტლანქი ბარელიეფები. წინა მოგრძო პირზე გამოსახულია მთელი ტანით ფიგურა კაცისა, რომელიც ბუსკა (საყვირსა) სცემს (იწვევს ხალხს), მის უკან სამი კაცის ფიგურას მოჰყავს ხალხი მის წინაშე (მოჩანან მხოლოდ კაცის თავები). მთელი ეს სურათი ეხება, როგორც ჩანს, იოანე ნათლისმცემელს. დასავლეთის წახნაგზე წარმოდგენილია ღვთისმშობელი ნიშოვანი და მის უკან კაცის სახე მთელი ტანით, ყვარჯენით ხელში, ალბათ ქმარი ღვთისმშობლისა. მესამე წახნაგზე გამოსახულია ფიგურა ნაციონალური ტანისამოსით, რომელსაც ხელი უდევს ახალგაზრდა კაცის ანუ ყმაწვილის თავზე; ალბათ ნათლის მამაა ყმაწვილისა. სხვა ფიგურებიც ყოფილა აქ, მაგრამ ეხლა გაფუჭებულია<sup>46</sup>.

### წარწერები ჩანგლის ეკლესიისა

ნერსეს სარგისიანის და ბროსეს ანგარიშით, ჩანგლის ეკლესიის კედლებზე ოთხი ქართული წარწერაა; ნამდვილად კი ორია. პირველი წარწერა ასომთავრული დასავლეთის კარის თავზეა ამოჭრილი და გაგრძელებულია მარჯვნივ კარის თავისა. ამ გაგრძელებას სარგისიანი ცალკე წარწერად გულისხმობს. მეორე წარწერა არის ორსტრიქონიანი სამხრეთის ფასადის ლავგარდანზე. პირველი წარწერა იკითხება ასე:

ქკს ნ სხლითა ღმთა მე  
გლხ კმნ ეგნ ტა ავილე თესგ ნ

<sup>46</sup> ყველა ფიგურა გადაღებულია ფოტოგრაფიის საშუალებით.

დ კნი უნ და გაოკკვეთე მისდა  
სალოცავად ტრაპეზსაგ ნ ორ  
თა კცთა პური უკდავად უცხო  
თათჳს ვცა ლენამორისა

(მარჯვნივ კარის თავისა):

პატრონი იყოს და წინამძღვარ რსა სხვნი ძმნი  
გაიღვბდენ დეკანოზისა და შემწისა კელითა მიე  
ცემოდის ვნ ესე ნაქმრი შეცვლს კრლა პრითა  
ღმთა ექსთა კრბთა მდლთა და ხთთა პტრაქ  
თა ჯითა და თორმტთა მც-ქლთა მდლთა  
ვინ და  
მმტკი  
ცოს ჯი  
აქს და კხვ მ

ასო მ მეორე სტრიქონის სიტყვაში „ეგნტ“ და მე-8–9 სტრიქონების სიტყვაში „მიეცემოდეს“ იხმარება ასო „ი“-ს მაგიერ, მაგრამ პირველ შემთხვევაში შეიძლება ვიგულისხმოთ შემოკლებულ გადმოცემად „ეგნატო“-ს მაგიერ. ასო „უ“ მარტო ერთ შემთხვევაში ძველი „ოჯ“-ის ფორმით არის გადმოცემული სიტყვაში „გაოკკვეთე“ (სტრიქონი მე-3), მაგრამ ამავე სიტყვაში ასო „კ“-ს შემდეგ მარტო „ჯ“ არის წარმოდგენილი, იგულისხმება „ო“-ს გამოტოვება. ეგრევეა მე-7 სტრიქონში, სიტყვაში „სხვანი“, ხოლო სიტყვაში „გაიღვბდენ“ სრულიდ უადგილოა „ჯ“-ს ხმარება „ე“-ს მაგიერ. სხვა ადგილებში ყოველგან „უ“ ერთი ასოთია წარმოდგენილი და მოხაზულობა მისი და ასო „ო“ სრულიად ერთგვარია და უფრო წააგავს შემდეგი დროის „უ“-ს, ვიდრე „ო“-ს, ხოლო ორ შემთხვევაში „ო“ უფრო ნათლად არის გამოყვანილი სიტყვებში: „პატრონისა“ (სტრიქონი 6–7) და „დაამტკიცოს“ (სტრ. 13–14).

ამის მიხედვით ძნელია თქმა, „ლენამორისა“ უნდა წავიკითხოთ, თუ „ლენამურისა“ (სტრიქონი მე-6). საზოგადოდ, შუა ნაწილი ამ სიტყვისა ნათლად არ მოჩანს ნამდვილზე და მე პირველად ამოვიკითხე «ლენალმორისა», თითქო სარგისიანის მიერ გადაღებული ტექსტი უფრო ასე იკითხება.

მართლწერა ტექსტისა, საზოგადოდ დიდად წააგავს ფიტარეთის წარწერას გიორგი ბრწყინვალისა, აგრეთვე მე-14 საუკუნისას<sup>47</sup>.

უქარაგმოდ წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ:  
«ქრონიკონს<sup>48</sup> ნ. სახელითა ღმრთისაღთა მე  
გლახაკმან ეგნატი (ანუ ეგნატო) ავიღე თეოდორესაგან<sup>49</sup>  
დრაჰკანი<sup>50</sup> უნ და გაუკუეთე მისდა  
სალოცავად ტრაპეზისაგან<sup>51</sup> ორ-  
თა კაცთა პური უკდავად უცხო-  
თათჳს. ვინცა ლენამორისა (თუ ლენალმორისა?)

<sup>47</sup> იხილე ჩვენი სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, «კავკასიონი», პარიზის გამოცემა, გვ. 87–88, № 1–2.

<sup>48</sup> კლასიკური ფორმა იყო: ქრონიკონსა.

<sup>49</sup> ეს სრული ფორმაა; შემოკლებული იქნება: თეოდორესგან.

<sup>50</sup> დედანში შემოკლებით არის ეს სიტყვა მოყვანილი და ამიტომ ასო „კ“ არ არის ნახმარი.

<sup>51</sup> დედანში: ტრაპეზსაგან.

პატრონი იყოს და წინამძღვარი, რომელსა (ანუ რასა) სხუანი ძმანი გაიღებდენ, დეკანოზისა და შემწირველისა ჳელითა მიეცემოდის<sup>52</sup>. ვინ ესე ნაქმარი შეცვალოს, კრულია პირითა.

ნერსეს სარგისიანის მიერ გადმოღებული წარწერა არ არის მრავალ შემთხვევაში სწორი და ამით აიხსნება ზოგიერთი შეცდომა ბროსესი, მაგრამ ქორონიკონი ნერსესის ტაბულაზეც ცხადია და ყოვლად მიუღებელია ბროსესს წაკითხვა: «ქორონიკონს სნ». ასო «ს» ერთხელ არის ნახმარი ნამდვილში და ეს ასო დაბოლოებაა სიტყვისა «ქორონიკონს» (სრული ფორმა იქნებოდა: «ქორონიკონსა») და არა ქორონიკონის რიცხვია «ნ»-თან შეერთებით. ხოლო ქორონიკონი «ნ» (50) მეთოთხმეტე მოქცევისა უდრის 1362 წელს. პალეოგრაფიული ხასიათი წარწერისა, თვით სტილი და მართლწერაც სწორედ XIV საუკუნეს უჩვენებს. ამიტომ ქორონიკონს «ნ»-ს ჩვენ ვერ მივაკუთვნებთ მე-13 მოქცევას; მაშინ თარიღი იქნებოდა 830 წელი, რაც ყოვლად მიუღებელია. თვით ბროსესეც შენიშნავს უსწორ-მასწორობას წარწერის ტექსტისას, რომელიც არ უდრის სხვა X–XI საუკუნეთა წარწერებს, მაგალითად კუმურდოსა, იშხნისა და სხვა. თვით ასოები წარწერისა არ არის ღრმად ამოჭრილი ქვებზე და ქვებიც არ ყოფილა თავდაპირველად განკუთვნილნი წარწერისათვის. რაც არ დატეულა კარის თავის ქვაზე, გადატანილია მარჯვნივ და განაწილებულია პატარა ქვებზე.

მეორე ასომთავრული წარწერა მოიპოვება სამხრეთის ლავგარდანზე. ჩვენს ფოტოგრაფიულ სურათზე, რომელიც ნ. მარსს გავუგზავნეთ, ეს წარწერა კარგად ჩანს. წარწერა შეიცავს სულ ორ მოკლე სტრიქონს ასომთავრულით დაწერილს, ხოლო ერთი ასო მეორე სტრიქონში ძველი მხედრული «გ» უნდა იყოს, და თუ ეს ასო ასომთავრულია და შემთხვევითი მსგავსება აქვს მხედრულ გ-ანთან, მაშინ ის ასო «მ»-დ უნდა მივიღოთ, როგორც ბროსესსაც მიუღია. სამწუხაროდ, სიტყვები ამ წარწერისა წერტილებით არ არის გამოყოფილი და ამიტომ მეორე სტრიქონის წაკითხვა ძნელია. წარწერა ჩვენი წაკითხვით ასეა წარმოდგენილი:

ქე შეწყლე მალაქო  
ზი-აგრნ-კლი (ანუ ზი-ადრნ-კლი).

ბროსესე კითხულობს:

---

<sup>52</sup> თავიდან აქამდის ბროსესე ასე კითხულობს:  
«ქორონიკონს სნ, სახელითა ღთისადათა მე  
გლახაკმან ეგნატო ავიღე თეოდორესგან (?) [კითხვითი ნიშანი ბროსესისა].

... (დრა) კანი. ლოცვა უკუწთე მისდა  
სალოცავად. ტრაპეზობისაგან ორ-  
თა სერობათ პური უკუდავად უცხო-  
თათჳს. ვინც მონასტრისა  
პატრონი იყოს და წინამძღვარი, რომელსა სხვანი ძმანი  
გაიღებდენ დღესასწაული, ზედაშე მნისა ჳელითა მიე-  
ცემოდეს» (დანარჩენი სწორად არის წაკითხული).  
ღმრთისადათა, ექუსთა კრებათა მაღლითა და ხუთთა პტრიარქ-  
თა ჯუართა და თორმეტთა მოციქულთა მაღლითა,  
ვინ და-  
ამტკი-  
ცოს, ჯუარი  
ექუს და კურხევად».

ქრისტე შეიწყალე მალაქო-  
ზიად, რომელმან ეკლე...

პირველი სტრიქონის წაკითხვა სწორია, მეორესი საცილობელია. ეს მეორე სტრიქონის აზრი ჩვენთვის გამოურკვეველია, ხოლო მოსაზრებით შეიძლება მთელი წარწერა ასე იკითხებოდეს:

«ქრისტე შეიწყალე მალაქოზი აგარან(ის) კათალიკოზი».

აგარანის პროვინციას ვახუშტი აღნიშნავს მტკვარს, შულავერს და ბოლნისს შუა; ეს წინანდელი გარდაბანია. აგარანი ციხესაც ერქვა, რომელიც აიღო დავით აღმაშენებელმა (Hist. de la Géorgie, I, p. 361, n. 1. იხ. აგრეთვე ბროსეს Addition, p. 259, n.<sup>53</sup>

სარგისიანი იქვე აღნიშნავს კიდევ ორ სიტყვას სხვა წარწერისა: «ქრისტე შეიწყალე», რომელიც ჩვენ ვერ ვიპოვეთ.

თავი მნიშვნელობა აქვს პირველ წარწერას. ეჭვს გარეშეა, რომ წარწერა შესრულებულია 1362 წელს. ეს არის მთავარი.

ძველი სახელი ჩანგლისა ყოფილა ლენამორი ანუ ლენაღმორი, ყოველ შემთხვევაში, არა ჩანგლი. ეს არის მეორე დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს წარწერიდან.

მესამე დასკვნა გულისხმობს ფაქტს, რომ ჩანგლის ეკლესია წინათ ყოფილა მონასტერი.

გეგმა, სტილი და ზოგიერთი შემკობილება ჩანგლისა მოგვაგონებს მე-11–13 საუკუნეთა ეკლესიებს. და უნდა ვიფიქროთ, მათი მიბაძვით არის აშენებული, ხოლო შედარებით მაღალი გუმბათის ყელი უფრო ეგუება მე-14 საუკუნეს. ამასვე უჩვენებს წარწერაც. ამ წარწერის შინაარსის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, ეგნატის დაუწყია შენება მონასტრისა, მას სახსარი შემოლევია და ვიღაც თეოდორესაგან მიუღია 450 დრაჰკანი, თვალსაჩინო თანხა იმ დროისათვის, და მონასტერი დაუმთავრებია<sup>53</sup>. სანუქფოდ მაშენებელს განუწყესებია თეოდორეს სალოცავად მონასტრის ტრაპეზისაგან პური ორი უცხო (ესე იგი კრებულის გარეშე მყოფ) კაცისათვის. ამასთან ყურადღების ღირსია, რომ ეგნატი კანონს აწესებს მონასტრისათვის, რომლის ძალით განსაზღვრა, წინამძღვრის სარგოსი დამოკიდებულია მონასტრის ძმათა გადაწყვეტილებაზე, ხოლო რასაც ესენი გადასწყვეტენ, წინამძღვარი მიიღებს დეკანოზისა და შემომწირველის ხელით.

ვის შეეძლო ამგვარი კანონის დაწესება, თუ არ მაშენებელს ანუ დამფუძნებელს მონასტრისა? ამიტომ საფიქრებელი არის, რომ ეგნატი არის აღმაშენებელი მონასტრისა და წარწერა თანამედროვეა აშენებისა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს, როგორც მოვიხსენიეთ, შედარებით მაღალი ყელი გუმბათისა და ის გარემოებაც, რომ ეკლესია საზოგადოდ საკმაოდ კარგად არის შენახული.

აქ ყოფილა მართლმადიდებელი სომხების, ანუ ხალკედონიტთა სომხების მონასტერი და ამით აიხსნება ქართული წარწერები ამ და სხვა ამგვარი ეკლესია-მონასტრებისა სომხეთში. მართლმადიდებელ სომხებს წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე

---

<sup>53</sup> მე-14 საუკუნეში გიორგი ბრწყინვალის დროს 1 დრაჰკანი ანუ ოქროს დინარი 6 თეთრს ანუ დრამას უდრიდა, ხოლო ერთი თეთრი იმავე დროს მერმინდელ აბაზს უდრიდა. ამიტომ 450 დრაჰკანი შეადგენდა 2700 აბაზს ანუ 540 ოქროს მანეთს (იხ. ჯავახიშვილის «ნუმიზმატიკა ანუ მეტროლოგია», გვ. 54).



ჰქონდათ და მათი მწყემსთმთავარნი ქართველი ეპისკოპოზები იყვნენ. რასაკვირველია, ყარსში, ანისში, ალაშკერტში ქართული კოლონიებიც უნდა ყოფილიყვნენ, საქართველოს ძლიერების დროს, ყოველ შემთხვევაში, მაგრამ არსებობა ქართული წარწერებისა და ქართული ეკლესიებისა ყოველთვის ქართული კოლონიის არსებობას ყოველგან არ გულისხმობს, როგორც დ. ბაქრაძე ფიქრობს, არამედ მაჩვენებელია იმისა, რომ ამ ადგილებში მართლმადიდებელნი სომხები ყოფილან. ასეთ მოვლენას უნდა ჰქონოდეს ადგილი ჩანგლშიც. მეორე მხრით, უნდა აღვნიშნოთ, მართლმადიდებელმა სომხებმა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა და წარწერების მოთავსება თავიანთ ეკლესიებზე შემოიღეს უფრო გაბედულად მას შემდეგ, რაც მათი პროვინციები შემოვიდა საქართველოს საზღვრებში და მათი მფარველნი შეიქნენ საქართველოს მეფენი. ეხლა მათ აღარ ეშინოდათ გრიგორიანთა სამღვდელთა დასამართლებლობისა. ამიტომ ქართული წარწერები სომხეთში მაჩვენებელია საქართველოს ექსპანსიის, მისი პოლიტიკური ძალაუფლების გავრცელებისა ამ პროვინციებში.

სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით ეკლესიისა, მაღლობზე, ძველი სასაფლაოა. ერთს ქვაზე ჯვარის სახე იყო გამოქანდაკებული, მეორეზე – სომხური ვულგარული წარწერა. სხვა სასაფლაოს ქვები უბრალო იყო. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრით ტაძრისა, პირდაპირ მთის ძირიდან გამოდის მშვენიერი წყარო. ამ წყაროს პირზე იყო დაწყობილი დიდი ქვები და მათ შორის სასაფლაოს ქვებიც. ერთზე ექვსსტრიქონიანი სომხური წარწერა იყო, რომელიც ჩვენ ფოტოგრაფიის საშუალებით გადავიღეთ და განსვენებულს ნ. მარსს გავუგზავნეთ. ეხლა გვაქვს ცნობა, ეს და სხვა ჩვენ მიერ გაგზავნილი სომხური წარწერები სპეციალისტის – პროფ. ი. ორბელის ხელშია და ალბათ მალე გამოაქვეყნებს.

## მოგონებანი ქართველ მწერლებზე

### ილია ჭავჭავაძე<sup>54</sup>

ილია ჭავჭავაძე პირველად ვნახე ჩემი სტუდენტობის დროს, ვგონებ, როდესაც III კურსზე ვიყავი გადასული. კარგად ვი არ მახსოვს, ასე 1885 წელს უნდა ყოფილიყო. ილია ქართული სათავადაზნაურო ბანკის საქმეზე ჩამოვიდა პეტერბურგში და ბინად ჩამოხტა ვასო მაჩაბელთან... ილია და ის ვასო მაშინ დიდი მეგობრები იყვნენ, ილია შვილებს უნათლავდა. ვასო ნაფიცი ვექილი იყო, ადვოკატი თავად მინგრელსკისა, რომელიც მაშინ პეტერბურგში ცხოვრობდა. ვასო ქართველ სტუდენტებს ეხმარებოდა ხოლმე ხელმოკლეთათვის ფულის შესაკრებად

---

<sup>54</sup> ჩაწერილია კარნახით გ. ლომთათიძის მიერ 1950 წლის 26/I, 27/I, 9/II, 10/II, 13/II, 17/II, 20/II, 21/II, 4/V. შიგა და შიგ ჩართულია ზოგი ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოგონება თუ შენიშვნა, მისგან ჩაწერილი ავტორთან ერთად მისი ნაშრომების გამოსაცემად მომზადებაზე მუშაობისას (1948–1952 წწ.).

აქც და ქვემოთაც სქოლიოები, თუკი სხვა ინიციალები არა აქვს ქვეშ მიწერილი, ეკუთვნის გ. ლომთათიძეს.

სადამოების მოწყობაში. ერთი ასეთი სადამოს შემოსავალი, სამი ათასი მანეთი სტუდენტებს ვასილის თანხმობით გადაედოთ, როგორც ხელუხლებელი თანხა და ხუმრობით „დარდუბლის კიდობანი“ დაერქმიათ მისთვის. ის ფული თვით ვასილ მაჩაბელს ჰქონდა მიბარებული. იმ წელიწადს ვასილმა გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება, თავისი სახლის ლიკვიდაციას აპირებდა (მგონი, ნევის პროსპექტზე ცხოვრობდა) და წინადადება მოგვცა სტუდენტებს, იმ თანხასაც თან წავიღებ და შესანახად გადავცემო ქართელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომლის თავმჯდომარეც ილია ჭავჭავაძე არისო. სტუდენტებმა არ მიიღეს ეს წინადადება და მოითხოვეს, ფული პეტერბურგში დაეტოვებინა. მაშინ მაჩაბელმა უთხრა – წარმომადგენელი გამოგზავნეთ და ილია ჭავჭავაძის თანდასწრებით გადავწყვიტოთ ეგ საქმეო. სტუდენტობამ აგვირჩია და გაგვაგზავნა სამი კაცი: მიხაკო ღვდლიევი [მღვდლიაშვილი. გ. ლ.] (შემდეგ ჩვენი სენატორი რომ იყო), ალექსანდრე ლორთქიფანიძე (მერაბის ძე, იასონისა და [მწერალ] ნიკოს უფროსი ძმა, იურისტი, მერე ქუთაისში ბანკირად იყო) და მე. მივედით ვასო მაჩაბელთან და ილიაც გამოვიდა და გაგვეცნო. ილიას პირველად მაშინ შევხვდი და მისი დანახვისთანავე გამახსენდა, ძალაუწებურად, ჩემი ნათესავის კოწია თაყაიშვილის ნათქვამი ილიას გარეგნობის შესახებ. ეს თაყაიშვილი მეფის „კონვო“-ში მსახურობდა უწინ, ალექსანდრე მეორის დროს; ახლო კავშირი ჰქონდა ქართველ სტუდენტობასთან, დიდი ლიბერალი და თან პატრიოტი კაცი იყო; კარგად იცნობდა ახალ ქართულ ლიტერატურას და თაყვანს სცემდა ილიას, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს; ძალიან კარგად გვიკითხავდა ხოლმე მის «კაცია-ადამიანს», «გლახის ნაამბობსა» და სხვა ნაწარმოებებს. ილია დიდხანს არ ენახა პირადად, მხოლოდ ერთხელ მოეკრა თვალი ქუთაისის ბულვარში, სხვებთან ერთად, და დასდევნებოდა, რომ კარგად დაეთვალა იერებინა. მერე გვითხრა: „მრგვალი ტანითა და სისრულით მის მიერ აღწერილ თათქარიძეს ჩამოგავს, მაგრამ თვალები კი შესანიშნავი აქვსო“.

შეგვექმნა მსჯელობა „დარდუბლის კიდობნის“ გამო. ილია დიდხანს გვესაუბრა წერა-კითხვის საზოგადოების მიზნებისა და მათი განხორციელების გზების შესახებ და ბოლოს გვირჩია, თანხა იმ საზოგადოებისათვის გადაგვეცა – თუ შეწირულობად არა, შესანახავად მაინც. „აქ ეგ ფული უსათუოდ შემოგეხარჯებათ, ან არა და, ქართველების ჩვეულებისამებრ, აიშლებით, დაიშლებით და დაგეკარგებათო!“ აზრთა ხანგრძლივი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შევთანხმდით, რომ ფული შესანახავად გადაეცემოდა წერა-კითხვის საზოგადოებას. ვასილ მაჩაბელმა პირადად წამოიღო თანხა, თბილისში რომ წამოვიდა, და დანიშნულებისამებრ ჩააბარა კიდევ. ოღონდ, ეტყობა, არ მოუთხოვია იმ თანხის ხელმეუხებლობა და საზოგადოებას ფული თავისი მიზნებისამებრ მოეხმარა. ყოველ შემთხვევაში, ჩემ დროს საზოგადოებას აღარ გააჩნდა ასეთი, ხელუხლებელი თანხა.

უნივერსიტეტი რომ გავათავე, თბილისში ჩამოვედი და ლათინური ენის მასწავლებლად დავდექი სათავადაზნაურო სასწავლებელში, რომელსაც მაშინ ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე განაგებდა (ქუთაისშივე, გიმნაზისტობისას ჩემი კარგად მცნობი). ჩემი ჩამოსვლის შემდეგ ერთი თვეც არ გასულიყო, რომ ამბავი მოვიდა, სტავროპოლში დიმიტრი ყიფიანი მოკლესო. ეს იყო 1887 წლის 24 ოქტომბერს. ამან, რა თქმა უნდა, თავზარი დაგვცა ყველას და მთელი ქართველობა ააღელვა. გადაწყვიტეს, ჩამოესვენებინათ ცხედარი და საკადრისი პატივით დაემარხათ მთაწმინდაზე. ამის მოსაწყობად შედგა კომისია, რომელშიც, რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძეც დიდ მონაწილეობას იღებდა.

მთავრობის მიერ დაყრილი ხმა, ვითომც დიმიტრი ყიფიანი გამარცხის მიზნით მოეკლათ, არავის არა სჯეროდა: ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი რუსული ხელისუფლების აგენტების მიერ იყო მოკლული.

კომისიაში ამირჩიეს მეც. ვინ დამასახელა, აღარ მახსოვს. მაგრამ საერთოდ მაშინ უკვე ყველა ასეთ კომისიებში მასახელებდნენ ხოლმე, იმიტომ რომ ცოტა იყო ასარჩევი ადამიანები. კომისიაში სულ თხუთმეტი კაცი იქნებოდა, მაგრამ ამასთანავე დამხმარეც აუარებელი გვყავდა. შევიმუშავეთ დაკრძალვის გეგმა. ჭირისუფლობა იკისრა განსვენებულის ნათესავმა დავით ყიფიანმა – ცნობილმა მოღვაწემ და კარგმა კაცმა, თბილისში დიდად მიღებულმა ნოტარიუსმა, ილია ჭავჭავაძის, ივ. პოლტარაცკის, ალ. ჯაბადარისა და სხვათა მეგობარმა. ოფიციალური მიმოწერა, ნებართვის მიღება და სხვა ასეთი რამეები სულ მას დაეკისრა. მართალია, დიმიტრის დარჩა ვაჟი – კოტე, მაგრამ ის ვერ გაართმევდა თავს იმდენ საქმეს და თან პრესტიჟისთვისაც სჯობდა დავითისათვის დავალება იმეებისა.

რასაკვირველია, საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ დეპუტატები და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები, ყველანი სამგლოვიარო ლენტებით შემოსილნი (მკლავებზე გაგვიკეთეს). დავხვდით ცხედარს ვერაზე, ჯვართან<sup>55</sup>. იქიდან დაიწყო პროცესია. კომისიის გეგმით, ცხედარი უნდა გამოგვეტარებინა გოლოვინის პროსპექტით<sup>56</sup> ერევნის მოედანამდე<sup>57</sup>, მერე უნდა აგვეხვია სოლოლაკის ქუჩაზე<sup>58</sup>, მერე პეტრე დიდის ქუჩაზე<sup>59</sup> და ისე უნდა ავსულიყავით მთაწმინდაზე. პოლიცია, რასაკვირველია, გამრავლებული იყო და ფეხზე იდგა.

დაიძრა პროცესია დავით ყიფიანის მეთაურობით. როგორც კი მივუახლოვდით გრიბოედოვის ქუჩის ასავალს, პოლიცია გადაგველობა და გამოგვიცხადა, რომ პროცესია გრიბოედოვის ქუჩით უნდა წავიდეს. შეიქნა ერთი ჩოჩქოლი, ხალხი წინ მიმავალთ მიაწვა. ამასობაში ნიკო დიასამიძემ, რომელიც წაბლისფერ ტაიჭზე იჯდა ქართულად ჩოხაში გამოწყობილი, ცხენდაცხენ გაარღვია პოლიციის რაზმი და გასწია წინ. დავით ყიფიანიც მას გაჰყვა. პოლიცია წინ გადაუდგა სამღვდელოებას, რომელსაც მიუძღოდა ცნობილი ქართველი პატრიოტი, ბერი, ეპისკოპოზი ალექსანდრე ოქროპირიძე. ის საერთოდ თითქოს არ იყო გამბედავი კაცი, მაგრამ აქ კი ნამდვილად გამოიჩინა გამბედაობა. პოლიციის რაზმის მეთაურმა უთხრა: „Ваше преосвященство, приказано по Грибоедовской улице направить процессию!“ ალექსანდრე არ შედრკა და მიუგო: „Меня пригласили родные покойного; куда они последуют, и я за ними!“-ო და განაგრძო გზა. შემოსილი მღვდელმთავრის შეჩერება პოლიციამ ვეღარ გაბედა, თან ხალხიც მიაწვა, გაარღვია პოლიციელთა წყება და მედგრად გასწია წინ. მთელ პროსპექტზე გაიმართა უზარმაზარი პროცესი. სასახლეს რომ მივუახლოვდით, განგებ შეაჩერეს ცხედარი და მიცვალებულის ლოცვა

---

<sup>55</sup> იგულისხმება ის ჯვარი, რომელიც აღმართული იყო მდ. ვერის პირას, დაღმართზე, სადაც 1837 წელს ეტლი გადაბრუნებოდა იმპერატორ ნიკოლოზ პირველს, საქართველოს სამხედრო გზით მომავალს. ჯვარი დადგეს მისი მშვიდობით გადარჩენის აღსანიშნავად. ახლანდელი აბრეშუმის ფაბრიკის წინ იყო.

<sup>56</sup> ახლა რუსთაველის გამზირი.

<sup>57</sup> ახლა ლენინის მოედანი.

<sup>58</sup> ახლა კიროვის ქუჩა.

<sup>59</sup> ახლა ძერჟინსკის ქუჩა.

გადაიხადეს, დემონსტრაციულად. სასახლიდან არავის გამოუხედავს. მაშინ მთავარმართებლად იყო დონდუკოვ-კორსაკოვი. ამბობენ, რომ იმ დღეს ის არ იყო სასახლეში, თავისი ცოლის პანაშვილზე წავიდაო ზემოთ, წმ. ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიის ეკლესიაში.

სასახლიდან დაძრული პროცესია მოედანზე გავლით ავიდა სოლოლაკის ქუჩაზე, მერე შემოუხვია პეტრე დიდის ქუჩაზე, ხოლო იქიდან ერმოლოვის<sup>60</sup> ქუჩით ავიდა მთაწმინდაზე.

ცხედარს, დავით ყიფიანთან ერთად, მიჰყვებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სხვა პოეტები და მწერლები, მიჰყვებოდა, რა თქმა უნდა, განსვენებულის მთელი ოჯახიც.

საფლავზე პირველი სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა, რომელმაც დიმიტრი ყიფიანი გამოაცხადა საქართველოს მეორე დიმიტრი თავდადებულად და, რა თქმა უნდა, დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა. ის ცნობილი მშვენიერი ლექსი რომა აქვს, „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“, მაშინ არ უთქვამს, მერმე დაწერა. დიმიტრი ყიფიანს კი გულისხმობდა შიგ!

მოელოდნენ ილიას სიტყვასაც, მაგრამ მას არაფერი უთქვამს. ისე კი გვითხრა რამდენიმე კაცს: „რა ამბავსაც დღეს აქ ვუყურებთ, ამას არავითარი სიტყვა არ სჯობიაო!“ მართლაც, უამრავი ხალხი იყო დაკრძალვაზე მოსული, ნამდვილად მთელი საქართველო! ილიას მიერ სიტყვით არ გამოსვლა ზოგმა მის სიფრთხილეს მიაწერა. ისიც კი გაიხსენეს, რომ ერთ დროს მას ყიფიანთან პოლემიკა ჰქონდა. მაგრამ ერთიცა და მეორეც, რა თქმა უნდა, ცილისწამება იყო...

ამრიგად, ეს გრანდიოზული პროცესია დიდი და გაბედული დემონსტრაცია იყო ქართველი ერისა ცარიზმის რეჟიმის წინააღმდეგ. მან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველობაზე და ერთგვარ საგონებელშიც ჩააგდო ხელისუფალნი. მეორე დღეს მთავარმართებელმა მოიწვია საბჭოს სხდომა და თათბირობდნენ, თუ რით ეპასუხათ ამ გამოუთქმელ დემონსტრაციაზე. აზრთა დიდი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაასკვნეს, რომ რეპრესია დემონსტრაციის მომწყობთა მიმართ კიდევ მეტ გართულებას გამოიწვევს. რაც მოხდა, პოლიციის განცხადების მიმართ უბრალო წინააღმდეგობად ჩათვალეს, ჭირისუფალი დავით ყიფიანი 6 მანეთით დააჯარიმეს და ამით გათავდა საქმე.

ილია ჭავჭავაძე ჩემ დროს იყო თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე და გაზეთ „ივერია“-ს რედაქტორი. ეს სამი დაწესებულება წარმოადგენდა უმთავრეს ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მართალია, არსებობდა კიდევ ქართული დრამატული საზოგადოება, მაგრამ ის სულს ღაფავდა. ხან აკაკი წერეთელი იყო მისი თავმჯდომარე, ხან – ვინ და ხან – ვინ; მალიძალ იცვლებოდნენ.

საზოგადო მოღვაწენი ცოტანი იყვნენ. მართალია, გიმნაზიაში და მთავრობის სხვა დაწესებულებებში კი მსახურობდა თითო-ოროლა ქართველი, რომლებსაც შეეძლოთ საზოგადო საქმიანობა, მაგრამ ისინი თავს არიდებდნენ ამას, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ თუ ჩაებმებოდნენ, სამსახურს დაკარგავდნენ.

ილია თუმცა ითვლებოდა წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარედ, მაგრამ სრულიად ვერ ესწრებოდა მის სხდომებს. ჩემ დროს იქ მის მოადგილედ

---

<sup>60</sup> ახლა შიო ჩიტაძის ქუჩა.

ითვლებოდა ვანო მაჩაბელი, რომელიც საადგილმამულო ბანკის დირექტორიც იყო. საზოგადოდ, მე რომ ჩამოვედი, პირველ ხანებში ილიასა და ვანო მაჩაბელს შორის არავითარი უსიამოვნება არ ყოფილა, ისინი თანხმობით მუშაობდნენ. ვანო მაჩაბელიც დიდი პატრიოტი იყო, ნიჭიერი, განათლებული, კარგი მუშაკი და თან სიმპათიური ადამიანი. ჩვენ საზოგადოებაშიც გავრცელებული იყო აზრი, რომ ილიას მემკვიდრე საზოგადო საქმეებში ვანო მაჩაბელი იქნებოდა: ის ბევრად უმცროსი იყო ილიაზე. ილიასა და ვანოს შეხმატკბილებული მუშაობა ხომ, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატა, რომ ერთად თარგმნეს „მეფე ლირი“.

იმხანად ილიას უკვე ბევრი ემდუროდა, მუშაობას მოუკლო და დიდ დროს ანდომებს ქალაქის თამაშსო. ზოგიერთი პირშიც ამხელდა, როცა ის წერა-კითხვის საზოგადოების სხდომას თავმჯდომარეობდა ხოლმე. მახსოვს ექიმ ხუდადოვის გამოსვლა ამ საზოგადოების წლიურ კრებაზე. ეს ის ხუდადოვი იყო (გორელი სომეხი, ქართველობდა), რომელმაც ტყე გააშენა კუკიის სასაფლაოს ზემოთ. სოციალისტური მიმართულების კაცი იყო, საზოგადო საქმიანობის მონაწილე. ადგა ეს ხუდადოვი და რიხიანად უსაყვედურა ილიას: „ილიავ, სულ ძილი და ძილი არ შეიძლება! აღარაფერს აკეთებ და ჩვენი საერთო საქმეც ვერ მიდის კარგადაო!“ ილიამ უპასუხა: „მე რომ მიძინავს და მიძინავს, ეს ყველასაგან ცნობილია, მაგრამ შენ ხომ გლვიძავს და ალბათ ბევრ რამეს აკეთებ; ჰოდა, ერთი გვაჩვენე, რა გაგიკეთებიაო?!“...

მერე მოხდა რაღაც კონფლიქტი ილიასა და ვანო მაჩაბელს შორის. როგორ დაიწყო იგი, რა იყო მისი მთავარი მიზეზი, არ ვიცი, მაგრამ ის კი ცხადად ჩანდა, რომ სათავადაზნაურო ბანკის საქმე უკან-უკან მიდიოდა. ვანო მაჩაბელმა განაცხადა, ილიამ დროზე არ იზრუნა ბანკის ბილეთების კონვერსიაზე და ამიტომ მსესხებელნი დაგვარგეთო. ეს ნაწილობრივ მაინც იყო მართალი, მაგრამ იმას კი არ ითვალისწინებდნენ, რომ როცა ადამიანი წლოვანებაში შედის და დამძიმებას იწყებს, მას ვეღარ მოვთხოვთ პირვანდელ ენერგიასა და შრომას; ეს ბუნების წესია. იმის მაგიერ, რომ ილიასათვის პენსია დაენიშნათ და ისე, პატივისცემითა და მათლობით აღენიშნათ მისი დამსახურება, და ამრიგად გამოეცვალათ თავმჯდომარე, მათ საზოგადო კენჭისყრით გაშვება მოუწოდომეს და აშკარა წინააღმდეგნი გახდნენ მისი.

ასე დაიწყო ე.წ. „ბანკოვიადა“. წლიური ანგარიშის განხილვა და შემდგომი ბიუჯეტის მიღება-დამტკიცება, რაც წინათ ორ-სამ სხდომაზე მოთავდებოდა ხოლმე, ახლა სამ თვეს გაგრძელდა. იმ კრებას „Долгий парламент“ დაარქვეს – ინგლისში რომ იყო, იმის მსგავსად. ბჭობის დროს მრავლად აღმოჩნდნენ ისეთები, ვისაც თავისი ორატორული ნიჭის გამოჩენა მოუხდა, და უფრო ხშირად ისეთ საკითხებზე ჰქონდათ მსჯელობა, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო ბანკის საქმეებთან. ბოლოს ზოგი იქამდეც კი მივიდა, რომ თავის შეთხზულ ლექსებსაც ამბობდა კრებაზე. ერთი მათგანი, მგონი, ბაგრატიონის ქალი იყო; სხვებიც იყვნენ, მაგრამ გვარები აღარ მახსოვს. ზოგი ორატორი კი ხშირად გადაუხვევდა და ძირითად საგანს გვერდს აუვლიდა ხოლმე. მაგალითად, მ. მ. ერთხელ ისე შევიდა სიტყვის თქმის ექსტაზში, რომ დაწვრილებით მოგვითხრო, თუ როგორ აჰყვა ერთ საღამოს ძაღლების ყეფას და გადავიდა ხევსურეთში. ეს დაიხვიეს ხელზე და ხშირად ქირდავდნენ მას ფელეტონებში. ერთხელ ილიამაც დაუწერა: „მეც მეტი აღარ დამრჩენია-რა, მ-ვით უნდა ავყვე ძაღლების ყეფასო“. ილია საერთოდ ხშირად კენწლავდა ხოლმე მას: „აი, თავადმა მ-მა რომ მოგვახსენაო“, იტყოდა განზრახ. „არ არის თავადიო“, შესძახებდნენ აქეთ-იქიდან. „არ არისო? ჰოოო, იყოს მერე, რა გვენაღვლებაო!“

შეგნებული ქართველობა დარწმუნებული იყო, რომ ბანკისათვის ორივე ძალიან საჭიროა, ილიაცა და ვანო მაჩაბელიც, და ამიტომ აუცილებლად მიიჩნევდნენ, რომ ისინი როგორმე თანხმობით მოთავსებულიყვნენ თავ-თავიანთ ადგილებზე. საკითხისადმი ასეთი შეგნებული დამოკიდებულება არა ერთხელ დადასტურდა კენჭისყრითაც: ორივეს ირჩევდნენ ხმის უმეტესობით და ვერც ერთმა მეორე ვერ „გააშავა“. მაგრამ ბოლოს ძალზე არანორმალური მდგომარეობა შეიქმნა: გამწვანდა ერთად მოთავსება ორი ადამიანისა, რომელნიც ერთიმეორეს ხმას არა სცემდნენ, თუმცა კი ერთისა და იმავე გამგეობის წევრები იყვნენ.

თითოელი „პარტია“ ცდილობდა, თავისი დამხმარე წევრი გაეყვანა მესამე დირექტორად. იმ დროს მაჩაბლის „პარტიაში“, სხვათა შორის, იყო გენერალი გიორგი თარხნიშვილი, ხოლო ბანკის მესამე დირექტორად ირიცხებოდა სანდრო ჩოლოყაშვილი. ეს უკანასკნელი საკმაოდ ინტელიგენტი კაცი იყო, მაგრამ ქართველობა სრულიად არ ეტყობოდა: ქართული არ იცოდა, უფრო გერმანული ემარჯვებოდა, ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას ეტანებოდა...

საერთოდ ილიაც, ისევე როგორც ყველა, ხშირად ურევდა ხოლმე საუბარში რუსულს; კერძოდ, ბანკშიც ხშირად გამოდიოდა რუსულად და მშვენივრადაც ლაპარაკობდა. თუმცა არა ერთხელ თითონვე შემოუღია წესად, – როდესაც მასთან ვიკრიბებოდით, ხუთშაბათობით, რედაქციის წევრები და სხვები (იმ დღეს რედაქციის სხდომა იყო ხოლმე მის ბინაზე) – ვინც ქართულ საუბარში უცხოურს გამოურევს, ერთი შაური უნდა გადაიხადოსო. ილია თვითონ მიაძახებდა ხოლმე, ვისაც წამოსცდებოდა: „შაური, შაური ამოყაჭეო!“ ასე იცოდა!... ისე სხდომა-საღამო არ გათავდებოდა, რომ ორი თუ სამი მანეთი არ შეგროვებულიყო. რასაკვირველია, თვითონაც ხშირად იხდიდა იმ შაურებს.

მაჩაბლის „პარტიამ“ მოინდომა ჩოლოყაშვილის მაგიერ გიორგი თარხნიშვილის გაყვანა და კიდევაც მოახერხა ეს: თარხნიშვილი გახდა ბანკის მესამე დირექტორი. მაგრამ რაკი ფეხი მოიკიდა ბანკში, მაჩაბელს გადაუდგა, ილიას მიემხრო და ყველა საქმეში უჭერდა მას მხარს.

მაჩაბლის მეორე დიდი მომხრე იყო დიმიტრი მუსხელიშვილი, ფრიად წარჩინებული, არტილერიის გენერალი. მას მუდამ ქებით იხსენიებდნენ, კარგი სახელი ჰქონდა სამხედრო უწყებაში. თან კარგი პატრიოტი ქართველიც იყო, დედაენა კარგად იცოდა და დიდად განირჩეოდა ძმებისაგან. ამ უკანასკნელთაგანაც ორი სამხედრო პირი იყო. ერთ მათგანს, ალექსანდრეს, ცოლად ჰყავდა ნიკო ლოლობერიძის და ანეტა. ალექსანდრე დაკოდილი [დაჭრილი] იყო რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, ხუცუბნის ბრძოლაში. მე გავიცანი უკვე სამსახურიდან გადამდგარი პოლკოვნიკი. მისი მეუღლე – შესანიშნავი, ჭკვიანი, პატიოსანი და დიდი ქველმოქმედი მანდილოსანი, ჩემი გიმნაზიელობის დროს თავმჯდომარეობდა კომიტეტს, რომელიც განაგებდა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლას. მეორე ძმას, გიორგის, აგრეთვე სამხედრო პირს, ბეჟან წერეთლის და ჰყავდა ცოლად. მესამე ძმა, სახელად მგონი ნიკო, არ ვიცი, წინათ რა მოხელე იყო, მაგრამ ჩემ დროს ყველა ამ ძმების მამულს განაგებდა. მათ საერთოდ დიდი მამული ჰქონდათ ახალქალაქის მაზრაში. მუსხელიშვილებს იმიტომ ვიცნობდი კარგად, რომ ერთ წელიწადს რეპეტიტორად ვყავდი მიწვეული ალექსანდრეს, რომელიც უშვილო იყო და თავისი უფროსი ძმის, ნიკოს შვილსა ზრდიდა, ხოლო მისი მეუღლე ანეტა – თავისი ძმის სიმონ ლოლობერიძის ქალს. იმ ქალ-ვაჟს ვამეცადინებდი მე.

დიმიტრი მუსხელიშვილი ხშირად გამოდიოდა ბანკის სხდომაზე ილიას წინააღმდეგ და იტყოდა ხოლმე: „Илья производит давление на собрание“-ო. ილია

ხომ დიდი ოსტატი იყო პასუხების გაცემაში და ერთხელ წარმოსთქვა: „Я не понимаю, о каком давлении тут говорят? Физического давления никто не предпринимает, а если говорят о давлении ума, то против него бессильна вся артиллерия!“ ასე გადაჰკრა არტილერიის გენერალს თავისებური მწვავე მათრახი!

ილიას საზოგადოდ საოცრად მაგარი ნერვები ჰქონდა, ხოლო ვანო მაჩაბელი, პირიქით, ერთობ ფიცხი ადამიანი იყო. ილიამ თავის სიტყვებში მოწინააღმდეგის დანდობა და განკითხვა არ იცოდა. მაჩაბელსაც არ ზოგავდა და ისე გამოჰყავდა მისი ნათქვამი, თითქოს ყველაფერი აბსურდი ყოფილიყოს. ერთხელ ისე აიგდო, რომ რუსულ სათამაშო, „Ванька-встань-ка“-საც კი შეადარა.

საერთოდ კი ამ ბრძოლამ ილია, ბოლოს და ბოლოს, გამოაცოცხლა. თუ ერთ დროს ის მართლაც მიძინებულ ლომს წარმოადგენდა, ახლა ლომმა გაიღვიძა, გაშალა ბრჭყალები და მიფანტ-მოფანტა წინააღმდეგნი. ნერვიულმა ვანო მაჩაბელმა კი ეს ბრძოლა ფიზიკურად ვერ გადაიტანა. თუმცა კენჭისყრით არ გაშავებულა, თავისი ნებით განაცხადა, რომ შორდება ბანკს და მოშორდა კიდეც, დემონსტრატიულად დასტოვა კრება. ილიამ განაცხადა: „მე მასავით არ გავიქცევი; მანამ თქვენი ნდობა მაქვს, აქა ვარ და აქ ვიქნებიო!“

შემდგომი ისტორია ცნობილია: ვანო მაჩაბელმა თავისი ცოლისძმის, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის, ბაგრატიონის დახმარებით შეადგინა ქართლის თავად-აზნაურობის სინდიკატი (ისინი ქართლელი ბაგრატიონები იყვნენ, მგონი მუხრანის შტოისა, მაგრამ უფრო შორებულნი, და ამიტომ არც ეწოდებოდათ მუხრანელები)<sup>61</sup>. სინდიკატის წევრებს მასში შეჰქონდათ თავიანთი შემოსავალი. ვანო მაჩაბელი მისი დირექტორი იყო, მაგრამ ჯამაგირი, რასაკვირველია, შედარებით მცირე ჰქონდა. მერე დაავადმყოფდა, რალაც ბრონქიტი დაემართა, და ბოლოს – ისე მოულოდნელად და საარაკოდ გაქრა, დაიკარგა: ერთ დღეს, დილაადრიან შინიდან გამოსული, აღარ დაბრუნებულა. ძებნის ყოველი ცდა უშედეგოდ დარჩა. ათასგვარი ჭორი გავრცელდა და ეს საკითხი დღემდის გამოურკვეველია.

აკაკი წერეთელი, რა თქმა უნდა, დიდი მომხრე იყო ვანო მაჩაბლისა და ბოლო დროს მასთანაც ედო ბინა. მაგრამ მას ბანკის საქმეებში არავითარი დახმარების გაწევა არ შეეძლო ვანოსათვის. საერთოდ, აკაკის ყოველთვის სჩვეოდა ენამწარეობა, ისე რომ ზოგჯერ თავის მოყვარეთა ძვირსაც ამბობდა ხოლმე. ამის გამო აფორიზმი იყო გავრცელებული და ერთხელ ვალერიან გუნიას გაზეთშიც კი გამოქვეყნდა: „ღმერთმა გვაშოროს ილიას მტრობა და აკაკის მოყვრობაო!...“ ილიამ იცოდა, გურიაში რომ იტყვიან, „მეზერში ჩასდევდა“, მაგრამ – მტერს, ხოლო აკაკი თავის მახლობელსა და მოკეთესაც კი არ დაზოგავდა ხოლმე... მაჩაბლის ბედის შესახებ აკაკისაგან ბევრს მოელოდა ხალხი, მაგას ეცოდინებო, მაგრამ ვერაფერს გაიგებდი: ხან რას იტყოდა – წყალშიაო, ხან რასა და ხან რას!...

\* \*  
\*

---

<sup>61</sup> ბაგრატიონ-დავითიშვილები იყვნენ, ზემო ქართლელები.

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე და თბილისში ჩამოვედი, პირველ ორ წელიწადს ილიას იშვიათად ვხვდავდი ხოლმე, მარტოოდენ კრებებზე. სხვაგან მას ვერსად ვხვდებოდი და არც მის რედაქციაში დავდიოდი. მხოლოდ ერთხელ ვნახე, მახსოვს, სხვებთან ერთად, შემთხვევით, რედაქციაში, რომელიც ფრეილინის ქუჩაზე<sup>62</sup> იმყოფებოდა. იმ საღამოს სულ იმაზე იყო საუბარი, თუ რა დიდად ავნო ნიკო ნიკოლაძის სტატია, გაზეთ „ონჰოპ“-ში დაბეჭდილმა, გიორგი ქართველიშვილსა და ზეზემანს. სტატიაში აღწერილი იყო წარმოუდგენელი ნიაღვარი ატენის ხეობაში, სადაც აღნიშნული პირები ერისთავისაგან იჯარით აღებულ ტყეს ამუშავებდნენ: ნიაღვარმა აუარებელი დამუშავებული ხე-ტყე იმსხვერპლა, მოიტაცა და ადიდებულ მტკვარს შერთო. ამან დიდი ზარალი მიაყენა ქართველიშვილსა და ზეზემანს და მათი წარმოებაც შეწყდა. ნიკოლაძეს დიდად კიცხავდნენ, რაკი თავის სტატიაში საჯაროდ განაცხადა მათი ზარალი და ამით მოიჯარადრეებს კომერციული ნდობა დაუკარგა. მაშინ ხომ კომერციულ საქმიანობაში ნდობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა! მათ ალბათ ბანკიდან სესხი ექნებოდათ აღებული და გაზეთი თუ გაუმჟღავნებდა ზარალს, შემდგომ სესხს ვეღარ მიიღებდნენ. ილია ამბობდა, ნიკოლაძეს ეს არ უნდა ჩაედინათ...

„ივერიის“ რედაქცია შემდეგ გადავიდა ავჭალის ქუჩის<sup>63</sup> დასაწყისში, სულ ახალ სახლში, რომელიც აშენებული იყო ილიას თაოსნობით და მისი დის ელისაბედის, საგინაშვილის ქვრივის საფასით. ილიამ ამ თავისი დის ხარჯითა და მის სახელობაზე ორი სახლი ააშენა. ეს იმ ადგილასაა, რომელსაც ვორონცოვის ხიდი<sup>64</sup> პირდაპირ უცქერის. ერთი სახლი ავჭალის ქუჩაზე გამოდიოდა, მეორე – უკანა ქუჩაზე. მაშინ თბილისში შენობის აგება იაფი იყო. არსებობდა სახლთა მაშენებლების რამდენიმე არტელი, რომლებიც ყველა სამუშაოს თითონ კისრულობდნენ და მზა-მზარეულს ახარებდნენ პატრონს. შემდეგ პატრონები ამ სახლებს ბანკში აგირავებდნენ და მეტწილად ამით იხდიდნენ აშენების ფასს. გირაოს საფასურის შეტანა კი 20–30 წლობით გრძელდებოდა, ასე რომ, არ უძნელდებოდათ. მახსოვს, ილიამ გვიამბო, თუ რა შესანიშნავად, ღირსეულად აუშენა ქართველთა არტელმა ის ორი სახლი – სრულიად ყოველისფრით დამთავრებული – და ბინათა გასაღებები ჩააბარა მას.

პირველ სახლში მოთავსდა ილიას სახლობა, ე.ი. თვით ილია, მისი მეუღლე ოლგა თადეოზის ასული და ილიას და ელისაბედი. შვილი არც ერთს არა ჰყავდა. სახლი ორსართულიანი იყო, მაგრამ სარდაფიცა ჰქონდა, ხოლო შიგნით, ეზოში, მარცხნივ – ორსართულიანი წაგრძელებული დერეფანი, ფლიგელივით. სარდაფსა და დერეფნის ქვედა სართულში გაზეთ „ივერიის“ სტამბა იყო. პირველი შენობის ზედა სართული საგანგებოდ აშენდა ილიას ოჯახისათვის. მისი კაბინეტის კედლები, შესავალს მარცხნივ, დამშვენებული იყო ისტორიული სურათებით: შოთა რუსთაველის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის პორტრეტებით და სხვ. დანარჩენი სამი ბინა – ზედა სართულის მარჯვენა მხარე, პირველი სართული და აგრეთვე ილიას ბინის ქვემოთ მდებარე ბინა – გაქირავებული ჰქონდათ. ზედა მარჯვენა ბინაში, მახსოვს ვეჭილი ალექსანდრე ჭყონია იდგა. სხვა მდგმურები ვინ

---

<sup>62</sup> ახლა სულხან-საბას ქუჩა.

<sup>63</sup> ახლა საბჭოს ქუჩაა, ერთხანს ჩერქეზიშვილის (ჩერქეზოვის) ქუჩაც ერქვა (რედაქციის ყოფილ შენობაზე მემორიალური დაფაა).

<sup>64</sup> ახლა კარლ მარქსის ხიდი.



იყვნენ, არ მაგონდება. ილიას ბინა ფართო ოთახებისაგან შედგებოდა. ეზოს მხრით მას შუშაბანდიანი აივანიც ჰქონდა, ზაფხულობით შუშაბანდს ჩამოიღებდნენ და ზამთრობით ისევ ჩადგამდნენ ხოლმე. დიდი მისაღები დარბაზი ორად იყო გაყოფილი: პირველი ნაწილი მამაკაცებისათვის იყო, მეორე კი ქალების მისაღებს წარმოადგენდა. ამ მისაღებ დარბაზს გასწვრივ, შუშაბანდისაკენ, დიდი სასადილო ოთახი იყო. მასში ხუთშაბათობით იმართებოდა ხოლმე საღამო რედაქციის წევრებისა და თანამშრომლებისათვის, რომელსაც ესწრებოდნენ ილიას სხვა (ბანკისა და ა.შ.) თანამშრომლები თუ მეგობრებიც. იმ საღამოებზე ხშირად კითხულობდნენ პოეტებისა და ლიტერატორთა ახალ ნაწარმოებებს, სტატიებს; იყო მსჯელობა იმდროული ქართული საკითხების შესახებ. ყოველი საღამო თავდებოდა უბრალო ვახშმით, რომლისთვისაც ღვინო ილიას მუდამ საგურამოს მამულიდან ჰქონდა (ახლა რომ მწერალთა სახლი ყოფილა).

ილიას იმ ხუთშაბათ-საღამოებს მე ვესწრებოდი 1890 წლიდან, მას შემდეგ, რაც „ივერია“-ში თანამშრომლობა დავიწყე და ჩემი „სამი ისტორიული ხრონიკა“ გამოვიდა.

ვახშამზე თამადად ყოველთვის ანტონ ფურცელაძე იყო ხოლმე... თუმცა ძალიან მჭევრმეტყველი არ ეთქმოდა... იგი ილიას ძალიან პატივს სცემდა. „ბანკოვიადა“ რომ შეიქნა მაჩაბელსა და ილიას შორის (განსაკუთრებით 1893–1894 წლებში), ანტონმა მაგრად დაუჭირა მხარი ილიას და ამით დაუახლოვდა მას. წინათ ის დამფასებლად იყო საადგილმამულო ბანკში, მაგრამ მერმე დირექტორადაც გავიდა, ხოლო ილიას შემდეგ – რამდენადაც მახსოვს – ბანკის თავმჯდომარეადაც კი... რაც შეეხება მის შემოქმედებას, ანტონი პისარევის მიმდევარი მწერალი იყო, ნიღლისტური მიმართულებისა...

ილიას „ხუთშაბათობა“ დემოკრატიული საღამოები იყო, მაგრამ მას სხვა, უფრო არისტოკრატიული საღამოებიც ჰქონდა ხოლმე. იგი დიდად მიღებული იყო იმ წრეში, რომელშიც შედიოდნენ ქართველი დიდრონი თავადები: თბილისის გუბერნატორი შარვაშიძე, გენერალი ნინიკა (ნიკა) ამილახვარი, გენერალი ზაქარია ჭავჭავაძე (დიდი გენერალი იყო, კორპუსის ყოფილი მეთაური; მის ვაჟიშვილს მაქსი ერქვა სახელად, ქალიშვილი ერთ რუმინელს ჰყავდა ცოლად) და სხვები. ისინი ჩვეულებრივ აწყობდნენ ე. წ. „ჟურ-ფიქსებს“ და ილიას იწვევდნენ ხოლმე. მასაც, რასაკვირველია, სამაგიერო უნდა გადაეხადა და იხდიდა კიდევაც. მაგრამ ასეთ წვეულებაში ქართველი დემოკრატების გარევა მათთვისვე იქნებოდა უხერხული და ილია არც ურევდა.

საზოგადოდ, მთავრობის უმაღლესი წრეები გარკვეულ ანგარიშს უწევდნენ ილიას, ყურს უგდებდნენ მის აზრსა და შუამდგომლობას. მაგრამ ილია მაინც წინდახედული იყო, და თუ რომელიმე უმაღლესი ხელისუფალი უხეშად იქცეოდა, მასთან არავითარ ურთიერთობას არ იქონიებდა, არც ეჩვენებოდა და არც საქმისათვის მივიდოდა. მაგალითად, მთავარმართებელი გოლიცინი ცნობილი იყო, როგორც ნამდვილი „სოლდაფონი“: ვინც არ უნდა ხლებოდა, ყველას უყვიროდა და უკმეხად ელაპარაკებოდა. ისე წავიდა ის გოლიცინი თბილისიდან, რომ ილიას არც გაუცნია იგი და არც რაიმე საქმეზე მისულა, თუმცა თვით გოლიცინს ეწადა მისი გაცნობა და არა ერთხელ უთქვამს თავისი ადიუტანტის, საშიკო ორბელიანისათვის, „გამაცანით ილიაო!“ ვორონცოვ-დაშკოვთან და მის წინამორბედ შერემეტეევთან კი ილია დაახლოებული იყო და ხშირად ქაღალდსაც კი ეთამაშებოდა ხოლმე. ერთხელ თეატრში ყოფილიყო გოლიცინი და თანმხლებ საშიკო ორბელიანს დაენახვებინა შორიდან, მათ პირდაპირ ლოჟაში მჯდარი ილია. გოლიცინს დურბინით შეეხედა

ილიასათვის და ეთქვა: „რა შესანიშნავი თვალები აქვსო!“ ერთადერთი ქართველი არისტოკრატი, რომელიც გოლიცინთან დაიარებოდა, კონსტანტინე (კოწია) მუხრანსკი იყო. გოლიცინიც დადიოდა მის ოჯახში და ძალიან უნდოდა, რომ კოწია გამხდარიყო თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი.

ადრე წინამძღოლად იყო დავით მელიქიშვილი, რომელიც მანამდე ადიუტანტად ჰყავდა მეფისნაცვალსა თუ მთავარმართებელს (ძნელი გასახსენებელია, ხან ერთი ერქვა იმ თანამდებობას და ხან მეორე!). გოლიცინი მასაც უხეშად მოექცა, უყვიროდა ხოლმე და მელიქიშვილმა გათავისუფლება ითხოვა, სამსახურს თავი დაანება. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ მელიქიშვილი ძმისწული იყო ყოფილი მთავარმართებლის მოადგილისა და თან დიდი მომხრე იმისა, რომ ქართველობას რუსეთის მთავრობასთან ლოიალური დამოკიდებულება ჰქონოდა. ხშირად ამბობდა – ლოიალური ქცევით ბევრ რასმე გამოვიტანთ რუსებისაგან, ხოლო ოპოზიციური ქცევით ყველაფერს დავკარგავთო. იგი დიდი მეგობარი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის ვიტესი (რომელიც თბილისელი იყო) და იმას ეუბნებოდა ხოლმე, – ეს ვინ გამოგვიგზავნეთ მთავარმართებლად, ნორმალური კაცი არ არის, გადარეულიაო.

ერთადერთი ქართველი, შედარებით დაბალი წრის წარმომადგენელი, რომელიც დადიოდა გოლიცინთან, იყო დავით სარაჯიშვილი – ჩვენებური ბურჟუაზიის მეთაური. გოლიცინის ძმა დიდი მეურნე იყო, ღვინისა და შამპანურის საქმეს განაგებდა ყირიმში და ძალიან მეგობრობდა სარაჯიშვილს. როდესაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა, აღმოჩნდა, რომ მას გოლიცინის ძმისათვის 70.000 მანეთი ესესხებინა და ის ფული სრულიად დაიკარგა. მემკვიდრეებმა ვერაფერი მიიღეს... თუმცა ასეთი კარგი ურთიერთობა ჰქონდა გოლიცინთან და მის ძმასთან სარაჯიშვილს, მაგრამ ერთხელ ისიც ჩავარდა, რომ იტყვიან „ხათაბალაში“. საქმე ასე იყო: როგორც ცნობილია, სომხის ეკლესიას ძველი დროიდანვე უამრავი უძრავი ქონება-მამულები ჰქონდა და დიდ შემოსავალსაც იღებდა იქიდან. მათ განაგებდა სომეხთა პატრიარქი და შემოსავალს მეტწილად სკოლებს ახმარდა: მთელი მათი მხარე მოფენილი იყო სასულიერო სასწავლებლებით. გოლიცინის წინადადებით, მთავრობამ ჩამოართვა სომხის ეკლესიას ეს უძრავი ქონება და გადარიცხა სახელმწიფო ფონდში (ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას ასეთი ქონება დიდი ხნის ჩამორთმეული ჰქონდა). სომხები ბევრს ეხვეწნენ და ემუდარნენ, დაგვიბრუნეთო, მაგრამ არაფერმა გასჭრა. მაშინ მათ გადაწყვიტეს გოლიცინის მოკვლა – როგორც ამბობდნენ, ნაქირავები, ოსმალეთიდან ჩამოსული დაშნაკების ხელით. თავს დაესხნენ იქ, სადაც კოჯრის გზა იწყება და თავდება გოლიცინის მიერ გაყვანილი ძალიან კარგი ასასვლელით, რომელიც მანამდე ნამეტანი აღმართიანი იყო (ამის მეტი კარგი საქმე ჩვენში გოლიცინს არ გაუკეთებია). იმ გზით უყვარდა ხოლმე თითონ ეტლით გასეირნება კოჯრისაკენ. გოლიცინი ვერ მოკლეს, მაგრამ სასტიკად კი დაჩეხეს სატევრებით, სულ თავ-პირში ურტყეს. თავდამსხმელები კაზაკებმა დახოცეს. დაჭრილი და თავ-ყბაშმეხვეული გოლიცინი კი სასახლეში იწვა. მთელმა ჩინოვნიკობამ და მეგობრებმა, რა თქმა უნდა, თანაგრძნობა გამოუცხადეს. დავით სარაჯიშვილიც, როგორც ოჯახის მეგობარი (მის ცოლთანაც კარგად იყო), ეახლა თანაგრძნობის გამოსაცხადებლად და ნუგეშის საცემად. სხვათა შორის, ასეთი რამეც უთხრა: „Ваше сиятельство (გოლიცინი თავადი იყო), нужно быть очень осторожным, мало ли сумасшедших на свете?“ ამის გაგონებაზე გოლიცინმა თურმე უყვირა: „Ах, вы сумасшедшими называете людей, которых армяне подкупили и направили для моего убийства?!“ ცოლიც შეწუხდა, დავითს ენა ჩაუვარდა და აღარ იცოდა, რა ექნა. ცოლს

უთხრა, მე ნუგეშისცემა მინდოდა, სხვა არაფერი, მომეხმარე, რამენაირად დაამშვიდო!... ძალიან დამახასიათებელი ამბავია! ვერაფერი ნუგეში გამოუვიდა!

თავდასხმის ამბავი მიაფუჩქჩეს, რაკი თავდამსხმელები დახოცილი იყვნენ. ცოტა ხანს მერე გოლიცინიც გადაიყვანეს კავკასიიდან: უხერხულად მიიჩნიეს მისი აქ დატოვება. საერთოდ, მართლაც არ უყვრდა სომხები, წინააღმდეგ ვორონცოვ-დაშკოვისა, რომელიც ძალიან სწყალობდა მათ და თავისი ცოლის გავლენით (რუსის ქალი კი იყო, მაგრამ მეტისმეტად დაახლოებული ჰყავდა სომხის ეპისკოპოსები და ბერები, რომლებიც ყოველმხრივ სარგებლობდნენ ამით და ბევრ საქმეს აკეთებინებდნენ მეფისნაცვალს სომხებისათვის).

დავით სარაჯიშვილის ანდერძის მიხედვით, ჩვენს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას უნდა მიეღო, სხვა თანხის გარდა, აგრეთვე მეოთხედი იმ 70.000 მანეთისა (ე.ი. 17.500 მანეთი), თუკი გოლიცინისაგან მივიღებდით უკან სესხს. მაგრამ, რა თქმა უნდა, გოლიცინს ვალი არ გადაუხდია, მერე რევოლუციამაც მოუსწრო და, როგორც ვთქვი, ის ფული დაიკარგა. ეს მით უფრო საკვირველი იყო, რომ საერთოდ დავით სარაჯიშვილი ფულს არავის ასესხებდა ხოლმე. მაგრამ ეტყობა, რუსის დიდ მოხელეს უარი ვერ უთხრა...

ახლა დავუბრუნდეთ ილიას.

ჩვეულებრივ, როდესაც ქართველებს და მათ შორის საზოგადო მოღვაწეებს რაიმე საქმე ჰქონდათ რუსეთის მთავრობასთან და მოხელეებთან, ილია უნდა წაემძღვარებინათ ხოლმე: უმისოდ მთავრობის წარმომადგენელნი ქართველებს ან არ მიიღებდნენ, ან, თუ მიიღებდნენ, მათ სათხოვარს ყურადღებას არ მიაქცევდნენ. ილიას, ბუნებრივია, დიდად ეზარებოდა ამ როლის შესრულება და ხშირადაც ყოყმანობდა წაყოლაზე, მით უმეტეს, რომ ზოგჯერ აგზავნიდნენ ისეთი საკითხის გამო, რომელსაც იგი ნაკლებ იცნობდა. მაგრამ რაკი სხვა შესაფერისი ადამიანი არა გვყავდა, მაინც ყოველთვის მას აკისრებდნენ ყველა საქმეს.

მოვიყვან ერთ მაგალითს. როდესაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის, ე.ი. თვითმმართველობის დამოუკიდებლობის საკითხი დაისვა, ეს საკითხი დიდხანს იყო მსჯელობის საგანი, ბევრი წიგნი და წერილი დაიბეჭდა ქართულსა თუ რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. წარმოიდგინეთ, ამ საქმეში მედგრად გვეხმარებოდნენ რუსის სლავიანოფილებიც! ისინი არ სცნობდნენ სინოდს, რაკი ძველად რუსეთში პატრიარქის მართველობა იყო, და მოითხოვდნენ პატრიარქობის აღდგენას როგორც რუსეთში, ისე საქართველოში! მათი მეთაური (გვარი არ მახსენდება, დიდად მიღებული და გავლენიანი პირი კი იყო!) სულ ერთთავად იმის პროპაგანდას ეწეოდა, რომ სინოდი უხეშად იქცევა და რომ რუსეთშიცა და საქართველოშიც კვლავ თავ-თავისი საპატრიარქოები უნდა აღდგესო. „საქართველო უძველესი ქრისტიანული სახელმწიფო იყო. მან ქრისტიანობა მაშინ მიიღო, როდესაც რუსეთის სახელმწიფო ჯერ არ არსებობდა და რუსები არც იყვნენ ქრისტიანებიო; მათი ეპისკოპოზი, ყოვლად სამღვდელო კირიონი, რომელიც საქართველოში პატრიარქად უნდა იყოს, ჩვენ მთავრობას სამშობლოდან გამოდევნილი ჰყავს და ემიგრანტობაში იტანჯებაო“. პირდაპირ ასე აცხადებდა ის სლავიანოფილების თავი კაცი (კირიონი ერთხანს შიდა რუსეთში იყო მღვდელმთავრად, მერე იალტაში ვნახე, ხოლო რევოლუციის შემდეგ მართლაც გახდა საქართველოს განახლებული ავტოკეფალური ეკლესიის პირველი კათალიკოსი, თუმცა კი ძალიან ძალე გარდაიცვალა...). სლავიანოფილების ასეთმა პროპაგანდამ და ჩვენმა მოთხოვნამ იმდენად იმოქმედა ნიკოლოზ მეორეზე, რომ მან დანიშნა სპეციალური კომისია, ე.წ. „превсоборная комиссия“, რომელსაც უნდა განეხილა საქართველოს ავტოკეფალიის

საკითხი, ვინაიდან რუსის ჩინოვნიკური სამღვდელთა სინოდის ამტკიცებდა, რომ საქართველოს ეკლესიას არასოდეს ავტოკეფალია არა ჰქონია, რომ იგი მუდამ ანტიოქიისა და სხვა საპატრიარქოებს ეკუთვნოდა და ექვემდებარებოდა და სხვა.

ამ კომისიის სხდომა, როგორც ცნობილია («Церковный Вестник»-ში წერია ეს ამბები), შედგა რუსეთის ერთ-ერთ ქვემო ქალაქში. საქართველოდან მას დაესწრნენ ეპისკოპოსები: ლეონიდე და კირიონი; პროფესორები: ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი... ამ საკითხს შეიძლება სხვა დროსაც დავუბრუნდეთ, ახლა კი ისევ ილიას შესახებ ვიტყვი.

ჩვენ გვინდოდა, რომ საქართველოსათვის ამ საკითხში მხარი დაეჭირა მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვსაც. ვაწყობდით კრებებს, ილიას თანდასწრებით, ვაგროვებდით ცნობებს და ილიას ვაკისრებდით, პირადად მოლაპარაკებოდა ამ საკითხზე ვორონცოვ-დაშკოვს. ილია უარზე იდგა და გვეუბნებოდა, მაგ თქვენი „კეფალიისა“ (ასე უწოდებდა ირონიულად ავტოკეფალიას) არა გამეგება რა და ვინმე სხვა მიგზავნეთო. მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია, არ მოვეშვიტეთ და ბოლოს ვაიძულეთ ილია დათანხმებულიყო. თან, რაც შეგვეძლო, ვუხსნიდით და ვუმარტავდით საქმის არსს. ბოლოს ილია წავიდა მეფისნაცვალთან. დიდხანს ესაუბრნა მასთან. ვორონცოვ-დაშკოვს ეთქვა, დამარწმუნეთ, რომ ეგ ავტოკეფალია სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც და მაშინ დაგიჭერთ მხარსო. ილიას ეპასუხნა, მე კი დამარწმუნეს, რომ საჭიროც არის და სასარგებლოცაო. მერმე შექნოდათ მსჯელობა. ბოლოს ილიამ მოგვიტანა ამბავი: „ამ ვორონცოვმა ყველა გარემოება ჩვენზე უკეთ იცის და პირში ბურთი ჩაგვჩარაო; მითხრა, ეკლესია ღმერთს ეხვეწება ყველა ქრისტიანული ეკლესიის შეერთებას და თქვენ კი არსებული ერთობის დაშლა გსურთო; განა გაგონილა, ერთ მართლმადიდებელ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა საკათალიკოსო არსებობდესო?“ ეს რომ მოვისმინე, შევეკითხე: „ბატონო ილია, განა არ უთხარით, რომ ბიზანტია ერთი სამართლმადიდებლო სახელმწიფო იყო, მაგრამ მასში ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა: კონსტანტინეპოლისა, იერუსალიმისა, ანტიოქიისა და ალექსანდრიის-მეთქი?“ ამაზე ილია ცოტა შეჩერდა, შემომხედა თვალებში და მიპასუხა: „აკი გითხარით, მაგ თქვენი კეფალიისა არაფერი მესმის და ნუ გამგზავნით-მეთქი?!“ საერთოდ არ ეხალისებოდა აღიარება, თუ რამეში შეცდებოდა ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში კი გამოტყდა. რა თქმა უნდა, ილიამ იცოდა ეს ყოველივე, მაგრამ მეფისნაცვალთან საუბრისას აღარ მოაგონდა. ყველაფერი ხომ არ გაგახსენდება კაცს?! – მით უმეტეს, ასეთი ოფიციალური მიღების დროს!..

ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტეთ დიდი დემონსტრაცია მოგვეწყო და ავტოკეფალია მოგვეთხოვა. თან უნდა წაგველო ბაირალები და პლაკატები წარწერებით: „აღვიდგინეთ ავტოკეფალია“ და სხვ. წამოიჭრა საკითხი: ვინ უნდა გასძლიოდა წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციას? ილიამ გვითხრა: „თუ საჭიროა, მე წაგიძღვებითო!“

ამ მსჯელობაში მონაწილეობდნენ: ქართველი სამღვდელთა სამღვდელთა წარმომადგენლები, ქართველი მასწავლებლები, მრევლთა წარმომადგენლები, ცალკეული მორწმუნენი. ილიას ბინაზე ვიკრიბებოდით ხოლმე. გვესწრებოდა ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე (დეკანოზ დავით ღამბაშიძის შურნალ „მწყემსი“-ს რედაქტორის შვილი), რომელიც კარგად ერკვეოდა საეკლესიო საკითხებში და უხსნიდა ილიას, ჩრდილოეთის საპატრიარქოს ჩვენი, ბევრად უფრო ძველი ეკლესიის გამგებლობის უფლება არა აქვსო. იაკობ გოგებაშვილიც ესწრებოდა ხოლმე სხდომებს და

მონაწილეობდა მსჯელობაში და ბევრი სხვაც. ერთი სიტყვით, ფართო საზოგადოება იყო ამ საქმეში ჩაბმული.

მაგრამ განზრახული დემონსტრაციის მოწყობა აღარ დაგვჭირდა, ვინაიდან ჯერ იყო და 1905 წლის რევოლუციამ სასტიკი ხასიათი მიიღო და ბოლოს კი, 1917 წელს, საქართველოს ეკლესია, ასე ვთქვათ, რევოლუციურად ჩამოშორდა რუსეთისას.

ილიას განცხადებამ, „მე წაგიძვებითო“, ყველა გააკვირვა იმიტომ, რომ ის უფრო თავდაჭერილ კაცად მიაჩნდათ.

წ./კ. საზ-ბის გამგეობის კრებაზე ილიას დასწრება იმდენად საჭირო არ იყო, რამდენადაც მისი წასვლა ადმინისტრაციულ პირებთან, რომელნიც ხშირად ერეოდნენ საზოგადოების საქმეში და ხელს გვიშლიდნენ. ასეთები იყვნენ სახალხო ინსპექტორები, მზრუნველი, მისი თანაშემწენი, ექზარქოსი და სხვები. ილია საქმეებით მეტად დატვირთული იყო და ხშირად ვერ ახერხებდა ყველა ამ პირთან სიარულს.

ერთხელ ი. გოგებაშვილმა მიმიწვია კრებაზე, რომელსაც დაესწრო დაახლოებით 30 კაცი. ამ კრებაზე მან განაცხადა: „ჩვენ საქმეები ძალიან ცუდად მიდის, კაცი არა გვყავს, რომ სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენლებთან განუწყვეტლივ იაროს ან ჩვენ წაგვყვეს, რომ მათ ჩვენი ჭირ-ვარამი ავუხსნათ და უსამართლობაზე ხელი ავალეზინოთო. ილია საქმეებით არის დატვირთული და მას ასე ხშირად ვერ ვაწუხებთ და თუ კაცი ვერ ვიშოვეთ, რომელსაც მთავრობა ასე თუ ისე ანგარიშს გაუწევს, ვერაფერს ვერ გავხდებითო“.

ვანო მაჩაბელმა თქვა: „ასეთი კაცი ჩვენ გვყავს. ეს არის თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი შაქრო მაღალაშვილი. თუ მას ამოირჩევთ წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარედ, დიდად გამოგვადგებაო“.

გადაწყვიტეს, ის აერჩიათ თავმჯდომარედ. ვ. მაჩაბელს წინასწარ ამის ნება არ უთხოვია მაღალაშვილისაგან, რომელიც კარგ განწყობილებაში იყო ილიასთან და ამიტომ შეიძლება თავმჯდომარეობაზე არ დათანხმებულიყო, მაგრამ ვანო დარწმუნებული იყო, რომ მაღალაშვილი უარს არ იტყოდა, თუკი მას ამოირჩევდნენ. დადგა არჩევნების დღე. ილია თავმჯდომარეობდა. სხვა საქმეები რომ გათავდა, ჯერი მიდგა თავმჯდომარის არჩევაზე. მაშინ კანდიდატების წინდაწინ დასახელება არ იყო მიღებული, დამსწრეთ ბარათებით უნდა დაესახელებინათ, ვინ უნდოდათ თავმჯდომარედ. ჩატარდა არჩევნები და შეკრიბეს ბარათები. ილიამ დაიწყო ბარათების კითხვა. მდივანი წერდა ხმათა ანგარიშს. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ილიამ მეტი ხმა მიიღო, ვიდრე მაღალაშვილმა და ამგვარად, ისევ ილია დარჩა თავმჯდომარედ.

ეს პირველი კრება იყო, რომელზედაც საზოგადოების თავმჯდომარედ სხვა კანდიდატი იყო დასახელებული მის წინააღმდეგ და ამან ილიაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მართლაც, დიდი უხერხულობა იყო იმაში, რომ ახალი თავმჯდომარე დასახელებული იყო ილიასთან წინასწარ შეუთანხმებლად, რომელსაც ასეთი განსაკუთრებული, განუზომლად დიდი ღვაწლი მიუძღოდა საზოგადოების წინაშე.

როდესაც ილია აირჩიეს უმაღლესი საბჭოს სათათბიროს წევრად, წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარეობიდან გადადგა, მის მაგიერ კი გიორგი ყაზბეგი იქნა არჩეული.

ბოლო ხანებში მეფის რუსეთის მთავრობა უკვე დიდი ეჭვით უცქერდა ილიას და თვალყურს ადევნებდა მის მოქმედებას.

მაგონდება ილიას მონაწილეობა გაბრიელ ეპისკოპოსის (ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძის) დაკრძალვაში და ცოტა რამე ამის შესახებაც უნდა ვთქვა.

გაბრიელ ეპისკოპოსზე ილია დიდი აზრისა იყო. ერთ ხუთშაბათ საღამოს რომ ვიყავით ილიასთან შეკრებილი, წამოიჭრა საკითხი: მთავრობა უწევს რაიმე ანგარიშს ქართველ მოღვაწეთა ნათქვამს თუ არაო? ილიამ სთქვა: „კაცმა იცისო! მაგალითად, რასაც გაბრიელ ეპისკოპოსი იტყვის, იმას დიდ ანგარიშს უწევენო. ეკლესიის საკითხებში ანგარიშს უწევენ ნიკო ამილახვარსაცო“. ის ნიკო ამილახვარი დიდი მორწმუნე კაცი იყო და პირდაპირ ეგზარქოსსა და ეკლესიის სხვა მეთაურებს მიმართავდა ხოლმე, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა. ერთხანს ხომ აკრძალეს ლოცვანისა და სხვა საეკლესიო წიგნების ქართულად ბეჭდვა! ჰოდა, ნიკო ამილახვარმაც უთხრა ეგზარქოსს: „Я перестал молиться, потому, что мой грузинский напечатанный молитвенник истрепался, Ваш русский молитвенник я не понимаю, а Вы приостановили издание молитвенников на грузинском языке!“ ეგზარქოსი ამ სიტყვებზე შემკრთალიყო და ეთქვა: „Никогда не запрещал издание грузинского молитвенника, это недоразумение!“ მაშინვე გაეცა ლოცვანის დაბეჭდვის ბრძანება.

გაბრიელ ეპისკოპოსი რომ გარდაიცვალა (1896 წ.), ქუთაისის ინტელიგენციამ ერთობ დააყოვნა მისი დამარხვა, რათა საუკეთესოდ მოემზადებინა ქართველი ხალხი მიცვალებულის პატივსაცემად: სასტიკი, გაჭიანურებული ზამთარი იდგა და უგზობის გამო ხალხი ვერ ჩადიოდა. დამარხვა იმა წლის მაისში მოხდა მხოლოდ, გელათის მონასტერში. ბოლოს, როდესაც როგორც იქნა, დანიშნეს დაკრძალვის დღე, თბილისის ყველა დაწესებულებიდან წავედით დეპუტატები და ჩვენ შორის, რა თქმა უნდა, ილიაც. მას გამზადებული ჰქონდა სიტყვა, რომელიც საფლავზე უნდა ეთქვა, მიცვალებულის ცხედარი ძვალ-ტყავად ჩანდა, არც შექანებულიყო, ისე, ცივად იყო შენახული. მართალია, მღვდელმთავარს არ შეშვენიოდა ასეთი გაუთავებელი გლოვა, მაგრამ ქართველების – მეტადრე დასავლელების – ამბავი ხომ მოგეხსენებათ ამ საკითხში, იმხანად?!

მატარებელში ერთად შევიყარენით: მე, ილია ჭავჭავაძე, ლევან ჯანდიერი, ვანო რატიშვილი, ანდრია ღულაძე და სხვები აღარ მახსოვს. ლევან ჯანდიერი თბილისის მაზრის უფროსი იყო, ილიას დიდი მეგობარი და ერთგული მომხრე; უაღრესად კარგი, ჭკვიანი და საზრიანი ქართველი, ნამდვილი საქმის კაცი, უკეთესი არ შეიძლებოდა. მისი თაოსნობა იყო, მთიულები რომ გადმოასახლა მანგლისის მხარეში და კავთისხევში. ივანე რატიშვილი, მასწავლებელი, მე დავნიშნე სათავადაზნაურო სკოლის დეპუტატად გაბრიელის დაკრძალვაზე. ძალიან კარგი, რაღაც ღვთიური კაცი იყო და ასეთ სიტყვებს ხომ შესანიშნავად ამბობდა ხოლმე! სულ სხვანაირი იყო ანდრია ღულაძე – ნაკლებ განათლებული, მაგრამ დიდი ფართი-ფურთისა და პრეტენზიის კაცი. ხან რას აკეთებდა, ხან რას: ერთ დროს საბავშვო ჟურნალს სცემდა<sup>65</sup>, მერე ცენზორი იყო, იმხანად კი რომელიღაც უცხო გაზეთების თუ სხვა რაღაცის კორესპონდენტად მუშაობდა და ასე... სრულიად არ ჰგავდა იგი თავის ძმას – იაკობს, პედაგოგს, გიმნაზიის ინსპექტორს, დიდად განათლებულ კაცს... სწორედ გელათს ჩვენი გამგზავრების წინ გაეგზავნა ანდრიას დეპეშა საზღვარგარეთული გაზეთებისათვის, ერთ-ერთი უცხოელი

---

<sup>65</sup> ჟურნ. «ნობათი».

კორესპონდენტის შესახებ: „თბილისიდან ინდოეთში გაემგზავრა და ამას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სამხრეთი აზიისთვის“. ეს შენიშვნა უკვე თავის მხრივ დაუროთ, ვითომდა საქმეში ჩახედულობის გამოსამქლავებლად. ილიას უყვარდა ასეთი პრეტენზიების მქონე „ინტელიგენტების“ გაქირდვა და გზაში სულ ეკითხებოდა: „როგორ იყო, ანდრია, დიდ პოლიტიკურ ფაქტად რომ გამოაცხადე იმ კორესპონდენტის ინდოეთში წასვლა?“ ისიც იცინოდა, აბა რას იტყოდა? აკაკიმაც იცოდა ხოლმე ანდრია ღულამეზე ოხუნჯობა... ანდრიას დიდ პატრიოტად მოჰქონდა თავი. სხვათა შორის, ძალიან უყვარდა სამგლოვიარო პროცესების მოწყობის გამგეობა და სხვა ასეთი საქმეები და ჩვენც მართლა პატრიოტი გვეგონა... ჩვენს ხანში შესულ ქალებსაც მოსწონდათ. ერთმა ასეთმა ქალმა, რომელიც პოეტობდა, შეიყვარა კიდევაც...

მატარებელში ვიღაცა ჩვენგანს ცხიკვება აუვარდა. ცივი დარი იყო. ილიამ სთქვა, მაგისი არაფერი ვიციო, ე.ი. ჩემს დღეში ცხვირს არ მაცემინებსო. მაგრამ გელათში რომ ავედით, მეორე დღეს, იქ ილიამაც დააცემინა ცხვირს – სინოტივე იყო და ალბათ იმის გამო. მაშინ თქვა, „გუშინ ტყუილად დავიკვებეო!“

ჩვენთან ერთად მოდიოდა კიდევ ნიკო ლოღობერიძე და მან გვიმასპინძლა ქუთაისში. თბილისიდან საღამოს გასულნი ქუთაისში დილას ჩავედით და მაშინვე გავემგზავრეთ ეტლებით გელათისაკენ. ცოტა თოვლი ჯერ კიდევ იდო გზაზე.

იმ დროს ქუთაისის პოლიცემისტერად იყო, თუ არ ვცდები, ვინმე სიმონიშვილი, რომელსაც ქართველებს შორის ძალიან ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, დამსახურებისათვის ყველაფერს ჩაიდენსო. ლევან ჯანდიერს შეეტყო და ჩვენც გვაცნობა, რომ იმ სიმონიშვილს თბილისიდან ზედიზედ მისდიოდა დეპეშები: „Следить за Ильей Чавчавадзе и записать каждое слово, что он скажет“ .

გაბრიელ ეპისკოპოსის ცხედარი, რა თქმა უნდა, გელათის ეკლესიაში იყო დასვენებული, საკურთხეველის წინ. ხალხი მოდიოდა, მჭიდროდ ერტყმოდა კუბოს გარშემო და იყო გაუთავებელი სიტყვები. ზედიზედ გამოდიოდნენ იმერელი ახალგაზრდები თუ სხვები და უზომოდ ენამზებოდნენ, რომ საუკეთესო ორატორებად ეჩვენებინათ თავი. როგორც აღვნიშნე, ეს, რა თქმა უნდა, სრულიად არ შეეფერებოდა ეპისკოპოსს და მეტადრე ასკეტური სულისკვეთებით გამსჭვალულ გაბრიელს, რომელიც სიცოცხლეში სწორედ რომ არ თანაუგრძნობდა ხოლმე ასეთ საქციელს.

ამ მდგომარეობაში ვიყავით, რომ საღამო შემოგვესწრო და ილიამ გვითხრა: „ჩემი სიტყვის თქმა აღარ ღირს, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ დავიცადოთ და მერე კი წავიდეთ“. ბოლოს მანვე გვითხრა, „მივიდეთ ახლა და გამოვეთხოვოთ მიცვალებულსაო“. მე წინდაწინ მივედი კუბოს ირგვლივ შემორტყმულ ხალხთან, რამდენადმე გავთიშე იგი და ხმამაღლა დავიძახე: „ბატონებო, ცოტა ჩამოდექით და გზა მოგვეცით, ბატონს ილია ჭავჭავაძეს აქვს სიტყვა-მეთქი“. ერთი სიტყვით, „პროვოკაცია“ მოვუწყე ილიას! ხალხი მაშინვე გაიშალა, ილიაც წამოდგა და წარმოსთქვა სიტყვა. მას დიდი პატივისცემითა და აღტაცებით მოუსმინა დიდძალმა ხალხმა, როელსაც გაეჭედა ეკლესია. ლევან ჯანდიერს ეს ძალიან იამა და მადლობა მითხრა, რომ ვაიძულე ილია და ვათქმევინე სიტყვა. ეს უკანასკნელი მართლაც შესანიშნავი იყო, კარგად ჰქონდა ილიას მომზადებული და წინასწარვე გაგვაცნო; მერე დაიბეჭდა კიდევაც. თითონ ილიაც კმაყოფილი დარჩა, რომ სთქვა.

გელათში მცირეოდენი გვასაუზმეს, მაგრამ არ გვეყო და ქუთაისში მოშივებულნი ჩამოვედით. ნიკო ლოღობერიძემ სადილის საქმელად შეგვიყვანა ხიდის მახლობლად მდებარე სასტუმროში. შევედით დარბაზში, რომელიც იმავე

დროს სასადილოც იყო და დავინახეთ, რომ სუფრას მრავლად შემოსხდომოდნენ მოქეიფენი პოეტ გიორგი შარვაშიძის მეთაურობით. მათ შორის იყო ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი იასონ გელოვანიც. უკვე ყველანი შემთვრალიყვნენ და მალიმალ გალობდნენ საეკლესიო ჰანგს: „განუსვენე, უფალო, სულსა მიცვალებულისა მონისა შენისასაო“. რომ დაგვინახეს, ყველანი წამოდგნენ და შარვაშიძემ წამოიძახა: „ო-ო-ო, ილია გრიგორიჩ! რა სასიამოვნო სტუმარია! აბა, ახალი სუფრაო!“ მივუჯექით მაგიდას. მთვრალმა მასპინძლებმა დაადგინეს, რომ ჯერ დაგველია იმათი სადღეგრძელო, ვინც იქ ჩვენ შესვლამდე ისხდნენ და მერე განეგრძოთ სადღეგრძელოები. მაგრამ ილიას სადღეგრძელო მაინც პირველად შესვეს. კაი გვარიანი ჭიქები იყო; ხუთ-ხუთი დაგვიდგეს თეფშზე და შემოგვთავაზეს დალევა, მაგრამ ნიკო ლოღობერიძემ სთხოვა, მშვირები ვართ, ცოტა გვაცალეთ, საჭმელი ვჭამოთ და მერე ყველას გაიხლებითო. დაგვეთანხმდნენ. ილია ჩვეულებრივ მადიანად შეუდგა ჭამას და თან ღვინოსაც უანგარიშოდ სვამდა. იმ ლაპარაკსა და სმაში ჩემ გვერდით მჯდომმა ნიკო ლოღობერიძემ გადაუჩურჩულა ლაქიას, ილიას ააცილეთ ის ხუთი ჭიქაო: ეშინოდათ, არ აწყინოსო. ლაქიამ მართლაც მოახერხა ილიასათვის იმ ხუთი ჭიქის აცილება და სხვებმაც, ჩვენთან მოსულებმა, ვისაც არ შეეძლო სმა, უარი თქვეს – მათ შორის, რა თქმა უნდა, ნიკო ლოღობერიძემაც, რომელსაც გული სუსტი ჰქონდა და ღვინო სწყენდა. უარი სთქვა მისმა ძმამაც, სიმონ ლოღობერიძემ, რომელიც წინათ ისტორიას ასწავლიდა ქუთაისის გიმნაზიაში. იმ დროს უკვე გადამდგარიყო სახელმწიფო სამსახურიდან და კერძო სათავადაზნაურო სკოლის გამგედ იყო დანიშნული. თამადას, გიორგი შერვაშიძეს ღვინო მოკიდებული ჰქონდა და მკვახედ მიმართა სიმონ ლოღობერიძეს: „ასე, თქვენ არასოდეს არ გვიჭერთ მხარს საზოგადო საქმეებშიო“ და ამისთანები... მერე მოყვნენ ჩვენ სადღეგრძელოებს და როდესაც ილიას ერთი ჩვენგანის სადღეგრძელო-ღა დარჩა დაუღეველი, უთხრეს, მიირთვიო. ილიამ უპასუხა: „დიდი სიამოვნებით გაიხლებით, მაგრამ გულს მაკლია, რომ პირველად დასაღევი ხუთი ჭიქა არ შემისვამსო“. – „ა-ტა-ტა-ტა, ეგ როგორ მოხდა, ახლავე მოართვით ილიას ის ხუთი ჭიქაო!“ – დაიძახა თამადამ, ნიკო ლოღობერიძემ, ხელი წამკრა და მითხრა: „საკვირველი კაცია ეს ილიაო!“ მოართვეს „აცილებული“ ხუთი ჭიქა, ილიამაც ნელ-ნელა, გემრიელად შესვა და ბოლოს იმ ჩვენი ამხანაგის სადღეგრძელოც დალია... მართლაც საოცარი კაცი იყო! „გულს მაკლიაო“, დინჯად, სერიოზულად უთხრა: არ უნდოდა, რომ ვისმე ჩამორჩენოდა იქა!

ილია სიმონ ლოღობერიძის ბინაზე მოათავსეს. მე მეორე დღეს, ადრევე გამოვბრუნდი თბილისს, ილია კი იქ დარჩა, არ მახსოვს, რამდენ დღეს. მისთვის ჩვენებინათ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა და სხვა მეგობრები...

გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ ორიოდ სიტყვა კიდევ უნდა ვთქვა: პირველად იგი ახლო ვნახე საღმრთო რჯულის გამოცდის დროს, როდესაც ოთხკლასიან პროგიმნაზიას ვათავებდი ქუთაისში. ის გამოცდაზე დასასწრებად სკოლის ინსპექტორმა იუდინმა და საღმრთო სჯულის მასწავლებელმა მოიწვიეს. მართლმადიდებელი შეგირდები სულ ხუთი ვიყავით: მე, იოსებ დადიანი, შარუხია, გორგასლიძე და ერთი რუსი (გვარი არ მახსოვს). ყველანი ერთად დაგვაყენეს გაბრიელის წინ (ისე მოისურვა მან). გაბრიელთან იჯდა ინსპექტორი, მაჭავარიანი კი თავზე გვედგა. ჯერ გვარები წაიკითხა, ჩემი გვარის შესახებ თქვა: „ეს გურულიაო“. დაგვიწყეს გამოცდა: გვათქმევინეს ლოცვები, გვაამბობინეს სამღვთო ისტორიის მოთხრობები; მერე გაბრიელმა გვკითხა, თუ რა სასწაულები მოახდინა იესო ქრისტემ. ჩვენც დაწვრილებით ჩამოვუთვალეთ, რაც ვიცოდით. მან გვითხრა: „Такие



чудеса и другие святые совершали, – და დასძინა: а какое такое чудо совершил, какого никто, кроме него, не совершил?“

ამ კითხვაზე ჩვენ მხოლოდ განვიმეორეთ ის, რაც წინეთ გვექონდა ნათქვამი: „Слепых прозревал, бесноватых исцелял, Лазаря воскресил“... და სხვა. – „Нет, нет! Это и другие делали“.

ჩვენ გაკვირვებით შევხედეთ ჩვენს მასწავლებელს მაჭავარიანს, რომლისგანაც ასეთი კითხვა არ გვსმენოდა, და, რა თქმა უნდა, არც მისი პასუხი. მასაც გაკვირვება ეტყობოდა და ცხადი იყო, არც მან იცოდა, რა პასუხი უნდა მიგვეცა. რაკი ჩვენ ვერას გავხდით, გაბრიელმა თვით მოგვცა პასუხი:

„Себя воскресил! Себя воскресил!“

მე ვერ წარმომედგინა, რომ მკვდარი კაცი თავის თავს გააცოცხლებდა, ის სხვას უნდა გაეცოცხლებინა, მაგრამ პირდაპირ ამისი ხმამაღლა განცხადება ვერ გავბედე და თავჩაღუნულმა ჩავილაპარაკე:

– „Ведь у Христа был отец, Бог отец! Он его воскресил“. გაბრიელმა განმარტა: „Бог отец, Бог Сын и Дух Святой одно единое Божество. Бог Сын явился на земле в образе человека, чтобы своим страданием искупить род человеческий; после распятия в нем умерла человеческая природа и не божественная, и эта божественная природа снова воскресила себя в образе человека, чтобы показаться своим ученикам и убедить их и весь мир, что Бог не умирает и не глазах учеников в образе человека вознесся на небо и в образе человека явится в мир во время второго пришествия“... და სხვა.

შემდეგ გაბრიელი მე აღარ მინახავს, მაგრამ სხვებისაგან გამიგონია, რომ მან ასეთი კითხვების წამოყენება სხვა გამოცდების დროსაც იცოდა.

გაბრიელი სპეტაკი ზნეობის მღვდელმთავარი იყო და ვერ ურიგდებოდა მისი დროის იმ მღვდელმთავრებს, რომელთაც ასეთი ზნეობა აკლდათ. მის დროს სამეგრელოს მღვდელმთავრად იყო გრიგოლ დადიანი, რომელსაც ბევრ უზნეობას სწამებდნენ. გაბრიელს ჩამოეგდო ამის შესახებ მასთან ლაპარაკი. დადიანს ეს შეურაცხყოფად მიეღო და ეთქვა: „მეც ისეთივე მღვდელმთავარი ვარ, როგორც თქვენ, და ასეთი ამბავი ჩვენს შორის არ ეგებისო“. გაბრიელს უპასუხია: „მართალია, მღვდელმთავარი კი ხართ, მაგრამ პავლე მოციქული ამბობს, ვამხილოთ ერთმანეთიო“.

ახლა ზოგი რამ ილიას ოჯახური ცხოვრების შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემ დროს ილია თბილისში ცხოვრობდა თავის მიერ აშენებულ, მაგრამ დის კუთვნილ სახლში. არ ვიცი, უწინაც მასთან ერთად იდგა მისი და თუ არა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ იმ ახალ ბინაში ოჯახს მაინცდამაინც შეხმატკბილებული ცხოვრება არ ჰქონია. მათი შინაური ამბები ვიცი ელენე გიორგის ასული ჯაბადარისაგან. იგი რუსის ქალი იყო, სპირიდონ ჯაბადარის მეუღლე. სათავადაზნაურო სკოლის გამგეს, ჩემს წინამორბედს ალექსი ჭიჭინაძეს მიეწვია ილიას რეკომენდაციით სკოლის პანსიონის ეკონომად და ჩემ დროსაც სულ ბოლომდე იყო ის ქალი იმ თანამდებობაზე. სპირიდონ ჯაბადარი დიდი მეგობარი ყოფილიყო ილიასი და ერთი იმ, მასთან დაახლოებულ მოღვაწეთაგანი, რომელნიც ილიასთან ერთად ზრუნავდნენ საქართველოს საქმეებზე. ესენი იყვნენ: გიორგი ყაზბეგი, ივანე პოლტარაცკი<sup>66</sup>, ნიკო ლოლობერიძე, დავით ყიფიანი, აკაკი წერეთელი,

---

<sup>66</sup> ივანე პოლტარაცკის, ე. თაყაიშვილის სიმამრს, თავის დროზე დაუწყია მოგონებათა წერა, რომელშიც, სხვათა შორის, ასეთი ადგილიც ყოფილა: ჩვენი საუკეთესო მეგობრის, სპირიდონ

პეტრე ნაკაშიძე (ილია ნაკაშიძის მამა, ილია ჭავჭავაძის დიდი მეგობარი), ილია წინამძღვრიშვილი, სერგეი მესხი და სხვები. მაგრამ ჯაბადარი ოჯახურადაც ახლოს იყო დაკავშირებული ილიასთან: მათი ცოლები მეგობრები იყვნენ: ელენე ჯაბადარი ჯეროვნად განათლებული ქალი იყო, კარგად იცოდა ფრანგული ენა, კარგად ესმოდა და მეტად უყვარდა მუსიკა, გასაოცარი ენერჯის პატრონი იყო, დიდად პატიოსანი, შეგნებული და კაცთმოყვარე. პანსიონერ ბავშვებს ნამდვილ დედობას უწევდა. ილიასთან და მის ცოლთან სიახლოვე სიკვდილამდე არ შეუწელებია და ქმრის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო განამტკიცა. ყოველ კვირა დღეს (როდესაც იგი სამსახურისაგან თავისუფალი იყო) სადილად ეწვეოდა ხოლმე მათ. ილიას მეუღლე ოლღაც ორ დღეში ერთხელ უსათუოდ მივიდოდა ელენესთან, მას შესჩიოდა თავის დარდებს. რაც რამე ვიცი ილიას ოჯახური ცხოვრების შესახებ, ყველაფერი იმ ელენესაგან მაქვს გაგონილი...

როგორ იხმარდა ილიას და ელისაბედი თავის შემოსავალს, ან რა ხარჯს ეწეოდა ილიასთან ერთად ცხოვრებისას, არ ვიცი. ერთი კი ცხადია, რომ ილია მის სახლში იდგა და ბინის ქირას არ იხდიდა. სანოვაგე კი – პური, ღვინო, ხილი, ქათამი, ინდოური, გოჭი და სხვა – ილიას სულ ოლღას მამულიდან, საგურამოდან ჩამოსდიოდა ხოლმე.

ილიას გაგიჟებით უყვარდა საგურამოს მამული და დიდი მეურნეობაც ჰქონდა მოწყობილი იქ. მან, პირველ ყოვლისა, მშვენიერი სასახლე აიშენა. მამულიც მართლა შესანიშნავი იყო – ლამაზი მდებარეობით, ჰავითა და მოსავლით. მაგრამ ილია მთელ იმ რთულ მეურნეობას მოურავების ხელით აწარმოებდა და ისინი, რა თქმა უნდა, ხერხს არ აყრიდნენ საქმეს.

ილია გატაცების კაცი იყო მეურნეობაში: როგორც კი ამოიკითხავდა გაზეთში ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოღების შესახებ, უსათუოდ გამოიწერდა და გაუგზავნიდა ხოლმე მოურავს. მოურავებს მათი გამოყენებისა არაფერი გაეგებოდათ და იარაღებიც სულ მალე ფუჭდებოდა – ხან ერთი ხრახნი დაეკარგებოდათ, ხან მეორე და შემკეთებელიც არავინ იყო. რასაკვირველია, ყველა იარაღის მოხმარებას თავისი სპეციალისტი სჭირდება და ეს სპეციალისტები კი

---

ჯაბადარის გვამს ვუდგავართ გარშემო (ჩამოთვლილია ზემოთ ხსენებული გვარები), ყველა 50 წელს გადაცილებულნი ვართ და ძალაუნებურად ვფიქრობთ, აბა, ვინ წავა შემდეგო. ვგრძნობ, რომ ვალდებული ვარ, ბევრი რამ გავიხსენო და დავწერო. მოგონებებს თურმე გიმნაზიის წლებიდან იწყებდა: თვეში 3 მანეთი გვეძლეოდა, ოღონდ გვემეცადინაო. ქართველ თავად-აზნაურთა შვილებთან ერთად უსწავლია. მის ამხანაგებს მშობლები ურმებით უზგავნიდნენ თურმე სანოვაგეს პანსიონში და ა. შ.

გარდა ამ მოგონებებისა, ივ. პოლტარაცკის ვაჟს, ალექსანდრეს (ე. თაყაიშვილის ცოლისძმას) ჰქონია მამამისის მიერ რუსულად ნათარგმნი «გლახის ნაამბობი», «კაცია-ადამიანი?!» და «ოთარაანთ ქვრივი». ჰქონია აგრეთვე შავი დედანი თუ პირი მისი წერილისა ჟურნალ «Вестник Европы»-ს რედაქტორისადმი, რომელშიც თურმე „ძალიან გულთბილად და გულისამაჩუყებლად“ სწერდა საქართველოს შესახებ და სთხოვდა, დაებეჭდა ჟურნალში მისი ზემოთ ჩამოთვლილი თარგმანები. თარგმანის ხელნაწერთა აშიებზე ილიას შენიშვნა-შესწორებანი ყოფილა. თარგმანები საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმს შეუძენია ა. პოლტარაცკისაგან, ხოლო მოგონებანი და წერილი 1937 წელს, ილიას სამზადისის დროს, გ. ლეონიძის მეშვეობით კრებულ «ლიტერატურული მემკვიდრეობის» რედაქტორის – ლ. აღნიაშვილისათვის გადაუციათ და მისი დალუპვის შემდეგ დაკარგულა [ი. პოლტარაცკის რძლისა და ე. თაყაიშვილის შვილობილის ლიდია თაყაიშვილის სიტყვიერი ცნობა].

ჩვენში არსად იყვნენ. მახსენდება ერთი ამბავი: ილიასა და მის მეგობარს ივანე პოლტარაცკის გაზეთში წაეკითხათ, რომ შეიძლება წიწილების უკრუხოდ გამოჩეკა და თანაც ერთბაშად 500-სა და მეტისა და არა 20-სა, როგორც კრუხით იჩეკება ხოლმე. გამოიწერეს ორივემ ინკუბატორები და გაგზავნეს თავ-თავიანთ მამულებში: ილიამ საგურამოში, ხოლო ივანემ – ოქროყანას. წიწილები კი მართლა დააჩეკინეს მანქანებს, მაგრამ იმ წიწილებს სხვანაირი მოვლა სჭირდებოდათ, და რაკი ამის მცოდნე არავინ მოიპოვებოდა, ნელ-ნელა ყველა გაუწყდა. ამრიგად, ინკუბატორსაც თავი დაანებეს.

ასე მიდიოდა მეურნეობის საქმე საგურამოში. ილიას სახლიც ძვირად დაუჯდა – თავისივე სიტყვით, 40.000 მანეთად. მახსოვს, ერთ ილიაობა დღეს ვეწვიე საგურამოში (ეს იყო ჩემი ერთადერთი ასვლა იქ ილიას სიცოცხლეში). თავის დღესასწაულს იგი, როგორც ცნობილია, ყოველთვის დიდი მარაგით იხდიდა: მთელს კარგა დიდ სოფელსა და მეზობლებს პატიჟობდა, დიდძალი მეგობრები და ნაცნობებიც ესწრებოდნენ და ძალიან დიდ ნადიმს მართავდა ხოლმე... სადამოს, ხალხი რომ დაიშალა, აივანზე ვისხედით და ვსაუბრობდით. ილიამ ლაპარაკში გამოურია, სხვათა შორის: „მე ვითომ ჭკვიან კაცს მეძახიან, მაგრამ რომ დაფვიქრდები, ჭკუა არა მქონიაო: ეს სახლი 40.000 მანეთი დამიჯდა. ამ ფულით თბილისში ორ დიდ სახლს ავიშენებდი და მათი შემოსავალი მარჩენდა, ახლა კი ვალეებში ვარ ჩავარდნილიო“.

ილიას არ უჯერებდნენ, როდესაც ამბობდა, ვალეები მაქვს და გაზეთ „ივერიის“ გამოცემა შემოსავალს კი არ მამღევს, ჩემს ფულს მადებინეს ზედაო. მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ილია მართლაც ამბობდა. როგორც ცნობილია, ილიამ ბოლოს გამომცემლობა გადასცა ერთ მცირე წრეს, რომელსაც მეთაურობდა ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი, ძალიან კარგი კაცი. ეს ის იყო, „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები რომ გარჩია ჟურნალ „მოამბე“-ში. მერე ჩემთან მუშაობდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში: ხაზინადრადაც, მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგედაც და დიდად ენერგიულ დახმარებას მიწევდა. ჰოდა, ალექსანდრე სარაჯიშვილი და მისი ამხანაგები რამდენიმე თვის შემდეგ უკვე დარწმუნდნენ, რომ გამომცემლობა მართლაც ზარალს იძლეოდა და, რა თქმა უნდა, მიატოვეს ის საქმე.

ამას გარდა, როდესაც ილია მოჰკლეს და კომისიამ მისი ქონება აღწერა, აღმოჩნდა, რომ ბევრი არაფერი დარჩენოდა. თავისი საგვარეულო მამული და ნივთიერი ქონება რომ მცირე უნდა ჰქონოდა, ამას მოწმობდა მისი სულ უბრალო სახლი და პატარა მამული ყვარელში. ჩემ დროს ილია ცხოვრობდა ცოლის მზითვის –საგურამოს მოზრდილი მამულის შემოსავლით და აგრეთვე, როგორც უკვე აღვნიშნე, დის დახმარებით. სხვა რა ჰქონდა. ფულად თუ ნივთიერად ელისაბედ საგინაშვილისას არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ კი აშკარაა: თბილისში ილია მის სახლებში ცხოვრობდა და თვითვე განაგებდა იმ სახლებს, თუმცა იმავე დროს... ელისაბედს ჰყავდა მოურავიც, ილიას სტუდენტობის ნაამხანაგარი მიხაკო ჩიკვაიძე.

ასე გაგრძელდა თითქმის მანამდე, სანამ ილიას აირჩევდნენ სახელმწიფო საბჭოს წევრად 1906 წელს. ფაქტია, რომ ცოტა უფრო ადრე ილიამ მიატოვა ბინა ელისაბედის სახლში და იქირავა პატარა სახლი ანდრიას ქუჩაზე<sup>67</sup>. შემდეგ ის სახლი

---

<sup>67</sup> ახლა ორჯონიკიძის ქუჩა. 1957 წლის ოქტომბერში იმ სახლში (№22) გაიხსნა ილიას სახლ-მუზეუმი.

იყიდა და ოთახების მიშენებასაც აპირებდა. რა იყო მიზეზი ილიას ამ, ჩვენთვის უეცარი, გადასახლებისა თავისი დის სახლიდან, რომელიც მისი აშენებული იყო და სადაც მას თავის გემოზე ჰქონდა მოწყობილი და მოკაზმული კაბინეტი? ეტყობა, დიდი შეტაკება უნდა მოსვლოდათ ილიასა და მის დას. მიზეზი არ ვიცი, ვინაიდან იმ დროისათვის ელენე ჯაბადარმა, მოხუცებისა გამო, დაანება გიმნაზიაში სამსახურს თავი, გადასახლდა თავის პატარა მამულში, საგარეჯოს, და იქ ცხოვრობდა თავის სიძესთან, სავიჩთან ერთად, რომელიც წინათ ჩრდილო კავკასიის რომელიღაც გიმნაზიაში იყო მასწავლებლად და რომელსაც ელენეს ქალთან ქალვაჟი ჰყავდა. მას შემდეგ ელენე ერთხელაც აღარ ჩამოსულა თბილისში და აღარც მე მინახავს და აღარც ილიას ოჯახს. ეგებ არც მან იცოდა მიზეზი ილიასი და მისი დის გაყრისა, თუმცა არა მგონია, რომ ოლღას წერილით მაინც არ ეცნობებინოს მისთვის ეს ამბავი.

ილიასთან იმ ახალ ბინაზე არა ვყოფილვარ, რადგან მაშინ უკვე აღარ მქონდა ხოლმე მასთან საქმე და ის კი იქ წვეულებას აღარ მართავდა. ვერც ისე ვხვდებოდი ილიას, რადგან იგი ხშირად და დიდხნობით იყო ხოლმე პეტერბურგში. აღარც ელისაბედი მინახავს მათი გაყრის შემდეგ. მხოლოდ დიდი ხნის მერმე, უკვე რევოლუციის შემდეგ, მომწერა ერთხელ წერილი, რომელშიც მთხოვდა, მივსულიყავი. მეც ვინახულე და შემომჩვილა, შიმშილით ვკვდები და მიშუამდგომლე, მენშევიკებმა რამე თანხა დამინიშნონ სარჩოდაო... მე ვუთხარი, არა მაქვს იმედი, რომ ამ მთავრობამ ილიას დას რამე დაუნიშნოს; ხომ იცი, რა ცუდი ურთიერთობა და გაუთავებელი პოლემიკა ჰქონდა ნოე ჟორდანიას ილიასთან-მეთქი? მით უმეტეს, რომ სახლები გაქვთ და რატომ თქვენ ნათესავს კოტე აფხაზს (ილიას მეორე დისშვილს, თავად-აზნაურობის წინამძღოლად ნამყოფს) არ მოელაპარაკებით ამის შესახებ-მეთქი? მან მიპასუხა: სწორედ კოტე აფხაზი მირჩევს, სახლები გავყიდო და იმით ვიცხოვრო, მაგრამ აბა, ილიას კაბინეტი როგორ გავყიდოო?...

მას აქეთ ელისაბედი აღარ მინახავს და აღარც მისი ამბავი გამიგია. ეს ეპიზოდი... მოწმობს, თუ რამდენად ხელმოჭერილი ქალი იყო: სახლი არ ემეტებოდა გასაყიდად და მენშევიკებს კი სთხოვდა სარჩოს!...

ასე იყო თუ ისე, ცხადია, რომ ილიას არა ჰყოფნიდა არც საგურამოს მამულის შემოსავალი, არც ბანკიდან აღებული ჯამაგირი და არც თავისი დის, ელისაბედისაგან მიღებული დახმარება. და იგი სულაც არ აზვიადებდა, როცა ამბობდა, ვალები მაქვსო. ერთხელ, „ბანკოვიადის“ დროს, ილიამ თავის სიტყვაში, სხვათა შორის, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ასეთი ფრაზა გამოურია: „მანამ თქვენი ნდობა მაქვს, ჩემით აქედან არ გავიქცევი, და რომ გავიქცე, შიმშილით უნდა მოვკვდეო“. როგორც ითქვა, იგი გულისხმობდა ვანო მაჩაბელს, რომელმაც თავისი სურვილით მიატოვა ბანკის დირექტორობა, თუმცა ის კენჭისყრის დროს არც ერთხელ არ გაუშავებიათ. ბანკის წევრები იმ ორ მოქიშპეს ყოველთვის ერთად ირჩევდნენ: ილიას – გამგეობის თავმჯდომარედ და ვანოს კი დირექტორად... ამ სიტყვებს ბევრი არ უწონებდა ილიას და მეტადრე კი აკაკი წერეთელი.

მართლაც და ილია, უნივერსიტეტის გათავების შემდეგ, სხვა ნასწავლ ქართველ ინტელიგენტთა მსგავსად, სახელმწიფო სამსახურში შევიდა, რომ ჯამაგირით ერჩინა თავი. როგორც ცნობილია, იგი ერთხანს მომრიგებელ მოსამართლედ იყო დუშეთის მაზრაში და ის ადგილი მას ივანე პოლტარაცკიმ და ნიკო ნიკოლაძემ მიატოვებინეს, როდესაც პირველი ქართული ჟურნალის, «საქართველოს მოამბის» გამოცემა გადაწყვიტეს და ილია ჩამოიყვანეს თბილისში. რედაქცია მოაწყვეს „მუხრანსკის

ნომრებში“ (ბარიატინსკის ქუჩა<sup>68</sup> რომ ამოდის, სწორედ იმ სახლს უყურებდა; მერე ის სახლი დაიწვა<sup>69</sup> და მის ადგილას რაღაც უმსგავსო შენობა დაუდგამთ<sup>70</sup>) და რედაქტორობა დაავალეს ილიას. იმავე დროს სომხებმა თავიანთი გაზეთის გამოცემა დაავალეს თავიანთ ცნობილ მოღვაწეს, არწრუნის.

ბანკში წინათ მაინცდამაინც დიდი ჯამაგირები არ ჰქონიათ მოსამსახურეებს, მაგრამ როცა „ბანკოვიადა“ მოთავდა და აქციების კონვერსია მოახდინეს, ბანკის შემოსავალმა ერთობ იმატა, ისე რომ ყველა ხარჯის გამოკლებით ნახევარი მილიონი მანეთი რჩებოდა საქველმოქმედო საქმეებისათვის და მოსამსახურეებსაც ჯამაგირი მოემატათ. მაგალითად, ილია, როგორც თავმჯდომარე, წელიწადში უკვე ხუთი ათასს იღებდა წინანდელი სამი ათასის მაგიერ. ამას გარდა, ბანკის მოგების გარკვეული პროცენტი მოსამსახურეებს ეძლეოდათ ზედმეტად და ეს პროცენტი მათ თვიურ ჯამაგირს აღემატებოდა.

ილია მეტად გულჩათხრობილი ადამიანი იყო. მე არ მგონია, მას ისეთი მეგობარი ჰყოლოდეს, რომლისთვისაც თავისი ინტიმური დარდები და გულისთქმა გაენდოს. როდესაც ის საზღვარგარეთ წასასვლელად ემზადებოდა, მე და ნიკო ცხვედაძე მივედით მასთან. ცოტა მოწყენილი დაგვხვდა, მაგრამ დიდხანს ვიბაასეთ. სხვათა შორის გვითხრა: „მე დარდიანი ადამიანი ვარ, მაგრამ ჩვეულებად არა მაქვს, რომ ჩემი დარდები სხვას გავუზიარო, მევე ვიკლავ გულშიო“. ვიმეორებ: გულითადი მეგობრები არა ჰყოლია მას, მაგრამ დაახლოვებული პირები ბევრი ჰყავდა და ისინი ითვლებოდნენ ილიას მეგობრებად. მე რომ თბილისში ჩამოვედი, მისი მეგობრები – ნიკოლოზ ჯაბადარი, დიმიტრი ყაზბეგი, ბესარიონ ლოლობერიძე ცოცხლები აღარ იყვნენ. ასე რომ, მათ შესახებ ვერაფერს გეტყვით. აქ რამდენიმე შენიშვნა ილიას ზოგიერთ დაახლოვებულ პირთა შესახებ.

ი ვ ა ნ ე ე გ ნ ა ტ ე ს-მე პ ო ლ ტ ა რ ა ც კ ი (თბილისის ნოტარიუსი) ილიას ამხანაგი იყო გიმნაზიიდან. ქართული კარგად იცოდა. დაბადებულია ქუთაისში. დედა ქართველი ჰყავდა, ზედგინიძის ასული. პირველი ცოლიდან მას შეეძინა ერთი შვილი, რომელიც ილიას ნათლული იყო და მის სახელს ატარებდა.

ილია პოლტარაცკი (ილიას ნათლული) თბილისის რეალური გიმნაზიის გათავების შემდეგ პარიზში გაემგზავრა უმაღლესი სწავლის მისაღებად და იქ დარჩა, ბანკში მსახურობდა და 1944 წელს გარდაიცვალა.

ივანე პოლტარაცკის მეორე მეუღლე ნადო გაბაშვილის ქალი იყო. ივანეს იმისაგან ექვსი შვილი ჰყავდა: ხუთი ქალი და ერთი ვაჟი.

პოლტარაცკიმ ილიას თხზულებები თარგმნა რუსულ ენაზე. მანვე თარგმნა რუსულად „ვეფხისტყაოსანი“. ხშირად დადიოდა ილიასთან, აჩვენებდა მას „ვეფხისტყაოსნის“ ძნელი ადგილების თარგმანს. ერთხელ მან მითხრა: „ილია წაიკითხავდა ხოლმე ჩემს თარგმანს და ზოგჯერ მეუბნებოდა, ეს ადგილი არ ვარგაო. რომ ვკითხავდი, აბა როგორ უნდა იყოს? – იმას კი აღარ ამბობდაო“.

პოლტარაცკი გარდაიცვალა 1892 წლის აგვისტოს დამლევს. მე მაშინ თბილისში არ ვიყავი. ილია დასწრებოდა მის დამარხვას. ეკატერინე გაბაშვილმა და სხვებმა

---

<sup>68</sup> ახლა ჯორჯიაშვილის ქუჩა.

<sup>69</sup> ეს მოხდა 1921 წელს.

<sup>70</sup> იგულისხმება კავშირგაბმულობის სახლი, მისი ფასადის რეკონსტრუქციამდე.

მითხრეს: „ილიას თვალებიდან კურცხალ-კურცხალი ცრემლები სდიოდაო“. ისინი გაკვირვებულნი იყვნენ: „ერთხელ ძლივს დავინახეთ მის თვალზე ცრემლიო“.

ილია წინამძვრიშვილი დიდად დაახლოებული იყო ილიასთან და ნამეტნავად მის მეუღლე ოლღასთან. ის იყო აგრეთვე ნათესავი ივანე პოლტარაცკისა და მისი მეორე ცოლის – ნადო გაბაშვილისა.

სპეტაკი ადამიანი იყო. დამაარსებელი და ხელმძღვანელი წინამძვრიანთ კარის კერძო სამეურნეო სკოლისა, რომელსაც შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე და ქონება. მე კარგად ვიცნობდი მას. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო უაღრესი ფიზიოკრატი, დარწმუნებული, რომ საქართველოს მარტო მეურნეობის გაჩაღება და განათლება უშველის. ამიტომ, მისი აზრით, ყველა შეძლებულ ქართველს ან უნდა სამეურნეო სკოლა გაეხსნა, ან არა სკოლისათვის თავისი ქონება შეეწირა. ილიას მამულზე ამბობდა: „რა ოხრად უნდა ილიას საგურამოს მამული? შვილი არა ყავს და ძირი, სჯობს ჩვენს სკოლას შემოუერთოს და ამით გავაფართოოთ საქმეო“. წერილებსა ბეჭდავდა ქართულო ჟურნალ-გაზეთებში. გამოსცა დიდი წიგნი სათაურით: „ვაზის მოვლა“.

ი. წინამძვრიშვილი პირველ ხანებში თბილისის მაზრის მომრიგებელ მსაჯულად მსახურობდა (1868–1901), მერე – თბილისის ქალაქის ნოტარიუსად. უმაღლესი განათლება არ ჰქონდა, მაგრამ ენერგია, მოხერხება და საქმისათვის თავდადება – გამოუთქმელი. პირველად ილია წინამძვრიშვილი სკოლას თავისი ხარჯით ინახავდა, მერე სათავადაზნაურო ბანკმა დაუნიშნა შემწეობა, მაგრამ მაინც მთელ თავის ჯამაგირსა და მამულის შემოსავალს ზედ ადებდა. ყოველ შაბათს ეტლით მიდიოდა თავის სკოლაში და ორშაბათს უკან ბრუნდებოდა. ზოგჯერ სარევიზიოდ თან მიჰყავდა პედაგოგები, ან შენობის სარემონტოდ – ხელოსნები და სხვანი. თვით საპედაგოგო საქმის არასპეციალისტი იყო, ამიტომ სკოლის გამგეს და მასწავლებლებს ისეთ რამეებს ავალეზდა, რის შესრულებაც შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, სკოლას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კურსდამთავრებულნი სოფლებში კარგად მუშაობდნენ. ნიჭიერ შეგირდებს ის ნოვიცკის სამეურნეო სასწავლებელში აგზავნიდა, შემწეობას აძლევდა, მათთან მიწერ-მოწერა ჰქონდა. ყველა მისი შეგირდი მას თავის მამად სახავდა.

ზომიერი ცხოვრების და ჰიგიენის მიმდევარმა ილია წინამძვრიშვილმა დიდხანს იცოცხლა, მაგრამ უკანასკნელ სამ წელიწადს ლოგინად ჩავარდა. ნიკო ცხვედაძის ყოფილი ცოლი უვლიდა. არც ნათესავებსა და არც მეგობრებს მასთან არ უშვებდა. ეს მანდილოსანი სომხის ქალი იყო. ნიკოდან მას შესძენოდა ერთი ქალი..., რომელიც შემდეგ ფილიპე გოგიჩაიშვილმა შეირთო ცოლად, სამი ქალიშვილი შეეძინათ... ერთხანს ნიკოს ნაცოლარი პარიზში ცხოვრობდა... მერე კი დაბრუნდა საქართველოში. ილია წინამძვრიშვილის მძიმე ავადმყოფობა რომ შეიტყო, უყოყმანოდ მიეშველა და თავგამოდებით დაუწყო მოვლა, არაფერს აკლებდა და უმსუბუქებდა მდგომარეობას.

ილია წინამძვრიშვილის დასაფლავებას ბევრი ხალხი დაესწრო, წესი სიონის ტაძარში აუგეს, შემდეგ წინამძვრიანთკარში წაასვენეს და იქ დამარხეს ეს შესანიშნავი და უებრო ქართველი მოღვაწე.

ლევან ჯანდერი (1848–1918) ჩემის აზრით ყველაზე უფრო დაახლოებული პირი იყო ილიასთან. თბილისის მაზრის უფროსი, ჭკვიანი, პატიოსანი, ენერგიული და დიდად შეგნებული, კახეთში ერთ-ერთ მოწინავე კაცად

ითვლებოდა, ნივთიერადაც შეძლებული იყო. სადაც კი წავიდოდა ილია, ისიც თან დასდევდა და მოგზაურობის მარშრუტი მის ხელში იყო.

მის დროს მაზრაში სრული სიწყნარე და წესრიგი სუფევდა; ავაზაკობა და თავზე დაცემა არ ყოფილა, მაგრამ ერთხელ მან გოლიცინის წყრომა მაინც დაიმსახურა.

ბორჩალოს მაზრაში ავაზაკობა, კაცის კვლა და ხოცვა-ჟლეტა გახშირდა. გოლიცინისათვის მოეხსენებინათ და ის აღშფოთებული იყო. დაებარებინა ლევან ჯანდიერი და უკითხავად დაეწყო მისთვის ყვრილი: „Вы не на месте. Вы не умеете водворить порядок!“ და ჩამოეთვალა ყველა ის უწესობანი, რაც ბორჩალოს მაზრაში მომხდარიყო. ამის პასუხად ჯანდიერს ეთქვა: „Ваше сиятельство, я Тифлисский уездный начальник, всё, что Вы перечислили, это имело место в Борчалинском уезде, у меня ничего подобного не было и не может быть!“

ამაზე გოლიცინს წარბშეუშლელად უპასუხნია: „Это всё равно, вы все одинаковы, Борчалинский или Тифлисский.“

ასეთ ხეპრე ადმინისტრატორთან ჰქონდა საქმე ჯანდიერს. თუ რამდენად შეგნებული ჰქონდა ლ. ჯანდიერს ჩვენი გლახობის საჭიროებანი, ამაში მე დავრწმუნდი თბილისის და ბორჩალოს მაზრაში არქეოლოგიური მოგზაურობის დროს.

ქვემო ქართლი (ბორჩალოს მაზრა, და თბილისის მაზრის სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო), ეს შესანიშნავი მხარე და მოწინავე სადროშო საქართველოსი დაცარიელდა აუარებელი მტრების შემოსევით, მეტადრე ლეკების გაუთავებელი თარეშის დროს. იმის მაგიერ, რომ ეს ადგილები ქართველი ხალხის უმიწო გლახებით დაესახლებინათ, მთავრობამ XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში ოსმალეთიდან გადმოსახლა სომხები და ბერძნები; შემდეგ აქ დასახლდნენ გერმანელებიც თბილისის და ბორჩალოს მაზრების დასავლეთ საზღვრებთან ძველიდან დარჩენილი ქართული სოფელი სულ სამი იყო: ერთი დიდი სოფელი გომარეთი, მეორე – ვარდისუბანი, პატარა სოფელი, 15 კომლიანი, და მესამე – რეხა, სადაც სანახევროდ ბერძნებიც ცხოვრობდნენ. რეხას და ვარდისუბანს მცირედი მიწები ჰქონდათ, გომარეთს უფრო ნაკლები. ამიტომ მე მეტად გამიკვირდა და მეამა, როდესაც მანგლისის მახლობლად, გოხნარად წოდებული ნასოფლარის ქვემოთ, ვნახე მთიულებით დასახლებული სოფელი 50 კომლისაგან შემდგარი და რიგიანად მოწყობილი. ვკითხე: „საიდან გაჩნდით აქ თქვენ?“ მათ მიპასუხეს: „ჩვენ მთიულები ვართ, მიწა ნაკლები გვქონდა. უშველოს ღმერთმა ლევან ჯანდიერს, მან მოგვხედა და აქ გადმოგვასახლა, საყოფი მიწა მოგვიხერხა და მისი წყალობით მოვითქვით სულიო. აქ ორი ნასოფლარია თავისი ეკლესიებით, მაგრამ რაკი მათი სახელები არ ვიცით, ჩვენს სოფელს ახალსოფელი დავარქვითო“. მე ვუთხარი: „ამ ნასოფლარების სახელები მე ეკლესიათა წარწერების მიხედვით გამოვარკვიე, თქვენს ქვემოთ რომ ნასოფლარია, ამისი სახელი აზიკვე ყოფილა, აქ ადამიანთა ქანდაკებებიც არის, ერთს „შოთაი“ აწერია, შეიძლება შოთა რუსთაველი იყოს, ხოლო თქვენს სოფელს ბზა ჰქვამევია“.

ამას გარდა ვთხოვე ეკლესიებისათვის ყური ეგდოთ. დიდად გაუხარდათ, დამპირდნენ მოვლას.

[რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე უნდა დავძინო, რომ მე ჩემი ათეული წლობით წარმოებული არქეოლოგიური მოგზაურობის დიდი ნაწილი მოვანდომე ისტორიული საქართველოს სამხრეთ მხარეებს, რომლებიც მტრებისაგან სხვებზე უფრო იყვნენ განადგურებული, ხოლო იქაური ძეგლები უპატრონოდ და უმწეოდ

დარჩენილიყვნენ. რაკი ძველი მოსახლეობა თითქმის გამქრალი იყო, ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა (და ეს ჩემს ანგარიშებშიც მაქვს ასახული), რომ ის განაპირა, ომიანობისას მეწინავე კუთხეები კულტურულადაც ძალიან დაწინაურებული ყოფილან თავის დროზე. სხვანაირად ძნელი ასახსნელი იქნებოდა საეკლესიო და სხვა (ხშირად მშვენიერი და რთულად ნაგების) შენობების ესოდენი სიმრავლე, რაც ძალაუწებურად იწვევს დიდ პატივისცემას მათი შემქმნელებისადმი... ახლა ძალიან მარჯვედ მოუკიდნიათ იმ ძეგლების შესწავლისათვის ხელი ჩვენს ისტორიკოსებს, არქეოლოგებს და ხელოვნებათმცოდნეებს, რაც გასახარელია. იმ რაიონების ჯეროვანი კვლევა (მე ხომ მხოლოდ წინასწარულად მოვსინჯე იქაურობა) ძალიან შეგვივსებს წარმოდგენას ქართული კულტურის ისტორიისა და მრავალფეროვნების შესახებ]...

ჩემს დროს დაიწყო ქართველმა საზოგადოებამ ჩვენი მწერლების, პოეტებისა და მოღვაწეების იუბილეთა გადახდა. პირველი ასეთი იუბილე მოუწყეს რაფიელ ერისთავს, რომლის ლექსებსაც, – მეტადრე ბოლოდროინდელთ, როცა მან ხალხური ლექსების სტილით დაიწყო წერა, – დიდი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი ქართველობაში. ის ლექსები მართლაც შედევრებია ქართული პოეზიისა, თან რაფიელ ერისთავი ძველი ლიტერატურისა და ქართველთა ზნე-ჩვეულებების კარგი მცოდნე იყო.

მის იუბილეში მთელმა საქართველომ მიიღო მონაწილეობა. ყველა ქართულმა დაწესებულებამ გამოგზავნა დეპუტატები და საჩუქარიც ბევრი შეუგროვეს. ჩვეულებრივ იუბილე ასე მიმდინარეობდა ხოლმე: ცნობილი პოეტები ან საზოგადო მოღვაწეები გამოიყვანდნენ იუბილარს სცენაზე, მოუსხდებოდნენ აქეთ-იქით და იწყებოდა მილოცვა-სიტყვები საზოგადოებათა წარმომადგენლების მხრივ.

რაფიელის იუბილე გადაიხადეს ბანკის ქარვასლის თეატრში, სასახლის ქუჩაზე<sup>71</sup>. იუბილარი გამოიყვანეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. სიტყვებმა და მილოცვებმა შუადღიდან საღამოს ექვს საათამდე გასტანეს, მერე ვახშამი გადაუხადეს და ამით გათავდა იუბილეც.

შემდეგ რიგი მიდგა თვით ილიაზედაც, მაგრამ იგი, თავისი ჩვეულებისამებრ, თავმდაბლობდა; უარზე იყო და თან ამბობდა, „ეს იუბილე ერთგვარი ყეენობა არისო“. მაგრამ კი ეტყობოდა, რომ ბოლოს და ბოლოს დათანხმდებოდა. ასე იცოდა ხოლმე ბანკის არჩევნების დროსაც: ჯერ იტყოდა, აღარ შემიძლია, ვეღარ გავუძღვებო, მაგრამ როცა აირჩევდნენ, უკვე აღარაფერს ამბობდა... საჩუქრების შეგროვებაც კი დაიწყეს და ზოგ საჩუქარს წინასწარ გზავნიდნენ ილიას გაზეთის რედაქციაში. კომისიაც იყო შემდგარი, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო მას ამ იუბილის მოწყობისა. არ ვიცი, ოფიციალურად მოსწერეს უარი თუ წინასწარ, მოლაპარაკებისას გააფრთხილეს საიუბილეო კომისია (ვინ ხელმძღვანელობდა, აღარ მახსოვს), მაგრამ უთხრეს კი, სჯობს, ნუ ითხოვთ, რადგან უსათუოდ უარს მიიღებთო.

იმხანად მე სათავადაზნაურო სკოლას განვაგებდი და იქ წესად მქონდა შემოღებული გამართვა სალიტერატურო საღამოებისა, რომელზედაც სკოლის შეგირდები ჩვენი პოეტების ლექსებსა თუ პროზას კითხულობდნენ და თან სხვადასხვა საკრავებს – ვიოლინოს, ვიოლონჩელოს და სხვ. – უკრავდნენ (შემდეგ მინდა ზოგი რამ მოვიგონო იქაური მუსიკის მასწავლებლების, ზაქარია

---

<sup>71</sup> ახლა რუსთაველის გამზირის დასაწყისი, ლენინის მოედნიდან საქართველოს მუზეუმამდე.



ფალიაშვილისა და ჩეხი ვიოლონჩელისტის პოლიევკას შესახებაც). ჩვენ სადამოებს ესწრებოდა თბილისის თითქმის მთელი ქართველობა და ისინი ყოველმხრივ დიდ მოწონებაში იყვნენ. ასეთი სადამოების მოწყობა მართო პედაგოგიური საბჭოს თაოსნობით იყო და ამაში სრულიად არ ერეოდნენ (არც რასმე ვეკითხებოდით) სასკოლო კომიტეტის წევრები: მათ მხოლოდ ბარათებს ვუგზავნიდით და სტუმრებად ვიწვევდით.

განვიზრახე, ერთი ასეთი სადამო საგანგებოდ მოგვეწყო ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად და პროგრამაში შეგვეტანა უმთავრესად მისი ლექსები და სხვა ნაწარმოებნი. მაგრამ განზრახვა საიდუმლოდ შევინახეთ: არც კომიტეტის წევრებისათვის გვიცნობებია და არც თვით ილიასათვის, რომ სადამო მისდამი იქნებოდა მიძღვნილი. საქმე ის იყო, რომ ვისიმე პატივსაცემი სალიტერატურო სადამოს მოწყობის ოფიციალური ნებართვა არა გვქონდა, – იგი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის უნდა გვეთხოვა. ილიასათვის რომ გაგვემხილა ნამდვილი მიზანი, შეიძლება არც დასწრებოდა სადამოს და არც დაერთო ნება ასეთი სადამოს მოწყობისა სიფრთხილის გამო. კომიტეტისათვის რომ გაგვეზიარებინა ჩვენი განზრახვა, მაშინ იგი საიდუმლოდ ველარ შეინახებოდა, – ყოველ შემთხვევაში, ნიკო ცხვედაძე მაინც გაუმჟღავნებდა ილიას. ისე კი, რა თქმა უნდა, კომიტეტის ყველა წევრი მოვიწვიეთ სტუმრად. კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი იყო მარიამ ვახტანგის (პოეტის, ჯამბაკურ-ორბელიანის) ასული, საშვიკო ორბელიანის მეუღლე (ამ ორმა ორბელიანმა შეუღლებით თავ-თავიანთ მამულები შეაერთეს)... რა თქმა უნდა, მარიამსაც გავუგზავნეთ მოსაწვევი წერილი, მაგრამ მან მომწერა, სამწუხაროდ ვერ დავესწრები, რადგან შეუძლოდა ვარო. მერე კი, როცა შეიტყო, რომ ილია დაგვესწრო და საერთოდ ის სადამო ილიას პატივსაცემად იყო მოწყობილი და საუცხოვოდაც ჩატარდა, მომწერა, ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემატყობინე, თუ ილიას პატივსაცემი სადამო იყო, თორემ უსათუოდ მოვიდოდით. ამით აშკარა გახდა, რომ მისი „შეუძლებლობა“ დიპლომატიური მიზეზი ყოფილიყო.

სადამომ მეტად კარგად ჩაიარა. ბავშვები შესანიშნავად იყვნენ მომზადებული: მშვენიერი დეკლამაციით, ნამდვილი არტისტული ხელოვნებით კითხულობდნენ ილიას ლექსებს და ადგილებს მისი პოემებიდან – მაგ., „განდევილიდან“, „კაცია-ადამიანიდან“, „გლახის ნაამბობიდან“, „ოთარაანთ ქვრივიდან“ და სხვა თხზულებებიდან. ამასთანავე, რა თქმა უნდა, სხვა მწერალთა ნაწარმოებებიც საკმაოდ იყო შეტანილი პროგრამაში.

ილია მეტისმეტად მხიარული და კმაყოფილი იყო. არა ერთხელ გამოთქვა აზრი: „მხოლოდ დღეს ვიგრძენი, რომ რაღაც დამიწერიაო; მაგრამ ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ ახალგაზრდებს შეეძლებოდათ ასე საოცრად შეეგნოთ და შეეთვისებინათ ის, რაც მე მითქვამსო“.

სადამო რომ გათავდა, ილია, მისი მეგობრები და ზოგი სხვა ჩვენი ინტელიგენტი მივიწვიე მცირე სერობაზე, გიმნაზიის შენობაშივე, დიდ საკონცერტო დარბაზში. სერობაც ძალიან მხიარულად ჩატარდა.

უნდა ითქვას, რომ ილიას ვერ ჰქონდა მაინცდამაინც კარგი აზრი სათავადაზნაურო სკოლის პერსონალის შესახებ – მეტადრე ჩემი წინამოადგილის ალექსი ჭიჭინაძის გამგეობის დროს. მას ჩააგონეს... რომ ყველა იქაური მასწავლებლები „მაჩაბელისტები“ და ილიას მოწინააღმდეგენი არიან (საერთოდ ზოგიერთს... ახასიათებდა ნეპოტიზმი და ამასთანავე უკიდურესი უნდობლობა იმერლობისადმი). ნამდვილად კი ყველა მასწავლებელს, ერთის გარდა, ნეიტრალური პოზიცია ეჭირა: არც ილიას წინააღმდეგნი იყვნენ და არც მაჩაბლისა.

ის ერთი კი, მოსამზადებელი კლასის პირველი განყოფილების მასწავლებელი ალექსანდრე ნათაძე მართლაც თვალსაჩინო მომხრე იყო მაჩაბლისა და არც მალავდა ამას, სოფლებში პროპაგანდას ეწეოდა მაჩაბლის სასარგებლოდ. მაჩაბლის წინააღმდეგ მიმართულ ერთ თავის სიტყვაში ილიამ ეს მოვლენა, ერთი კაცის მოქმედება სკოლის მთელ მასწავლებლობას მოახვია ორატორულად თავს და განაცხადა, „პროპაგანდაში ჩვენი სკოლის ოსტატებიც ჩაებნენო“. ბანკის იმ კრებაზე მასწავლებელთაგან მხოლოდ ჯაჯანაშვილი იყო. წამოდგა და ჰკითხა ორატორს: „მეც ამ სკოლის მასწავლებელი ვარ და მაშ, თქვენი აზრით, მეც ვეწევი თქვენ წინააღმდეგ პროპაგანდასაო?“ ილიამ უპასუხა, „არა, თქვენ არაო!“ რა თქმა უნდა, სკოლის ადმინისტრაცია ვერ აუკრძალავდა რომელიმე მასწავლებელს, ესა თუ ის აზრი ჰქონოდა საზოგადო საქმეთა მიმართ... ასეთი ეჭვი და უნდობლობა ილიას, ეტყობა, დიდხანს შერჩა. თუმცა, 1904 წელს რომ ამირჩიეს სათავადაზნაურო სკოლის გამგედ, ილიას „ივერია“-ში დავით მიქელაძემ („მეველემ“) მეთაური წერილი მიძღვნა, ქება შემასხა და, სხვათა შორის, ისიც მოიხსენია, რომ „ბანკოვიადის“ დროს ნეიტრალიტეტს ვიცავდი.

რაკი ილიამ არ იცოდა, რომ ის სალიტერატურო საღამო ჩვენი პედაგოგიური საბჭოს მიერ მის პატივისცემად იყო გამართული, იფიქრა, რომ ეს მისი მეგობრის ნიკო ცხვედაძის თაოსნობა იქნებოდა და სერობისას მას შეასხა ქება თავის სიტყვაში. ნიკოს კი არ უთქვამს... საღამოს გამართვაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღიაო...

მაგრამ იმ საღამოს მოწყობის ნამდვილი გარემოება ელენე ჯაბადარმა, რა თქმა უნდა, აუწყა ილიას. ასე ეთქვა: „Однако Вы впросак попали! Всё было устроено по инициативе и за счёт учительского совета гимназии и её директора, а Вы об’явили благодарность Цхведадзе!“ ილიას, ცხადია, დიდად სწყენოდა ეს ამბავი და საყვედური ეთქვა ელენე ჯაბადარისათვის: „შენ რაღად დამიძალე ნამდვილი გარემოება და ასეთ უხერხულ მდგომარეობაში რად ჩამაგდო?“ შემდეგ, პირადად რომ შევხვდი, ილიამ დიდად მომიბოდიშა და თან დასძინა: „დამიჯერებ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მე რომ იმ საღამოს სიამოვნება განვიცადე, ჩემ დღეში არ განმიცდია და ვერც წარმომედგინა, თუ ისე კარგად შეიძლებდა ახალგაზრდობა ჩემ ნაწარმოებთა გაგებასაო. მინდოდა წერილობით შემომეთვალა თქვენთვის მაღლობა ამ პატივისცემისათვის, რომელიც მე არასოდეს დამავიწყდება, მაგრამ მოვერიდე, რომ არ გამჟღავნებულიყო და რაიმე უსიამოვნება არ შეგმთხვეოდათო!“

ილია ჭავჭავაძე დიდი მოყვარული იყო საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიისა. საუკეთესო შეხედულება ჰქონდა ჩვენს არქეოლოგსა და ისტორიკოსზე, დიმიტრი ბაქრაძეზე: ძალიან პატივსა სცემდა და აფასებდა მას. პირველ ხანებში მე დიმიტრი ბაქრაძესთან დავიწყე მუშაობა და დავიწყე იმით, რომ მან გაცნობისთანავე გადმომცა ახალდაარსებული საეკლესიო მუზეუმის წესდება, თავის მიერ რუსულად შედგენილი და სათანადო მთავრობის მიერ დამტკიცებული, ქართულ ენაზე სათარგმნად. მეც ვთარგმნე, დავბეჭდე და შევადგინე საეკლესიო მუზეუმის კომიტეტი (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

ილიამ აქტიური თაოსნობა გამოიჩინა მცხეთაში, ბაგინეთზე მცირე საცდელი თხრის ჩატარებაში, რაც დ. ბაქრაძეს დაავალა (ამის შესახებაც იხ. ქვემოთ).

ილია სულ ამბობდა, „ერთი კაცი უნდა გავიჩინოთ ისეთი, რომ ჩვენს ისტორიაზე და არქეოლოგიაზე მუშაობდეს და სხვა არაფერი საქმე არ ჰქონდეს. ჩვენი სირცხვილია, ამისთანა რომ არავინ გვყავსო. ერთხელ ნიკო ლოლობერიძემ მიგვიწვია რამდენიმე კაცი – პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, ილია, აგრეთვე

ნიკო ცხვედაძე, იაკობ ისარლიშვილი (ისარლოვი), მე და სხვები (ის იაკობი კათოლიკე იყო, ილიას დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში ნამყოფი, სახლებს აგებდა, კომერციას ეწეოდა. ინჟინერი არ ყოფილა, მაგრამ მშენებლობის საქმე კარგად ესმოდა. სათავადაზნაურო სკოლა თავდაპირველად „დუმის“ შენობის<sup>72</sup> უკან გვექონდა და მის გადაკეთებაში ძალიან მოგვეხმარა, თან ფულიც დაგვიზოგა; ლოლობერიძის, ილიას და სხვების უნივერსიტეტის ამხანაგი იყო; არეულობის დროს გამორიცხეს იქიდან). დაგვიბარა ნიკომ და გამოგვიცხადა, განზრახული მაქვს ქართული საქველმოქმედო საქმისათვის 50.000 მანეთი დავტოვო. ნიკოც ილიას უნივერსიტეტის ამხანაგი იყო, ფრიად თვალსაჩინო მოღვაწე და ძალიან ჭკვიანი კაცი. ქუთაისში რომ სათავადაზნაურო ბანკი გაიხსნა, იმის პირველი თავმჯდომარე იყო ბესარიონ ლოლობერიძე (აი ის, ილიამ რომ სხვებთან ერთად გააკრიტიკა თავის გამოცანა-ლექსებში, „ქვეყნის საქმე მასაც ფეხებზე ჰკიდიაო“, და მერე კი ბოდიში მოუხადა, უცოდინარობით მომივიდაო), დიდად პატიოსანი კაცი, პედაგოგი, მათემატიკოსი; ერთხანს საქალეზო ინსტიტუტს განაგებდა. ნიკო ნიკოლაძე მისი წინააღმდეგი იყო და მის ნაცვლად ბანკის დირექტორობის კანდიდატად წამოაყენა ვინმე ბაქრაძე, მეტსახელად „ბილო“. ბესარიონი რომ გარდაიცვალა, ქუთაისში შეიქმნა „ბანკოვიადა“ და ბოლოს აირჩიეს ნიკო ლოლობერიძე, რომელიც წინათ ქუთაისის გუბერნიის ნოტარიუსი იყო. მერმე ნიკომ თავისი ნებით მიატოვა ბანკის თავმჯდომარეობა, ჭიათურაში შავი ქვის მადნები ჰქონდა შეძენილი და იქ დაიწყო მრეწველობა. გვარიან თანხას მოუყარა თავი, მაგრამ ნერვიული კაცი იყო, გული დაუსუსტდა; ამიტომ აღარც იქ გაჩერდა, მიანება თავი და დაგროვილი ფულით პარიზში ცხოვრობდა, ოღონდ ზაფხულობით თბილისში ჩამოდიოდა ხოლმე... დავუბრუნდეთ ახლა მის ანდერძს. ნიკომ დაგვიყენა საკითხი: „რა მიზნისათვის და რომელ საზოგადოებას დავუტოვო ის თანხაო?“ ილიამ ასეთი წინადადება მისცა: „ეგ თანხა გადაეცეს წერა-კითხვის საზოგადოებას, რომელიც მაგის ყოველწლიური პროცენტით ერთ კაცს აიჩენს, არჩენს და ის კაცი ჩვენი ისტორიისა და არქეოლოგიის მკვლევარი იქნებაო“. იმ თანხის ყოველწლიური პროცენტი შეიძლებოდა 2.500 მანეთი ყოფილიყო და ეს კი საკმაოდ დიდი ფული იქნებოდა: მაგალითად, ვიცე-გუბერნატორს წელიწადში 3.000 მანეთი ჰქონდა ჯამაგირი. ნიკომ უპასუხა: „მე კი უფრო განათლებისათვის მინდა, რომ ღარიბი ახალგაზრდობის სწავლას მოხმარდეს და ამიტომ მირჩევნია სტიპენდიებისათვის დავტოვო“. ილიამ რომ ეს გაიგონა, აღარაფერი უთქვამს.

საოცარი კია, ისეთი შეხედულებების კაცი იყო ილია, ისე ღრმად ესმოდა ყველაფერი, იმოდენა გავლენა ჰქონდა, ბანკიც მის ხელში იყო და წერა-კითხვის საზოგადოებაც. მაგრამ ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ იმ დაწესებულებათა ხარჯზე მოეწყო ის საქმე, რომელსაც ნიკო ლოლობერიძეს სთავაზობდა და რომლის მოუწყობლობასაც ქართველობისათვის სამარცხვინოდ მიიჩნევდა. ასეთი შეუსაბამობა ყოველთვის მიკვირდა; გულში კი მქონდა, მაგრამ რას გავუბედავდი თქმას? არა ჰქონდა ამის თაოსნობა! ბანკის შემოსავალი სულ აგრარული საქმეებისათვის უნდოდა და მუდამ იქითკენ მიილტვოდა; სათავადაზნაურო სკოლის ტიპის შესახებ რომ იყო მსჯელობა, მაშინაც სულ აგრარულ განხრახზე ლაპარაკობდა... ასეთ რამეებს კი ვერ მოიფიქრებდა! აი, მაგალითად, მანგლისის მიდამოებში და სხვაგანაც მთიულების ჩასახლება, როგორც უკვე ვთქვი, თბილისის

---

<sup>72</sup> ახლა თბილისის ქალაქის საბჭო, ლენინის მოედანზე.

მაზრის უფროსის ლევან ჯანდიერის დამსახურებაა. დიდხანს ეკავა ის თანამდებობა, ძალიან შეგნებული მამულიშვილი იყო; ისარგებლა თავისი ხელისუფლებით და პრაქტიკულად განახორციელა ეს ნამდვილად პატრიოტული საქმე 1880–90-იან წლებში. სხვა ჩვენი მოღვაწეები კი არ ფიქრობდნენ ამისთანებებზე, სულ ლიტერატურასა და მსგავს საკითხებს იყვნენ გადაყოლილი. არავინ დამოგზაურობდა და არც იცოდნენ, თუ რა ვითარება იყო საქართველოს სამხრეთ მხარეებში, ნაოხარზე რომ ათასი ჯურის გადამთიელი სახლდებოდა. თორემ განა არ შეიძლებოდა, ჯანდიერის გამოცდილებას მივყოლოდით და მთლად დაგვესახლებინა ის კუთხეები?.. აი, ხომ რა დიდი კაცი იყო ილია და იმასაც კი არ ჰქონდა ამის გაგება. სამეგრელოში იგი მხოლოდ ერთმა შემთხვევამ წაიყვანა, თორემ ალბათ ისიც უნახავი დარჩებოდა: თავ. ნიკო დავითის ძე მინგრელსკიმ ძვირფას ხელნაწერთა ბიბლიოთეკა შემოსწირა წერა-კითხვის საზოგადოებას – გორდის სასახლეში ინახებოდა, იტაცებდნენ. საზოგადოებამ სთხოვა, გადავარჩინოთ, და უსასყიდლოდ გადმოსცა. შემონაწირის ჩამოსატანად კომისია გაიგზავნა და მასში ილიაც შედიოდა. შესანიშნავად დახვდნენ, უმასპინძლეს. მაშინ იყო, რომ თქვა, „სამეგრელოში ჩამოვედი და საქართველო დამხვდაო!“ გოგებაშვილი ხომ რა პატრიოტი იყო და სამშობლოს ისტორია-გეოგრაფიის საუკეთესო სახელმძღვანელოს შემქმნელი<sup>73</sup>, და ისე გარდაიცვალა, რომ კახეთში ფეხი არ ჩაუდგამს, ზეპირად წერდა მის შესახებ. ისინი რომ ასეთები იყვნენ, დანარჩენი ინტელიგენცია რაღა უნდა ყოფილიყო? რომ გეკითხათ, ყველა გეტყოდათ, დიდი პატრიოტები ვართო, მაგრამ გოლოვინის პროსპექტსა<sup>74</sup> და ქუთაისის ბულვარს იქით ფეხს არ გადადგამდნენ. ხალხს კი მოვლა უნდოდა ამისთანებში სომხები გვჯობნიდნენ, პატრიოტიზმი მათ ყოველთვის პრაქტიკულ საქმიანობაში ჰქონდათ გამოხატული და ბევრ რამესაც მიაღწიეს.

ილიას ერთი საუკეთესო თვისება ის იყო, რომ მას თავისი მოვალეობის ძალიან დიდი შეგნება ჰქონდა. ამიტომ იგი დიდი სიფრთხილით, დაკვირვებითა და საზრიანობით ეკიდებოდა თავის ყოველგვარ ნაწერსა თუ ნასაქმს. არ არის არც ერთი მისი თხზულება, რომელიც რამდენჯერმე არ გადაეკეთებინოს და არ შეესწორებინოს. იგი ასე ექცეოდა არა მარტო თვალსაჩინო ნაწარმოებს, არამედ სულ უბრალო ბარათებსაც კი. მახსოვს გიორგი ჟურულის ნაამბობი (ახალგაზრდა იყო, ილიამ დაიახლოვა და ძალიან მფარველობდა; თან წაიყვანა პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოს წევრად რომ აირჩიეს; მერე ბანკის დირექტორად უნდოდა, მაგრამ ვერ გაიყვანა; მერე ბათუმში იყო, ქალაქის გამგეობაში მუშაობდა, ხოლო რევოლუციის დროს თბილისში გადმოიყვანეს): „ერთხელ ილიასთან ვიყავი, იაკობ გოგებაშვილის წერილი მოუვიდა და მაშინვე უნდა გაეცა პასუხი, რაღაცას ეკითხებოდაო. დაჯდა ილია, დაწერა ერთი პატარა წერილი და დახია, დაწერა მეორე და ისიც დახია. მე ვუთხარი, რა ამბავია მაგ ერთი ბეწო წერილისათვის ამდენი წვალება-მეთქი? მიპასუხა: „კაცო, პატარაა თუ დიდა, მაინც დოკუმენტია და ზერეღედ არ შეიძლებაო...“ დამახასიათებელია! აშკარაა, რომ ილია გრძნობდა თავის ავტორიტეტს და იცოდა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოჰკიდებოდა ყოველ საქმეს, თავის სახელს... საერთოდ დიდი ოსტატი კაცი იყო!

---

<sup>73</sup> იგულისხმება „ბუნების კარის“ სათანადო ნაწილი.

<sup>74</sup> რუსთაველის გამზირი...

ტყუილად კი არ ამბობდნენ ხოლმე მისი თანამშრომლები, ილია მეტწილად ღამ-ღამობით წერს და დილისათვის მისი ნაწერების ნახევით რამდენიმე კალათი არის ყოველთვის გავსებულიო. ამით აიხსნება, რომ ილია საჩქაროდ წერილზე არავის პასუხს არ აძლევდა, მანამ კარგად არ მოიფიქრებდა და კმაყოფილი არ იქნებოდა თავისი წერილით. აგრეთვე მისი საჯარო სიტყვები ყოველთვის წინასწარ მოფიქრებული და ზოგჯერ დაწერილიც იყო.

როგორც მახსოვს, ერთხელ ვლადიმერ მიქელაძემ გამოაქვეყნა ერთი წერილი, სადაც ამბობდა: ილია სადილად დავპატიჟე, მაგრამ მან მომწერა: დღეს არ შემიძლია მოსვლა, რადგან ევგენი მარკოვის პატივსაცემ საღამოს უნდა დავესწრო და სიტყვა ვთქვა; მე ჩვეულებად არა მაქვს მოუმზადებლად წავეჩხიროო.

ერთხელ გ. ჟურულის შეკითხვაზე – „ილია, სიტყვებს წერთ, თუ ზეპირად გაქვთ მოფიქრებული? – ილიამ უპასუხა: „ზოგჯერ ვწერ, ზოგჯერ ზეპირად მაქვს მოფიქრებული, მაგრამ როგორ უნდა დავიწყო და მოვათავო სიტყვა, ეს ყოველთვის კარგად ვიციო“.

თავის რომელიმე თხზულებას რომ მოათავებდა, ილია შეყრიდა ლიტერატორებს, მწიგნობრებსა და მეგობრებს, წაუკითხავდა და აზრს შეეკითხებოდა ხოლმე.

ერთ ასეთ სხდომაზე მეც მიმიწვია. ეს მაშინ იყო, როდესაც დაწერა „ქვათა ღალადი“ – შესანიშნავი, ოსტატური პოლემიკური ნაწარმოები, მწვავე სატირითა და იუმორით აღსავსე. როგორც ცნობილია, ეს თხზულება მიმართულია უმთავრესად პატკანოვისა და აგრეთვე ზოგი სხვა ავტორების წინააღმდეგ, რომელნიც უწესური ხერხებით ღამობდნენ ჩვენი ისტორიისა და კულტურის დამცირებას. მოსასმენად, ჩემს გარდა, მიწვეულნი იყვნენ: ნიკო ცხვედამე, ნიკო ხიზანიშვილ-ურბნელი, ვლადიმერ (პროკოფი) მიქელაძე, ბანკის დირექტორი გრუზინსკი (სახელად, მგონი, მიშა) და სხვები. ილიამ რომ კითხვა დაასრულა, ყველამ ერთხმად მოუწონა, ერთი უბრალო შენიშვნაც კი არავის განუცხადებია. ამან მე დიდად გამაკვირვა: სხვებს თუ არა, ნიკო ხიზანიშვილსა და ვლადიმერ მიქელაძეს, როგორც უფრო ნიჭიერთა და საქმეში ჩახედულთ, მაინც უნდა შეემჩნიათ, რომ ილია ზოგ რამეში ცდებოდა. მეტი გზა აღარ იყო და შევეკითხე, – თავადო ილია, თუ გაქვთ-მეთქი წაკითხული პატკანოვის წერილი? მიპასუხა, არ წამიკითხავს, მაგრამ ხელთა მაქვს დიმიტრი ბაქრაძის პასუხი იმ წერილზე და იქიდან ამოვკრიბე ყველაფერიო. მერე ვუთხარი: „რასაკვირველია, თქვენი თხზულება ნამდვილად შესანიშნავია იმ მრავალი ფაქტის გაშუქებით, რომლებიც მოწმობენ გარკვეულ პიროვნებათა უწესურობას, ჩვენ წინააღმდეგ მომართულს, კუტულის მოგზაურობიდან დღემდე. ასეთი მჭევრმეტყველებით მათი არაკეთილსინდისიერი მოქმედება სხვას არავის გამოუმჟღავნებია; შესანიშნავია თქვენი სტილიცა და იუმორიც, მაგრამ ფაქტების აღნუსხვაში უთუოდ უნდა შეიტანოთ ცვლილება, თორემ ადვილად გამოგედავებიან მოწინააღმდეგენი, რადგან ზოგან მათ იმას მიაწერო, რაც ნამდვილად არ უთქვამთ-მეთქი. ილიამ მომიგო: „Ведь я же ссылаюсь и пользуюсь ответом Бакрадзе, а я его знаю и уверен, что он никогда неправды не скажет!“ მე ვუთხარი: „Бакрадзе, конечно, неправды не говорит, но то, что он говорит вообще о несправедливой критике „Картлис Цховреба“, Вы приписываете Патканову. И эти мелочи необходимо исправить. У меня есть оттиск статьи Патканова, я Вам предоставляю его и когда Вы с ним ознакомитесь, сами убедитесь, что есть кое-какие недаразумения фактического характера в Вашем, в других отношениях замечательном произведении“. ძალიან ეწყინა, მაგრამ რას იზამდა? მივეცი პატკანოვის წერილი! რასაკვირველია, მაღლობა

გადამიხადა და გამოიყენა, გაასწორა, მაგრამ მაინც მითხრა, „მე ქართველებისათვისა ვწერ და არა მეცნიერთათვისაო“. აბა, ილია რომ ამას იტყოდა, სხვებისაგან რაღა იყო მოსალოდნელი? ასე იყო თუ ისე, როდესაც „ქვათა ღალადი“ დაიბეჭდა, აღარავითარი ლაფსუსი აღარ დაჰყოლია თან.

პატკანოვი ხომ ნამდვილად ძალიან მჩატედ და არაკეთილსინდისიერად ექცეოდა „ქართლის ცხოვრებას“, უცხოელის შედგენილიაო... თუ არადა, რატომ სწერია შიგ, ქართველები თავდაპირველად სხვა ენაზე ლაპარაკობდნენო?! გაგონილა ასეთი ამბავი?

უცნაური იყო ილიას დანარჩენი მსმენელების საქციელი, რაც საერთოდ ჩვეულებად ჰქონდათ ჩვენებს: არ ეწყინოსო და არავითარი შენიშვნა არ მისცეს. ვერ მოვითმინე და ურბნელს ვუსაყვედურე, როგორ შეიძლებოდა ეგრე გაჩუმება-მეთქი? მიპასუხა, არ ვიცოდი, პატკანოვი არც მე წამეკითხაო და შენ, რასაკვირველია, კარგი ქენი, რომ უთხარი ილიასო. იმას მაინც ესმოდა ასეთები!..

ილია ხშირად მთხოვდა წიგნებსა თუ სტატიებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე და მეც ვუგზავნიდი ხოლმე. რაც შეეხება მის წერილებს, „აი ისტორია“ რომ უწოდა, იმათ გამზადებაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. უნდა გამოვტყდე, რომ არ მომწონდა მათი გაჭიანურება. ჯერ კიდევ „ქვათა ღალადამდე“ ჰქონდა, მგონი, დაწყებული და ვერ კი დაამთავრა. საქართველოს მთელი ისტორიის დაკავშირება მოინდომა ჯაბადარის კრიტიკასთან! მაგრამ რა მწვავე სატირა და იუმორი იცოდა პოლემიკაში საერთოდ?! თუნდაც ის რაღა ღირს, მარზედ რომ დასწერა პატკანოვის გამოქომაგების გამო: „კარგია, როცა შეგირდი ოსტატს ესარჩლება, მაგრამ ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ავად ზრდილიო!“...

„ქვათა ღალადი“ ძალიან პოპულარული გახდა ჩვენში. ერთი კაცი იყო, გვარი აღარ მახსოვს (რევოლუციის შემდეგ დიპლომატად მუშაობდა), იმან სულ ზეპირად იცოდა ის წიგნი, სახარებასავით. პირდაპირ შეყვარებული იყო მასზე... „ქვათა ღალადი“ რუსულად თარგმნა ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილმა<sup>75</sup> და თვით ილიამ შესაწორა. შესანიშნავი თარგმანია, რუსულად დაწერილსა გავს!

ილიას იმიტომაც უხდებოდა ისტორიის საკითხებზე წერა, რომ იმხანად ნამდვილი ისტორიკოსი აღარ გვყავდა ბაქრაძის შემდეგ, სანამ ივანე ჯავახიშვილი გამოვიდოდა ასპარეზზე... ბაქრაძემდე კი ბროსეს შემდეგ პლატონ იოსელიანი სჯობდა ყველას, ხოლო თუ სცდებოდა, პატიოსნად სცდებოდა; ოღონდ წარწერების კითხვა ნამდვილად არ ეხერხებოდა!..

ილიას გარეგნობა<sup>76</sup>. შეიძლება ითქვას, რომ ილია საშუალოზე უფრო დაბალი ტანის კაცი იყო, ჩასკვნილი და ჩასუქებული, მაგრამ უშნოდ კი არა, ზომაზე.

პირველად რომ დავინახე, მაშინვე გამახსენდა გრიგოლ ორბელიანის სიტყვები მის შესახებ: „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალიაო!“ ზედგამოჭრილი ნათქვამი იყო! თვალები ილიას ძალიან ეშხიანი ჰქონდა და სახე – სანდომიანი. მე რომ გავიცანი, მაშინ თმაში ჭალარა არ უჩანდა. გვიან გამოერია. თმა-წვერის ფერი კარგად

---

<sup>75</sup> ნიკოლოზ იაკინთეს ძე ალექსი-მესხიშვილი – ილიას სტუდენტობის ამხანაგი, იურისტი, პატრიოტი მოხელე, ისტორია-არქეოლოგიის მოყვარული და ლიტერატორი.

<sup>76</sup> ეს პარაგრაფი ე. თაყაიშვილის მიერ ნაკარნახევია საგანგებოდ ერთი იმ შეკითხვათაგანის პასუხად, რომლებიც მას გამოუგზავნა აწ განსვენებულმა მწერალმა ლევან ასათიანმა ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ამსახველი კინოსურათის სცენაზე მუშაობის დროს.

არ მახსოვს, მაგრამ, მგონია, უფრო შავი ეთქმოდა. საზოგადოდ ილია მძლავრი აგებულების, ბუნებით ერთობ ჯანმრთელი ადამიანი იყო. ზემოთაც გავიხსენე ერთი მისი ნათქვამი, ცხვირის ცემინება და გაცივება არ ვიცი, რა არისო. ავადმყოფობა მხოლოდ მაშინ დაიწყო, ხანში რომ შევიდა: გული აწუხებდა და, როგორც ცნობილია, გერმანიაში წავიდა სამკურნალოდ, პროფესორ ლეიდენის საავადმყოფოში. ლეიდენმა, პირველ ყოვლისა, თურმე საზრდოობის რეჟიმი დაუწესა და ყოველდღე ლობიო გაუჩინა საჭმელად. ამაზე ილია ამბობდა, ჩვენ არა გვცოდნია და თურმე რა სასარგებლო საჭმელი ყოფილა ლობიოო!... მერე ლეიდენისათვის უთქვამს, მე ლობიოთი ვარ გაზრდილი, ყოველთვის ვჭამდი, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერ მიშველაო. მართლაც, კოლა ერისთავისაგან („ცუნცულადისაგან“) გამიგონია, ლობიო ისე უყვარს ილიას, რომ ჩვენთან როცა სადილობს, ჩემი ცოლი ახალ-ახალის დასხმას ვეღარ აუდისო.

ილიამ შესანიშნავი, სასიამოვნო საუბარი იცოდა და მის მოსმენას არაფერი სჯობდა – მეტადრე, თუ კარგ გუნებაზე იყო. ხმაც ძალიან საამური ტემბრისა ჰქონდა, არც ძალიან მაღალი და არც ძალიან დაბალი, ბოხი. არც ყვირილი იცოდა და არც აჩქარებული ლაპარაკი. ოღონდ ისიც უნდა შევნიშნო, რომ გულმოსული თითქმის არასოდეს მინახავს, და ეგებ მაშინ კი უწევდა ხმას და უფრო ჩქარაც ლაპარაკობდა?

თუმცა ერთხელ კი შევესწარი მის განრისხებას, როდესაც დავით სარაჯიშვილთან ვიყავით სტუმრად. დავითი, მართალია, კარგი ქართველი იყო და დიდი პატრიოტიც, მაგრამ ჩვეულებად ჰქონდა ქართველების საზოგადოდ დაწუნება, მათი ნაკლის გაზვიადება და, პირიქით, სამაგალითოდ ჩვენს მეზობლებს ასხამდა ხოლმე ქებას. ქართველების მიმართ ძალიან გულგატეხილად მოჰქონდა თავი და თვითონ იტყოდა ხოლმე, ბატონო, პესიმისტი ვარო! ნიკო ლოლობერიძე მას დაცინვით „великий пессимист“-ს ეძახდა. რა საგანზედაც არ უნდა ყოფილიყო საუბარი, დავითი მაშინვე მეზობლებს დააყენებდა მაღლა, იტყოდა, რომ ჭკვიანი ცხოვრება იციან, ბედოვლათები და მთხოველები არ არიან, მუშა და გამრჯელი ხალხია, ყველა საქმეში გვჯობნიან და მომავალიც მათია. ერთხელ, ნამეტანი რომ გადააჭარბა ასეთ ლაპარაკში, ილიას გული მოუვიდა და წამოიძახა: „ამისთანა გაგონილა?! ამ ოჯახში ქართველების ძაგების მეტს ვერაფერს გაიგონებ! თუ ერთ-ორი ვიღაც აწუხებს და ფულსა სთხოვს, ეს მთელ ხალხზე გადააქვსო!“ აი, მაშინ კი აუწია ხმას ილიამ, მაგრამ – მაინც ცოტა!

დავით სარაჯიშვილს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა სომხის ბურჟუაზიასთან, მაგრამ ეს არ უშლიდა მას, რომ დიდი მეგობარი ყოფილიყო იმჟამად გაზეთ „Кавказ“-ის რედაქტორის ველიჩკოსი, რომელიც სულ სომხების ძაგებაში იყო და პამფლეტებსა და რომანებს ბეჭდავდა მათ საწინააღმდეგოდ. დათიკო მელიქიშვილის გადმოცემით, ველიჩკოს ასეთი ამხედრება სომხების წინააღმდეგ იმით აიხსნებოდა, რომ სომხის სოვდაგრებმა მას თამასუქებით ფულის მიღების საშუალება მოუსპეს: „სანამ აძლევდნენ, მოსწონდა და როცა შეუწყვიტეს, აღარ მოსწონსო!“ მართლაც ასე უნდა ყოფილიყო საქმე!... პროგრესულად განწყობილი ქართველები არ იწონებდნენ ველიჩკოს ასეთ ანტი-სომხურ მიმართულებას. ველიჩკო ზოგჯერ მიგვიპატიჟებდა ხოლმე შინ. ერთხელ, მახსოვს, მასთან ვიყავით სადილად. ილია და ნიკო ცხვედაძეც იქ იყვნენ. ილიამ სუფრაზე დასხდომამდე ცალკე გამიხმო და მითხრა: „ჩვენი უბედურება ისაა, რომ არ ვიცით ხოლმე შეკრება და მოლაპარაკება, თუ როგორ მოვიქცეთ ამა თუ იმ საკითხის გამო, ერთი პირი არა გვაქვს. აი, თუნდა ისიც არა გვაქვს გამორკვეული, თუ როგორ უნდა

მოვექცეთ ამ კაცს, ველიჩკოს, სომხებს რომ არა სწყალობს და ამაგებსო? ზოგიერთი ჩვენგანი ლანძღავს ამისათვის ველიჩკოს, მაგრამ როდესაც სომხებს ჩვენზე იერიში მოაქვთ და მიწასთან გასწორებას გვიპირებენ, მათ წინააღმდეგ კი ერთ სიტყვასაც არ დასძრავენო!”

ერთხელ ილიამ მკითხა, „რამდენად მართალია, რომ ამბობენ, გურულები ურიებიანო?“ თან ღიმილით დაატანა, „რა ვიცი, ეს პეტრე ნაკაშიძე მართლაც კი არის პირწავარდნილი ურიაო!“ ასეთი ახირებული აზრები („გურია-ურია“, ისევე როგორც „ხევსური-ხევის ურია“) მართლაც გაისმოდა ხოლმე აქა-იქ, მაგრამ სერიოზულ მეცნიერულ ლიტერატურაში, რა თქმა უნდა – არასოდეს. მეც ვუთხარი ილიას, ეგ ტყუილია, გურულები ჭან-ლაზ-მეგრელებისა და მესხების ნარევია და გურული კილოკავი უფრო მესხურს ჩამოჰგავსო; ამას გარდა, გურიაში არც ერთი ებრაელი არ მოიპოვება-მეთქი. მართლაც, თუ ჩამოვიდოდნენ ხოლმე ნაგომარზე, იარმუკობას, ივაჭრებდნენ და ისევ წავიდოდნენ უკან.

თავის დროზე ერთი გაზეთის კორესპონდენტმა დაბეჭდა... ცნობა, თითქოს იონა მეუნარგიას ქუთაისში შეურაცხყოფით მოეხსენებინოს ილია ჭავჭავაძე და ამით გარკვეული ჩრდილი მიაყენა იონას. ამ ამბის სრული განმარტება მოცემულია თვით ი. მეუნარგიას ამას წინათ გამოსულ წიგნაკში ილია ჭავჭავაძის შესახებ<sup>77</sup>...

ილია ჭავჭავაძეს ერთხელ უჩივლა თედო სახოკიამ, მაშინ სულ ახალგაზრდა კაცმა და სასამართლომ გაარჩია მათი საქმე. ყველანი ძალზე გაკვირვებული და დაინტერესებული ვიყავით ამ საჩივრით. საქმე ასეთი იყო: თედომ გამოსცა პატარა წიგნაკი – „აკაკის ნაკვესები“. როგორც ცნობილია, აკაკის ბევრი ჰქონდა უწმაწური ოხუნჯობაც და თედოს ისინი ყველა შეეტანა წიგნაკში. ილიას გაზეთმა „ივერიამ“ დაბეჭდა რეცენზია „აკაკის ნაკვესებზე“ და განაცხადა, რომ ეს წიგნაკი სახელს უტეხს აკაკისა და ქართულ მწერლობასაც და მისი გამოცემა სამარცხვინოა. თედომ ეს შეურაცხმყოფელად მიიჩნია და უჩივლა გაზეთის რედაქტორს. უმაღლეს სასამართლოში იყო საქმე. თედომ დამცველად აიყვანა ადვოკატი გიორგი გვაზავა, რომელიც თან პოეტობდა კიდევაც, მისი პოემა თავის დროზე ჟურნალმა „მოამბემ“ გააკრიტიკა სასტიკად. სასამართლოს ბევრი ხალხი ესწრებოდა. ილიას ჰკითხეს, ვექილი გეყოლებათო? მან მიუგო, „Я сам буду защищаться“-ო. მისცეს სიტყვა, ისიც წამოდგა და თავისებურად დინჯად დაიწყო ლაპარაკი. უჭირავს ხელში ის „ნაკვესები“ და სათითაოდ უთარგმნის რუსულად სასამართლოს წევრებს – ისე, რომ იცოდა ხოლმე, საფუძვლიანად, არც ერთი სიტყვა არ გამოუტოვებია. მოსამართლეები დაიხოცნენ სიცილით, ეუბნებიან: „Князь, достаточно, всё ясно!“ ის კი მაინც თავისას არ იშლის, ეუბნება: – „Нет, ещё, ещё, вот ещё несколько очень характерных примеров!“ ასე, საყოველთაო სიცილ-ხარხარში თითქმის სულ ჩაიკითხა და თარგმნა ის წიგნაკი. ბოლოს განაცხადა, ეს იმდენად სამარცხვინო ანეკდოტებია, რომ აკაკიმ თვითონ უარყო მათი ავტორობა და სწორედ ამიტომ დაიწუნა ჩვენმა გაზეთმა ამ წიგნაკის გამოცემაო... მოიგო, რა თქმა უნდა, საქმე! თედოსაც საქმის წაგება გულში არ ჩაუხვევია; კარგი პატრიოტი და ინტელიგენტი ქართველი იყო, არ დამდურებია ილიას. პირიქით, მერე შესანიშნავი წერილი მიუძღვნა მას.

---

<sup>77</sup> ჩვენს ხელთ არის თვით კორესპონდენტის, აწ დამსახურებული პედაგოგის, მეთოდე კაკაბაძის ვრცელი ახსნა-განმარტება, რომელიც ცხადყოფს, რომ მემუარების ავტორს მთლად სწორად ვეღარ გახსენებია აღნიშნული ამბავი და ამიტომ აქაც ვამჯობინეთ კუპიურის გაკეთება.



ჩემი მუშაობის დაწყებისას ერთი მასწავლებლისაგან შევიძინე ორი ხელნაწერი. ერთ მათგანზე, ტყავის სვინაქსარზე, ბოცო-ბასილისა და მისი შვილების მინაწერები იყო. მერე წარვუდგინე ის ხელნაწერები წერა-კითხვის საზოგადოებას, რომლის თავმჯდომარეც მაშინ ილია ჭავჭავაძე იყო, ავუხსენი, თუ რატომ მიმაჩნდა სასურველად იმ ხელნაწერთა ყიდვა საზოგადოებისათვის. როგორც კი გავათავე ახსნა-განმარტება, ილიამ მაშინვე გაუსვა კალამი, „მიეცესო“, და ამინაზღაურეს გაწეული ხარჯი. მერე გოგებაშვილმა შენიშნა: „კაცო, ჩვენ აღარ გვკითხე, იქნებ არა ვყიდულობდითო?“ ილიამ უთხრა: „მაგას რაღა კითხვა უნდოდა, კაცი გვეუბნება, ათაბაგის რამდენიმე ხელმოწერაა შიგაო. ერთისაც რომ ყოფილიყო, ისიც კმაროდაო!“

თბილისში რომ არქეოლოგიური კრება მოეწყო<sup>78</sup>, იმას არ დავსწრებივარ, მაშინ ქუთაისის გიმნაზიაში ვსწავლობდი, მაგრამ ანეტა ლოღობერიძე-მუსხელიშვილისამ მიაშობო იქ მომხდარი ერთი ინციდენტი. ხვოლსონს, ცნობილ ებრაისტს, წამოეძახა თავის სიტყვაში, „Я счастлив, что нахожусь в Тифлисе, столице Армении“-ო. სხდომის შემდეგ ილია მისულიყო ხვოლსონთან და ეთქვა, რომ მასზე ცუდი შთაბეჭდილებამოახდინა ორატორის ნათქვამმა. საქციელწამხდარ ხვოლსონს ბოდიშების ხდა დაეწყო, მაგრამ რაღა დროსი იყო?!

პროფესორმა ცაგარელმა რომ თავისი „Мингрельские этюды“ გამოაქვეყნა, ჩვენი საზოგადოება, ილია ჭავჭავაძიდან მოკიდებული, ერთხმად აუშხედრდა და კინაღამ შეჭამეს: მოღალატეა, უნდა მეგრელები ჩამოაშოროს საქართველოსაო. ძალიან ნიჭიერი კაცი იყო, ლინგვისტიკაში უკეთესი არ შეიძლებოდა. ის ნაშრომიც ძალიან კარგი ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ააღებინეს ხელი ენათმეცნიერულ მუშაობაზე და მის მერე შეუდგა სიგელების გამოცემას, რასაც ბევრი სხვაც გააკეთებდა უიმისოდ.

ერთხელ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ლოღობერიძე და მე ვბრუნდებოდით საიდანღაც ერთად და ვუთხარი: „ეგ რა გამოდის. გინდათ, რომ მეცნიერმა მეცნიერულად არ იმუშაოს? მეცნიერებაში პოლიტიკა როგორ უნდა გაურიოთ-მეთქი?“ „მეო, – მიპასუხა ილიამ, – მაგაში არ ვერევიო; ცაგარელის ნაშრომი მეცნიერულად როგორია, არ ვკითხულობ, მაგრამ ძალიან კი გვავნო, იანოვსკიმ და სხვებმა დაიხვიეს ხელზე და მოთხრა დაგვიპირესო!“

[ვ ა რ ი ა ნ ტ ი (1949 წ. 23/XI ჩანაწერში): „მახსოვს ერთი საუბარი ილია ჭავჭავაძესთან, პეტერბურგიდან ჩამოსვლის კარგა ხნის შემდეგ. სადილად ვიყავით ილია, ნიკო ლოღობერიძე და მე დავით სარაჯიშვილთან. ჩამოვარდა ლაპარაკი ცაგარელზე. ლოღობერიძემ დასვა საკითხი: „რა უნდა ქნას ასეთ შემთხვევაში მეცნიერმა, – რასაც მეცნიერული თვალთ ხედავს, იგი აღიაროს, თუ დამალოსო?“ მე ვთქვი: „თუკი მეცნიერება რასმე უჩვენებს, როგორ უნდა მოიტყუოს და პოლიტიკა გამოურიოს-მეთქი? ახლა მარსაც ასე აუხირდენ, ცილს წამებენ და ეს კი არაა სწორი მეთქი“. ილიამ თქვა: „მე არ ვიცი, მეცნიერულად როგორია ცაგარელის მოსაზრება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მაგან ძალიან გვავნო, თითქმის ერთიანად ჩამოგვაშორა სამეგრელოო. კარგია, რომ თითონ იქაურმა ხალხმა არ მიიღო: სამღვთო წერილი

---

<sup>78</sup> რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა შედგა თბილისში, 1881 წელს.

რომ გადაუთარგმნეს, ადგენენ და გამოვიდნენ ეკლესიიდან, როცა მეგრულად დაიწყეს წირვაო“].

საერთოდ კი ილია იმითაც სჯობდა თავის ირგვლივ მყოფთ, რომ ფხიზლად ადევნებდა თვალს მეცნიერულ ლიტერატურას, მუდამ საქმის კურსში იყო, კითხულობდა, უკვირდებოდა და მარჯვედაც იყენებდა თავის პუბლიცისტიკაში.

ილიას დასახასიათებლად აქ მოკლედ უნდა გავიხსენოთ მისი დამოკიდებულება იმ ხანგრძლივი და მწვავე კონფლიქტისადმი, რომელიც თედო ჟორდანიასა და ჩემს შორის ატყდა, როგორც კი გამოვედი სამეცნიერო ასპარეზზე, ე.ი. ჩემი „სამი ისტორიული ხრონიკა“ რომ დავბეჭდე. თ. ჟორდანიამ „ივერიაში“ განაცხადა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მან გადმოწერა პირველად; რომ ათხოვა გადმონაწერი ილია ჭავჭავაძეს, როდესაც იგი „ქვათა ლაღადსა“ წერდა, და რომ მერე ის რვეული მე წავიღე. ამ წერილმა სასტიკი შეურაცხყოფა მომაცენა. ჯერ სამედიცინო სამართალში გამოვიწვიე თ. ჟორდანიას, და რომ არ გამომყვა, მერე – დუელში, მაგრამ მან ამასაც თავი აარიდა. ილიამ რომ ეს ამბავი გაიგო, ძალიან შეწუხდა, „ასეთი რამ არ უნდა დაბეჭდილიყო ჩვენს გაზეთშიო“. გაზეთის რედაქციის გამგის, გ. ყიფშიძის პირით დამიბარა, მნახეო. მეც მივედი მასთან, ბინაზე. 4 საათი იყო, დაავიანდა ბანკიდან დაბრუნება. ბოლოს ისა და ივანე პოლტარაცკი მოვიდნენ ერთად და დასხდნენ სადილად. მე უკვე ნასადილვე ვიყავი და ისე, ტყუილად მივუჯექი სუფრას. სადილი რომ გაათავეს, ილიამ შემიხმო კაბინეტში და ძალიან გულისხმიერად მომიბოდიშა, დიდად ვწუხვარ, რომ ჩემ გაზეთში ასეთი წერილი გამოქვეყნდა, მაგრამ ხომ იცი, დრო არა მაქვს, მე თვითონ ვერ ვკითხულობ გაზეთს, თორემ როგორ გავუშვებდი, ეს სულ რედაქციის ბრალიაო! ახლა ძალიან გთხოვთ, როგორმე მშვიდობით გაათავეთ საქმე, სულ ორიოდე კაცი მუშაობთ ჩვენს ისტორიაზე და ახლა თქვენი დუელი როგორ შეიძლებაო? (სხვათა შორის, თავის დროზე თითონ ილიასაც ჰქონდა სადუელო საქმე ნ. ნიკოლაძესთან). მე ვუთხარი, მუშაობა ახლა დავიწყე და უკვე ასეთი ლაფი გადამასხეს თავს, როგორ შემიძლია ეს შეურაცხყოფა გადავიტანო, მშვიდობით კი საქმე არ ეწყობა-მეთქი?! ილიამ ამაზე მითხრა, სამედიცინო სამართალში გამოიწვიეთო. მე ვუთხარი, არც მაგ სამართალში გამოდის და არც დუელში-მეთქი. ეგ ყოვლად შეუძლებელიაო! – მიპასუხა ილიამ, – როგორ არ გამოგყვებათ, ეგ ხომ იმის ნიშანი იქნება, რომ ცილისმწამებელიაო?! მე ვუთხარი, კარგი, სამართლოს დავჯერდები-მეთქი. შევთანხმდით. ილიასავე რჩევით დავასახელე მედიატორები და კიდევაც გაირჩა ჩვენი დავა. თ. ჟორდანიას ილიას მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. ჩემს ერთ-ერთ მედიატორს ივ. პოლტარაცკის გავუხიარე ჩემი ექვი: «ივერიის» რედაქციის წევრები ყველანი ჩემი წინააღმდეგნი არიან და ხომ არაა მოსალოდნელი, ილიაც მათ მხარეზე დადგეს-მეთქი? ივანემ მითხრა, ეგ არასგზით არ მოხდებაო; ილიას აქვს ცოტაოდენი ნაკლი, ერთხელ კიდევაც წავეჩხუბე და მთელ წელიწადს ხმას არა ვცემდი, მაგრამ ის კი ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელია, რომ მან საზოგადო საქმეში ჭეშმარიტებას უღალატოს, ან ოდნავ მაინც გადინაროს იმისაკენ, ვინც მართალი არ არისო; ამაში დარწმუნებული იყავითო! და მართლაც, ილიამ მედიატორებს ვერაფერი უთხრა ჟორდანიას სასარგებლოდ. თქვა, თაყაიშვილი „სამი ისტორიული ხრონიკის“ გამოცემამდე ჩემთან არ დადიოდა და, მაშასადამე, ვერც ამ რვეულს წაიღებდა ჩემგანო (თან ის რვეული ეჭირა ხელში და ათვალთვლებდა); როგორც ვრწმუნდები, მე ეს რვეული არა მქონია, ის სხვა იყო, უფრო მცირე ტანისა და დაშლილიო; თუნდაც ეს ყოფილიყო, შეუძლებელია, თაყაიშვილს წაეღოს, რაკი არ უვლია ჩემთანო! ილიას ჩვენების

შემდეგ კიდევ ერთი სხდომა ჰქონდა მედიატორებს, მაგრამ იმ სასამართლოს ამბავს შემდეგ გავიხსენებ უფრო დაწვრილებით, რადგან ძალიან არსებით და, სამწუხაროდ, დამახასიათებელ მოვლენად მიმაჩნია როგორც ჩემი მეცნიერული მუშაობის ისტორიის, ისე ჩვენი საზოგადოების ისტორიისათვის.

ახლა კი მინდა გავიხსენო ილიასა და ნიკო ხიზანიშვილ-ურბნელის ურთიერთობა და, ამასთან დაკავშირებით, ილიას ხასიათის კიდევ ერთი თვისება.

ილიას ჭამა ძალიან უყვარდა და ყოველთვის ისე გულმოდგინედ და გემრიელად შეექცეოდა ხოლმე, რომ რაც არ უნდა დაკარგული გქონოდათ მადა, ისევ მოგგვრიდათ. მისი დროდადრო მცირე ავადობის ერთადერთი მიზეზი ეს ზედმეტი ნაყოფანება იყო ხოლმე. მაგალითად, ორშაბათობით იგი ხშირად ხდებოდა შეუძლოდ, რადგან კვირაობით სადილად დადიოდა დავით სარაჯიშვილთან, რომელიც დიდი მომასპინძლე კაცი იყო და რომელსაც შესანიშნავი მზარეულები ჰყავდა: თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს თბილისის ვერც ერთ ქართულ ოჯახში ვერ სჭამდით ისეთ გემრიელს სადილს, როგორსაც დავით სარაჯიშვილთან. ერთხელ მე და ილია ვიყავით იმასთან სადილად. მასპინძელმა რაღაცა შესთავაზა, კიდევ მიირთვიო, და ილიამ უარი უთხრა, შენი სადილის შემდეგ ხშირად ავად ვხდებო. მაშ, ნუ სჭამ ბევრსაო, – უთხრა სარაჯიშვილმა. – როგორ არა ვჭამო, ისეთი გემრიელი საჭმელები მოგაქვს, რომ თავის შეკავება არ შემიძლიაო! – მიუგო ილიამ.

დიახ, ილიას მადა-ჭამა განთქმული იყო, მაგრამ მისი ახლო მეგობრის, ნიკო ხიზანიშვილის მადა-ჭამასთან ილიასი მოსაგონიც არ იყო. ნიკომ გაძლომა არ იცოდა, თუ ვერ გრძნობდა გაძლომას, არ ვიცი. იგი ილიას ძალიან უყვარდა და ერთიმეორესთან შეხუმრებული იყვნენ ყოველთვის. ნიკო „ფეოდალს“ ეძახდა ილიას, ილია კი – „გაუმადლარ პლემსს“ (ნიკო ფსევდონიმად „Plebs“-ს აწერდა თავის სტატიებს ჟურნალ-გაზეთებში).

ერთხელ სიტყვამ მოიტანა და ილიამ გვითხრა: „მართალია, მეც კარგი ჭამა ვიცი, მაგრამ ნიკო ხიზანიშვილს ხომ ვერ შევედრებო!“ მერე გვიამბო: „ერთხელ საგურამოში უნდა წავსულიყავით ერთად და, რაკი მისი ამბავი ვიცოდი, წინდაწინ მეუღლეს მივწერე, ხვალ მოვდივარ საგურამოში და ნიკო ხიზანიშვილი მომყავს; ხომ იცი, რანაირი სვავია და შესაფერისი სადილი მოგვიმზადე, საუზმეულს კი მე ამოვიტან აქედან-მეთქი. მეორე დღეს კარგი დარი იყო და ჩვენც ნამგზავრნი მადაზე კარგად ვიყავით. სადილის ჭამას პირველ საათზე შევუდექით. ჯერ, რასაკვირველია, საუზმეულს შევექცეთ და ლაზათიანად გაიხელით ხიზილალას, დოშს, „სარდინკებს“, გადახელილსა და სხვა ამგვარებს. მერე არტალა და თევზის მწვადები დავაყოლეთ. მერე შემოვიდა მზარეული და მკითხა, შემწვარი ინდოური და გოჭი მაქვს, რომელს ინებებთო? მე ვუთხარი, ინდოური მოგვიტანე და გოჭი ვახშმად შეგვინახე-მეთქი. ინდოურიც კარგად გაიხელით და მერე ორგვარ-სამგვარი ტკბილეულიც დავაყოლეთ; თან, რასაკვირველია, ყოველივე ამ საჭმელის შესაფერის ღვინოსაც შევექცეოდით. ამან თითქმის ხუთ საათამდე გასტანა. მერე კი ადგა ნიკო და გარეთ გავიდა, „ახლა ჰაერზე უნდა გავიარო, რომ ცოტა მოვინელო და სული მოვითქვაო“. ჩვენ აივანზე დავრჩით და ნიკო კარგა ხანს აღარ ამობრუნებულა. ბოლოს, რომ მოსალამოვდა, მზარეული ამოვიდა და მკითხა, ვახშმად რა გაგიკეთოთ, რას ინებებთო? მე ვუთხარი, გოჭი აკი გაქვს და სხვა რაღა გვინდა-მეთქი?! მან გაიცინა, გოჭი სადღა გახლავთ, თქვენი სტუმარი ჩამობრძანდა სამზარეულოში, გადმოიღო თაროდან ის გოჭი და სულ ერთიანად მიირთვა, თავის ძვლის მეტი არა დაუტოვებია რა, თითქოს მანამდე არაფერი ეჭამოსო!“

ილია ამ ამბავს თვით ნიკოს თანდასწრებით მოგვიყვება. მერე ნიკო მომიბრუნდა და მითხრა: „ისე შიშხინებდა ახალშემწვარი გოჭი, რომ აბა, როგორ შემეძლო არ შემეჭამა?! ნეტავი ახლაც მომცა იმისთანაო!“

ხიზანიშვილის ასეთი უზომო ჭამის ამბავი თბილისში ყველამ იცოდა და ერთხელ აკაკიმაც დაუწერა კუპლეტებში:

„...ბექა და აღბუღა

არტალას არ ჩააყოლოო!“

ეს იმიტომ, რომ სწორედ იმ ხანებში გამოაქვეყნა ნიკომ, ნ. ურბნელის ფსევდონიმით, ბექა და აღბუღა ათაბაგების კანონები.

ნიკოს ხშირად უთქვამს: რაცა ვარ, სულ ილიას წყალობითა ვარ, სამსახურშიც მაგან გადმომიყვანა აქა; ილიასნაირად ქვეყანაზე არავინ მიყვარსო. ის, მისი ცოლი – მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი – და მათი ბავშვები ძალიან ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე სადილად ილიას. ელისაბედს თან გარმონიკა მოჰქონდა. ნასადილევს უკრავდა და ბავშვებს აცეკვებდა. მის მიერ გარმონიკის დაკვრაზე ელენე ჯაბადარს, მუსიკის კარგ მცოდნეს, გულს შემოეყრებოდა ხოლმე.

ნიკო ხიზანიშვილი გამომძიებლად იყო და მოსამართლის თანაშემწედ მსახურობდა თბილისის ერთ-ერთ უბანში. უეჭველად ნიჭიერი კაცი იყო, კარგი მკვლევარი და პუბლიცისტი, ენამახვილი; კარგი ქართულით წერდა... მაგრამ ცოტა უხეშობა კი მოსდგამდა. ბოლოს, როგორც ცნობილია, ის მოკლეს, მაგრამ არ ვიცი და არცაა, მგონი, დღემდე გამორკვეული, თუ ვინ მოკლა და რატომ? ორი შვილი დარჩა, ქალ-ვაჟი.

ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებით მას შემდეგ შეიქნა ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილი, როდესაც დაბეჭდა პოემა, რომელშიც ერეკლე მეფეს არწივს ადარებს<sup>79</sup>. ილიამ ძალიან გაუთქვა და გაუკეთა სახელი. ამბობდა, რუსთაველის შემდეგ მაგისტანა პოეტი არ გვყოლიაო<sup>80</sup>. პირდაპირ გაგიჟებული იყო ვაჟაზე, მაგრამ სხვები არ ეთანხმებოდნენ. ილიასთან გამართულ ხუთშაბათ-საღამოებზე ძალიან ხშირად კითხულობდა ვაჟას ლექსებს „ივერიის“ რედაქციის გამგე გიგა ყიფშიძე, რომელმაც კარგი კითხვა იცოდა სერთოდ...

#### **შენიშვნა:**

თვით ე. თაყაიშვილის ხელით მინაწერი ზემოთ გადმოცემულ მოგონებათა რვეულის პირველ ორ, ცარიელ გვერდზე [ჩანს, გადაკითხვის შემდეგ მონდომებია ასეთი რამეების ჩამატება]:

„ილია ჭავჭავაძე მოკლეს 12 სექტემბერს 1907 წელს“.

„დიმიტრი ყაზბეგი, გიორგი ყაზბეგის უფროსი ძმა, ილიას ჩამოუყვანია ყაზბეგიდან ჟურნალ «კრებულში» თანამშრომლად. ის ყოფილა დიდად განსწავლული, ფილოსოფოსი, მაგრამ უცნაური ხასიათის, საზოგადოებას გაურბოდაო. მისი მოთხრობა „მავნე სული“ ჟურ. «კრებულში» იყო დაბეჭდილი. მისი ოსი გოგოს შერთვა და სხვა (იხ. ეკატერინე გაბაშვილის მოგონება, «ლიტერატურული მატრიანე», წიგნ. 1-2, 1940, გვ. 113).

---

<sup>79</sup> „მოხუცის ნათქვამი“.

<sup>80</sup> ილია იტყოდა ხოლმე: „რაც ვაჟა გამოჩნდა პოეზიაში, ახლა ყველამ განზე უნდა გადავდოთ კალამიო“ (ვლ. ფ. ო. ფ. ხ. ა. მ. ი. ს. მოგონებებიდან. გ. ლ.).

„ოღლა თადეოსის ასული გურამიშვილი და მისი და ეკატერინე [ცხოვრობდნენ] თავის ბებიასთან [,] სავარსამიძის ცოლთან [დედა იყო სავარსამიძე, გ. შ.], მას შემდეგ, რაც მათმა მამამ თადეოზმა [შეირთო] მეორე ცოლი [,] დავით დიასამიძის ქალი მარიამი“.

„ილიას და ელისაბე[ი], ალექსანდრე საგინაშვილის მეუღლე [,] პირველად ორბელიანზე ყოფილა გათხოვილი (გვ. 145)“.

„ვანკა-ვსტანკა“ [.]

„ნიკო ერისთავი, ყოფილა პრისტავი, კარგი დეკლამატორი ლექსებისა, ჩემი დიდათ დამფასებელი“.

1896 წ., «ივერია», №63 [.]

„ილიას სამსახურში დუშეთში, იხ. მისი წერილები [.] 1949, გვ. 23“.

## აკაკი წერეთელი

აკაკის შორიდან ვხედავდი ხშირად ქუთაისში, როდესაც პროგიმნაზიასა და გიმნაზიაში ვსწავლობდი, მაგრამ პირადად მხოლოდ მაშინ გავიცანი, როდესაც გიმნაზიის მეშვიდე კლასში გადავედი. იმ დროს ვცხოვრობდი პოლკოვნიკ ალექსანდრე მუსხელიშვილთან, რომელსაც ცოლად ჰყავდა ნიკო ლოღობერიძის და ანეტა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ერთობ ჭკვიანი და კარგი ადამიანი. მე ვიყავი რეპეტიტორი ალექსანდრეს ძმისწულისა, რომელიც გიმნაზიის მეოთხე კლასში სწავლობდა, და აგრეთვე ანეტას ძმისწულის, სიმონ ლოღობერიძის ქალის ნინოსი, რომელიც შემდეგ ვაჩნაძეზე იყო გათხოვილი და რომელიც ეხლაც კეთილად სუფევს. იგი მაშინ ქალების სასწავლებელში ქუთაისში სწავლობდა.

აკაკი ზოგჯერ ანეტასთან დადიოდა და იქ ვხვდებოდი მას. შემდეგ მას ქუთაისის თეატრში მოღვაწეობის დროს ხშირად ვხედავდი სცენაზე. იგი რეჟისორი იყო თეატრის კერძო დასისა და გასტროლებში მონაწილეობას იღებდა, სცენაზე თავის ლექსებს კითხულობდა. მაშინ თბილისიდანაც ხშირად მოდიოდნენ აკაკისთან ქართველი არტისტები – ვასო აბაშიძე და ვლადიმერ მესხიშვილი, რომელნიც ჩვენთვის დიდად საყვარელნი იყვნენ, მათ წარმოდგენებს დიდის ხალისით ესწრებოდა ქუთაისის საზოგადოება. მეტადრე ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ვასო აბაშიძის სახუმარო კუპლეტები, რომლითაც ის გადაჰკრავდა ზოგიერთ ჩვენს მოღვაწეებს.

აკაკის ზოგჯერ ვხედავდი ქუთაისის ინტელიგენტთა საღამოებზე, რომლებიც კერძო ოჯახებში იმართებოდა, უფრო ხშირად ეფემია კლდიაშვილის ოჯახში (ჩვენი არქიტექტორის, სიმონ კლდიაშვილის დედა იყო). იქ ვისმენდით ხოლმე აკაკის ჩვეულებრივ ხუმრობას, ზოგჯერ ჩვენის თხოვნით თავის ლექსებს გვიკითხავდა.

როდესაც უნივერსიტეტი გავათავე და თბილისში ჩამოვედი, მაშინ კი ხშირად ვხვდებოდი აკაკის კერძო ოჯახებში და ნამეტნავად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში, რომელიც იმხანად ერთ მოზრდილ ოთახს წარმოადგენდა, წიგნების მაღაზიის უკან საადგილმამულო ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე. აქ იკრიბებოდნენ ქართული ინტელიგენტები და ამ კრებაზე აკაკი ხშირად მოდიოდა და თავისი მოთხრობებითა და ამბებით გვართობდა.

როგორც ქუთაისში, ისე აქაც აკაკი ცოლ-შვილით არა ყოფილა, არც მუდმივი ბინა ჰქონდა: ხან ერთ სასტუმროში ცხოვრობდა, ხან მეორეში. სამსახური თავის დღეში არა ჰქონია, მაშასადამე, მისთვის არც ჯამაგირი არსებობდა. ცოტა შემოსავალს იღებდა თავისი მამულიდან და ყოველთვის უფულოდ იყო. მაგრამ როგორც დამსახურებული და უებრო პოეტი, ის ყოველთვის საყვარელი კაცი იყო და შეძლებისამებრ ყველა ეხმარებოდა. ხშირად მას სასტუმროს მეპატრონენი, ნამეტნავად იმერლები და გურულები, არც ბინაში, არც საჭმელ-სასმელში ფულს არა თხოვდნენ, თვის ბოლოს მხოლოდ ანგარიშს წარუდგენდნენ თავიანთი ხელმოწერით, რომ ფული მიღებულიაო.

აკაკი კერძო ოჯახებშიც ცხოვრობდა, ნამეტნავად პირველ ხანებში ნიკო დიასამიძისას (თბილისში), სადაც მას მასპინძლის ცოლი და შვილები დიდის სიყვარულით თავს დასტრიალებდნენ. ხშირად იყო აგრეთვე დეკანოზ დავით ღამბაშიძის ოჯახში, ყვირილაში, სადაც დავით ღამბაშიძე სასულიერო გაზეთ „მწყემსს“ სცემდა.

ერთ ადგილს დიდხანს გაჩერება არ უყვარდა: ხან თბილისში იყო, ხან ქუთაისში. ქუთაისში მას ბინა ნიკო ნიკოლაძის დებთან – კატოსთან და ანიკოსთან ჰქონდა. ესენი ცნობილი ინტელიგენტი ქალები იყვნენ, ქუთაისში მასწავლებლობდნენ და ისე ირჩენდნენ თავს. დებს თავიანთი ძმა ნიკო ნიკოლაძე ისე უყვარდათ, რომ ერთ სამღურავს ძმის შესახებ ვერ ათქმევინებდით. კატო (1854–1931) და ანიკა (1846–1931) თამამი ლიბერალური მიმართულების ქალები იყვნენ, უქმროები. აკაკი იქ როგორც თავის ოჯახში, ისე სცნობდა თავს. ნამეტნავად საინტერესო იყო მათი შინაური დამოკიდებულება. აკაკიმ პოეტურად შეთხზული ბაასი იცოდა. კატო მაშინვე სიცილით შენიშნავდა: „ტყუილი, ტყუილი“-ო, მაგრამ აკაკი ამაში არც თავის შეურაცხყოფას ხედავდა და არც ეჩხუბებოდა, სუყველაფერი სიცილით თავდებოდა.

საზოგადოდ აკაკი სააპეკო კაცი იყო: ვინმე პატრონი უნდა ჰყოლოდა, ვინაიდან ცოლ-შვილთან იმ დროს არა ცხოვრობდა. გაგონილი მქონდა, რომ მისი ცოლი, ბაზილევსკის ასული, მდიდარი ყოფილა, როდესაც აკაკის შეურთავს. ამბობდნენ, ქონება რომ დახარჯვიათ, აკაკიც გასცილებიაო, მაგრამ მის ცოლს კვლავ ორჯერ დიდი ქონება მიუღია გარდაცვალებული ნათესავებისაგან. აკაკი ისევ ცოლთან წასულა მოსკოვში და, როცა ეს ქონებაც შეუჭამიათ, აკაკი ისევ საქართველოში დაბრუნებულაო.

ნატალია ბაზილევსკაია მე უკვე მოხუცებულობაში ვნახე, როდესაც აკაკი ავად იყო, და ეტყობოდა, რომ ახალგაზრდობაში სანდომიანი ქალი უნდა ყოფილიყო. შვილი ლამაზი ყავდა.

როდესაც აკაკი ავად გახდა, თბილისში მისი ცოლი ჩამოვიდა და დაადგა თავზე, თავისებურად უნდოდა კარგად მოევლო. ავადმყოფ აკაკის სხვა ქალებიც უვლიდნენ (მაგ., ტასო მაჩაბელი და სხვები). ერთხელ მივედით აკაკის სანახავად, ნუგეში ვეცით:

– „არაფერი საშიში ავადმყოფობა არ გაქვს, მალე მორჩები“-მეთქი. მან მითხრა: „რა მომარჩენს, ეს თუ არ მომაცილებთ“, და მიუთითა ცოლზე. ეს აკაკის ჩვეულებრივი ოხუნჯობა იყო; ისე, რაც შეეძლო, პატივსა ცემდა ცოლს.

აკაკის შვილი ალექსი ერთობ სიმპატიური ადამიანი იყო, ზრდილი, კაცთმოყვარე, ლამაზი და კეთილი გულის პატრონი; მამა ძალიან უყვარდა და თუმცა ქართული ნაკლებად იცოდა, მაგრამ მამის თხზულებათა შინაარსი ზედმიწევნით ჰქონდა შეთვისებული. მან ოპერის მოყვარულთა დასი შეადგინა და

ერთხელ გასტროლებისათვის ჩამოვიდა საქართველოში. აკაკი შვილს დიდად ეხმარებოდა, მაგრამ მოგება ვერ ნახეს და ვალებში ჩაცვივდნენ. თანდათანობით ეს საოპერო დასი ალექსიმ შემდეგ გააუმჯობესა, პარიზში ჩავიდა თავისი დასით და დიდი წარმატებით მიყავდა საქმე. კარგი შემოსავალი ჰქონდა და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა ამ დასმა ფრანგებზე. მერე ფრანგებმა არენდით აიღეს ეს დასი და მისი მონაწილენი, გარდა საფრანგეთის ქალაქებისა, ბრიუსელში და ბელგიის სხვა ქალაქებშიც მართავდნენ სალამო-კონცერტებს, რომელთაც აუარებელი ხალხი ესწრებოდა. დასს მართალია შემოსავალი დიდი ჰქონდა, მაგრამ ალექსი იმდენად პირდაპირ იდეალური და უანგარო კაცი იყო, რომ შემოსავლის ანგარიშში თითონ არც კი ერეოდა, – რასაც დასი მისცემდა, იმით კმაყოფილდებოდა. დასის წევრები ალექსის აღმერთებდნენ და ოდნავი უსიამოვნებაც კი არა ჰქონიათ მასთან. დედამისი ნატალია იმ დროს დასნეულებული იყო, ორ წელიწადს ლოგინში იწვა, შვილი თავს დასტრიალებდა და არაფერს არ აკლებდა, მაგრამ ბოლოს მაინც სნეულებას გადაჰყვა. დედის სიკვდილის გამო გამოუთქმელ მწუხარებაში ჩავარდა ალექსი. ერთი თუ ორი წლის შემდეგ თითონ ალექსიც გახდა ავად და იქ, პარიზშივე მიიცვალა. დიდძალი საოპერო დეკორაციები, ტანისამოსი და ბიბლიოთეკა დარჩა, რაც მილიონნახევრად იყო შეფასებული. ეს ყველაფერი ქართულ საზოგადოებას დაუტოვა ანდერძით, მაგრამ ოპერის დასის წევრებმა საჩივარი აღძრეს, რომ ჩვენ გვეკუთვნის მთელი საოპერო ქონებაო, და ეს ქონებაც მათ დარჩათ.

აკაკი ჩემი დიდი პატივისმცემელი იყო და ეს საქმითაც დაამტკიცა. მე ცოტა არ იყოს, სირცხვილეული დავრჩი. ერთხელ შემოვიდა იგი ჩემთან სახლში (მაშინ წყნეთის ქუჩის დასაწყისში ვცხოვრობდი, ხოლო აკაკი ჩემს პირდაპირ ყოფილ ოლღას ქუჩაზე) და მითხრა:

– „ყველაფერზე გული ამივარდა, არცერთი ჩვენი დაწესებულება არ მაკმაყოფილებს შენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მეტი და ჩემი ქონება თქვენ უნდა დაგიტოვოთ ანდერძითო“.

მე გავიციე და ღიმილით ვუთხარი: „აკაკი! შენი ჭირიმე, ჩვენი დალუპვა თუ არ გინდა, მაგას ნუ იქმ-მეთქი“.

– „რატომო?“ – მკითხა.

– „იმიტომ რომ, მეშინია, შენს ვალებში არ გაგვიყიდონ ის ხელნაწერები და სხვა ნივთები, რომელნიც თქვენ უნდა დაგიტოვოთ ანდერძით“.

მან მიპასუხა: „ვინ გითხრა ეს? ვალი ერთი კაპეიციც კი არ მაქვს, ან ვალი საიდან მექნება, როდესაც ფულს არავინ მასესხებს? ქე ნახავ მაშინ, როდესაც ჩემს მემკვიდრეობას მიიღებთ და მოსარჩლე არავინ გამოგიჩნდებათო“.

ამით გავათავეთ ლაპარაკი და სხვაზე გადავედით. სხვა დროს მას ამ საკითხზე ლაპარაკი აღარა ჰქონია. წარმოიდგინეთ: წასულა აკაკი ქუთაისში და ამავე კვირაში ნოტარიალური წესით დაუმტკიცებია ანდერძი, რომ მთელ თავის მამულს და მთელ თავის ნაწარმოებებს, გამოცემულს თუ გამოუცემელს, უტოვებს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

ეს მე მხოლოდ მაშინ გავიგე, როდესაც აკაკი გარდაიცვალა. ძლიერ გამიკვირდა, რად მოიქცა იგი ასე, რადგანაც 100 დესეტინა მიწა, დიდი ეზო და სახლი საჩხერეში, რომელშიც აკაკი ცხოვრობდა, მამაპაპეული იყო და კანონით მასში წილი უნდა ჰქონოდა მის დასაც, რომელიც მაშინ ლოგინად იყო ჩავარდნილი. მეორე მხრით, ეს ამბავი საკვირველი იყო იმ მხრივაც, რომ აკაკის შვილსა და ცოლს არავითარი პრეტენზია არ გამოუცხადებიათ ამის შესახებ. რა თქმა უნდა, ჩვენ დიდი

პატივი ვეცით აკაკის ოჯახობას, სანამ ის თბილისში იყო. არამდიდრული, მაგრამ სამყოფი სარჩო გავუჩინეთ.

ანდერძის თანახმად აკაკის სახლი, მამული, ეზო და მისი ხელთნაწერები მალე ჩავიბარეთ, მის სახლში გავხსენით მუზეუმი და მისივე ყოფილ მოურავს კოტე აბდუშელიშვილს ჩავაბარეთ. ის ენერგიული კაცი იყო და დიდად ხელს გვიწყობდა; რასაკვირველია, თავის ანგარიშსაც არ ივიწყებდა.

თბილისში აკაკის მოურაობას ასრულებდა სოსიკო მერკვილაძე, ბუკინისტი, დიდი ფართი-ფურთის კაცი. აკაკი მასთან ხშირად დადიოდა. სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას აკაკისაგან ნოტარიუსის წესით შეუძენია უფლება აკაკის რამოდენიმე საუკეთესო თხზულების გამოცემისა. ჩვენ რომ ეს გავიკვირვებთ, მან გვითხრა: „ამ თხზულებებს მე მხოლოდ ერთხელ გამოვცემ და მერე ყველა თქვენს უფლებაში გადმოვაო“.

როგორც აკაკის წინადადებას ანდერძის შესახებ შევხვდი სიცილით, აგრეთვე სიცილით შევხვდი მეორე მის წინადადებასაც. ერთხელ აკაკი მოვიდა ჩემთან და მითხრა: „რამდენადაც ვიცნობ ხალხურ პოეზიას, უნდა გამოგიტყდე, რომ ჩვენისთანა ხალხური პოეზია სხვა ხალხს, იშვიათად თუ აქვს. ამიტომ შენ დიდი სამსახური მიგიძღვის, რომ ასე ბევრი მასალა გამოაქვეყნე თქვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო ორგანოში – „ძველ საქართველოში“, მაგრამ ხალხში გაბნეული მასალა აუარებელია, ამოუწურავი და მათი შეგროვება-გამოცემა გაასკეცბულ მუშაობას თხოულობს. მინდა ამ საქმეში დაგეხმაროთ. მოწმობა მომეცით, რომ მე თქვენი საზოგადოება მაგზავნის კახეთში სახალხო პოეზიის შესაკრებად“.

მე, როგორც მოგახსენეთ, სიცილით შევხვდი ამ წინადადებას: „თუ ღმერთი გწამს, აკაკი, მაგას მე ნუ დამავალე, თორემ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდები. შენ მთელი საქართველო გიცნობს და მის უგვირგვინო მეფეს გეძახიან, ექვთიმე თაყაიშვილმა უნდა მოგცეს შუამდგომლობის მოწმობა და გაგიკეთოს რეკომენდაცია? მე ხომ სასაცილოდ ამიგდებენ და იტყვიან: ეს როგორ გაკადნიერებულა და ჩვენ გვასწავლის, ვინ არის აკაკი და როგორი პატივით უნდა მივიღოთ-მეთქი?“

– „აი, ასე იცი შენ, – მითხრა მან, – შენ რა გენაღვლება, მე ასეთი მოწმობა გამომადგება. ჩემს ხალხს არაფერი არ სჯერა, აკაკიმ ლექსის წერის მეტი არაფერი იცისო, შენ სერიოზული კაცი ხარ და მე შენს მოწმობას გამოვიყენებო“.

მე ვუთხარი: „დიდის სიამოვნებით, მაგრამ სიცილს მაინც დამაყრიან. საამისოდ დიდი ფული ჩვენ არა გვაქვს, მხოლოდ 100 მანეთს მოგართმევთ, თუ გეყოფათ ეს წასასვლელად, მიიღეთ და წაბრძანდით“.

– „თავსაყარად მეყოფა, მეტი არ მინდაო“.

დავწერე ჩვეულებრივი მოწმობა და მივეცი 100 მანეთი. ამას გარდა მივწერე ჩემს მეგობრებს თელავში, განსაკუთრებით ვასილ კახიძეს, რაფიელ ერისთავის სიძეს, რომ ჩვენმა დიდმა მგოსანმა განიზრახა ფოლკლორული მასალების შეგროვება და გთხოვთ დიდის პატივით შეხვდეთ, წაიყვან-წამოიყვანოთ სხვადასხვა სოფლებში და კმაყოფილი დააბრუნოთ უკანო.

მართლაც კახელები დიდის ამბით შეხვდნენ აკაკის და შესაფერი პატივი არ დაუკლიათ მისთვის. დაბრუნების შემდეგ აკაკის ჩვენთვის არაფერი არ მოუტანია და არც ჩვენ გვიკითხავს რამე ამ საქმის შესახებ.

ყველამ იცის, რომ აკაკის ილიასავით უყვარდა კარტის თამაში. ხშირად ღამესაც ათენებდა. მანამ ჯიბეს არ ამოიცალიერებდა, თამაშობას არ მიატოვებდა. თუ ილია უმეტეს შემთხვევაში კარტში ფულს იგებდა, აკაკი თითქმის ყოველთვის



აგებდა. მე ვეკითხებოდი კარტის მოთამაშეებს: „რა მიზეზია, რომ ილია იგებს, აკაკი სულ აგებს?“ ისინი მეუბნებოდნენ: „შეუძლებელია აკაკიმ მოიგოს, რადგან მან „ფასი“ არ იცის. ქალაქი მოუვა თუ არა, მისთვის სულერთია, მაინც თამაშობსო. მის პარტნიორებს „ბურდუჩნი“ კლუბში დავა ჰქონდათ ერთმანეთში, აკაკის რომ დაინახავდნენ: დღეს მე ვეთამაშები და არა შენ. შენ გეყო, რაც წინათ მოუგე, ეხლა მოგება მე უნდა მხვდესო“. ასე წინდაწინ იცოდნენ, რომ აკაკისთან თამაში მათთვის ყოველთვის მოსაგები იყო.

აკაკი, როგორც მოვიხსენიე, სააპეკო კაცი იყო. ერთხელ მას ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკმა პენსია დაუნიშნა და თანხა წერა-კითხვის საზოგადოებას გადასცა, რომ თვიურ-თვიურად ეძლიათ განსაზღვრული რაოდენობით. ამან უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა საზოგადოება და მისი ხაზინადარი. აკაკი თხულობდა ბევრ ფულს, ისინი არ აძლევდნენ განსაზღვრული თანხის მეტს. იყო ერთი მითქმა-მოთქმა. აკაკი ამბობდა: „მე არაფერს არ მაძლევენ, ჩემს მაგიერ სხვები აწერენ ხელს და მათ მიაქვთო“. ამას, რასაკვირველია, არავინ არ იჯერებდა, ვინაიდან დავით კარიჭაშვილი, რომელიც მაშინ განაგებდა წერა-კითხვის საზოგადოების საქმეებს, უაღრესად პატიოსანი კაცი იყო, და თუ ვინმე ეტყოდა დავითს, რომ აკაკი ამბობს, არაფერს მაძლევენო, ისიც მთქმელს ხელწერილებს უჩვენებდა და აკაკის კი საყვედურს სრულიადაც არ ეუბნებოდა. მაგრამ როდესაც გიორგი ყაზბეგი გახდა საზოგადოების თავმჯდომარე, იმან შეურაცხყოფად მიიღო ასეთი მითქმა-მოთქმა და წერა-კითხვის საზოგადოებამ უარი სთქვა აკაკისათვის გასანაწილებელი ფულის მიღებაზე. შემდეგ ბანკმა სხვა დაუნიშნა აპეკუნად, მაგრამ იმანაც უარი თქვა. ბოლოს იაკობ გოგებაშვილს სთხოვეს, რომ მას მიეღო თავის თავზე ამ ფულების გამოზოგვა აკაკისათვის. გოგებაშვილი დიდ უარზე იყო, მაგრამ მერე სთქვა: „ვინმემ ხომ უნდა იკისროს ეს არასასიამოვნო საქმე? ისე აკაკი ვერაფერს ვერ მიიღებს. მე დავთანხმდები, თუ ექვთიმე თაყაიშვილიც შემომიერთდებაო“. მე ვუთხარი იაკობს: – „როგორც შენ, ისე მე დიდ პატივს ვცემ აკაკის, მაგრამ ესეც ხომ იცი, აკაკი არავის არ დაინდობს და ჩვენც კარიჭაშვილის ამბავი მოგველის-მეთქი“. – „რა ვქნათ, უნდა გადავიტანოთო“, – მითხრა და ორივე დავთანხმდით. ერთხანს ვუძღვებოდით ამ საქმეს. ჩვენ მაინც და მაინც არ შევუწუხებხვართ აკაკის, ისე კი პირსუკან რას ამბობდა, არ ვიცი.

როგორც რაფიელ ერისთავის იუბილე დიდი ზეიმით გადაიხადა ქართველმა საზოგადოებამ, ისე კიდევ უფრო მეტის ზეიმით, თანაგრძნობითა და სიყვარულით გადავიხადეთ აკაკის იუბილე თბილისში 1908 წელს. მაგრამ მისი იუბილე თბილისით არ დამთავრებულა. შედგა ჯგუფი, რომელმაც აკაკი დაატარა საქართველოს ყველა კუთხეში: ქართლში, კახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში. ყველა კუთხე დიდის ზეიმითა და თანაგრძნობით შეხვდა პოეტს და აგრძნობინა თავისი სიყვარული და პატივისცემა. სხვათა შორის, აკაკი ესტუმრა ილიას სოფელ ყვარელს. აქ იური ჭავჭავაძემ (გენერალ ნიკო ჭავჭავაძის ძმისწულმა) ისეთი საზეიმო შეხვედრა მოუწყო აკაკის, რომ ხარჯების დასაფარავად, როგორც გადმოგვცეს, მას მოუხდა ათიოდე დესეტინა მამულის გაყიდვა.

აკაკის ქართველი ხალხის პატივისცემა და სიყვარული არ დაკლებია. ინტელიგენცია დიდად აფასებდა მის პოეტურ მემკვიდრეობას. სასტუმროებისა და რესტორნების პატრონები მას სთავაზობდნენ კარგ ბინას, მოწყობილობასა და საჭმელ-სასმელს, ფულს არა სთხოვდნენ. ნიკო დიასამიძის, ვანო მაჩაბლისა და სხვათა ოჯახების კარებები ყოველთვის ღია იყო. ზაფხულში საჩხერეში მიდიოდა

ხშირად და იქ თავის სახლში სხვიტორში ცხოვრობდა; აქ დიდ ყურადღებას აქცევდნენ თავისი მოგვარებები, მეტადრე ელისაბედ და ბეჟან წერეთლები.

იუბილეს შემდეგ აკაკი თანდათან დასუსტდა, დაავადმყოფდა და 1915 წლის იანვარში გარდაიცვალა თავის სოფელ სხვიტორში. უკვდავი პოეტი დიდი ამბით ჩამოსვენეს თბილისში და დაკრძალეს ქართველ მწერალთა პანთეონში, სადაც განისვენებენ დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე.

## გიორგი წერეთელი

ჩვენ დიდ მოღვაწეთა შორის ყველაზე უმაღლესი გავიცანი გიორგი წერეთელი. როდესაც ქუთაისში მეორე კლასის პროგიმნაზიაში შევედი, გიორგი წერეთელი მაშინ ამიერკავკასიის რკინიგზაზედ მუშაობდა. ის იყო დიდი მეგობარი იოსებ თაყაიშვილისა, რომელიც თვალსაჩინო პიროვნება იყო მთელ გურიაში.

ერთხელ, კვირა დღეს, იოსებმა სადილად დამიძახა: „ჩემთან გიორგი წერეთელი იქნება და მოდიო“. მეც მივედი. იქ იყო გიორგის გარდა ერთი ჩვენი სოფლის, ლიხაურის მკვიდრი კაკაბაი ლომჯარია, რომელიც მოსწრებული ენის პატრონი იყო, თამამი, უშიშარი და გლეხების მექომაგე.

სადილზე მხიარულობა გვქონდა. ტოლუმბაშად თვით იოსებ თაყაიშვილი იყო. მან სხვების სადღეგრძელო რომ მოათავა, ჩემი სადღეგრძელო დალია და ასეთი სურვილი გამოთქვა: „მე მინდა, საქართველოს თავისუფლებას მოესწრო და ისეთი კაცი გამოხვიდე, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდეთ“. კაკაბაი ლომჯარია შეედავა იოსებს: „მე მაგის თანახმა არა ვარ“. ყველამ გაკვირვებით შეხედეს და ჰკითხეს: – „რატომ?“ – „რატომ და კოჭლი კაცი რომ პრეზიდენტად აირჩიონ, არ გვეტყვიან, ფეხმართალი კაცი ვერ იშოვნეთო?“ – „ეჰ, ეგ როგორ იქნებაო, – დაუწყეს ლაპარაკი კაკაბაის, – პრეზიდენტს თავი უნდა ჰქონდეს კარგი და არა ფეხიო“. კაკაბაიმ სიცილით მითხრა: – „არ გეწყინოს, ხუმრობით ვთქვიო“. მე ვუთხარი: „როგორ მეწყინება, რაკი კარგად ვიცი, რომ საქართველო ასე ადვილად ვერ განთავისუფლდება და მისი პრეზიდენტიც ვერაოდეს ვერ გავხდები, რადგან ასეთი დიდი წარმოდგენა არა მაქვს ჩემს თავზე-მეთქი“. მომვარდა გიორგი წერეთელი: „ყმაწვილო! ეგ რა თქვი, ყველა მოსწავლე უნდა განდიდებას მოელოდეს და თავს ამზადებდეს მომავალი საქართველოს თავისუფლებისათვის!“ – მერე ხმამაღლა თქვა: „მე მოვესწრები საქართველოს განთავისუფლებას და შენ ახალგაზრდა – მით უმეტეს“-ო.

ამის შემდეგ გ. წერეთელი რამოდენიმეჯერ შემხვდა კიდევ ქუთაისში იოსებ თაყაიშვილთან. შემდეგ ვნახე სურამში, როცა მესამე კურსზე ვიყავი პეტერბურგის უნივერსიტეტში. ზაფხულში საქართველოში ვისვენებდი და ერთ-ორ დღეს მე და მიხაკო მღვდელიევი კატო და ანიჩკა ნიკოლაძეებს ვესტუმრეთ სურამში (მაშინ ნიკოლაძის ქალები გიორგი წერეთლის შვილებს უვლიდნენ და იქ სააგარაკოდ იყვნენ). გიორგი იქ ამოვიდა შვილებთან. მისი პირველი ცოლი, ნიკო ნიკოლაძის და, ოლიმპიადა უკვე გარდაცვლილი იყო.

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე და თბილისში ჩამოვედი, მაშინ გიორგი არა მსახურობდა და დიდ გაჭირვებას განიცდიდა. გვინდოდა რაიმე საქმეში მოგვეწყო, მაგრამ გიორგის საქმე ყველაზე უფრო მწერლობა იყო. ამიტომ ვანო მაჩაბელმა, ალექსი ჭიჭინაძემ და მე განვიზრახეთ გაზეთის ან ჟურნალის დაარსება. ეს უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ მაშინ, გარდა ილიას „ივერიისა“, სხვა გაზეთი არ

არსებობდა. ყოველდღიური გაზეთი დიდ ფულს მოითხოვდა და ჩვენ ვერ შევძლებდით ამ ფულის შოვნას, ამიტომ გადავწყვიტეთ, საკვირაო გაზეთი დაგვეარსებინა. ადვილად შუამდგომლობა ჟურნალ „კვალის“ გამოცემის შესახებ და კიდევაც მივიღეთ უფლება. რედაქტორობა და გამომცემლობა გიორგი წერეთელს დავუმტკიცეთ, რასაც გ. წერეთელი დიდი სიხარულით შეხვდა. მაგრამ მან მალე იცვალა მიმართულება და გაზეთი მესამე დასელების ორგანოდ გახდა. ეს ეწყინათ ვანო მაჩაბელს და ალექსი ჭიჭინაძეს. მთხოვეს: – „წადი, ჩვენს მაგიერ მოელაპარაკე გიორგის; ეს რა ამბავია, რომ ჩვენი დაარსებული გაზეთი სხვებს გადასცაო“. მე ვუთხარი: „მე გიორგის რა უნდა ველაპარაკო?! ის დიდი ცნობილი მოღვაწეა და მე არ შემეფერება მისი ჭკუის სწავლება. ისე ჩამოვუგდებ ლაპარაკს და რასაც მეტყვის, მოგახსენებთ-მეთქი“. წავედი გიორგისთან და დავიწყე ლაპარაკი „კვალის“ შესახებ. მან მითხრა: „ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ძველი მიმართულება უნდა უკუვაგდოთ. იქიდან მარტო ნაციონალური თავისუფლების მისწრაფება დავიტოვოთ და სხვა სოციალურ-ეკონომიურ საკითხებში მარქსისა და ენგელსის მიმართულება უნდა მივიღოთ. მარქსი ეკონომიურ საკითხში და სოციოლოგიაში ისეთი ავტორიტეტია, როგორც დარვინი ბიოლოგიაში. მარქსისტები ენერგიული ხალხია და გაზეთის საქმეს უზრუნველგახდიან. მაჩაბელს და ჭიჭინაძეს არაფერი შეუძლიათო“.

გიორგი წერეთელი სხვა ჩვენი მოღვაწეებისგან იმით განირჩეოდა, რომ ჩვენი ძველი მწერლობა იცოდა, ხუცურ ხელთნაწერებს კარგად კითხულობდა, ახალი ქართული ჩინებულად იცოდა. ქართველი მწერლები მის შესახებ სხვადასხვა აზრისა იყვნენ. მაგ., აკაკი ამბობდა: გიორგი წერეთელს ორი თავი აქვს: ერთი ჭკვიანი და მეორე სულელიო; ხან ერთს ხმარობს და ხან მეორესო“. ნიკო ნიკოლაძე ამბობდა: „ყველაფერი საქმე გამოუვა ხელიდან: კარგიცა და ავიცაო“.

იგი არქეოლოგი იყო. მისი რეფერატი მეხუთე საარქეოლოგიო კრებაზე თბილისში ყველა სხვა ქართულ რეფერატს სჯობდა. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი იყო. არქეოლოგიურ მოგზაურობას აწარმოებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და სტატიებს ბეჭდავდა в „Материалах по археологии Кавказа“.

ილია ჭავჭავაძესთან ხშირად ჰქონდა პოლემიკა, მაგრამ პირადად შეხვედრის დროს მათ ცუდი განწყობილება არა ჰქონიათ და ხშირად იგონებდნენ თავიანთი ძველი მოღვაწეობის დროს, თუ მაშინ რა დევნას და რაოდენ უსიამოვნებას განიცდიდნენ.

## ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველა მე პირველად გავიცანი პეტერბურგში, როდესაც უნივერსიტეტში შევედი. ის მოვიდა თავისუფალ მსმენელად უნივერსიტეტში და ესწრებოდა ქართველი სტუდენტების სხდომას სათვისტომო საკითხების შესახებ. ფშავ-ხევსურეთის სახალხო პოეზიიდან აუარებელი ლექსები იცოდა ზეპირად. არავითარი რვეული ან წერილობითი საბუთები ხელში არა ჰქონია და ყველანი განცვიფრებულნი ვიყავით, როგორ შეეძლო ამდენი ლექსების ზეპირად დამახსოვრება. ლექსები, რასაკვირველია, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე.

ის ცხოვრობდა ერთ ჩემ ამხანაგ გოცირიძესთან, მაგრამ დიდხანს ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს და გასცილდნენ.

თბილისში რომ ჩამოვედი, მას ვერა ვხედავდი, მაგრამ ერთი მისი საქმე წამოიჭრა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კომიტეტში და მაშინ შევიტყვე, რომ მანგლისის მახლობლად თონეთში ყოფილიყო მასწავლებლად. თონეთელებიდან ასეთი საჩივარი მოვიდა: ცუდად იქცევა, მუშტი-კვრით გვიმასპინძლებდა და ხანჯლითაც გვემუქრებო. იქ გაგზავნეს გამოძიებისათვის წერა-კითხვის საზოგადოების საქმის მწარმოებელი იაკობ მანსვეტაშვილი და იმან მოიტანა ამბავი, რომ ვაჟას ჩხუბი მოსვლია ერთ რუსის ოფიცერთან, ისინი ერთმანეთს შეხებიან ხელით. ბოლოს და ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ ვაჟა-ფშაველამ მიატოვა იქ სამსახური.

შემდეგ მას ვხვდებოდი იშვიათად წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში და ვეცნობოდი მის ლექსებს და მოთხრობებს, რომელნიც „ივერია“-ში იბეჭდებოდა. მაშინ მას უკვე სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, როგორც დიდსა და ორიგინალურ პოეტს. ყველაზე უფრო მისი ნიჭის დამფასებელი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამბობდა: „რუსთაველის შემდეგ ჩვენ ასეთი ნიჭიერი პოეტი არა გვყოლია“. „ხუთშაბათობის სხდომებზე“, რომელნიც ილიას ბინაზე ეწყობოდა ხოლმე და რომელთაც ესწრებოდნენ რედაქციის ყველა წევრი, მწერლები და ილიას მეგობრები, ხშირად კითხულობდნენ ვაჟა-ფშაველას ამა თუ იმ თხზულებას.

შემდეგ, როდესაც მე დავაარსე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ჩვენ შევუდექით აგრეთვე სახალხო პოეზიის ნიმუშების შეკრებასა და გამოქვეყნებას. გვინდოდა შეგვეკრიბა დაწვრილებითი ეთნოგრაფიული მასალები საზოგადოდ მთიელთა და განსაკუთრებით ფშავ-ხევსურების ცხოვრების შესახებ. მე ვთხოვე ვაჟა-ფშაველას: „ამას შენზე უკეთესად ვერავინ ვერ შეგვიდგენს. გასამრჯელოს მოგართმევთ, შეგვიკრიბე ასეთი მასალა. ჩვენ გვინტერესებს, ვიცოდეთ ფშავ-ხევსურების ცხოვრების პირობები, მათი ზნე-ჩვეულებანი, მისწრაფებანი და ხასიათები“. ვაჟა-ფშაველა დამპირდა და რამოდენიმე ხნის შემდეგ მოგვიტანა შესანიშნავი მოთხრობა – „ფშაველი და მისი წუთისოფელი“, რომელიც დაბეჭდილია „ძველი საქართველოს“ მე-2 ტომში. ეს ნაწარმოები ნამდვილი პოეტური მოთხრობაა, რომელსაც თან ახლავს ფშავური ლექსები და ანდაზები. ხევსურების შესახებ ასეთი მოთხრობის დაწერა საუბედუროდ მას აღარ დასცალდა.

შვილების აღზრდაში დახმარებას მთხოვდა და 1902 წელს მისი შვილი ლევანი პანსიონში მივადებინე კომიტეტის საზოგადოების ხარჯზე. გარდაცვალების შემდეგაც მის ორივე შვილს სტიპენდიები დავუნიშნეთ და სასწავლებლად გავგზავნეთ.

როდესაც იგი დასნეულდა, მოვათავსეთ სათავადაზნაურო გიმნაზიის საავადმყოფოში, შენობაში, სადაც ახლა ჩვენი უნივერსიტეტია. აქ მე მასთან ხშირად დავდიოდი და რაც შემეძლო, ყველაფერში ვეხმარებოდი, მაგრამ სამწუხაროდ, უდროოდ გამოეცალა წუთისოფელს.

## ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა)

ეგნატე ნინოშვილს პირადად არსად არ შევხვედრივარ და არც გამიცვნია. მხოლოდ ერთხელ მომწერა წერილი და მთხოვა, მასალები მიმეთითებინა გურიის

აჯანყების შესახებ. მე სიამოვნებით ავუსრულე ეს თხოვნა. ჯერ დავუსახელე ოფიციალური ცნობები, რომელიც სამხედრო შტაბში ინახებოდა (მაშინ სამხედრო შტაბში მუშაობდა ჩემი ძმა – ვარლამ თაყაიშვილი; იმისგან შევიტყე ნომერი საქმისა). ამას გარდა, ვურჩიე პირადად ენახა ბიძაჩემი ედიშელ თაყაიშვილი, რომელიც ამ ჯანყში ერია და დაჭრილი იყო მუხლის თავში, და მივსწერე დაწვრილებით, თუ როგორ ჩაბმულიყო ის ამ აჯანყებაში, ვის გადაერჩინა დაკოდილი და სხვა.

ბიძაჩემიდან მე ასე მქონდა გაგონილი: მოთავენი აჯანყებისა ყოფილიყვნენ დავით გუგუნავა და დავით გურიელი. გუგუნავა მოსულიყო ჩვენს სოფელში, ლეხოურში ჯარის შესაკრებად. ბიძაჩემი ედიშელი მაშინ 16 წლისა ყოფილიყო. ბებიაჩემს ის დაემალა სახლში, რომ გუგუნავას არ ენახა და არ მოეთხოვა მისი წაყვანა. „მე კი, – მითხრა ბიძაჩემმა, – დიდად მინდოდა მასთან წასვლაო“. ამიტომ დაუწყია ღრიალი. ეს გაუგონია დავით გუგუნავას და უკითხია ბებიაჩემისათვის: ვინ არის, რომ ღრიალებსო? რომ გაუგია, რაში ყოფილა საქმე, გუგუნავას გამოუყვანია სამალავიდან და წაუყვანია ეს გახარებული 16 წლის ახალგაზრდა, მაშინ უკვე თოფის სროლაში გაწვრთნილი.

ბიძაჩემს უამბუნია, რომ აჯანყებისათვის მზადებას ორი კვირით ადრე შეუდგნენო ლეხოურში, და რომ ჯარის შეკრებას მეთაურობდაო ხოსო<sup>81</sup> გოგორიშვილი. მამაჩემი მაშინ კარდონის ნაჩალნიკი ყოფილიყო, ე. ი. მდინარე ჩოლოქის კარდონის მცველი (ჩოლოქის წყალი შეადგენდა საზღვარს რუსეთის და ოსმალეთისას, მის მცველს კარდონის ნაჩალნიკი ერქვა).

მეორე ჩვენი გვარის კაცი, ქაიხოსრო თაყაიშვილი, რუსის მთავრობის მოხელე იყო. მამაჩემი და ქაიხოსრო თაყაიშვილი შეგნებული წინააღმდეგნი ყოფილან აჯანყებისა და ამბობდნენ, ესენი ვერას გახდებიან და დიდი ზარალი მოუვა გურიასო; მაგრამ მათ არ უჯერებდნენ. ბიძაჩემმა მითხრა: მზადება ჩვენს სოფელში იმითაც გამოიხატებოდა, რომ ჯვარს ზემოთ (ჯვარი ერქვა იმ ადგილს, სადაც ეკლესია იყო) აჭის წყლის სათავეში მიმავალი გზა შეკრეს, რამოდენიმე ხე აქა-იქ მოსჭრეს და მით გადახირეს გზაო. მამაჩემს უკითხავს: „რად ჩადიხართ ამ საქმეს?“ იმათ უპასუხიათ: „ამაზე რუსები ვერ გადავლენ“-ო; მამაჩემს კი უპასუხია (ბიძაჩემმა მითხრა): „რუსებმა კავკასიის მთები გადმოლახეს და თხმელას ხეები დააკავეს მათო?!“

ოზურგეთში გურიელების დროიდან დარჩენილი მალალი ციხე იყო. ამ ციხეში ბინადრობდა რუსის ჯარი და იქვე ჯართან ყოფილან როგორც რუსის მოხელენი, ქაიხოსრო თაყაიშვილი და მამაჩემი – სიმონ თაყაიშვილი.

ბიძაჩემის თქმით, აჯანყებულთა შეტევის გეგმა ასეთი ყოფილა: დავით გუგუნავას რაზმი უნდა მოსულიყო ნაგომრიდან, ხოლო დავით გურიელის – ლანჩხუთიდან. ეს იქნებოდა მემარჯვენე და მემარცხენე ფრთები შეტევისა. ლეხოურლები და მაკვანელები აქედან უნდა ჩასულიყვნენ მდინარე ჟუჟის პირზე, გოგორიშვილის თაოსნობით. გოგორიშვილის რაზმი იქნებოდა მეზრძოლთა ცენტრი.

აჯანყების დაწყების დროს დავით გუგუნავას და გოგორიშვილის რაზმები დროულად მოსულან თავ-თავიანთ ადგილზე, მაგრამ დავით გურიელის რაზმს რაღაცა მიზეზის გამო დაგვიანებოდა. მის მოსვლამდე შეტევა უკვე დაწყებული იყო,

---

<sup>81</sup> ვგონებ, ხოსო ერქვა; მისი სახელი ნამდვილად არ მახსოვს (ეე. თაყაიშვილის შენიშვნა).

გოგორიშვილის რაზმს გადაელახა ჟუჟი და დაეკავებინა მადლობი, რომელიც ოზურგეთის ციხის პირდაპირ იყო, ბაზრის წყლის მარცხენა ნაწილზე.

გოგორიშვილს მადლობის წვერიდან ბიძაჩემი ერდიშელი გაეგზავნა ბაზრის წყალთან ჩასასვლელად, სადაც იდგა ერთი ნაწილი მეამბოხეთა და მათ უნდა მოხმარებოდა. ეს ფერდობი ბაზრის წყლამდე საკმაოდ გრძელია. ბიძაჩემს ჩაურბენია ფერდობის შუა ნაწილამდის, მაგრამ იქ მოხვედრია კარტეჩი მუხლში და წაქცეულა, ფორთხვით ჩასულა ცოტა ქვემოთ, საცა ადგილი ცოტა ჩაღრმავებული იყო, და იქ ჩაწოლილა.

ბრძოლა გაგრძელებულა სამხრობის დრომდე (გურულად – ზარმელის დრომდე). მამაჩემს და ქაიხოსრო თაყაიშვილს ციხიდან დაუნახავთ, როგორ ჩამოეშვა ერდიშელ თაყაიშვილი მადლობის წვერიდან და როგორ დაეცა მიწაზე. როდესაც სროლა გათავებულა, თურმე მათ გადასმახეს ციხიდან გოგორიშვილს: „ერდიშელი როგორ არისო?“ იმას პასუხი მიუცია: „ჯერ არ ვიცით, მკვდარია თუ ცოცხალი“. ეს რომ გაუგონია, ბიძაჩემს დაუწყია ყვირილი: „ცოცხალი ვარ, ცოცხალი, არიქა მიშველეთო“. წასულა ქორივით გოგორიშვილი, შეუგდია მხარზე ბიძაჩემი და აღმართზე ამოურბენია. გოგორიშვილი დაუნახავთ რუსებს ციხიდან და აუტეხიათ სროლა, მაგრამ ვერ მოუხვედრებიათ ტყვია და ასე ამრიგად ამ გმირ გოგორიშვილს გადაურჩენია ბიძაჩემი. იგი წამოუყვანიათ მაშინვე სახლში, იქ დოსტაქრებს კარტეჩი ამოუღიათ მუხლის თავიდან და მოურჩენიათ. მაგრამ მუხლის თავზე ნატყვიარისაგან ჩაღრმავებული ადგილი ბიძაჩემს კარგად აჩნდა.

შემდეგ გოგორიშვილი დაუჭერიათ რუსებს, ერთხანს სატუსალოში გაუჩერებიათ, მერე დახვრეტა მიუსაჯეს თურმე. ბიძაჩემმა მითხრა: „მე არაფერი ამბავი არ ვიცოდი და ერთ დღეს ოზურგეთში წავედი. ჟუჟზე რომ გავედი, დავინახე რუსის მთელ როტას მიჰყავდათ დასახვრეტად გოგორიშვილი. აუარებელი ხალხი მისდევდა ჯარს. შევუერთდი მათ. პატიმარი ყვიროდა და აგინებდა მეფის მთავრობას. რომ დავინახე ჩემი გადამრჩენი, დავიწყე ტირილი და მივდევი შორიანლო. მან შემომხედა და მითხრა: „რა გატირეს, ბიჭო, არავის არ შერჩება ჩვენი სისხლი, დრო მოვა, გადაუხდინანო. მე ვაივავლახით დავბრუნდი და მთელ კვირას ჭკუაზე არ მოვსულვარ, ისე მაწუხებდა მისი სიკვდილი“-ო.

ეგნატე ნინოშვილმა მადლობის წერილი მომწერა: ვნახავ უსათუოდ ერდიშელ თაყაიშვილსო, მაგრამ რაღაც მიზეზით არ უნახავს ბიძაჩემი.

ე. ნინოშვილის წერილი მომყავს აქვე. წერილს თარიღი არა აქვს, მაგრამ იგი დაწერილია უსათუოდ 1892 წლის ზაფხულში, ვინაიდან ჩემთან მომართვა მასალების საჩვენებლად გურიის ჯანყის შესახებ ურჩევია თედორე კიკვაძეს ზესტაფონში, სადაც იგი ეგნატე ნინოშვილთან ერთად მსახურობდა ნ. დოლობერიძის კანტორაში. ე. ნინოშვილს „ჯანყი გურიაში“ დაუწერია 1888–1889 წლებში. ეს მოთხრობა ავტორს დაუმთავრებლად მიაჩნდა და ამიტომაც არ გამოუცია თავის სიცოცხლეში. სამწუხაროდ ჩემი ნაჩვენები მასალების შესწავლა მას ვედარ მოუსწრია, ვიდრე გარდაიცვლებოდა. მისმა უდროოდ გარდაცვალებამ მით უფრო დამწვა გული.

აი მისი წერილი:

„პატივცემულო ბ. ექვთიმე!

თქვენი წერილი მივიღე. დიდად მადლობელი ვარ პასუხისათვის, მადლობელი ვარ აგრეთვე, რომ დამისახელეთ 1841 წ. გურიის აჯანყების შესახებ მასალები, რადგანაც კი გავიგე იმ წიგნების, ანუ ჟურნალების სათაურები და № №. ვფიქრობ, აწი აღარ გამიძნელდება იმათი მოპოვება.

როცა თბილისში გიახლებით, თქვენც უნდა შეგაწყინოთ თავი, გთხოვოთ იმის მოთხოვნა, რაც ბიძა თქვენიდან გაგიგონიათ იმ აჯანყების შესახებ. ჩემთვისაც უამბნიათ ბევრჯერ მოხუცებს იმ აჯანყების ამბავი, მაგრამ ერთის ნაამბობი მეორეს არ ეთანხმებოდა. თქვენ, იჭვი არ არის, უფრო ნამდვილი წყაროდან გექნებათ გაგებული იმის ვითარება. განსაკუთრებით საჭიროა გავიგო ნამდვილი მიზეზი (მოტივი) იმ აჯანყებისა.

თქვენი პატივისცემელი

ეგნატე ინგოროყვა“.

**P. S.** ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა მჭიდრო კავშირი ქართული კულტურისა და საზოგადოების ბევრ მოღვაწესთან – გოგებაშვილთან, ცხვედაძესთან, მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანთან და სხვებთან, რომლებთანაც მისი ურთიერთობის გაშუქება მეტად საჭირო რამ არის. შემდეგში ყოველ მხრივ ვეცდები შთამომავლობას კვლავ აღვუდგინო წარსული საუკუნის ამ ბუმბერაზი ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ძვირფასი მომენტები.

ამჟამად მკითხველის ყურადღება მსურს შევაჩერო ერთ უცნობ დოკუმენტზე, რომელსაც ეწოდება „ოქმი ილია ჭავჭავაძის განსვენებაზე მოსული დელეგატების კრებისა“.

როდესაც ილიას ტრადიკული დაღუპვის ამბავი გავრცელდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან შეიკრიბენ დელეგატები, რომელთაც გამოიმუშავეს წესრიგი დამარხვისა და მისი სახელის უკვდავყოფისათვის.

შეკრიბილ დელეგატთა კრებამ სტამბურად დაბეჭდა ოქმი, რომელიც ხალხში გაავრცელა. ეს ნაბეჭდი ოქმი შემთხვევით ვიპოვნე ჩემს ქალაქებში და ქვემოთ ვურთავ მოგონებებს<sup>82</sup>.

პირი

ოქმი

### ილია ჭავჭავაძის განსვენებაზე მოსული დელეგატების კრებისა

1907 წ. სექტემბრის 9-ს საღამოს 7 საათზე ტფილისის თ.-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში მოხდა კრება ილია ჭავჭავაძის დასაფლავებისათვის საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსული დელეგატებისა, რომელსაც დაესწრნენ ტფილისის ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნიც. კრება მოწვეულ იყო ახალგაზრდობის ერთი ჯგუფის მიერ ილია ჭავჭავაძის ხსოვნის

---

<sup>82</sup> პატივცემულმა აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა აღნიშნული ოქმი შემოსწირა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს ილია ჭავჭავაძის ფონდში დასაცავად.

„ლიტ. მატინის“ რედაქციის შენიშვნა.

აღსანიშნავად და პატივსაცემად. კრების ინიციატორებმა წინადადება მისცეს დამსწრეთ, რომ დაედგას განსვენებულს ძეგლი ტფილისში ერევნის მოედანზე, შედგეს ეროვნული თანხა და მიღებულ იქმნას სხვა და სხვა ზომები ილიას სახელის განსამტკიცებლად ხალხში.

კრებამ დიდის კამათისა და საგნის ყოველმხრივი განხილვის შემდეგ დაადგინა:

1) შესდგეს ეროვნული თანხა ილია ჭავჭავაძის სახელობაზე ქართული ლიტერატურისა და სწავლა-განათლების გავრცელებისათვის; 2) მიენდოს ამ საქმის მოწყობა წერა-კითხვის საზოგადოებას, და 3) დაევალოს უკანასკნელს, მიმართოს ქართულ დაწესებულებათ – შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს, ქალაქის თვით-მმართველობათ, თ.-აზნაურთა კრებებს, ბანკებს და კერძო პირებს, რომ ყოველ წლიურად ან ერთდროულად გამოიღონ თავისი წვლილი ილია ჭავჭავაძის თანხის შესადგენად.

## ქართული სამუზეუმო ქონების ისტორიისათვის

1. [განმეულის საფრანგეთში ჩატანა]



[I ვარიანტი, სქემატური ჩანაწერებითურთ.  
დაწერილია საფრანგეთში]

ტფილისის დატოვებაზე ორი დღით ადრე მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარემ სალამოს გამომიცხადა, ხვალ დილით ჩვენ ხაზინის ქონებას ევაკუაციას ვუშვრებით და ქუთაისში ვგზავნითო; საჭიროა მუზეუმების უძვირფასესი ნივთებიც გავხიზნოთო...

შევატყობინე ეს ამბავი ყველა მუზეუმთა გამგეებს. მთელი ღამე დაუცხრომლად იმუშავეს და დილას ყუთები მზად იყო. გამოვიტხოვეთ „გრუზავიკი“, ჩამოვუარეთ ყველა მუზეუმსა და ყუთები გაიგზავნა ქუთაისში. სამუზეუმო ნივთების მეთვალყურე მ. ყ ი ფ ი ა ნ მ ა, საქართველოს (ყოფ. კავკასიის) მუზეუმის გამგემ გააყოლა ჩვენგან კარგად ცნობილი ი ო ნ ა თ ა მ ა შ ვ ი ლ ი, რომელმაც მოგვიტანა წერილობითი დამოწმება, რომ ქუთაისის ხაზინამ უკლებლად მიიღო გაგზავნილი სამუზეუმო ნივთები. ის დამოწმება ყიფიანმა მე მაჩვენა.

როდესაც შემდეგ ჩვენ, დამფუძნებელი კრების ყველა წევრი ჩავედით ქუთაისში, ფინანსთა მინისტრმა კ. კ ა ნ დ ე ლ ა კ მ ა მ თ ხ ვ ა გადამერჩია იქაურ ხაზინაში აგრეთვე შენახული გელათის მონასტრის ნივთები და გამომეყო, თუ რა იყო მათში სამუზეუმო და რა – არა. ამის მუშაობას რამდენიმე დღე მოუნდა. ბოლოს, როდესაც წითელი არმია ქუთაისს მოუახლოვდა, მთავრობისა და პარტიათა წარმომადგენლების დადგენილებით გადაწყდა ქონება ჩატანილიყო ბათუმში, იქ მოთავსებულიყო საფრანგეთის კრეისერზე, ხოლო შემდეგ, თუ აუცილებელი გახდებოდა, საზღვარგარეთ ყოფილიყო წადებული. დამფუძნებელი კრების მიერ მეთვალყურედ დავინიშნე მე, ხოლო მთავრობის მიერ – ფინანსთა მინისტრის თანაშემწე იოსებ ელიგულაშვილი. ქუთაისის ხაზინაში დიდძალი ქონება იყო დაგროვილი წასაღები: ხაზინისა, მუზეუმებისა და ეკლესიებისა. მუზეუმთა ნივთები ქუთაისის ხაზინამ უკვე ჩალაგებული და გამზადებული მიიღო, ხოლო საეკლესიო ნივთები, კ. კანდელაკის თხოვნითა და ეკლესიისა და ხაზინის წარმომადგენელთა თანდასწრებით, გადავარჩიე: რაც სამუზეუმო იყო – ჩავაწყე, რაც არა – მიტროპოლიტ ნაზარის მიერ დანიშნულ წარმომადგენელს ეკლესიისას ჩავაბარე სიით და ხელიც მოვაწერინე, რომ მიიღო.

კ. კანდელაკმა, მე, იოსებ ელიგულაშვილმა და ტფილისის ხაზინის გამგემ ბ ე კ მ ა მ თ ე ლ ი ღ ა მ ე გ ა ვ ა ტ ა რ ე თ ქ უ თ ა ი ს ი ს ხ ა ზ ი ნ ა შ ი მ ი, რომ ნივთები ჩაგველაგებინა, დაგვებეჭადა და ვაგზალზე გასაგზავნად გაგვემზადებინა. გადაწყვეტილი იყო, რომ ის მატარებელი, რომლითაც ნივთები იგზავნებოდა, ქუთაისიდან ბათუმის მიმართულებით უნდა გამოსულიყო ღამე, გათენებამდის... ამიტომ დიდი მუშაობა დაგვჭირდა, რომ მოგვესწრო. ყუთებს ხაზინის საერთო ნუმერაცია გაუკეთეს, რომ უფრო სწორი ანგარიში გვქონოდა. შემდეგ ყუთები დავთვალეთ და საერთო რიცხვი დავიჭირეთ. მერე დავიწყეთ ყუთების გზავნა სადგურში „გრუზავიკით“, როდესაც ყველაფერი გავამზადეთ. ბეკი და ელიგულაშვილი სადგურზე იყვნენ, მათთან მიჰქონდათ ყუთები და ბარათები, თუ რამდენი იყო გაგზავნილი... ისინი ყუთებს იღებდნენ, ვაგონებში ათავსებდნენ და თან გვიგზავნიდნენ ბარათებს, თუ რამდენი ყუთი მიიღეს. ამ ოპერაციამ თითქმის გათენებამდის გასტანა. როცა მხოლოდ ორი რიგი დარჩა გასაგზავნი, მე და კ. კანდელაკმა დარჩენილი ყუთები დავთვალეთ და მივუმატეთ იმ რიცხვს, რომელიც ბარათების მიხედვით გაგზავნილად ჩანდა. დააკლდა ერთი ყუთი. ამის ანგარიში მოვთხოვეთ ხაზინის იქ დამსწრე მოხელეებს. შეიქნა მიძებნ-მოძებნა და ლაპარაკი, მაგრამ ყუთი არ აღმოჩნდა. შემდეგ

მოხელეებმა გვაჩვენეს სხვა ანგარიში, საიდანაც თითქოს ჩანდა, რომ მეტი იყო გაგზავნილი. ამის მერე ყუთების ერთი პარტიაც გაიგზავნა და გასაგზავნი დარჩა კიდევ მხოლოდ ერთი პარტია. მაშინ კ. კანდელაკმა მთხოვა, საჩქაროდ წავსულიყავი სადგურზე და როდესაც უკანასკნელი პარტიაც მოვიდოდა, დაუყოვნებლივ დავძრულიყავით. მეც ასე მოვიქეცი, გავეშურე ბინაზე, სადაც ჩემი მეუღლე უკვე მზად იყო და მიცდიდა, და წავედით სადგურში. იქ უკანასკნელი პარტიაც მისულიყო და ალაგებდნენ ვაგონში, მაგრამ ბეკმა და ელიგულაშვილმა გამომიცხადეს, უკანასკნელის წინ რომ პარტია მოვიდა, იმის ბარათში 31 ყუთი წერია, მაგრამ ნამდვილად კი 30 იყო; ასე რომ, ერთი ყუთი არ მიგვიღიაო. ამ ამბავმა შემაშფოთა. დავიწყეთ მისი ძებნა და თვალიერება, თუ რომელი ნომერი აკლდა. მეგულებოდა ერთი განცალკევებული ყუთი, რომელშიც ყველაზე უფრო ძვირფასი საეკლესიო ნივთები იყო და რომლის დატოვებასაც მთხოვდა სამღვდელთა. დავიწყეთ მისი ძებნა და არსად არ აღმოჩნდა. ამას ნახევარი საათი მოვუნდით. მზე ამოვიდა, ორთქლმავალიც მზად იყო, მაგრამ ვერ მივდიოდით. თავზარდაცემული დავრჩი: რაც საუკეთესო იყო, დაკარგული მეგონა. ზოგი სად გავგზავნე, ზოგი – სად, რომ კ. კანდელაკი მოენახათ. გადავწყვიტე, აღარ გამოვსულიყავი ქუთაისიდან, მანამ იმ ყუთს არ იპოვიდნენ. მომზიდველნი იქვე იყვნენ და როცა განვუცხადეთ, რომ მათ ერთი ყუთი არ მოუტანიათ, აურზაური ასტეხეს: ჩვენ წელში გავწყდით, მთელი ღამე ვიმუშავეთ და მადლობის მაგიერ ქურდობას გვწამებთო? რაც მოგვცეს, ის მოვიტანეთ, გზაში დაკარგვა შეუძლებელიაო. ჩვენ მაინც გავგზავნეთ კაცები, რომ ის მანძილი, რომელიც „გრუზავიკმა“ გამოიარა, დაეთვალიერებინათ, მაგრამ არაფერი აღმოჩნდა. წავედი კ. კანდელაკთან, გავაღვიძე, ვუთხარი ეს სამწუხარო ამბავი და თან განვუცხადე, რომ მე არ შემიძლია, ველარ წამოვალ-მეთქი. კოწიამ მთხოვა, უსათუოდ წამოვსულიყავი, თორემ მთელი ქონება დაგვეკარგება, მერე შეიძლება აღარ გაგვიშვანო. დამპირდა, მე აქ კიდევ მოვნახავ, გამოვიძიებ საქმეს და თუ ვნახეთ, მოგაწევო. სხვა ღონე აღარ მქონდა, დავბრუნდი სადგურზე. ხალხი შეყრილიყო და ჩოჩქოლობდა...

როგორც იყო, გამოვედით ქუთაისიდან. მცველებად გამოგვატანეს ექვსი კაცი „განსაკუთრებული რაზმიდან“. ისინი გზაში უკმაყოფილებას აცხადებდნენ. პირადად ჩემთან არაფერი უთქვამთ, მაგრამ ჩემდა გასაგონად და, ყოველ შემთხვევაში, გადმოსაცემად კი ელაპარაკებოდნენ სხვებს: „ამათ მიაქვთ ჩვენი საცხოვრებელი და ჩვენ კი მშვირთ გვტოვებენ. არა, ამას ვერ მოვითმენთ, ვერ გავუშვებთო“ და სხვ.

ბათუმში მთელი ოთხი დღე ვიყავით ვაგონში და ვცლიდით ჩვენ ნივთებს, მანამ – მეხუთე დღეს – არ მოგვეცა საშუალება, რომ გადაგვეტანა კრეისერზე ჩვენი და აგრეთვე ის ყუთები, რომელნიც იმ დროს მოიტანეს ბორჯომიდან [ბიბლიოთეკა დიდი მთავრობის სახლისა]. გადაზიდვის დროს ვნახე ის ყუთი, რომელიც დაკარგული მეგონა და ჩემ სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. იგი მოქცეულიყო მეორე ყუთს ქვეშ და მიტომ ვერ შეგვემჩნია ქუთაისში. მაგრამ ერთი მაინც აკლდა, ოღონდ რაკი ერთ ყუთს ორი ნომერი ეკრა, გვეგონა, რომ ამან გამოიწვია გაუგებრობა. ამით დაკმაყოფილდით, მით უმეტეს, რომ ქუთაისში ძიებამ დაკარგული ყუთისა ვერავითარი შედეგი ვერ მოგვცა. ყუთები თვლით ჩავაბარეთ კრეისერს და შემდეგ იმავე რიცხვით მივიღეთ სტამბოლში და გადავაბარეთ Bien Hoa-ზე. ასეთივე სათვალავით მივიღეთ მარსელში გემიდან მუზეუმის ყუთები, რიცხვით ცამეტი, და კი არ მახსოვდა, თუ ცამეტი კი არა, სულ თოთხმეტი იყო. საქმე ისაა, რომ ყუთები მართლა ცამეტი იყო და მეც ეს რიცხვი ჩამრჩა თავში,

მეთოთხმეტე კი ორ ჯოხზე გაკეთებული სურათები იყო სამხატვრო გალერეიდან, და იგი გადამავიწყდა.

ასე რომ, აქაც სრულიად გულდამშვიდებული დავრჩი, რომ არაფერი დაგვიკარგავს. ახლა კი, როდესაც ჩვენი შედგენილი ნუსხის ნომრები შევუდარე ყუთების ძველ ნომრებს, რომელნიც ჩამოწერილი და ხელმოწერილი აქვს ქუთაისის ხაზინის გამგეს, აღმოჩნდა, რომ ერთი ყუთი – №102 [სურათების შემცველი] – ჩვენ მარსელში არ ჩამოგვიტანია, დაგვკარგვია. უსათუოდ საქმე გვაქვს ბოროტმოქმედებასთან, რომელიც ქუთაისშია ჩადენილი, ხოლო გამოურკვეველია, ვინ იყო მისი ჩამდენი: ხაზინის მოსამსახურენი, რომელნიც ყუთებს აძლევდნენ სადგურზე წასადებად მილიციონერებს, თუ მილიციონერები, რომელნიც ამ ნივთებს ეზიდებოდნენ სადგურზე?...

## ჩვენი მარშუტი

თებერვალი

18–19 პანიკა თბილისში

20–21 სამუზეუმო ნივთების ქუთაისში გამოგზავნა

24 (?) თბილისიდან გამოვედით

მარტი

1–2 ქუთაისიდან წამოვედით

3 ბათუმში მივედით

5 დავტვირთეთ გემი ჩვენი ინვენტარით

6 მატარებლიდან გადავედით სასტუმროში

11 გამოვედით ბათუმიდან

14 მოვედით კონსტანტინოპოლში

20 გამოვედით კონსტანტინოპოლიდან

23 მერსინში მოვედით

25 ალექსანდრეტაში მოვედით

27 ბეირუთში მოვედით

31 ბიზერტაში მოვედით

აპრილი

5 ბიზერტაში მოვედით

8 ბიზერტა დავტოვეთ

10 სალამოს მოვედით მარსელში

11 დილას ჩამოვედით გემიდან და გადმოვალაგეთ

ნივთები საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებაში.

მოვთავსდით სასტუმრო „რეჟინა“-ში. იქ დაგვხვდნენ ზ. ავალიშვილი

და ანდ. დეკანოზიშვილი.

საფრანგეთის სამხედრო-სატრანსპორტი გემი Bien Hoa.

კონსტანტინოპოლში მოვიტანეთ სულ, ბორჯომის ნივთებიანად, 236 ყუთი, ერთი დიდი კალათი და 12 ტომარა. მერმე გადავაწყვეთ ტომრის ნივთები ყუთებში და მარსელში მოვიტანეთ 248 ყუთი და ერთი კალათა, სულ 249. ამათში ქუთაისიდან წამოღებული იყო 175 ყუთი და 12 ტომარა, ბორჯომიდან ბათუმში ჩამოიტანეს 61 ყუთი, ხოლო ხობის მონასტრის ნივთები – ერთი პატარა ყუთი – იქვე ჩამოიტანეს ახალსენაკიდან.

ყუთები დაბეჭდილ იქნა პარიზში საქართველოს წარმომადგენლობის წარწერით.

\*  
\* \* \*

- 1) 1921 წლის თებერვალში გამოვედით ტფილისიდან.
- 2) ვუკოლ ბერიძეს გავუგზავნე წერილი 1935 წლის 5 აპრილს.
- 3) პასუხი მივიღე 1935 წლის 10 მაისს.
- 4) გაზ. «კომუნისტ»-ში, 1931 წლის №45-ში, 22 თებერვალს დაიბეჭდა სია ტფილისიდან წამოღებული სამუზეუმო ნივთებისა.
- 5) მეორე ჩემი წერილი ვუკოლისადმი – 1935 წლის 26 მაისს.
- 6) მარსელის ბანკი ნივთების (39 ყუთის) შენახვაში იღებდა წელიწადში 2500 ფრანკს. გადახდილია მხოლოდ ერთი წლისა.
- 7) სამინისტროს ჩავაბარე ჩემი რაპორტი 1935 წლის 15 მაისს.
- 8) წიგნები, 27 ყუთი ჩავაბარე 1935 წლის 1 ივლისს [თბილისის უნივერსიტეტში წასაღებად].

#### **ჩემი გამგზავრება თბილისიდან საფრანგეთში**

##### **1921 წლის**

- 24 თებერვალს თბილისიდან გამოვედით და მოვედით ქუთაისში.
- 2 მარტს ქუთაისიდან გამოვედით.
- 3 მარტს ბათუმში მოვედით.
- 5 მარტს დავტვირთეთ განძეულობა კრეისერ «ერნესტ რენან»-ზე.
- 6 მარტს გადავედით ვაგონებიდან სასტუმროში.
- 11 მარტს გამოვედით ბათუმიდან.
- 14 მარტს მოვედით კონსტანტინეპოლში.
- 20 მარტს გამოვედით კონსტანტინეპოლიდან გემით «Bien Hoa» .
- 23 მარტს მოვედით მერსინაში.
- 25 მარტს მოვედით ალექსანდრეტაში.
- 27 მარტს მოვედით ბეირუთში.
- 31 მარტს გამოვედით ბეირუთიდან.
- 5 აპრილს მოვედით ბიზერტში.
- 8 აპრილს წამოვედით ბიზერტიდან.
- 10 აპრილს მოვედით მარსელში.
- 11 მაისს მარსელის ბანკში დატოვებულ იქნა 167 ყუთი.
- 26 მაისს მარსელის ბანკში დატოვებულ იქნა შესანახად სამუზეუმო განძეულობა, 39 ყუთი. სხვა ყუთები ზურაბ ავალიშვილმა მიაბარა პარიზის „გარდ-მებლ“-ში და იქ მან და იოსებ ელიგულაშვილმა მთავრობის ვერცხლეულობა გადაადნეს და 1. 200. 000 მანეთად გაყიდეს.

ბანკში მიბარებული ყუთების №№ 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99 და 100, 101, 102, 103, 104.

1934 წლის 8 მაისს სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომ ჩვენი განძეულობა შესანახად გადასცემოდა დოჟონს, ვინაიდან მას პატრონი აღარ ჰყავდა. იმავე მოხელეს ებარა მეფის რუსეთის მთავრობის მიერ დატოვებული ქონებაც.

1935 წლის 5 მაისს ჟორდანას „მთავრობისადმი“... [წარდგენილი განცხადების პასუხად]... მეცნობა მთავრობის დადგენილება, რომ უფლება მაქვს მივიღო ის ზომები, რომელსაც საჭიროდ დავინახავ.

### ქრონოლოგიური ცნობები

1) ჩემი რაპორტი ჩავაბარე საფრანგეთის მთავრობას 1935 წლის 8 მაისს.

2) 1921 წლის 11 მაისს საფრანგეთის ბანკის ლიონის განყოფილებას ჩავაბარეთ 167 ყუთი, ხოლო 21 მაისს ზურაბ ავალიშვილმა და იოსებ ელიგულაშვილმა ბანკიდან გამოიტანეს 128 ყუთი. ბანკში დარჩა 39, მუზეუმის ნივთების შემცველი ყუთი. მათში ერთი ერთი თუჯის ყუთი – ყოფ. «კავკასიის მუზეუმისა», რომელსაც შემდეგ «საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი» დაერქვა, და აგრეთვე ერთი კალათი (რომელშიც ის ვერცხლის გვირგვინები ელაგა, თავის დროზე დავით სარაჯიშვილის კუბოს რომ ამკობდა) და ერთი შეკვრა სურათები. მუზეუმების 13 ყუთი არ გაგვიხსნია. ზუგდიდის ყუთები იყო №№ 5, 18, 22, 24, 26, 27, 36.

3) 1936 წლის 2 ივლისს ჩავაბარე საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის (პოტიომკინის) მდივანს 27 ყუთი ბორჯომის ყოფ. სასახლის ბიბლიოთეკისა, წიგნები ჩვენი უნივერსიტეტისათვის გამოსაგზავნად. მათში ბევრი იყო აგრეთვე ჩემი შეწერილი წიგნები, სამეცნიერო საზოგადოების „Société Asiatique“-ის გამოცემანი.

სამხედრო გემი – „Ernest Renan“?

სატრანსპორტო გემი – „Bien-Hoa“ („ბიენ-ოა“).

არასამუზეუმო ნივთები ყუთებით შესანახად მივაბარეთ Societé Nationale de Déménagement-ს, 1921 წლის 7 მაისს.

4) დამფუძნებელი კრების დეკრეტი, რომ სამეგრელოს მთავრობის ქონება გადაირიცხოს საქართველოს რესპუბლიკის ქონებაში, გამოვიდა 1920 წლის 21 დეკემბერს.

მარსელში ჩვენ მიერ ჩამოტანილი ნივთები შეიცავდა: 236 ყუთს და 12 ტომარას. ეს ტომრებიც მოვათავსეთ ყუთებში და სულ გამოვიდა 249 ყუთი. ამ აღნიშნული ნომრებიდან 175 ყუთი და 12 ტომარა წამოღებული იყო ქუთაისის ხაზინიდან, 61 ყუთი ბორჯომიდან იყო ბათუმში ჩამოტანილი, ერთი პატარა ყუთი – ხობის მონასტრის ნივთები – ახალსენაკიდან. მარსელში კომისია მუშაობას შეუდგა 1921 წლის 25 აპრილს და დაამთავრა 11 მაისს. ხაზინის 112 ყუთი (ქარხნების ვერცხლი) და მუზეუმების 13 ყუთი არ გაგვიხსნია.

\*

\* \*

სასამართლომ 1934 წლის 8 მაისს გამოიტანა დადგენილება, რომ ნივთები დოჟონს გადასცემოდა. დოჟონმა ჩაიბარა ისინი 1934 წლის 30 ნოემბერს (?). დოჟონის სია შედგენილია 1934 წლის სექტემბერ-ოქტომბერში.

1) Monsieur A b e l C h e v a l l e y Ministre Plénipotentiaire, Haute Comissaire de France au Caucase.

2) Cruiseur Français «Ernest Renan».

შემდეგ: Vapeur «Bien-Hoa».

3) A. T c h e n k e l i – Envoué Extraordinaire et Ministre Plénipotentiaire de Géorgie en France.

4) ჩვენი ადვოკატი: Mr. C h. P o m a r e t, Deputé.

5) Madame S a l o m é M i n g r e l i e, veuve du Prince A l e x a n d r e O b o l e n s k i.

### მუზეუმის ნივთების შესახებ

1921 წლის 11 მაისს საფრანგეთის ბანკის ლიონის განყოფილებას ჩავაბარეთ 167 ყუთი, ხოლო 21 მაისს ზურაბ ავალიშვილმა და იოსებ ელიგულაშვილმა გამოიტანეს 128 ყუთი და ბანკში დარჩა მუზეუმის ნივთების შემცველი 39 ყუთი (ამათში ერთი თუჯის ყუთი კავკასიის, შემდეგ საქ. სახელმწ. მუზეუმისა; ერთი კალათი დ. სარაჯიშვილის ვერცხლის გვირგვინებისა და ერთი ც სურათების შეკვრა). არ გაგვიხსნია. ზუგდიდის ყუთები იყო შვიდი: №№ 5, 8, 22, 24, 26, 27, 36.

ჩემი მოხსენება საფრანგეთის მთავრობისადმი 1935 წლის 8 მაისს ჩავაბარე მთავრობის კანცელარიას.

1935 წლის 1 ივლისს ჩავაბარე ტფილისში გასაგზავნად ბორჯომის ბიბლიოთეკის 27 ყუთი და ჩემი წიგნებიც.

კონსტანტინეპოლში ჩვენ მიერ მოტანილი ნივთები შეიცავდა 236 ყუთს და 12 ტომარას, სულ საერთოდ 249 ნომერს. იქ ტომრების ნივთები ყუთებში მოვათავსეთ და სულ მარსელში მოვიტანეთ 249 ყუთი.

ამ აღნიშნული ნომრებიდან 175 ყუთი და 12 ტომარა წამოღებული იყო ქ. ქუთაისის ხაზინიდან, 61 ყუთი ჩამოტანილ იქნა ბორჯომიდან ბათუმში და ერთი პატარა ყუთი (ხობის მონასტრის ნივთები) – ახალსენაკიდან.

მარსელში კომისია მუშაობას შეუდგა 1921 წლის 25 აპრილს, დაამთავრა – 11 მაისს.

ხაზინის 112 ყუთი (ქარხნების ვერცხლი) და მუზეუმების 13 ყუთი არ გაგვიხსნია.

არა მუზეუმის ნივთები მივაბარეთ შესანახად Société Nationale de Déménagement-ს 7 მაისს.

დეკრეტი სამეგრელოს მთავრის ქონების საქ. რესპუბლიკის ქონებაში გადარიცხვის შესახებ მიღებულია 1920 წლის 21 დეკემბერს.

## 2. განძეულის გატანის, საფრანგეთში შენახვისა და დაბრუნების ისტორია

### [II ვარიანტი, საქართველოში ჩამობრუნების შემდეგ დაწერილი]

1921 წელს, მენშევიკური მთავრობის ემიგრაციის წინ, განძეულობა ჩატანილ იქნა ბათუმში. ძალიან იმედი გვქონდა, რომ არ გახდებოდა საჭირო მისი წაღება საზღვარგარეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და ყოფილმა მთავრობამ გადაწყვიტა, თან გაეყოლებინა განძეული. დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც მაშინ

იკრიბებოდა ბათუმში, მე დამნიშნა განძეულის მეთვალყურედ და მთავრობამ კი თავის მხრით გამაყოლა მათი ფინანსთა მინისტრის ამხანაგი იოსებელიაშვილი. იმ დროს საფრანგეთში მთავრობის მიერ ამიერკავკასიაში სრულუფლებიან მინისტრად დანიშნული იყო აბელიშვილი. მისი განკარგულებით ის განძეულობაცა და მთავრობის ქონებაც მოთავსებულ იქნა სამხედრო გემზე, რომელსაც სახელად ერქვა «ერნესტ რენანი». მე და ელიგულაშვილი კი არ აგვიშვეს იმ გემზე, ვინაიდან, მათი თქმით, გემი მოქმედებდა შავ ზღვაზე და ამიტომ მასზე არასამხედრო პირთა ყოფნა არ შეიძლებოდა. შევალიემ სიტყვა მოგვცა, რომ როდესაც გემი კონსტანტინეპოლში გაემგზავრებოდა, ჩვენ უსათუოდ მოგვათავსებდა ზედ. მაგრამ მან დაპირება არ შეასრულა. დანიშნულ დღეს ჩვენ ერთი საათით ადრე მივედით ნავთსადგურში, საიდანაც გემი უნდა დაძრულიყო და დავინახეთ, რომ კრეისერი უკვე საკმაოდ იყო ნავთსადგურს მოშორებული. ცდა, რომ კატერით დავწოდით, ამაო შეიქნა. მეტი ღონე არ იყო, პატარა კერძო გემით უნდა წავსულიყავით კონსტანტინეპოლისაკენ.

დარი ცუდი შეგვხვდა. იმდენად შეარყია ღელვამ გემი, რომ კაპიტანს ხსნის იმედი დაეკარგა და ყველას გამოგვიცხადა, გადასარჩენი ფრთები წამოგვესხა. საბედნიეროდ, ორი საათის შემდეგ ამინდი შეიცვალა. ამრიგად, საშუალება მოგვეცა მიგვეღწია კონსტანტინეპოლისათვის. იქ დაგვხვდა ის კრეისერი «ერნესტ რენანიც». გვეგონა, რომ ჩვენცა და ჩვენი ნივთებიც იმ კრეისერით მივიდოდით მარსელში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა: გამოსცეს განკარგულება, ნივთები გადაეტანათ დიდსა და დაძველებულ სატრანსპორტო გემზე, რომელსაც «ბიენჰოა» («Bien Hoa») ეწოდებოდა. მისი დანიშნულება იყო მოეწყო მცირე აზიის, ეგვიპტისა და ჩრდილო აფრიკის ყველა ნავთსადგური, რათა საფრანგეთში წაეყვანა იქ მყოფი დაჭრილები და ავადმყოფები. ეს ამბავი არ გვესიამოვნა, მაგრამ სხვა რა გზა იყო, უნდა [შევრიგებოდით].

პირადად ჩვენ პატივით მიგვიღეს და კაპიტანს განკარგულება მისცეს, მასთან ერთად მიგველო საზრდო მე და ჩემს მეუღლეს. ეს მოულოდნელი იყო ჩვენთვის, ვინაიდან კაპიტანთან უცხოთა მიერ საზრდოს მიღება წესსა და დისციპლინას არღვევდა. საბედნიეროდ, კაპიტანი დიდად პატიოსანი და თავაზიანი კაცი აღმოჩნდა [გვარად ვანდიერი იყო]. ყველა ნავთსადგურში, სადაც კი მოვისურვებდით, კატერით გადაგვსვამდა ხოლმე ქალაქის დასათვალიერებლად. ამინდიც კარგი შეგვხვდა. ტუნისში რომ მივედით, კაპიტანმა ჰაეროვანი ტელეგრაფით მიიღო ბრძანება, რომ წასულიყო კორსიკის კუნძულზე ერთი გემის გადასარჩენად. ამ ამბავმა ჩვენი კაპიტანი დიდად შეაწუხა და მან გვითხრა, სახიფათო იქნება, რადგან კორსიკასთან ბევრი წყალქვეშა კლდეაო, მაგრამ მეტი გზა არა ჰქონდა, გაემგზავრა. საბედნიეროდ, ნახევარი საათის შემდეგ მოუვიდა მეორე ტელეგრამა: იმ გემს, რომელიც იღუპებოდა, უკვე უშველესო.

ამრიგად, ტუნისიდან გასულნი პირდაპირ მარსელში გავემგზავრეთ და მშვიდობით ჩავედით.

ჩვენი გემის შესახებ თვით კაპიტანი ცუდი აზრისა იყო და ამბობდა, მეტისმეტად დაძველებულია, ერთი-ორი რეისის შემდეგ ხმარებიდან გამოვაო. როგორც შემდეგ გაზეთში წავიკითხე, მართლაც ასე მომხდარიყო.

მე ტელეგრამით ვთხოვე ა. ჩხენკელს, მენშევიკების მთავრობის წარმომადგენელს პარიზში გამოეგზავნათ მარსელში კომისია, რომელიც გამოყოფდა სამუზეუმო ქონებას „მთავრობის“ ქონებისაგან (ამ უკანასკნელში საკმაოდ იყო სახაზინო ნივთები და ვერცხლეულობა). ა. ჩხენკელმა გამოგზავნა საქართველოდან

გაქცეული „მთავრობის“ საქმეთა მმართველად დანიშნული ერთი დიპლომატი და აგრეთვე ანდრიას დეკანოზიშვილი. ამრიგად კომისიაში შევედით ოთხი კაცი: მე, იოსებ ელიგულაშვილი და ის ორი პარიზიდან გამოგზავნილი.

მანამ მარსელში მივიდოდით, კაპიტანმა გაუგზავნა ჰაეროვანი ტელეგრამა მარსელის მთავრობას, რომ დაეხვედრებინათ სამხედრო მცველები განძეულობის მარსელის ბანკში გადასატანად. მთავრობამ ამ საქმეში დიდი სიფრთხილე გამოიჩინა და გამოიწერა სენეგალის პოლკი, რომელიც საფრანგეთის ხელისუფლების მიერ მიჩნეული იყო ყველაზე უპატიოსნეს სამხედრო ერთეულად. ისე რომ, ისინი თავიანთი ქონების სადმე გადატანისას მხოლოდ იმ პოლკს ენდობოდნენ. ჩვენი ნივთებიც სენეგალის პოლკმა ალყაშემორტყმით გადაიტანა გემიდან მარსელის ბანკში.

ამის შემდეგ დაიწყო კომისიამ მუშაობა, რამაც ერთ თვეს გასტანა. სამუზეუმო ნივთები მოვათავსეთ 39 ყუთში და ხელწერილით მივგზავრეთ მარსელის ბანკს.

ამას რომ მოვრჩით, მე და დეკანოზიშვილი პარიზს გავემგზავრეთ, დანარჩენი ორი კაცი კი მარსელში დარჩა: მათ "მთავრობის" დავალებით ლიკვიდაცია უნდა ექნათ სახაზინო ნივთებისა და ვერცხლეულისათვის, და კიდევაც უქნეს.

სამუზეუმო ქონების შენახვის სასყიდლად მარსელის ბანკმა წელიწადში 2.500 ფრანკი მოითხოვა. მას მერმე ის ნივთები ხელუხლებლად ინახებოდა იმ ბანკში, სანამ საფრანგეთის მთავრობამ არ გააუქმა მენშევიკების ლეგაცია.

ჩვენს განძეულობას საფრანგეთში ბევრი მტერ-მოყვარე და ცილისმწამებელი აღმოუჩნდა. მოყვრებად მოჰქონდათ თავი მყიდველებს, რომელთაც უნდოდათ ცალკეული იშვიათი ნივთების შეძენა.

პირველ ყოვლისა, მოვიდა ნიუ-იორკის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი და დაუწყო მოლაპარაკება მენშევიკებს, რომ მიეყიდათ მათთვის მინანქრიანი ხატები და მედალიონები. ჩვენებურ მინანქართა ერთი დიდი კოლექცია იმ მუზეუმს ადრე ჰქონდა შეძენილი ზვენიგოროდსკისაგან, რომელიც ალექსანდრე მესამის დიდი მოხელე იყო. ერთ დროს ვინმე საბინგუსმა ეგზარქოსის ნებართვით მოიპოვა უფლება განეახლებინა ძველი შემკულობა საქართველოს ეკლესიათა ხატებზე. მან ბოროტად გამოიყენა ეს უფლება, მოსპო ბევრი ძველი ხატი და მათი მინანქრიანი მედალიონები კი მიჰყიდა კოლექციონერ ზვენიგოროდსკის. როგორც ცნობილია, მინანქრის ხელოვნება დიდად იყო საქართველოში გავრცელებული და ჩვენებურ ხატებზე ხშირად ეკრა მედალიონები – ბიზანტიურიცა და ქართულიც. თუმცა იციან მინანქრიანი ხატებისა და სხვა საეკლესიო ნივთების დამზადების რეცეპტი, მაინც ვერავინ ახერხებს ამ ხელობის აღდგენას. ზვენიგოროდსკიმ ჩვენს მინანქრებში ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ მუზეუმისაგან“ მიიღო 200.000 მანეთი, რაც იმ დროისათვის ერთობ დიდი ფული იყო. ახლა კი მუზეუმმა და მისმა დირექტორმა მოინდომეს ქართული მინანქრების კოლექციის უფრო მეტად შევსება.

დირექტორმა ჯერ ჰკითხა ყოფ. მთავრობის თავმჯდომარეს, რით ცხოვრობთო? თავმჯდომარემ უპასუხა, გვყავს მოყვრები, მაგრამ, რასაკვირველია, ეს არა კმარა და ხელმოკლედა ვართო. მაშინ დირექტორმა უთხრა, მაგ მდგომარეობას შეგიმსუბუქებთ, თუ მინანქრების განძეულს მოგვყიდითო. ეს რომ ჩემ ყურამდე მოვიდა, განუცხადე თავმჯდომარესაც და ნიუ-იორკის მუზეუმის დირექტორსაც, რომ გაყიდვაზე საუბარი ყოვლად შეუძლებელია. ბევრი წუწუნისა და ლაპარაკის შემდეგ მუზეუმის დირექტორმა ასეთი წინადადება მისცა ემიგრაციის ხელმძღვანელობას: მოგვეცით პირობა, რომ ამ ნივთებს არ გაჰყიდით და თუ დააპირებთ, ისევ ჩვენ მოგვყიდით, რა თქმა უნდა, შესაფერ ფასად, ხოლო ამ



პირობის ძალით კარგა დიდ თანხას გასესხებთო. იმათ თითქოს მოეწონათ ეს წინადადება და მზად იყვნენ პირობის მისაცემად. მე, რასაკვირველია, უარი ვთქვი: რა პირობა უნდა მოგცეთ? ნუთუ ის, რომ ჩვენ კრიმინალურ საქციელს არ ჩავიდნენ და სხვის მიერ დასაცავად მობარებულ ნივთებს არ გავყიდით-მეთქი? ყველა პატიოსან კაცს მოეთხოვება ელემენტარული სინდისიერება, რომ მობარებული ნივთი ხელუხლებლად შეინახოს-მეთქი! ვალის აღება ადვილია და გადახდა კი ძნელი-მეთქი! ვინც მაგისტანა პირობასა გთხოვთ, მან კარგად იცის, რომ თქვენ ვალის გადახდა არ შეგეძლება და, ბოლოს და ბოლოს, იმ ვალს არ შეგარჩენენ-მეთქი!

რაკი მე ხელი არ მოვუწერე იმ პირობაზე, ეს კომბინაცია, რა თქმა უნდა, ჩაიშალა.

შემდეგ ბრიტანეთის მუზეუმმა დაუწყო მოლაპარაკება ყოფილ მთავრობას, რომ ქსნის [ახალგორის] იმ განძიდან, რომელიც ჩემ მიერ იყო შეკრებილი და მუზეუმისათვის შეძენილი, ერთი რომელიმე საუკეთესო ნივთი დაეთმოთ მისთვის. სამაგიეროდ პირდებოდნენ მთელი ჩვენი განძეულობა უსასყიდლოდ შეენახათ თავიანთთან და მისი ალბომები გამოეცათ. საამისოდ [ინგლისელი ისტორიკოსი ქართველთმცოდნე] ალენი მოუგზავნეს და შუაკაცად ერთი ემიგრანტი პროფესორი აირჩიეს. უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ამ წინადადებით პირველად ჩემთან მოვიდა და ყველაფერი გამომიცხადა. ის თითქოს თანახმა იყო იმ კომბინაციისა, მაგრამ მე უარი ვუთხარი, ნივთები მუზეუმთან კუთვნილებად ითვლება მეთქი. ამრიგად, კვლავ მოისპო ნივთების გაყიდვისა თუ დათმობის საკითხი.

როგორც ვხედავთ, არ შეეფერებოდა სიმართლეს აქაურ პრესაში ერთ ხანს გამოსული ხმა, თითქოს მენშევიკებმა აიძულეს ე. თაყაიშვილი, განძეულის ყუთები გაეხსნა და ნივთები გაყიდესო. ეს ვერც მათ და ვერც სხვამ ვერ მოახერხეს.

ჩვენს განძეულობას საფრანგეთშიც აღმოუჩნდა მტერი. იმ დროს იქ ცხოვრობდა გრაფ ობოლენსკის ქვრივი, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკო დადიანის ასული [სალომე]. მან მოგვთხოვა დაგვებრუნებინა მისთვის სამეგრელოს მთავრის ოჯახიდან წამოღებული ნივთები. უნდა მოგახსენოთ, რომ მენშევიკურმა მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც სამეგრელოს მთავრის მთელი ქონება სახელმწიფოს კუთვნილებად გამოაცხადა. ჩვენც, რა თქმა უნდა, უარით ვუპასუხეთ ობოლენსკის ქვრივს. მან სასამართლოს მიმართა და დაიწყო პროცესი, რომელიც 7 წელიწადს გაგრძელდა.

ობოლენსკისას ბევრი დამხმარე აღმოუჩნდა იქაურ არისტოკრატიაში. მის საჩივარს ირგვლივ მაგარი სპეკულაცია გაჩაღდა. მომჩივანმა გაბერა დადიანების სასახლიდან წამოღებული ნივთების სია და ისე გამოდიოდა, თითქოს აქედან საფრანგეთში გატანილი განძეულის ნახევარი სამეგრელოს მთავრის ქონება ყოფილიყოს. საჩივრის საფუძველი ის იყო, რომ საქართველოს მენშევიკურ მთავრობას უფლება არ ჰქონდა დეკრეტის ძალით ჩამოერთვა ის ქონება, ვინაიდან სამეგრელოს მთავარი რუსეთის ქვეშევრდომი იყო და არა საქართველოსი. რა თქმა უნდა, სასამართლომ ეს მოტივი არ მიიღო, ვინაიდან საქართველო თავისუფალ სახელმწიფოდ იყო ცნობილი თვით საფრანგეთის მთავრობის მიერ. კომბინატორებმა დიდი ფული დახარჯეს ობოლენსკის ქვრივის დასახმარებლად – იმ იმედით, რომ პროცესს მოიგებდნენ და ერთი ათად მეტ თანხას მიიღებდნენ. ერთი მათგანი სიკვდილითაც კი მემუქრებოდა. პროცესი რომ საბოლოოდ წააგო, ობოლენსკის ქვრივმა გერმანიას მიაშურა და მისი დამქაში კომბინატორები ხელცარიელი დარჩნენ.

ეს პროცესი მაშინ გათავდა, როდესაც მენშევიკების მთავრობა საფრანგეთის ხელისუფლების მიერ უკვე უარყოფილი იყო. ამიტომ სასამართლომ ობოლენსკის ქვრივს კი უთხრა უარი, მაგრამ თან დაადგინა: მენშევიკების მთავრობა რაკი აღარ არსებობს, საქართველოს განძეულობა უპატრონოდ გამოცხადდეს და შესანახად გადაეცეს მოსიე დოჟონსო. იმ დოჟონს უკვე ებარა მეფის რუსეთის მიერ საფრანგეთში დატოვებული ქონება.

რაკი მენშევიკური მთავრობა გაუქმებულად გამოცხადდა და მას განძეულის პატრონობაც ჩამოერთვა, – განვუცხადე მის ყოფილ ხელმძღვანელებს, – ამიერიდან მე გამოვდივარ-მეთქი საფრანგეთის მთავრობის წინაშე, როგორც განძეულის მცველი და შენახვის მეთვალყურე. ეს განცხადება მოეწონათ, ვინაიდან თავიდან ეხსნებოდათ განძეულზე პასუხისმგებლობა: ისინი თითქმის დარწმუნებული იყვნენ, რომ მისი დაბრუნების იმედი დაკარგულია და გადმომცეს ამონაწერი ამ საქმის შესახებ გამოტანილი დადგენილებიდან. მაცნობებდნენ, რომ დამფუძნებელმა კრებამ და მუზეუმთა გამგეობამ დამნიშნეს განძეულის მომვლელად და მეთვალყურედ; რომ უფლება მაქვს ისე მოვიქცე, როგორც საჭიროდ მივიჩნევ, და რომ მე ვიქნები პასუხისმგებელი როგორც მუზეუმების, ისე საქართველოს წინაშე.

ამის შემდეგ შევადგინე მოხსენება საფრანგეთის მთავრობისადმი, რომელშიც ვწერდი: ის სამუზეუმო განძეული, რომელიც სასამართლომ დოჟონს ჩააბარა, არ ეკუთვნოდა არც საქართველოს მთავრობას და არც, მით უმეტეს, რუსეთის ყოფილ მთავრობას. იგი შეადგენს ისეთ კერძო დაწესებულებათა კუთვნილებას, როგორიც იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“, საქართველოს სამღვდელთა „საეკლესიო მუზეუმი“ და კერძოდ დაარსებულ მხატვართა საზოგადოება. ამ საზოგადოებებმა თავიანთი ქონება შესანახად და მოსავლელად მიაბარეს მთავრობას და ამიტომ იგი ამ უკანასკნელის სახელზე იყო შეტანილი მარსელის ბანკში, რადგან ეს მთავრობა ცნობილი იყო საფრანგეთის მთავრობის მიერ, როგორც დამოუკიდებელი ანუ თვითმპყრობელი სახელმწიფოს მთავრობა. ახლა რაკი იმ მთავრობას აღარ სცნობდნენ, განძეულიც უნდა დაუბრუნდეს თავიანთ მუზეუმებს.

საფრანგეთის მთავრობამ ამ ჩემ განცხადებაზე პასუხი არ მომცა. ჩვენი დამცველი შ. კ. ო. მ. ა. რ. ე. საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატი იყო. ის მარწმუნებდა, მთავრობა ვერ შეიძლება მაგ განძეულის მითვისებას, თუკი დავუმტკიცებთ, რომ ყოველივე ეკუთვნოდა კერძო საზოგადოებებსაო.

ჩემი მოხსენების პირი გამოვუგზავნე საქართველოში ვ. უ. კ. ო. ლ. ბ. ე. რ. ი. ძ. ე. ს. [იმჟამად მეცნიერების მთავარი სამმართველოს უფროსს], რათა გადაეცა რესპუბლიკის მთავრობისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს მოევლინებინა პარიზში სათანადო დეპუტაცია და საბუთები, რომლებშიც აღნიშნული იქნებოდა, თუ რა დაწესებულებას რა ნივთები ეკუთვნოდა, აგრეთვე იმ დაწესებულებათა წესდებანი და კატალოგები. დეპუტაციას უნდა მოეთხოვა საფრანგეთის მთავრობისათვის განძეულის დაბრუნება. იგი უნდა შემდგარიყო ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთაგან. მაგრამ საქართველოდან ასეთი დეპუტაციის მაგიერ გამოვვიგზავნეს [დიპლომატი] ვ. ი. ქ. ო. რ. კ. ვ. ი. ტ. ა. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. – კარგი კაცი, ოღონდ განძეულის საქმეში ნაკლებ ჩახედული. ამ უკანასკნელზე ზრუნვა მიანდეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს საფრანგეთში პ. ო. ტ. ი. ო. მ. კ. ი. ნ. ს. ა. და იმავე

კვიტაიშვილს. პოტიომკინმა გამომიგზავნა თავისი მდივანი და მთხოვა გამეცნო მათთვის და კვიტაიშვილისათვის საქმის ვითარება.

მეც ჩავედი ლევილიდან პარიზში და შევუდექით მუშაობას. გადავეცი ჩემი რაპორტები ანუ მოხსენებანი საფრანგეთის მთავრობისადმი და სხვა მასალები. ჩვენი მუშაობა გაგრძელდა თითქმის ერთ თვეს, მაგრამ ამაოდ კი ჩაიარა: პოტიომკინმა მაცნობა, სამწუხაროდ, ჯერ არაფერი გამოდისო.

ამის შემდეგ ვაპირებდი საჩივრის აღძვრას სასამართლოში, მაგრამ ამასობაში საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე გახდა სოციალისტი ლ ე ო ნ ბ ლ ი უ მ ი, რომელიც დიდად დაახლოებული იყო მენშევიკების მთავრობასთან – შეხვედრისას ერთიმეორეს კოცნიდნენ ხოლმე. ამიტომ იმედი მომეცა, ეგებ მან მაინც დაგვიბრუნოს განძეული მეთქი. მასაც გავუგზავნე ჩემი რაპორტი და პირადად მოსალაპარაკებლად ვაახლე სიმონ მდივანი, რომელიც მენშევიკების მიერ თურქეთში იყო ელჩად გაგზავნილი. ბლიუმმა თქმით კი უთხრა, განვიხილავთ მაგ საქმესო, მაგრამ არც არა განუხილავს რა და არც პასუხი გაუცია ჩემთვის.

მერე დაიწყო [მეორე] მსოფლიო ომი და ფაშისტურმა გერმანიამ საფრანგეთი დაიპყრო. პირველად რომ მოვიდნენ პარიზში გერმანელები, მე დავებულებინეთ მათთან, როგორც გერმანიის მოწინააღმდეგე. ამიტომ თავს დამადგინე გასაჩხრეკად. სამი კაცი იყო: ერთი სამხედრო პირი – პოლკოვნიკი, მეორე – საერო პირი, გამომძიებელი და მესამეც – მათი დამხმარე. ჩემს ბინაში მედგა დიდი ყუთები, რომლებშიც საეკლესიო და სხვა არქეოლოგიური ნივთები ეწყო. პირველად მომთხოვეს გახსნა ერთი ყუთისა, რომელშიც სწორედ საეკლესიო საგნები აღმოჩნდა. პოლკოვნიკმა ერთი-ორი ნივთის გასინჯვის შემდეგ ხელი დამიქნია, დახურეთო. იმ დროს გამომძიებელი ათვალთვლებდა ქალაქებს, რომელშიც იყო მენშევიკების მიმოწერა II ინტერნაციონალთან. ამან იგი დააინტერესა და დაარწმუნა, თითქოს იმ სახლში მცხოვრებნი ყველანი [მენშევიკები] ვიყავით. მან უთხრა პოლკოვნიკს, მეორე ყუთიც გასინჯეთო. გავუხსენი ის ყუთი დ ვაჩვენე, რაც პირველი მომხვდა ხელში – ნაპოლეონ პირველის პატარა ქანდაკება. პოლკოვნიკმა ისევ გააქნია ხელი და თვითონვე დახურა ყუთი. მე ვუთხარი, მეორე ინტერნაციონალთან მიწერ-მოწერას ჩვენი ყოფ. მთავრობა აწარმოებს, მე კი მათ პარტიას არც ვეკუთვნი და მხოლოდ არქეოლოგიას ვემსახურები მეთქი. მათ სხვა ვერაფერი ნახეს და ისე წავიდნენ, აღარ შევუწუხებიათ.

მაგრამ ნაცისტებს ბერლინში ზოგიერთი ქართველი მიმხრობოდა და ჰიტლერის თავყენისმცემელი გამხდარიყო. ისინი დაუფიქრებლად დარწმუნებული იყვნენ, ჰიტლერი საქართველოს თავისუფლებას მიანიჭებსო... მათ დააჯერეს და გერმანიაში წაიყვანეს პროფ. ზ. ავალიშვილი, რომელიც იქ უდროოდ დაიღუპა კიდევაც (ქალაქის დაბომბვისას) და მასთან ერთად დაგვეკარგა აუარებელი ისტორიული მასალა, საქართველოს შესახებ, რომელიც ავალიშვილს ჰქონდა შეგროვილი.

ჰიტლერისადმი ბრმად მიმხრობილი ქართველი ემიგრანტები აღარ ითვალისწინებდნენ, რომ ის კაციჰამია რუსეთის დამარცხების შემთხვევაში არც საქართველოს დააყრიდა კარგ დღეს. რატომღაც ეგონათ, მცირე ავტონომიას მოგვცემსო. მენშევიკების დროს ჩვენში გერმანიის ელჩად ნამყოფი დიპლომატიც ვითომ ცდილობდა ამის შთაგონებას "ფიურერისათვის", ქართველები ძველი კულტურის ერია და ავტონომიის ღირსნი არიანო, მაგრამ ჰიტლერი ამას აინუნშიც არ აგდებდა. და აი, გასაოცარი ამბავი კი იყო, მაგრამ ბერლინელი ქართველები ზოგნი მაინც დაუფიქრებლად მისდევდნენ ჰიტლერს.

გერმანიაში გადასვლაზე გადაჭრილი უარი ვუთხარი: მე აქ ქართულ მუზეუმთა განძეულობის მეთვალყურედა ვარ გამოგზავნილი და აქვე უნდა დავრჩე, სანამ მას არ მივიღებ მეთქი. ამან მეორე საშიშროება წარმოშვა: ბოლოს და ბოლოს, გერმანელებმა მოინდომეს განძეულობის მოთხოვნა საფრანგეთის მთავრობისაგან და ბერლინში გადატანა და კიდევაც დაიწყეს მოლაპარაკება. ამ გასაჭირში დავიხმარე ერთი დიდი საქმოსანი, ქართველი გ. ბ., რომელსაც... დიდი გავლენა ჰქონდა. მან მე დამიჭირა მხარი და არ დაეთანხმა ზოგიერთ ემიგრანტს, რომლებიც განძეულობის გერმანიაში წაღებას საჭიროდ მიიჩნევდნენ. მევე მომემხრო ზემოხსენებული პროფესორი, რომელიც არწმუნებდა გერმანელებს, ეს განძეული მარტო საქართველოსთვის არის ღირებული, როგორც ისტორიული საბუთები, თორემ სხვებისთვის არაფერი სახარბიელოაო. ჩვენი ქონების მცველად ფრანგების მიერ გამოყოფილმა დოჟონმა მითხრა შემდეგ, გ. ბ. რომ დათანხმებოდათ, გერმანელები უთუოდ გვაიძულებდნენ, მოგვეცა თქვენი განძეულობაო.

ამრიგად, როგორც იქნა, ეს განსაცდელიც ავამორე თავიდან განძეულობას.

მისი საქართველოში დაბრუნების საკითხი გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის უმაგალითო გამარჯვებამ მეორე მსოფლიო ომში, რის შედეგადაც გერმანელებმა მიატოვეს პარიზი და ფრანგებმაც სული მოითქვეს. ამ გამარჯვებამ დიდი სახელი გაუთქვა საბჭოთა სახელმწიფოს... საფრანგეთში, ფრანგები მასზე „ლოცულობდნენ“...

იმ დროს პარიზში ჩამოვიდა სსრკ ელჩი ბოგომოლოვი. მე მაშინ ვაცნობე, რომ მისი ნახვა მინდა და ვთხოვე დაენიშნა ჩემთვის შეყრის დრო. მან თავისი მანქანა გამომიგზავნა, რაც პირველად მეუხერხულა კიდევაც. ჩემ წასაყვანად იმ მანქანით მოვიდა პოლკოვნიკი ვ. [ქართველი ემიგრანტი]. მას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ გაგონილი მქონდა, რომ ისა და მისი მეუღლე მოხერხებული საქმოსნები იყვნენ. გზაში მითხრა, ბოგომოლოვს მე დავპირდი, რომ ევგენი გეგეჭკორსაც მივუყვანდი, მაგრამ გეგეჭკორისათვის ეს არც გამიმხელია, ვინაიდან კარგად ვიცი, ის საბჭოთა ელჩს ჯერ ვერ ინახულებსო. ამ განცხადებამ კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ პოლკოვნიკი სიყალბეს არ ერიდებოდა. მივედით ბოგომოლოვთან. მან დიდად თავაზიანად მიმიღო. განვუცხდე, რომ განძეულობის საქართველოში დაბრუნების თაობაზე ვიყავი მისული. მან მითხრა, ჯერ ვისაუბროთ და საქმეზე კი, გინდათ საუზმის დროს ვისაუბროთო, გინდათ – შემდეგაო. მე საუზმობისას მოვახსენე ყველაფერი. მან მითხრა, მაგ საქმეში ჩახედული არა ვარ და რასაც მეტყვით, ყველაფერს აგისრულებთო. პოლკოვნიკი ვ. საუზმეზე გვერდით უჯდა ბოგომოლოვს. საუზმის ბოლოს ამოიღო უბიდან რაღაც დაწერილი წერილი და წაუკითხა. კარგად არ მესმოდა, რაში იყო საქმე, მაგრამ ერთს კი მივხვდი: ის თხოულობდა 50.000 ფრანკს, რომელიც ვითომცდა დახარჯვოდა განძეულობის საქმეზე. ელჩმა ის დაწერილი გამოართვა და უბეში ჩაიღო. აშკარა იყო, ვ. რაღაცა მანქანებით დაახლოვებოდა ბოგომოლოვს, რომელიც მას სიმპათით ეპყრობოდა

ბოგომოლოვს, გარდა სიტყვიერი განცხადებისა, წერილობითიც წარვუდგინე: ვთხოვდი, აღედრა განძეულობის დაბრუნების საკითხი. იმ დროს საფრანგეთის მთავრობის სათავეში ახალი ჩამდგარი იყო გენერალი დე-გოლი და ის საკითხიც, რა თქმა უნდა, მას უნდა გადაეწყვიტა. ბოგომოლოვმა მითხრა, პირადად მე ვერ ავუხსნი დე-გოლს საქმის ვითარებას და ამიტომ კარგი იქნება, თუ მომცემთ ჯეროვან მოხსენებას, რომელშიც ყველაფერი განმარტებული იქნებაო. რა თქმა უნდა, დავწერე და გადავეცი ვრცელი მოხსენება დე-გოლის სახელზე. ბოგომოლოვმა იგი მაშინვე წარუდგინა, როდესაც ორივენი უნდა

გამოფრენილიყვნენ მოსკოვს, საბჭოთა მთავრობის მეთაურთან. ომი ჯერაც გრძელდებოდა და საფრანგეთის საბოლოო ხსნა და შველა დიდად იყო დამოკიდებული საბჭოთა კავშირზე. რასაკვირველია, დე-გოლს უარის თქმა არ შეეძლო და მანაც გასცა განკარგულება, რომ დაუყოვნებლივ დაგვბრუნებოდა განძეულობა. ამ საქმეზე ზრუნვა ბოგომოლოვმა მოგვანდო მე, კონსულს გუზოვსკისა და საელჩოს საქმის მწარმოებელს.

მეორე დღეს გუზოვსკი მივიდა დოჟონთან, რომელსაც ებარა ჩვენი ნივთები და მოსთხოვა დაბრუნება. დოჟონი ამ მოთხოვნამ შეაშფოთა და მან განაცხადა, დე-გოლს ასეთი განკარგულების უფლება არა ჰქონდა, ეს საკითხი შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა გადაეწყვიტათ. გუზოვსკიმ უპასუხა, რა ნება აქვს მინისტრს, თავმჯდომარის წინააღმდეგ წავიდეს, ის ხომ მას ექვემდებარება? თუ ხვალ გადაჭრილი პასუხი არ გაგიციათ ამის შესახებ, ტელეგრამას გაუზღვავნი დე-გოლს, რომ თქვენ მის ბრძანებას არ ასრულებთო. ამის შემდეგ კი დოჟონმა, რაღა თქმა უნდა, ჩაგვაბარა მთელი განძეულობა მე და გუზოვსკის, ... მელაძისა და კ. ნიჟარაძის თანდასწრებით. გუზოვსკიმ დიდი ენერგიითა და მუყაითობით იმუშავა ამ საქმეში.

უპირველეს ყოვლისა, თავიდან მოვიშორეთ საქმოსანი ვ. გამოირკვა, რომ იგი დიდ სიყალბეს სჩადიოდა: დაერწმუნებინა ბოგომოლოვი, რომ განძეულობის დაცვის საქმეს დაახარჯა, ადვოკატს მისცა 50.000 ფრანკი. ბოგომოლოვს ეგონა, რომ იგი ჩვენ საქმეს იცავდა ობოლენსკის ქვრივის წინააღმდეგ, ნამდვილად კი ის ადვოკატი ქვრივს ესარჩლებოდა. ვუთხარი ვ-ს, ეგ დამცველი ჩვენ წინააღმდეგ გიქირავებია, საქმე წააგეთ, ამიტომ სასამართლოს ხარჯის ანაზღაურება დაგეკისრათ და ახლა გინდათ საამისოდ მიიღოთ 50. 000 ფრანკი-მეთქი?! ეს რომ გუზოვსკიმ გაიგო, მეტად გაუკვირდა და მაშინვე ჩამოიცილა ვ..., აღარაფერი პასუხი არ გაუცია.

მთელი ჩვენი ქონება კარგად დაცული და მთლიანი აღმოჩნდა, ერთი ნემსიც არ დაგვკლებია. შევუდექით ნივთების ჩალაგებას ყუთებში, საქართველოში წამოსაღებად. 25 ყუთი გავამზადე, მაგრამ შემდეგ ავად გავხდი და ნივთების ჩალაგება შეწყდა. ამასობაში პარიზს ჩამოვიდნენ საქართველოდან გამოგზავნილი, მათ შორის პროფ. შ. ამირანაშვილი. იგი თბილისის უნივერსიტეტში ჩემი პროფესორობის დროს სტუდენტი იყო და, რასაკვირველია, კარგად მიცნობდა. მან მოათავა ჩემი დაწყებული საქმე – განძეულობის ჩალაგება ყუთებში. შემდეგ მოსკოვიდან მოვიდა ორი ამერიკული თვითმფრინავი, რომლებზედაც მოთავსდა მთელი ჩვენი განძეულობა. ჩვენი ავიამარშრუტი ასეთი იყო: პარიზიდან მარსელში, მარსელიდან – რომში, რომიდან – ბენგაზიში (ჩრდილო აფრიკა), ბენგაზიდან – ქაიროში (ეგვიპტე), ქაიროდან – თეირანში (ირანი), იქიდან კი – თბილისში. პარიზიდან გამოვფრინდით 5 აპრილს და თბილისში ჩამოვფრინდით 11 აპრილს 1945 წლისა.

თბილისში განძეულობის აღწერა დაეკისრა აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს, თვით ნივთები კი მოთავსდა საქართველოს მუზეუმში და სამხატვრო გალერეაში.

განძეულობის... [წერილი დაუმთავრებელია]

## ფრაგმენტი მოგონებიდან განძეულობის გატანის შესახებ

...თბილისის დატოვებაზე რომ შეიქნა ლაპარაკი, ნ. ჟორდანიამ თქვა, „განძეულობა სულ ქუთაისში გადავიტანოთ და სულ ბოლოს ჩვენც წავალთ, რითაც მოგვიხერხდებაო“. ერთ საღამოს გამომიცხადა, „ხვალ დილის 9 საათზე მატარებლით ქუთაისში ვგზავნით, რაც რამე მოგვეპოვება ხაზინაში, და მუზეუმის ქონებაც იმ დროისათვის უნდა მოიტანოთ სადგურშიო“. მაშინვე შევკრიბე მუზეუმთა გამგეები – კარიჭაშვილი, ჯანაშვილი, ვინც მრჩეველებივით იყვნენ, ისინიც, კავკასიის მუზეუმისა და მხატვართა მუზეუმის წარმომადგენლებიც და ვუთხარი, მთავრობის თავმჯდომარემ ასე გამომიცხადა-მეთქი. გადაწყდა, გაგვეგზავნა ძვირფასეულობა ქუთაისში და მერე იმის მიხედვით მოვქცეულიყავით, თუ როგორ წარიმართებოდა საქმე. საზღვარგარეთ გაგზავნაზე არც გვიფიქრია და არც სიტყვა დაუძრავს ვისმე. მთელ ღამეს იმუშავეს და დილის 9 საათზე მართლაც გაიტანეს სადგურში. მეც გავედი და ვნახე, რომ ბევრი რამ ისეთიც ჩაელაგებინათ, რაც არ იყო წასაღები, მაგრამ რაღას ვიზამდით, უკვე დაბეჭდილი იყო ყუთები! ერთი კარგი, სანდო ახალგაზრდა კაცი [იონათამიშვილი] გავაყოლეთ მცველად და გავგზავნეთ ქუთაისში. ქუთაისის ხაზინაში მოიყარა ყველაფერმა თავი. მანამდე იქვე ჩაეტანათ გელათის მონასტრის ნივთებიც, რაც, რა თქმა უნდა, დიდი უტაქტობა იყო. ნ. ჟორდანიასიცა და მაშინდელი კათალიკოზის ლეონიდესიც...

მერე კი, როგორც ცნობილია, მთელი ის სამუზეუმო ძვირფასეულობა ემიგრაციაში წასულ მენშევიკურ მთავრობასთან ერთად საფრანგეთისაკენ წავიდა და მეც ძალაუნებურად მომიხდა ემიგრანტობა, რათა არ მოვშორებოდი ჩვენი ერის სასიკადაულო კულტურულ საგანძურს, დამეცვა იგი ყოველგვარი საფრთხისაგან... ამ საქმეს ვემსახურებოდი თითქმის სრული მეოთხედი საუკუნის განმავლობაში და, მიუხედავად მრავალგვარი გასაჭირისა და იმოდენა ხნის უსიხარულო ემიგრანტული ცხოვრების სიმძიმისა, შემიძლია ვთქვა, რომ პირნათლად შევასრულე ეს ჩემი მოვალეობა მშობელი ერის წინაშე. საბჭოთა ხალხის ძლევამოსილებამ ფაშიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში შესამდებელი გახადა ჩემი დიდი ხნის განზრახვის – სამუზეუმო განძეულობის საბჭოთა საქართველოში, მისი ნამდვილი პატრონისათვის, ხალხისათვის დაბრუნების განხორციელება, რასაც მე ჯერ კიდევ ომამდე ბევრად ადრე ვცდილობდი და სათანადო მიმოწერაც მქონდა აქაურ მთავრობასთან, მაგრამ არ ხერხდებოდა.

ევროპაში კი არაერთხელ დამდგარა ჩვენი სამუზეუმო განძეულობა ამა თუ იმ საფრთხის წინაშე. გავიხსენებ რამდენსამე ასეთ მომენტს.

„ახალგორის განძის“, რომელიც თავის დროზე მე გადავარჩინე დაღუპვას და კავკასიის მუზეუმს გადაეცა, მსოფლიოში უნიკალურ კოლექციად ითვლება, ნამდვილი თვალი იყო და არის ჩვენი სამუზეუმო ქონებისა, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი შესანიშნავი ნივთია გათხრით მოპოვებული მცხეთაში, თრიალეთში და სხვაგან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახალგორული ოქრო-ვერცხლის მეცნიერული ღირებულება ყველა სპეციალისტმა კარგად იცოდა და ბრიტანეთის მუზეუმმა, მეორე მსოფლიო ომის წინა ხანებში, შუამავლად მოგვიგზავნა ინგლისელი ისტორიკოსი ალენი (რომელმაც ინგლისურად გამოსცა ქართველი ერის ისტორია, საკმაოდ დიდი და სერიოზული ნაშრომი). გვთხოვდნენ, „ერთადერთი რომელიმე ახალგორული ნივთი დაგვითმეთ ნიმუშად, თქვენივე ამორჩევით, და სამაგიეროდ მთელ განძეულსაც უსასყიდლოდ შეგინახავთ და თან რაც გამოსაცემი გაქვთ, ყველაფერს გამოგიცემთ“. პირდაპირ გადარეული იყვნენ, ისე მოსწონდათ ის კოლექცია. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან შორს დავიჭირე: ვუთხარი, მე მხოლოდ მცველად ვითვლები ამ სახალხო ქონებისა და საერთოდ არც ერთი ნივთის არავისთვის დათმობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება-მეთქი.

არანაკლებ ინტერესს იჩენდა ჩვენი კოლექციებისადმი ნიუ-იორკის მუზეუმიც. არ კი ენახათ, მაგრამ გაეგონათ, რომ კარგი მინანქრიანი ნივთები გვქონდა, ხოლო იმ მუზეუმს ადრე უკვე შეეძინა საქართველოდან ჯერ კიდევ რევოლუციამდე გატანილ-გატაცებული სათანადო ნივთები, ისე რომ ჩვენებური მინანქრის ფასი კარგად ესმოდათ. მუზეუმის დირექტორი თითონ ჩამოვიდა პარიზში – გვარი აღარ მახსენდება, ნიაგარის ჩანჩქერზე ხიდის ამშენებელი ინჟინერი იყო. დიდძალი ფული შემოგვადგო ჩვენს მინანქრებში, მაგრამ, რასაკვირველია, ეს მოლაპარაკებებიც ჩაიშალა. პირდაპირ ამბობდა, „ფასზე ლაპარაკიც ზედმეტია, რასაც მოითხოვთ, მოგცემთ“. მენშევიკთა მეთაურების ერთ

წყებას ჭკუაში დაუჯდა ეს წინადადება და უჩემოდ აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, მაგრამ ძალიან შევეუტიე: „რა უფლებით აძლევთ ხალხის მიბარებულ ქონებას-მეთქი?!“ მუზეუმის დირექტორმა რომ შეიტყო ემიგრაციის გაჭირვებული მდგომარეობა, უთხრა, „იმის პირობა მაინც მომეცით, რომ სხვას არავის მიჰყიდით; თუ გადასწყვეტთ, ისევ ჩვენ მოგვყიდითო და სამაგიეროდ დიდ სესხს მოგცემთო!“ მენშევიკებს ეს მოეწონათ და მითხრეს, „მივცეთ ასეთი ხელწერილიო!“ მე ვუთხარი: „რაო? იმაზე მოვუწერო ხელი, რომ უპატიოსნობას არა ვიქ და სხვის ქონებას არ გავყიდი? მაგაზე, თუ გინდათ, თქვენ მოუწერეთ ხელი-მეთქი!“ ამის შემდეგ კი დამანებეს თავი.

ერთ რუს ემიგრანტს, არისტოკრატ ობოლენსკის ცოლად გაჰყვა დადიანის ქალი. ამ უკანასკნელს [დაქვრივებულს] რომ გაუჭირდა, გამოგვედავა ზუგდიდის სასახლიდან წამოღებულ ქონებაზე (ვერცხლეულზე და სხვ.), სახელმწიფოს რა ხელი აქვს, ჩემი ოჯახის კერძო საკუთრებაა და მემკვიდრეობით ჩვენ გვერგებო, და გვიჩვილა საფრანგეთის სასამართლოში. დიდი ორომტრიალი ატყდა და მაგარი ბრძოლის გადახდა დამჭირდა იმ ნივთების დასანარჩუნებლად; სასამართლოს ოქმებისა და სხვა საბუთების კარგა დიდი დასტა წამომყვა თან.

დასასრულ, ჩვენს განძეულობას ძალიან საშიშრად შემოუტია ლუვრის მუზეუმმა. პირდაპირ უცნაური ამბავი მოხდა: გერმანული არმიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დროს ფაშისტებს გადავანარჩუნეთ ის ჩვენი ქონება და გერმანიის დამარცხების შემდეგ კი „დემოკრატიულმა“ საფრანგეთმა კინაღამ გამოგვგლიჯა ხელიდან, აქაო და ემიგრანტები დიდი ხანია წამდვილ მთავრობას აღარ წარმოადგენენ, საქართველოს თავისი საბჭოთა მთავრობა ჰყავსო და მაშასადამე, ემიგრანტების მიერ მიბარებული ქონება ამდენი ხნის გასვლის გამო ლუვრის საკუთრებად უნდა იქცესო. შეიძლება, თავისიც კი გაეტანათ, რომ კიდევ ერთხელ არ მომეწერა საბჭოთა კავშირის მთავრობისათვის და ეს უკანასკნელიც ამჯერად უკვე ენერგიულად არ ჩარეულიყო საქმეში... საფრანგეთის მთავრობის მაშინდელი მეთაური დე-გოლი როგორც კი დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც ი. სტალინს შეხვედროდა და ამ უკანასკნელს ეთქვა, სხვათა შორის, ჩვენი განძეულობის შესახებ, მაშინვე გასცა სათანადო განკარგულება, და ახლა კი უკვე ულაპარაკოდ გადმოგვცეს ჩვენი ქონება, რომლის წამოსაღებად პარიზში ჩამოფრინდა საგანგებო კომისია, პროფ. შ. ამირანაშვილის მონაწილეობით. ჩვენი კოლექციები ომის დროს შენახული იყო ყუმბარსაფარი სარდაფის მე-4 სართულში. სათბობი ჯერ კიდევ ძალზე ჭირდა და სარდაფი გაყინული იყო. ყოველდღე იქ მუშაობაში და მინაბარი კოლექციების ისევ ჩაბარებაში გავცივდი და ფილტვების კრუპოზული ანთება დამემართა. იმ გაჭირვებაში და ყველაფრის ნაკლებობაში მარტოხელა მოხუცის ავადმყოფობა მეტად სამწუხურო რამ იყო და დროზე რომ არ ჩამოესწრო საბჭოთა კომისიას, ალბათ ვეღარც წამოვდგებოდი ცოცხალი. სასწრაფოდ მიღებული ყოველგვარი ზომების (კერძოდ, პენიცილინის შემხაპუნების) წყალობით გამოვკეთდი, გულდაგულ ჩავალაგეთ სამუზეუმო ქონებაც, ჩემი პირადი ბიბლიოთეკა-არქივიცა და გამოვემგზავრეთ: ჩვენა და განძეულობა ჰაერით, დანარჩენი ბარგი კი – მატარებლით.

პარიზიდან 1945 წლის 5 აპრილს გამოვფრინდით, ომი ჯერ კიდევ არ იყო გათავებული. დამე რომში გავათიეთ. რომიდან შუაღამისას განვაგრძეთ საჰაერო გზა და 8 საათის შემდეგ დავეშვიტ ბიზერტაში. ბიზერტიდან ქაიროში გადმოვფრინდით და იქ კი 2-3 დღეს გავჩერდით უამინდობის გამო, იქიდან – თეირანში და იქაც 3 დღეს გაგვაჩერა უამინდობამ, მაღალ მთებს უნდა გადმოვვლებოდით თავს. 11 აპრილს გამოვფრინდით თეირანიდან და 7-8 საათის შემდეგ უკვე თბილისის აეროდრომზე დავეშვიტ. თვითმფრინავიდან რომ გადმოვდგი ფეხი, აკაკის ლექსი მომადგა ენაზე: „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო!.. დედა-შვილობას, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო!“ 82 წლის მოხუცს ამიხდა დიდი ხნის ნატვრა, დავუბრუნდი სამშობლოს და დავუბრუნე მას მისი კუთვნილი განძეული. საშუალება მომეცა, ჩემს უნივერსიტეტში და ახალშობილ აკადემიაში დამეწყო მუშაობა. ოღონდ ძალზე მიკლავს გულს ის გარემოება, რომ ჩემი საცოდავი მეუღლე, ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის ერთგული თანამგზავრი, საფრანგეთის მიწაში დამრჩა დამარხული“...

## ექვთიმე თაყაიშვილის ემიგრანტული ნაშრომები

დიდი ქართველი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი ემიგრაციაში ყოფნის წლებში (1921–1945) არ წყვეტდა ნაყოფიერ კვლევა-ძიებას. მიუხედავად ცხოვრებისა და მუშაობის მძიმე პირობებისა, ის მაინც ახერხებდა როგორც საჭურნალგაზეთო, ისე სქელტანიანი წიგნების დაწერასა და გამოქვეყნებას. მისი წერილები და გამოკვლევები გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში („დამოუკიდებელი საქართველო“, „საქართველო“, „ქართლოსი“, „ჟურნალ აზიატიკ“, „პრომეთე“, „ბიზანტიონი“, „გეორგია“) როგორც ქართულ, ისე უცხო (ფრანგულ, ინგლისურ) ენებზე. ამას გარდა, წიგნების სახით (მათ შორის, ერთი 400 გვერდს აჭარბებს) პარიზში დაბეჭდილია ექ. თაყაიშვილის ოთხი მონოგრაფია ქართულ ენაზე. ამ შრომებს ჩვენი ფართო მკითხველი საზოგადოებრიობა არ იცნობს. ამის ერთი მიზეზი ისიც გახლავთ, რომ თვით ექ. თაყაიშვილის ჩამოტანილ პირად არქივშიც კი არ მოიპოვება ყველა მათგანი (ჩვენს წიგნსაცავებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია!), ხოლო მეცნიერის მიერ შედგენილ თავის შრომათა ბიბლიოგრაფიებში ზოგჯერ ამ ნაშრომთა პუბლიკაციის ზუსტი მონაცემებიც არ არის მითითებული (შდრ. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის შრომათა ბიბლიოგრაფია, თბ., 1963; აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, თბ., 1972). ესეც ადვილი ასახსნელია, რადგან ყველას კარგად გვახსოვს, რომ იმ დროს და მერეც, კარგა ხნის მანძილზე, ემიგრანტული ქართული პრესის მითითება და იქ გამოქვეყნებული მასალებით სარგებლობა მაინცდამაინც დიდი მოწონებით არ სარგებლობდა. ამიტომ იყო, რომ ეს გადაუდებელი საქმე ამდენ ხანს გაჭიანურდა. ჩვენ შეძლებისდაგვარად თავი მოვუყარეთ ექ. თაყაიშვილის უცხოეთში გამოქვეყნებულ ყველა ნაშრომს როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე და შევადგინეთ მათი დაზუსტებული ბიბლიოგრაფია, რომელიც ასე გამოიყურება:

### ექვთიმე თაყაიშვილის ემიგრანტული ნაშრომები

#### I. წერილები ქართულ ენაზე:

1. დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1927, № 18, გვ. 2–3; № 19, გვ. 2–3.
2. სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები (ნაწილი პირველი), ჟურნ. „კავკასიონი“, პარიზი, 1929, № 1–2, იანვარ-თებერვალი, გვ. 85–106.
3. ქართული სიძველენი ევროპიელ ანტიკვარებთან, გაზ. „საქართველო“, პარიზი, 1929 № 1–2, ივნის-ივლისი.
4. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1935, №109.
5. ელენე თარხან-მოურავისეული ვეფხის-ტყაოსანის სურათებიანი ხელნაწერი, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1935, № 118.
6. აკადემიკოსი ნიკო მარრი (დასაწყისი), გაზ. „საქართველო“, პარიზი, 1935, № 7; (გაგრძელება), გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1936, № 123; (დასასრული), გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1936, № 124.
7. იური ნიკოლოზის ძე მარრი, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1935, № 120.
8. ეროვნული განძეულობის თაობაზე (აკ. ჩხენკელის თანაავტორობით), გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1936, № 126.
9. მიმართვა ქართველი ემიგრაციისადმი, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1936, № 129; ჟურნ. „ქართლოსი“, პარიზი, 1937, № 1.
10. წერილი რედაქციის მიმართ, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1937, № 134.
11. ანგარიში ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1937, № 137, 139.
12. წინასიტყვაობა წიგნისთვის: თამარ პაპავა, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, პარიზი, 1937, გვ. 9–14.



13. ჯვარის მონასტრისეული „თვენი“ ანუ „საგალობელი“ მეთერთმეტე საუკუნისა, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1938, № 144.
14. ჭუმი მოღვაწის იოსებ დადიანის ხსოვნას, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1938, № 145.
15. ანგარიში ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, № 146.
16. კოლია თაყაიშვილი (ნეკროლოგი), გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1938, № 149.
17. ანგარიში ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1938, № 152.
18. მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატთანე ნიკორწმინდის ხელნაწერში, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1939, № 159.
19. ანგარიში ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1939, № 159.
20. სამუსულმანო საქართველო, ჟურნ. „ქართლოსი“, პარიზი, 1939, № 19–23.
21. გიორგი მეფის ერთი ფულის შესახებ, ჟურნ. „საქართველო“, ბერლინი, 1944, № 1, გვ. 32–33.
22. ოსებისადმი ბომბებული ექვსი სიგელი, ჟურნ. „საქართველო“, ბერლინი, 1944, № 1, გვ. 45–49.

## II. წერილები უცხო ენებზე:

1. წყაროები იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსისა აფხაზთა მეფის შესახებ (აღწერილობა ქართველთა და აფხაზთა მეფისა და მისი სამეფოსი), „ჟურნალ აზიატიკ“, ტ. CCX, პარიზი, 1927, გვ. 357–368 (ფრანგულ ენაზე).
2. მოკლე ისტორიული მიმოხილვა ინტელექტუალური ცხოვრებისა საქართველოში, „პრომეთე“, პარიზი, 1928, № 17, გვ. 22–27 (ფრანგულ ენაზე).
3. ქართული სიძველენი: I. ვანის სახარება, „ბიზანტიონი“, ტ. X, ბრიუსელი, 1935, გვ. 655–663 (ფრანგულ ენაზე).
4. ქართული ქრონოლოგია და ბაგრატიდების მმართველობის დასაწყისი საქართველოში, „გეორგიკა“, ტ. I, № 1, ლონდონი, 1935, გვ. 9–27 (ინგლისურ ენაზე).
5. ქრისტეს ჯვარცმის ხატი სამეგრელოში, წალენჯიხის ეკლესიაში, „გეორგიკა“, ტ. I, № 2–3, ლონდონი, 1936, გვ. 12–14 (ინგლისურ ენაზე).
6. ოთხი ეკლესია, აგებული ბაზილიკურ სტილში, მდ. ყვირილას დაბლობზე, „გეორგიკა“, ტ. I, № 2–3, ლონდონი, 1936, გვ. 154–173 (ინგლისურ ენაზე).
7. ქართული სიძველენი: II. სვანთა ერისთავ იოანე ვარდანის მე-12 საუკუნის ორი წარწერა; III. ხვამლის ეკლესიის წარწერის შესახებ, „ბიზანტიონი“, ტ. 12, ბრიუსელი, 1937, გვ. 197–206 (ფრანგულ ენაზე).
8. საქართველოს სიძველენი: 1. საქართველოს კათალიკოს ეპიფანეს სახარება; 2. უძველეს ქართულ ეკლესიათა კანკელების ზოგიერთი ნიმუში, „გეორგიკა“, ტ. 2, № 4–5, ლონდონი, 1937, გვ. 96–116 (ინგლისურ ენაზე).
9. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის დაფარნა და ენქერი და მათი წარწერების გარჩევა, ჩართულია გრ. ფერადის სტატიაში: „ქართველი ბერები და მონასტრები“, „გეორგიკა“, ტ. 2, № 4–5, ლონდონი, 1937, გვ. 242–245 (ინგლისურ ენაზე).
10. საქართველოს კათალიკოს ეპიფანეს წარწერა. „რევიუ დე ლ'ორიენ შრეტიენ“ (ქრისტიანული აღმოსავლეთის ჟურნალი), გამომავალი რ. გრაფენის ხელმძღვანელობით, მესამე სერია, ტ. X (XXX), პარიზი, 1935–36, № 1–2, გვ. 216–224 (ფრანგულ ენაზე).

## III. წიგნები:

1. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუში, პარიზი, 1933, 64 გვ.;
2. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, 440 გვ.
3. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, 87 გვ.

4. მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატიანე ნინოწმინდის ხელნაწერში, პარიზი, 1939, 16 გვ. (პირველად გამოქვეყნდა გაზ. „დამოუკიდებელ საქართველოში“, პარიზი, № 159).

პირველ ტომში გაერთიანდა ექ. თაყაიშვილის ყველა ემიგრანტული ნაწერი, გარდა ნაშრომისა „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“ (პარიზი, 1937, 440 გვ.), რომელიც ცალკე წიგნად შევიდა მეორე ტომში.

\* \*  
\*

დანართის სახით კრებულში წარმოდგენილია ექვთიმე თაყაიშვილის „მოგონებანი ქართველ მწერლებზე“ და „ქართული სამუზეუმო ქონების ისტორიისათვის (განძეულის საფრანგეთში გატანისა და დაბრუნების ისტორია)“.

80 წელს გადაცილებული ექვთიმე თაყაიშვილი 1945 წლის 11 აპრილს ემიგრაციიდან საქართველოში დაბრუნდა და კვლავ მხნედ განაგრძო მეცნიერული საქმიანობა. კიდევ 8 წელი იცოცხლა ღვაწლმოსილმა მამულიშვილმა ამდენი ხნის მონატრებულ სამშობლოში (გარდაიცვალა 1953 წლის 21 თებერვალს), მოასწრო თითქმის ორ ათეულამდე შრომის გამოქვეყნება, ამას გარდა, ფრიად საინტერესო მოგონებების კარნახით ჩაწერა...

ამათგან „მოგონებანი ქართველ მწერლებზე“ გამოქვეყნდა 1952 წელს „ლიტერატურის მატიანეში“ (წიგნი 6, ნაკვეთი პირველი, რედაქტორი აკად. გ. ლეონიძე). მასში ექ. თაყაიშვილი იგონებს ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, გიორგი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას და ეგნატე ნინოშვილს. ეს „მოგონებანი“ ლიტერატურული მუზეუმის დირექტორის, პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძისა და პროფ. ი. მეგრელიძის თხოვნით მხცოვანი მეცნიერისგან ჩაუწერია ლიტერატურული მუზეუმის მაშინდელ სწავლულ მდივანს, პროფ. ი. ლოლაშვილს (ეხმარებოდა ნ. ხომერიკი) (შდრ. ი. ლოლაშვილი, ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან. თბ., 1980, გვ. 85–91). რაც შეეხება ექ. თაყაიშვილის მოგონებას ილია ჭავჭავაძეზე, იგი რამდენადმე განსხვავებული რედაქციით და ახალი ცნობების დამატებით ჩაუწერია ცნობილ ისტორიკოს-არქეოლოგს გ. ლომთათიძეს, რომელმაც ნ. დოლობერიძესთან ერთად განსაკუთრებული ამაგი დასდო ემიგრაციიდან დაბრუნებულ ხანდაზმულ მეცნიერს უზარმაზარი პირადი არქივის მოწესრიგებაში, ახალი შრომების გამოსაქვეყნებლად მომზადებასა და გასაოცარი მეხსიერების წყალობით შემორჩენილი ბევრი საინტერესო ფაქტისა და მოგონების ჩაწერაში.

წინამდებარე კრებულში ილია ჭავჭავაძეზე ექ. თაყაიშვილის მოგონების ძირითადი ტექსტი მოგვყავს გ. ლომთათიძის გამოცემის მიხედვით (იხ. ექ. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I. თბ., 1968, გვ. 240–281). მოგონებანი აკაკიზე, გიორგი წერეთელზე, ვაჟა-ფშაველასა და ეგნატე ნინოშვილზე კი „ლიტერატურული მატიანის“ (იქვე, გვ. 51–62) მიხედვით იბეჭდება.

ექ. თაყაიშვილის მოგონება „ქართული სამუზეუმო ქონების ისტორიისათვის“ ამოღებულია გ. ლომთათიძის ზემოთ დასახელებული გამოცემიდან (გვ. 400–413). აქვე ამავე საკითხზე ექ. თაყაიშვილის „მოგონებანის“ ერთი ფრაგმენტიც, ჩაწერილი 1949 წელს იმავე გ. ლომთათიძის მიერ.

**გურამ შარაძე**

## ს ა რ ჩ ე ვ ი

დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო  
სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები (ნაწილი პირველი)  
სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები (ნაწილი მეორე)  
ქართული სიძველენი ევროპელ ანტიქვარებთან  
პავლე იოსების ძე თაყაიშვილი  
ელენე თარხან-მოურავისეული ვეფხის-ტყაოსნის სურათებიანი ხელნაწერი  
აკადემიკოსი ნიკო იაკობის ძე მარრი  
იური ნიკოლოზის ძე მარრი  
ეროვნული განძეულობის თაობაზე  
მიმართვა ქართველ ემიგრაციისადმი  
ანგარიში  
ანგარიში  
წინასიტყვაობა თამარ პაპავას წიგნზე „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“  
ჯვარის მონასტრისეული „თთვენი“ ანუ „საგალობლნი“ მეთერთმეტე  
საუკუნისა  
ჩუმი მოღვაწის იოსებ დადიანის ხსოვნას  
ანგარიში  
კოლია თაყაიშვილი  
ანგარიში  
მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატთანე ნიკორწმინდის ხელნაწერში  
ანგარიში  
სამუსულმანო საქართველო  
გიორგი მეფის ერთი ფულის შესახებ  
ოსებისადმი ბოძებული ექვსი სიგელი  
პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი  
ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუხი  
არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს.

## მოგონებანი ქართველ მწერლებზე

ილია ჭავჭავაძე  
აკაკი წერეთელი  
გიორგი წერეთელი  
ვაჟა ფშაველა  
ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა)

\* \* \*

ქართული სამუზეუმო ქონების ისტორიისათვის  
ფრაგმენტი მოგონებიდან განძეულობის გატანის შესახებ  
გ. შარაძე, ექვთიმე თაყაიშვილის ემიგრანტული ნაშრომები.